

ბრეზნო

X

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY

THE SCROLL

ECCLESIASTICAL-SCIENTIFIC COLLECTION

X

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY

PUBLISHING HOUSE

TBILISI 2024

თბილისის სასულიერო აკადემია

ბრანდი

საეკლესიო-სამეცნიერო კრებული

X

თბილისის სასულიერო აკადემიისა და

სემინარიის გამომცემლობა

თბილისი 2024

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პერიოდული გამოცემის, საეკლესიო-სამეცნიერო კრებულ „გრაგნილის“, წინამდებარე X ტომში შევიდა დოქტორანტიკებისა და მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა სტატიები. ეს ტექსტები სამაგისტრო ნაშრომების შემოკლებულ-გადამუშავებული ვერსიები და სადოქტორო ნაშრომების ნაწილებია. მასალა სასულიერო მწერლობის რამდენიმე დარგის ფარგლებში (ეგზეგეტიკა, დოგმატიკა, ეკლესიის ისტორია, ასკეტიკა, ლიტურგიკა, საეკლესიო სამართალი, პიპნოგრაფია) მოიცავს როგორც თეორიულ კვლევებს, ასევე, დიდი ბიზანტიელი საეკლესიო მამების (ევაგრე პონტოელის, თეოდორე აბუკურას) თხზულებების აქამდე გამოუცემელ უძველეს ქართულ თარგმანებს, შესრულებულს სხვადასხვა მთარგმნელობითი სკოლის წარმომადგენელთა მიერ (წმ. ეფრემ მცირე, წმ. არსენ იყალთოელი). წარმოდგენილ სტატიათა მეშვეობით მკითხველთა ფართო საზოგადოება გაეცნობა მნიშვნელოვან სიახლეებს. ამა თუ იმ საკითხზე არსებული სამეცნიერო მიღწევების სრულად გამოყენება-გათვალისწინება კიდევ უფრო ღირებულს ხდის კრებულში შესულ ნაშრომებს.

Volume 10 of the ecclesiastical-scientific periodical edition Gragnili of Tbilisi Theological Academy and Seminary contains articles prepared by doctoral students and master's degree graduates. These texts represent abridged and reworked versions of the master's degree theses and parts of the doctoral ones. The material, which covers various branches of theological literature (exegetics, dogmatics, history of the Church, ascetics, liturgy, ecclesiastical law, hymnography), includes theoretical studies and previously unpublished old Georgian translations of the works of the great Byzantine Church fathers Evagrius Ponticus and Theodore Abū Qurrah. The authors of these translations are the representatives of different translation schools, Saint Ephrem Mtsire and Saint Arsen of Iqhalto.

Through the presented articles, the general public of readers will get acquainted with important novelties. The full use and consideration of the scientific achievements attained in these fields will make the works included in the collection even more valuable.

ს ა რ ლ ა ქ ს ი ო კ ო ლ ე ზ ი ა

თეოლოგიის, ფილოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროტო-პრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი, დეკანოზი ბიძინა გუნია, თეოლოგიისა და ისტორიის დოქტორი, დეკანოზი გიორგი გუგუშვილი, თეოლოგიის დოქტორი, არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი, ისტორიის დოქტორი, დეკანოზი თეიმურაზ თათარაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლელა ხაჩიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი, ფილოლოგიის დოქტორი ბერნარ უტიე (სამეცნიერო კვლევათა სახელმწიფო ცენტრი, საფრანგეთი), მაია ახვლედიანი.

რედაქტორი

თეოლოგიის მაგისტრი; ბიბლესტიკის მიმართულების
დოქტორანტი **რეზო მუჯირიშვილი**

Editor of the Publication

Rezo Mujirishvili

Master of Theology; a doctoral student of Biblical Studies

რეცენზენტი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ნინო მელიქიშვილი

Reviewer

Nino Melikishvili

Doctor of Philological Sciences



თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

სარჩევი

ეკლესიის ისტორია

დეკანოზი ბესარიონ (ბესიკ) ცინცაძე

კალისტრატე ცინცაძე XIX საუკუნის 80-იან წლებსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში მოღვაწე საქართველოს ეგზარქოსების შესახებ	15
გამოყენებული ლიტერატურა	35
რეზიუმე	36

ეგზეგეტიკა

მღვდელი გიორგი ვაშალომიძე

ქრისტეშობის იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები	39
გამოყენებული ლიტერატურა	74
რეზიუმე	79

ელგუჯა (გიორგი) თოდუა

ძველალექსისეული ციტაცია წმინდა პავლე მოციქულის რომაელთა მიმართ ეპისტოლეში	89
1. ვეთალე დიაკონის „სტიქომეტრიაში“ აღურიცხავი ციტატები (დამონმბებანი)	92
2. ძველალექსისეული ციტატების გაერთიანება ვეთალე დიაკონის „სტიქომეტრიაში“	93
3. ძველალექსისეული ციტატების წყაროები რომაელთა მიმართ ეპისტოლეში	97
4. ზედმიწევნითი ციტაცია	103
5. არაზედმიწევნითი ციტაცია	105

6. სიტყვათა გადასმა	110
7. პერიფრაზები	110
გამოყენებული ლიტერატურა	111
რეზიუმე	112

დოგმატიკა

დიაკონი ლევან ჭანკვეთაძე

თეოდორე აბუკურას თხზულების – „ბრძოლისათვის ქრისტესისა ეშმაკისა მიმართ“ – წმ. არსენ იყალთოელის ქართული თარგმანი	115
წინასიტყვა	117
თხზულების შინაარსის მოკლე მიმოხილვა	119
ხელნაწერთა აღწერილობა	120
ტექსტისათვის	122
ტექსტი: „ბრძოლისათვის ქრისტესისა ეშმაკისა მიმართ“	123
გამოყენებული ლიტერატურა	129
რეზიუმე	131

ასკეტიკა

ლაშა თყებუჩავაძე

ევაგრე პონტოელის სწავლება „გულისზრახვებთან სიტყვისმგებლობის შესახებ“ და მისი კვალი ასკეტურ ტრადიციაში	133
გამოყენებული ლიტერატურა	154
რეზიუმე	158

ლაშა თყეგბურაშა

ფსევდონილოს სინელის (ევაგრე პონტოელი) „სენტენციების“ (Sententiae) ძველი ქართული თარგმანი	161
შესავალი	163
თხზულების ბერძნული გამოცემები	164
„კეფალიების“ რედაქციათა ურთიერთმიმართება	167
„კეფალიების“ ავტორობის საკითხი	169
„კეფალიები“ ძველ ქართულ მწერლობაში	171
„კეფალიების“ ეფრემ მცირისეული თარგმანი	177
ტექსტისათვის	182
ტექსტი: „მისივე, წმიდისა ნილოას ღწომნი განმაყენებელნი განხრწნადთაგან და შემაერთებელნი უხრწნელთა თანა“	183
გამოყენებული ლიტერატურა	193
რეზიუმე	197

ბორა სუხიშვილი

„მარტულობაჲ ორმოცთაჲ“ და საეკლესიო ტრადიცია	199
შესავალი	201
I ძველის შემცველი ხელნაწერებისა და ქართული თარგმანის წარმომავლობის შესახებ	202
II „სებასტიელთა მარტვილობის“ ასახვა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლებში	205
III სებასტიელ მონამეთა სახელები და რაოდენობა ქართული თარგმანების მიხედვით	208
IV სებასტიელთა წამების ხანა	212
V „სებასტიელთა წამება“ და მისი საღვთისმეტყველო მნიშვნელობა	214
VI ორმოცი სებასტიელი მონამის სახელობის ეკლესია-მონასტრებისა და მათთან დაკავშირებული სხვა სინმინდების შესახებ	243
გამოყენებული ლიტერატურა	247
რეზიუმე	252

ლიტურბიკა

გიორგი მეტრეველი

შესაქმისა და ვნების შვიდეულის დღეთა ურთიერთმიმართება	255
გამოყენებული ლიტერატურა	266
რეზიუმე	268

საეკლესიო სამართალი

მორჩილი ირაკლი გუნიავა

საქართველოს ეკლესიის საეკლესიო საკუთრების სახელმწიფო რეგისტრაციის სამართლებრივი ანალიზი	271
გამოყენებული ლიტერატურა	289
რეზიუმე	291

ჰიმნოგრაფია

ლაშა ზაალიშვილი

სამუსიკო ტერმინ „ავაჯის“ შესახებ	293
გამოყენებული ლიტერატურა	304
რეზიუმე	306

CONTENTS

HISTORY OF THE CHURCH

ARCHPRIEST BESARION (BESIK) TSINTSADZE

Kalistrate Tsintsadze about the Exarchs of Georgia Who Served in the 80s of the 19th Century and the First Twenty Years of the 20th Century	15
Bibliography	35
Abstract	37

EXEGESIS

PRIEST GIORGI VASHALOMIDZE

Iconography of the Nativity and Its Theological and Typological Aspects	39
Bibliography	74
Abstract	79

ELGUJA (GIORGI) TODUA

The Old Testament Citations Included by Saint Paul the Apostle in His Epistle to the Romans	89
1. Unidentified Citations in Euthalius the Deacon's Stichometry	92
2. Combined Old Testament Quotations in Euthalius the Deacon's Stichometry	93
3. Sources of Old Testament Quotations in the Epistle to the Romans	97
4. Precise citation	103

5. Imprecise citation	105
6. Alteration of the Word Order	110
7. Paraphrases	110
Bibliography	111
Abstract.....	113

DOGMATICS

DEACON LEVAN CHANKVETADZE

Saint Arsen of Iqhalto's Georgian Translation of Theodore

Abū Qurrah's Work Christ's Battle Against the Devil	115
Foreword	117
A Brief Discussion of the Content of the Work	119
Description of the Manuscripts	120
For the Text	122
The Text: Christ's Battle Against the Devil'	123
Bibliography	129
Abstract	132

ASCETICS

LASHA TQEBUCHAVA

Evagrius Ponticus's Teaching "Antirrheticus" and Its Imprint in the Ascetic Tradition

Bibliography	154
Abstract	159

LASHA TQEBUCHAVA

Old Georgian Translation of Sententiae by Pseudo Nilos of Sinai (Evagrius Ponticus)	161
Introduction	163
Greek Editions of the Work	164
Relationship Between the Edition of Kephalea	167
The Question of the Authorship of Kephalea	169
Kephalea in Ancient Georgian Literature	171
Ephrem Mtsire’s Translation of Kephalea	177
For the text	182
The Text: Of the Same Author, Saint Nilos’s Gnome Separating a Human Being from Corruption and Uniting us with the Incorruptibility	183
Bibliography	193
Abstract	198

GOCHA TSUKHISHVILI

“The Martyrdom of the Forty” and Ecclesiastical Tradition	199
Introduction	201
I. About the Origin of the Manuscripts Containing the Monument and its Georgian Translation	202
II. Representation of The Martyrdom of the Forty in the Monuments of Old Georgian Ecclesiastical Literature	205
III. Names and Number of Sebastian Martyrs According to the Georgian translations	208
IV. The Era of the Sebastian Martyrs	212
V. The Martyrdom of the Sebastian Forty and Its Theological Significance	214
VI. About the Churches and Monasteries Dedicated to the Forty	

Sebastian Martyrs and other Sanctuaries Related to Them	243
Bibliography	247
Abstract	253

LITURGICS

GIORGI METREVELI

Interrelationship Between the Days of the Creation and the Seven Days of the Passion	255
Bibliography	266
Abstract	269

ECCLESIAICAL LAW

NOVICE IRAKLI GUNIAVA

A Juridical Analysis of the State Registration of the Property Belonging to the Church of Georgia	271
Bibliography	289
Abstract	292

HIMNOGRAPHY

LASHA ZAALISHVILI

The Musical Term "Avaji"	293
Bibliography	304
Abstract	307

დეკანოზი ბესარიონ (ბესიკ) ცინცაძე

**კალისტრატე ცინცაძე XIX საუკუნის 80-იან წლებსა
და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში მოღვაწე
საქართველოს ეპგარქოსების შესახებ**

დეკანოზი ბესარიონ (ბესიკ) ცინცაძე

PRIEST BESARION (BESIK) TSINTSADZE

ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ვახტანგ გურული

SUPERVISOR Doctor of History
Vakhtang Guruli

კალისტრატე ცინცაძე XIX საუკუნის 80-იან წლებსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში მოღვაწე საქართველოს ეგზარქოსების შესახებ

დეკანოზი ბესარიონ (ბესიკ) ცინცაძე

წმ. კალისტრატე ცინცაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მის მემუარებს. მის არქივში ინახება რამდენიმე მოგონება როგორც ცალკეული პირების, ისე, ზოგადად, მიმდინარე პროცესების შესახებ, რომელთა მონაწილე იგი თავადაც იყო.¹ აღნიშნული მოგონებები დაწერილია კათოლიკოს-პატრიარქად მისი მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში. აღსანიშნავია, რომ წმ. კალისტრატე თავის მოგონებებში ისე სკრუპულოზურად და დაწვრილებით გადმოგვცემს სათქმელს, რომ, უეჭველია, კათოლიკოსი მათ წინასწარ ინიშნავდა და წერის დროს ამ ჩანიშნულ მასალას იყენებდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სანდოობის თვალსაზრისით.

ისტორიული ფაქტების დადგენისას მოგონებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მემუარები ავტორისეულ ხედვას წარმოადგენს, რომელშიც ბევრი სუბიექტური შეფასება იჩენს თავს. აქედან გამომდინარე, მკვლევრები მემუარებში გადმოცემული მოვლენების გაანალიზებას სიფრთხილით ეკიდებიან. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მემუარული ლიტერატურა ისეთ ფაქტოლოგიურ ნიუანსებს შეიცავს, რომლებიც სხვა წერილობით წყაროებსა და დოკუმენტურ მასალებში არ არის. ამიტომ კვლევის დროს მემუარულ მასალას მკვლევრები ფართოდ იყენებენ. მისი შექმნის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, წმ. კალისტრატე ცინცაძის მემუარულ მემკვიდრეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმდროინდელი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გაშუქებისათვის.

ამჯერად წმ. კალისტრატე ცინცაძის მემკვიდრეობიდან განვიხილავთ მის შეხედულებას XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში საქართველოში მოღვაწე ეგზარქოსების შესახებ, რომელიც, ძირითადად, მის მოგონებებს ეყრდნობა. თუმცა, აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ეგზარქოსების დახასიათებისას, საკუთარი დაკვირვების გარდა, იგი იყენებს სამეცნიერო ლიტერატურას, წერილობით წყაროებს, გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებულ მასალებს და სხვ. წმ. კალისტრატე ცინცაძე, ძირითადად, იმ ეგზარქოსებს ახასიათებს, რომლებთანაც მას შეხება ჰქონია. სწორედ ამის მიხედვით მოვხაბეთ ჩვენი კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩოებიც.

1 კორნელი კეკელიძის სახელობის სელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდი, საქმე 26, საქმე 102, საქმე 107, საქმე 109; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე 2001; კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 224-432; კალისტრატე ცინცაძე, I, 2010: 305-481; კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 243-481.

წმ. კალისტრატე ცინცაძე საქართველოს ეგზარქოსების დახასიათებას იწყებს მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევის მოღვაწეობის შეფასებით, რომელიც საქართველოს ეგზარქოსი იყო 1877-1882 წლებში. მართალია, მისი ეგზარქოსობის დროს წმ. კალისტრატეს მასთან შეხება არ ჰქონია, მაგრამ როდესაც იგი კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა, იოანიკე რუდნევი დანიშნეს კიევის მიტროპოლიტად. მისი დანიშვნით გახარებული ყოფილან კიევის სასულიერო აკადემიის ქართველი სტუდენტები, მაგრამ მათი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. სასულიერო აკადემიის ერთ-ერთი რუსი ინსპექტორის განცხადებით, მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევის არ უყვარდა ქართველები. სხვების მონათხრობით, საქართველოს ეგზარქოსობიდან გათავისუფლებული იოანიკე რუდნევი (1877-1882), როდესაც რუსეთში ბრუნდებოდა, ჯვრის უღელტეხილთან საქართველოსაკენ მობრუნებულა და განუცხადებია: **„გმადლობ შენ, ყოვლადწმინდა ქალწულო, რომ შესაძლებლობა მომეცი, ამ ველურებს ცოცხალი გადავჩენოდი“**.¹ ქართველმა სტუდენტებმა არ ირწმუნეს მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევის შესახებ სასულიერო აკადემიის ინსპექტორის მონათხრობი, თუმცა სიმართლე მალე გაირკვა. წმ. კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, იოანიკემ ცუდი განწყობა ქართველების მიმართ გამოამჟღავნა კიევის სასულიერო აკადემიაში 1892 წელს მიმდინარე გამოსაშვები გამოცდების დროს, რომელსაც, როგორც გამოსაცდელი სტუდენტი, თავადაც ესწრებოდა. როცა წმ. კალისტრატეს გამოცდის დრო დადგა, მან დემონსტრაციულად დატოვა აუდიტორია აშკარად მისი ქართველობის გამო. ეს კარგად შეამჩნიეს გამომცდელმა პროფესორებმა და იქ დამსწრე სტუდენტებმა, მაგრამ მიზეზი თვით წმ. კალისტრატემაც იმხანად ვერ ახსნა. 1913 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ მთავარეპისკოპოს ნიკანორის წიგნში წმ. კალისტრატემ მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევის ქართველებისადმი დამოკიდებულების შესახებ საინტერესო ცნობა მოიძია. მთავარეპისკოპოსი ნიკანორი გადმოგვცემს მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევთან საუბარს 1886 წელს პ. ჩუდეცკის მკვლელობისა და ეგზარქოს პავლე ლებედევის (1882-1887) შესახებ. იოანიკეს მასთან საუბარში პირდაპირ განუცხადებია — პავლე საქართველოდან უნდა წავიდეს, რადგან ქართველები მას მოკლავენ; ქართველებმა ჩაიბეჭდეს გონებაში, რომ ეგზარქოსმა პავლემ დაწყევლა საქართველო. ისინი ყველაფერს იკადრებენ, რადგან **„მათ ხომ განსჯის უნარი არა აქვთ, გონებაჩლუნგები არიან“**.² აღნიშნული ცნობით აშკარად გამოიკვეთა მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევის დამოკიდებულება ქართველებისადმი.

მეტად საინტერესოა წმ. კალისტრატე ცინცაძის მიერ მიტროპოლიტ იოანიკე რუდნევის შემცველის — მთავარეპისკოპოს პავლე ლებედევის — დახასიათება. თბილისის სასულიერო სემინარიაში მისი სწავლის დროს პავლე ეგზარქოსის მოვალეობას

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 16; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 225.

2 Записки, II, 1913: 26-27; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე 2001: 20; კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 225.

ასრულებდა, ხოლო სასწავლებლის რექტორი იყო ეგზარქოსთან დაახლოებული დეკანოზი — პავლე ჩუდეცკი. აღნიშნულიდან გამომდინარე, წმ. კალისტრატე ცინცაძის შეხედულება დასახელებული ეგზარქოსის შესახებ საინტერესოა, რადგან იგი ყველა იმ პროცესის მომხრე და თვითმხილველი იყო, რაც იმ დროს თბილისის სასულიერო სემინარიაში დატრიალდა.

წმ. კალისტრატე ცინცაძე ეგზარქოს პავლე ლებედევს წარმოგვიდგენს ნიჭიერ, განათლებულ, მჭევრმეტყველ, მაგრამ ფიცხ პიროვნებად. იგი დაწვრილებით აღწერს თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტის — იოსებ ლალიაშვილის მიერ 1886 წლის 24 მაისს დეკანოზ პავლე ჩუდეცკის მკვლელობის ფაქტს; აგრეთვე, მოკლედ მიმოიხილავს იმ დროს სასულიერო სემინარიაში არსებულ მძიმე მდგომარეობას. წმ. კალისტრატე რექტორის მკვლელობის შესახებ აღნიშნავს: ამ დროს ეგზარქოსად მიტროპოლიტი იოანიკე რუდნევი რომ ყოფილიყო, რექტორის მკვლელობას ქართველების გონებაჩლუნგობით და სიშმაგით ახსნიდაო.

თბილისის სასულიერო სემინარიაში მომხდარი ფაქტის აღწერისას წმ. კალისტრატე ცინცაძე იმოწმებს რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის — ვ. საბლერის მიმოწერას ხელისუფლების მოხელეებთან. როგორც ობერ-პროკურორი ვ. საბლერი აღნიშნავდა, ეგზარქოსმა პავლემ, „გონებანათელმა“ კაცმა, წონასწორობა დაკარგა და თბილისში, წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში, დეკანოზ პავლე ჩუდეცკის წესის აგებაზე წარმოთქმულ სიტყვაში უდიერად მოიხსენია ქართველი საზოგადოება. წმ. კალისტრატე წერს, რომ საზოგადოებაში გავრცელდა ხმა, რომ მან ქართველი ხალხი შეაჩვენა: **„წყეულიმც იყოს ის ერი, რომელმაც შენი მკვლელი შვაო“**. ამ ფაქტთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს, რომ წმ. ალექსანდრე ნეველის ტაძარში საქართველოს ეგზარქოსის სიტყვით გამოსვლას არ დასწრებია, ამიტომ ვერც უარყოფს და ვერც ადასტურებს მის ნათქვამს, რადგან ეგზარქოსის გამოქვეყნებულ სიტყვაში დასახელებული ტექსტი არ იყო.¹ თუმცა იგი გაბეო „Кавказ“–იდან იმოწმებს საქართველოს ეგზარქოსის მიერ წარმოთქმული სიტყვის ნაწილს: **„ბოროტმოქმედთა მსხვერპლი კი არ იმსახურებს უდიდეს გლოვას, არამედ გარემო — მშობელი ბოროტმოქმედთა; დიახ, ტირიან დედები და მამები ჩვენი მხარისა, რომ ჩვენში არსებობენ ბავშვები — მხეცური მიდრეკილებების მქონენი, რომლებიც ვერ მოაღმობიერა ოჯახის კეთილმა გავლენამ, ვერ დააშოშმინა სკოლის კეთილმა ზემოქმედებამ და გარეგან ცრუ და მავნე გავლენას განიცდიან... თქვენ პირველებს მოგვზღვებათ უბედურება, რომელსაც თავად უშზადებთ და შეამთხვევთ სხვებს“**. ამ ამონარიდის მოხმობის შემდეგ წმ. კალისტრატე ცინცაძე დაასკვნის, რომ საზოგადოებაში გავრცელებული სიტყვები რომც არ ეთქვა საქართველოს ეგზარქოსს, გაბეთში გამოქვეყნებული მისი სიტყვაც საკმარისი იყო ქართველი ხალხის აღშფოთებისათვის. იგი, აგრეთვე, იმოწმებს

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 24; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 234.

ცნობას იმის შესახებ, რომ საქართველოს ეგზარქოსის მიერ სიტყვის წარმოთქმისას ეკლესიაში მყოფ ქრისტიანთა მამაცაშვილს პროტესტის ნიშნად ტაძარი დაუტოვებია.¹ ტაძარში დარჩენილ ქართველებს დამცირებულად უგრძობათ თავი, რადგან მორწმუნე ადამიანებისათვის მისი სიტყვა იყო ღვთის რისხვა და შეურაცხყოფა.²

მომხდარი ფაქტის შესახებ წმ. კალისტრატე ცინცაძე გვაწვდის საინტერესო დოკუმენტურ მასალებს, რომლებიც დაფიქსირებულია ეგზარქოს პავლეს მიერ პეტერბურგის სასულიერო უწყებაში, კერძოდ, რუსეთის უწმინდესი სინოდის კანცელარიის დირექტორ ს. საბლერისადმი გაგზავნილ მოხსენებაში. საქართველოს ეგზარქოსი დეკანოზ პავლე ჩუდეცკის წარმოაჩინეს ლიბერალურ პიროვნებად, რომელიც თითქოს თბილისის სასულიერო სემინარიაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისათვის იბრძოდა, ხოლო ქართველი ინტელიგენცია ცდილობდა მკვლელის დაცვას. იგი ითხოვდა შესაბამისი ღონისძიებების გატარებას და თბილისის სასულიერო სემინარიის დახურვას. ეგზარქოს პავლე ლებედევის ასეთი პათოსის მიუხედავად, პეტერბურგის სასულიერო უწყება და სამეფო კარი კარგად იყვნენ ინფორმირებულნი საქართველოში მიმდინარე ამბების შესახებ და, გარკვეულწილად, ადანაშაულებდნენ ეგზარქოს პავლეს, რომელსაც მეტი სიდინჯე და წინდახედულება უნდა გამოეჩინათ. წმ. კალისტრატე ცინცაძე ამ საკითხთან დაკავშირებით იმოწმებს ყველა იმ მასალასა და მიმოწერას, რომლებსაც აფიქსირებდა რუსეთის უწმინდესი სინოდის ზოგიერთი ეპისკოპოსი, საიდანაც ირკვევა, რომ ეგზარქოს პავლეს დატოვება დაკავებულ თანამდებობაზე კიდევ უფრო დაძაბავდა ვითარებას საქართველოში, მითუმეტეს, რომ მის საქციელს დიმიტრი ყიფიანის დასჯა და, ბოლოს, მისი ვერაგული მკვლელობა მოჰყვა, რის გამოც ქართველი საზოგადოება დიდ უკმაყოფილებასა და აღშფოთებას გამოხატავდა.³

წმ. კალისტრატე ცინცაძე, მოხმობილი წყაროების საფუძველზე, საინტერესო დასკვნებს აკეთებს და აღნიშნავს, რომ თვით საიმპერატორო კარისათვის მიუღებელი იყო ეგზარქოს პავლეს დატოვება ძველ თანამდებობაზე და იგი, იმპერატორთან შეთანხმებით, საქართველოდან გაიწვიეს. აღსანიშნია, რომ წმ. კალისტრატეს მიერ ეგზარქოს პავლეს დახსნათება დადებითადაა შეფასებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.⁴

წმ. კალისტრატე ცინცაძე საინტერესოდ წარმოსახავს ეგზარქოს პავლე ლებედევის შემცვლელის — მთავარეპისკოპოს პალადი რაევის (1887-1892) პორტრეტს. მის დასახასიათებლად მოიხმობს რუსეთის უწმინდესი სინოდის კანცელარიის დირექტორის, ს. საბლერის ოფიციალურ ცნობას იმის შესახებ, რომ მთავარეპისკოპოს პალადის შეუძლია ყველაფერი მოაწესრიგოს, თავისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე — დახვეწილი

1 კალისტრატე ცინცაძე 1994: 214.

2 კონწელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი ფონდი, საქმე №170, ფურცელი 75; შდრ.: ბუბულაშვილი 2022: 320.

3 კალისტრატე ცინცაძე 2001: 28-33; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 240-245.

4 ბუბულაშვილი 2022: 314- 320.

პოლიტიკოსობის, თავაზიანობისა და შემგუებლობის მეშვეობით. რუსი მოხელის ამ დახასიათების საწინააღმდეგოდ, წმ. კალისტრატე აღნიშნავს, რომ მთავარეპისკოპოსი პალადი რაევი შეპარვით ქართველ „სამღვდელოებას ზიზღნარევი ალერსით ექცევა... საერო საზოგადოებას — თავაზიანი პირფერობით“. ამას იგი აკეთებდა ქართველი საზოგადოების გულის მოგების მიზნით, რაც, აგრეთვე, გამოიხატებოდა იმაშიც, რომ ხშირად სტუმრობდა ქართველ წარჩინებულთა ოჯახებს.

წმ. კალისტრატე ცინცაძე გვაუწყებს, რომ ეგზარქოს პალადი რაევის (1887–1892) დაჟინებული მოთხოვნით, დიდუბის ევერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი (ახლა ამ ადგილას ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარია) აკურთხეს ყაზანის ღვთისმშობლის სახელზე. ახალი ეგზარქოსი მოითხოვდა ქართველი წმინდანების წმინდანად შერაცხვის აქტებს, რაც არ არსებობდა. ამიტომ მას განუცხადეს: თუნდაც ის, რომ საუკუნეების განმავლობაში მათი სახელები ეკლესიაში იხსენიება, მათი წმინდანობის დადასტურება არისო. საქართველოს ეგზარქოსი ამ პასუხით არ დაკმაყოფილდა და ბრძანა, რომ ახალშობილებისათვის ნათლობის დროს ქართულის ნაცვლად წმინდანების ბერძნულ-რუსული სახელები დაერქმიათ. წმ. კალისტრატეს თქმით, მისი ეს გადაწყვეტილება ბოლომდე ვერ განხორციელდა, მაგრამ იქცა უკანონო შემოსავლის წყაროდ, რადგან ქრთამის გაღებით ადვილად შესაძლებელი იყო ამ საქმის მოგვარება.¹

წმ. კალისტრატე ცინცაძე საინტერესო მასალებს იმოწმებს მომდევნო ეგზარქოსის — მთავარეპისკოპოს ვლადიმირ ბოგოიაველენსკის (1892–1898) დასახასიათებლად. მისი აზრით, იგი იყო ჭკვიანი, უბრალო, ღირსეული და მჭევრმეტყველი პიროვნება. ეგზარქოს ვლადიმირის ამ თვისებებს დიდად აფასებდა უმაღლესი სასულიერო უწყება, რის გამოც იგი სხვადასხვა დროს რუსეთის უწმინდესი სინოდის მუდმივი ოთხივე კათედრის — საქართველოს, მოსკოვის, კიევისა და პეტერბურგის — ხელმძღვანელი იყო. საქართველოს ეგზარქოსი ვლადიმირი ყოველთვის ხელს უწყობდა და აწინაურებდა რუსი ეროვნების სამღვდელოებას. ამას არც მალავდა, რაც მის დიდ ნაკლად მიაჩნდა წმ. კალისტრატეს. მისი მოღვაწეობის დროს, 1893 წელს, თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტები უკმაყოფილონი იყვნენ რექტორის, არქიმანდრიტ სერაფიმესი, რომელიც აბუჩად იგდებდა მოსწავლეებს, ავიწროვებდა და მკაცრ რეჟიმში აცხოვრებდა მათ. გარდა ამისა, იგი შეურაცხყოფდა ქართულ საეკლესიო გალობას, რომელსაც, წმ. კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, „ძაღლების ყეფას“ უწოდებდა. წმ. კალისტრატე დაწვრილებით გვიამბობს დასახელებულ წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. იგი აქვეყნებს ამბოხებულ სემინარიელთა მოთხოვნებს, რომელთა აზრით, უნდა გათავისუფლებულიყო რექტორი სერაფიმი; სემინარიიდან გაეძევებინათ რამდენიმე პედაგოგი, რომლებიც შემჩნეულნი იყვნენ სტუდენტების შეურაცხყოფასა და დამცირებაში; სათანადო საათები დათმობოდა ქართულ საეკლესიო გალობას,

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 38; შლრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 249.

ხოლო ქართული ენა ესწავლებინათ ქართულ ენაზე და არა რუსული ენის დახმარებით; თბილისის სასულიერო სემინარიაში შემოედოთ ქართული ლიტერატურის სწავლება და მოსწავლეებს უფლება მისცემოდათ თავისუფლად გასცნობოდნენ რუს და უცხოელ კლასიკოსებს — დოსტოევსკის, გონჩაროვს, შექსპირს, შილერს, გოეთეს და სხვ.¹

წმ. კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, საქართველოს ეგზარქოსი შეეცადა სტუდენტთა მღელვარება შეეჩერებინა. ამისათვის იგი ყველა ხერხს მიმართავდა. მისი კატეგორიული მოთხოვნით, თბილისის სასულიერო სემინარია დაიხურა ერთი წლით, 1894 წლის 8 იანვრამდე; ამბობებული 87 სტუდენტი სასწავლებლიდან გარიცხეს. ამ ფაქტთან დაკავშირებით წმ. კალისტრატე მოიხმობს ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიების მასალებს. გაირკვა, რომ სტუდენტთა გამოსვლა დაგეგმილი იყო გარედან, ცნობილი რევოლუციონერის, მიხა ცხაკაიას ხელმძღვანელობით. თუმცა, როგორც წმ. კალისტრატე გვაუწყებს, ამ მოძრაობაში ჟანდარმერიას სურდა გაერია ილია ჭავჭავაძე და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, კონსტანტინე მუხრანბატონი, მაგრამ ხელისუფლებამ საწადელს ვერ მიღწია. დადგინდა, რომ, მართალია, მათთან სასულიერო სემინარიის ზოგიერთი სტუდენტი დადიოდა, მაგრამ ისინი არ ურჩევდნენ მოძრაობაში ჩართვას.² ეგზარქოსმა ვლადიმირმა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის მხარე დაიკავა, რის გამოც მისი ავტორიტეტი ქართველ საზოგადოებაში საკმაოდ შეილახა.

წმ. კალისტრატე ცინცაძე თავის მოგონებაში ეგზარქოს ვლადიმირის დასახასიათებლად გამოყოფს ერთ საინტერესო ფაქტს: 1894 წლის პირველ ოქტომბერს, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში აღინიშნება საუფლო კვართის დღესასწაული (სვეტიცხოვლობა), მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში პარაკლისის ჩატარების დროს, საქართველოს ეგზარქოსის მოთხოვნით, საწიგნედან გაიტანეს სვეტიცხოვლის ხატი (საქართველოს ეკლესიის დიდება) და დატოვეს ღვთისმშობლის ხატი (მიზებდა დასახელდა ის, რომ ამავე დღეს მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიაში აღინიშნებოდა „ღვთისმშობლის საფარველის“ ხსენება). ამ ფაქტმა ტაძარში მყოფთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, სხვათა შორის, უკმაყოფილო იყო რუსი ეროვნების მრევლიც.³

აღსანიშნია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: როგორც წმ. კალისტრატე ცინცაძე მოგვითხრობს, 1894 წელს დეკანოზ დავით ღამბაშიძის შურნალში — „Пастырь“ — გაგრძელებებით ქვეყნდებოდა მისი სადისერტაციო ნაშრომის ერთი ნაწილი — „Автокефалия Грузинской церкви“. ამ წერილით უკმაყოფილო ეგზარქოსი ვლადიმირი დეკანოზ დავით ღამბაშიძეს დამუქრებია შურნალის დახურვით, თუკი წერილში ნათქვამი იქნებოდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ისტორიული ავტოკეფალია

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 41; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 252.

2 კალისტრატე ცინცაძე 2001: 41; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 253.

3 კალისტრატე ცინცაძე 2001: 45-46; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 256; ბუბულაშვილი 2022: 336.

ჰქონდა. დეკანოზი დავით ღამბაშიძე წმ. კალისტრატეს დაუმშვიდებია და განუცხადებია: „ნარკვევინაწილია ჩემი საკანდიდატო თხოვნებისა, რომელმაც ცნობილი პროფესორების — ი.ი. მალიშვეცკისა და ა.ა. ოლენიციკის კრიტიკის ქარცეცხლში გაიარა, ხოლო კიევის სასულიერო აკადემიის კონფერენციამ მიიჩნია, რომ მის ავტორს ღვთისმეტყველების საკანდიდატო ხარისხი მინიჭებოდა“. ამ გზით გადაურჩა დეკანოზ დავით ღამბაშიძის ჟურნალი დახურვას.¹

წმ. კალისტრატე ცინცაძე საქართველოს ეგზარქოს ვლადიმირის დახასიათებისას დაასკვნის, რომ საქართველოში მოღვაწეობის ბოლო წლებში მას გული მოუღება და ქართული წირვის წესიც ისწავლა.²

საქართველოს ეგზარქოს ვლადიმირის შემცვლელის, ფლაბიანე გოროდეცკის (1898–1901) შესახებ წმ. კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს, რომ იგი იყო აზნაური, გულთბილი, რომელსაც საერო განათლება ჰქონდა მიღებული. იგი საგანგებოდ გამოყოფს მის თორმეტწლიან სამისიონერო მოღვაწეობას ჩინეთში, თუმცა საქართველოში საქმიანობისას მას განსაკუთრებული ინიციატივა არ გამოუჩენია. მისი საქმიანობა იმით შემოიფარგლა, რომ დააფუძნა მცხეთის ტაძრის სარესტავრაციო კომიტეტი, რომელსაც პირადი დანაზოგიდან ათასი მანეთი შესწირა. მასვე გაუუქმებია საქართველოს ეგზარქოს პალადის შეზღუდვა ქართველი ბავშვებისათვის რუსულ-ბერძნული სახელების დარქმევის შესახებ.³

წმ. კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, ეგზარქოს ფლაბიანე გოროდეცკის სურვილი იყო გარდაცვალების შემდეგ საქართველოში დაესაფლავებინათ და ამისათვის შესაფერის ეკლესიასა და მონასტერს არჩევდა, მაგრამ 1901 წლის ზაფხულში, ყველასათვის გასაკვირად, რუსეთის უწმინდეს სინოდს სთხოვა სხვა ეპარქიაში გადაყვანა. ეგზარქოს ფლაბიანეს გადაყვანის მიზეზად წმ. კალისტრატე ასახელებს ერთ საინტერესო ფაქტს: მის რუსი ეროვნების სულიერ შვილს სურდა თავისივე ეროვნების თბილისელ ქალზე დაქორწინება. გოგონა თანახმა იყო ქორწინებაზე, მაგრამ ეგზარქოსი არ აძლევდა ლოცვა-კურთხევას. გაგულისებული ქალი დაემუქრა ეგზარქოს ფლაბიანეს, რომ წირვის დროს შეურაცხყოფას საჯაროდ მიაცენებდა და წვერებს დააგლეჯდა.⁴ ამ მოტივით, წმ. კალისტრატეს უწყებით, ეგზარქოსმა ფლაბიანემ საქართველო დატოვა ისე, რომ მისი წასვლის ნამდვილი მიზეზი მხოლოდ რამდენიმე პირისათვის იყო ცნობილი.

წმ. კალისტრატე ცინცაძე XX საუკუნის დასაწყისში დანიშნულ ახალ ეგზარქოსს, ალექსი ოპოცკის (1901–1905) ახასიათებს, როგორც კეთილ, ყაირათიან, ენერგიულ, გულისხმიერ, მაგრამ ხშირად თვითნება და ამპარტავან პიროვნებას. ჩამოსვლისთანავე

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 47; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 258; ბუბულაშვილი 2022: 336.

2 კალისტრატე ცინცაძე 2001: 51; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 263.

3 კალისტრატე ცინცაძე 2001: 62; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 279.

4 კალისტრატე ცინცაძე 2001: 84-89; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 301-304.

მან სასულიერო პირებთან დაახლოება დაიწყო, მათ ოჯახებს სტუმრობდა. მისი მარჯვენა ხელი იყო დეკანოზი იოანე ვოსტორგოვი, რომელიც ჯერ ქალთა პირველი გიმნაზიის მასწავლებლად, შემდეგ სამრევლო სკოლების საეპარქიო მეთვალყურედ და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრად, ბოლოს კი ჟურნალ „საქართველოს საეგზარქოსოს მოამბის“ რედაქტორად დაინიშნა. მისი რედაქტორად ყოფნის დროს ჟურნალში ხშირად იბეჭდებოდა ანტიქართული სტატიები, რაც ქართველ საერო და სასულიერო პირთა უკმაყოფილებას იწვევდა. რუსეთის ეკლესიის მიერ დიდი უფლებებით აღჭურვილი იოანე ვოსტორგოვი საქართველოს ეგზარქოსს აღარ ემორჩილებოდა და საქმეებს თვითნებურად წარმართავდა.

მეტად მძიმე დროს დაემთხვა საქართველოში ალექსის ეგზარქოსად მოღვაწეობა. XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე რევოლუციურმა მოძრაობამ არაკეთილსასურველად იმოქმედა მის საქმიანობაზე. გააქტიურდნენ თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტები; ქართველმა საერო და სასულიერო პირებმა აქტიური მოძრაობა დაიწყეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. 1904 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტებმა კვლავ დაიწყეს გამოსვლები, მოითხოვეს სწავლების პირობების გაუმჯობესება. წმ. კალისტრატეს გადმოცემით, ეგზარქოსი ალექსი შეეცადა, ზოგიერთი ქართველი სასულიერო პირის დახმარებით განემუხტა ვითარება. იგი „მეამბოხე“ სემინარიელებს დაჰპირდა, რომ მათ ქალაქიდან გააძევებდა.¹ სემინარიელთა გამოსვლას მხარი დაუჭირეს თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებლის მოსწავლეებმაც, რომლებმაც 1905 წლის 28 იანვარს „ჯანყი“ მოაწყვეს, ჩაამსხვრიეს სასწავლებლის ფანჯრები და სწავლების გაუმჯობესებას მოითხოვდნენ. აღნიშნული ფაქტების გასაშუქებლად წმ. კალისტრატე ცინცაძე იმოწმებს საინტერესო წერილობით წყაროებს, რაც მის მსჯელობას დამაჯერებლობას ჰმატებს. ამბობებულთა დაჟინებული მოთხოვნით, საქართველოს ეგზარქოსი იძულებული შეიქნა სასწავლებლის გამგე გაეთავისუფლებინა დაკავებული თანამდებობიდან და მოსწავლეებს დაჰპირდა სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, ხელისუფლებამ, რევოლუციის აღმავლობის შიშით, 1905 წლის თებერვალში მიიღო გადაწყვეტილება სიტყვის თავისუფლების დაშვების შესახებ. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ, გარკვეულწილად, ხელი შეუწყო ქართველი სამღვდელ-ლოების გააქტიურებას, ბრძოლა დაეწყოთ დაკარგული ეკლესიური თავისუფლების აღდგენისათვის. ამ დროისათვის საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღდგენის მომთხოვნთა მოძრაობა რევოლუციის შემადგენელ ნაწილად იქცა და იგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახით ჩამოყალიბდა. მთავრობის დათმობებით შეგულიანებულმა ქართველმა სამღვდელოებამ პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა. 1905 წლის გაზაფხულზე იმერეთის, გურია-სამეგრელოსა და ქართლის

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 119; შლნ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 324.

სამღვდელოება, ადგილზე ჩატარებულ კრებებზე შემუშავებული პეტიციებით, ითხოვდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენას. აღნიშნული პეტიციები გაეგზავნა რუსეთის უწმინდეს სინოდს, ხელისუფლებასა და საქართველოს ეგზარქოსს. წმ. კალისტრატე ცინცაძე მოიხმობს საინტერესო ჩანაწერებს ხსენებულ კრებებზე მიღებული დადგენილებების შესახებ. პასუხის მიღებამდე სამღვდელოებამ, მთელი საქართველოს მასშტაბით, გადაწყვიტა, რომ 1905 წლის მაისის ბოლოს თბილისში საეკლესიო კრება ჩატარებულიყო. ამასთან დაკავშირებით საქმის კურსში ჩააყენეს საქართველოს ეგზარქოსი ალექსი, რომელთანაც წინასწარ უნდა შეთანხმებულიყო კრებაზე განსახილველი საკითხები. ეგზარქოსი საეკლესიო კრების მოწვევას აგვიანებდა. მას სურდა, რათა რაიონებიდან სასულიერო პირთა ჩამოსვლისათვის ხელი შეეშალა; ეს განზრახვა რომ ვერ განახორციელა, ცდილობდა კრება გამართულიყო 1905 წლის ივნისის დასაწყისში. მისი განზრახვა იყო, რომ ბაქოდან და ერევნიდან თავისი მომხრე სასულიერო პირები ჩამოეყვანა თბილისში, რათა ქართველი სამღვდელოებისათვის დაეპირისპირებინა. საბოლოოდ, სხვადასხვა რაიონიდან თბილისში ჩამოსულმა ქართველმა სასულიერო პირებმა, საქართველოს ეგზარქოს ალექსის ნებართვის გარეშე, თბილისის სასულიერო სემინარიის შენობაში 1905 წლის მაისში გამართეს კრება, რომელზეც მიიღეს ავტოკეფალიის მოთხოვნის პეტიცია, რაც დადასტურებული იყო კრების დეპუტატთა ხელმოწერებით. თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისა და ეგზარქოსის ბრძანებით, კრებაზე შეკრებილნი გამოძახებულმა კაზაკთა რაზმმა დაარბია. მათ ქუჩაში გამოყარეს ქართველი სასულიერო პირები და ცემით გაუსწორდნენ.¹ ამ გაუგონარი ფაქტის შესახებ წმ. კალისტრატე ცინცაძის მიერ მოხმობილი წერილობითი მასალების საფუძველზე მტკიცდება, რომ მომხდარმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. ამ უკანასკნელთა მოთხოვნით, შეიქმნა სპეციალური კომისია, რათა მომხდარი გამოეძიათ და დამნაშავეთათვის პასუხი მოეთხოვათ. თუმცა გამოძიება სწორად არ წარიმართა და დამნაშავედ ისევ ქართველი სამღვდელოება ცნეს. წმ. კალისტრატეს დასკვნით, გამოძიების ერთ-ერთი შედეგი იყო ის, რომ ეგზარქოსი ალექსი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და მის მაგივრად დანიშნეს მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზ ნალიმოვი (1905-1906).

წმ. კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, ქართველმა სამღვდელოებამ ეგზარქოს ნიკოლოზს ჩამოსვლისთანავე თბილისის სიონის ტაძარში მიართვა პეტიციები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. მან განაცხადა, რომ ამ პეტიციებს იგი პეტერბურგში გაეცნო და, ფაქტობრივად, გამოხატა რუსეთის იმპერატორის გადაწყვეტილება, როდესაც აღნიშნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს გადაწყვეტდა მომავალი საეკლესიო კრება, რომელიც მისი უზენაესობის სურვილით უნდა ჩატარებულიყო, თუმცა

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 119; მღრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 324.

კრების ჩატარების დრო დაკონკრეტებული არ ყოფილა. ასეთი გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა დროის გაჭიანურებას.

წმ. კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს, რომ რუსეთის უწმინდესი სინოდის დავალებით, ეგზარქოს ნიკოლოზს ადგილზე არსებული ვითარების გათვალისწინებით უნდა შეემუშავებინა შექმნილი გარემოებიდან გამოსვლის ისეთი პროექტი, რომელიც ხელისუფლებისათვის მისაღები იქნებოდა, შემდგომ კი თავისი მოსაზრებები განსახილველად გაეგზავნა რუსეთის უწმინდესი სინოდისათვის. ამ საკითხზე რუსეთის სინოდში სხვადასხვა გეგმა არსებობდა: ზოგი საქართველოს ეგზარქოსად ქართველის დანიშვნას მოითხოვდა, ზოგი — კავკასიის სამიტროპოლიტოს შექმნას, ზოგი კი — საეგზარქოსოს უფლებების გაზრდას და სხვ. აღსანიშნია, რომ ქართველი საერო და სასულიერო პირები ზემოაღნიშნულ არც ერთ შემოთავაზებას მხარს არ უჭერდნენ.

საქართველოში შექმნილი ვითარების გასარკვევად ეგზარქოსმა ნიკოლოზმა რამდენჯერმე ჩაატარა შეხვედრა ქართველ სასულიერო პირებთან და პეტერბურგში გაგზავნილ მოხსენებაში გადაჭრით აღნიშნა, რომ თუკი ქართველები არ დათანხმდებოდნენ შეთავაზებულ წინადადებებს, მაშინ მათ აუცილებლად უნდა მისცემოდათ ეკლესიის ავტოკეფალია. ეს, რა თქმა უნდა, რუსეთის საერო უწყებისა და სასულიერო სფეროსთვის მიუღებელი იყო. რუსეთის უწმინდესი სინოდი დარწმუნდა, რომ საქართველოს ეგზარქოს ნიკოლოზს საკითხის გადაწყვეტა არ შეეძლო, რის გამოც იგი გაიწვიეს პეტერბურგში და მის მაგივრად დანიშნეს მთავარეპისკოპოსი ნიკონ სოფიისკი (1906-1908).

წმ. კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს, რომ ქართველი სამღვდელთა არ მოელოდა საქართველოს ეგზარქოსად ახალი რუსი მღვდელმთავრის დანიშვნას. ეს ფაქტი დაემთხვა ქუთაისში საეპარქიო ყრილობის ჩატარებას. დეპუტატებმა, როგორც კი შეიტყეს საქართველოს ახალი ეგზარქოსის დანიშვნის შესახებ, საეპარქიო ყრილობაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ წერილი გაეგზავნათ პეტერბურგში სახელმწიფო საბჭოს წევრ ილია ჭავჭავაძისათვის, რომელსაც უნდა ეცნობებინა რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორისათვის, რომ ახლად დანიშნული ეგზარქოსი საქართველოში არ ჩამოსულიყო.

კრების ეს გადაწყვეტილება მასვე უნდა გაეცნო მთავარეპისკოპოს ნიკონისათვისაც.¹ ასეთი წერილი ნამდვილად გაიგზავნა საქართველოდან და ადრესატებთან მოხვდა, მაგრამ ქართველი ხალხისა და სასულიერო პირთა მოთხოვნა არ იქნა გათვალისწინებული.

წმ. კალისტრატე ცინცაძის გადმოცემით, 1906 წლის 26 აგვისტოს თბილისში ჩამოსულ საქართველოს ეგზარქოს ნიკონს მხოლოდ გაძლიერებული დაცვა და ჯარისკაცები დახვდნენ. მის ჩამოსვლას ქართველმა სამღვდელთა ბოიკოტი გამოუცხადა და სატაძრო მსახურებაში, გარკვეული დროის მანძილზე, მასთან ერთად მონაწილეობას არ იღებდა. ჩამოსვლისას თბილისის სიონის ტაძარში საქართველოს ეგზარქოსს მხოლოდ ქართველ სასულიერო პირთა მოთხოვნები წარუდგინეს. ნიკონი არ იზიარებდა მათ

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 136-137; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 356.

სურვილს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ და ქართველ სასულიერო პირთა შეხვედრაზე ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ აღნიშნული საკითხი უზენაეს ხელისუფალთა გადასაწყვეტი იყო, რაც მომავალ საეკლესიო კრებაზე უნდა მომხდარიყო.¹

წმ. კალისტრატე ცინცაძის თქმით, საქართველოს ეგზარქოსი ნიკონი სხვადასხვა გზით ცდილობდა ქართველთა გული მოეგო და ისეთი გარდაქმნები გაეტარებინა, რომლებიც სასულიერო პირებს დაავიწყებდა ავტოკეფალიას, რითაც იგი რუსეთის ხელისუფლების კეთილგანწყობასაც მოიპოვებდა.

წმ. კალისტრატე დაწვრილებით აღწერს 1908 წლის 27 მაისს საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის კიბეზე საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის შემზარავ ფაქტს, რომლის შესახებაც იმოწმებს საყურადღებო ამონაწერებს რუსული და ქართული გაზეთებიდან, პეტერბურგის საიმპერატორო კარის ჩანაწერებსა და სხვ. იგი აღნიშნავს, რომ ნიკონის მკვლელობას, შესაძლოა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მომთხოვნ სასულიერო პირთა დევნა გამოეწვია, რის გამოც ქართველი საზოგადოება დანეტრესებული იყო, პეტერბურგიდან მოვლინებულ საგამომძიებლო კომისიას მომხდარი ობიექტურად გამოეძია, თუმცა გამოძიებამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა — მკვლელს ვერ მიაგნეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით წმ. კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს, რომ თბილისის რუსული სამრევლო აღმფოთებული იყო მომხდარის გამო და ქართველების წინააღმდეგ შურისძიებას მოითხოვდა. ქუჩებში მიმოდინდნენ „ჭეშმარიტ რუს ადამიანთა“ და „პატრიოტთა“ ჯგუფები, რომლებიც, განსაკუთრებით ღამის საათებში, გამვლელებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ. „პატრიოტები“ იმუქრებოდნენ, საქართველოს ეგზარქოსის გაპატიოსნების შემდეგ ყველა ქართველ მღვდელს კაკბებივით დაფხოცავთო. მათ გაზეთში — „Голос Кавказа“ — ანტიქართული წერილები ქვეყნდებოდა. წმ. კალისტრატეს დასკვნით, მომხდარის გამო სიბრაზით თავგზაარეული რუსი „პატრიოტები“ შურისძიებისათვის ემზადებოდნენ, რაც მოსახლეობაში შიშს და სასოწარკვეთილებას იწვევდა. ერთადერთი პირი, რომელმაც სიმშვიდე შეინარჩუნა, იყო კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა დაძაბული ვითარება განემუხტა.²

წმ. კალისტრატე ცინცაძე იმასაც აღნიშნავს, რომ ანტიქართული განწყობა ადგილობრივ რუს სამღვდელთაშიც შეინიშნებოდა. სხვა საკითხებთან ერთად, საქართველოს ეგზარქოსის სიკვდილის შემდეგ ჭირისუფლად თავს მხოლოდ რუსი სამღვდელოება მიიჩნევდა და იმპერიის სხვადასხვა კუთხიდანაც სამძიმრის დეპეშები მხოლოდ მათ სახელზე იგზავნებოდა. ქართველთა მიმართ უნდობლობის მანიშნებელი იყო ისიც,

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 134; მდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 357.

2 კალისტრატე ცინცაძე 2001: 147; მდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 367.

რომ საქართველოს ეგზარქოსის მოვალეობას ასრულებდა ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოსი გრიგოლი (ვახნიანი) და არა პირველი ვიკარ-ეპისკოპოსი პეტრე კონჭოშვილი. რუსეთის უწმინდესი სინოდის ამ გადაწყვეტილების გამო ქართველი სასულიერო პირები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

წმ. კალისტრატე ცინცაძე დასძენს, რომ გამოძიებამ ვერ დაადგინა საქართველოს ეგზარქოსის მკვლელები. რუსულ ხელისუფლებას ქართველ სასულიერო პირებზე ჰქონდა ეჭვი. ამის გამო დაუკითხავთ დეკანოზები: ანტონ თოთიბაძე, ნიკიტა თალაკვაძე და მღვდელი იოსებ ჩიჯავაძე. გარდა ამისა, გამოძიებას ეჭვი ჰქონდა იმ პირებზეც, რომლებიც დაახლოებული იყვნენ საეგზარქოსოსთან და ეგზარქოს ნიკონთან არ ჰქონდათ კარგი ურთიერთობა. ამ მიზეზით დააკავეს და ორი კვირით ციხეში ჩასვეს საქართველოს საეგზარქოსოს კანცელარიის მმართველის თანაშემწე დავით დავითაშვილი.

წმ. კალისტრატე ცინცაძის უწყებით, მართალია, ვერ იპოვეს მთავარეპისკოპოს ნიკონის მკვლელები, მაგრამ მის „იდეურ“ მოწინააღმდეგეებად მიაჩნდათ არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, იოსებ ჩიჯავაძე, ეპისკოპოსი კირიონ საძაგლიშვილი და სხვები. ამ მიზეზით არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია საქართველოდან რუსეთის შორეულ გუბერნიაში გაიწვიეს მღვდელმსახურების შეწყვეტით, მაგრამ გამოძიებამ იგი გაამართლა. მიუხედავად ამისა, ის სამშობლოში აღარ დააბრუნეს და ნოვგოროდის ეპარქიაში, სტარაია რუსაში, ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად დანიშნეს.¹

საქართველოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის შემდეგ მისი შემცვლელი, რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ დროებით დანიშნული ბაქოს ვიკარ-ეპისკოპოსი გრიგოლ ვახნიანი, საქართველოს საეგზარქოსოს წელიწადნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში მართავდა. წმ. კალისტრატე ცინცაძის ცნობით, ერთი წლის თავზე ეგზარქოს ნიკონის მკვლელობის ადგილზე ნიში გაკეთდა, რომელიც რუსი სამღვდელოებისა და თბილისის მაღალჩინოსნების მონაწილეობით იკურთხა. ეს ნიში 1917 წელს ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ იქნა აღებული.

1909 წლის 7 დეკემბერს ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსად და საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა ტამბოვის ეპარქიის მმართველი — ინოკენტი ბელიაევი (1909-1913). წმ. კალისტრატე ცინცაძის დახასიათებით, მას მომხიბვლელი გარეგნობა ჰქონდა და ამის გამო დიდ სიამაყესა და ამპარტავნულ განწყობას ამჟღავნებდა; საკუთარი მოსაზრებები სრულ ჭეშმარიტებად მიაჩნდა და ვერ იტანდა შეპასუხებას; ყველას თანდასწრებით იძლეოდა შენიშვნებს; ამასთან ერთად, საუბრისას უყვარდა ადამიანების დამცირება და ირონიული დამოკიდებულების გამოვლენა. ასეთი თვისებების გამო, ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე, რუს მღვდელმთავრებს ის არ უყვარდათ. გარდა ამ ყველაფრისა, ის დიდი მშინარაც კი ყოფილა.²

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 147; შლრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 368.

2 კალისტრატე ცინცაძე 2001: 148; შლრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 392.

წმ. კალისტრატე ცინცაძის აღნიშვნით, საქართველოში ჩამოსული ახალი ეგზარქოსი ქართველებისადმი კეთილგანწყობილი არ იყო. მისივე უწყებით, ეგზარქოს ინოკენტის ჩამოსვლა დამთხვევით იმერეთის სამღვდლოების საეპარქიო ყრილობას, რომელიც ქუთაისში გაიმართა. ყრილობის დელეგატებს ახალდანიშნული ეგზარქოსისათვის მისალმების წერილი გაუგზავნიათ, რომელშიც აღნიშნული იყო: **„უზენაესი ძალა და სიმტკიცე ნუ მოგაკლთ ივერიის სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებათა განახლებისა და აღდგენის საქმეში“**. საქართველოს ეგზარქოსი ინოკენტი ამ მიმართვას, რომელიც იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოს გიორგი ალადაშვილის სახელზე იყო გაგზავნილი, შემდეგი სიტყვებით გამოეხმაურა: **„გთხოვთ, ჩემი მადლობა გადასცეთ ყრილობის დეპუტატებს. მშვიდობიანი შრომა რუსეთის ეკლესიისაგან განუყოფელი, მას დაქვემდებარებული ივერიის ეკლესიის საკეთილდღეოდ, ჩემი ვალია და უწმინდესი მოვალეობა, მაგრამ გადაჭრით ვამბობ უარს, ხელი შევეწყო ივერიის ეკლესიის რაღაც მისწრაფებებსა და უფლებების აღდგენას“**. ალექსანდრე ცაგარელის მიერ გამოქვეყნებული ამ ციტატის მოხმობის შემდეგ წმ. კალისტრატე იმოწმებს მთავარეპისკოპოს ინოკენტის მიერ ტამბოვში სემინარიელების წინაშე წარმოთქმული გამოსამშვიდობებელი სიტყვის ფრაგმენტს, რომლის მიხედვითაც, საქართველოში მომავალი მთავარეპისკოპოსი ინოკენტი დაუფარავად აღნიშნავდა: **„ღვთის ნებამ მომისაჯა... ივერიის ეკლესიის მწყემსმთავრის კათედრაზე, ჩემი წამებული წინამორბედის სისხლით შეღებილ კათედრაზე, ასვლა ... მივიღვარ პირადი სიცოცხლისათვის საკმაოდ სახიფათო ღვთიურ საქმეზე ... სიკვდილის შიშმა მომიცვა, შიშმა და კანკალმა ამიტანა ... იქ, შორეულ უცხო მხარეში, ხომ არ მელის ჩემი საფლავი“**.¹ შემდეგ წმ. კალისტრატე აღნიშნავს, რომ ჩამოსვლის დღეს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში მას იგივე სიტყვები გაუმეორებია — რომ იგი ადიოდა თავისი წინამორბედის სისხლით შეღებილ კათედრაზე. სწორედ ამიტომ ქართველი მღვდელთმთავარი დაასკვნის, რომ იგი ცდილობდა, პირდაპირ თუ არა, გადატანითი მნიშვნელობით, აელო წინამორბედის სისხლი, რომ მისი საფლავი „შორეულ უცხო მხარეში“ არ ყოფილიყო. ქართველი მღვდელთმთავარი აქაც აკრიტიკებს საქართველოს ეგზარქოსის ხსენებულ სიტყვებს და აღნიშნავს, რომ თურმე მისი სამწყსო მისთვის „უცხო მხარე“ ყოფილა.²

1 ბუბულაშვილი 2022: 673-674.

2 კალისტრატე ცინცაძე 2001: 148; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 392.

ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის მომთხოვნი ქართველების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად სასულიერო სასწავლებლებში საღვთო რჯულს ასწავლიდნენ მშობლიურ ენაზე. საქართველოს ეგზარქოს ინოკენტის დროს სომხეთის ტერიტორიაზე დაფუძნდა ერევნის სავიკარიო.¹

საქართველოს ეგზარქოსი ინოკენტი გარდაიცვალა 1913 წლის 9 სექტემბერს პეტერბურგში, სხდომებში მონაწილეობის დროს. ოფიციალური ვერსიით, მისი გარდაცვალების მიზეზად დასახელდა გულის უკმარისობა. წმ. კალისტრატე ცინცაძე ამასთან დაკავშირებით აფიქსირებს ერთ საინტერესო ფაქტს: მთავარეპისკოპოსი ინოკენტი სასტიკად დევნიდა ალავერდის ვიკარ-ეპისკოპოს დავით კაჭახიძეს. მისი მოთხოვნით, რუსეთის უწმინდესმა სინოდმა ეპისკოპოსი დავითი პიატიგორსკში გადაიყვანა, რის გამოც ქართველი ეპისკოპოსი და საზოგადოებაც დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოდან გამგზავრების წინ მან ეგზარქოსს ნებართვა სთხოვა, ქაშუეთის ტაძარში ლიტურგია აღესრულებინა, რისი ნებაც მთავარეპისკოპოსმა ინოკენტიმ არ დართო. პიატიგორსკში ეპისკოპოსმა დავით კაჭახიძემ რუსულ ენაზე გამოსცა რამდენიმე გვერდიანი ნაშრომი — *К вопросу автокефалии Грузинской церкви*, რომელშიც გაკრიტიკებული ყოფილა ეგზარქოს ინოკენტის საქმიანობა საქართველოში. აღნიშნული შრომა დავით ეპისკოპოსს გაუგზავნია რუსეთის საერო და სასულიერო მაღალი იერარქიის პირებისათვის. იგი, ასევე, ხელში ჩავარდნია იმპერატორ ნიკოლოზ II-ს, რომლის გაცნობის შემდეგ მას რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ ს. საბლერისთვის დაუვალებია, გასცნობოდა მოხსენებას და სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგა. ს. საბლერს კი ყველაფერი უამბუნია საქართველოს ეგზარქოს ინოკენტისათვის. ამ საუბრის შემდეგ ეგზარქოსი ინოკენტი მოულოდნელად გარდაცვლილა.²

ეგზარქოს ინოკენტის დასახასიათებლად წმ. კალისტრატე ცინცაძე მოიხმობს კიდევ სხვა საყურადღებო ამონარიდებსაც ეპისკოპოს დავით კაჭახიძის ნაშრომიდან.

მთავარეპისკოპოს ინოკენტის შემდეგ საქართველოს ეგზარქოსად და ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსად დაინიშნა ეპისკოპოსი **ალექსი მოლჩანოვი** (1913–1914). წმ. კალისტრატე ცინცაძე ეგზარქოს ალექსისტან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვაწვდის. საქართველოს ეგზარქოს ინოკენტი ბელიაევის მსგავსად, მთავარეპისკოპოსმა ალექსიმ ქართველთა სამწყსო თავისი წინამორბედის კუბოსთან წარმოთქმულ სიტყვაში მოიხსენია „**მწყემსმთავარ ნიკონის სისხლით შეღებილ ივერიის კათედრად**“.

ახალი ეგზარქოსი არ თანაუგრძნობდა საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის მხარდამჭერთა მოთხოვნებს. მან რუსეთის უწმინდესი სინოდისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ავტოკეფალიის მოთხოვნას „ავტოკეფალიის მომთხოვნი

1 კალისტრატე ცინცაძე 2001: 171; შლრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 394.

2 კალისტრატე ცინცაძე 2001: 177; შლრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 395.

ქართველი ინტელიგენციის ბოღვა უწოდა“.¹

საქართველოს ეგზარქოსი ალექსი ხშირად ავადმყოფობდა. ეგზარქოსად საკმაოდ მცირეხანიანი ყოფნის გამო მას არაფერი გაუკეთებია. იგი გარდაიცვალა 1914 წლის 20 მაისს. მის ადგილზე დაინიშნა სამარის მთავარეპისკოპოსი პიტირიმე ოკნოვი (1914–1915). წმ. კალისტრატე ცინცაძის დახასიათებით, მთავარეპისკოპოსმა პიტირიმემ ჩამოსვლისთანავე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მართალია, დასაწყისში სამღვდელოებას იგი პირმოთნე ადამიანად მოეჩვენა, მაგრამ შემდგომში მისმა საქციელებმა ამგვარი განწყობა არ დაადასტურა. მან თავის სიტყვაში განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მომხრეა. იგი ხშირად სტუმრობდა თბილისის არისტოკრატიულ ოჯახებს; ქართულ ენაზე ისწავლა ლიტურგია და შეეცადა სრულად შეესწავლა ენა. ხალხთან შეკრებებზე ხშირად ამბობდა, რომ იგი „მოსაყდრეა კათოლიკოსის ტახტისა“, თანაც დაამატებდა, **„თქვენ დიდი ხნის წინ უნდა გყოლოდათ პატრიარქო...“**.²

საქართველოს ეგზარქოსი პიტირიმე ქართველ საზოგადოებაში დიდი სიყვარულით სარგებლობდა. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა აკაკი წერეთელთან და დიდად აფასებდა მის ღვაწლს ერისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ. მან სათანადო პატივი მიაგო აკაკი წერეთლის გარდაცვალებას. 1915 წლის 27 იანვარს, აკაკის გარდაცვალების გამო, ქაშუეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში გადაიხადა პანაშვიდი და შეკრებილ მრავალრიცხოვან მრევლს სიტყვით მიმართა, რომელშიც შეფასებული იყო დიდი ქართველი პოეტის ღვაწლი.³

ეგზარქოსი პიტირიმე საქართველოდან მალევე გაიწვიეს და პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტად დანიშნეს. ამის შემდეგაც არ გაუწყვეტია მას საქართველოსთან ურთიერთობა. მისი დახმარებით, 1916 წელს აღდგა ალავერდის სავიკარიო და ამავე წელსვე პეტერბურგში დაარსდა ქართული სამრევლო. ქართველებისადმი სიყვარული მან იმითაც გამოხატა, რომ საბჭოთა რეჟიმის მიერ დევნილმა მიტროპოლიტობიდან გადამდგარმა პიტირიმემ 1919 წელს დამოუკიდებელი მთავრობის ხელმძღვანელობას მიმართა თხოვნით, ჩამოსვლის ნება დაერთოთ, რათა მისი ძეგლები „დაეკრძალათ წმინდა მოწამეთა სისხლით მორწყულ საქართველოში“. ნებართვის მიღების შემდეგ გამომგზავრა საქართველოში, მაგრამ ვერ ჩამოაღწია; გზაზე გადატყველდა, მერე კი სახადით გახდა ავად; გამოჯანმრთელების შემდეგ ეკატერინოდარში გაემგზავრა, სადაც 1920 წელს გარდაიცვალა.⁴

მიტროპოლიტ პიტირიმეს ნაცვლად, 1915 წლის 5 დეკემბერს ქართლისა და კახეთის მთავარეპისკოპოსად და საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა მთავარეპისკოპოსი

1 ბუბულაშვილი 2022: 685.

2 ბუბულაშვილი 2022: 688-690.

3 კალისტრატე ცინცაძე 2001: 178; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 396.

4 კალისტრატე ცინცაძე 2001: 179; შდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 397.

პლატონ როჟდესტვენსკი (1915–1917). წმ. კალისტრატე ცინცაძე და სხვა სასულიერო პირები მისი დანიშვნით გახარებულები იყვნენ, რადგან ახალ მღვდელთმთავარს ბევრი იცნობდა კიევის სასულიერო აკადემიიდან, მათ შორის, თავად წმ. კალისტრატეც. აკადემიაში სწავლის დროს იგი კარგად იცნობდა, აგრეთვე, მელიტონ კელენჯერიძეს, დიმიტრი აბაშიძეს, ილია ფერაძეს; აკადემიაში მისი სტუდენტები იყვნენ კორნელი კეკელიძე, პიროს ოქროპირიძე, ნაზარ ლეჟავა, ნიკიტა თალაკვაძე და სხვები. თავის მხრივ, ეგზარქოსი პლატონი კარგად იცნობდა საქართველოს. ჯერ კიდევ კიევის სასულიერო აკადემიაში მუშაობის დროს, 1903 წელს, იგი ჩამოსულა საქართველოში, დაუთვალეობა ღირსშესანიშნაობები, გაუცვნია ქართველი ხალხის ადათ-წესები, მოუნახულებია საეკლესიო მუზეუმი, რომლის შთაბეჭდილებების წიგნში საინტერესო ჩანაწერიც გაუკეთებია.

საქართველოში ჩამოსვლისას ახალმა ეგზარქოსმა მოიკითხა თავისი ძველი ნაცნობები და იმედი გამოთქვა, რომ მათი დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა წარმატების მიღწევა. საქმის ვითარების გაცნობის შემდეგ მან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მოიხსენია როგორც „ტრაგიკული სახეს და კრახისაკენ მიმავალი“ და ამ სიტყვებით შეაფასა წინამორბედი ეგზარქოსების მოღვაწეობა.

წმ. კალისტრატე ცინცაძე აღნიშნავს, რომ მთავარეპისკოპოსი პლატონი ადრე ამერიკაში მსახურობდა და, ქართველი სამღვდელოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შეეცადა იქ არსებული კომერციული პრინციპები საქართველოშიც დაენერგა. ამით მას სურდა სასულიერო პირების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება ხაზინიდან გამოტანილი თანხებით კი არ მომხდარიყო, არამედ დაეარსებინა ისეთი კომპანია, რომლის მფლობელი თვითონ სამღვდელოება იქნებოდა და შემოსავალიც მას მოხმარდებოდა. ამ მიზნით, მან პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა და ბორჩალოს მაზრაში შეიძინა ფრანგული კომპანიის მიერ მიტოვებული ტერიტორია, სადაც სურდა საწარმოს გამართვა. მოწესრიგდა მუხით გარშემორტყმული ტყე, რომელსაც იგი გამოიყენებდა რკინიგზის განძელების დასამზადებლად. მანვე საქმის დაწყებისათვის საჭირო თანხა მოიპოვა და დიდი გეგმებიც დაუსახა სამღვდელოებას, მაგრამ, გართულებული ვითარებისა და 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამო, მათი განხორციელება ვერ შეძლო.¹

წმ. კალისტრატე ცინცაძის უწყებით, ეგზარქოსი პლატონი საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე ყოფილა. ამ საკითხთან დაკავშირებით მას საქართველოს ეგზარქოსთან არაერთხელ ჰქონია საუბარი. ეგზარქოს პლატონის აზრით, თუკი შესაძლებელი იქნებოდა საკათალიკოსოს აღდგენა, მაშინ იგი აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევდა, საქართველოს არაქართველი მრევლის მოთხოვნის

¹ კალისტრატე ცინცაძე 2001: 178-179; მდრ.: კალისტრატე ცინცაძე, II, 2010: 406; ბუბულაშვილი 2022: 693.

საფუძველზე, კავკასიის საეგზარქოსოს დაარსებას და საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიის მოწყობას ეროვნული და არა ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, რაც საეკლესიო კანონიკის უხემ დარღვევას წარმოადგენდა. აღნიშნული შეხედულება მას გაუმჟღავნებია წმ. კალისტრატე ცინცაძესთან პირად საუბარში. გაკვირვებული ქართველი მოძღვარი არ დათანხმებია მის მოსაზრებას და მიუთითებია საეკლესიო კანონიკასთან შეუთანხმებლობაზე. წინააღმდეგობის მიუხედავად, გაგულისებულმა რუსმა მღვდელთმთავარმა განაცხადა, რომ მხარს დაუჭერდა მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის „არატერიტორიულ ავტოკეფალიას“. ბუნებრივია, საქართველოს ეგზარქოსი პლატონი ასეთი მოსაზრებით გამოხატავდა რუსეთის ხელისუფლების განწყობას. ცნობილია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადების შემდეგ (1917 წლის 12 მარტი) რუსეთის მაშინდელმა დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეგზარქოს პლატონის მიერ დაფიქსირებული შეხედულებისამებრ (იგულისხმება ეგზარქოს პლატონის ინიციატივა იმის შესახებ, რომ ეცნოთ ავტოკეფალია „ეროვნული და არა ტერიტორიული ნიშნით“ — ბ. ც.) ცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია.¹ ასეთი განწყობის გამო, წმ. კალისტრატეს აღნიშნით, ეგზარქოსმა არ მიიღო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქართველი სამღვდელოების მოთხოვნა, კავკასიის მეფისნაცვლის წინაშე ეშუამდგომლა საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღდგენის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

წმ. კალისტრატე ცინცაძის ცნობით, 1917 წლის 12 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, მთავარეპისკოპოსი პლატონი მძიმე დღეში ჩავარდა; მან ქართველი სამღვდელოების დროებით შექმნილ მმართველობასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა, დაიკავა საეგზარქოსოს ყოფილი შენობა და აკრძალა მისი წირვა-ლოცვაში მოხსენიება. მთავარეპისკოპოსი პლატონი არ დაემორჩილა ქართველი სამღვდელოების გადაწყვეტილებას და, რუსეთის უწმინდესი სინოდის მხარდაჭერით, ერთხანს ახლადდაარსებული კავკასიის საეგზარქოსოს ეგზარქოსად იწოდებოდა, რომლის გაუქმების შემდგომ ის რუსეთში დაბრუნდა. გასაბჭოების შემდეგ საბჭოთა რეჟიმის მიერ იდევნებოდა, რის გამოც 1920 წელს ემიგრაციაში წავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 1934 წელს გარდაიცვალა.

წარმოდგენილი მასალის განხილვით ვრწმუნდებით, რომ წმ. კალისტრატე ცინცაძე, ძირითადად, სწორად, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, წარმოაჩინა XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში მოღვაწე საქართველოს ეგზარქოსების საქმიანობას. საკითხის განხილვის დროს იგი, საკუთარი მოგონებების გარდა, ეყრდნობა არსებულ წერილობით წყაროებს, შესაბამის სამეცნიერო გამოკვლევებსა და სხვ., რის საფუძველზეც აკეთებს მნიშვნელოვან დასკვნებს, თუმცა ზოგიერთი

ეგზარქოსის შეფასებისას შეინიშნება გარკვეული სუბიექტური დამოკიდებულებაც, რაც, საბოლოოდ, გავლენას ვერ ახდენს ავტორის ნააზრევზე. ყოველივე აღნიშნულის გამო, წმ. კალისტრატე ცინცაძის მოგონება უდავოდ იმსახურებს მკვლევართა ყურადღებას. მასში ისეთი პირადი ურთიერთობის ამბებია გადმოცემული, რომელთა შესახებაც წერილობით წყაროებში ინფორმაცია არ არის. არადა, ასეთი მაგალითების მოყვანით შესაძლებელია ბევრი ფაქტისა და მოვლენის ახსნა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუბულაშვილი 2022 – ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ეგზარქოსობის დროს (1811-1917 წწ.), „ახალი ივერონი“, თბილისი, 2022.
2. კალისტრატე ცინცაძე 2001 – კალისტრატე ცინცაძე, ჩემი მოგონებებიდან, თბილისი, 2001.
3. კალისტრატე ცინცაძე, I, 2010 – კალისტრატე ცინცაძე, მწარე მოგონებანი საქართველოს ეკლესიის ახლო წარსულიდან, მნიგნობრობა ქართული, ტომი 9, სასულიერო მწერლობა, კალისტრატე ცინცაძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წიგნი I, ტომის შემდგენელ-რედაქტორი მიხეილ ქავთარია, „ციცინათელა“, თბილისი, 2010.
4. კალისტრატე ცინცაძე, II, 2010 – კალისტრატე ცინცაძე, მწარე მოგონებანი საქართველოს ეკლესიის ახლო წარსულიდან, მნიგნობრობა ქართული, ტომი 10, სასულიერო მწერლობა, კალისტრატე ცინცაძე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, წიგნი II, ტომის შემდგენელ-რედაქტორი მიხეილ ქავთარია, „ციცინათელა“, თბილისი, 2010.
5. კალისტრატე ცინცაძე 1994 – კალისტრატე ცინცაძე, ქვაშვეთის წმინდის გიორგის ეკლესია ტფილისში, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და საძიებელი დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბილისი, 1994.
6. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის პირადი ფონდი, საქმე 26, საქმე 102, საქმე 107, საქმე 109.
7. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ცენტრი, მელიტონ კელენჯერიძის პირადი ფონდი, საქმე №170.
8. Записки, II, 1913 – Записки присутствующего в Святейшем Синоде Архиепископа Никанора (Бровковича), т. II, Одеса, 1913.

დეკანოზი ბესარიონ (ბესიკ) ცინცაძე

კალისტრატე ბინცაძე XIX საუკუნის 80-იან წლებსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში მრევალზე საქართველოს ეპარქიების შესახებ

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, წმ. კალისტრატე ცინცაძის შემუშავებულ დაყრდნობით, განხილულია XIX საუკუნის 80-90-იან წლებსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში საქართველოში მომსახურე ეპარქიების ისტორია და მათი დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიისადმი და, ზოგადად, ქართველი ხალხისადმი. წმ. კალისტრატეს დაწვრილებით აქვს განალიზებული ყველა ის დეტალი, რომელიც ეპარქიის ხასიათსა და საქართველოსადმი დამოკიდებულებას წარმოაჩენს.

სტატიაში, წმ. კალისტრატე ცინცაძის შემუშავებულ დაყრდნობით, გამოკვეთილია, რომ ეპარქიის საქმიანობა უმეტესწილად ანტიქართული ხასიათისა იყო. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ ეპარქიები როგორი რუღუნებით ცდილობდნენ საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღდგენის მომხრეებს შეწინააღმდეგებოდნენ და ქართველი საზოგადოებისათვის ეს საკითხი საერთოდ დაევიწყებინათ, თუმცა, მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ქართველ საზოგადოებას დადებითი კუთხითაც დაამახსოვრეს თავი.

Archpriest Besarion (Besik) Tsintsadze

**Kalistrate Tsintsadze About the Exarchs of Georgia
Who Served in the 80^s of the 19th Century and the
First Twenty Years of the 20th Century**

Abstract

This article discusses the history of the exarchs who served in Georgia in the 80^s and 90^s of the 19th century and the early twenty years of the 20th century. It also speaks about their stance on the Church of Georgia and, in general, on the Georgian people. The study is based on the memoirs of the Catholicos-Patriarch of All Georgia Saint Kalistrate Tsintsadze. Saint Kalistrate gives a thorough analysis of every detail that displays the character of the exarchs and their attitude towards Georgia.

Based on the memoirs of Saint Kalistrate Tsintsadze, the article highlights that the activities of the exarchs were mostly anti-Georgian by their nature. Special attention is focused on their precision in striving against the supporters of the restoration of the historical autocephaly of the Church of Georgia and on their attempts to compel Georgian society to forget that issue altogether.

However, among them were those whom the Georgian people remember in a positive way.



გულანი. XVI სუკუნის მინიატურა

მღვდელი გიორგი ვაშალოვიძე

**ქრისტეს შობის იკონოგრაფია და მისი
საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები**

მღვდელი გიორგი ვაშალომიძე თეოლოგიის მაგისტრი,
ბიბლიესტიკის მიმართულების
(მოდული ახალი აღქმა) დოქტორანტი

PRIEST GIORGI VASHALOMIDZE Master of Theology; a doctoral
student of Biblical Studies (module:
The New Testament)

ხელმძღვანელი თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი
დეკანოზი **მიქაელ გალდავა**

SUPERVISOR Doctor of Theology and Philology
Archpriest **Michael Galdava**

ქრისტეს შობის იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები

მღვდელი გიორგი ვაშალომიძე

ქრისტეს შობის იკონოგრაფია რამდენიმე სახარებისეულ ეპიზოდს აერთიანებს, რომლებიც, ძირითადად, მათესა და ლუკა მახარებლების სახარებებშია გადმოცემული. ქრისტეს შობის კომპოზიციის იკონოგრაფიული სქემა შემდეგნაირია: გამოსახულების ცენტრში წარმოდგენილია გამოქვაბულში ბაგაში მიწვენილი ყრმა, რომელსაც ზემოდან ხარისა და სახედრის გამოსახულებები დაჰყურებენ. ბაგასთან ახლოს, ნახევრად მწოლარე ან მჯდომარე მდგომარეობაში, წარმოდგენილია ღვთისმშობლის გამოსახულება, რომლის ირგვლივაც განთავსებულია იოსებ დამწინდველის, მოგვთა და მწყემსთა თაყვანისცემის, ჰეროდეს მიერ ყრმათა მოსვრისა და ანგელოზთა გამოსახულებები. გარდა ამისა, ხშირად გვხვდება ღვთისმშობელთან დაკავშირებული აპოკრიფული თხრობების იკონოგრაფიული ასახვა. კომპოზიციის თავზე გამოსახულია ვარსკვლავი, რომლის სხივი ახალშობილი ყრმის მიმართულებით ეშვება. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ XVI საუკუნის ბალკანურ ხატს, რომელშიც ქრისტეს შობის უკვე ჩამოყალიბებული იკონოგრაფიაა გადმოცემული (ილ. 1).

აღსანიშნავია, რომ მაცხოვრის შობის კომპოზიციის იკონოგრაფიული გამოსახვა IV-V საუკუნეებიდან იწყება, რაც, თავდაპირველად, მხოლოდ ბაგაში მიწვენილი ყრმის, ხარისა და სახედრის გამოსახულებებით შემოიფარგლებოდა. ერთ-ერთი ასეთი, IV საუკუნის რელიეფი (ილ. 2), ათენშია დაცული.

მსგავს გამოსახულებას საქართველოშიც ვხვდებით, კერძოდ, საცხენისის VI საუკუნის ქვაჯვარზე (ილ. 3).

აღნიშნული გამოსახულება შემდგომში მრავალსცენიანი კომპოზიციის ცენტრალური ნაწილი გახდა. იგი ქრისტეს შობის ეპიზოდისა და შესაბამისი ეგზეგეზისის იკონოგრაფიული ასახვაა. მაცხოვრის შობის შესახებ ლუკა მახარებელი მოგვითხრობს: „და იყო მათ დღეთა შინა, გამოვდა ბრძანებაჲ აგვსტოს კეისრისაგან აღწერად ყოვლისა სოფლისა. ესე აღწერად პირველი იყო მთავრობასა ასურეთს კვრინესსა. და წარვიდოდეს ყოველნი აღწერად კაცად-კაცადი თვისსა ქალაქსა. აღმოვიდა იოსებცა გალილეადთ, ქალაქით ნაზარეთით, ჰურიასტანად, ქალაქად დავითისა, რომელსა ჰრქვან ბეთლემ, რამეთუ იყო იგი სახლისაგან და ტომისა დავითისა, აღწერად მარიამის თანა, რომელი მითხოვილ იყო მისა, და იყო იგი მიდგომილ. და იყო ვიდრე იყვნესდა იგინი მუნ, აღივსნეს დღენი იგი შობისა მისისანი. და შვა ძე იგი მისი პირმშოდ და შეხვა იგი სახუევლითა და მიაწვინა იგი

ბაგასა, რამეთუ არა იყო მათა ადგილ სავანესა მას“ (ლკ. 2, 1-7).

ლუკა მახარებლის მიხედვით, კეისარ ავგუსტუსის ბრძანების შესაბამისად, იმპერიაში მცხოვრები ადამიანების სულადობრივი აღწერა უნდა ჩატარებულიყო და, ამ მიზნით, თითოეული იქ უნდა ჩასულიყო, სადაც მათი იურიდიული მისამართი იყო. იოსები და მარიამი, როგორც დავითის შთამომავლები, ბეთლემისკენ გაემიჯნნენ (რადგან ბეთლემი იყო დავით მეფის შთამომავალთა მშობლიური ქალაქი). სწორედ აქ მოიწია მარიამის შობის ჟამი და რადგან ბეთლემში მოსასვენებელი ადგილი არ იყო, ქვეყნიერების მეფე პირუტყვების სადგომში იშვა. იგი სახვევებში შეახვიეს და ბაგაში მიაწინეს.

საეკლესიო ეგზეგეზაში ხსენებული „აღწერა“ სახისმეტყველებითაც არის გააზრებული, რაც გულისხმობს მაცხოვრის მიერ ადამიანთა სახელების სასუფეველში აღნუსხვას. მაცხოვარი ბრძანებს: „გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი დაიწერა ცათა შინა“ (ლკ. 10:20). წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის განმარტებით, კეისრის „აღწერა“ სიმბოლურად ღვთის მიერ ადამიანთა ცხონებას განასახიერებს მათი ღვაწლის შესაბამისად. დავიმოწმებთ რამდენიმე შესატყვის ადგილს წმინდა მამათა გამოწამებებიდან:

წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი: „და აღწერასა მას პატივ-ეც, რომლისა მიერ ცათა შინა აღიწერე“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 96).

წმინდა იოანე ოქროპირი: „არა თუ თვთ რამდე განზრახვით ყო ავგუსტო მეფემან აღწერად იგი, არამედ ღმრთისა მიერ აღიძრა, რადთამცა უნებლიადთ ჰმსახურა მხოლოდშობილისა მოსლვასა“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 154); კიდევ: „რამეთუ არა წეს იყო სოფლისა თანა აღწერად, რომელსა ეგულებოდა სოფლისა ცოდუათა აღვოცად“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 164).

წმინდა იოანე დამასკელი: „სახელები ჩუენი ცათა შინა აღწეროს და რადთა ესე აღწერად მსოფლიოჲსა წესიერებისა წინდ იქმნას, ვინადთგან მან თავადმანცა ჰრომთა ჯელმწიფებასა თვისისა თავისა აღწერად იუფლა დასამტკიცებელად შჯულითა განწესებულითა, რამეთუ მაშინ დამტკიცნების შჯული სამეუფოდ, რაჟამს პირველად შჯულისმდებელმან მისმან მეუფემან აღასრულოს შჯული იგი“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 250).

ქრისტეს შობისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ჰომილიაში (რომლის ავტორიც უცნობია) ვკითხულობთ: „ხილუნნი იგი საქმენი უხილავთა საიდუმლოთა მომასწავებელ იყვნეს და აღწერად იგი სხვსა აღწერისა სახე იყო, რამეთუ მთავრობად იგი კეისრისა ყოველთა ზედა მოასწავებდა მხოლოდსა მას მთავრობასა ერთისა მის და ჭემმარიტისა ყოველთა ღმრთისა და მეუფისა. ხოლო აღწერად იგი გამოსახვიდა ნეფსითსა ყოველთა მორჩილებასა და აღწერასა ცათა შინა ყოველთა, რომელთა ენებოს. და ვითარცა ბრძანებად იგი მაშინ ყოველსა სოფელსა მიიწია, ეგრეთვე ქადაგებად იგი ქრისტედსი ყოველსა ქუეყანასა განჯდა. და რომელი-იგი თითოეული თვისსა ქალაქსა აღვიდოდა,

მოსაწავებდა ყოველთავე მიქცევად პირველსა მას მამულსა და მოქალაქობასა, ვინაჲ-იგი გამოვისხენით და მრავალსახეთა საქმეთა და ქუეყანათა განვითესენით; და რომელ-იგი ყოველნი ხარკსა მისცემდეს კეისარსა, მოსაწავებდა, ვითარმედ თანამედებ ვართ ყოველნი ნაყოფთა სულიერთა შეწირვად ღმრთისა ქველისსაქმითა და კეთილითა მოქალაქობითა საღმრთოთაჲ“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 283-284).

იესო ქრისტეს შობის იკონოგრაფია, ერთი მხრივ, სახარებისეულ თხრობას გადმოგვცემს, მეორე მხრივ, მას სახისმეტყველებითი მნიშვნელობა აქვს. ყრმა, რომელიც ბაგაშია მიწვენილი, წუთისოფლის სინბნელეში ნათლის შემომტანად სახელ-იდება. აღნიშნული გარემოება უფრო მეტი სიმკვეთრით წარმოჩნდება შემდგომდროინდელ ფრესკულ გამოსახულებებში, სადაც გამოქვაბული შავი, ხოლო ყრმის სახვევი თეთრ ფერებშია წარმოდგენილი (ილ. 1), რაც იოანეს სახარების შემდეგი სიტყვების იკონოგრაფიული ასახვაა: „ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი იგი მას ვერ ეწია“ (ინ. 1, 5).

დამოწმებული სიტყვები განეკუთვნება განკაცებულ ღმერთს, რომელმაც წუთისოფელში გაბატონებული ბოროტება დაამარცხა. წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „ქადაგებად იგი ქრისტესსი შორის საცთურისა ბნელსა გამობრწყინდა და იგი განაქარვა. და სიკუდილად რად მოვიდა, თავად იგიცა განაქარვა და ესრეთ სძლო, რომელ შეპყრობილნიცა მას შინა აღმოიყვანნა. და ვინაჲთგან ვერცა სიკუდილი მძლე ექმნა მას, ვერცა საცთური, არამედ ბრწყინავს ყოველსა ადგილსა ძალითა თუსითა“ (წმ. იოანე ოქროპირი 1993: 47).

წმინდა კირილე ალექსანდრიელის მიხედვით, განკაცებული ღმერთი ყველასათვის სინათლის მიმნიჭებელია, რაც ხაზს უსვამს მის საღვთო ბუნებას. იგი ამხელს იმ ადამიანებს, რომელთაც ნათლის მიმნიჭებელი უფალი ქმნილება ჰგონიათ: „თუ ქე არ არის ბუნებითად ღმერთი და ნაყოფი¹ მშობლის არსებისა, თუ ჩვენდამი არ გამობრწყინებულა ჭეშმარიტი სინათლე ჭეშმარიტი სინათლისგან, არამედ ისიც თუ, თქვენი უვიცობისამებრ, გარედან შეგვამოვნდა, მაშ თანაბუნებითი ყოფილა ქმნილებებისა და ვერც ვერანაირად განელტვის ქმნილებად ყოფნას, მაგრამ მაშინ, ჰოი, ყოველგვარი უგუნურებით სავეო, როგორღა ხდება, რომ ასინათლებს იგი, ესენი კი მისგან სინათლეს იღებენ? განა, მაშ, სხვა არ არის ნათელქმნილი, სხვა კი — ნათელქმნილი? მაგრამ აშკარაა ეს და ყველასთვის ცხადი, ვინაიდან თუ მივიჩნევთ, რომ ერთი და იგივეა ორივე როგორც არსების თვისობრიობის მხრივ, ასევე, რაგვარმყოფობის აზრით, რაღა ყოფილა უმეტესი ნათელქმნილობის

1 ამ შემთხვევაში „ნაყოფი“ (ბერძ.: κάρπος) მოხმობილია „ანსობრივად შობილის“ მნიშვნელობით – მთარგ. შენიშვნა (წმ. კირილე ალექსანდრიელი, იოანეს სახარების განმარტება, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ);

შემძლეში და რა, ამავე დროს, უკნინესი — სინათლის მსაჭიროებელში?¹

გამოქვაბულის სიბნელეში „გამობრწყინებული“ მაცხოვარი ბოროტების მორევში მყოფი კაცობრიობის დამსხნელად მოიზრება. დავიმოწმებთ შესაბამის ეგზეგეზის:

„აღმოსავალმან მალღით მოხედნა ბნელსა და აჩრდილთა მსხდომარეთა — ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან, და ღმერთსა მამასა წყალობით დამაგნა, რაჟამს გამოჩნდა ჯორცითა სიზრქითა სახიერებით“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 251).

„ბეთლემ, ღმრთისა დედაქალაქი შეიწყნარე, რამეთუ ნათელი საღმრთოდ შენ შორის მოჰყავს შობად“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 263).

წმინდა ანდრია კრეტელი: „ღმრთივ-შუნიერებით განბრწყინდა ქუაბი, რამეთუ მკსნელმან ჩუენმან სათნო-იჩინა დამკვდრებად საშოსა ყოვლად უბიწოდასა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 73).

წმინდა ათანასე ალექსანდრიელი ამბობს: „ყოველი დაბადებული დღესასწაულობს დღეს, რამეთუ ღმერთსა ჰხედვენ ქუეყანასა ზედა და კაცსა — ცათა შინა, ქუესკნელსა — ზესკნელად, განგებულებით, და ზესკნელსა — ქუესკნელად, კაცთმოყვარებით“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 43).

დამოწმებული ეგზეგეზისი საფუძველია იესო ქრისტეს შობის ხატმეტყველებაში წარმოდგენილი გამოქვაბულის სიბნელეში გამოსახული, სპეტაკი ფერების სამოსელში შეხვეული ყრმა მაცხოვრისა, რითაც გადმოცემულია საეკლესიო სწავლება, რომლის მიხედვითაც, ღვთის განკაცებით იძლია ამქვეყნიური ბოროტება (სიბნელე).

როგორც ცნობილია, იესო ქრისტეს შობა იწოდება ღვთის განკაცების დღესასწაულად, რაც გულისხმობს იმას, რომ განკაცდა ყოვლადწმინდა სამების ერთ-ერთი ჰიპოსტასი — ძე, და მასში აღურევნელად შეერთდა ორი — საღვთო და კაცობრივი ბუნება. წმინდა იოანე დამასკელი ბრძანებს: „ვაღიარებთ რა ერთსა და იმავე იესო ქრისტეს, ჩვენს უფალს, სრულ ღმერთად და სრულ კაცად...“ (წმ. იოანე დამასკელი 2019: 388).

ყრმა მაცხოვრის ნათელი ფერის სახვევი მისი საღვთო ბუნების გამომხატველია. ამ მხრივ ჩვენ, შესაძლოა, პარალელი გავავლოთ მაცხოვრის ფერისცვალების იკონოგრაფიასთან, სადაც, სახარების თხრობისა და შესაბამისი ეგზეგეზისის მიხედვით, მაცხოვრის კვართზე ასახული ბრწყინვალეობა საღვთო ბუნების ნათლის გამოვლინებად განიმარტება.

აღნიშნული გამომსახველობა ძის ორსახეობრივ შობასთან დაკავშირებულ სწავლებასაც მოიზრებს: 1) მამისაგან ძის დაუსაბამო შობა ყოვლადწმიდა სამების წიაღში,

1 წმ. კირილე ალექსანდრიელი, იოანეს სახარების განმარტება, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ედიშერ ჭელიძემ;

რომელსაც ახალშობილი ყრმის ნათელი ფერის შესახვევი გამოხატავს და 2) ძე ღმერთის განკაცება, ღვთისმშობლისგან მისი შობა, რასაც, ზოგადად, ასახავს დასახელებული ხატმეტყველება.

წმინდა ბასილი დიდის მიხედვით, გონებისთვის მიუწვდომელია მამისაგან ძის შობა და ნუ იკითხავ, თუ „როდის“, რადგან „როდის“ დროს გამოხატავს და მისი მიწვდომა შეუძლებელია: „მამად იყო და ძე იშვა, ნუ იტყვ, თუ „ოდეს“, არამედ თანა-წარჰყვდ კითხვასა ამას. ნუ გამოიძიებ, თუ ვითარ, რამეთუ შეუძლებელ არს მიგებად, ვინათგან „ოდესი“ ჟამიერ არს“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 51).

სწორედ ეს აზრია ნაგულისხმები იოანე მახარებლის შემდეგ სიტყვებში: „პირველითგან იყო სიტყუად, და სიტყუად იგი იყო ღმერთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუად იგი“ (ინ. 1:1).

წმინდა მამათა ეგზეგეზისის თანახმად, „სიტყვა“-ში (ὁ Λόγος) ძე ღმერთი იგულისხმება, ხოლო „პირველითგან“-ში (Ἐν ἀρχῇ) დაუსაბამოება მოიაზრება. წმინდა კირილე ალექსანდრიელი სახარების დამოწმებული სიტყვების შესახებ ბრძანებს: „არანაირად არ შეიძლება, რომ მხოლოდშობილთან დაკავშირებით დასაბამი აღვიქვათ დროში მოაზრებულად, რადგან უფალი ყოველგვარ ჟამზე უწინარესია და მას წინასაუკუნო მყოფობა აქვს“.¹

ღმერთის განკაცება გულისხმობს ძის ჰიპოსტასში ორი ბუნების — საღვთოსა და კაცობრივის შეერთებას. ღმერთი განკაცდა, რათა ადამიანი განიღმრთოს. წმინდა ბასილი დიდი ბრძანებს: **მისი უნივთო ბუნება ჩვენს ნივთიერ ბუნებას შეეხო, შეუერთდა, რათა ჩვენი ბუნება აამაღლოს, თუმცა მას ჩვენეული ვნება არ შეეხებია. როგორც მზე მყრალ გარემოსაც ანათებს, მაგრამ მისგან (მყრალი გარემოსგან) სიმყრალეს არ იღებს**.²

წმინდა იოანე დამასკელი ბრძანებს: „უცვლელად და გარდაუქმნელად შეუერთდა ურთიერთს ორი ბუნება, რადგან არც საღვთო ბუნება განდგომია საკუთარ სიმარტივეს, არც ადამიანური შეცვლილა ღმრთეების ბუნებად“ (დამასკელი 2012: 143).

წმინდა გრიგოლ ნაზიანზელი ბრძანებს: „რამეთუ გამოჩნდა ღმერთი, კაცთა შორის წორციელად შობილი... და ჩუენთვის იქმნა იგი უკუნადსკნელ კაც, და ვითარცა არსებად მოსცა კაცთა, ეგრეთვე, რადთა უმჯობესი ყოფად მოანიჭოს, და უფროსდა, რადთა დაცემისაგან ბოროტისა აღადგინოს მასვე კუალად ღირსებასა წორცთშესხმისაგან თვისისა. და სახელ-ედების გამოჩინებისა მისისათვის გამოცხადება, ხოლო შობისათვის — შობა“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 84).

ნაზიანზელი მოძღვრის მიხედვით, ღმერთი კაცთა შორის იშვა, რათა ბოროტებისგან გამოიხსნას და პირველ, შექმნისდროინდელ, ცოდვით დაცემადმდე არსებულ პატივში

1 <http://library.church.ge>

2 <http://library.church.ge>

აღადგინოს ადამიანი. სწორედ ამიტომ წმინდა გრიგოლი ქრისტეს შობას ღვთის გამოცხადებას უწოდებს.

ზემოდამოწმებული ეგზეგეზისის საფუძველზე ქრისტეს შობას ღვთის განკაცების დღესასწაულს უწოდებენ. ღვთის განკაცება კი ყოვლადწმიდა სამების ერთ-ერთი ჰიპოსტაზის მიერ კაცობრივი ბუნების მიღებას გულისხმობს. ამასთან დაკავშირებით წმინდა კირილე ალექსანდრიელი ბრძანებს: „უხილავი ღმერთი სახილველ იქმნების, სიტყუად განზრქელდების“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 187).

მაცხოვრის შობასთან დაკავშირებით დავიმოწმებთ ნეტარი თეოდორიტე კვირელის სიტყვებსაც: „იშვა უკუე მხოლოდშობილი ძე ღმრთისად, რომელსა სიტყუადცა ეწოდების. არა თუ შობისაგან მიიღო დასაბამი, რათამცა იყო სიტყუა, არამედ განკაცებისა დასაბამად ყო შობად თვისი ქალწულისაგან“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 198).

პროკლე კოსტანტინოპოლელის მიხედვით კი, „არა კაცსა განღმრთობილსა ვქადაგებთ, არამედ ღმერთსა განზორციელებულსა აღვიარებთ, რამეთუ თვისი მწვეალი დედად სათნო-იყო, არსებით უდედომან მან და განგებულებით ქუეყანასა ზედა უმამომან“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 227).

ქრისტეს შობის იკონოგრაფიაში გამოქვაბულის სიბნელეში ყრმა მაცხოვრის სხეულზე შემოსილი თეთრი (ან სხვა ნათელი ფერის) სახვევი სწორედ მის საღვთო ბუნებაზე ხაზგასმას, რომელიც კაცებას აღურევნელად შეუერთდა და კაცობრიობის ბოროტება (სიბნელე) დაამარცხა.

თუმცა, ქრისტეს შობის ზემოაღნიშნულ კომპოზიციაში თეთრ სახვევებში შეხვეული და ბნელ გამოქვაბულში მყოფი ყრმა მაცხოვარი, ასევე, მოიხარება როგორც ჯვარცმული, საფლავად დადებული, ტილოში შეხვეული მაცხოვრის სხეული, რომელიც ბნელ აკლდამაში დაასვენეს და რომელიც აღდგა.¹

ქრისტეს შობის ხატმეტყველება აღდგომის იკონოგრაფიის შემცველია, რაც სრულად არის დაფუძნებული საღვთისმეტყველო ლიტურატურაზე, რომლის მიხედვითაც, რომ არა ქრისტეს შობა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღესრულებოდა დღესასწაულთა დღესასწაულად წოდებული აღდგომის მიზანი — კაცობრიობის ცოდვისაგან გამოსნა. აღნიშნულ საეკლესიო მოძღვრებას წმინდა გრიგოლ ნოსელი გადმოგვცემს: „ნუვინ ჰგონებს, თუ აღვსებისა ხოლო საიდუმლოსა შუენის ესევითარი ესე მადლობად, არამედ ესეცა გულისწმა-ყავნ, რამეთუ დაღაცათუ აღვსებად დასასრული არს განგებულებისად, და ვითარმცა ქმნილ იყო დასასრული, უკუეთუმცა დასაბამი არა ქმნილ იყო წინამძღუარ დასასრულისა? აწ უკუე, რომელი რომლისა არს დასაბამ? ცხად არს, რამეთუ შობად —

1 <https://antiochianprodsa.blob.core.windows.net/websiteattachments/Nativity%20Icon%20-%20FR%20Kfouf.pdf>

აღდგომისა. ამისთვის ვიტყვი, ვითარმედ აღდგომისაცა კეთილნი შობისავე საუნჯეთა სიმდიდრენი არიან“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 124).

ნოსელი მღვდელმთავრის მიხედვით, ქრისტეს აღდგომის მაღლიერნი აუცილებლად უნდა ვიყოთ, მაგრამ, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ აღდგომა (აღვსება) კაცობრიობის გამოსხნასთან დაკავშირებული საღვთო განგებულების აღსრულების დასასრულია. მაგრამ თუ არ იქნებოდა დასაბამი, როგორღა დადგებოდა დასასრული? აქედან გამომდინარე, დაისმის კითხვა: რომელი რომლის დასაბამი გამოდის? ცხადია, შობა — აღდგომისა. ამიტომაც, წმიდა გრიგოლ ნოსელი დასძენს: აღდგომის სიკეთეები შობის „საუნჯეთა სიმდიდრენი არიან“.

წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით, არათუ აღდგომის, არამედ მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული ყოველი დღესასწაულის საფუძველი სწორედ მისი შობაა, რომელსაც კოსტანტინოპოლელი მოძღვარი „დღესასწაულთა დედაქალაქს“ უწოდებს: „აჰა ესერა, მოახლოებულ არს დღესასწაული, ყოველთა დღესასწაულთა უმეტეს პატიოსანი და ზარის აღსაწვდელი! და უკუეთუ ვინმე ყოველთა დღესასწაულთა დედაქალაქად უწოდოს მას, არასადა სცეთეს იგი, რომელი უკუე არს ჴორციელი შობად ქრისტესი, რამეთუ ამისა შემდგომად განცხადება საღმრთო, აღვსება, ყოვლადწმიდა ამაღლება და მარტვლია მომავალ არიან. ხოლო მიზეზი მათი და დასაბამი არს შობა უფლისა, რამეთუ უკუეთუმცა არა შობილ იყო ჴორციელად ქრისტე, არამცა ნათელ-ელო მას, რომელ არს განცხადება ღმრთისა, არამცა ჯუარცუმულ იყო, რომელ არს პასექი, არამცა სული წმიდად გარდამოველინა, რომელ არს მარტვლიად, რომლისათვისცა ამიერ, ვითარცა მდინარენი წყაროდსაგან, გამოეცნეს ესენი და იქმნნეს ჩუენდა ზატიკად მუნით გამო“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 181).

თუკი „ჯოჯოხეთის წარმოტყვენისა“ და „ქრისტეს შობის“ იკონოგრაფიებს შევადარებთ, ბევრ საერთოს შევნიშნავთ. „ჯოჯოხეთის წარმოტყვენის“ (აღდგომის) იკონოგრაფიაში ქვესკნელის სიბნელეში ჩასულ მაცხოვარს ნათელი ფერის სამოსელი მოსავს, რაც, ერთი მხრივ, გამოხატავს მის სიკვდილსა და ჯოჯოხეთზე გამარჯვებას, მეორე მხრივ, მისი სხეულის საფლავში შეუმუსრავობასა და აღდგომის შემდგომ განღმრთობილ მდგომარეობაში მყოფობას. ყოველივე ამას კი დასაბამი ქრისტეს შობამ დაუღო.

დასახელებულ იკონოგრაფიათა იდეური ერთიანობა იესო ქრისტეს მიერ კაცობრიობის გამოსხნისთვის აღსრულებული ქმედებითაა განპირობებული, რომელიც, უმთავრესად, მისი შობითა (განკაცებით) და აღდგომით (განკაცების მისიის აღსრულებით) გამოვლინდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქრისტეს შობის კომპოზიციის ცენტრალური გამოსახულება ბაგაში მიწვენილი, სახვევებში გახვეული ყრმა მაცხოვარია, რომელსაც ხარი და სახედარი დაჰყურებს. ბაგაში მიწვენილი ყრმა იესო ქრისტეს გამოსახულება შესაბამისი სახარებისეული ტექსტის ილუსტრირებაა, რომლის მიხედვითაც, „შვა ძე იგი მისი პირმშოდ და შეხვა იგი სახუეულითა და მიაწვინა იგი ბაგასა“ (ლკ. 2: 7). ამავე დროს, **სახვევებში**

შეხვეული ყრმა სახისმეტყველებითადაც განიმარტება. დავიმოწმებთ შესაბამის ეგზეგეზისს:

წმინდა გრიგოლ ნოსელი ბრძანებს: „სახუველითა შეიკრვის, რომელმან განმჯსნა ჩუენ საკრველთაგან ცოდვათ თხზულებისადა“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 137).

წმინდა იოანე ოქროპირი: „სახუველითა შეიხუევის და წსნასა ცოდვათასა მინიჭებს“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 148).

იგივე მოძღვარი ბრძანებს: „სახუველითა შეგრაგნილ არს, რომელი კრულებათა ცოდუათასა განჰჯსნის“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 165).

ნეტარი თეოდორიტე კვირელი: „იხილენ სახუველნი მისნი, რომელმან შეკრნა უფსკრულნი ქვშითა!“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 206).

იგივე ავტორი ამბობს: „სახუველნი იგი ცოდუათა ჩუენთა შეთხზულებისა დამჯსნელ იქმნენ“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 208).

წმინდა ათანასე ალექსანდრიელი: „სახუველითა შეხუეულ არს, რომელმან საკრველნი ცოდვისანი განხეთქნა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ა: 356).

ასევე, ქვემოთ დავიმოწმებთ საეკლესიო ჰიმნოგრაფიაში წარმოდგენილ შესაბამის ეგზეგეზისსაც:

„ცოდვისა საკრველნი სახუველითა შეხუეულმან განჰხეთქენ“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 43).

„სახუველნი სამოსელ სამეუფო ექმნენს, რადთა ურჩებისა საკრველნი ჩუენნი განხეთქენს“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 132).

„სახუველითა განჯსნა მან კრულებად ჩუენი“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 167).

„ვითარცა ჩხვლი შეხუეულ იქმნე სახუვეითა მჯსნელი სოფლისად, რადთა განჰჯსნე საკრველნი პირველშექმნულისანი“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 167).

„რომელი ნებსით ჩხვლ იქმენ ჩუენთვს, სიტყუათ ღმრთისათ, და სახუველითა განჰჯსნენ ცოდვათა ჩუენთა განუჯსნელნი საკრველნი...“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 272).

„სახუველითა განჯსნა მან კრულებად ჩუენი“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 167).

ზემოდამოწმებული ეგზეგეზისის თანახმად, სახარებისეული თხრობის მიხედვით

შექმნილი ქრისტეს შობის კომპოზიცია, რომელშიც ყრმა იესო ქრისტე სახვევებშია გახვეული, სახისმეტყველებითად ადამიანების ცოდვათა საკვრელისგან დახსნას მოასწავებს.

ამავე დროს, ყრმა მაცხოვრის სახვევები მის თავმდაბლობაზე მიუთითებს. ერთ-ერთ საგალობელში ვკითხულობთ: „მპყრობელი იგი ცათა და ქუეყანისა სახუეველითა შეიხუოდა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 285).

ასევე: „შეიხვე სახუეველითა, შემმოსველი ცათა ღრუბლითა, ბაგასა მიიწუნე, რომელი მჯდომარე ხარ ცეცხლისფერთა ეტლთა ზედა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 41).

ასევე: „სახუეველითა შეიხვა, რომელიცა ბუნებით შეუხებელ არს“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 63).

სახვევი, ასევე, დაცემული კაცობრივი ბუნების „უხრწნელების სამოსლით“ შემოსვას გამოხატავს. პეტრე იერუსალიმელი ბრძანებს: „ლეღუსა ფურცლისა წილ სახუეველთა შინა დაიფარვის, და საცნაურსა მას ცათა თანა განგვლებს ჩუენ სამოთხესა“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 237).

ერთ-ერთ საგალობელში ვკითხულობთ: „შეიხვე სახუეველითა, რადთა განმძარცო წყევისა სამოსელი... შემმოსა უხრწნელებისა სამოსელი, რაჟამს სახუეველითა ნეფსით შეიხვა შემმოსელი ცათად ღრუბლითა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ:135-136).

ასევე: „ქრისტე შეიხუევის დღეს სახუეველითა და სამოსელსა მას პირველსა მომცემს, და პირმშოსა მას შეუნიერებასა შემმოსს და ძედ ნათლისა და დღისა გამომაჩინებს ჩუენ“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 236).

ახლა რაც შეეხება ქრისტეს შობის კომპოზიციაში ახალშობილი ყრმის ზემოთ **ხარისა და სახედრის გამოსახულებებს**, საინტერესოა ის, რომ მათ შესახებ შესაბამის სახარებისეულ თხრობაში არაფერი წერია, არამედ საეკლესიო მოძღვართა განმარტებებზე დაფუძნებული სცენაა, რის შესახებაც დავიმოწმებთ რამდენიმე კომენტარს.

წმინდა გრიგოლ ნოსელის თანახმად, ბაგაში მაცხოვრის შობით აღსრულდა ესაიას წინასწარმეტყველება „ხარისა და სახედრის“ შესახებ: „იცნა ჳარმან მომგებელი თჳსი და ვირმან — ბაგად უფლისა თჳსისა“ (ეს. 1: 3).

ნისის ეპისკოპოსის მიხედვით, „ბაგად პირუტყუთად არს განსასუენებელი, რომელსა-იგი შინა სიტყუად მიიწვინა, რადთა იცნას ჳარმან მომგებელი თჳსი და ვირმან — ბაგად უფლისა თჳსისა. **ჳარად გულისჳმა-ყავ შებმული უდელსა შჯულისასა, ხოლო ვირად ტვრთისმკრებელად — ცოდვითა კერპთმსახურებისადა დატვრთული და დამძიმებული.** არამედ პირუტყუთა და ოთხფერჳთა მომზავებული სამრდელი თივად

არს, ვითარცა წერილ არს, ვითარედ რომელმან აღმოუცენის თივად პირუტყუთა,¹ ხოლო პირმეტყუელი ცხოველი პურითა იზარდების. ამისთვისცა **ბაგასა შინა პირუტყუთასა მიიწინა პური იგი უკუდავებისად, რომელი ზეცით გარდამოჴდა, რადთა იხილონ რად პირუტყუთა გემოდ პირმეტყუელთა საზრდელისად, პირმეტყუელ იქმნენ და განბრძნდენ**“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 120).

ნოსელი მღვდელთმთავრის განმარტების თანახმად, ხარში, რომელსაც უღელს ადგამენ, ებრაელები მოიაზრებიან, ვინაიდან მათ „უღელად“ რჯული ჰქონდათ, ხოლო სახელარში, რომელსაც ტვირთს ჰკიდებენ – წარმართები, რადგან ისინი კერპთმსახურების ტვირთის ქვეშ გმინავდნენ. ქრისტეს შობამ ორივე გამოიხსნა ცოდვისა და სიკვდილისაგან.

ნოსელი ეპისკოპოსი, ასევე, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბაგა, რომელშიც ახალშობილი ყრმა მიაწინეს, **პირუტყუთა საკვების დასადებ ალაგს** წარმოადგენდა, ხოლო თავად ყრმას ზეციდან გარდამოსულ უკვდავების პურს უწოდებს. პირუტყუად (რაშიც ადამიანის ცოდვითი სიმძიმე მოიაზრება) წოდებული ადამიანი, იგემებს რა აღნიშნულ პურს, პირმეტყველად (რაც ცოდვათაგან განწმედას გულისხმობს) გარდაიქმნება.

დასახელებული სახისმეტყველებითი ასპექტი, ასევე, წმინდა ევქარისტიანზე მიანიშნებს. როგორც ცნობილია, ევქარისტიის ჟამს ფეშუმზე დაბრძანებული პური ქრისტეს წმინდა ხორცად გარდაიქმნება, რომელსაც (ბარძიში შთასხმულ ღვინოსთან ერთად) ადამიანები ცოდვათა მიტევებისთვის იღებენ. სწორედ ამის გამოხატველია ის ფაქტი, რომ თანამედროვე ლიტურგიკული პრაქტიკის მიხედვით, ფეშუმზე, რომელზეც წმინდა პური იდება, იესო ქრისტეს შობის სცენაა გამოსახული.

მართლაც, განკაცებულმა ღმერთმა ადამიანს საკუთარი თავი მისცა „საჭმლად“, რისი მეშვეობითაც „პირუტყვი“ კაცობრიობა „პირმეტყველად“ გარდაიქმნა, რაც ნიშნავს იმას, რომ ღვთის განკაცებამ ცოდვადამონებულ, „სახედაკარგულ“, ღვთის ხატებაშეზღალულ კაცებას პირვანდელი მადლმოსილება – „ადამიანობა“ დაუბრუნა.

ამავე აზრს გამოხატავს წმინდა გრიგოლ ნეოკესარიელის სიტყვებიც: „პირუტყუთა ბაგასა სიტყუამან ღმრთისამან განისუენა, რადთა ნანდვლვე, რომელნი ნებით თვისით პირუტყუ ქმნულ იქმნეს კაცნი, პირმეტყუელთად იგი მისცეს მეცნიერება; ტაბლასა პირუტყუთასა დაეგო ზეცისა იგი პური, რადთა პირუტყუთ-სახეთა კაცთა საიდუმლოდსა მის საზრდელისად მისცეს მისაღებელი“ (შანიძე 1959: 7).

ნეოკესარიელი მოძღვრის მიხედვით, პირუტყუთა ბაგაში ღვთის სიტყვამ, ზეციურმა პურმა განისვენა, რათა ადამიანი, რომელიც თავისი არჩევანის შესაბამისად „გაპირუტყვდა“, „პირმეტყველად“ გარდაიქმნა.

ამასთან დაკავშირებით ევსევი ალექსანდრიელი ბრძანებს: „ამას ზედა აღესრულა წინაღწარმეტყუელებად იგი ესაიადსი, რომელ თქუა: «იცნა წარმან მომგებელი თვისი და ვირმან – ბაგად უფლისა თვისისად» (ეს. 1:3). წარად უწოდა, რომელნი-იგი ისრაჴლისაგანნი

ერად ქრისტესად იყენეს, ხოლო ვირად — წარმართთაგანი იგი“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 211).

ამავე საკითხს ეხმიანება წმინდა გრიგოლ ნაზიანზელიც: „თაყუნის-ეც ბაგასა, რომლისაგან გამოიზარდე სიტყვთა, რაჟამს-იგი იყავ უსიტყუელ; იცან ჳარმან მომგებელი თვისი, გიბრძანებს შენ ესაია, და ვითარცა ვირმან — ბაგად უფლისა თვისისად. და უკუეთუ წმიდათაგანი ხარ, ვითარცა შჯულსა წერილ არს, და აღმოიციონი სიტყუასა, და ღირს ხარ შეწირვად. და უკუეთუ არაწმიდათაგანი ხარ, რომელი არა ჳერ-არს არცა დაკლვად ნაწილი წარმართებრი“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 74).

წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „ბაგასა შინა დაიდების და საზრდელ ყოველთა იქმნების“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 148).

ნეტარი თეოდორიტე კვირელი ამბობს: „ბაგასა რად შინა დაიდვა, მოასწავა, ვითარმედ იქმნეს იგი საზრდელ პირუტყუთა... ბაგასა პირუტყუთა მიიწვინების სიტყუად ღმრთისად აგებულებითა ამით ჳორცთადათა, რადთა ფლობად აქუნდეს პირმეტყუელსა და პირუტყუსა ცხოველსმყოფელისა მის საზრდელისა მოღებად. და ნუუკუე ამის ბაგისა საიდუმლოსა მოასწავებდა წინადაწარვე წინადაწარმეტყუელი და იტყოდა, ვითარმედ: «იცნა ჳარმან მომგებელი თვისი და ვირმან — ბაგად უფლისა თვისისად» (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 205).

წმინდა იოანე დამასკელი შეგვაგონებს: „ეჰა, საკურველი საიდუმლოდ, რამეთუ ღმერთი, საყდართა ქერობინთა მჯდომარე, ბაგასა პირუტყუთასა მიიწვინების, რადთა კაცნი, პირუტყუქმნულნი, ღმრთის მეცნიერებად მოიყვანნეს, რამეთუ სახედ ქერობინთა, ძრწოლით წინაშე დგომასა მეუფისასა, პირუტყუნი მობაძავ ექმნნეს“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 251).

პეტრე იერუსალიმელი საუბრობს იმასთან დაკავშირებით, რომ სახვევებში შეხვეული და ბაგაში მიწვინილი ყრმა ყოვლის განმგებელი უფალია, რომელმაც ადამიანის „პირუტყვობა“ განაქარვა: „შემდგომად შობისა სახუეველითა წარიგრაგნების და ბაგასა მიიწვინების ყოვლისა სოფლისა უფალი. და რომელი ცათა და ყოველსა განავსებს, პირუტყუთა საზრდელისა შთასადებელსა დაეტევებს. ჰე, ამას-სამე აჩუენებს, დამბადებელყოფად არს იგი პირუტყუთებრისა და საცხოვართ-სახისა მის ცხორებისაგან და უფროდსა მერმე წამართ, საზრდელისა მის ანგელოზთმთავართადასა მოცემად, რამეთუ იტყვს: «პური ანგელოზთაჲ ჳამა კაცმან» (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ა: 335-336).

იერუსალიმელი მღვდელთმთავარი ბაგაში „დადებულ“ უფალს „ანგელოზთმთავრის“ საკვებს უწოდებს.

საინტერესოა წმინდა იოანე დამასკელის შესაბამისი ეგზეგეზისი, რომელშიც ის ხარსა და სახედარში „ძველ ერს“ მოიაზრებს, რომელსაც ქრისტემ განახლებული სიცოცხლე

უბოძა. დამასკელი მოძღვარი სახისმეტყველებითად განმარტავს, რომ ბაგაში არსებული წმინდა და უბიწო საკვების „აღმოცონით“ ისრაელიანები და წარმართები შეიცნობენ ჭეშმარიტ ღმერთს. დავიმოწმებთ შესაბამის ეგზეგეზის: „ყრმა ვიქმენ და ბაგასა დავივანე, რადთა რომელი არა იცნა ძუელმან ერმან — ჯარმან და ვირმან, აწ ნეშტმან ისრაჷლისამან და არაწმიდათა წარმართთაგან გამორჩეულმან ერმან მიცნან მე ღმრთისმსახურებით აღმოცონითა“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 278–279).

ზემოწარმოდგენილი ეგზეგეზის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგის თქმა: ქრისტეს შობის კომპოზიციაში გადმოცემული პირუტყვების საკვების ადგილას მიწვენილი ყრმა განასახიერებს „საღვთო საკვებს“, რომელმაც დაცემის მიზეზით „გაპირუტყვეულ“ კაცობრივ ბუნებას საღვთო მადლმოსილება დაუბრუნა. ზოგადად, ქრისტეს შობის ხატმეტყველება გადმოგვცემს, თუ როგორ შეცვალა ღვთის განკაცებამ დაცემული კაცობრივი ბუნება. ამავე შინაარსის მატარებელია წმინდა იოანე ოქროპირის, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველისა და სხვათა სიტყვებიც.

ერთ–ერთი საგალობლიდან ვისმენთ: „და პირუტყუთა ბაგასა დაიდვა სიტყუად ღმრთისად დღეს, რადთა ზიარ–მყენეს ზეცისა განწყობილთა თანა ჩუენ მგალობლად სამეებისა წმიდისა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 63).

იოანე მტბევარი ამბობს: „რომელმან დაჰბადნა ცანი სიტყუთა, იხილვების ბაგასა პირუტყუთასა მწოლარჷს სახუეველითა, რადთა ბუნებად ჩუენი აღიყვანოს ზეცისა სუფევასა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 115).

ერთ–ერთ ლიტურგიკულ საკითხავში ვკითხულობთ: „უფალო, ჩჩვლად იხილვე ბაგასა შინა პირუტყუთასა, ვითარცა კაცი, რადთა პირუტყუთ–სახე ბუნებად საღმრთოდთა მეცნიერებითა შესცვალო მგალობელად ღმრთისმეტყუელებად შენდა, თანა მამით და სულით წმიდითურთ“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 158).

წმინდა იოანე დამასკელი ბრძანებს: „ბაგასა მიიწვინე პირუტყუთასა და განაახლე უტყვ ბუნებად კაცთად“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 20).

მიქაელ მოდრეკილი: „მაშინ ვითარცა საყდარი სამეუფოდ, ქალწულსა ეუწყა ქუაბი, რომელსა შინა იშვე ღმერთი, რადთა ადამ აღადგინო“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 39).

პეტრე იერუსალიმელის მიხედვით, პირუტყვები, რომლებიც ქრისტეს შობის კომპოზიციაშია გამოსახული, უფლის მიმართ თაყვანისცემას აღასრულებენ: „ცხოველ–თაგან პირუტყუთა თაყუანის–იცემებოდა და ზეცას სერაფიმნი ჳმობდეს: «წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი»“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010:

246).

ერთ-ერთი საგალობლის მიხედვით, ბეთლემის გამოქვაბულში პირუტყვთა გამოსახვის კიდევ ერთი სახისმეტყველებითი მიზეზი არსებობს, კერძოდ: **პირუტყვთა სადგომელში შობილი ყრმა უძღები შვილის იგავში ნახსენებ იმ ზვარაკს უკავშირდება, რომელიც ადამიანთა ცოდვების გამო დაიკლა და რომელიც, თავის მხრივ, უბიწო დეკეულის (ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის) მიერ იშვა.** დავიმოწმებთ კონკრეტულ ტექსტს: „ზუარაკი ჭამებული დიაკეულსა უბიწოსა მოჰყავს ქუაბსა მას წმიდასა, რადთა საკვრველად და დიდებულად გამოუთქუმელად შვეს მას შინა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 255).

ქრისტეს შობის კომპოზიციაში ბეთლემის გამოქვაბულში შობილი და ბაგაში მიწვენილი ყრმის გარშემო ქალწული მარიამი და იოსები არიან განთავსებულნი (ილ. 1). ბაგასა და ბეთლემს, ასევე, სახისმეტყველებითი დატვირთვა აქვს.

ბეთლემის გამოქვაბულში მაცხოვრის შობა და ბაგაში მიწვენა მის თავმდაბლობაზე მიუთითებს — ყოვლისმპყრობელი ღმერთი გამოქვაბულში შობას ისათხოვებს.

ამასთან დავკავშირებთ პეტრე იერუსალიმელი ბრძანებს: „რომელი ცათა და ყოველსა განავსებს, პირუტყვთა საზრდელისა შთასადებელსა დაეტევების“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 235).

ერთ-ერთ საეკლესიო საგალობელში ვკითხულობთ: „რადმცა იყოს უმდაბლეს ქუაბისა, ანუ უუნდოეს სახუეველთა? რომელთა შინა გამობრწყინდა სიმდიდრე ღმრთეებისა შენისაჲ, მაცხოვარ, ყოვლისა შემძლებელო და ყოვლად ძლიერო, დიდებაჲ შენდა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 264).

წმინდა მაქსიმე აღმსარებელიც საუბრობს განკაცებული ღმერთის მიერ გამოვლენილი თავმდაბლობის შესახებ: „ეჰა, იწროებაჲ იგი, ჩუენთვის უცხოებაჲ ყოველთა დაბადებულთა მპყრობელისაჲ! არა ეპოვა მას ადგილი, არცა სავანე. ამისთვის მიუწოთმელი იგი და გარეშემოუწერელი მცირესა ქუაბსა შინა და ბაგასა უნდოსა დაეტია, დაუსაბამოდ და დაუტევენელი სიტყუაჲ ღმრთისაჲ და დამბადებელი ყოვლისა სოფლისაჲ წინამძღუარ ექმნა დედასა თვისსა ქუაბად ბეთლემისაჲ... გამომზრდელი ყოველთაჲ სძითა იზარდებოდა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ა: 380-381).

წმინდა ათანასე ალექსანდრიელი: „ბაგასა შინა წევს და სოფელსა აღძრავს“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ა: 356).

ერთ-ერთ საეკლესიო საგალობელში ვკითხულობთ: „ქუაბი დაიტევს დაუტევენელსა და ბაგად შეიწყნარებს ცხოვრებასა ჭემმარიტსა საუკუნესა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 260).

ასევე: „ცათა დაუტევენელი წყალობით ბაგასა შინა დატევილ არს“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ა: 284).

როგორც ვხედავთ, საეკლესიო ლიტერატურაში ხშირად არის გამახვილებული ყურადღება იმაზე, რომ დაუტევნელი ღმერთი გამოქვაბულმა დაიტია.

ერთ-ერთ საგალობელში წერია, რომ უფლის გამოქვაბულში შობამ, რითაც მისი თავმდაბლობა გამოვლინდა, დამდაბლებული ადამიანი საღვთო მადლით განამდიდრა: „ქუაბსა მცირესა მოჰხუალ შენ დატევნად, მ დაუტევნელო, რადთა მე, დაკნინებული, გარდასვლითა მით განმამდიდრო და მადიდო“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ა: 225).

ასევე: „მცირესა ქუაბსა შინა და ბაგასა უნდოსა დაეტია დაუსაბამოდ და დაუტევნელი სიტყუად ღმრთისად“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 285).

ეგზეგეტიკურ თუ ჰომილეტიკურ შრომებში ხშირად საუბარია ბაგასა და ბეთლემზე, როგორც დახშული სამოთხის კარის გაღების სიმბოლოებზე. დავიმოწმებთ რამდენიმე მათგანს.

წმინდა გრიგოლ ნაზიანზელი ბრძანებს: „ადიდე შობად, რომლითა განიწესენ საკრველთაგან შობისათა და პატივ-ეც მცირესა ბეთლემსა, რომელმან მოგაცცია სამოთხედვე“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 74).

„ბეთლემს განელო ედემი პირველ დაწმული, რამეთუ მას შინა იშვა თუალი ცხორებისად“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 134).

„ქრისტე ქუაბსა შინა დღეს იშუების ჩუენთვის და დაჰწმავს კართა სიკუდილისათა, ხოლო განგვხუამს ჩუენ ბჭეთა ცხორებისათა და უხრწნელებისა საუნჯეთა წინა-მიყოფს“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 236).

განსაკუთრებით საინტერესოა ზოგიერთ საეკლესიო საგალობელში მოცემული განმარტება, რომლის მიხედვითაც, შობის კომპოზიციაში გამოსახული ახალშობილი და ბაგაში მიწვენილი ყრმა-მაცხოვარი სამოთხეში დანერგული „ხეცხოვრებისას“ სიმბოლოა, რომელმაც ადამიანი სასუფეველში დააბრუნა. დავიმოწმებთ რამდენიმე მათგანს:

„პირველ დაწმული ედემი დღეს ბეთლემმან განგვლო ჩუენ, რამეთუ აღმოცენდა ხმ ცხორებისად“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 147).

„სულითა წმიდითა მორწყულმან ედემმან ხმ იგი ცხორებისად ქალწულმან აღმოაცენა ქრისტე ქუაბსა შინა და გვწოდს უკუდავებისა უხრწნელისა სერობასა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 242).

„ბეთლემი სამოთხესა განაღებს, რამეთუ ხმ ცხორებისად მუნ აღმოცენდების, რომლისა ნაყოფი გემოფსილვითა მომწყდართა საკრველებით განაღმრთობს დღეს განგებულებით ჭეშმარიტად“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 254).

ქრისტეს შობის კომპოზიციაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოდგენილია განათებული გამოქვაბული, რომელშიც ბაგაზე მიწვენილი ყრმა არის გამოსახული. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ასახული შესაბამისი სახარებისეული თხრობის მიხედვით შედგენილი გამომსახველობა სახისმეტყველებითი ხასიათისაა. ნათელი **გამოქვაბული გააზრებულია ტაძრად, ბაგა — ტრაპეზად, ხოლო მასზე მიწლილი ყრმა, რომელიც განკაცებული ღმერთია, ექვარისტიის საიდუმლოს მოასწავებს.** აქედან გამომდინარე, ქრისტეს შობის კომპოზიციის იკონოგრაფია, შესაძლოა, გავიზროთ როგორც ტაძარი, სადაც საღვთო ლიტურგია აღესრულება.

დავიმოწმებთ შესაბამის ეგზეგეზისს.

ერთ-ერთი ლიტურგიკული საკითხავიდან ვისმენთ: „ტრაპეზსა ამას წესი ბაგისა მის უპყრიეს, რამეთუ აქაცა მდებარე არს ჯორცი იგი საუფლო“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 182).

ასევე: „მოვედით დღეს, მორწმუნენო, და ვიხილოთ ქუაბი, რომელი გუაუწყებს სახესა მას ეკლესიისასა და ბაგად უცხოსა მას ემბაზსა, განმწმედელსა წარმართთასა, რომელნი სახედ პრუტყუთა იყვნეს პირველ“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 69).

იოანე მტბეარი ამბობს: „დღეს განემზადებინ ქუაბი მისთვის, ვითარცა ტაძარი, ხოლო ბაგად, ვითარცა საყდარი, რომელსა შინა ქალწულმან მიაწვინა, ვითარცა ჩხული...“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 113).

წმინდა იოანე დამასკელი შეგვაგონებს: „მოვედით ბაგისა მიმართ საიდუმლოთაჲსა. მსხუერპლის შემწყნარებელსა და ღმრთის შემწყნარებელსა ტრაპეზსა მოუჭდეთ. შიშით და ძრწოლით შევეერთნეთ ჯორცითა ჯორცსა საღმრთოსა და სულითა ცეცხლსა ღმრთეებისასა. ჯორცი ღმრთისად ვჭამოთ და სისხლი ღმრთისად ვსუათ“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 280).

ბეთლემსა და ბაგას განასახიერებს სამკვეთლოც, რომელიც საკურთხეველის მთავარი ნაწილის მარცხნივ არის განთავსებული, და სადაც კვეთა აღესრულება და უწმინდესი ძღვენი შემზადდება. წმინდა გერმანე კონსტანტინოპოლელის მიხედვით, „სამკვეთლო არის ბეთლემი, სადაც ქრისტე იშვა (წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელი 2008: 68).

სამკვეთლო, როგორც მაცხოვრის შობის ადგილის სიმბოლო, განხილულია ღვთისმსახურთათვის საკმაოდ ცნობილ წიგნში — *Настольная книга Священнослужителя* — რომელშიც არის მსჯელობა, თუ როგორ იცვლება სამკვეთლოს, როგორც არქიტექტურული დეტალის, სიმბოლური მნიშვნელობები ღვთისმსახურების ტიპიკონის შინაარსის შესაბამისად. დასახელებული წიგნის მიხედვით, სამკვეთლოს პირველადი მნიშვნელობა მაინც ის ქვაბი და ბაგაა, სადაც უფალი იშვა.¹

1 *Настольная книга священнослужителя;*

სწორედ ამიტომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე ლიტურგიკულ პრაქტიკაში ფეშხუმზე, რომელიც სამკვეთლოზე დაბრძანდება და რომელზეც წმინდა ძღვენი განემზადება, ქრისტეს შობის კომპოზიციას გამოსახული.

საინტერესოა ისიც, რომ ბეთლემის გამოქვაბულში შობილი ყრმა საღვთისმეტყველო ლიტურატურაში კიდევ ერთი სახისმეტყველების შემცველია. კერძოდ, იგი განასახიერებს **ქერუბიმებზე მჯდომ უფალს**, რომელიც ძველი აღთქმის პერიოდში სწორედ ამგვარი სახით გამოეცხადა წინასწარმეტყველს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ქერუბიმებზე მჯდომი და ბეთლემის გამოქვაბულის ბაგაში მიწვენილი ყრმა ერთი და იგივე ღმერთია, ყოვლადწმინდა სამების ერთ-ერთი ჰიპოსტასი, რომელიც ახალ აღთქმაში განკაცდა. ასევე, ბაგა განიხილება, ზოგადად, ღვთის ტახტად, რომელზეც უფალმა ჯდომა ინება. დავიმოწმებთ შესაბამის ეგზეგეზის.

პეტრე იერუსალიმელი: „ქუაბსა შინა შობად სათნო-იყო ფრიადითა სახიერებითა კაცთმოყუარებისადათა, ბაგასა შინა მიიწვინა, ქეროვიმთა ზედა განსუენებული“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 246).

ნეტარი თეოდორიტე კვირელი: „იხილე ბაგად ქერობინთა ზედა მჯდომარისად მის!“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 206).

წმინდა იოანე ოქროპირი: „პოვა ქუაბი და არათუ სახლი, და შობილი იგი ბაგასა შინა მიდრკა, რომელმან დამოდრიგნა ცანი, **საყდარ** იქმნა სამეუფო პირუტყუთა იგი ტაბლად“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ა: 307).

მაცხოვრის შობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ლიტურგიკულ საგალობელში ვკითხულობთ: „ქუეყანად მოვალს იუდაჲს თესლისგან შობად ქუაბსა შინა, ვითარცა პალატსა, ხოლო ბაგასა, ვითარცა საყდართა ზედა ქერობინთაჲსა, სადა იგი ქალწული მარიამ, ვითარცა ჩიჴლსა, მიაწვენს განახლებად დაბადებულთა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 206).

სხვა საგალობელში წერია: „ღღეს ბეთლემი ცათა ემსგავსების, რამეთუ მეუფისა დიდისა საყდარ იქმნების, რომლისა შობასა განათლდა ყოველი ქუეყანად“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 315).

იესო ქრისტეს შობის ადრეულ კომპოზიციას (იხ. ილ. 2; 3) ყურადღება ექცეოდა გამოქვაბულის შიდა სივრცეს, სადაც ბაგაში მიწვენილი ყრმა მაცხოვარი და პირუტყვები იყვნენ გამოსახულნი, ხოლო გვიანდელ იკონოგრაფიაში, განსაკუთრებით, კედლის მხატვრობაში, აქცენტი კეთდება მთაზე გამოკვეთილი გამოქვაბულის გამოსახულებაზე, სადაც მაცხოვარი იშვა (ილ. 1).

უნდა ითქვას ის, რომ ღვთისმშობლის ერთ-ერთი სახე-სიმბოლო სწორედ მთა არის. დანიელ წინასწარმეტყველი ამბობს: „ჰხედევდ, ვიდრემდე გამოსთქდა ლოდი მთისა მისგან თვნიერ ჴელისა“ (დან. 2: 34).

ნეტარი ავეუსტინეს მიხედვით, უხელოდ გამოკვეთილი მთა კაცობრივი განზრახვის გარეშე მუცლადღებულ ღვთისმშობელს მოასწავებს.¹

ამავეს ბრძანებს წმ. იოანე ოქროპირი: „ღანიელ წინასწარმეტყველმა თქვა, რომ ის (მარიამი გ. ვ.) არის მთის ლოდი, კაცის ხელით გამოუკვეთელი (დან. 2: 34), რაც მამაკაცის გარეშე შობაზე მიუთითებს.²

აქედან გამომდინარე, მაცხოვრის შობის იკონოგრაფიაში მთის ჩართვა კიდევ ერთხელ მიუთითებს ყოვლადუბიწო ქალწულისაგან იესო ქრისტეს შობაზე, ყოვლადწმიდა მარიამის მარადქალწულობაზე.³

ახლა განვიხილავთ იესო ქრისტეს შობის კომპოზიციის სხვა სახარებისეულ სიუჟეტებს. ნიმუშად ავიღებთ „შობის“ მხატვრული კომპოზიციის ყველაზე ვრცელ იკონოგრაფიულ სქემას (ილ. 13), რომელშიც ქრისტეს შობასთან დაკავშირებული სცენები სრულად არის წარმოდგენილი.

ხშირად კომპოზიციის მარცხენა დაბალ კუთხეში მოხუცი, თეთრწვეროსანი ადამიანია გამოსახული, რომელსაც, უმეტესად, თავი ხელზე აქვს ჩამოყრდნობილი. მოხუცი კაცი არის იოსები, ხოლო მისი გამოსახვის ფორმა მის ეჭვს გამოხატავს, რადგან, იხილა რა მან სულიწმინდის მიერ მიდგომილი მარიამი, ფიქრები მოეძალა და გადაწყვიტა ფარულად გაეშვა იგი. არის გამოსახულებები, სადაც მოხუცი იოსების წინ კიდევ ერთი ან ორი მოხუცია გამოსახული, რაც „ეჭვის“ ანთროპომორფულ გამოსახულებას წარმოადგენს.

ქალწულ მარიამის მიდგომილებასთან დაკავშირებული იოსების ფიქრების შესახებ საუბრობს წმინდა იოანე ოქროპირი მათეს სახარების კონკრეტული ადგილის განმარტებისას. უპირველესად, დავიმოწმებთ სახარებისეულ თხრობას.

მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „ხოლო იოსებ, ქმარი ამისი, მართალი იყო და არა უნდა განმხილებად მისი, იზრახა ფარულად განტევება მისი“ (მთ. 1: 19).

კონკრეტული სიტყვების განმარტებისას წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „თქუა რად, ვითარმედ სულისაგან წმიდისა იპოვა იგი მიდგომილ და არა თესლისაგან მამაკაცისა, გამოაჩინებს ჭეშმარიტებასა სიტყვსა თვისისა. რადთა არავინ თქუას, ვითარმედ: ვინად საცნაურ არს ესე, ვინ იხილა ესე ვითარი სადა, ანუ ვის ესმა, ამისთვის იოსებს შემოიყვანებს

1 Блаженный Августин Иппонийский, Рассуждения на Евангелие от Иоанна; <https://ekzeget.ru/bible/kniga-proroka-daniila/glava-2/stih-34/>

2 წმ. იოანე ოქროპირის სიტყვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების შესახებ; http://www.apocalypse.ge/ganmartebani_wminda_ioane_oqropiris_sityva_yovladwminda_gvtismshoblis_midzinebaze.html

3 ზოგადად, მთა განსაკუთრებული მოვლენების აღსრულების ადგილია. მთაზე აღსრულდა და, შესაბამისად, ხატმეტყველებაშიც აისახა იესო ქრისტეს ფერისცვალება, ჯვარცმა, ამაღლება. მთა ეგზეგეტიკურ და ჰომილეტიკურ ლიტერატურაში განიხილება როგორც ამქვეყნიურ სიამეთაგან განმორეებულობა და ღმერთთან, ზეცისკენ მსწრაფველი სულიერი მდგომარეობა, თანახმად მეფსალმუნის სიტყვებისა: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? უბრალოდ ჴელითა და წმიდად გულითა, რომელმან არა აიღო ამაოებასა ზედა სული თვისი და არცა ეფუცა ზაკუვით მოყუასსა თვისსა“ (ფსლ. 23: 3-4).

დასამტკიცებლად სიტყვა თვისა და **იჯუსა მას, რომელი მაშინ მოუჭდა გულსა მისსა**; ვითარმცა იტყოდა: უკუეთუ არა გრწამს ჩემი და იჯუელ ხარ წამებასა ამას ზედა ჩემსა, გრწმენინ იოსებისი. ამისთვის თქუა, ვითარმედ: «იოსებ, ქმარი მისი, მართალი იყო». სიმართლე შესაკრებელ არს ყოველთა სათნოებათა. ვინათგან მართალი იყო, ჭეშმარიტებადცა და სხუად ყოველი სათნოება აქუნდა მას. «და იზრახა ფარულად განეტევებად მისი». ამისთვის თქუა პირველ უწყებისა ზრახვად მისი, რათა შემდგომად უწყებისა ქმნილსა მას არა ურწმუნო იქმნე. იხილე სიმართლე ვაცისად მის, არა უნდა განმხილება მისი. და **იჯვ** იგი არა განმხილებისა ოდენ, არამედ ტანჯვისაცა ღირს იყო ბრძანებისაებრ რჩულისა. ხოლო იოსებ ესევეთართა სიკეთითა შემკულ იყო, რომელ არა უმესთაესი იგი, არამედ უდარესიცა ესე, რომელ არს განმხილება და შერცხუნება, არა ენება. და უწყით, ვითარმედ დიდ არს გულისწრომად და შური მამაკაცისად ესევეთარსა **იჯუსა** შინა და საქმე იგი **არღარა იჯვ იყო, არამედ მიდგომილება განცხადებულად ჩნდა**. არამედ იგი ესოდენ უმაღლეს იყო ყოვლისავე ვნებისაგან, რომელ არა ენება ყოვლადვე შეწუხება ქალწულისა მის. ხოლო ვინათგან დამჭირვად სახლსა შინა თვისსა ურჩულობად შეერაცხა და კუალად განმხილება და სამსჯავროდ მიყვანება სიკუდილისა მომატყუებელ ექმნებოდა ქალწულსა, არცა ერთი ამათგანი იზრახა ქმნად, რამეთუ უბეშთაეს რჩულისაცა იყო საზომი მისი“ (წმ. იოანე ოქროპირი 2014: 61-62).

წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით, იოსებს მახარებელი „მართალს“ უწოდებს, რითაც მისი სათნოებებია წარმოჩენილი. წმინდა მამა იქვე შენიშნავს, რომ მახარებლის მიერ შესაბამისი თხრობის დასაწყისშივე იოსების „მართლად“ მოხსენიება განპირობებულია იმით, რომ როცა მკითხველი იოსებ დამწინდველის შესახებ შემდგომ მოთხრობილ ქმედებას გაეცნობა, მის სიწმინდეში არ დაეჭვდეს.

იოსების ეჭვთან დაკავშირებით განსხვავებული და, ამასთან, გარკვეული კერძო ინტერპრეტაციაა აპოკრიფულ ძეგლ „იაკობის პირველსახარებაში“, რომელშიც ვკითხულობთ: „და ვითარ იყო იგი მეექუსესა თუესა, მოვიდა იოსებ... პოვა იგი მიდგომილ... ტიროდა მწარედ და იტყოდა: რომლითამე პირითა აღვიხილნე თუალნი ჩემნი უფლისა მიმართ ღმრთისა ჩემისა? ანუ რასამე ვილოცვიდე ქალისა ამისთვის? რამეთუ ქალწული მოვიყვანე ტაძრისაგან უფლისა ღმრთისა ჩემისა, და არა ვიცი ვინაა არს, რომელმან ქმნა ესე, ანუ ვინ არს, რომელმან მომნადირა მე. ჩემ ზედა აღესრულა საქმე იგი ადამისი, რამეთუ ჟამსა ოდენ გალობისა მისისა მოვიდა გუელი და პოვა ევა მარტოდ და აცთუნა იგი; და იგივე საქმე მე შემემთხვა“.¹

ზოგიერთ იკონოგრაფიულ გამოსახულებაში იოსების სიმბრისეული ჩვენების ასახვასაც ვხვდებით. მაგალითად, საქართველოში, ატენის სიონის ინტერიერის მოხატულობაში (ილ. 4).

1 იაკობის პირველსახარება - ღმრთისმშობლის შობა; <https://www.orthodoxy.ge/skhva/iakobis-saxareba.htm>

სიბერისეული ჩვენების შედეგად იოსებს ეჭვის მდგომარეობა დაუცხრა და მარიამზე ზრუნვა იდო თავს. წმ. იოანე ოქროპირი ბრძანებს: „იხილა იოსებ ქალწული მიდგომილი და შეწუხნა, რამეთუ იჭვ ცოდვისად მოუჭდა გულსა, ვითარ-იგი არასადა სმენილ იყო კაცთა შორის უთესლოდ მუცლადღებად. და მეყსეულად დაადგრა მას ანგელოზი და იჭვ იგი განუქარვა, და ყოველივე შიში გულისა მისისისაგან განიოტა. და იხილა რად შობად უფლისად, აღივსო სიხარულითა“ (წმ. იოანე ოქროპირი 2014: 129).

ესო ქრისტეს შობის იკონოგრაფიაში, ასევე, გამოსახულია სამი მოგვი, რომელნიც, ზემომონათხრობისამებრ, სამი ძღვენს — ოქროს, გუნდრუკსა და მურს მიაართმევენ ახლადშობილ მაცხოვარს. ადრექრისტიანულ პერიოდში, ძირითადად სარკოფაგებში, „მოგვთა თაყვანისცემა“ ცალკე სცენადაც გამოისახებოდა. მაგალითად, ასეთი სახის გამოსახულებას ვხვდებით III და IV საუკუნეების რომის სარკოფაგებში (ილ. 5, 6).

განვიხილავთ მოგვების იუდეაში ჩამოსვლის შესახებ სახარებისეულ თხრობასა და შესაბამის ეგზეგეზისს. სახარების თანახმად, ისინი აღმოსავლეთიდან ჩამოდიან იუდეაში. მათ გზის საჩვენებლად წინაუძღვის ვარსკვლავი, რომელმაც ისინი ჯერ იერუსალიმში, ხოლო შემდეგ ბეთლემში ჩაიყვანა, სადაც ახალშობილი მაცხოვარი იმყოფებოდა. იერუსალიმში ისინი ხვდებიან ჰეროდეს, რომელიც გაიგებს რა მოგვთა იუდეაში ჩამოსვლის მიზეზს, თავისთან იწვევს რჯულის მეცნიერებს და ეკითხება „იუდეველთა მეფის“ დაბადების ადგილისა და დროის შესახებ. ისინი ჰეროდეს ასხენებენ მიქეას წინასწარმეტყველებას, რომელშიც მაცხოვრის შობის ადგილად ბეთლემია დასახელებული. ამის შემდეგ ჰეროდე მასთან მოუხმობს მოგვებს და ეუბნება, რომ იპოვონ ახალშობილი მეფის ადგილსამყოფელი და მასაც შეატყობინონ, რათა თაყვანი სცეს მას. რეალურად კი, ახალშობილის მოკვდინება ჰქონდა განზრახული, რადგან მასში მეფობის შემცილებელს ხედავდა. როდესაც მოგვები მეფის სასახლიდან გამოვიდნენ, კვლავ ეჩვენა მათ ვარსკვლავი (რომელიც მათი იერუსალიმში ყოფნისას გაუჩინარებული იყო) და ბეთლემში ახალშობილ მაცხოვართან, მარიამთან და იოსებთან მიიყვანა. მოგვებმა თაყვანი სცეს ყრმას და მას სამი ძღვენი მიაართვეს: ოქრო, გუნდრუკი და მური. უფლის განჩინების შესაბამისად, ისინი სხვა გზით ბრუნდებიან თავიანთ ქვეყანაში (მთ. 2:1-12).

როგორც ცნობილია, ღმერთმა მოგვებს ვარსკვლავის მეშვეობით განუცხადა თავისი ზეალმატებული შობის შესახებ. საინტერესოა, რატომ იწება ღმერთმა წარმართებისთვის ამის გაცხადება მაშინ, როცა ისრაელიანთა აბსოლუტურმა უმრავლესობისთვის, რომელსაც ჰქონდა სწავლება და წინასწარმეტყველება ღვთის განკაცების შესახებ, დაფარული იყო. **მეტყ, შესაბამისი სახარებისეული ტექსტის თანახმად, იერუსალიმის მკვიდრებმა (ზოგადად, სრულიად პალესტინამ) მოგვებისგან, წარმართული სამყაროსგან, გაიგეს მესიის მოვლინების შესახებ, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს ნეტარი იერონიმე, რომელიც ბრძანებს: „იუდეველები თავიანთი მხსნელის დაბადებას წარმართებისგან**

იგებენ“.¹

წარმართული სამყარო უფრო მომზადებული შეხვდა ქრისტეს მოვლინებას, ვიდრე რჩეული ებრაელი ერი, რის გამოც მათ (წარმართებს) ერგოთ პატივი, მესიის განკაცება პირველებს შეეტყობოთ. ამ საკითხთან დაკავშირებით წმინდა ბასილი დიდი ბრძანებს: „მოგუნი, უცხოქმნულნი ღმრთისაგან და განშორებულნი აღთქმათაგან წარმართნი, პირველად თაყუანისცემისა ღირს-იქმნეს. ესე ამისთვის, რამეთუ **მტერთა მიერნი წამებანი უფროდსა ღირს რწმუნებისა არიან. რამეთუ უკუეთუმცა ჰურიათა მიერ თაყუანისცემულ იყო პირველ, საგონებელმცა იყო, ვითარმედ თვისსა პატივ-სცეს მათ ნათესავობასა.** ხოლო აწ, რომელნი არა იცნობდეს, ვითარცა ღმერთსა თაყუანის-სცეს, რადთა თვისნი იგი დაისაჯნენ, რამეთუ იგი ჯუარს-აცუეს“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 60).

დამოწმებული განმარტების თანახმად, უფლის მიერ წარმართებისთვის ღვთის განკაცების შეტყობინება ყოველგვარ მიკერძოებას გამორიცხავდა და მესიის მოვლინების საყოველთაობას უფრო აშკარას ხდიდა. ამავე ეგზეგეზის მიხედვით, ძე ღმერთის განკაცება პირველად ებრაელთათვის რომ გაცხადებულყო, შესაძლოა, ვინმეს ეფიქრა, რომ ღმერთი თავის ხორციელ ნათესავებს, ებრაელებს, რაიმე უპირატესობას ანიჭებდა. ამიტომ ინება უფალმა, რომ მისი განკაცების შესახებ ებრაულ სამყაროს წარმართთაგან შეეტყო.

საინტერესოა, ვინ იყვნენ სხენებული მოგვები. **გადმოცემის თანახმად, ისინი მეფეები იყვნენ და მათი სახელები იყო: მელქიორი, გასპარი და ბალთაზარი** (მათეს სახარების განმარტება წმიდა მამათა სწავლების მიხედვით 1998: 40).

სახარებაში არაფერია ნათქვამი მოგვების რაოდენობისა და მათი სახელების შესახებ. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს მოსაზრება, რომ ისინი სამნი იყვნენ. ეს გადმოცემა იკონოგრაფიაშიც აისახა, კერძოდ — სან აპოლინარე ნუოვოს ფრესკაზე (V-VI სს.) თითოეული მოგვის გამოსახულების თავზე მათივე სახელების წარწერებია განთავსებული (ილ. 7).

ქრისტეს შობის კომპოზიციის ზედა ნაწილში, როგორც ზემოთ ვახსენეთ, გამოსახულია **ვარსკვლავი**, რომლის სხივი ახალშობილ ყრმაზე ეშვება.

ძველი აღთქმის ერთ-ერთ წიგნში „ვარსკვლავის“ ამოსვლის შესახებ მოცემულია წინასწარმეტყველება, რომელიც ბალაამ ბოსორელმა წარმოთქვა: „აღმობრწყინდეს ვარსკვლავი იაკობისგან და აღდგეს კაცი ისრაჰლისაგან და მოსრნეს მთავარნი მოაბისანი“ (რიცხ. 24, 17). წარმოდგენილი წინასწარმეტყველება უკავშირდება მესიის მოსვლას, რომლის შობაც ვარსკვლავის მეშვეობით გაცხადდებოდა.

წმინდა იოანე ოქროპირი თავის ერთ-ერთ ჰომილიაში მოიხმობს ძველი აღთქმის

1 Блаженный Иероним Стридонский;
<https://ekzeget.ru/all-about-bible/ekzegets/ieronim-stridonskij-blazennyj/>

ისტორიას „რიცხვთა“-ს წიგნიდან, რომელშიც მოთხრობილია, თუ რა გარემოებაში წარმოითქვა წინასწარმეტყველება „აღმოსავლეთიდან აღმობრწყინებული ვარსკვლავის“ შესახებ. წმინდა მამის მიხედვით, იერუსალიმში ჩამოსული მოგვები არიან **ბალამ მოგვის შთამომავლები**, რომელთა მიმართ აღსრულდა ხსენებული წინასწარმეტყველება — მათ გამოუჩნდათ ვარსკვლავი, რომელმაც ისინი განკაცებული ღმერთის თაყვანისსაცემად იერუსალიმში ჩამოიყვანა (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 149).

აღნიშნულთან დაკავშირებით წმინდა იოანე დამასკელიც საუბრობს: „იხილეს მოგუთა **სპარსთა, მეფეთა ვარსკულავთმრაცხველთა, ბალამ ბოსორელისა შვილის-შვილთა** და განჰკრთეს ბრწყინვალეხასა მას ზედა ვარსკულავისასა და ბალამის წინაღწარმეტყუელებად მოაჰსენეს, რომელი-იგი თქუა, ვითარმედ: «აღმობრწყინდეს ვარსკულავი იაკობისგან და აღდგეს კაცი ისრაჰლისაგან და მოსრნეს მთავარნი მოაბისანი»“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 252).

დამოწმებული ეგზეგეზისის შინაარსი ადასტურებს, რომ ვარსკვლავის გამოჩინების შესახებ წინასწარმეტყველება ჯერ კიდევ ძველი აღთქმის პერიოდში არსებობდა. კერძოდ, მოსე წინასწარმეტყველი „რიცხვთა“ წიგნში წარმოგვიდგენს ბალამის სიტყვებს (რომელმაც, ბიბლიის თანახმად, ღვთის სიტყვა ისმინა): „აღმობრწყინდეს ვარსკულავი იაკობისგან და აღდგეს კაცი ისრაჰლისაგან და მოსრნეს მთავარნი მოაბისანი“ (რიც. 24, 17).

წმინდა ეფრემ ასურის მიხედვით, ზემოდაწმებული წინასწარმეტყველება **ზორობაბელს მიემართება, რომელიც ქრისტეს წინასახეა**: „ეს ზორობაბელია იუდეველთა გადამრჩენელი და ქრისტეს, ყველა ერის გამომხსნელის, წინასახე“ (წმ. ეფრემ ასური 2014: 132).

ასურელი მოძღვრის მიხედვითაც, მოხმობილი წინასწარმეტყველება ქრისტეს შესახებაა.

წმინდა იოანე დამასკელის ზემოდაწმებული სწავლების თანახმად, მოგვები სპარსი მეფეები არიან.

მოგვების სამშობლოდ სპარსეთს ასახელებს წმინდა ბასილი დიდცი და ცალსახად მიუთითებს, რომ სახარებაში წარმოდგენილი ვარსკვლავთმრცხველები ბალამ ბოსორელის შთამომავლები იყვნენ და მათი საქმიანობა სათავეს მათივე წინაპრების საქმიანობიდან იღებს: „ნათესავნი სპარსთანი მოგუნი გრძნებითა და საოცრებითა და ბუნებისა წინააღღგომითა ვნებითა შეპყრობილ იყვნეს და ცათა მოქცევასა ვარსკულავთმრაცხველობასა შექცეულ იყვნეს. და ამასვე ჯელოვნებასა სწავლულ იყო ბალამ“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 59).

პეტრე იერუსალიმელი ამბობს, რომ მოგვები სპარსეთიდან და ბაბილონიდან მოვიდნენ: „ყო ოდესმე წმიდამან კრებაჲმან სპარსეთი და ბაბილონელთა სამეუფოდ

დაუტევა და აქა მოემართა. ხოლო წინამძღურად ვარსკულავი იგი აქუნდა და გზისა სლვასა იგი განუგებდა მათ“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ა: 129).

გემოდასახელებული ეგზეგეზისის საფუძველზე, ქრისტეს შობის ადრექრისტიანული ხანის ზოგიერთ კომპოზიციაში მოგვებს სპარსული შესამოსელი მოსავთ, მაგალითად, გემოდასახელებულ სან აპოლინარე ნუოვოს ფრესკაზე (იხ. ილ. 7). სპარსული შესამოსელით შემოსილი მოგვები მოგვიანო ხანაშიც გამოისახებიან. ამ კუთხით აღსანიშნავია დაფნის მონასტერში არსებული მოგვთა XI საუკუნის მობაიკური გამოსახულება (ილ. 8).

მოგვიანო ხანაში ვარსკვლავთმრიცხველები სამეფო შესამოსლებითა და გვირგვინებით გამოისახებიან, რაც, ასევე, წმ. იოანე დამასკელის გემოდამოწმებული ეგზეგეზისის იკონოგრაფიული ასახვაა, რომლის მიხედვითაც, მოგვები მეფეები იყვნენ. ამ კუთხით ძალიან საინტერესოა ატენის სიონის მოხატულობა (XI ს.) (ილ. 10), სადაც მოგვთა თავყანისცემის ამსახველ ფრესკაზე განთავსებულია წარწერა: „მოგუნი მეფენი“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ა: 182).

იესო ქრისტეს შობის კომპოზიციის თავზე გამოსახულია ვარსკვლავი, რომლის სხივიც ახალშობილ ყრმაზე მიუთითებს (ილ. 1). აღნიშნული იკონოგრაფიული დეტალის გამოსახვის ორი მიზეზი არსებობს: პირველი — სახარების თხრობა, რომლის მიხედვითაც, ვარსკვლავმა მოგვები ჯერ იერუსალიმში, ხოლო შემდეგ ბეთლემში, ყრმის ადგილსამყოფელთან მიიყვანა. ხოლო მეორე — ვარსკვლავის საღვთისმეტყველო მნიშვნელობა. წმინდა იოანე ოქროპირი ამ ციურ მნათობს **„ძალი რადმე უხილავად“** მოიხსენიებს, რომელსაც ვარსკვლავის სახე ჰქონდა. დავიმოწმებთ შესაბამის ეგზეგეზისს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „არა იყო ვარსკულავი იგი ერთი მრავალთა ამათ ვარსკულავთაგანი. და უფროდსად ეგრეთ ვიტყვ, თუ ყოვლადვე არა ვარსკულავი იყო, არამედ ძალი რადმე უხილავი, ესევეთარსა სახესა შეცვალებული...“ (წმ. იოანე ოქროპირი 2014: 96).

კონსტანტინოპოლელი მოძღვრის მიხედვით, ხსენებული ვარსკვლავი მისი ბუნებისთვის უჩვეულო თვისებებს ავლენდა: ვარსკვლავების მოძრაობის ტრაექტორიის საწინააღმდეგოდ მოძრაობდა, დღისითაც და ღამითაც მზის შუქზე აღმატებულად ანათებდა, მოგვებს ახალშობილი ყრმის სამყოფელისკენ წინამძღვრობდა (წმ. იოანე ოქროპირი 2014: 96-97).

მაცხოვრის შობასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საკითხავში (რომლის ავტორიც უცნობია და რომელიც XV საუკუნის ხელნაწერთაა ჩვენამდე მოღწეული) ვარსკვლავს ღვთის ძალა ეწოდება, რომელიც მიწის სიახლოვეს მოძრაობდა, მოგვებს გზას უჩვენებდა და მზეზე აღმატებულად ანათებდა: „ვარსკულავი იგი არა ვარსკულავთა ამათგანი იყო სამყაროდსათა, არამედ ძალი იყო, გეგარდამო მოვლინებული... ჩრდილოთ და

სამხრად იყო სლვად მისი, რამეთუ ესე არს სპარსეთით ჰურიასტანად სავალი. და არა მალალთა შინა გამოჩნდებოდა, არამედ მახლობელად ქუეყანისა ვიდოდა, ვიდრეა დაბასა მცირესა და ქუაბსა კნინოდენსა უჩუენებდა. და რომელ ამის ყოვლისა უმეტეს — არა ხოლო თუ ღამით, არამედ დღისითცა ესეოდენ ბრწყინვიდა, ვიდრე ნათელსაცა და შარავანდელსა მზისასა დაჰფარვიდა“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 287).

წმინდა ბასილი დიდის მიხედვით, სახარებაში მოხსენიებული მნათობი ვარსკვლავია, რომელსაც განსაკუთრებული და ვარსკვლავისთვის უჩვეულო თვისებები აქვს: „და თვთ ვარსკულავთა ბუნებად ეგრეთ არს: დამტკიცებულნი იგი არაოდეს შეიძრვიან და მოძრავნი იგი არაოდეს დადგებიან. ხოლო ამას ვინაჲთგან ორივე აქუნდა თავსა შორის თვსსა — **ძრვადცა და დადგომადცა** — საცნაურ არს, ვითარმედ არა სხუათა მსგავსი იყო: რამეთუ აღიძრა აღმოსავალით, ვიდრე ბეთლემადმდე და დადგა ზედა, სადა იყო ყრმაჲ იგი“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 60).

იმავეს იმეორებს წმინდა გრიგოლ ნოსელიც: „სხუანი იგი ვარსკულავნი, ვითარცა ერთგზის დაიბადნეს და დაეწესნეს ცათა სარბიელსა, რომელთა ძრვად ებრძანა, სამარადისოდ იძრვიან და რომელნი დგანან, სამარადისოდ მდგომარე არიან. **ხოლო ესე იძრვისცა და წინაცა უძღვს მოგუთა და დადგებისცა და აუწყებს ადგილსა შობილისა მის მეუფისასა**“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 114).

წმინდა მამების ზემოდამოწმებული ეგზეგეზისიდან გამომდინარე, სახარებისეული თხრობის საფუძველზე ქრისტეს შობის კომპოზიციაში წარმოდგენილი „ვარსკვლავი“, მისი თვისებების გამო, აბსოლუტურად სხვაობს სხვა, ჩვეულებრივი ვარსკვლავებისგან, კერძოდ, მოგვების „წინამძღვარი“ ვარსკვლავი მისი მოძრაობის ტრაექტორიით, თუ, საჭიროების შემთხვევაში, მოძრაობის შეწყვეტით, უშუალოდ მიუთითებდა მგზავრებს სავალი გზის მიმართულებას, რაც, ზოგადად, არ ახასიათებს ვარსკვლავების ბუნებას, რადგან ისინი, საღვთო განგებულების შედეგად, ან მუდმივად სტატიკურ ან მუდმივად დინამიკურ მდგომარეობაში არიან. მოგვებისადმი გამოჩენილი ვარსკვლავი თავისი მდგომარეობით წარმოაჩენს ღვთის განკაცების განსაკუთრებულ, უპრეცედენტო მოვლენას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგვების მეწინამძღვრედ გამორჩეული ვარსკვლავი ამგვარადაც მოიხსენიება: „**ძალი რაჲმე უხილავი**“; „**ძალი იყო, ზეგარდამო მოვლინებული**...“.

რა იგულისხმება „ზეგარდამო მოვლინებულ, უხილავ ძალაში“? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, შესაძლოა, ქრისტეს შობის იკონოგრაფიული კომპოზიციის ერთ-ერთი ვერსია დაგვეხმაროს, კერძოდ — არსებობს გამოსახულება, სადაც მოგვებს არა ვარსკვლავი, არამედ ანგელოზი მიუძღვით და ახალშობილი ყრმისკენ მიუთითებს. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა X საუკუნის იფხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოხატულობა (ილ.

12), სადაც მოგვთა წინამძღოლი ანგელოზთა ფიგურა სიდიდით თავად ღვთისმშობელსაც კი აჭარბებს (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ა: 182).

მსგავსი ტიპის გამოსახულებას კაბადოკიაშიც ვხვდებით, კერძოდ, ტოკალი-ქილისეს XI საუკუნის მოხატულობაში (ილ. 11).

ყველა ეგზეგეტი თანხმდება იმაზე, რომ ხსენებული ვარსკვლავი სხვა ვარსკვლავთაგან სრულიად განსაკუთრებული და განსხვავებული იყო და იგი ღვთისგან კაცობრიობისთვის საყოველთაო ხსნის საუწყებლად საგანგებოდ იქნა მოვლინებული.¹

სახარებისეული თხრობის შესაბამისად, ქრისტეს შობის კომპოზიციაში გამოსახულია, თუ როგორ მიართმევენ მოგვები ახალშობილს ძღვენს – ოქროს, გუნდრუკსა და მურს. აღნიშნული სამი ძღვენის სახისმეტყველებით მნიშვნელობაზე არაერთი წმიდა მამა საუბრობს. შესაბამისი ეგზეგეზისის მიხედვით, ყრმა მაცხოვარს ოქრო მიართვეს როგორც მეუფეს, გუნდრუკი – როგორც ღმერთს, მური – როგორც ადამიანს. კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით დავიმოწმებთ რამდენიმე საეკლესიო მოძღვრის განმარტებას.

წმინდა იოანე ოქროპირი: „მოართუეს გუნდრუკი, ვითარცა ღმერთსა, ოქროდ, ვითარცა მეუფესა, მური, ვითარცა ჩუენთუს განკაცებულსა, რომელსა ეგულებოდა სიკუდილისა გემოდა ხილვად და სამ დღე საფლავსა დადებად, რამეთუ ამისი სახე იყო მური იგი“ (წმ. იოანე ოქროპირი 2014: 125).

წმინდა გრიგოლ ნოსელი: „მათ, ვითარცა ღმრთისა, შეწირეს მისა გუნდრუკი; და ოქროდ – ვითარცა მეუფისა; და მური – ვითარცა ჩუენთუს ვნებად მომავალისა“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 121).

წმინდა იოანე დამასკელი: „მოართუეს მას ძღუენი – ოქროდ, გუნდრუკი და მური; ოქროდ, ვითარცა მეუფისა, გუნდრუკი, ვითარცა ღმრთისა და მური, ვითარცა მოკუდავისა. და მაშინ აღესრულა თქმული იგი წინაწარმეტყუელისა მიერ: «მეფეთა თარშისათა და ჭალაკთა ძღუენი შეწირონ მისსა, მეფეთა არაბიადსათა და საბადსათა ძღუენი მოართუან მას და ვითარმედ მიეცეს მას ოქროდა მისგან არაბიადსა»“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი

1 ეგზეგეტიკები კიდევ ერთ საინტერესო საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას, კერძოდ, წარმართულმა და ებრაულმა „სამყაროებმა“ ერთმანეთისგან ბევრი რამ ისწავლეს. ქრისტიანობა მოიყვას ძველი აღთქმის სწავლებასაც, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ძველსა და ახალ აღთქმაში ერთი ღმერთისგან მომდინარეა საღვთო ცხოვრებისთვის საჭირო მცნებები, შესაბამისად, წარმართების ოდენ გულმოდგინება ვერაფერს გახდებოდა, რომ არა თავად ქრისტეს განკაცება ისრაელში. შეიძლება ითქვას, რომ ღმერთი ებრაულ სამყაროში მოვიდა სრულიად მსოფლიოსთვის. წარმართებმა სწორედ ისრაელში და ისრაელიდან გაიგეს მსოფლიო მხსნელის შესახებ. ამასთან დაკავშირებით წმინდა იოანე ოქროპირი მრძანებს: „და აქცა იხილე, ვითარ განგებულეებით საკვრველნი საქმენი იქმნებოდეს: რამეთუ ისწავეს ერთმანერთისაგან და ასწავეს ურთიერთას მოკუთა მათ და ჭურიათა; რამეთუ ჭურიათა ესმა მოკუთაგან, ვითარმედ ვარსკულავმან ქადაგა სპარსეთს შობად ქრისტესი, და კუალად მოკუთა ისწავეს ჭურიათაგან, ვითარმედ რომელი-იგი ვარსკულავმან აუწყა მათ, ესე არს, რომელსა წინაწარმეტყუელნი პირველ მრავლისა ჟამისა ქადაგებდეს, და გამოკითხვად იგი მოძღურებისა მიზეზ განცხადებულისად ექმნა ორთავ“ (წმ. იოანე ოქროპირი 2014: 111).

ღვთის განკაცების შესახებ 2010: 258).

უცნობი ავტორი: „ოქროდ, გუნდრუკი და მური, ვითარცა მეუფესა და ღმერთსა და ჩუენთვს განკაცებულსა და სიკუდილად მიმავალსა, რამეთუ ჩუენ მის მიერ უკუდავებად მოვიდოთ“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 289).

მოგვების მიერ გაღებული ძღვენის განსხვავებულ სახისმეტყველებით მნიშვნელობაზე საუბრობს წმინდა მაქსიმე აღმსარებელი: „რამეთუ ესეცა მადლმან სულისა წმიდისამან აუწყა ესევითარისა ძღუნისა შეწირვად, რადთა სახე-გუექმნენ ესევითართა სულიერთა ძღუნთა შეწირვისა, რადთა შევსწირვიდეთ მოქალაქობასა კეთილსა და წმიდასა, ვითარ ოქროსა, ხოლო გულისწმისყოფასა და ხედვასა სულიერსა, ვითარცა გუნდრუკსა, და მოკუდინებასა ვნებათა და ასოთა მათ ჴორციელთასა, ვითარცა მურსა, რომლისაგან იქმნების უვნებლობად და სასუფეველი ცათად მოგუეცემის“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ა: 173).

წმინდა მაქსიმეს მიხედვით, მოგვები ძღვენის მისართმევად სულიწმინდის მადლმა აღძრა. ოქროს შეწირვა ადამიანების მიერ წმინდა ცხოვრების ღვთისთვის მიძღვნას მოასწავებს, გუნდრუკი — სულიერ ხედვას, მური — ხორციელი ვნებების მოკვეთას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო განმარტებაა ერთ-ერთ საეკლესიო საგალობელში: „ეუწყა მოგუთა ბაბილონს შობად შენი, მეუფეო, ძღუნითა მოვიდეს ქუაბად ბეთლემისა, წინაძლომითა ვარსკულავთმთავრისადათა და შეწირეს ოქროდ, გუნდრუკი და მური სახედ სამებისა ერთარსებისა და თაყუანის-სცეს ღმერთსა, რომელი მოვიდა ცხორებად კაცთა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ:164).

დამოწმებული საგალობლის მიხედვით, სამი ძღვენი მოასწავებს ერთარსება სამების სამ ჰიპოსტასს.

ერთ-ერთ საგალობელში სამი ძღვენის განსხვავებულ სახისმეტყველებას ვხვდებით: **„სარწმუნოებად ოქროდსა წილ, ხოლო სიყვარული — მურისა და სასობად — გუნდრუკისა შევწირით ქრისტესა, თვსთა მომავალისა“** (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 197).

დამოწმებული ტექსტის მიხედვით, ოქრო რწმენის სახეა, მური — სიყვარულის, ხოლო გუნდრუკი — სასობის.

ქრისტეს შობის კომპოზიციაში ერთ-ერთი გამოკვეთილია მწყემსთა თაყვანისცემის გამომსახველობა. ამ კუთხით გამოსარჩევია კვიპროსის XIII საუკუნის ფრესკა (ილ. 13), სადაც წარმოდგენილი არიან მწყემსები, რომლებიც იქვე მყოფ ცხვრებს მწყემსავენ. მათ ზემოთ მოჩანს ანგელოზი, რომელიც მწყემსებისკენ იმბირება და, როგორც მისი ჟესტიკულაცია გვამცნობს, მათ ესაუბრება. აღწერილი გამომსახველობა შესაბამისი სახარებისეული თხრობის საფუძველზეა შექმნილი. ლუკას სახარების მიხედვით, „მწყემსნი იყვნეს მასვე სოფელსა, ველთა დგებოდეს და ჴუმიღვიდეს საჴუმიღავსა ღამისა

სამწყსოსა მათსა. და აჰა, ანგელოზი უფლისად დაადგრა მათ ზედა, და დიდებად უფლისად გამოუბრწყინდა მათ და შეეშინა მათ შიშითა დიდითა. და ჰრქუა მათ ანგელოზმან მან უფლისამან: ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა ესერა, გახარებ თქვენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა: რამეთუ იშვა დღეს თქვენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა. და ესე იყოს თქვენდა სასწაულად: ჰპოთ ყრმად იგი შეხუებული და მწოლარე ბაგასა. და მეყსეულად იყო ანგელოზისა მის თანა სიმრავლე ერთა ცისათად, აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშვიდობად, და კაცთა შორის სათნობად. და იყო, ვითარცა აღვიდეს ანგელოზნი იგი ზეცად, მწყემსთა მათ თქუეს ურთიერთას: განვიდეთ ჩუენ ვიდრე ბეთლემადმდე და ვიხილოთ სიტყუად ესე, რომელი იყო ჩუენდა მომართ, რომელი-იგი უფალმან მაუწყა ჩუენ. და მოვიდეს მსწრაფლ და პოვეს მარიამ და იოსებ და ყრმად იგი, მწოლარე ბაგასა. და ვითარცა იხილეს, გულსგმა-ყვეს სიტყუად იგი, რომელი ითქუა მათა მიმართ ყრმისა მისთვის. და ყოველთა, რომელთა ესმოდა, უკვრდა სიტყუად იგი მწყემსთად მათ მათდა მიმართ. ხოლო მარიამს დაემარხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულსა თვსსა. და მიიქცეს და წარვიდეს მწყემსნი იგი, აღიდებდეს და აქებდეს ღმერთსა ამას ყოველსა ზედა, რომელი ესმა და იხილეს, ვითარცა-იგი ითქუნეს მათდა მიმართ“ (ლკ. 2, 8-20).

წმინდა ათანასე ალექსანდრიელი ამბობს, რომ ანგელოზთა მიერ წარმოთქმულ საგალობელს მწყემსებიც უერთდებოდნენ: „ვიტყოდით ანგელოზთა თანა: «დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა». და მწყემსთა თანა ვიტყოდით: «ქუეყანასა ზედა მშვიდობად და კაცთა შორის სათნობად»“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 44).

ანგელოზთა გალობის შინაარსზე ამახვილებს ყურადღებას წმინდა იოანე დამასკელი: „განკვრებულნი ანგელოზნი კეთილად შეწყობით დაღადებდეს: «დიდებად მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობად და კაცთა შორის სათნობად», რამეთუ რომელი-იგი მაღალ არს, ჩუენთვის მდაბალ იქმნა და ქუეყანისათა მშვიდობად დაუწინდა მამისა მიმართ თვსისა მან, რომელი-იგი მამამან სათნო-იყო“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 279-280).

ერთ-ერთი უცნობი განმმართველი ბრძანებს: „მწყემსნი იგი შეშინდეს რად და შეძრწუნდეს საკვრველისა მის ხილვისაგან, კუალად ანგელოზმან ნათლისამან შიში იგი განუქარვა და ამცნო სიხარული“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 286).

მწყემსების ვინაობა უცნობია, თუმცა ის კი ნამდვილად ვიცით, რომ ისინი უდავოდ გამორჩეულები იყვნენ, სხვა შემთხვევაში ღმერთი მათ ქრისტეს შობის შესახებ პირველებს არ ამცნობდა.

წმინდა იოანე დამასკელის მიხედვით, მწყემსები სახეობრივად დაკავშირებულნი არიან ქრისტესთან, რომელიც თავად არის „მწყემსი კეთილი“: „მწყემსთა სიხარული დიდი

ეხარა ანგელოზთაგან, რომელი-იგი არს ყოვლისა ერისად, ვითარცა იტყვს, ვითარმედ: «იშვა თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისასა, მწყემსი მწყემსთად და მწყემსთმთავარი და მღვდელთმთავარი და მეუფე და მოღუაწე, რომელმან სამწყსონი სიტყვური შეჰმზადნეს და მწყემსნი ბრძენნი და ჭეშმარიტნი დაუდგინეს, რომელთაცა სულნი მათნი დასხენ კეთილად საწმყოფსა მათისათვის, ვითარცა მწყემსთმთავარმან ქრისტემან დადვა ყოველთათვის, და მწუანვილთა მიმართ საცნაურთა ზეცისა სასუფეველისათა სამწყსონი თვისნი წარჰმართენ და საჭურველითა ჟუარისადთა განიოტენ მგელნი ბაკისაგან მათისა და შემუსრნენ, რომელსა ეწოდების კუერთხ რკინისა, რომლითა მოიგნეს ქრისტემან წარმართნი სამკვდრებელად თვისა და კიდენი ქუეყანისანი დაიპყრნეს“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 252).

წმინდა გრიგოლ ნოსელის მიხედვით, მწყემსებში სასულიერო პირები მოიაზრებიან, რომელთაც ადამიანებს ქრისტესკენ უნდა უწინამძღვრონ. ამასთან დაკავშირებით ნისის ეპისკოპოსი ბრძანებს: „ჭეშმარიტად ჩუენ ვართ მწყემსნი და ვჯუმილავთ და ვიღვძებთ სამწყსოთა ჩუენთათვის. და უკუეთუ ესე ესრეთ არს, მაშა ჩუენდა მომართ სამე არს ჳმად იგი ანგელოზთად, რომელნი გუახარებენ ჩუენ სიხარულსა ამას დიდსა... და რადასათვისმე აღიდებს ანგელოზებრივი ესე ჳმად მაღალთა შინა მყოფსა ღმრთეებასა? ამისთვის, რამეთუ ქუეყანასა ზედა იქმნა მშუდობად“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 116-117).

ქრისტეს შობის კომპოზიციის ვრცელი რედაქცია აერთიანებს „ყრმათა მოსვრის“ სცენასაც, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოდგენს იკონოგრაფიულ თხრობას იმის შესახებ, თუ როგორ მოსრა ჰეროდემ ბეთლემში ორი წლისა და უფრო მცირე ასაკის ყრმები იმ იმედით, რომ მათ შორის ახალშობილი „იუდეველთა მეფე“ იქნებოდა. მათე მახარებლის თხრობის თანახმად, ჰეროდემ „წარავლინა და მოსწყვდა ყოველი ყრმები, რომელნი იყვნეს ბეთლემს და ყოველთა საზღვართა მისთა ორით წლითგანი და უდარესი, მსგავსად მის ჟამისა, ვითარცა გამოიკითხა მოგუთა მათგან. მაშინ აღესრულა თქუმული იგი იერემია წინაღწარმეტყველისად, რომელსა იტყვს: ჳმად ჰრამადთ ისმა გოდებისა და ტირილისა და ტყებისად მრავალი; რაქელ სტიროდა შვილთა თვისთა და არა უნდა ნუგეშინის-ცემის, რამეთუ არა არიან“ (მთ. 2, 16-18).

დამოწმებული სახარებისეული თხრობის იკონოგრაფიას წარმოგვიდგენს სინას მთაზე დაცული XII საუკუნის ქრისტეს შობის ამსახველი ხატი (ილ. 14), რომელზეც „ყრმათა მოსვრის“ სცენა ხატის ქვედა რეგისტრშია განთავსებული. ხატზე ვხედავთ მეომრებს, რომელნიც უმოწყალოდ კლავენ ყრმებსა და მათ დედებს. ვხედავთ შუბზე აგებულ ყრმებს, ხმლის ქვეშ მოდრეკილ ყრმათა დედების თავებს. წარმოდგენილი გამომსახველობა არა მხოლოდ სახარებისეულ თხრობას გადმოგვცემს, რომელშიც ხსენებული ისტორია მოკლედ არის გადმოცემული, არამედ შესაბამისი ეგზეგეზისის გამოხატულებაა, რომლის მიხედვითაც, სახარებაში გადმოცემული ყრმათა ამოხოცვის

ისტორია დეტალურადაა აღწერილი. ამ მხრივ გამორჩეულია წმინდა გრიგოლ ნოსელის ეგზეგეზისი: „რომელმან-მე სიტყუამან გამოთქუას განსაცდელი იგი, ანუ ვითარმან მითხრობისა ძალმან წარმოაჩინოს ბოროტი იგი, აღრეული იგი გოდებად და ტკივნეული იგი ვალალაებად შვილთა და მშობელთად, თვსთა და ნათესავთად... ვითარ ვინ გამოსახოს, რაჟამს-იგი მტარვალთა შიშულითა წრმლითა ზედამიდგომილ არნ ჩჩვლისადა და მძვნვარედ მიხედავენ, მკლველებერ ზრახვენ და სასტიკად იზახენ და ზედა-მიუვალნ და ერთითა წვლითა ჩჩვლსა მას მიიზიდვენ მისსა, ხოლო მეორითა — მახვლსა წულილსა უხეთქენ მას, ხოლო დედად მისი ერთკერძო ჩჩვლსა მას მიიზიდვენ მისსა და სხვთ კერძო ქედსა თვსსა წარუპყრობნ მახვლსა, რადთა არა იხილოს უბადრუკი იგი ჩჩვლი წვლითა მტარვალთადთა განბძარული?! ეგრეთვე კუალად, მამათა მათთა ვითარ ვინ წარმოთქუას ტირილი და ტყებად და უკუანაფსკნელი იგი შვილთა შეტკობად და მკერდსა ცემადა და სხუანი იგი მწუხარებისა სახენი... უბადრუკსა მას დედასა ძუძუდა შთადედის პირსა ჩჩვლისასა და სისხლიცა მისი შეიწყნარის წიადთა თვსთა და მრავალგზის უწყალოდ ხეთქნებითა მტარვალისადათა ჩჩვლისა თანა დედისაცა გული განიგურიმის და ერთი სისხლისა მდინარე განიზავის ჩჩვლისა და მშობელისადა?! ... შუაგარდასრულსა მას ჟამსა ორთა შვილთა დედა ექმნის იგივე დედად და ამის ესევეთარისაგან ესევეთარი ულხინებელი ბოროტი წარმოიჩინების, რამეთუ ორთა მტარვალთა მოეცვის ერთი იგი დედად და ერთი იგი შეიპყრობნ პირველშობილსა მას ჩჩვლსა და მეორე ძუძუდსმწოვარსა მას წიადთაგან მისტაცებნ. რადმცა უკუე ყოს ამისთვის საწყალობელმან მან დედამან, ანუ რადცა იქმნა, რაჟამს ბუნებად ორთავე მათ შვილთა მიმართ განიპებინ და ორთავე მიერ ზოგადი ცეცხლი აღატყდებინ ნაწლეუთა შინა მისთა და არა უწყინ, თუ რომელსამცა შეუვრდა ბოროტთა მათ მტარვალთაგანსა, რომელნი-იგი იმიერ და ამიერ დაკლვად მიზიდვიდიან ჩჩვლთა მათ, ანუ თუ რომლისამცა ჩჩვლისა კერძო მიიქცა — ახალშობილისა მისმცა უსრული იგი და უჩინოდ ჳმად ისმინა და გურინვითი იგი და საწყალობელი გოდებად, ანუ თუ მეორისა მისმცა ენაბრგუნვილი იგი და ჩჩვლებრივი სიტყუად ყურად-ილო, რომელი-იგი დედით ჳხადინ და ცრემლთა ღუარითა ილტობინ? რადმცა ყო, რადმცა მოიგონა, ანუ რომელსამცა მისცა დედობრივი და ტკბილი პასუხი?! ანუ თუ რომელიმცა დაიტირა პირველ“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 122-123).

წმინდა გრიგოლ ნოსელის მიხედვით, ვერანაირი სიტყვა და თხრობა ვერ გადმოსცემს ამ ისტორიის საშინელებას. დედები ერთი ხელით ჩვილებს იკრავდნენ გულში, ხოლო მეორეხელით ჯალათის მახვილს ქედს უხრიდნენ. მათარ უნდოდათ რომ საკუთარი შვილის სიკვდილისთვის ემზირათ, ამიტომ ჯერ თავად კვდებოდნენ. ნოსელი მღვდელთმთავარი განსაკუთრებული სიმძაფრით მოგვითხრობს, რომ დედები, რომელნიც ბავშვებს ძუძუს აწოვებდნენ, ჩვილებთან ერთად კვდებოდნენ და ყრმათა გულებთან ერთად დედების გულებიც იგმირებოდა.

ზოგიერთ დედას ამ ორი წლის განმავლობაში უკვე ორი შვილი ჰყავდა. ჯალათები

ორივეს კლავდნენ და დედას, რომელიც თავის შვილებს დასაცავად ეფარებოდა, ზედ აკლავდნენ. წმინდა გრიგოლ ნოსელი სვამს კითხვას, თუ ვისი ხმა ისმინოს დედამ ამ შემთხვევაში, უმცროსი შვილის გულისგამგმირავი ტირილის თუ უფროსი ყრმის, რომელიც „დედას“ ამბობს, საშინლად ტირის და საშველად უხმობს მას. ვის გასცეს დედობრივი პასუხი?! პირველად რომელი დაიტეროს?

რატომ დაუშვა ღმერთმა ამ უდანაშაულო ყრმათა მოსვრა? ამ კითხვაზე წმინდა იოანე ოქროპირი ამგვარად პასუხობს: „ხოლო თქვენ, მორწმუნენო, რომელთა-ესე სიტყუანი გესმიან, ნუ სულმოკლე იქმნებით, ნუცა იტყვთ, თუ შეურაცხ იქმნა კლვად იგი ყრმათა მათ. არა ეგრეთ, არამედ იგინი ნათელსა ზეცისასა ღირს-იქმნეს“ (წმ. იოანე ოქროპირი 2014: 139).

კოსტანტინოპოლელი მოძღვრის მიხედვით, ყრმები ცათა სასუფეველს იმკვიდრებენ.

ამ საკითხს საგანგებო ჰომილიას უძღვნის წმინდა ბასილი სელევკიელი, რომელიც ცალსახად აღნიშნავს, რომ უფალმა ამ ყრმების სულები „აბრაჰამის წიაღთა შინა დაასაყდრნა“ (ბასილი სელევკიელი 2010: 28).

წმინდა გრიგოლ ნაზიანზელის მიხედვით, ყრმათა მოსვრა არის მსხვერპლი, რომელიც ქრისტეს მსხვერპლშეწირვას მოასწავებს: „ერთი ხოლო მოიძულე შობისა ქრისტესნი: მოწყუედა იგი ჰეროდეს მიერ ჩხვლთაჲ! და უფროდსლა ითქუმის, პატივ-სცა მას შესაწირავსა მობაძავ ქრისტესსა უწინარქს საკვრველისა შესაწირავისა“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 75).

იმავე შინაარსს შეიცავს ერთ-ერთ საეკლესიო საკითხავში გადმოცემული სწავლება: „იხარებდით ჩხვლნი, დაკლულნი ქრისტესსთვს, და ახარეთ რაქელს გოდებისა წილ გალობად საღმრთოდ შვილთა მავათ ბეთლემისათა, რომელი აწ იხარებთ სასუფეველსა მარადის“ (აბულაძე 1982: 293-301).

დამოწმებული ეგზეგეზისის მიხედვით, ღვთის მიერ ამ განსაცდელის დაშვებით ყრმებს ცხონება და გადარჩენა ეწყალობათ.

ამავე იკონოგრაფიულ სცენაშია ჩართული უფლის ეგვიპტეში ლტოლვისა და მისი დაბრუნების სცენებიც. მაგალითისთვის ზემოთ უკვე დასახელებულ სინას მთაზე დაცულ XII საუკუნის ქრისტესშობის ამსახველ ხატს მოვიხმობთ (ილ. 14). როგორც სახარებისეული თხრობიდან ვიგებთ, უფლის ანგელოზი იოსებს განუცხადებს, რომ ჰეროდესგან მომავალი საფრთხის გამო დატოვოს ბეთლემი და ეგვიპტეში წავიდეს. იოსები აღასრულებს ანგელოზის განჩინებას. სწორედ ამის შემდეგ ხდება ყრმების ამოხოცვა. ჰეროდეს გარდაცვალების შემდეგ იგივე ანგელოზი ეცხადება იოსებს და ეუბნება, რომ უკან დაბრუნდეს. ხოლო მას შემდეგ, რაც იოსები გაიგებს, რომ იუდეაში ჰეროდეს ნაცვლად მისი ვაჟი — არქელაოსი მეფობს, იქ მისვლას მოერიდება და, იმავე ანგელოზის განჩინებით, ნაზარეთში დამკვიდრდება, რითაც, როგორც მათე მახარებელი შენიშნავს, აღესრულება წინასწარმეტყველება „ნაზარეველად წოდების“ შესახებ. დავიმოწმებთ

შესაბამის სახარებისეულ ტექტს: „ანგელოზი უფლისად გამოუჩნდა ჩუენებით იოსებს და ჰრქუა: აღდგ და წარიყვანე ყრმაი ეგე და დედაი მაგისი და ივლტოდე ეგვპტედ და იყავ მუნ, ვიდრემდე გრქუა შენ, რამეთუ ეგულების ჰეროდეს მოძიებად ყრმისა მაგის და წარწყმედად ეგე. ხოლო იგი აღდგა და წარიყვანა ყრმაი იგი და დედაი მისი ღამე და წარვიდა ეგვპტედ და იყო მუნ, ვიდრე აღსრულებადმდე ჰეროდესა. რაათა აღესრულოს სიტყუად იგი უფლისად, თქუმული წინაღსწარმეტყუელისა მიერ: ეგვიპტით უწოდე ძესა ჩემსა... რაჟამს აღესრულა ჰეროდე, აჰა ანგელოზი უფლისად გამოცხადა ჩუენებით იოსებს ეგვპტეს და ჰრქუა: აღდგ და წარიყვანე ყრმაი ეგე და დედაი მაგისი და წარვედ ქუეყანად ისრაჰლისა, რამეთუ მოსწყდეს, რომელნი ეძიებდეს სულსა მაგის ყრმისასა. ხოლო იგი აღდგა და წარმოიყვანა ყრმაი იგი და დედაი მისი და მოვიდა ქუეყანად ისრაჰლისა. და ვითარცა ესმა, რამეთუ არქელაოს მეფობს ჰურიასტანს ჰეროდეს წილ, მამისა თვისისა, შეეშინა მისლვად მუნ და ბრძანებაი მოილო ჩუენებით და წარვიდა კერძოთა გალილეაჲსათა. და მივიდა და დაემენა ქალაქსა შინა, რომელსა ჰრქვან ნაზარეთ, რაათა აღესრულოს თქუმული წინაწარმეტყუელისა მიერ, ვითარმედ: ნაზარეველ ეწოდოს“ (მთ. 2, 13-15; 19-23).

საეკლესიო მოძღვართა განმარტების მიხედვით, უფლის ეგვიპტეში ლტოლვა არ უნდა იყოს გაგებული ისე, თითქოს უფალს ჰეროდესი შეეშინდა. რა თქმა უნდა, ყოვლადძიერი ღვთისათვის შიში უცხოა. წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით, უფალი ამით თავის განკაცებას უსვამს ხაზს — თუკი ჰეროდე უფალს შეიპყრობდა და ვერ მოკლავდა, „არამცა სარწმუნო იქმნა, თუ ჯორცნი შეისხნა, არამცა შეწყნარებულ იქმნა სიტყუად იგი განკაცებისად, რამეთუ ესეცა იქმნა და სხუად მრავალი ვაცობრივითა წესითა“ (წმ. იოანე ოქროპირი 2014: 126).

გარდა ამისა, უფლის ეგვიპტეში ჩასვლა, რომელიც იმ პერიოდში კერპთ-თაყვანისმცემლობის ერთ-ერთი ცენტრი იყო, მოასწავებდა მომავალში მის „მონაზონთა სამშობლოდ“ გარდაქმნას (წმ. იოანე ოქროპირი 2014: 127).

იმავეს ამბობს ევსები ალექსანდრიელიც, რომ უფლის ეგვიპტეში ლტოლვის მიზეზი იყო „რაეთამცა დააცხრო კუმევაი იგი სულმყრალობისად ეგვპტისად და სიბორგილი იგი, რომელ აღესრულებოდა ეგვპტეს“ (ევლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 214).

წმინდა ათანასე ალექსანდრიელი, ასევე, ბრძანებს: „შევიდა ეგვპტედ და შეარყინა ჯელითქმუნული ეგვპტისანი, არათუ ცალიერად, არამედ რაათა დაჰჰსნეს შესავალნი ეგვპტისანი პირმშოთა მათ წარწყმედისანი. ამისთჳს დღეს შევიდა მუნ ვითარცა პირმშოდ, რაათა პირველისა მის მწუხარებისად დაჰჰსნეს გლოვად. რამეთუ პირმშოდ წოდებულ არს ქრისტჳ, მოწამედ წარმოდეგინ დღეს ლუკა მახარებელი, რამეთუ იტყვს: და შვა ძჳ მისი პირმშოდ და შეხვა მას სახუეველი და მიაწვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო ადგილი სავანესა მას (ლკ. 2, 7)“ (შანიძე 1959: 37).

ერთ-ერთი საეკლესიო საგალობლიდან ვისმენთ: „ეტლსა მას სიწმიდისასა, ღრუბელსა ზედა სულ მცირესა მკდომარს უფალი საბაოთ რაჟამს შევიდა ეგვპტედ, მოისრნეს წელითქმნულნი ეგვპტისანი“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 61).

წმინდა გრიგოლ ნაზიანზელი უფლის ეგვიპტეში ლტოლვაში ქრისტიანთა დევნის წინამოსწავებას ხედვას: „უკუეთუ ივლტოდა იგი ეგვპტედ, მის თანა ივლტოდე გულსმოდგინედ. რაჟომ კეთილ არს სივლტოლად ქრისტეს თანა, რაჟამს იდევნოს იგი“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 75).

არსებობს ქრისტეს შობის იკონოგრაფიული სქემა, სადაც გამოქვაბულში მყოფი ყოვლადწმინდა ქალწული ახალშობილ მაცხოვარს ძუძუს აწოვებს (ილ. 15). საინტერესოა, რომ აღნიშნულის შესახებ უშუალოდ სახარებისეულ თხრობაში არაფერია ნათქვამი. დასახელებული ხატმეტყველება შესაბამის ეგზეგეზის ეფუძნება. წმინდა მაქსიმე აღმსარებელი ბრძანებს: „გამომზრდელი ყოველთაჲ სძითა იზარდებოდა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ა: 380-381).

ამის შესახებ, ასევე, ვკითხულობთ ერთ-ერთ აპოკრიფულ ძეგლში – „იაკობის პირველსახარება“: „გამობრწყინდა ყრმაჲ იგი და მოიღო ძუძუჲ დედისა თვისისა მარიამისგან“.¹

იესო ქრისტეს შობის ზოგიერთ იკონოგრაფიულ რედაქციაში გვხვდება ორი დედაკაცის მიერ ყრმა მაცხოვრის განბანვის სცენა (ილ. 13; 14; 15). ეს სცენა გადმოცემულია, ასევე, ხსენებულ აპოკრიფულ ძეგლში,² რომლის მიხედვითაც, ახალშობილი ყრმა იოსების შვილმა და ერთ-ერთმა ებრაელმა ქალმა განბანეს.

ქრისტეს შობის საკმაოდ გავრცელებულ იკონოგრაფიულ რედაქციაში გამოქვაბულის ირგვლივ ანგელოზები (ან ანგელოზი) არიან გამოსახულნი. კვლავ დავასახელებთ ატენის სიონისა და (ილ. 10) და კვიპროსის XIII საუკუნის ფრესკას (ილ. 13). უნდა ითქვას, რომ შესაბამის სახარებისეულ თხრობაში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ხშირად გვხვდება საუბარი იმის შესახებ, რომ ადგილი, სადაც მაცხოვარი იშვა, ანგელოზებით იყო გარემოცული, რომლებიც განადიდებდნენ და თაყვანს-სცემდნენ ახალშობილ მეუფეს. დავიმოწმებთ რამდენიმე კომენტარს საეკლესიო მოძღვართაგან.

წმინდა იოანე დამასკელი ბრძანებს: „დღეს ანგელოზნი ბაგასა გარე-მოადგან, ვითარცა წიაღთა შინა მამისათა. დასასრულისად ხედვენ დასაბამისასა და შიშით შესწირვენ თაყუანისცემასა“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 279).

ერთ-ერთ საგალობელში ვკითხულობთ: „ანგელოზნი, მოსრულნი ზეცით, გარემოდს

1 იაკობის პირველსახარება - ღმრთისმშობლის შობა; <https://www.orthodoxy.ge/skhva/iakobis-saxareba.htm>

2 იაკობის პირველსახარება - ღმრთისმშობლის შობა; <https://www.orthodoxy.ge/skhva/iakobis-saxareba.htm>

ბაგასა შეასხმიდეს შობასა შენსა, ქრისტე“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 78).

ასევე: „ანგელოზნი განკვრდეს, რაჟამს იხილეს უფალი ბაგასა შინა პირუტყუთასა შეხუეული მჩურითა ჩუენთვს და წიადთა ქალწულისათა ჩჩვლებრ ტვრთული და ძრწოლით აქებდეს ჩუენ თანა“ (ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი 2014ბ: 266).

დასასრულ დავძენთ, რომ მაცხოვრის შობის იკონოგრაფიული ასახვა რამდენიმე ისტორიას აერთიანებს, რომლებიც მხატვრული გამომსახველობით მოგვეთხრობს სახარებაში წარმოდგენილ ქრისტეს შობასთან დაკავშირებულ მოვლენებს. ასევე, ზემოაღწერილი კომპოზიციები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არა მარტო სახარებისეული თხრობის, არამედ შესაბამისი ეგზეგეზისის მხატვრული გამომსახველობით გადმოცემაცაა. ქრისტეს შობით იწყება მაცხოვრის ამქვეყნად მოსაგრეობა, ამიტომაც ეს დღესასწაული აღდგომის შემდეგ უმთავრესია. მეტიც, როგორც წმინდა გრიგოლ ნოსელი ბრძანებს: „აღდგომისაცა კეთილნი შობისავე საუნჯეთა სიმდიდრენი არიან“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 124).

წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით, იესო ქრისტეს შობა უფალთან დაკავშირებული ყველა დღესასწაულის (თუ ზოგადად, მისი მოსაგრეობის) საფუძველია, რადგან, როგორც ის ბრძანებს, თუ ქრისტე არ იშვებოდა, ვერც ნათელ-ილებდა, ვერც ჯვარს ეცმებოდა, ვერც აღდგებოდა და არც სულიწმინდის გარდამოსვლა აღესრულებოდა. კოსტანტინოპოლელი მოძღვარი მაცხოვრის შობას „დღესასწაულების დედაქალაქს“ უწოდებს. დავიმოწმებთ შესაბამის სიტყვებს: „უკეთუ ვინმე ყოველთა დღესასწაულთა დედაქალაქად უწოდოს მას, არასადა ჰსცდეს იგი ... უკეთუმცა არა შობილ-იყო ჯორციელად ქრისტე, არამცა ნათელ-ელო მას, რომელ არს განცხადება ღმრთისა, არამცა ჯუარცუმულ იყო, რომელ არს პასექი, არამცა სული წმიდად გარდამოევლინა, რომელ არს მარტვლია, რომლისათვისცა ამიერ, ვითარცა მდინარენი წყაროსაგან, გამოეცნეს ესენი და იქმნეს ჩუენდა ზატიკად მუნით გამო“ (ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010: 181).

თანახმად წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებისა, თუკი იესო ქრისტეს შობა ყველა საუფლო დღესასწაულის დასაბამია, მაცხოვრის შობის იკონოგრაფიაც თითოეული საუფლო დღესასწაულის, ზოგადად, სახარებისეული მოვლენების გადმოცემი ხატმეტყველების საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ. როგორც ზემოთ აღვნიშნა, ქრისტეს შობის კომპოზიციური გამოსახულება ღვთის განკაცების დოგმატურ სწავლებას მოიცავს, რაც იკონოგრაფიის საფუძველია. წმინდა იოანე დამასკელი თავის ცნობილ ნაშრომში — „სამი სიტყვა ხატთაყვანისცემის შესახებ“ — ამბობს: „არა თუ ღმრთეებრ იქმნა ბუნებად ჯორცთა, არამედ ვითარ-იგი სიტყუად, ჯორც იქმნა რად, უქცეველად ევო, ვითარ-იგი იყო... ამისათა მინდობითა გამოვხატავ ღმერთსა უხილავსა, არა ვითარცა უხილავსა, არამედ ვითარცა ჩუენთვს ხილულქმნილსა, მიღებითა ჯორცთა და სისხლთათა. არა

თუ უხილავსა გამოვხატავ ღმრთეებასა, არამედ გამოვხატავ ღმრთისა ჳორცითა ხილულობასა (წმ. იოანე დამასკელი 2012: 150).

დამასკელი მოძღვრის მიხედვით, უხილავი ღმერთის განკაცებამ, მისმა „ხილულ-ქმნილობამ“ შექმნა მისი „გამოხატვის“ შესაძლებლობა.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ იესო ქრისტეს შობის ხატმეტყველება, ერთი მხრივ, მაცხოვრის შობასთან დაკავშირებულ სახარებისეულ თხრობასა და შესაბამის ეგზეგეზის გადმოსცემს, მეორე მხრივ, შობის იკონოგრაფიული გამომსახველობა თითოეული სახარებისეული მოვლენის, ღვთის განკაცების არსისა და, ზოგადად, ქრისტიანული ხატმეტყველების საფუძველია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე 1982 – ილია აბულაძე, შრომები, ტ. III, „მეცნიერება“, თბილისი, 1982.
2. ბასილი სელევკიელი 2010 – ბასილი სელევკიელი, სიტყუა ჩჩულთათს ბეთლემს მოწყუდილთა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო თბილისის სასულიერო აკადემიის V კურსის სტუდენტმა, დიაკონმა იარაკლი ახალაძემ, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2010.
3. წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელი 2008 – წმინდა გერმანე კონსტანტინეპოლელის უცნობი ქადაგება, სიტყუა ჯუარისათს და წმიდათა ხატთა, ჳელითქმნულთა და ჳელითქმნელთათს, მწვალებელთა მათ მიმართ, რომელნი ჳუარსა ხოლო თაყუანის-სცემენ და ხატთა არა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო იოსებ გელუკაშვილმა, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2008.
4. წმ. იოანე დამასკელი 2012 – წმიდა იოვანე დამასკელი, სამი აპოლოგეტური სიტყვა წმიდა ხატთა შესახებ, პირველი და მეორე სიტყვა ძველი ხელნაწერებიდან გადმოწერა გიორგი ლობჯანიძემ, კრიტიკულად დაადგინა გრიგოლ რუხაძემ, მესამე სიტყვა ძვ. ბერძნულიდან თარგმნა გვანცა კოპლატაძემ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2013, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2012.
5. წმ. იოანე დამასკელი 2012 – წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, აღნიშნული ძეგლი ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ედიშერ ქელიძემ, გრიგოლ ხანძთელის სახელობის ფონდი, თბილისი, 2012.
6. ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ 2010 – ეკლესიის მამათა სწავლებანი ღვთის განკაცების შესახებ, კრებული შეადგინა, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა და ლექსიკონი დაურთო ნინო მელიქიშვილმა, ქართული ნათარგმნი ჰომილეთიკური ძეგლები, I, თბილისის სასულიერო აკადემია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2010.

7. ერეტიკოსებთან პოლემიკა კაბადოკიელი მამების ქრისტეშობის ჰომილიებში, ჟურნალი „რელიგია“, 1996, № 7-8-9 (10 გვ.).
8. წმ. ეფრემ ასური 2014 – ღირსი ეფრემ ასური, შესაქმის განმარტება, თარგმნეს გიორგი გველესიანმა და ვლადიმერ ჩხიკვაძემ, „ფავორიტი სტილი“, თბილისი, 2014.
9. მათეს სახარების განმარტება წმიდა მამათა სწავლების მიხედვით 1998 – მათეს სახარების განმარტება წმიდა მამათა სწავლების მიხედვით, I-XIV თავი, მასალების შემკრები, მთარგმნელი და გამმართველი ნილკნელი მთავარეპისკოპოსი ზოსიმე, ნილკნის ეპარქიის გამოცემა, თბილისი, 1998.
10. წმ. იოანე დამასკელი 2019 – წმინდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, ორიგინალი და ინგლისურ-რუსული თარგმანები დაურთო, წინათქმა ნაუშვდვარა და სქოლიოებით აღჭურვა ედიშერ ქელიძემ, თბილისის სასულიერო აკადემია, თბილისი, 2019.
11. წმ. იოანე ოქროპირი 1993 – წმ. იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, თარგმანი ექვთიმე მთაწმინდელისა, ნაწილი I, ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს ზურაბ სარჯველაძემ, ლელა ალექსიძემ, ნინო დობორჯგინიძემ, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მახხანელმა, ლელა ნიჟარაძემ, ნანა შულაძემ, თამარ ცოფურაშვილმა, „მერკური“, თბილისი, 1993.
12. წმ. იოანე ოქროპირი 2014 – წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანება მათეს სახარებისა, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისა, წიგნი I, ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორია „ორიონის“ თანამშრომლებმა: მერაბ ბაბუხაძიამ, ლილი ბასილაიამ, ნინო დობორჯგინიძემ, დარეჯან თვალთვაძემ, თინათინ კარსანიძემ, მანანა მაცხანელმა, ნინო შარაშენიძემ, ნანა შულაძემ, თამარ ცოფურაშვილმა, თინათინ ცქიტიშვილმა, მარინე ოდიკაძემ, „ბეთანია“, თბილისი, 2014.
13. ურუშაძე 2014ა – ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, შემდგენელი და მთავარი რედაქტორი დეკანოზი კახაბერ ურუშაძე, წიგნი I, „ალილო“, თბილისი, 2014.
14. ურუშაძე 2014ბ – ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, შემდგენელი და მთავარი რედაქტორი დეკანოზი კახაბერ

ურუშაძე, ნიგნი II, „ალილო“, თბილისი, 2014.

15. ურუშაძე 2016 – ხარება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა, შემდგენელი და მთავარი რედაქტორი დეკანოზი კახაბერ ურუშაძე, „ალილო“, თბილისი, 2016.
16. შანიძე 1959 – სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1959.

ინტერნეტ რესურსი

1. იაკობის პირველსახარება - ღმრთისმშობლის შობა;
<https://www.orthodoxy.ge/skhva/iakobis-saxareba.htm>
2. წმ. კირილე ალექსანდრიელი, იოანეს სახარების განმარტება, ძველი ბერძნულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ედიშერ ქელიძემ;
http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=249
3. წმ. იოანე ოქროპირის სიტყვა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების შესახებ;
http://www.apocalypse.ge/ganmartebani_wminda_ioane_oqropiris_sityva_yovladwmin-da_gvtismshoblis_midzinebaze.html
4. Блаженный Августин Иппонийский, Рассуждения на Евангелие от Иоанна;
<https://ekzeget.ru/bible/kniga-proroka-daniila/glava-2/stih-34/>
5. Блаженный Иероним Стридонский;
<https://ekzeget.ru/all-about-bible/ekzegets/ieronim-stridonskij-blazennyj/>
6. Настольная книга священнослужителя;
https://azbyka.ru/otechnik/Pravoslavnoe_Bogosluzhenie/nastolnaja-kniga-svjashenno-sluzhitelja/
7. https://www.orthodoxy.ge/tserili/diachenko/qristeshobis_tsin.htm
8. <https://antiochianprodsa.blob.core.windows.net/websiteattachments/Nativity%20Icon%20-%20FR%20Kfouf.pdf> - ICON OF THE NATIVITY OF CHRIST: EXPLAINED, Fr. Ayman Kfouf.

მღვდელი გიორგი ვაშალოძე

**ქრისტიანული შობის იკონოგრაფია და მისი
საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები**

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში – „ქრისტიანობის იკონოგრაფია და მისი საღვთისმეტყველო-სახისმეტყველებითი ასპექტები“ – განალიზებულია იესო ქრისტეს შობის ხატმეტყველება. დღესასწაულის იკონოგრაფია სახარებისეული თხრობის რამდენიმე სხვადასხვა ეპიზოდს აერთიანებს. სტატიაში განხილულია თითოეული გამოსახულების შექმნის სახარებისეული და შესაბამისი საღვთისმეტყველო საფუძვლები. დამოწმებულია სხვადასხვა საეკლესიო მოძღვართა მსჯელობანი და განმარტებანი კაცობრიობის მსხნელის შობის სახარებისეულ ეპიზოდებთან დაკავშირებით.

ნაშრომში განსაკუთრებული ხაზგასმითაა განხილული მაცხოვრის შობის კომპოზიციის ცენტრალური გამოსახულება, რომლის მიხედვითაც, ბნელ გამოქვაბულში, ბაგაში მიწვენილ, თეთრ სახევეებში გახვეულ ყრმას თავზე ხარი და სახედარი დაჰყურებს. ხსენებული პირუტყვების მაცხოვრის შობის ხატმეტყველებაში ჩართვა სრულად ეფუძნება ჩვენ მიერ ნაშრომში დამოწმებულ ეგზეგეზისს და იესო ქრისტეს შობის საყოველთაობას წარმოაჩენს. ხოლო ბნელ გამოქვაბულში ღია ფერებით (სახევეებით) გამოსახული ყრმა მაცხოვარი წუთისოფლის ბოროტებაზე გამარჯვების მომასწავებელია

Iconography of the Nativity and Its Theological and Typological Aspects

Abstract

The article “Iconography of the Nativity and Its Theological and Typological Aspects” gives an analysis of the language of iconography of the Nativity of Jesus Christ. The iconography of this feast combines several different episodes of the Gospel narrative. In this work evangelical foundation and its relevant theological basis for the creation of each of these images are analyzed. The study is supported by the discourses and interpretations of the Gospel episodes of the birth of the Saviour written by many ecclesiastical fathers.

The article touches upon evangelical and relevant to it theological bases for the creation of each of these images and discourses and interpretations of the ecclesiastical fathers concerning the Gospel episodes of the birth of the Saviour of mankind are referred to in it.

The central image of the composition of the Nativity is explained with special emphasis. According to it, in a manger in a dark cave, the Young Child wrapped in white swaddling clothes is watched over by a bull and a donkey. Inclusion of the mentioned animals in the iconography of the Saviour’s birth is fully based on the exegesis we have referred to in this work and proclaims the universality of the Nativity of Jesus Christ. At Nativity, the Child depicted in light colors (in swaddling clothes) in the dark cave is a sign of victory over the evil of this world.




ილუსტრაცია 2



ილუსტრაცია 3





ილუსტრაცია 5



ილუსტრაცია 6



ილუსტრაცია 7



ილუსტრაცია 8



ილუსტრაცია 9




ილუსტრაცია 10




ილუსტრაცია 13



ილუსტრაცია 14





ელგუჯა (გიორგი) თოღუა

**კველალტქმისეული ციხანსია
წმინდა პავლე მოციქულის რეგაელთა მიმართ
ეპისტოლეში**

ელგუჯა (გიორგი) თოდუა ბიბლესტიკის მიმართულების
(მღვდელი - ახალი აღქმა) დოქტორანტი

ELGUJA (GIORGI) TODUA Doctoral student, direction - biblical
studies, module - New Testament

ხელმძღვანელი ისტორიის დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი,
დეკანოზი **გიორგი გუგუშვილი**

SUPERVISOR Doctor of History, Doctor of Theology,
Archpriest **Giorgi Gugushvili**

ძველალექსიკონური ციტატა

წმინდა პავლე მოციქულის რომაელთა მიმართ ეპისტოლეში

წმინდა პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ, მრავალ ღირსებასთან ერთად, ძველი ალექსის წიგნებიდან დამოწმებული ციტატების სიმრავლითაც გამოირჩევა.

ჩვენი კვლევის ძირითადი საგანიც სწორედ ესაა: ძველალექსიკონურ დამოწმებათა ბიბლიური წყაროების განსაზღვრა და მათი რაოდენობის დადგენა. საამისოდ მივმართეთ როგორც ეპისტოლეს ბერძნული ორიგინალის მეცნიერულად დადგენილ ტექსტს, ისე ძველი ალექსის წიგნთა ბერძნულ თარგმანს — სეპტუაგინტას და ვეთალე დიაკონის „სტიქომეტრიის“ ძველ ქართულ ვერსიას მისი ბერძნული ორიგინალის გათვალისწინებით.

ვეთალე დიაკონის ხსენებული ნაშრომის შესახებ, რომელმაც ძირითადად განსაზღვრა ჩვენი კვლევის მიმართულება, სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია:

„სამოციქულოს სტიქომეტრია, რომელიც ტრადიციით IV თუ V საუკუნის მოღვაწე ვეთალე ალექსანდრიელს მიეწერება, წარმოადგენს უძველეს ფილოლოგიურ შრომას, კრიტიკულ აპარატს. მასში უმთავრესად გადმოცემულია ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო სამოციქულოს ტექსტის უძველეს დაყოფას — საკითხავებად, თავებად, მუხლებად განაწილებას... ვეთალემ და მისი საქმის გამგრძელებლებმა ფილოლოგიურად გააანალიზეს სამოციქულო (პავლეს, მოციქულთა საქმისა და კათოლიკე ეპისტოლეთა ტექსტი). მათ სამოციქულოს ბერძნული ტექსტი დაყვეს საკითხავებად, საკითხავები — თავებად, თავები — სტიქონებად, ამოწერეს და დაალაგეს ყველა ბიბლიური დამოწმება (ციტატი), შეადგინეს რამდენჯერმე გამეორებულ დამოწმებათა სიმფონია (სათანხმებელი) და არა თუ სამოციქულო წიგნებს ზოგადად, არამედ მათში შემავალ ცალკეულ თხზულებებს — ეპისტოლეებსაც — სათითაოდ შეუდგინეს შესავალი — „უწყება“ (თხზულების დანიშნულების, დაწერის ისტორიისა და მოკლე შინაარსის მაუწყებელი) და „თავები“, რომელთა დასახელება ნათელს ხდის, თითოეული თხზულების რომელ ნაწილში (თავში) რა საკითხებზეა თხრობა“.¹

შევნიშნავთ, რომ ვეთალე დიაკონის „სტიქომეტრია“ რომაელთა მიმართ ეპისტოლეს ნაწილში შეიცავს მხოლოდ 48 დამოწმებას ძველი ალექსის 13 სხვადასხვა წიგნიდან, ხოლო ჩვენი კვლევის შედეგად გამოიყო გაცილებით მეტი — 63.

წინამდებარე ნაშრომი თემატურად შემდგენიერად ნაწილდება: 1. ვეთალე დიაკონის „სტიქომეტრიაში“ აღურიცხავი ციტატები (დამოწმებანი); 2. ძველალექსიკონური ციტატების გაერთიანება ვეთალე დიაკონის „სტიქომეტრიაში“; 3. ძველალექსიკონური ციტატების წყაროები რომაელთა მიმართ ეპისტოლეში; 4. ზედმიწევნითი ციტაცია; 5. არაზედმიწევნითი ციტაცია; 6. სიტყვათა გადასმა; 7. პერიფრაზები.

1 ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 1977: 54.

1. ვითაღე დიაკონის „სტიქოფეტრიაში“ აღურიცხავი ციტატები
(დამონშებანი)

მოცემული ციტატები, როგორც ძველალექმისეული დამოწმებანი, არ არის შესული ვითაღეს „სტიქოფეტრის“ ბერძნულ ვერსიაში, შესაბამისად, არც ქართულ თარგმანში.

1. *რომ. 2.6: რომელმან მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მისთაებრ.*

დამოწმებული ციტატა მომდინარეობს იგავთა და ფსალმუნთა წიგნებიდან, კერძოდ: ა) **იგ. 24.12:** რომელმან მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ. ბ) **ფს. 61.13:** შენი არს, უფალო, წყალობად, რამეთუ შენ მიაგო კაცად-კაცადსა საქმეთა მისთაებრ.

დასახელებული წიგნებიდან, ერთი მხრივ, ძნელია მთავარი წყაროს განსაზღვრა, მაგრამ ვინაიდან წმინდა პავლე მოციქული თავიდან უფრო იგავთა წიგნის წაკითხვას მიჰყვება (Nestle-Aland: **ὅς ἀποδῶσει ἐκάστῳ κατὰ τὰ ἔργα αὐτοῦ**; შდრ.: სეპტუაგინტა: **იგ. 24.12: ὅς ἀποδῶσιν ἐκάστῳ κατὰ τὰ ἔργα αὐτοῦ**), ვიდრე ფსალმუნებისას (შდრ.: სეპტუაგინტა: **ფს. 61.13: ὅτι σὺ ἀποδῶσεις ἐκάστῳ κατὰ τὰ ἔργα αὐτοῦ**), ზემოთ აღნიშნული ციტატის ძირითად წყაროდ, ვფიქრობთ, მისაჩნევია იგავთა წიგნი.

2. *რომ. 9.20: ჰრქუა ნუ-შეა ქმნულმან შემოქმედსა: რადსათვს ესრეთ შემქმენ მე?*

ეს დამოწმება ეფუძნება ესაიას წიგნს: **ეს. 29.16: ნუ ჰრქუასა აღბელილმან აღმბეღელსა: არა შენ აღმზილე მე? ან: ეს. 45.9: ნუ მიუგოს აღბელილმან აღმბეღელისა მიმართ თვისსა: რადსათვს ესრეთ შემქმენ მე?** (შდრ.: სეპტუაგინტა: **ეს. 29.16: μή ἐρεῖ τὸ πλάσμα τῷ πλάσαντι Οὐ σὺ με ἔπλασας; ეს. 45.9: μή ἐρεῖ ὁ πηλὸς τῷ κεραμεῖ Τί ποιεῖς**).

3. *რომ. 11.2: არა განიშორა ღმერთმან ერი თვისი?*

ეს დამოწმება ეფუძნება ფსალმუნს: არა განიშოროს უფალმან ერი თვისი (**ფს. 93.14**).

თუ ვივარაუდებთ, რომ, ვინაიდან წმინდა პავლე მოციქული მისთვის ჩვეული გამოთქმებით [„**ვითარცა წერილ არს**“ (რომ. 1.17; რომ. 2.24; რომ. 3.4; რომ. 3.10-17; რომ. 4.17; რომ. 8.36; რომ. 9.13; რომ. 9.33; რომ. 10.15; რომ. 11.8; რომ. 11.26; რომ. 15.3; რომ. 15.9; რომ. 15.21), „**რამეთუ წერილ არს**“ (რომ. 12.19; რომ. 14.11), „**რასა უკუე იტყვს წიგნი**“ (რომ. 4.3) და სხვ.¹] არ ადასტურებს ზემოთ მოყვანილი სიტყვების

1 აქ მოგვყავს ამის მსგავსი სხვა მაგალითები: „**ვითარცა-იგი დავით იტყვს**“ (რომ. 4.6), „**დავით იტყვს**“ (რომ. 11.9), „**მსგავსად თქემულისა მის**“ (რომ. 4.18), „**შჯული იტყოდა,**

(„რომელმან მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მისთაებრ“; ჰრქუა ნუ-მეა ქმნულმან შემოქმედსა: რადსათვს ესრეთ შემქმენ მე?; არა განიშორა ღმერთმან ერი თვისი?)

ძველალექსიკონურ წარმომავლობას, შესაძლოა, სწორედ ამის გამო ვერ მოხვდნენ ისინი ევთალეს ნაშრომში, მაგრამ, გვაქვს რა ამის საპირისპირო შემთხვევებიც (როდესაც წმინდა პავლეს მიერ დადასტურებულია ამა თუ იმ დამოწმების ძველალექსიკონური წარმომავლობა, მაგრამ ისინი ევთალეს ნაშრომში მაინც ვერ მოხვდნენ), ეს ასე არ უნდა იყოს, რაც ნამდვილი მიზეზის დადგენას აძნელებს.

4. რომ. 7.7: უკუეთუმცა არა შჯული იტყოდა, ვითარმედ: **ნუ გული გითქუამნ.**¹

ციტატა ეფუძნება გამოსვლათა და მეორე რჯულის წიგნებს (გამ. 20.17; შდრ. რჯლ. 5.21).

5. რომ. 10.11: რამეთუ იტყვს წიგნი: **ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს მისა მიმართ, არასადა ჰრცხუნეს.**

ეს დამოწმება მომდინარეობს ესაიას წიგნიდან — **ეს. 28.16:** მისთვის ესრე იტყვს უფალი ღმერთი: აჰა ესერა, დავსდებ საფუძველსა სიონისასა ლოდსა ფრიად პატიოსანსა, რჩეულსა საკიდურსა პატიოსანსა საფუძველთა მისთა, და **რომელსა ჰრწმენეს იგი, არასადა ჰრცხუნეს.**

2. ძველალექსიკონური ციტატების გაერთიანება ევთალე დიაკონის „სტიქომეტრიკში“

წარმოვადგენთ იმ ძველალექსიკონურ გამონათქვამებს, რომლებიც ევთალეს „სტიქომეტრიკში“ გაერთიანებულია ერთ დამოწმებად და ცალკე არ არის გამოყოფილი.

რომ. 3.10-14-ში მოყვანილი ციტატები (**არავინ არს მართალ, არცადა ერთ, არავინ არს გულისწმისმყოფელ, არავინ არს გამომეძიებელ ღმრთისა. ყოველთავე მიაქციეს ერთბამად და უწმარ იქმნეს; არავინ არს, რომელმანცა ქმნა სიტკბობეად, არავინ არს მიერთადმდე. სამარე ზე-აღებულ არს ჯორჯი მათი; ენითა მათითა ბაკუვიდეს; გესლი ასპიტაჲბაგეთა მათთა, რომელთაჲ პირი წყევითა და სიმწართა**

ვითარმედ“ (რომ. 7.7), „აზს სიტყუად ესე, ვითარმედ“ (რომ. 9.9), „რამეთუ მოსეს ესრეთ ეტყვს“ (რომ. 9.15), „რამეთუ ეტყვს წიგნი ფარაოს, ვითარმედ“ (რომ. 9.17), „ვითარცა ოსეს შინა იტყვს“ (რომ. 9.25), „ესაია ლაღადემს“ (რომ. 9.27), „ვითარცა-იგი წინაგსწარ თქუა ესაია“ (რომ. 9.29), „რამეთუ მოსე დასწერს სიმართლესა მას შჯულისავანსა, ვითარმედ“ (რომ. 10.5), „რამეთუ იტყვს წიგნი“ (რომ. 10.11), „რასა-იგი იტყვს წიგნი“ (რომ. 11.2), „რამეთუ ესაია იტყვს“ (რომ. 10.16; რომ. 15.12), „მოსე ეტყვს“ (რომ. 10.19), „ესაია იკადრემს და იტყვს“ (რომ. 10.20), „ისრაელისა მიმართ იტყვს“ (რომ. 10.21).

¹ ეს ფრაზა, განსხვავებით რომაელთა მიმართ ეპისტოლეს სხვა ძველქართული რედაქციებისა, არ გვხვდება წმინდა ეფთვიმე მთაწმიდელის რედაქციაში ხელნაწერის ნაკულლოვანების გამო (იხ. პავლეს ეპისტოლეთა განმარტება 2003: 91).

სავსე არს) გაერთიანებულია და მიჩნეულია ერთ დამოწმებად, რასაც ადასტურებს მათ წინ არსებული ის რიცხვითი **δ** (დ) მაჩვენებელიც, რომელიც „აღნიშნავს დასახელებული (ციტირებული) ძველიდან დამოწმების რიცხვ“.¹ გარდა ამისა, მათ წყაროდ მითითებულია არა ერთი, არამედ ოთხი სხვადასხვა ფსალმუნი (მე-13, 52-ე, მე-5 და მე-9),² რის გამოც, მიგვაჩნია, რომ მისი ერთ დამოწმებად აღიარება არ არის მართებული. ციტატები მე-13 და 52-ე ფსალმუნებიდან, რომ. 3.10-12-ში წარმოდგენილი, ერთ დამოწმებად გვაქვს დასახელებული (აქვე შევნიშნავთ, რომ სიტყვების — *არავინ არს მართალ, არცაღა ერთ* (რომ. 3.10) — წყაროდ, როგორც ზემოთ ჩანს, ევთალესთან მითითებულია მხოლოდ მე-13 და 52-ე ფსალმუნები, ეს მაშინ, როდესაც იგი, შესაძლოა, ეყრდნობოდა ეკლესიასტეს (7.5): *რამეთუ კაცი არა არს მართალ ქუეყანასა ზედა, რომელმანცა კეთილი ქმნა და არა სცოდა.*³

გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ რომ. 3.13-14-ში შესული ციტატები ცალკე დამოწმებად უნდა იქნას აღიარებული, რადგან ისინი მომდინარეობს სამი სხვადასხვა ფსალმუნიდან.

ამ აზრით, რომ. 3.10-14 ერთის ნაცვლად შეიცავს ოთხ დამოწმებას:

1. ფს. 13.1-3 (შდრ. ფს. 52.1-4; ეკლ. 7.20): *არავინ არს მართალ, არცაღა ერთ, არავინ არს გულისგმისყოფელ, არავინ არს გამომძიებელ ღმრთისა. ყოველთავე მიაქციეს ერთბამად და უგმარ იქმნეს; არავინ არს, რომელმანცა ქმნა სიტკობებად, არავინ არს მიერთადმდე* (რომ. 3.10-12).
2. ფს. 5.10: *სამარე ზე-აღებულ არს ჯორჯი მათი; ენითა მათითა ზაკუვიდეს* (რომ. 3.13).
3. ფს. 139.4: *გესლი ასპიტთად ბაგეთა მათთად* (რომ. 3.13).
4. ფს. 9.28: *რომელთად პირი წყევითა და სიმწართა სავსე არს* (რომ. 3.14).

მსგავსად ამისა, ევთალე დიაკონის „სტიქომეტრიაში“ რომ. 3.15-18-ში მოყვანილი ციტატებიც (*მალე არიან ფერჯნი მათნი დათხევად სისხლისა, შემუსრვად და უბადრუკებად არს გზათა მათთა და გზად მშუდობისად არა იცნეს. არა არს შიში ღმრთისად წინაშე თუალთა მათთა*), ასევე, გაერთიანებულია და მიჩნეულია ერთ დამოწმებად, რასაც ადასტურებს მათ წინ არსებული რიცხვითი **ε** (ე) მაჩვენებელიც,⁴ წყაროდ კი დასახელებულია მხოლოდ ესაია წინასწარმეტყველის წიგნი.⁵ „სტიქომეტრიის“ ქართულ გამოცემაში შეცდომით მითითებულია ესაია 5.9, სინამდვილეში უნდა იყოს ესაია 59.7-8 (შევნიშნავთ, რომ „სტიქომეტრიის“ ბერძნულ გამოცემაში მხოლოდ დამოწმებული წიგნის სახელწოდებაა აღნიშნული კონკრეტული თავებისა და მუხლების

1 ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 1977: 111.
 2 იხ. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 1977:111.
 3 იხ. Nestle-Aland 2015: 486.
 4 ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 1977:112.
 5 ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 1977:112.

გარეშე, ხოლო ქართულში — ორივე).

რომ. 3.15-18-ში გადმოცემული ციტატები მომდინარეობს არა მხოლოდ ესაიას წიგნიდან, არამედ — ფსალმუნთა წიგნიდანაც, ხოლო მათი პარალელური ვარიანტი გვხვდება იგავთა წიგნშიც. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც ევთალესეული ერთი დამოწმება უნდა გაიყოს ორად.

1. **ეს. 59.7-8 (შდრ. იგ. 1.16): მალე არიან ფერწნი მათნი დათხევად სისხლისა, შემუსრვად და უბადრუკებად არს გზათა მათთა და გზად მშვდობისად არა იცნეს** (რომ. 3.15-17).

ციტატის პირველ ნაწილს — **მალე არიან ფერწნი მათნი დათხევად სისხლისა** (ეს. 59.7) — აქვს პარალელი იგავნი 1.16-თან, მაგრამ ვინაიდან აღნიშნული ციტატა მთლიანობაში ესაიას წიგნის მოცემულ მონაკვეთს ეყრდნობა, ძირითად წყაროდ სწორედ ესაია სამართლიანად არის მითითებული.

2. **ფს. 35.2: არა არს შიში ღმრთისად წინაშე თუალთა მათთა** (რომ. 3.18).

შევნიშნავთ, რომ დამოწმების ეს ბოლო ნაწილი არ გვხვდება ევთალეს „სტიქომეტრიის“ ბერძნულ ვერსიაში, მაგრამ ასახულია ქართულ თარგმანში, რითაც ეს უკანასკნელი განსხვავდება მინის პატროლოგიაში დაცული ტექსტისაგან.¹

ევთალე დიაკონის „სტიქომეტრიაში“ რომ. 11.26-27-ში მოცემული სიტყვების (**მოვიდეს სიონით მჯსნელი და მოაქციოს უღმრთოებისაგან იაკობი. და ესე არს ჩემიერი იგი მათდა მიმართ აღთქუმაჲ, რაჟამს მოვსპნე ცოდვანი მათნი**) წყაროდ მითითებულია ესაია 59.20 და მიჩნეულია ერთ დამოწმებად. სინამდვილეში არის ორი, ვინაიდან თითოეული ესაიას წიგნის ორ სხვადასხვა ადგილს ეფუძნება. ესენია:

1. რომ. 11.26-27: **მოვიდეს სიონით მჯსნელი და მოაქციოს უღმრთოებისაგან იაკობი. და ესე არს ჩემიერი იგი მათდა მიმართ აღთქუმაჲ** (ეს. 59.20-21).
2. რომ. 11.27: **რაჟამს მოვსპნე ცოდვანი მათნი** (ეს. 27.9).

თუ მათ წყაროდ მივიჩნევდით ესაია 27.9-ს, იგი არც მაშინ ჩაითვლებოდა ერთ დამოწმებად, ვინაიდან ფრაზა — **„მოვიდეს სიონით მჯსნელი“** — რითაც იწყება რომ. 11.26, ესაია 27.9-ში არ გვხვდება, განსხვავებით მომდევნო ფრაზებისაგან, რომლებიც თავისუფლად შეიძლება ჩავთვალოთ ესაია 59.20-ის პარალელურ ადგილებად.

რომ. 11.34-35-ში შესული ციტატიდან — **რამეთუ ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ? ანუ ვინ თანამზრახვალ ეყო მას? ანუ ვინ წინაღსწარ მი-რადმე-სცა მას და კუალად მიევო მას?** — ევთალეს „სტიქომეტრიაში“ სიტყვები — **ანუ ვინ წინაღსწარ მი-რადმე-სცა მას** —

ცალკე არ არის გამოყოფილი, როგორც პერიფრაზი იობის წიგნიდან (შდრ.: სეპტუაგინტა: იობ. 41.3: *ἢ τίς ἀντιστήσεται μοι καὶ ὑπομενεῖ, εἰ πᾶσα ἡ ὑπ' οὐρανὸν ἐμὴ ἔστιν;* ასევე — ძველი ქართული თარგმანები: ანუ ვინ წინააღმდეგეს მე და დამითმოს? **1 ანუ ვინ წინააღმდეგომ დგეს ჩემდა და დაითმინოს?**), არამედ მიერთებულია წინას (რომ. 11.34: **რამეთუ ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ? ანუ ვინ თანამზრახვალ ეყო მას?**) და მის წყაროდ აღნიშნულია მხოლოდ ესაია 40.13.

რომ. 14.11-ში შესული ციტატის — **ცხოველ ვარ მე, იტყვს უფალი, რამეთუ ჩემდა მოდრკეს ყოველი მუჭლი, და ყოველმან ენამან აღუაროს ღმერთსა** (ეს. 49.18; იერ. 22.24; ეზეკ. 5.11; ეს. 45.23) — წყაროდ ვეთალეს „სტიქომეტრიაში“ მითითებულია მხოლოდ ესაია 45.23 და მიჩნეულია ერთ დამოწმებად. **ცხოველ ვარ, იტყვს უფალი** (რომ. 11.14-ის დასაწყისი) — მომდინარეობს ესაია, იერემია და ეზეკიელ წინასწარმეტყველთა წიგნებიდან (იხ. ეს. 49.18; იერ. 22.24; ეზეკ. 5.11), ხოლო მისი გაგრძელება — **რამეთუ ჩემდა მოდრკეს ყოველი მუჭლი, და ყოველმან ენამან აღუაროს ღმერთსა** — ეფუძნება ვეთალესთან მითითებულ ეს. 45.23-ს, რომელშიც არ გვხვდება ზემოთ აღნიშნული **„ცხოველ ვარ, იტყვს უფალი“**. ამიტომ მიგვაჩნია, რომ რომ. 14.11-ში მოცემული ციტატები ორ დამოწმებად უნდა იქნას აღიარებული:

1. რომ. 14.11: **ცხოველ ვარ მე, იტყვს უფალი** (ეს. 49.18; იერ. 22.24; ეზეკ. 5.11);
2. რომ. 14.11: **რამეთუ ჩემდა მოდრკეს ყოველი მუჭლი, და ყოველმან ენამან აღუაროს ღმერთსა** (ეს. 45.23).

რომ. 10.6–7-ში დამოწმებული ციტატებიც — **ნუ იტყვ გულსა შენსა: ვინ აღვიდეს ზეცად? ... ვინ შთავიდეს უფსკრულად?** — ვეთალეს „სტიქომეტრიაში“ ასევე გაერთიანებულია და მის ერთადერთ წყაროდ მეორე რჯულის წიგნია მითითებული (რჯლ. 30.12). სინამდვილეში მისგან გამოიყოფა როგორც ერთი ზუსტი, ისე ორი არაზუსტი ციტატა: **ნუ იტყვ გულსა შენსა** — ეს არის ზუსტი ციტაცია რჯლ. 9.4-ისა, ხოლო მომდევნო ორი — არაზუსტი ციტაცია რჯლ. 30.12-ისა და ფს. 107.21-ისა: **ვინ აღვიდეს ცად?** (შდრ.: სეპტუაგინტა [რჯლ. 30.12]: *Τίς ἀναβήσεται ἡμῖν εἰς τὸν οὐρανόν;*) **ვინ შთავიდეს უფსკრულად?** (შდრ.: სეპტუაგინტა [ფს. 107.21]: *καταβαίνουσιν ἕως τῶν ἄβυσσῶν*).

როგორც ვხედავთ, რომ. 10.6–7-ში წარმოდგენილ ტექსტში სამი ძველადღებულციკლი დამოწმება იყრის თავს.

რომ. 9.25–26: **უწოდო არა ერსა ჩემსა ერად ჩემდა, და არა საყუარელსა ჩემსა — საყუარელად. და იყოს ადგილსა მას, სადა-იგი ერქუა მათ: არაერი ჩემი თქუნენ, მუნ იწოდნენ ძედ ღმეთისა ცხოველისა.**

1 მცხეთური ხელნაწერი 1983: 148.

2 ბაქარის ზიზლია (იხ. <https://titus.uni-frankfurt.de/texte/etcg/cauc/ageo/bakar/bakar.htm>).

ზემოთ მოყვანილი ფრაზები ასევე გაერთიანებულია და მიჩნეულია ერთ დამოწმებად. მიგვაჩნია, რომ იგი უნდა გაიყოს ორად, რამდენადაც ოსეს წიგნის ორ სხვადასხვა ადგილს ეფუძნება. აქედან გამომდინარე, რომ. 9.25-ის წყაროდ უნდა ვაღიაროთ ოსე 2.25, ხოლო რომ. 9.26-ისა — ოსე 2.1:

რომ. 9.25: **უწოდო არა ერსა ჩემსა ერად ჩემდა, და არა საყუარელსა ჩემსა — საყუარელად** (ოს. 2.25).

რომ. 9.26: **და იყოს ადგილსა მას, სადა-იგი ერქუა მათ: არა ერი ჩემი თქვენ, მუნ იწოდნენ ქედ ღმერთისა ცხოველისა** (ოს. 2.1).

3. ძველადღმისეული ციტატების წყაროები რომაელთა მიმართ

ეპისტოლეში

რომაელთა მიმართ ეპისტოლეში ყველაზე მეტი ციტატა მოყვანილია ესაია წინასწარმეტყველის წიგნიდან, რაოდენობით 18, რომელსაც მოსდევს შემდეგი წიგნები (ფრჩხილებში აღვნიშნავთ ციტატების რაოდენობას): ფსალმუნნი (15), მეორე რჯული (8), შესაქმე (6), გამოსვლა (3), იგავნი (3), ლევიანნი (2), III მეფეთა (2), ოსე (2), იობი (1), ამბაკუმი (1), მალაქია (1), იოველი (1).

თავდაპირველად მივუთითებთ დამოწმებული ციტატის ადგილს თვით ეპისტოლეში, შემდეგ კი, მის პარალელურად, ციტატის ადგილს ძველ აღთქმაში.

დამოწმებანი ესაია წინასწარმეტყველის წიგნიდან:

1. რომ. 2.24 — ეს. 52.5
2. რომ. 3.15-17 — ეს. 59.7-8 (შდრ. იგ. 1.16)
3. რომ. 9.20 — ეს. 29.16
4. რომ. 9.27-28 — ეს. 10.22-23 (შდრ. ოს. 2.1; ეს. 28.22)
5. რომ. 9.29 — ეს. 1.9
6. რომ. 9.33 — ეს. 28.16; 8.14
7. რომ. 10.11 — ეს. 28.16
8. რომ. 10.15 — ეს. 52.7 (შდრ. ნაუმ. 2.1)
9. რომ. 10.16 — ეს. 53.1
10. რომ. 10.20 — ეს. 65.1
11. რომ. 10.21 — ეს. 65.2
12. რომ. 11.26-27 — ეს. 59.20-21
13. რომ. 11.27 — ეს. 27.9
14. რომ. 11.34 — ეს. 40.13

15. რომ. 14.11—ეს. 49.18 (შდრ. იერ. 22.24; ეზეკ. 5.11)
16. რომ. 14.11—ეს. 45.23
17. რომ. 15.12—ეს. 11.10
18. რომ. 15.21—ეს. 52.15

დამოწმებანი ფსალმუნთა წიგნიდან:

1. რომ. 3.4—ფს. 50.6
2. რომ. 3.10-12—ფს. 14.1-3 (შდრ. ეკლ. 7.20)
3. რომ. 3.13—ფს. 5.10
4. რომ. 3.13—ფს. 139.4
5. რომ. 3.14—ფს. 10.7
6. რომ. 3.18—ფს. 35.2
7. რომ. 4.7-8—ფს. 31.1
8. რომ. 8.36—ფს. 43.23
9. რომ. 10.7—ფს. 107.26
10. რომ. 10.18—ფს. 18.5
11. რომ. 11.2—ფს. 94.14
12. რომ. 11.9-10—ფს. 68.23
13. რომ. 15.3—ფს. 68.10
14. რომ. 15.9—ფს. 17.50
15. რომ. 15.11—ფს. 117.1

დამოწმებანი მეორე რჯულის წიგნიდან:

1. რომ. 10.6—რლ. 9.4
2. რომ. 10.6—რჯლ. 30.12
3. რომ. 10.8—რჯლ. 30.14
4. რომ. 10.19—რჯლ. 32.21
5. რომ. 11.8—რჯლ. 29.3 (შდრ. ეს. 29.10)
6. რომ. 12.19—რჯლ. 32.35
7. რომ. 13.9—რჯლ. 5.17-21 (შდრ. გამ. 20.13-17)
8. რომ. 15.10—რჯლ. 32.43

დამოწმებანი შესაქმეს წიგნიდან:

1. რომ. 4.3—შეს. 15.6
2. რომ. 4.17—შეს. 17.5

3. **რომ. 4.18** — შეს. 15.5
4. **რომ. 9.7** — შეს. 21.12
5. **რომ. 9.9** — შეს. 18.10.14
6. **რომ. 9.12** — შეს. 25.23

დამოწმებანი გამოსვლათა წიგნიდან:

1. **რომ. 7.7** — გამ. 20.17 (შდრ. რჯლ. 5.21)
2. **რომ. 9.15** — გამ. 33.19
3. **რომ. 9.17** — გამ. 9.16

დამოწმებანი იგავთა წიგნიდან:

1. **რომ. 2.6** — იგ. 24.12 (შდრ. ფს. 62.13)
2. **რომ. 12.17** — იგ. 3.4
3. **რომ. 12.20** — იგ. 25.21-22

დამოწმებანი ლევიტელთა წიგნიდან:

1. **რომ. 10.5** — ლევ. 18.5
2. **რომ. 13.9** — ლევ. 19.18

დამოწმებანი III მეფეთა წიგნიდან:

1. **რომ. 11.3** — III მეფ. 19.10.14
2. **რომ. 11.4** — III მეფ. 19.18

დამოწმებანი ოსე წინასწარმეტყველის წიგნიდან:

1. **რომ. 9.25** — ოს. 2.25
2. **რომ. 9.26** — ოს. 2.1

დამოწმება იობის წიგნიდან:

1. **რომ. 11.35** — იობ. 41.3

დამოწმება ამბაკუმ წინასწარმეტყველის წიგნიდან:

1. **რომ. 1.17** — ამბ. 2.4

დამოწმება მალაქია წინასწარმეტყველის წიგნიდან:

1. **რომ. 9.13** — მალ. 1.2

დამოწმება იოველ წინასწარმეტყველის წიგნიდან:

1. **რომ. 10.13** — იოვ. 3.5

ახლა დავიმოწმებთ ყველა ციტატას, საანალიზო ეპისტოლეს თავებისა და მუხლების განლაგების გათვალისწინებით.

1. რომ. 1.17: „მართალი სარწმუნოებითა ცხოვნდეს“ (ამბ. 2.4).
2. რომ. 2.6: „რომელმან მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მისთაებრ“ (იგ. 24.12; შდრ. ფს. 62.13).
3. რომ. 2.24: „რამეთუ სახელი ღმრთისად თქუენთვის იგმობვის წარმართთა შორის“ (ეს. 52.5).
4. რომ. 3.4: „რადთა განჰმართლდე სიტყუათაგან შენთა და სძლო შჯასა შინა შენსა“ (ფს. 50.6).
5. რომ. 3.10-12: „არავინ არს მართალ არცადა ერთ, არავინ არს გულისწმისმყოფელ, არავინ არს გამომძიებელ ღმრთისა. ყოველთავე მიაქციეს ერთბამად და უჭმარ იქმნეს; არავინ არს, რომელმანმცა ქმნა სიტკბობად, არავინ არს მიერთადმდე“ (ფს. 13.2-3; შდრ. ფს. 52.3-4; ეკლ. 7.20).
6. რომ. 3.13: „სამარე გე-აღებულ არს ჳორჯი მათი; ენითა მათითა ბაკუვიდეს“ (ფს. 5.10).
7. რომ. 3.13: „გესლი ასპიტთად — ბაგეთა მათთა“ (ფს. 139.4).
8. რომ. 3.14: „რომელთა პირი წყევითა და სიმწართა სავსე არს“ (ფს. 9.28).
9. რომ. 3.15-17: „მალე არიან ფერჯნი მათნი დათხევად სისხლისა, შემუსრვად და უბადრუკებად არს გბათა მათთა, და გბად მშუღობისად არა იცნეს“ (ეს. 59.7-8; შდრ. იგ. 1.16).
10. რომ. 3.18: „არა არს შიში ღმრთისად წინაშე თუალთა მათთა“ (ფს. 35.2).
11. რომ. 4.3: „ჰრწმენა აბრაჰამს ღმერთი და შეერაცხა მას სიმართლედ“ (შეს. 15.6).
12. რომ. 4.7-8: „ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნეს უმჯულოებანი და რომელთა დაეფარნეს ცოდვანი; ნეტარ არს კაცი, რომელსა არა შეურაცხოს უფალმან ცოდვად“ (ფს. 31.1).
13. რომ. 4.17: „მამად მრავალთა თესლთა დაგადგინე შენ“ (შეს. 17.5).
14. რომ. 4.18: „ესრეთ იყოს ნათესავი შენი“ (შეს. 15.5).
15. რომ. 7.7: „ნუ გული-გითქუამნ“ (გამ. 20.17; შდრ. რჯლ. 5.21).
16. რომ. 8.36: „შენთვის მოვსწყდებით ჩუენ მარადლე და შევირაცხებით ჩუენ, ვითარცა ცხოვარნი კლვადნი“ (ფს. 43.23).
17. რომ. 9.7: „ისააკისგან გეწოდოს შენ ნათესავი“ (შეს. 21.12).
18. რომ. 9.9: „ჟამსა ოდენ ამას მოვიდე, და ესუას სარრას ძე“ (შეს. 18.10.14).
19. რომ. 9.12: „უხუცესმან ჰმონოს უმრწემესსა მას“ (შეს. 25.23).
20. რომ. 9.13: „იაკობი შევიყუარე, ხოლო ესავი მოვიძულე“ (მალ. 1.2).
21. რომ. 9.15: „შევიწყალო, რომელი-იგი შევიწყალო, და შევიწყნარო, რომელი-იგი შევიწყნარო“ (გამ. 33.19).
22. რომ. 9.17: „ად-ვე-ამისთვის-გადგინე შენ, რადთა ვაჩუენო შენ ზედა ძალი ჩემი და

- რადთა განითქუს სახელი ჩემი ყოველსა ქუეყანასა“ (გამ. 9.16).
23. რომ. 9.20: ჰრქუა ნუმე-ა ქმნულმან შემოქმედსა: „რადსათვს ესრეთ შემქმენ მე?“ (ეს. 29.16).
24. რომ. 9.25: „უწოდო არაერსა ჩემსა ერად ჩემდა, და არასაყუარელსა ჩემსა — საყუარელად“ (ოს. 2.25).
25. რომ. 9.26: „და იყოს ადგილსა მას, სადა-იგი ერქუა მათ: «არაერი ჩემი თქუენ, მუნ იწოდნენ ძედ ღმრთისა ცხოველისა»“ (ოს. 2.1).
26. რომ. 9.27-28: „დაღათუ იყოს რიცხვ იგი ძეთა ისრაჰლისათაჲ, ვითარცა ქუშად ზღვსად, ნეშტი ოდენ ცხოვნდეს, რამეთუ სიტყუად აღმასრულებელი და შემოკლებული სიმართლესა შინა, ვითარმედ სიტყუად შემოკლებული ყოს უფალმან ქუეყანასა ზედა“ (ეს. 10.22-23; შდრ. ოს. 2.1; ეს. 28.22).
27. რომ. 9.29: „არათუ-მცა უფალმან საბაოთ დამიტევა ჩუენ თესლი, ვითარცა სოდომელნიმცა შევიქმნენით და გომორელთამცა მივემსგავსენით“ (ეს. 1.9).
28. რომ. 9.33: „აჰა-ესერა, დავსდებ სიონს შინა ლოდსა შებრკოლებისასა და კლდე-სა საცთურებისასა; და ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს იგი, არასადა ჰრცხუენეს“ (ეს. 28.16; 8.14).
29. რომ. 10.5: „რომელმან ქმნეს იგი კაცმან, ცხოვნდეს მას შინა“ (ლევ. 18.5).
30. რომ. 10.6: „ნუ იტყვ გულსა შენსა“ (რჯლ. 9.4).
31. რომ. 10.6: „ვინ ადვიდეს ზეცად?“ (რჯლ. 30.12).
32. რომ. 10.7: „ვინ შთავიდეს უფსკრულად?“ (ფს. 107.26).
33. რომ. 10.8: „მახლობელ შენდა არს სიტყუად ეგე პირსა შენსა და გულსა შენსა“ (რჯლ. 30.14).
34. რომ. 10.11: „ყოველსა, რომელსა ჰრწმენეს მისა მიმართ, არასადა ჰრცხუენეს“ (ეს. 28.16).
35. რომ. 10.13: „ყოველმან, რომელმან ხადოს სახელსა უფლისასა, ცხოვნდეს“ (იოვ. 3.5).
36. რომ. 10.15: „ვითარ შუენიერ არიან ფერჳნი მახარებელთა მათ მშუდობისათანი, რომელნი ახარებენ კეთილსა!“ (ეს. 52.7; შდრ. ნაუმ. 2.1).
37. რომ. 10.16: „უფალო, ვის-მე ჰრწმენა სასმენელი ჩუენი?“ (ეს. 53.1).
38. რომ. 10.18: „ყოველსა ქუეყანასა განჳდა ჳმად მათი, და კიდეთა სოფლისათა — სიტყუანი მათნი“ (ფს. 18.5).
39. რომ. 10.19: „მე გაშურვო თქუენ არა ნათესავსა მას ზედა და ნათესავითა მით უგულისჳმოდთა განგარისხნე თქუენ“ (რჯლ. 32.21).
40. რომ. 10.20: „ვეპოვე მათ, რომელნი მე არა მეძიებდეს, და განვეცხადე მათ,

- რომელნი მე არა მიკითხვიდეს“ (ეს. 65.1).
41. რომ. 10.21: „დღესა ყოველსა განვიპყრენ ჴელნი ჩემნი ერისა მიმართ ურჩისა და მაცილობელისა“ (ეს. 65.2).
42. რომ. 11.2: არა განიშორა ღმერთმან ერი თვისი (ფს. 94.14).
43. რომ. 11.3: „უფალო, წინაღსწარმეტყუელნი შენნი მოსწყვდნეს და საკურთხეველნი შენნი დაარღვნეს; და მე დაშთომილ ვარ მარტომ, და ეძიებენ სულსაცა ჩემსა“ (III მეფ. 19.10.14).
44. რომ. 11.4: „დამიტევებიეს თავისა ჩემისა შვდ ათასი მამაკაცი, რომელთა არა მოუდრეკიან მუწლნი მათნი ბაალისა“ (III მეფ. 19.18).
45. რომ. 11.8: „მოსცა მათ ღმერთმან სული მწუხარებისად, თუალნი, რადთა არა ხედვიდენ, და ყურნი, რადთა არა ესმოდის, ვიდრე დღენდელად დღედმდე“ (რჯლ. 29.3; შდრ. ეს. 29.10).
46. რომ. 11.9-10: „ექმენინ ტაბლად მათი მათ წინაშე საბრჯე, და სანადირო და მისაგებელ და საცთურ მათდა. დაუბნელდედ თუალნი მათნი, რადთა არა ხედვიდენ, და ზურგი მათი მარადის შედრიკე“ (ფს. 68.23).
47. რომ. 11.26-27: „მოვიდეს სიონით მყსნელი, და მოაქციოს უღმრთოებისაგან იაკობი. და ესე არს ჩემმიერი იგი მათდა მიმართ აღთქუამდ“ (ეს. 59.20-21).
48. რომ. 11.27: „რაუამს მოვსპნე ცოდვანი მათნი“ (ეს. 27.9).
49. რომ. 11.34: ვინ ცნა გონებად უფლისადა? ანუ ვინ თანამზრახვალ ეყო მას? (ეს. 40.13).
50. რომ. 11.35: ანუ ვინ წინაღსწარ მი-რადმე-სცა მას და კუალად მიევოს მას? (იობ. 41.3).
51. რომ. 12.17: წინაღსწარ განიზრახევდით კეთილსა წინაშე ყოველთა კაცთა (იგ. 3.4).
52. რომ. 12.19: „ჩემი არს შურისგებად, და მე მივავო“, — იტყვს უფალი (რჯლ. 32.35).
53. რომ. 12.20: „შიოდის თუ მტერსა შენსა, პური ეც მას; და, სწყუროდის თუ, ასუ მას; რამეთუ ესე რად ჰყო, ნაკუერცხალი ცეცხლისადა შეჰკრიბო თავსა მისსა“ (იგ. 25.21-22).
54. რომ. 13.9: „არა იმრუშო“, „არა კაც-ჰკლა“, „არა იპარო“, „არა გული გითქუმიდეს“ (რჯლ. 5.17-21; შდრ. გამ. 20.13-17).
55. რომ. 13.9: „შიეყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (ლევ. 19.18).
56. რომ. 14.11: „ცხოველ ვარ მე“, — იტყვს უფალი (ეს. 49.18; შდრ. იერ. 22.24; ებეკ. 5.11).
57. რომ. 14.11: „რამეთუ ჩემდა მოდრკეს ყოველი მუწლი, და ყოველმან ენამან

ალუაროს ღმერთსა“ (ეს. 45.23).

58. რომ. 15.3: „ყუედრებანი მაცუედრებელთა შენთანი დამეცნეს ჩემ ზედა“ (ფს. 68.10).
59. რომ. 15.9: „ამისთვის აღგიარო შენ წარმართთა შორის, უფალო, და სახელსა შენსა უგალობდე“ (ფს. 17.50).
60. რომ. 15.10: „იხარებდით წარმართნი ერისა მისისა თანა“ (რჯლ. 32.43).
61. რომ. 15.11: „უგალობდით უფალსა ყოველი თესლები, და აქებდით მას ყოველი ერი“ (ფს. 117.1).
62. რომ. 15.12: „და იყოს ძირი იგი იესესი, და რომელი-იგი აღდგომად არს მთავრად წარმართთა; და მას წარმართნი ესვიდენ“ (ეს. 11.10).
63. რომ. 15.21: „რომელთა არა თხრობილ არს მისთვის, იხილონ, და რომელთა არა სმენილ არს, გულისწმაცონ“ (ეს. 52.15).

4. გედმიწვნიტი ციტატა

ციტატის გარკვეული ნაწილი ზუსტად არის შესრულებული.

1. სეპტუაგინტა (ფს. 50.6): **ὁπὼς ἂν δικαιωθῆς ἐν τοῖς λόγοις σου καὶ νικήσῃς ἐν τῷ κρίνεσθαί σε.**
Nestle-Aland (რომ. 3.4): **ὁπὼς ἂν δικαιωθῆς ἐν τοῖς λόγοις σου καὶ νικήσῃς ἐν τῷ κρίνεσθαί σε.**
2. სეპტუაგინტა (ფს. 13.3): **τάφος ἀνεφγμένος ὁ λάρυγξ αὐτῶν, ταῖς γλώσσαις αὐτῶν ἔδολισσαν.**
Nestle-Aland (რომ. 3.13): **τάφος ἀνεφγμένος ὁ λάρυγξ αὐτῶν, ταῖς γλώσσαις αὐτῶν ἔδολισσαν.**
3. სეპტუაგინტა (ფს. 139.4): **ἰδὲ ἀσπίδων ὑπὸ τὰ χεῖλη αὐτῶν.**
Nestle-Aland (რომ. 3.13): **ἰδὲ ἀσπίδων ὑπὸ τὰ χεῖλη αὐτῶν.**
4. სეპტუაგინტა (ფს. 10.7): **ᾤν τὸ στόμα ἁρᾶς καὶ πικρίας γέμει·**
Nestle-Aland (რომ. 3.14): **ᾤν τὸ στόμα ἁρᾶς καὶ πικρίας γέμει·**
5. სეპტუაგინტა (ეს. 59.7-8): **ὄξεις οἱ πόδες αὐτῶν ἐκχέαι αἷμα, σύντριμμα καὶ ταλαιπωρία ἐν ταῖς ὁδοῖς αὐτῶν. καὶ ὁδὸν εἰρήνης οὐκ ἔγνωσαν.**
Nestle-Aland (რომ. 3.16-17): **ὄξεις οἱ πόδες αὐτῶν ἐκχέαι αἷμα, σύντριμμα καὶ ταλαιπωρία ἐν ταῖς ὁδοῖς αὐτῶν. καὶ ὁδὸν εἰρήνης οὐκ ἔγνωσαν.**

6. სეპტუაგინტა (ფს. 35.2): οὐκ ἔστιν φόβος θεοῦ ἀπέναντι τῶν ὀφθαλμῶν αὐτῶν.
Nestle-Aland (რომ. 3.18): οὐκ ἔστιν φόβος θεοῦ ἀπέναντι τῶν ὀφθαλμῶν αὐτῶν.
7. სეპტუაგინტა (ფს. 31.1): Μακάριοι ὧν ἀφέθησαν αἱ ἀνομίαι καὶ ὧν ἐπεκαλύφθησαν αἱ ἁμαρτίαι· μακάριος ἀνὴρ οὗ οὐ μὴ λογίσηται κύριος ἁμαρτίαν.
Nestle-Aland (რომ. 4.7-8): Μακάριοι ὧν ἀφέθησαν αἱ ἀνομίαι καὶ ὧν ἐπεκαλύφθησαν αἱ ἁμαρτίαι· μακάριος ἀνὴρ οὗ οὐ μὴ λογίσηται κύριος ἁμαρτίαν.
8. სეპტუაგინტა (შეს. 17.5): πατέρα πολλῶν ἐθνῶν τέθεικά σε.
Nestle-Aland (რომ. 4.17): πατέρα πολλῶν ἐθνῶν τέθεικά σε.
9. სეპტუაგინტა (შეს. 15.5): Οὕτως ἔσται τὸ σπέρμα σου.
Nestle-Aland (რომ. 4.18): Οὕτως ἔσται τὸ σπέρμα σου.
10. სეპტუაგინტა (გამ. 20.17; ოფიც. 5.21): οὐκ ἐπιθυμήσεις.
Nestle-Aland (რომ. 7.7): οὐκ ἐπιθυμήσεις.
11. სეპტუაგინტა (ფს. 43.23): ἕνεκα σοῦ θανατούμεθα ὅλην τὴν ἡμέραν, ἐλογίσθημεν ὡς πρόβατα σφαγῆς.
Nestle-Aland (რომ. 8.36): ἕνεκεν σοῦ θανατούμεθα ὅλην τὴν ἡμέραν, ἐλογίσθημεν ὡς πρόβατα σφαγῆς.
12. სეპტუაგინტა (შეს. 21.12): ἐν Ἰσαაკ κληθήσεται σοι σπέρμα.
Nestle-Aland (რომ. 9.7): ἐν Ἰσαაკ κληθήσεται σοι σπέρμα.
13. სეპტუაგინტა (შეს. 25.23): ὁ μείζων δουλεύσει τῷ ἐλάσσονι.
Nestle-Aland (რომ. 9.12): ὁ μείζων δουλεύσει τῷ ἐλάσσονι.
14. სეპტუაგინტა (გამ. 33.19): ἐλεήσω ὃν ἂν ἐλεῶ, καὶ οἰκτιρήσω ὃν ἂν οἰκτίρω.
Nestle-Aland (რომ. 9.15): ἐλεήσω ὃν ἂν ἐλεῶ καὶ οἰκτιρήσω ὃν ἂν οἰκτίρω.
15. სეპტუაგინტა (თს. 2.1): καὶ ἔσται ἐν τῷ τόπῳ οὗ ἐρρέθη αὐτοῖς Οὐ λαός μου ὑμεῖς, ἐκεῖ κληθήσονται υἱοὶ θεοῦ ζῶντος.
Nestle-Aland (რომ. 9.26): καὶ ἔσται ἐν τῷ τόπῳ οὗ ἐρρέθη αὐτοῖς Οὐ λαός μου ὑμεῖς, ἐκεῖ κληθήσονται υἱοὶ θεοῦ ζῶντος.
16. სეპტუაგინტა (ეს. 1.9): εἰ μὴ κύριος σαβαῶθ ἐγκατέλιπεν ἡμῖν σπέρμα, ὡς Σοδομα ἂν ἐγενήθημεν καὶ ὡς Γομορρα ἂν ὁμοιωθήμεν.
Nestle-Aland (რომ. 9.29): Εἰ μὴ κύριος Σαβαῶθ ἐγκατέλιπεν ἡμῖν σπέρμα, ὡς Σόδομα ἂν ἐγενήθημεν καὶ ὡς Γόμορρα ἂν ὁμοιωθήμεν.
17. სეპტუაგინტა (ოფიც. 9.4): Μὴ εἴπῃς ἐν τῇ καρδίᾳ σου.
Nestle-Aland (რომ. 10.6): Μὴ εἴπῃς ἐν τῇ καρδίᾳ σου.

18. სეპტუაგინტა (ეს. 53.1): κύριε, τίς ἐπίστευσεν τῇ ἀκοῇ ἡμῶν;
Nestle-Aland (რომ. 10.16): Κύριε, τίς ἐπίστευσεν τῇ ἀκοῇ ἡμῶν;
19. სეპტუაგინტა (ფს. 18.5): εἰς πᾶσαν τὴν γῆν ἐξῆλθεν ὁ φθόγγος αὐτῶν καὶ εἰς τὰ πέρατα τῆς οἰκουμένης τὰ ῥήματα αὐτῶν.
Nestle-Aland (რომ. 10.18): Εἰς πᾶσαν τὴν γῆν ἐξῆλθεν ὁ φθόγγος αὐτῶν καὶ εἰς τὰ πέρατα τῆς οἰκουμένης τὰ ῥήματα αὐτῶν.
20. სეპტუაგინტა (ეს. 27.9): ὅταν ἀφέλωμαι αὐτοῦ τὴν ἁμαρτίαν;
Nestle-Aland (რომ. 11.27): ὅταν ἀφέλωμαι αὐτοῦ τὴν ἁμαρτίαν.
21. სეპტუაგინტა (რჯლ. 5.17-21): οὐ μοιχεύσεις. οὐ φονεύσεις. οὐ κλέψεις... οὐκ ἐπιθυμήσεις.
Nestle-Aland (რომ. 13.9): Οὐ μοιχεύσεις, Οὐ φονεύσεις, Οὐ κλέψεις, Οὐκ ἐπιθυμήσεις.
22. სეპტუაგინტა (ლევ. 19.18): ἀγαπήσεις τὸν πλησίον σου ὡς σεαυτόν·
Nestle-Aland (რომ. 13.9): Ἀγαπήσεις τὸν πλησίον σου ὡς σεαυτόν.
23. სეპტუაგინტა (ეს. 49.18): ζῶ ἐγώ, λέγει κύριος.
Nestle-Aland (რომ. 14.11): ζῶ ἐγώ, λέγει κύριος.
24. სეპტუაგინტა (ფს. 68.10): οἱ ὄνειδισμοὶ τῶν ὄνειδιζόντων σε ἐπέπεσαν ἐπ' ἐμέ.
Nestle-Aland (რომ. 15.3): Οἱ ὄνειδισμοὶ τῶν ὄνειδιζόντων σε ἐπέπεσαν ἐπ' ἐμέ.
25. სეპტუაგინტა (რჯლ. 32.43): εὐφράνθητε, ἔθνη, μετὰ τοῦ λαοῦ αὐτοῦ.
Nestle-Aland (რომ. 15.10): Εὐφράνθητε, ἔθνη, μετὰ τοῦ λαοῦ αὐτοῦ.
26. სეპტუაგინტა (ეს. 52.15): οἷς οὐκ ἀνηγγέλη περὶ αὐτοῦ, ὄψονται, καὶ οἱ οὐκ ἀκηκόασιν, σνήσουσιν.
Nestle-Aland (რომ. 15.21): Οἷς οὐκ ἀνηγγέλη περὶ αὐτοῦ ὄψονται, καὶ οἱ οὐκ ἀκηκόασιν σνήσουσιν.

5. არაგადმიწმინდი ციტატა

სეპტუაგინტას ძირითადი ტექსტიდან მოყვანილი ციტატები უმნიშვნელოდ შეცვლილია — აკლდება ან ემატება ზოგიერთი სიტყვა, სრულმნიშვნელობიანი თუ დამხმარე, ზმნა გადაყვანილია ერთი დროიდან მეორეში, ცალკეული ლექსიკური ერთეულები ჩანაცვლებულია სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებით.

მოგვყავს ყველა ასეთი შემთხვევა, როდესაც ციტატას:

1. ემატება **ნაწილაკი ძე**:
სებტუაგინტა (შეს. 15.6): **ἐπίστευσεν** Ἀβραμ τῷ θεῷ, καὶ ἐλογίσθη αὐτῷ εἰς δικαιοσύνην.
Nestle-Aland (რომ. 4.3): Ἐπίστευσεν **δ** Ἀβραὰμ τῷ θεῷ, καὶ ἐλογίσθη αὐτῷ εἰς δικαιοσύνην.
2. ემატება **კავშირი γάρ**:
სებტუაგინტა (იოჯ. 3.5): Πᾶς, ὃς ἂν ἐπικαλέσῃται τὸ ὄνομα κυρίου σωθήσεται.
Nestle-Aland (რომ. 10.13): Πᾶς **γάρ** ὃς ἂν ἐπικαλέσῃται τὸ ὄνομα κυρίου σωθήσεται.
3. ემატება **კავშირი γάρ**, ხოლო სხვა **კავშირს (καὶ)** ენაცვლება ნაწილაკი ἡ და სიტყვათა წყობაც ერთგან შეცვლილია: **αὐτοῦ σύμβουλος > σύμβουλος αὐτοῦ**.
სებტუაგინტა (ეს. 40.13): τίς ἔγνω νοῦν κυρίου, καὶ τίς αὐτοῦ **σύμβουλος** ἐγένετο, ὃς συμβιβᾷ αὐτόν;
Nestle-Aland (რომ. 11.34): Τίς **γάρ** ἔγνω νοῦν κυρίου; ἢ τίς **σύμβουλος αὐτοῦ** ἐγένετο;
4. აკლდება უარყოფითი **ნაწილაკი μη**, ხოლო კავშირებითი კილო მმნისა ჩინაცვლებულია **თხრობითით**:
სებტუაგინტა (ეს. 28.16): ὁ πιστεῦν ἐπέ αὐτῷ οὐ **μη καταιοχυνθῆ**.
Nestle-Aland (რომ. 10.11): ὁ πιστεῦν ἐπέ αὐτῷ οὐ **καταιοχυνθήσεται**.
5. აკლდება **მმნიძედა ἔνεκεν** და კავშირი **καὶ**:
სებტუაგინტა (ეს. 59.20-21): ἡξει **ἔνεκεν** Σιων ὁ ῥυόμενος **καὶ** ἀποστρέψει ἀσεβείας ἀπὸ Ἰακωβ. καὶ ἀντη αὐτοῖς ἡ παρ^ϛ ἔμοῦ διαθήκη.
Nestle-Aland (რომ. 11.26-27): Ἡξει ἐκ Σιὼν ὁ ῥυόμενος, ἀποστρέψει ἀσεβείας ἀπὸ Ἰακωβ[•] καὶ ἀντη αὐτοῖς ἡ παρ^ϛ ἔμοῦ διαθήκη.
6. აკლდება არსებითი სახელი **κύριος (κύριε** - წოდებითი ბრუნვა):
სებტუაგინტა (ფს. 17.50): διὰ τοῦτο ἐξομολογήσομαί σοι ἐν ἔθνεσιν, **κύριε**, καὶ τῷ ὀνόματί σου ψαλῶ.
Nestle-Aland (რომ. 15.9): διὰ τοῦτο ἐξομολογήσομαί σοι ἐν ἔθνεσιν, καὶ τῷ ὀνοματί σου ψαλῶ.
7. აკლდება **პირის ნაცვალსახელი ἡμῖν**:
სებტუაგინტა (რჯლ. 30.12): Τίς ἀναβήσεται **ἡμῖν** εἰς τὸν οὐρανόν;
Nestle-Aland (რომ. 10.6): Τίς ἀναβήσεται εἰς τὸν οὐρανόν;
8. აკლდება **პირის ნაცვალსახელი μου**:
სებტუაგინტა (ამბ. 2.4): ὁ δὲ δίκαιος ἐκ **πίστεως μου** ζήσεται.
Nestle-Aland (რომ. 1.17): ὁ δὲ δίκαιος ἐκ **πίστεως** ζήσεται.

ეს უკანასკნელი ის შემთხვევაა, როდესაც ეპისტოლეს ძირითად ტექსტში არ გვხვდება პირის ნაცვალსახელი **μου** (რომელიც ამჯერად კუთვნილებითი ნაცვალსახელის

მაგიერობას სწევს), მაგრამ გამოცემის სქოლიოში აღნიშნულია, როგორც ერთ-ერთი ნუსხის მონაცემი.¹

9. აკლდება **დროის ზმნიდება** *ἐν τῇ ἡμέρᾳ ἐκείνῃ*:
სებტუაგინტა (ეს.11.10): ἔσται ἐν τῇ ἡμέρᾳ ἐκείνῃ ἡ ῥίζα τοῦ Ἰεσοῦ καὶ ὁ ἀνιστάμενος ἄρχειν ἐθνῶν, ἐπ’ αὐτῷ ἔθνη ἔλπιουσιν.
Nestle-Aland (რომ. 15.12): Ἔσται ἡ ῥίζα τοῦ Ἰεσοῦ, καὶ ὁ ἀνιστάμενος ἄρχειν ἐθνῶν· ἐπ’ αὐτῷ ἔθνη ἔλπιουσιν.
10. აკლდება **დროის ზმნიდება** *διὰ παντός*, ხოლო პირის ნაცვალსახელი *μου* შეცვლილია ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელით (მსაზღვრელით) – *τοῦ θεοῦ*.
სებტუაგინტა (ეს. 52.5): δι’ ἡμᾶς διὰ παντός τὸ ὄνομά μου βλασφημεῖται ἐν τοῖς ἔθνεσιν.
Nestle-Aland (რომ. 2.24): τὸ γὰρ ὄνομα τοῦ θεοῦ δι’ ἡμᾶς βλασφημεῖται ἐν τοῖς ἔθνεσιν.
11. აკლდება **ვითარების ზმნიდება** – *σφῶδρα* და ერთგან შეცვლილია სიტყვათა რიგიც:
სებტუაგინტა (რჯლ. 30.14): ἔστιν σου ἐγγὺς τὸ ῥῆμα σφῶδρα ἐν τῷ στόματί σου καὶ ἐν τῇ καρδίᾳ σου.
Nestle-Aland (რომ. 10.8): Ἐγγὺς σου τὸ ῥῆμα ἐστιν, ἐν τῷ στόματί σου καὶ ἐν τῇ καρδίᾳ σου·
12. აკლდება **უარყოფით ნაწილაკი** *ὄβ*, ემატება **ზმნიდება** *ὄντως*, ხოლო პირის ნაცვალსახელი *σὺ* შეცვლილია კითხვითი ნაცვალსახელით *τί*.
სებტუაგინტა (ეს. 29.16): μὴ ἐρεῖ τὸ πλάσμα τῷ πλάσαντι ὄβ σὺ με ἔπλασας;
Nestle-Aland (რომ. 9.20): μὴ ἐρεῖ τὸ πλάσμα τῷ πλάσαντι, **τί** με ἐποίησας **ὄντως**;
13. ციტატაში ზმნა წარმოდგენილია **სხვა დროში** (*ἀποδίδωσιν > ἀποδώσει*, აწმყო > მყოფადი):
სებტუაგინტა (იგ. 24.12): δεῖ ἀποδίδωσιν ἐκάστῳ κατὰ τὰ ἔργα αὐτοῦ.
შდრ. ფს: (61)62.13: ὅτι σὺ ἀποδώσεις ἐκάστῳ κατὰ τὰ ἔργα αὐτοῦ.
Nestle-Aland (რომ. 2.6): δεῖ ἀποδώσει ἐκάστῳ κατὰ τὰ ἔργα αὐτοῦ.
14. ციტატაში ზმნა წარმოდგენილია **სხვა დროში** (*ἀπάσεται > ἀπάσατο*, მყოფადი I > აორისტი I), ხოლო არსებითი სახელი (*κύριος*) ჩანაცვლებულია მნიშვნელობით მასთან გათანაბრებული სხვა სიტყვით (*ὁ θεός*):
სებტუაგინტა (ფს. (93) 94.14): οὐκ ἀπάσεται κύριος τὸν λαὸν αὐτοῦ.
Nestle-Aland (რომ. 11.2): οὐκ ἀπάσατο ὁ θεός τὸν λαὸν αὐτοῦ.
15. ციტატაში პირდაპირი ობიექტი შეცვლილია **სინონიმური მნიშვნელობის** სიტყვით (*τὴν ἰσχὺν > τὴν δύναμιν*):
სებტუაგინტა (გამ. 9.16): ἐνδείξωμαι ἐν σοὶ τὴν ἰσχὺν μου, καὶ ὅπως διαγγεῖ

1 ob. Nestle-Aland 2015:482.

τὸ ὄνομά μου ἐν πάσῃ τῇ γῆ.

Nestle-Aland (რომ. 9.17): ἐνδείξωμαι ἐν σοὶ τὴν δύναμίν μου καὶ ὅπως διαγγελῆ τὸ ὄνομά μου ἐν πάσῃ τῇ γῆ.

16. ციტატაში ზმნა შეცვლილია სინთეზური მნიშვნელობის სიტყვით (**τρέφε** > **ψάμιζε**): სეპტუაგინტა (იგ. 25.21-22): ἐὰν πεινᾷ ὁ ἐχθρὸς σου, **τρέφε** αὐτόν, ἐὰν διψᾷ, **πότιζε** αὐτόν· τοῦτο γὰρ ποιῶν ἄνθρακας πυρὸς σωρεύσεις ἐπὶ τὴν κεφαλὴν αὐτοῦ.

Nestle-Aland (რომ. 12.20): ἐὰν πεινᾷ ὁ ἐχθρὸς σου, **ψάμιζε** αὐτόν· ἐὰν διψᾷ, **πότιζε** αὐτόν· τοῦτο γὰρ ποιῶν ἄνθρακας πυρὸς σωρεύσεις ἐπὶ τὴν κεφαλὴν αὐτοῦ.

17. ციტატაში განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **αὐτοὺς** (რომელსაც ამჯერად მესამე პირის ნაცვალსახელის მნიშვნელობა აქვს მრავლობითი რიცხვში) წარმოდგენილია პირის ნაცვალსახელით **ἡμᾶς**, მართალია, ასევე, მრავლობითი რიცხვით, მაგრამ დვას მეორე პირში (**αὐτοὺς** > **ἡμᾶς**):

სეპტუაგინტა (რჯლ. 32.21): κἀγὼ παραζηλώσω **αὐτοὺς** ἐπ’ οὐκ ἔθνει, ἐπ’ ἔθνει ἄσυνέτω παροργιῶ **αὐτοὺς**.

Nestle-Aland (რომ. 10.19): Ἐγὼ παραζηλώσω **ἡμᾶς** ἐπ’ οὐκ ἔθνει, ἐπ’ ἔθνει ἄσυνέτω παροργιῶ **ἡμᾶς**.

18. ციტატაში ზმნა, მართალია, წარმოდგენილია ბრძანებითის მრავლობითში, მაგრამ — მესამე პირში (**ἐπαινέσατε** > **ἐπαινεσάτωσαν**), ემატება კავშირი **καὶ** და ერთგან შეცვლილია სიტყვათა თანამიმდევრობაც:

სეპტუაგინტა (ფს. 117.1): Αἰνεῖτε τὸν κύριον, πάντα τὰ ἔθνη, **ἐπαινέσατε** αὐτόν, πάντες οἱ λαοί.

Nestle-Aland (რომ. 15.11): Αἰνεῖτε, πάντα τὰ ἔθνη, τὸν κύριον, καὶ **ἐπαινεσάτωσαν** αὐτόν, πάντες οἱ λαοί.

ამ ნაწილში გადმოცემული მაგალითებიც არაბუსტი ციტაციის შემთხვევებს განვუკუთვნეთ:

1. ციტატის დასაწყისი ემყარება შესაქმის 18.10–ს (**Κατὰ τὸν καιρὸν τοῦτον**), ხოლო დასასრული — ამავე წიგნის 18.14–ს (**καὶ ἔσται τῇ Σαρρα υἷς**).

სეპტუაგინტა (შეს. 18.10): **κατὰ τὸν καιρὸν τοῦτον** εἰς ἄρας, καὶ ἕξει υἷδὸν Σαρρα ἢ γυνή σου.

შეს. 18.14: εἰς τὸν καιρὸν τοῦτον ἀναστρέψω πρὸς σε ἔ εἰς ἄρας, **καὶ ἔσται τῇ Σαρρα υἷς**.

Nestle-Aland (რომ. 9.9): **Κατὰ τὸν καιρὸν τοῦτον** ἐλεύσομαι καὶ ἔσται τῇ **Σάρρα υἷς**.

2. შინაარსით თხრობითი წინადადება ჩანაცვლებულია კითხვითით:

სეპტუაგინტა (ფს. 107.26): καταβαίνουσιν ἕως τῶν ἄβύσσων.

- Nestle-Aland (რომ. 10.7): **Τίς καταβήσεται εἰς τὴν ἄβυσσον;**
3. აკლდება ზმნა მყოფადში (**ποιήσετε**), აგრეთვე — მიმართებითი ნაცვალსახელი (**ἄ**), ხოლო ქვემდებარე წარმოდგენილია მიმღებობით (**ὁ ποιήσας**):
სეპტუაგინტა (ლევ. 18.5): **ποιήσετε αὐτά, ἢ ποιήσας ἄνθρωπος ζήσεται ἐν αὐτοῖς·**

- Nestle-Aland (რომ. 10.5): **ὁ ποιήσας αὐτά ἄνθρωπος ζήσεται ἐν αὐτοῖς.**
4. საშუალ-ვნებითი ბრძანებითი (**προνοῦθ**) ჩანაცვლებულია საშუალ-ვნებითი მიმღებობით (**προνοοῦμενοι**), არსებითი სახელი **κύριος** (**κύριου**) — ზედსართავი სახელით **πᾶς** (**πάντων**), ხოლო კავშირი **καὶ** საერთოდ აკლდება:

- სეპტუაგინტა (იგ. 3.4): **προνοῦθ καλὰ ἐνώπιον κυρίου καὶ ἀνθρώπων.**
Nestle-Aland (რომ. 12.17): **προνοοῦμενοι καλὰ ἐνώπιον πάντων ἀνθρώπων·**
5. სეპტუაგინტა (ეს. 10.22-23): **καὶ ἐὰν γένηται ὁ λαὸς Ἰσραὴλ ὡς ἡ ἄμμος τῆς θαλάσσης, τὸ κατάλειμμα αὐτῶν σωθήσεται· λόγον γὰρ συντελῶν καὶ συντέμνων ἐν δικαιοσύνη, ὅτι λόγον συντετμημένον ποιήσει ὁ θεὸς ἐν τῇ οἰκουμένῃ ὅλη.**

ოს. 2.1: **καὶ ἦ ὁ ἀριθμὸς τῶν υἱῶν Ἰσραὴλ ὡς ἡ ἄμμος τῆς θαλάσσης...**

Nestle-Aland (რომ. 9.27-28): **Ἐὰν ἦ ὁ ἀριθμὸς τῶν υἱῶν Ἰσραὴλ ὡς ἡ ἄμμος τῆς θαλάσσης, τὸ ὑπόλειμμα σωθήσεται· λόγον γὰρ συντελῶν καὶ συντέμνων ποιήσει κύριος ἐπὶ τῆς γῆς.**

ციტატის დასაწყისი ნაწილი (**Ἐὰν ἦ ὁ ἀριθμὸς τῶν υἱῶν Ἰσραὴλ ὡς ἡ ἄμμος τῆς θαλάσσης**) თითქმის ზუსტად მიჰყვება ოსე 2.1-ს და არა ესაია 10.22-ს, რომელთანაც ფრაზა — **ἦ ὁ ἀριθμὸς τῶν υἱῶν Ἰσραὴλ** — საერთოდ არ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ წმინდა პავლე მოციქული თავიდან ოსეს წიგნს ეყრდნობა და ციტატა ზუსტად მოჰყავს, მის ავტორად ესაიას ასახელებს: რომ. 9.27: ხოლო ესაია დასაწყისს ისრაჰელისათვის (შდრ.: ბერძ.: **Ἰσραὴλ δὲ κράζει ὑπὲρ τοῦ Ἰσραὴλ¹**). ვინაიდან ციტატის შემდგომ ნაწილს პარალელი სწორედ ესაიას წიგნთან ეძებნება (თან წმინდა მოციქული მის ავტორად ესაიას მოიხმობს), მის ძირითად წყაროდ ესაია 10.22 გვაქვს მიჩნეული.

ქვემოთ მოყვანილი ციტატის შემთხვევაშიც იგივე ვითარებაა, ოღონდ აქ პირიქით ხდება: წმინდა პავლე მოციქული თავდაპირველად მიმართავს არაბუსტ ციტაციას ეკლესიასტესა და ფსალმუნთა წიგნებიდან, შემდეგ კი ამთავრებს ზუსტი ციტაციით ასევე ფსალმუნებიდან:

6. სეპტუაგინტა (ეს. 13.2-3) (შდრ.: ეს. 52.3): **κύριος ἐκ τοῦ οὐρανοῦ διέκυψεν ἐπὶ τοὺς υἱοὺς τῶν ἀνθρώπων τοῦ ἰδεῖν εἰ ἔστιν συνίων ἢ ἐκζητῶν τὸν θεόν. πάντες ἐξέκλιναν, ἅμα ἠχρεώθησαν, οὐκ ἔστιν ποιῶν χρηστότητα, οὐκ ἔστιν ἕως ἑνός.**

(ეკლ. 7.20): ὅτι ἄνθρωπος οὐκ ἔστιν δίκαιος ἐν τῇ γῆ, ὃς ποιήσει ἀγαθὸν καὶ οὐχ ἁμαρτήσεται.

Nestle-Aland (რომ. 3.10-11): Οὐκ ἔστιν δίκαιος οὐδὲ εἷς, οὐκ ἔστιν ὁ συνίων, οὐκ ἔστιν ὁ ἐκζητῶν τὸν θεόν.

ციტატის დასაწყისი (რომ. 3.10: **Οὐκ ἔστιν δίκαιος οὐδὲ εἷς**) ემყარება ეკლესიასტეს (ეკლ. 7.20), რომელსაც მოციქული განაცხადობს ფს. 13.2-ით (ამას პარალელური ეძებნება, ასევე, ფს. 52.3-თან), ხოლო ციტატის დამაბოლოებელი მონაკვეთი — რომ. 3.12: **πάντες ἐξέκλιναν, ἅμα ἠχρεώθησαν, οὐκ ἔστιν ποιῶν χρηστότητα, οὐκ ἔστιν ἕως ἑνός** — არის ზუსტი ციტირება ფს. 13.3-ისა (შდრ.: სეპტუაგინტა: ფს. 13.3: **πάντες ἐξέκλιναν, ἅμα ἠχρεώθησαν, οὐκ ἔστιν ποιῶν χρηστότητα, οὐκ ἔστιν ἕως ἑνός**).

6. სიტყვათა გადასმა

დასტურდება ციტატაში სიტყვებისათვის ადგილის შეცვლის (სიტყვათა განაცვლების) რამდენიმე შემთხვევა:

1. სეპტუაგინტა (მალ. 1.2-3): **ἠγάπησα τὸν Ἰακωβ, τὸν δέ^ς Ἡσαῦ ἐμίσησα.**
Nestle-Aland (რომ. 9.13): **Τὸν Ἰακώβ ἠγάπησα, τὸν δέ Ἡσαῦ ἐμίσησα.**
2. სეპტუაგინტა (ეს. 65.1): **Ἐμφανῆς ἐγενόμην τοῖς ἐμὲ μὴ ζητοῦσιν, εὐρέθην τοῖς ἐμὲ μὴ ἐπερωτῶσιν.**
Nestle-Aland (რომ. 10.20): **Εὐρέθην ἐν τοῖς ἐμὲ μὴ ζητοῦσιν, ἐμφανῆς ἐγενόμην τοῖς ἐμὲ μὴ ἐπερωτῶσιν.**
3. სეპტუაგინტა (ეს. 65.2): **ἐξεπέτασα τὰς χεῖράς μου ὄλην τὴν ἡμέραν πρὸς λαὸν ἀπειθοῦντα καὶ ἀντιλέγοντα.**
Nestle-Aland (რომ. 10.21): **ὄλην τὴν ἡμέραν ἐξεπέτασα τὰς χεῖράς μου πρὸς λαὸν ἀπειθοῦντα καὶ ἀντιλέγοντα.**

7. პერიფრაზები

ამ ნაწილში აღვნიშნავთ იმ ძველალექსიურულ წყაროებს, რომლებსაც მხოლოდ აზრობრივად ეფუძნება ციტატებად ჩართული დამოწმებანი შემდეგ ეპიზოდებში:

1. რომ. 9.25 (ოს. 2.25); 2. რომ. 9.33 (ეს. 8.14-დან); 3. რომ. 10.15 (ეს. 52.7 და ნაუმ. 2.1-დან); 4. რომ. 11.3 (3 მეფ. 19.10 და 3 მეფ. 19.14-დან); 5. რომ. 11.4 (3 მეფ. 19.18-დან); 6. რომ. 11.8 (რჯლ. 29.3 და ეს. 29.10-დან); 7. რომ. 11.9-10 (ფს. 68.23-24-დან); 8. რომ. 11.35 (იობ. 41.3-დან); 9. რომ. 12.19 (რჯლ. 32.35-დან); 10. რომ. 14.11 (ეს. 49.18 და იერ. 22.24-დან).

გაყოყნებული ლიტერატურა

1. ბიბლია 2015: ბიბლია, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ქელიძემ, „ალილო“, თბილისი, 2015.
2. მცხეთური ხელნაწერი 1983: მცხეთური ხელნაწერი (ტობის, ივლითის, ესთერის, იობის წიგნები, ფსალმუნნი, იგავთა წიგნი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, „მეცნიერება“, თბილისი, 1983.
3. პავლეს ეპისტოლეთა განმარტება 2003: პავლეს ეპისტოლეთა განმარტება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2003.
4. პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები 1974: პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძონენიძემ და კორნელი დანელიამ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 16, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1974.
5. ურუშაძე 1987: აკაკი ურუშაძე, ძველი ბერძნული ენა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1987.
6. ძველი ქართული ახალი აღთქემაძ 2017: ძველი ქართული ახალი აღთქემაძ სქოლიოებით, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ედიშერ ქელიძემ, თბილისი, 2017.
7. ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 1977: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1977.
8. Nestle-aland Novum Testamentum Graece, Based on the work of Eberhand and Erwin Nestle Edited by Barbara and Kurt Aland, Johannes Karavidopoulos, Carlo M. Martini, Bruce M. Metzger, 2015.
9. Patrologiae Cursus Completus, Patrologiae Graecae, Tomus LXXXV, Accurante j.-p Mi-gne, 1864.
10. Septuaginta id est Vetus Testamentum graece iuxta LXX interpretes edidit Alfred Rahlfs, Duo volumina in uno, 1979.
11. Греческо-русский словарь 2002: Греческо-русский словарь нового завета, Москва, 2002.
12. <https://titus.uni-frankfurt.de/indexe.htm?texte/texte2.htm>

პველალთქმისეული ციტასია
წმინდა პავლე მოციქულის რომაელთა მიმართ ეპისტოლეუმი

რეზიუმე

წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანი იყო წმინდა პავლე მოციქულის რომაელთა მიმართ ეპისტოლეუმი პველალთქმისეულ დამოწმებათა რაოდენობის დადგენა. საამისოდ მიემართეთ აღნიშნული ეპისტოლეის მეცნიერულად დადგენილ ბერძნულ ტექსტს, პველი ალთქმის წიგნთა ბერძნულ თარგმანს – სეპტუაგინტას, ასევე – ევთალე დიაკონის „სტიქომეტრიის“ ბერძნულ-ქართულ ვერსიებს, რომელიც სწორედ ხსენებულ ეპისტოლეუმი არსებულ პველალთქმისეულ ციტაციასაც ესება.

აღნიშნულ წყაროებზე მუშაობის შედეგად გამოვლინდა 63 ციტატა (დამოწმება), რომელთაგან ევთალეს „სტიქომეტრიაში“ გვხვდება მხოლოდ 48. ამის მიზეზად შეიძლება დასახელოდეს შემდეგი ვითარება: 1. ზოგიერთი პველალთქმისეული დამოწმება ხსენებულ ნაშრომში საერთოდ არ არის აღრიცხული (ესენია: რომ. 2.6 – იგ. 24.12; შლრ. ფს. 62.13; 2. რომ. 9.20 – ეს. 29.16; 3. რომ. 11.2 – ფს. 94.14; 4. რომ. 7.7: – გამ. 20.17; შლრ. რფლო. 5.21; 5. რომ. 10.11: – ეს. 28.16); 2. გვხვდება ორი ან მეტი ციტატის გაერთიანების, ანუ ერთ დამოწმებად წარმოდგენის რამდენიმე შემთხვევა.

ყველა ციტატას (63) წმინდა პავლე მოციქული იმოწმებს როგორც ზედმიწევნითი (26), ისე არაზედმიწევნითი სიზუსტით (24), მიმართაეს, აგრეთვე, ციტატაში სიტყვათა გადაადგილებისა (3) და პერიფრაზირების წესებს (10).

The Old Testament Citations Included by Saint Paul the Apostle in His Epistle to the Romans

Abstract

The main objective of our research presented in this paper is to determine the number of the Old Testament attestations contained in Saint Paul the Apostle's Epistle to the Romans. For this reason, we studied the scientifically confirmed Greek text of the mentioned epistle, the Greek translation of the books of the Old Testament – Septuagint, as well as the Greek-Georgian versions of *Euthalian Stichometry* which, besides the other themes, analyses the Old Testament citations included in the mentioned epistle.

As the result of the work done on the mentioned sources, 63 citations (attestations) were identified, of which only 48 are found in the *Euthalian Stichometry*. The following results can be named as the reason for the aforementioned: 1. Some Old Testament attestations are not recorded in the mentioned work at all (these are: I. Romans 2.6 – Proverbs 24.12; cf. Ps. 63.13; II. Romans 9.20 – Issaiah 29.16; III. Romans 11.2 – Psalms 95.14; IV. Romans 7.7 – Rev. 20.17; cf. Deuteronomy 5.21; V. Romans 10.11 – Isaiah 28.16). 2. There are several cases of combining two or more citations, that is, presenting them as one attestation.

Saint Paul the Apostle uses all citations (63) with both meticulous (26) and non-meticulous precision (24), he also employs the rules of changing the places of the words in them (3) and those of paraphrasing (10).



ღიაკონი ლევან ჭანკვეტაძე

**თეოლორე აბუკურას თხზულები – „ბროლისათჳს
ქრისტიანისა ეჟიპტისა მიმართ“ – წმ. არსენ
იყალთოელის ქართული თარგმანი**

ღიაკონი ლევან ჩანკვეთაძე თეოლოგიის მაგისტრი, დოგმატიკის
მიმართულების დოქტორანტი

DEACON LEVAN CHANKVETADZE Master of Theology;
a doctoral student of Dogmatics

ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
მაია რაფაია

SUPERVISOR Doctor of Philological Sciences
Maia Rapava

წინასიტყვა

წინამდებარე პუბლიკაციით ქვეყნდება VIII-IX ერთ-ერთი გამორჩეული ღვთისმეტყველისა და არაბი საეკლესიო მწერლის – თეოდორე აბუკურას დიალოგური ფორმით დაწერილი მცირე თხზულება – „ბრძოლისათვის ქრისტესისა ეშმაკისა მიმართ“.

თეოდორე აბუკურა არის პირველი მართლმადიდებელი სწავლული-ღვთისმეტყველი, რომელმაც გადმოსცა ქრისტიანული სწავლება არაბულ ენაზე, რითაც მიიზღო კიდევ მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება.¹

თეოდორე აბუკურას თხზულებები პირველად XVII საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნდა, როდესაც გამოიცა ბერძნულ ენაზე დაწერილი მისი ზოგიერთი ნაშრომის ლათინური თარგმანი. შემდეგ თანდათანობით დაიბეჭდა მისი ორმოცდასამეფე შრომა ბერძნულ ენაზე. ყველა ეს შრომა შესულია *Patrologia Graeca*-ს 97-ე ტომში.² XIX საუკუნის ბოლოს აღმოჩენილ იქნა და შემდგომ გამოიცა კიდევ აბუკურას 14 თხზულება არაბულ ენაზე. მათგან აღსანიშნავია ალ-ბაშას გამოცემა,³ რომელშიც შესულია 10 თხზულება. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ მისი ბერძნულ ენაზე გამოცემული რამდენიმე ტრაქტატი, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, თარგმნილია არაბულიდან. ცნობილია, აგრეთვე, რომ თეოდორე აბუკურამ დაწერა 30 ტრაქტატი სირიულ ენაზე, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია.

საბატიო ტიტული „აბუ კურა“ (არაბულად „მამა ნუტეშინისცემისა“), ისევე როგორც ტიტულები „სწავლულისა“ და „ფილოსოფოსისა“, მეტყველებს მის შესახებ, თუ რაოდენ დიდი პატივისცემით სარგებლობდა ეს ქრისტიანი ღვთისმეტყველი. ეს იმიტაც მტკიცდება, რომ მისი შრომები, დაწერილი ბერძნულ ენაზე, მალევე ითარგმნა ქართულად. თეოდორეს შრომები გამოირჩევა ორიგინალურობით, აბუკურა ცდილობს მისთვის დამახასიათებელი ენითა და მოწინააღმდეგეთათვის აღვიღად გასატეხი საშუალებებით ჩამოაყალიბოს, გადმოსცეს ქრისტიანული სწავლება. გარდა მუსულმანებთან, მონოთეიზმებთან და ნესტორიანელებთან პოლემიკისა, თეოდორე გამორჩეული ფიგურა იყო სატემბრძოლებთან დაპირისპირებაში, განსაკუთრებით, ბიზანტიის იმპერიის საზღვრებს გარეთ.⁴

ძველ ქართულ მწერლობაში თეოდორე აბუკურას თხზულებები განსაკუთრებით ცნობილი გახდა წმ. არსენ იყალთოელის თარგმანების მეშვეობით, როდესაც „ლოგოტიკონში“ შეიტანა რამდენიმე თხზულება. მან თეოდორე იმ ბიზანტიელ მწერალთან რიგში მოაქცია, რომელთა ნაშრომები განსაკუთრებით ფართო პოპულარობით სარგებლობდა იმდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში და, მასთან ერთად, საქართ-

1 ФЕОДОР АБУ КУРРА В ЗАЩИТУ ИКОНОПОЧИТАНИЯ, Перевод с английского М. Черняевой, 2004, predanie.ru.

2 Griffith S. I. The Controversial Theology of Theodor Abu Qurrah (c. 750 — c. 820 A.D.); a methodological, comparative study in Christian Arabic literature (Ph. D. diss.), Washington, 1978. P. 4.

3 Al-BashaQ. Mayamir Thawudurus Abi Qurrah Usquf Harran. Beirut, 1904.

4 Ю. Максимов, ФЕОДОР АБУ КУРРА И ЕГО МЕСТО В ИСТОРИИ РАННЕЙ ПРАВОСЛАВНОЙ ПОЛЕМИКИ С ИСЛАМОМ, 2003. pstgu.ru

ველოში. უნდა აღინიშნოს, რომ წმ. არსენი თავადაც ვერ მალავს აღტაცებას თეოდორეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლემიკური შრომის („სიტყვსტება ჰურიათა მიმართ“) თარგმნისას და თავის გრძნობას ასე გამოხატავს: „საუკუნოდმცა ვსენებულ ხარ, მამაო, ესოდენ ბრძნისა მარწმუნებლობისათვის, რომლითა მეცა ეღვარედ ცისკროვან მყოფ გულისჯმიერთა ხედვათა ფერებითა“.¹

ჯერ კიდევ 1915 წელს ე. კრანოვსკი სრულადად მართებულად მიუთითებდა, რომ აბუკურას შრომების საფუძვლიანი შესწავლა-შეფასებისათვის აუცილებელია მათი ქართული და სლავური თარგმანების გათვალისწინება და სათანადო კვლევა-ძიება.² ამ ფაქტზე საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას გ. გრაფი, რომელიც აღნიშნავდა: „თეოდორე აბუკურას მწერლობა ძველ ქართულ ლიტურატიურაშიც არის წარმოდგენილი, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ბერძნული რიგიდან მხოლოდ ტრაქტატები უნდა იყოს თარგმნილი“.³

ქართულ მეცნიერებაში თეოდორე აბუკურას შრომები ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი. მისი შრომების არსენისეული თარგმანები S 1463 ხეღნაწერის მიხედვით შედარებით სრულად და ანოტირებულად აღნუსხა ივ. ლოლაშვილი.

თხზულებაში: „წამება წმიდისა მიქაელისა“ – თეოდორე აბუკურა იხსენიება როგორც ბაბილონელი (ბაღდადელი) სასწაულთმოქმედი. მისი ნაშრომების ქართულ თარგმანში ერთ დიალოგს აქვს წარწერა: „წმიდა და სიბრძნისმოყუარე თეოდორე, ხარანის ეპისკოპოსი“.⁴ მის ორ არაბულ შრომას აქვს წარწერა, სადაც ის იხსენიება წმინდანად („ეს ტრაქტატი, დაწერილი წმიდა ამა თეოდორეს ხარანის ეპისკოპოსის აბუკურას მიერ...“). საგარეოდ, თეოდორე აბუკურა მართლაც მიიჩნეოდა წმინდანად, მაგრამ მისი კანონიზაციის შესახებ უფრო ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება, რადგან ანტიოქიის ეკლესიაში როგორც მისი, ასევე, სხვა იმდროინდელი მოღვაწე მამების წმინდანობის შესახებ მწირი ცნობებია ჩვენამდე მოღწეული.

1 ლოლაშვილი 1978: 115.
 2 Крачковский, Христианский Восток IV, 1916: 308-309.
 3 დათიაშვილი 1980: 10.
 4 დათიაშვილი 1980: 21-22.

თხზულების შინაარსის მოკლე მიმოხილვა

თეოდორე აბუკურას კითხვა-მიგებითი ხასიათის ნაშრომში – „**ბრძოლისათვის ქრისტესისა ეშმაკისა მიმართ**“ – რამდენიმე მნიშვნელოვანი საღვთისმეტყველო სწავლებაა გადმოცემული.

თვითონ თხზულების სათაურიც მიგვანიშნებს, რომ ავტორი მასში ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ სძლია განკაცებულმა ძე ღმერთმა – იესო ქრისტემ – უკეთურ ძალას – ეშმაკს.

ხარანელი ეპისკოპოსი აღნიშნულ ნაშრომში საუბრობს ადამის ცოდვით დაცემის მიზეზებზე. მისი სწავლებით, აკრძალული ხის ნაყოფი იყო გარეგნულად ლამაზი და სახილველად მშვენიერი: „სიწყლტუემან გემოვნებისამან დასულიბა პირველად **გულისთქუმაა მისი** და ეგრეთ შეორგულდა. რამეთუ არა თუძცა **კეთილ ყოფილიყო, არცა შუენიერ** აღჩენილ იყო მისდა დამოწმებული იგი ნერგი, არამცა შეეცოტუნა თავი თვისი, არცა შეეწყნარა სიტყუაჲ მტერისაჲ“ (S 1463, 291r). ამ გარემოებამ მიიზიდა ადამის გულისთქმა და გონება, რასაც დაემატა ეშმაკის მიერ შემოთავაზებული საცთურიც: „**უკუეთუ სჭამო ამისგან, ღმერთ იქმნე**“ (291v), რამაც საბოლოოდ გამოიწვია კიდევც ადამის შეცოდება.

შემდეგ თეოდორე აბუკურა იწყებს ძე ღმერთის განკაცების მიზეზის განმარტებას. საეკლესიო სწავლების მიხედვით, ადამის პიროვნულ შეცოდებას შედეგად მოჰყვა ბუნებითი თვისებების **გაუკულმართება (უკვდავი გახდა მოკვდავი, უხრწელი – ხრწნადი, უვნებო – ვნებით შემოსილი ანუ ტკივილგანმცდელი)**. ამიტომ მიიღო მაცხოვარმა ცოდვით დაცემული ბუნება, რომ გამოხსნა სამართლიანი ყოფილიყო (შესცოდა რა ადამიანური ბუნების მქონე პიროვნებამ, გამოხსნაც ადამიანური ბუნების მქონე პიროვნებისგან უნდა აღსრულებულიყო) და ამგვარად სამართლიანად სძლია ეშმაკს. თეოდორეს მსჯელობით, ხედავდა რა ეშმაკი ადამს და მის შთამომავლობას ცოდვით დაცემულ მდგომარეობაში, იმით კი არ მოქაღულობდა, რომ პიროვნულად დაამარცხა რომელიმე ადამიანი, არამედ სწორედაც რომ ღმერთის მიერ შექმნილ კაცობრივ ბუნებას სძლია: „არამედ ვინაჲთგან თვთ მას ადამს და მის შემდგომთა კაცთა ჰხედვიდა თავისა თვისისა მიერ ძლეულად, არა ადამის გუამისა და სხუათა კაცთაჲსასა ჰგონებდა მძლე ქმნილობასა, არამედ თვთ მის **ბუნებისასა** და იტყოდა, ვითარმედ: დაჰბადა ღმერთმან დაბადებული, ვერ შემძლებელი წინაგანწყობად ჩემდა მომართ და ცოდვისა (291r). მისივე აზრით, აღნიშნული მიზეზი გახდა კიდევც ძე ღმერთის განკაცების საბაბი: „ამის მაღლისათვის სიტყუამან ღმერთმან, სრულებით მიძლებელმან ყოველსა **ბუნებასა** კაცებისასა, მინიჭა მას, რაჲთა თვთმფლობელითა ნებითა თვისითა გრძნობათა მიერ და ყოველთავე **ბუნებითთა** ძალთა თვისთა **ბუნებითად** და სათანადოდ ნებისაებრ ღმერთისა მოქმედებდეს და ესრეთ სძლო ეშმაკსა... და ესრეთ სძლო და მძლედ გამოაჩინა **ბუნებამ**, რომლისათვისცა ბუნებისად შეირაცხა მიერითგან მძლეობამ და სიმართლე (291r). ასე რომ, ქრისტეს კაცობრივი ბუნების შესაბამისი ჰიპოსტასი, პიროვნება თავად ძე ღმერთია. სწორედ ეს პიროვნება არის მოქმედი და წარმმართველი ძალა

მაცხოვარში კაცობრივი ბუნების თვისებებისა.

თეოდორე აბუკურას სწავლებით, სწორედ ეს არის განკაცების საიდუმლო, რომ პიროვნება ძე ღმერთი კაცობრივი ბუნებით სძლევს, ამარცხებს ეშმაკს, არა როგორც კაცი პიროვნება (როგორც ნესტორიანელები მოძღვრობენ), არა როგორც მარტო ღმერთი (როგორც ამას მონოფიზიტები ამბობენ), არამედ ღმერთი-სიტყვა განხორციელებული: „*იაკობიტნი ვიდრემე სიტყუასა ღმერთსა მარტივსა იტყვან ამის ბრძოლისა და ძლევისა მოქმედად, ხოლო ნესტორიანნი წინა-უკმო: მარტივსა კაცსა ოდენ. ხოლო ეკლესიაჲ, საშუალსა და სამეუფოსა გზასა ზედა მავალი, სიტყუასა ღმერთსა განხორციელებულსა ასწავებს ბრძოლისმყოფელად ეშმაკისა მიმართ... ეგრეთვე ვიტყვთ სიტყუასაცა ღმერთსა მძლედ ვორცითა თვისითა. და კუალად, ვორცითა ვიტყვთ მძლედ, ესე იგი არს, ბუნებასა კაცებისასა (291r).*

ხელნაწერთა აღწერილობა

თეოდორე აბუკურას თხზულების – „**ბრძოლისათვის ქრისტესისა ეშმაკისა მიმართ**“ – არსენ იყალთოელისეული ქართული თარგმანი წარმოდგენილია ჩვენ მიერ გამოყენებულ შემდეგ ხელნაწერებში: S 1463 (XI ს, ლიტ. A); K 23 (XII ს, ლიტ. B); S 312 (XVI ს, ლიტ. C); Q 50 (XVIII ს, ლიტ. D); S 248 (XVIII ს, ლიტ. E); H 1000 (XVIII ს, ლიტ. F).

ქართულ ნუსხებს შორის მნიშვნელოვანი ვარიანტული სხვაობები არ დასტურდება, ძირითადად, ორთოგრაფიული ხასიათის განსხვავებებთან გვაქვს საქმე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ თარგმანის ტექსტი ყველა ნუსხის მიხედვით საერთო პროტოგრაფიდან მომდინარეობს.

„დომეტიკონის“ ნუსხათაგან უძველესად მიიჩნევა S 1463 ხელნაწერი,¹ რომელშიც შესულია 74-ზე მეტი თხზულება. მასში დაცული თხზულებები რომ წმ. არსენის თარგმანია, ეს მინაწერებით ცხადდება. ხელნაწერი 314 გვერდისაგან შედგება. 1r-დან 304v-ის ჩათვლით ხშირად იხსენიება იყალთოელი მამა: „თარგმანი არსენი“, „არსენი იტყვის“, „ესე მე ესრეთ ვიოფლე აქამომდე უნდომან არსენი“ და სხვა.

ასევე, უძველესია XII თუ XIII საუკუნეში გადაწერილი გელათური კრებული K 23,² რომელიც შედგენილობით და თხზულებათა თანმიმდევრობითაც მნიშ-

1 312 ფ. 34,2/25,2, ეტრატი, ტვიფრული ტყავადაკრული მუყაოს ყდა, აქვს ზემო და ქვემო ყდის საცავი ფურცლები, ნუსხური, სათაურები სინგურით, დაწერილია ორ სვეტად (XI ს.), მთარგმნელი არსენ ვაჩეს ძე (1r; 39v, 103r); შემოწირულია იასონ დავითის ძე ციციშვილის მიერ (ზემო ყდის საცავი ფურცელი) (აღწერილობა 1961: 213-222).

2 458 ფ. 33,5/25,5, ეტრატი, ტყავადაკრული ხის ყდა, ნუსხური, სათაურები სინგურით (XIII ს.), ნაკლული, ეტრატის ფურცლების დაკარგვის გამო დასაწყისში ჩაკერებულია თეთრი

ენელოვნად განსხვავდება S 1463-ისგან. მასში დაცულია 40 თხზულება.

S 1463-თან შედგენილობით ახლოს დგას Q 50¹ ხელნაწერი, რომელიც არის Q 51-ის გაგრძელება. ხელნაწერი შეიცავს „დოგმატიკონის“ ბოლო ნაწილს (47 თხზულება), Q 51 დასაწყისია, Q 50-დასასრული. ორივე ხელნაწერი გადაწერილია 1777 წელს იოანე ხუცეს-მონაზონის მიერ.²

Q 50 ტექსტი მისდევს „დოგმატიკონის“ უძველეს ნუსხას (S 1463). ტექსტს აქვს მრავალი სქოლიო და შენიშვნა – „შეისწავენი“. ღირსშესანიშნავი ადგილების ყურადსაღებად კიდევ უასომთავრულით მიწერილია: „იხილე ყოლად-შუენიერი რწმუნება“ (იხ. 42r, 7v). ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს იოანე მონაზონის სამი ანდერძი, საიდანაც ვიგებთ, რომ ჭყონდიდელი მიტროპოლიტის – გრიგოლ დადიანის ბრძანებით, ტექსტის გადამწერი არის იოანე ხუცესმონაზონი.

„დოგმატიკონის“ ნუსხათა შორისაა კრებული S 312.³ გარდა „დოგმატიკონში“ შესული თხზულებებისა, მასში დაცულია სხვადასხვა ავტორის დოგმატიკურ-პოლემიკური, ასტროლოგიური და ენათმეცნიერული ხასიათის თხზულებები. სშირია შემთხვევები, როცა არსენისეული თარგმანები გადაკეთებულია. შესულია 55 თხზულება.

S 312-ის მსგავსი შედგენილობისაა S 248⁴ და H 1000 ხელნაწერები.⁵

ქალაქის 11 რვეული, ბოლოში არის ჩამატებული ერთი ქალაქის რვეული, ძველი პაგინაციით ახლა ამ წიგნში 39 ეტრატის რვეულია, ტექსტი დაწერილია ორ სვეტად და თითო სვეტში 31-32 სტრიქონია, დაწერელია 141, 142, 195; შემოსულია გელათის მონასტრიდან (აღწერილობა 1953: 104-108).

1 აღწერილობა 1957: 64-68.

2 282 ფ, 31/22; ქალაქი, ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა, ნუსხური, ნაწერია ორ სვეტად, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; თავსამკაული – 1v, მომგებელი – გრიგოლ დადიანი, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი (282v); გადამწერი – ხუცეს-მონაზონი იოანე (282v); 1777 წ (282v).

3 108 ფ, 22,5/17, ქალაქი, 1-2 ფ, დაზიანებულია ყდის შესაკრავი პალოებისაგან, რომლებიც ყდას ამკობდა ამოცილილი აქვს; მრავალი ფურცელი რესტავირებულია (ძველადვე); 2-10, 16, 18-23, 30, 33-40, 56-57, 64, 67-69, 72-78, 80-108; ძალზე დაზიანებულია 103-104 ფ, რომელზეც მოთავსებულია ფერადებით შესრულებული ნახაზი. რესტავირებულია ხელნაწერთა განყოფილების სახელოსნოში; მაგარი, ტვიფრული ტყავით შემოსილი ფიცრული ყდა XVIII ს-ში უნდა იყოს გაკეთებული (ხელნაწერის I რესტავრაციის დროს), ჩინებული სისწორის ლამაზი ნუსხურით, მეტად წვრილად (სათაურები და დასაწყისები სინგურით), 1541 წელი (92r), გადამწერი კარგარეთელი დიაკონი სუმონი; მომგებელი – იოაკიმ მაწყვერელი (ანდერძიდან ვიგებთ), ადგილი საფარა, საბას ლავრა, თავკაზმულობა (92r). გადამწერილია სვიმონ კარგარეთელის მიერ იოაკიმე მაწყვერელის შეკვეთით, საბას ლავრაში, ხელნაწერს ახლავს ანდერძი, რომელშიც მითითებულია დამკვეთის, გადამწერის ეინაობა და გადაწერის თარიღი (აღწერილობა 1959: 365-375).

4 278 გვ, 21/17; ქალაქი; ტვიფრული ტყავით შემოსილი ფიცრული ყდა, ოდნავ მორღვეული; მხედრული, სათაურები სინგურით, დასაწყისი ასოები ასომთავრულით (სინგურით); XVIII ს; მოცილებულია I-II, 1-12 ფფ. ხელნაწერის მთელი ტექსტი გადმოწერილია 1541 წელს მესხეთში, კერძოდ, საფარაში, საბას ლავრაში გადამწერილი კრებულიდან. S 248-ს, S 312 კრებულისაგან განსხვავებით, აკლია რამდენიმე თხზულება. ხელნაწერის ბოლოში არსებული მინაწერიდან ვიგებთ, რომ ეს წიგნი ჯუმათელი მიტროპოლიტის, მაქსიმე ნიჭარაძის შეწირულია. S 248-ს აკლია S 312 ხელნაწერის 48, 49, 50, 51, 53, 55 პარაგრაფები (აღწერილობა 1959: 247-248).

5 188 ფ, 20/14, ქალაქი, ტყავგადაკრული ხის ყდა, დაზიანებული (ქვედა ყდის ფიცარი გატეხილია, წინა 6 ფურცელი დაშლილია) მხედრული (სათაურები სინგურით); XVIII ს. შესულია 49 თხზულება (აღწერილობა 1951: 371-377).

ბენედიქტინის

თეოდორე აბუკურას თხზულების – „ბრძოლისათვის ქრისტესისა ეშმაკისა მიმართ“ – ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის დადგენისას გამოვიყენეთ ექვსი ხელნაწერი: S 1463 (XI ს, A); K 23 (XII ს, B); S 312 (XVI ს, C); Q50 (XVIII ს, D); S 248 (XVIII ს, E); H 1000 (XVIII ს, F). ძირითად ტექსტად ავიღეთ A ლიტერით აღნიშნული S 1463 ხელნაწერი, რომელიც დოგმატიკონის შემცველ ხელნაწერებს შორის ყველაზე ადრეულად მიიჩნევა.

ტექსტს ახლავს კრიტიკული აპარატი, რომელშიც გამოყენებული გვაქვს შემდეგი აღნიშვნები:

ქართული ხელნაწერების ვარიანტები მითითებულია არაბული ციფრებით – 1, 2, 3, და ა.შ.

ტექსტში აშიაზე მოცემული მინაწერების მისათითებლად გამოყენებული გვაქვს ფიფქი და რომაული ციფრები – *I, *II, *III, და ა.შ.

ტექსტში დიალოგის მონაწილეები (ამ შემთხვევაში თეოდორე აბუკურა და მისი ოპონენტი) აღნიშნულია როგორც „მორწმუნე“ და „ურწმუნო“, რომლებიც მიწერილია სტრიქონის გასწვრივ აშიაზე ასომთავრული ასოებით „უ“ და „მ“.

ტექსტი კითხვა-პასუხის გაერთიანებით ცალ-ცალკე თავებად გვაქვს დაყოფილი, რომლებიც აღნიშნულია რომაული ციფრებით – I, II, III, და ა.შ.

ბრძოლისათვის ქრისტესისა ეშმაკისა მიმართ^{I/1}

(I). **ჰკითხა ურწმუნო მან:**¹ ვინაა თვინ² ღმერთი იყო ქრისტე და ბრძოლისმყოფელ მან ეშმაკისა მიმართ სძლო³ მას,⁴ რაა⁵ დიდი⁶ ქმნა, რამეთუ თქუას⁷ სადმე⁸ ეშმაკ მან, ვითარმედ:⁹ კაცსა ვსძლე,¹⁰ ხოლო ღმრთისაგან ვიძლიე?¹¹ ანუ რაა¹² ერგო ბუნებასა ჩუენსა ღმრთისა მიმართისაგან?

მორწმუნე: იაკობიტნი ვიდრემე სიტყუასა ღმერთსა მარტივსა იტყვან ამის ბრძოლისა და ძლევისა¹³ მოქმედად, ხოლო ნესტორიანნი¹⁴ წინა-უკმო: მარტივად კაცსა¹⁵ ოდენ. ხოლო ეკლესიამ,¹⁶ საშუალსა და სამეუფოსა გზასა ზედა მავალი, სიტყუასა ღმერთსა განვორციელებულსა ასწავებს ბრძოლისმყოფელად ეშმაკისა მიმართ. და უკუეთუ,¹⁷ ვითარცა ნესტორიანნი¹⁸ იტყვან, კაცი ხოლო იყო მძლე იგი და მოკლული, ვერარას¹⁹ გუარგებდა ჩუენ სიკუდილი კაცისა.²⁰ რამეთუ დაუტეობ²¹ აწ თქუამდ,²² ვითარმედ: ფრიად დაშურებიან პირველ გამოჩინებადმდე, თუ ვითარ სძლო²³ ლიტონ მან კაც მან. ხოლო უკუეთუ,²⁴ ვითარცა იაკობიტნი იტყვან, ეგრეთ არს, არარაათ²⁵ სარგებელ ჩუენდა არს მარტივად მძლეობა²⁶ ღმრთისა.

არამედ ვინაა თვინ²⁷ თვთ მას²⁸ ადამს²⁹ და მის შემდგომთა კაცთა

სათ. I. ბრძოლისათვის ქრისტესისა ეშმაკისა მიმართ] კითხვამ თეოდორესვე მიმართ, ბრძოლისათვის ქრისტესისა ეშმაკისა მიმართ CEF.

*I აშინაზეა: „სპარსმნო“ – C, „სპარსმანო“ – EF.

(I) 1 ჰკითხა ურწმუნო მან] – CEF. 2 ვინაა თვინ CE. 3 სძლო F. 4 მას] – CEF. 5 რა F. 6 დიდ CEF. 7 თქუეს CEF. 8 სადმე CEF. 9 რამეთუ CEF. 10 ვსძლე F. 11 ხოლო ღმრთისაგან ვიძლიე – CEF. 12 რა EF. 13 ბრძოლისა და ძლევისა] ≈ ძლევისა და ბრძოლისა CEF. 14 ნესტორიანნი EF. 15 კაცად CEF. 16 ეკლესიასა CF, ეკლესია EF. 17 უკუეთუ EF. 18 ნესტორიანნი E. 19 ვერარაას C. 20 კაცისა CEF. 21 დაუტეევ CEF. 22 თქუამდ E. 23 სძლო EF. 24 უკუეთუ EF. 25 რაად C, რად EF. 26 მოძიება C, მოძიება EF. 27 ვინაა თვინ CEF. 28 მის CEF. 29 ადამის CEF.

ჰხედვიდა³⁰ ეშმაკი თავისა თუსისა მიერ³¹ ძლეულად, არა³² ადამის გუამისა³³ და სხუათა კაცთაჲსასა³⁴ ჰგონებდა მძლექმნილობასა, არამედ თვთმის ბუნებისასა³⁵ და იტყოდა, ვითარმედ: დაჰბადა ღმერთმან დაბადებული, ვერ შემძლებელი წინაგანწყობად ჩემდა³⁶ მომართ და ცოდვისა მიმართ.*^{II} ამის მადლისათჳს სიტყუამან ღმერთმან, სრულებით მიძლებელმან ყოველსა ბუნებასა კაცებისასა, მიანიჭა მას, რაჲთა³⁷ თვთმფლობელითა ნებითა თუსითა³⁸ გრძნობათა მიერ და ყოველთავე ბუნებითთა ძალთა თუსთა³⁹ ბუნებითად და სათანადოდ და ნებისაებრ ღმრთისა მოქმედებდეს, და ესრეთ სძლო⁴⁰ ეშმაკსა.⁴¹ არათუ ძალი [A 291rIII] საღმრთო⁴² და უაღრესი კაცობრივისა ბუნებისა⁴³ შეჰმატა და აღაორძინა ბრძოლასა შინა, არამედ ჯეროვანი⁴⁴ და ნებისაებრ⁴⁵ ღმრთისა და საღმრთო⁴⁶ შჯულისდებისა⁴⁷ მკმარებელი ბუნებითთა⁴⁸ და მორთულმყოფელი ყოველთავე კერძოთა ბუნებისათა და ძალთა⁴⁹ და წარმმართველი ქმნად შესატყვისთა საქმეთა⁵⁰ საზომთაებრ კაცებისათა, და ესრეთ სძლო⁵¹ და მძლედ გამოაჩინა ბუნება⁵² რომლისათჳსცა ბუნებისად შეირაცხა მიერთგან⁵³ მძლეობა⁵⁴ და სიმართლე.

30 ხედვიდა C. 31 თუსისა მიერ] ≈ მიერ თუსისა CEF. 32 არცა CEF. 33 გუამსა CEF. 34 კაცთაჲსასა B, კაცთასა CEF. 35 ბუნებისა B. 36 ჩუენდა CEF. 37 რათა EF. 38 მისითა CEF. 39 მისთა CE, მისთა+კაცობრივისა მიერ CE, თუსთა+კაცობრივისა მიერ F. 40 ჰსძლო EF. 41 ეშმაკსა+და CEF. 42 საღვთო E, საღმრთო F. 43 ბუნებისა CEF. 44 ჯეროვანი CF. 45 ნებისაებრი F. 46 საღმრთოსა CEF. 47 შჯულისდებისა D, შჯულისდებისა EF. 48 ბუნებითთა CF, ბუნებითთა E. 49 ძალთა EF. 50 საქმეთა CEF. 51 ჰსძლო EF. 52 ბუნება EF. 53 მიერთგანი CEF. 54 მძლეობა EF.

*II აშიაზუა: „უფალი ღმერთი შემწყნარე“ – C.

(II). **ურწმუნო:** მითხარ მე: კაცობრივი ბუნება¹ თვთ იყო, რომელმან ბრძოლა ყო² ეშმაკისა მიმართ, ანუ ვითარ-იგი მარტივად სათქუმელ³ არს, თვთმოდრავ ანუ სხვსა მიერ ძრულ იყო იგი?⁴

მორწმუნე: ვითარცა არა ითქუმის⁵ გონებისა შენისა ანუ ველისა ანუ ფერვისა ძრვამ,⁶ რამეთუ შენ ხარ შენისა გონებისა და ასოთა და ძალთა⁷ მძრველი⁸ და მვმარებელი,⁹ ვითარცა გენებოს,¹⁰ ეგრეთვე ღმერთიცა სიტყუამ თვთ იყო თვისისა გონებისა და გრძნობათა და ბუნებითა ანაგებთა და ძალთა მძრველ და მმართველ, ვითარცა ენება. ხოლო შენ მიერ თქუმულისა¹¹ მიმართ, რომელ იკითხე, თუ: «თვთმოდრავ ანუ სხვსა მიერ ძრულ იყო გონება¹² ქრისტესი»? ამას ვიტყვთ: ვითარცა აქუს ბუნებასა გონებისა და სულისა და ვორცთა და ამისთა¹³ კერძოთა და საგრძნობელთა თვის რამე¹⁴ მარტივი და ბუნებითი¹⁵ მოძრავობამ,¹⁶ რამეთუ უკეთუმცა¹⁷ არა აქუნდა მათ¹⁸ ბუნებითი რამე მოძრავობამ,¹⁹ ვერმცა უძლეთ ჩუენ²⁰ ძრვად²¹ მათდა, ვინაცა²² ბუნებითისა და მარტივისა მოძრავობისა²³ მიმღებელნი²⁴ ჩუენ ვძრავთ²⁵ და ვივუმევეთ²⁶ მას, ვითარცა გუენებოს, კეთილად ანუ ბოროტად. ვითარ-იგი ბუნებითად აქუს²⁷ მონარულობითი მოძრავობამ²⁸ ფერვთა,²⁹ ხოლო მე³⁰ ვივუმევე³¹ სიარულსა, ვითარცა მენებოს; აქუს თუალთა³² მარტივად ხედვამ,³³ ხოლო მე ვითარცა მენებოს, ვივმარებ ხედვასა.³⁴ აწ უკუე, ხედვამ³⁵ ბუნებისაგან მაქუს, ხოლო ვითარ ხედვამ,³⁶ ჩემ ზედა არს. ესრეთვე ნებისათვისცა და სხუათა ნაწილთა ბუნებისათა და თვთ მის³⁷ გონებისათვის³⁸ გულისვმა-ჰყო, რამეთუ აქუს მასცა ბუნებით³⁹ მარტივად მომგონებელობამ⁴⁰ ამის რამსამე⁴¹

(II). 1 ბუნება EF. 2 ჰყო EF. 3 სათქუმელ B, სათქმელ DE. 4 იგი] – CEF. 5 ითქმის E, ითქუმის F. 6 ძრვა C, ძრუა EF. 7 ძალთა CEF. 8 მძრველი EF. 9 მმართველი CEF. 10 ენებოს სათნოყოფასა შენსა CEF. 11 თქმულისა DEF. 12 გონება EF. 13 მისთა CEF. 14 რამე] + და CEF. 15 ბუნებით E. 16 მოძრავობამ CD, მოძრავობა E, მოძრავობა F. 17 უკეთუმცა EF. 18 მათი CEF. 19 მოძრავობამ C, მოძრავობა E. 20 ჩუენ] – CEF. 21 ძრვად EF. 22 ვინცა CE, ვინაცა F. 23 მოძრავობისა C, მოძრავობისა EF. 24 მიმთუალველნი CF, მიმთუალუელნი E. 25 ვსძრავთ E, ვსძრავთ F. 26 ვიხმევეთ D. 27 ბუნებითად აქუს] ≈ აქუს ბუნებითად CEF. 28 ძვრა C, მოძრავობამ D, ძრუა EF. 29 ფერვთა] + და ეგრეთვე კვლთა მოქმედებითი მოძრავობამ (მოძრავობა E) (მოძრავობამ F) CEF. 30 მე] – CEF. 31 ვიხმევე D. 32 ყოველთა CEF. 33 ხედვამ EF. 34 ხედუასა EF. 35 ხედვა C, ხედუა EF. 36 ხედვა C, ხედუა EF. 37 ამის CEF. 38 გონებისაგან CEF. 39 ბუნებითად F. 40 მომგონებელობა E, მომგონებლობა F. 41 რამსამე DF.

გინა იმისი.⁴² ხოლო მე ეგვიპტარსა მას ძალსა გონებისასა, ვითარცა მთნდეს ნებისაებრ ჩემისა, ანუ კეთილთა ანუ ბოროტთა მომგონებელი და რეცა მოქმედი ძალი⁴³ გონებისადათა⁴⁴ მათი,⁴⁵ რომელთა⁴⁶ მაქუნდეს სურვილი. ამისთვის მარტივად ძრვად⁴⁷ თვისებისაებრ თითოეულისა კერძოდასა ბუნებისა⁴⁸ არს, ხოლო ვითარ ძრვად⁴⁹ – გუამოვნებისა.

ესრეთვე ქრისტეს ზედაცა გულისვმა-ყავ,⁵⁰ რამეთუ ვითარცა ითქუმის⁵¹ ხურო⁵² თვისითა ველითა მოქმედად საყდრისა და ვიტყვთ,⁵³ ვითარმედ: კვლმან ხუროსამან⁵⁴ შექმნა⁵⁵ საყდარი, ეგრეთვე ვიტყვთ სიტყუასაცა ღმერთსა მძლედ ვორციითა თვისითა. და კუალად, ვორცთა ვიტყვთ მძლედ,⁵⁶ ესე იგი არს, ბუნებასა⁵⁷ კაცებისასა.⁵⁸

42 იმის CEF. 43 ძალისა F. 44 გონებისა CEF. 45 მათთვის CEF. 46 რომელთა CDEF. 47 ძრვა C, ძრუა EF. 48 ბუნებისა D. 49 თვისებისაებრ თითოეულისა კერძოდასა ბუნებისა არს, ხოლო ვითარ ძრვად] – CEF. 50 გულისხმაჰყავ EF. 51 ითქმის E. 52 ხურო CEF. 53 ვიტყვ CEF. 54 ხუროსამან CEF. 55 შექმნა EF. 56 და კუალად, ვორცთა ვიტყვთ მძლედ] – CF, და კუალად, ვორცთა – E. 57 გონებისა EF. 58 კაცებისა B.

(III). ურწმუნო: ვითარ იძლია ადამ, არა შეორგულდა-ა, ხოლო უფროსდა¹ ურწმუნო ექმნა სიტყუასა ღმრთისასა² და³ მრწმუნებელ⁴ ეშმაკისასა?

მორწმუნე: სიწყლტუემან გემოვნებისამან⁵ დასულიბა პირველად გულისთქუმა⁶ მისი⁷ და ეგრეთ შეორგულდა. რამეთუ არათუ-მცა კეთილყოფილ იყო, არცა⁸ შუენიერად აღჩენილ იყო მისდა დამოწმებული იგინერგი, არამცა შეეცთუნა თავი თუსი, არცა⁹ შეეწყნარა სიტყუად მტერისა¹⁰. და მოხედე, რომელსა ვიტყვ: უკუეთუმცა¹¹ ერუენა მისდა ეშმაკსა ნერგი სულსაძნაური და¹² ეკლოანი და მწარე, და ეთქუა მისდა, ვითარმედ:¹³ [A 291vI] «უკუეთუ¹⁴ შჭამო¹⁵ ამისგან, ღმერთ იქმნე», არამცა თვნიერ გამოძიებისა და განხილვისა შეეწყნარა საცთური, არამედ გამოეძიამცა გამომკულეველსა და მეტყუელსა, ვითარმედ: «ვინაა¹⁶ არს მეცნიერებაა¹⁷ მაგისი, ანუ ვინაა¹⁸ მომცემ მე ეგევითარსა გულსავსებასა და გამოსაჩინებელსა»? და ესრეთ არა ოდეს-მცა ერწმუნა, თვნიერ უცილობელისა გამოსაჩინებელისა, მითუალვა¹⁹ სიტყუსა მისისა²⁰.

ხოლო ვინათგან²¹ გულისთქუმა²² მისი მობრყვლდა, ცთომილად გამოაჩინა მან გულისსიტყუადცა²³ თუსი. ესრეთვე უკუე, აგარიანთა,²⁴ ცრუწინააწარმეტყუელისა მისცა²⁵ შედგომილთა, ირწმუნეს მისი, რამეთუ მის მიერ მიცემულთა მათდა გემოთა და აღთქუმათა მიერ შეიტყუვნეს, ვინათგან²⁶ იავარისა და ნატყუენავისა და გულისთქუმათა²⁷ მათთა თანა მიმყოლისა შჯულისა²⁸ მიმცემელმან²⁹ მათდა³⁰ სისულელით განუცოფნა

(III) 1 უფროსდა CEF. 2 ღმრთისა CF. 3 და] + მცნებათა მისთა CEF. 4 მრწმუნებელი CEF. 5 გემოვნებისმან C, გემოვნებისიმან E. 6 გულისთქუმა CE, გულისთქმა F. 7 ადამისი CEF. 8 არამცა CEF. 9 არა CEF. 10 მტერისა CEF. 11 უკეთუმცა EF. 12 და] – CE. 13 ვითარმედ] – CEF. 14 უკეთუ EF. 15 შჭამო EF. 16 ვინ CEF. 17 მეცნიერება EF. 18 ვინა CEF. 19 მითუალვა CF, მითუალვა E. 20 მის CEF. 21 ვინათგან CEF. 22 გულისთქუმა CF, გულისთქმა E. 23 გულისსიტყუაცა EF. 24 აგარიანთაცა CEF. 25 მის CEF. 26 ვინათგან CEF. 27 გულისთქუმათა CE. 28 სჯულისა C, შჯულისა EF. 29 მიმცემელად F. 30 მათდა] + და CE.

ცნობანი და შეაცთუნნა³¹ გონებანი მათნი და ირწმუნეს, ვითარმედ წინამსწარმეტყუელი და მოციქული არს ღმრთისაჲ.³² რამეთუ უკუეთუ-მცა³³ არა სასურველთაგანი³⁴ მათთაჲ,³⁵ არამედ³⁶ შემაწუხებელთა და ძნელთაგანი რაჲმე მიეთხრა, მეყსეულად-მცა მკსინვარებით³⁷ და მძუნვარედ³⁸ მიეგო³⁹ მისდა, თუ: ვინაჲ⁴⁰ მარწმუნებ ჩუენ, ვითარმედ ღმერთსა მოუვლინებიე შენ და რასა მოგუცემ სარწმუნომყოფელსა? და განცხადებული-მცა გამოსაჩინებელი მიევადა მისდა მათთჳს, რომელთა-იგი იტყოდა. და ერთბამად ყოველთავე ზედა პირველად გულისთქმითი⁴¹ ძალი სნეულ იქმნების და მაშინლა თანაწარტაცებს გონებასა და შეიტყუებს თანამიყოლად.

(IV). ურწმუნო: შესაძლებელ იყვნეს-ა¹ გუამოვნებით შეერთებულნი იგი სიტყუაჲ ღმრთისაჲ² და ვორცნი მისნი რაჲთურთით³ თანაწარტაცებად გემოთაგან განმცდელისა და⁴ სოფლისათა?

მორწმუნე: ვერ შემძლებელობაჲ⁵ აქა არათუ უძღურებისა და უსუსურობისა⁶ და უღონობისაებრ⁷ თქუმულ⁸ არს, არამედ ჯეროვნისაებრ და შემსგავსებულისა, ვითარ-იგი ღმრთისა ზედა ვიტყოდით, ვითარმედ ვერ ძალ-უც უსამართლოებად.

31 შეაცთუნნა CEF. 32 არს ღმრთისაჲ] ≈ ღმრთისა არს CEF. 33 უკუეთუ-მცა EF. 34 სასურველთაგანი EF. 35 მათთა CEF. 36 და CEF. 37 მკსინუარებით EF. 38 მძუნუარედ EF. 39 მიეგოთ F. 40 ვინა CEF. 41 გულისთქმით CEF.

(IV) 1 იყვნეს CEF. 2 ღმრთისა EF. 3 რათურთით EF. 4 და] – CEF. 5 შემძლებელობა EF. 6 უსუსურობისა CEF. 7 უღონობისაებრ D. 8 თქმულ EF.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აღწერილობა 1951 – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. II, შედგენილია და დასაბუჟდად გამზადებული ლილი ქუთათელაძის მიერ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1951.
2. აღწერილობა 1953 – ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის K ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I, შედგენილი ე. ნიკოლაძის მიერ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1953.
3. აღწერილობა 1957 – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია), ტ. I, შედგენილი ე. მეტრეველისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1957.
4. აღწერილობა 1959 – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. I, შედგენილია და დასაბუჟდად გამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძის, ე. მეტრეველის და ქრ. შარაშიძის მიერ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1959.
5. აღწერილობა 1961 – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. II, შედგენილია და დასაბუჟდად გამზადებული ა. ბაქრაძის, თ. ბრეგაძის, ე. მეტრეველის და მზ. შანიძის მიერ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1961.
6. დათიაშვილი 1980 – დათიაშვილი ლ., თეოდორე აბუკურა, ტრაქტატები და დიალოგები, თარგმნილი ბერძნულიდან არსენ იყალთოელის მიერ, თბილისი, 1980.
7. ლოლაშვილი 1978 – ლოლაშვილი ივ., არსენ იყალთოელი, თბილისი, 1978, 115.
8. Al-BashaQ. Mayamir Thawudurus Abi Qurrah Usquf Harran. Beirut, 1904.
9. Griffith S. I. The Controversial Theology of Theodor Abu Qurrah (c. 750 — c. 820 A.D.); a methodological, comparative study in Christian Arabic literature (Ph. D. diss.), Washington, 1978.
10. Крачковский, Христианский Восток IV, 1916 \ Крачковский И.Ю., Феодор Абу Курра у мусульманских авторов // Христианский Восток IV, 3, 1916.

11. Максимов Ю., ФЕОДОР АБУ КУРРА И ЕГО МЕСТО В ИСТОРИИ РАННЕЙ ПРАВОСЛАВНОЙ ПОЛЕМИКИ С ИСЛАМОМ, 2003. pstgu.ru
12. ФЕОДОР АБУ КУРРА В ЗАЩИТУ ИКОНОПОЧИТАНИЯ, Перевод с английского М. Черняевой, 2004. predanie.ru.

ღიაკონი ლევან ჭანკვეტაძე

**თეოდორე აბუკურას თხზულების – „ბრძოლისათვის ქრისტესისა ეშმაკისა მიმართ“
მიმართ – წმ. არსენ იყალთოელის ქართული თარგმანი**

რეზიუმე

წინამდებარე შრომა – „ბრძოლისათვის ქრისტესისა ეშმაკისა მიმართ“ – წარმოადგენს ცნობილი არაბი ქრისტიანი მოძღვრისა და ლეთისმეტყველის – თეოდორე აბუკურას (IX ს.) ერთ-ერთ თხზულებას, რომელიც არის ლოგოტიკურ-პოლემიკური შინაარსის, და გადმოცემულია სწავლება ჰე ლმერთის განკაცების შესახებ.

ღიალოგური ხასიათის ამ მოკლე ტრაქტატში თეოდორე აბუკურა საუბრობს ადამის დაცემის მიზეზებზე, რამაც გამოიწვია ლმერთის „მონის ხატით“ შემოსვა, რათა ადამისმიერი დაცემული მდგომარეობა მის მიერ მიღებულ კაცებაში განწმენდილიყო.

თეოდორე აბუკურას თხზულება ქართულად თარგმნილია XI-XII საუკუნეების ერთ-ერთი დიდი ლეთისმეტყველის – წმ. არსენ იყალთოელის მიერ და შესულია მის მიერვე შედგენილ საღვთისმეტყველო კრებულ „ლოგოტიკონში“. ჩვენ მიერ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ეყრდნობა ექვს ხელნაწერს (S 1463 [XI ს, ლიგ. A]; K 23 [XII ს, ლიგ. B]; S 312 [XVI ს, ლიგ. C]; Q50 [XVIII ს, ლიგ. D]; S 248 [XVIII ს, ლიგ. E]; H 1000 [XVIII ს, ლიგ. F]). თხზულება ქვეყნდება პირველად.

Deacon Levan Chankvetadze

Saint Arsen of Iqhalto's Georgian Translation of Theodore Abū Qurrah's Work Christ's Battle Against the Devil

Abstract

The work – “Christ's Battle Against the Devil” - represents one of the works of the famous Arab Christian teacher and theologian Theodore Abū Qurrah (the 9th century). The work is of dogmatic and polemical content and conveys the teaching about the Incarnation of the Son of God.

In this short treatise composed in the form of a dialogue, Theodore Abū Qurrah speaks about the reasons for Adam's fall. The Original Fall led to taking of the “Image of a servant” by God the objective of which was cleansing of the fallen state of man through the nature of man which Jesus Christ took into union with Himself.

Theodore Abū Qurrah's works were translated into Georgian by one of the great theologians of the XI-XII centuries Saint Arsen of Iqhalto. He included them in the theological collection “Dogmaticoni” compiled by himself. Our critically established text is based on six manuscripts (S 1463 [the 9th c, lit. A]; K 23 [the 12th c, lit. B]; S 312 [the 16th c, lit. C]; Q 50 [the 18th c, lit. D]; S 248 [the 18th c lit. E]; H 1000 [the 18th c lit. F]). The essay is published for the first time.

ლავა ტყეზუჩაჲა

**ეგაგრაჲე პონტოელის სწაგლეგა
„გულსგრაჲეგებთან სიტყვისგებელობის შესახებ“
და მისი კვალი ასკებურ ტრადიციაში**

ლაშა ტყეხუჩავა თეოლოგიის მაგისტრი, პატროლოგიის
მიმართულების დოქტორანტი

LASHA TKEBUCHAVA Master of Theology,
a doctoral student of Patrology

ხელმძღვანელი თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი
ედიშერ ჭელიძე

SUPERVISOR Doctor of Theology and Philology
Edisher Chelidze

ევაგრე პონტოელის სწავლება „გულისზრახვებთან სიტყვისმგებლობის შესახებ“ და მისი კვალი ასკეტურ ტრადიციაში

ევაგრე პონტოელი (+ 394) საეკლესიო ისტორიაში ცნობილია როგორც მრავალი ასკეტური ნაშრომის ავტორი. განსაკუთრებულ ყურადღებას ევაგრეს მიერ შედგენილი ასკეტური სახელმძღვანელო „ანტირეტიკოსი“ (Antirrheticus: CPG 2434)¹ იმსახურებს, რომელიც რვა უკეთური გულისზრახვის საწინააღმდეგოდ რვა წიგნად შეიქმნა, რათა სულიერი ბრძოლის ველზე მოღვაწის გონება წმინდა წერილის სიბრძნით ყოფილიყო აღჭურვილი. გენადი მარსელელის (+ 496) მოწმობით, „იგი (ევაგრე) იყო პირველთაგანი, ვინც რვა მთავარ ვნებასთან ბრძოლას უფლის მაგალითის მიბაძვით, წმინდა წერილიდან მოხმობილი დამოწმებებით ასწავლიდა, რომელიც (ქრისტე) საცდურებს ყოველთვის [წმინდა] წერილის ციტატებით ხვდებოდა“ (Gennadius von Marseille 1898: 25).²

„ანტირეტიკოსი“ ქართულად „მოპაექრეს“ ანდა „სიტყვისმგებელს“ ნიშნავს. ეს შრომა ძველ ქართულ მწერლობაში წმ. მაქსიმე აღმსარებლის (+ 662) სახელით გამოვლინდა, მისი მთარგმნელი კი წმ. ექვთიმე ათონელია (+ 1028). ექვთიმეს ევაგრე პონტოელის ორი ნაშრომი „ანტირეტიკოსი“ და „რვა გულისზრახვის შესახებ“ ერთ თხზულებად უთარგმნია სახელწოდებით — „სიტყვსგებისათვის ვნებათაფსა“ (ტყებუჩავა 2019: 127-138; კოჭლამაზაშვილი 2019).³ შეძლებისდაგვარად განვიხილავთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ნაშრომს და რა კვალი დატოვა მან ასკეტურ ტრადიციაში.⁴

ევაგრე „ანტირეტიკოსის“ წინასიტყვაში განმარტავს სულიერი ბრძოლის განსაკუთრებულ მეთოდს, რაც წმინდა წერილის საშუალებით დემონური ფიქრების მხილებასა და განდევნას გულისხმობს. მისი თქმით, ამგვარი ბრძოლის მაგალითი თავად მაცხოვარმა მოგვცა, რადგან თუკი ეს ზრახვები გულში შეჩერდებიან, მაშინ ისინი ცოდვის

1 „ანტირეტიკოსის“ გერძნული დედანი და ლათინური თარგმანი დაკარგულია. ცნობილია მისი სინოული (Frankenberg 1912: 472-545), სომხური (Sarghisean 1907: 217-323) და არაბული (Samir 1992: 134-135) ვერსიები და სოვდოური თარგმანის ფრაგმენტები (Sims-Williams 1985: 168-182).

2 შდრ. «quas aut primus advertit aut inter primos didicit, octo ex Sanctarum tentum Scripturarum testimoniis opposuit libros, ad similitudinem videlicet Domini, qui temptatori suo semper Scripturarum testimoniis obviavit» (PL 58, col. 1066).

3 ე. კოჭლამაზაშვილის მითითებული მონოგრაფია (გამოკვლევა და ტექსტი), აგრეთვე, გამოქვეყნებულია ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანის XI (2019) ნომერში (გვ. 9-346).

4 წინამდებარე ნარკვევი მომზადებულია ჩვენი სადისერტაციო თემის ფარგლებში. კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [PHDF-19-438, წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელით ცნობილი ასკეტური ძეგლი „სიტყვსგებისათვის ვნებათაფსა“ და მისი ექვთიმე ათონელისეული თარგმანი]. „ანტირეტიკოსის“ ექვთიმესეულ თარგმანს ვცითირებთ ჩვენ მიერ მომზადებული ტექსტიდან (Q 34 ხელნაწერი, A ლიტერა). სქოლიოში დამოწმებულ გერძნულ ტექსტს ვთარგმნით იმ შემთხვევაში, როდესაც იგი სხვაობს ექვთიმესეული თარგმანისგან.

ჩადენასაც გვაიძულებენ, რაც სულიერი სიკვდილის მომტანია.

„უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან ... ესეცა გუასწავა, რადთა ჟამსა საეშმაკოდსა ბრძოლისასა სიტყუა-უგებდეთ მბრძოლთა მათ ეშმაკთა სიტყუათაგან წმიდათა წერილთადასა და განვიოტებდეთ ჩუენგან ბოროტთა მათ გულისსიტყუათა, რადთა არა დაიყოვნებდენ გულთა შინა ჩუენთა და გუაიძულებდენ საქმედ ცოდვისა, და შთაყარნენ სულნი ჩუენნი მთხრებლსა სიკუდილისასა, რამეთუ ჭეშმარიტად ცოდვად სიკუდილი არს სულისად (შდრ. ებევ. 18,4)“ (Q 34, 338v-339r).¹

იესო ქრისტე უდაბნოში სამი მთავარი უკეთური გულისზრახვით გამოიცდება;² ისინი ყველა სხვა ბოროტების მოთავენი არიან. პირველია ნაყროვანება, მეორე — ვერცხლისმოყვარეობა და მესამე — დიდებისმოყვარეობა.³ უფალი სამივე საცდურს წმინდა წერილის დამოწმებით უპირისპირდება. კერძოდ, სამივე შემთხვევაში მეორე რჯულის წიგნიდან სიტყვისმგებლობს⁴ და ამგვარად განდევნის ბოროტს.

ევაგრე პონტოელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წმინდა წერილის კითხვას, რადგან მოღვაწის გონება მისი მეშვეობით იწმინდება და ამაო ფიქრებისგან თავისუფლდება, როგორც ამას ლუკიოსის მიმართ მიწერილ ეპისტოლეში (ე.წ. წერილი მე-4) წერს: „... წმიდათა წერილთა კითხვითა განწმედების გონებად და განეყენების გულისსიტყუათაგან ამაოთა, რომელთაგან მოვლენ გულისსიტყუანი ბოროტნი და მიაქცევენ გონებასა საქმეთა მიმართ სოფლისათა“ (Q 34, 337r).⁵

1 იხ.: Frankenberg 1912: 473.

2 იესო ქრისტესთან ბოროტი სულის პაექრობა იორდანეში ნათლისღების შემდგომ, უდაბნოში განმარტოებისას, შედგა (მთ. 4,1-11; ლკ. 4,1-13). როდესაც ორმოცდღიანი მარხვის შემდეგ უფალს კაცობრივი ბუნებით „შეეშმა“, ეშმაკი მის გამოცდას იწყებს. წმ. იოანე ოქროპირის სწავლებით, დემონი განმარტოებისას უფრო მძაფრად ემზადებს მოღვაწეს, ვიდრე კრებულში, ამიტომ გამოუცდელის უდაბნოში გასვლა არამართებელია, რათა სულიერი ბრძოლის უცოდინარი და ვნებებით შეპყრობილი არ დამარცხდეს ცხოვნების მტერთან: „წეს არს ესე ეშმაკისა: მაშინ უმეტესად ბრძოლისა აღდგინებად, ოდეს უდაბნოს თვსაგან ვიყვნეთ; ხოლო ოდეს ზოგად ვიყოფებოდით, არა ესრეთ ცხანედ მოვაოს ბრძოლად. და ამისთვის წეს-არს, რადთა რომელი არა იყვნენ საზომსა ძლიერისა ახოვნებისასა მიწვეულ და არა ესწავს ჯელოვნად ბრძოლად ეშმაკისად და არა მძლეუქმნილ იყვნენ მძლავრებისა მის ვნებათადას, არა განვიდენ მარტოდმყოფებისა ასპარეზსა, რადთა არა ძლეულ იქმნენ მტერისაგან, არამედ უკმს მათ კრებულსა შორის მოლუაჩეთასა ყოფად, ვიდრემდის მიიჩინენ საზომსა მას ვნებათა ძლევისასა“ (წმ. იოანე ოქროპირი 2014: 190-191).

3 შდრ. ევაგრე პონტოელი: „იმ ეშმაკთაგან, რომლებიც უპირისპირდებიან სამოღვაწეო საქმეს, ბრძოლაში პირველები ისინი წამოდგებიან, რომლებსაც მინდობილი აქვთ ნაყროვანების ნდომანი, რომლებიც ვერცხლისმოყვარეობას შთაგვაგონებენ და რომლებიც კაცობრივი დიდებისკენ გვიხმობენ ჩვენ. სხვანი ყველანი ამათ უკან მოდიან და ამათგან მოწყლულთ იზარებენ (მშვენიერებათმოყვარეობა I.I. 2013: 75). წმ. იოანე ოქროპირი: „ესენი არიან შესაკრებელნი ყოველთა ბრძოლათა და ყოველთა განსაცდელთანი: მონებად მუცლისად და ცუდადმზუაობრობისად და სიყუარული საფასეთა და სავმართად“ (წმ. იოანე ოქროპირი 2014: 197).

4 ა) „არა პურითა ხოლო ცხოვნების კაცი, არამედ ყოველითა სიტყვითა, რომელი გამოვალოს პირისაგან ღმრთისა“ (რჯლ. 8,3). ბ) „არა განსცადო უფალი ღმერთი შენი“ (რჯლ. 6,16). გ) „უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე“ (რჯლ. 6,13; 10,20).

5 შდრ. «ἢ τῶν θείων Γραφῶν ἀνάγνωσις εἰς τὴν καθάρτητά πάντων συμφέρει, ὅτι τὸν νοῦν τῶν τοῦτου τοῦ κόσμου τῶν ὁρατῶν μερικῶν ἀφίστησι ἐξ ἧς διαστροφῆι ἀκαθάρτων λογισμῶν ὑπογίνονται

ამავე ეპისტოლეში ევგერე განმარტავს, რომ მოღვაწეობა ასუსტებს ვნებებს, ხოლო საღვთო წერილის კითხვა გონებას ანათლებს და მას ვნებიანი წარმოსახვებისაგანაც ათავისუფლებს: „მოღვაწეობა მარხვისა და მღვდარებისა და მოაუძღურებს ვნებათა, გულისთქემასა, გულისწყრომასა და მწუხარებასა. ხოლო წიგნისკითხვა განანათლებს გონებასა და გონაშორებს ბოროტთა გულისსიტყუათაგან და მიიყვანებს მას უხილავისა მის და არსებითისა გულისწმისყოფისა სიმადლესა, რომელსა-იგი მაცხოვარმან სახარებასა შინა საუხვედ უწოდა (შდრ. მთ. 6,6), რამეთუ ჭეშმარიტად საუხვე არს ყოველთა კეთილთა“ (Q 34, 338r).¹

იმავე აზრს ევგერე კიდევ უფრო გასაგებად თავის „პრაქტიკოსში“ (Practicus: CPG 2430; SC 171)² გადმოსცემს. იგი განდევნილ ღვაწლს სულის სამნაწილელობის მიხედვით ყოფს, კერძოდ, გონებას, გულისთქემასა და გულისწყრომას მისთვის შესაბამის შრომას განუკუთვნებს და ამბობს, რომ წიგნის კითხვა გაბნეული გონების შემოკრებას უწყობს ხელს: „გონებასა განბნეულსა შემოჰკრებს წიგნისკითხვა და მღვდარება და ლოცვა; ხოლო გულისთქემასა მოტყინარესა დაავსებს მარხვად და შრომად და განშორებად; ხოლო გულისწყრომასა განძვებულსა მოამდოვრებს გალობად და სულგრძელებად და მოწყალებად“ (A 1101, 92v; კოჭლამაზაშვილი 2022: 137).³

წმ. ბასილი დიდიც სათნოებათა მოსაპოვებლად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წმინდა წერილის კითხვას, რადგან, მისი თქმით, ბიბლიაში არამარტო საცხოვრებელი წესები და შეგონებებია, არამედ საღვთო მოღვაწეობის ნიმუშად ნეტარი ადამიანების ცხოვრებებიც

διὰ τῶν αὐτῶν παθῶν τὸν νοῦν πρὸς τὰ σωματικά πράγματα δεόντων τε καὶ πηδόντων» (Frankenberg 1912: 569): წმინდა წერილის კითხვა ძალიან სასარგებლოა განწმინდისთვის, რადგან გონებას ამ ხილული სამყაროს შფოთვისგან განაშორებს, რომლისგანაც იშვეება უწმინდურ გულისზრახვათა უკეთურება, [რომელიც] თავისი ვნებების საშუალებით ატყვევებს გონებას და ხორციელ საქმეთა მიმართ მიდრეკს.

1 შდრ. «οὐδὲν γὰρ οὐτως ποιητικόν ἐστι καθαρὰς προσευχῆς ἢ ἀνάγκης· ἢ μὲν γὰρ πρακτικῆ περιτέμνει τὰ πάθη, ἐπιθυμίαν καὶ λυπήν καὶ θυμὸν περικόπτουσα, ἢ δὲ μετὰ ταῦτην ἀνάγκης καὶ αὐτὴν φύλῃ τῶν νοημάτων ἀφίσθησι, πρὸς τὴν ἀνείδειον καὶ θειῶδη γνῶσιν αὐτὸν μεταφέρουσα, ἢν συμβολικῶς ὁ Κύριος ἐν τοῖς εὐαγγελίοις ταμείον ἁνόμασε, τὸν κρυπτὸν πατέρα δεικνύουσα» (Frankenberg 1912: 569; Guillaumont 1987: 220): წმინდა ლოცვისთვის არათენია იმდენად შემწე, როგორც კითხვა. რადგან მოღვაწეობა აღკვეთს ვნებებს გულისთქმის, მწუხარებისა და რისხვის აღმოფხვრით, ხოლო მის შემდგომ კითხვა წარმოდგენებისადმი სიყვარულსაც განაშორებს მისი უფორმოდ, საღვთო და არსებით ჭვრეტამდე მიყვანით, რასაც უფალმა სახარებაში ალევგროიულად „საუხვე“ უწოდა, რითაც უხილავ მამაზე მიუთითა.

2 წმ. ეფეთიმე ათონელს „პრაქტიკოსი“ გამოკრებით აქვს თარგმნილი ევგერეს სხვა შრომებთან ერთად (ტყეზუჩავა 2022: 196-198; ტყეზუჩავა 2023). ტექსტი მხოლოდ ეფეთიმესეული თარგმანითაა ცნობილი და წმ. ბასილი დიდს მიეწერება – „სწავლანი ლოცვისათვის და სხუათა თითოსახეთა სათნოებათათვის საცხოვრებლად სულისა“. ამავე ტექსტის მოკლე რედაქციაც არსებობს (კოჭლამაზაშვილი 2022: 51-188).

3 შდრ. «Νοῦν μὲν πλανῶμενον ἴσθῃσιν ἀναγκῆς καὶ ἀγρυπνίας καὶ προσευχῆ· ἐπιθυμίαν δὲ ἐκφλογουμένην μαρᾶνει πείρα καὶ κόπος καὶ ἀναχώρησις· θυμὸν δὲ καταπαύει κικῶμενον ψαλμῶδια καὶ μακροθυμία καὶ ἔλεος» (PG 40, col. 1224 A 10-14; SC 171: 536). შდრ. მოკლე რედაქცია: „გონებასა განბნეულსა შემოჰკრებს წიგნისკითხვა და მღვდარება და ლოცვა. გულისთქემასა მოტყინარესა დაავსებს მარხვად, შრომად და განშორებად. გულისწყრომისაგან განძვებულსა მოამდოვრებს გალობად, სულგრძელებად და მოწყალებად“ (S 1595, 149r; კოჭლამაზაშვილი 2022: 182-183).

არის ჩაწერილი. ამასთან, სათნოებათაგან ნაკლები სწორედ მასში იპოვის ვნებათაგან კურნების საშუალებას: „დიდი შემწე არს ესევეთარისა მის სათნოებათა მოგებისათვის საღმრთოთაცა წერილთა კითხვად, რამეთუ მათ შინა იპოვებინა სწავლანიცა და წესნი და სახენი ცხორებისანი, და კუალად ცხორებანიცა სანატრელთა მათ კაცთანი აღწერილ არიან, ვითარცა ხატნი სულიერნი საღმრთოვსა მოქალაქობისანი, და სახედ მოღუაწეთა წინამდებარე არიან. და რომლისაგანცა სათნოებისა ნაკლებევან იყოს კაცი, მას შინა ჰპოვებს წამალსა თვითოეულისა სენისა“ (ქაჯაია 1992: 218).¹

წმ. ბასილის თავად აქვს დაწერილი ნაშრომი სახელწოდებით „მორალური წესები“ (Regulae morales: CPG 2877; PG 31, col. 691-869),² რომელშიც 80 წესია. თითოეული წესი, სხვადასხვა სამოღვაწეო საკითხის შესაბამისად, ახალი აღთქმიდან გამოკრებილი ციტატებისაგან შედგება. დასახელებული შრომა მონასტრული ცხოვრების სახელმძღვანელოა, ისევე როგორც ევაგრე პონტოელის „ანტირეტკოსი“. ამასთან, ორივე მათგანი წმინდა წერილის სიბრძნეს ეფუძნება. შესაძლოა, ევაგრეს თავისი ნაშრომი შეექმნა სწორედ კაბადოკიელი მოძღვრის მიბაძვით, რომლის მიერაც ვერ კიდევ ახალგაზრდობაში იქნა ხელთდასხმული წიგნისმკითხველად. იგი თავადვე ამბობს, რომ ღმერთშემოსილი მამებისგან აქვს ნასწავლი ის, რაც ამ წიგნში გადმოსცა: „და ყოვლით-კერძო იპოვების აღწერილსა მას შინა წესი და სახე სამონაზნოვსა ცხორებისად, ვითარცა სულმან წმიდამან წმიდათა მოციქულთა მიერ განაწესა და ღმერთშემოსილთა მამათა გუასწავეს ჩუენ“ (Q 34, 340v).³

წმინდა წერილის კითხვა რომ კანონად ჰქონდათ დადგენილი მონასტრებში, ამას ჰავიოგრაფიული ძეგლებიც მოწმობენ. მაგალითად, წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში ვკითხულობთ: „და სენაკებსა მათსა საკუამი არა აქუნდა, რამეთუ ცეცხლი არა აღეგებოდა, და არცა ღამს სანთელი აღანთიან, არამედ ღამს იყო ფსალმუნებად და დღისი წიგნისკითხვად და ლოცვად მარადის“ (აბულაძე... 1963: 267).

აგრეთვე, პეტრე იბერის ცხოვრებაშიც წერია, რომ მოღვაწისათვის აუცილებელია საღვთო წიგნების კითხვა, რადგან სულიერ სწავლას მოკლებული გონება უნაყოფო

1 დამოწმებული მონაცემები მოგვაქვს წმ. ბასილი დიდის მე-2 ეპისტოლეს (გრიგოლ ღმრთისმეტყველის მიმართ) ექვთიმესეული თარგმანიდან. ამავე წერილის წინათაონური თარგმანი ცნობილია ერთადერთი H 622 (X ს.) ხელნაწერით. მღრ. „დიდებული გზადვე არს წიგნისკითხვად, რომელი ეძიებდეს მიწვევად საქმეთა დიდებულთა საღმრთოთა. რამეთუ წიგნთა კითხვასა შინა ჰპოვნენ უწყებანი საქმეთა დიდებულთანი და ცხორებად ღმრთისმოყუარეთად მათ ტკბილთა მამათანი, ვითარცა ხატი სულიერი, მიჩუენებს ჩუენ სლვად მას შინა სათნოებათა ღმრთისათა კეთილთა საქმეთადთა, რადთა ხედვიდეს კაცად-კაცადი საქმესა, რომელიცა უკმდეს. და აკლდეს რადმე, მაშინ იკითხოს და გულის-იღვინოს, რადთა მოიპოოს მსგავსად კაცისა, რომელი მიიღებდეს წამალსა სახლისაგან სამკურნალოვსა, რომელ არს წიგნთა კითხვად და დაიდვას სენსა ზედა თვისსა“ (ქაჯაია 1992: 211-212).

2 ნაშრომს ძველ ქართულ თარგმანში (ეფრემ მცირისეული) ეწოდება „თავად-თავადი განსაზღვრებად წამებითა წმიდათა წერილთადთა“ (წმ. ბასილი კესარიელი 2015: 350-454). გერძულთან მიმართებით (Migne-ს გამოცემა) ქართული ვერსია მრავალ თავისებურებას ამატავენებს (ბინთიბიძე 1968: 118-121).

3 იხ: Frankenberg 1912: 475.

ხდება: „ნეტარსა და წმიდასა მღვდელთ-მოდღუარსა პეტრეს, თავ ყოველთა სათნოებათა, მოეგო ლოცვა და წიგნისკითხვა, რამეთუ ყოლადვე და მარადის იკითხავნ წიგნთა საღმრთოთა და იტყვნ წმიდად იგი, ვითარმედ: ვითარცა მტილი მზუარისად ურწყავი განწყების და უნაყოფო იქმნის, ეგრეთვე გონებად მონაზონისად უნაყოფო არს თვნიერ წიგნისკითხვისა და სმენისა სწავლათა სულიერთა“ (აბულაძე... 1967: 254-255).

„ანტირეტეიკოსის“ წინასიტყვაში ევაგრე მოაზროვნე არსებათა სამ კატეგორიას ასახელებს: ერთნი ვართ ჩვენ, ადამიანები, რომელთაც მოღვაწეობა შეგვეფერება; მეორენი არიან ანგელოზები, ჩვენს თანაშემწეებად მოვლენილნი; ხოლო მესამენი არიან დემონები, რომელთა მიზანიც ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლაა. ამ ბრძოლის ველზე გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც მოღვაწის გულმოდგინებას ენიჭება, რადგან ადამიანისთვის რეალურად სიზარმაცე ხდება მიზეზი საღვთო ცოდნისგან გაუცხოებისა:

„პირმეტყუელთა მათ შორის დაბადებულთა ღმრთისათა რომელნიმე არიან მოღუაწენი, და რომელნიმე — თანაშემწენი, და რომელნიმე — მბრძოლნი და წინააღმდეგომნი. მოღუაწენი უკუე არიან კაცნი; თანაშემწენი არიან ანგელოზნი; მბრძოლნი და წინააღმდეგომნი არიან ეშმაკნი. არცა უკუე უძღურებისაგან თანაშემწეთადასა, რამეთუ არიან იგინი ჭეშმარიტად ძლიერნი ძალითა; არცა ძლიერებისაგან მბრძოლთა მათ და წინააღმდეგომთადასა, რამეთუ უძღურ არს ძალი მათი მადლითა ქრისტესითა; არამედ უღებებისაგან და დაჯსნილობისა მოღუაწეთადასა მოაკლდების მათ მეცნიერებად და გულისწმისყოფად საღმრთოდ“ (Q 34, 338v).¹

დასახელებულ ნაშრომში ევაგრე განმარტავს ვნებებთან სიტყვისმგებლობის მნიშვნელობას და იმოწმებს ციტატას იგავთა წიგნიდან: „ნუ მიუგებ უგუნურსა მისისაებრ უგუნურებისა, რადთა არა მსგავს მისა იქმნე, არამედ მიუგე უგუნურსა მისისა მიმართ უგუნურებისა, რადთა არა ევონოს ბრძენ თავი თუსი“ (იგავ. 26,4-5). ევაგრეს სიტყვებით, ძმაზე განრისხება უგუნურისთვის უგუნურად პასუხის გაცემას ჰგავს, რადგან მრისხანებით ადამიანი ეშმაკს ემსგავსება. ამ შემთხვევაში, გონივრული იქნებოდა მოთმინება და გასხენება, რომ მსგავსი ქმედება წმინდა წერილის მცნებათა საწინააღმდეგოა, რაც ეშმაკის მზაკვრობას ამხელდა:

„...რომელმან ქმნას საქმჷს უგუნურებისად და განრისხნეს ძმისა თუსისათუს, საქმით მიუგე უგუნურსა უგუნურებისაებრ მისისა და მსგავს იქმნა ეშმაკისა, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: «გულისწყრომად მისი მსგავს არს გუელისა მის ასპიტისა» (ფს. 57,5). ხოლო რომელმან ჟამსა შფოთისა და მრისხანებისასა მოიგოს სულგრძელება და მოთმინება, და თქუას, ვითარმედ: წერილ არს — «დაცხერ რისხვისაგან, დაუტევე გულისწყრომად და ნუ ჰბაძავ უკეთურთა» (ფს. 36,8) — ესევეთარმან მან არა მიუგო უგუნურსა უგუნურებისაებრ მისისა, არამედ სიტყუა-უგო უგუნურებისა მიმართ მისისა და ამხილა ეშმაკსა, ვითარმედ: რასა-იგი ბრახავს, წინააღმდეგომ არს სიტყუასა წმიდათა წერილთასა

1 ob.: Frankenberg 1912: 473.

და უცხო მცნებათაგან უფლისათა“ (Q 34, 339r-v).¹

იმის გამო, რომ სულიერი ბრძოლისას სხვადასხვა უკეთური გულისზრახვის წინააღმდეგ გონება მაშინვე ვერ იხსენებს წმინდა წერილში მიმოხეულ საჭირო ფრაზებს, ევაგრემ მიზნად დაისახა, შეექმნა ისეთი სახელმძღვანელო, რომელშიც ვნებათა სამხილებლად საჭირო ბიბლიური მზა ციტატები იქნებოდა გამოკრებილი და თემატურად თავმოყრილი. ამგვარად საღვთო სიტყვებით აღჭურვილი მოღვაწე მოწინააღმდეგის განდევნას შეძლებდა:

„ვინადათგან ჟამსა მას ბრძოლისა მტერისასა ვერ ვჰპოვებთ ესე ვითართა სიტყუათა, თითოეულისა გულისსიტყუსა წინააღმდეგითა, რამეთუ განთესულნი არიან წმიდათა წერილთა შინა და ვერ ვპოვებთ მესა შინა გონებად, ამისთვის გამორჩევიად ესე ამათ სიტყუათა აღწერეთ შეწევნითა უფლისადათა, რადათა შეჭურვილ ვიყვნეთ სიტყუათა მათგან საღმრთოთა განწყობად გულისსიტყუათა მიმართ მტერისათა, რადათა ესრეთ ვითრეთ ძალითა ქრისტესითა უცხოთესლნი იგი და გამოვჩნდეთ ღირსნი მკვდარნი მუფისა ჩუენისანი“ (Q 34, 339v).²

ევაგრე „ანტირეტეკოსის“ ადრესატ ლუკიოსს სიმდაბლით წერს, რომ ნაშრომი წაიკითხოს, გაასწოროს და რაც დაკლებულია, შეავსოს, რადგან მრავალგვარია დემონური მზაკვრობანი და მათ სათანადოდ ვერ ვიდევ არ იცნობს:³ „წარიკითხეთ წერილი იგი და რომელი-რადა ნაკლულევანად ვპოვოთ, განვპართეთ, რომელნიცა სადა არაწმიდათა მათ გულისსიტყუათაგანნი ვერ ვეროვნად განვაწესენ, ანუ ვერ წესიერად მოვიპოვნე წმიდათა წერილთაგან მათა მიმართ სიტყუსგებად. რამეთუ მე აღვიარებ, ვითარმედ ვერ ვეროვნად მიწითმილ ვარ პოვნად მრავალფეროთა მათ ღონეთა და თითოსახეთა შეთხზულებათა ბრძოლათა მტერისათა, დაღაცათუ დღითი-დღე ვიმძლავრები და ვიქნენები მათ მიერ“ (Q 34, 336r-v).⁴

სულიერი ბრძოლა გონებაში მიმდინარეობს, ამიტომ მოღვაწისთვის უმთავრესი ზრახვითი ცოდვების მოკვეთაა. ევაგრეს მიხედვით, ჯერაც გარეგნულადაა მონაზონი ხორციელ ცოდვას განრიდებული, ხოლო ჭეშმარიტი მონაზვნობა შინაგანად უფლის წინაშე წარდგომაა, რაც გულიდან ყოველგვარი ვნებიანი გულისზრახვის განდევნასა და ღოცვის დროს განწმენდილი გონებით უფლის უქმნელი ნათლის ჭვრეტას გულისხმობს:

„გარეშეთა კაცისა მონაზონებად არს, რომელი საქმესა ცოდვისასა წინა-აღუდგეს და

1 ib.: Ibid.

2 ib.: Ibid.

3 შეიძლება ითქვას, რომ წმ. ექვთიმე ათონელი არა მარტო თარგმნის „ანტირეტეკოსს“, არამედ, ევაგრეს თხოვნისამებრ, ნაშრომს ასწორებს და ავსებს სხვა მრავალი ბიბლიური ფრაზითაც (ტყეშელაშვილი 2020ა: 165-196).

4 «ἵνα ἀναγῶντες καὶ κατορθῶντες τὸ ἄν ἑλαττοῦμενον τὴν ἐκπληρῶν εἰς τινὰς τῶν μαρῶν λογισμῶν οὐκ ἀκριβῶς ἐξέσθμεν καὶ τὴν κατ’ αὐτῶν ἀντίρρησην οὐ καλῶς παρετάξαμεν. Ὁμολογῶ δὲ τῇ σῆ τιμῶτητι, ὅτι ἕως ἄρτι οὐ καθηκόντως τοὺς δαιμονικοὺς λογισμοὺς κατέλιθα, ὅτι πολλάκις σὺ αὐτῶν πρὸς κεκάλυψαι» (Frankenberg 1912: 569): რომელიც წაიკითხეთ, გაასწორეთ და ნაკლული შეავსეთ, თუკი არაწმიდა გულისსიტყვები არაზუსტად გადმოგვიცია ანდა მათ მიმართ სიტყვისგებანი არასათანადოდ მოვიტანე. ვაღიარებ თქვენი უპატიოსნესობის წინაშე, რომ აქამდე ჭეროვნად არ დავეფლებივარ დემონურ გულისზრახვებს, თუმცა მათ მიერ ხშირად ძალიან ვზრკოლდები.

განემოროს, ხოლო შინაგანისა კაცისა მონაზონებად მას წარუმართებიც, რომელმან განიოტოს გულისაგან ყოველივე გულისსიტყუად ცოდვისად და ჟამსა ლოცვისასა გონებითა წმიდითა ხედვიდეს ნათელსა წმიდისა სამებისასა“ (Q 34, 340v).¹

ევაგრე განმარტავს, რომ წმინდა წერილის ზოგიერთი ფრაზა უფლის ანდა მფარველი ანგელოზის მიმართ სავედრებლად ითქმის, ზოგი — საკუთარი სულის გასამხნეველად და ზოგიც — მტრების (დემონების) წინააღმდეგ: „ხოლო სიტყუანი იგი წერილთანი რომელნიმე ითქუმიან ღმრთისა მიმართ სავედრებლად, რომელნიმე — ანგელოზთა მიმართ უფლისათა, რომელნიმე — თვისისა სულისა მიმართ, რომელნიმე — მტერთა მათ და მბრძოლთა მიმართ“ (Q 34, 340v).²

„ანტირეტკოსი“ რვა მთავარი უკეთური გულისზრახვის შესაბამისად, რვა თავისაგან შედგება, თითოეული თავი კი — რამდენიმე ათეული სიტყვისგებით ქვეთავისაგან. საილუსტრაციოდ რამდენიმე საინტერესო სიტყვისგებას მოვიტანთ.

1. უფლის მიმართ სავედრებელი:

ა) „უფლისა მიმართ ვედრებად, ოდეს-იგი მოუძღურდიან ჳორცნი და სულმოკლე იქმნის გონებად გულისსიტყუათა მათგან მაყუედრებელთა სიგლახაკისა და უპოვარებისათუს, სიტყუად იერემიასგან: **«მომიჭსენე მე, უფალო, და მომხედე მე და უბრალო მყავ მე მღევართა ჩემთაგან; გულისჭმა-ყავ, რაოდენი მოვიდე ყუედრებად მათგან, რომელთა შეურაცხ-ყვნეს სიტყუანი შენნი, ადასრულენ იგინი»** (იერ. 15,15-16)“ (I,41; Q 34, 348r-v).³

ბ) „ვედრებად უფლისა მიმართ შერისხვად ეშმაკისა მის, რომელმან ერთი რადმე პირი ვნებისად შეჰმშჳუალის გონებასა, გოდებათაგან: **«ვხადე სახელსა შენსა, უფალო, მღვმით ქუესკნელით. ჳმად ჩემი გესმა, ნუ დაიმძიმებ ყურთა შენთა დადადებასა ჩემსა, მოყავ შეწევნად ჩემდა დღესა მას, რომელსა გხადოდი შენ და მარქუ: ნუ გეშინინ»** (გოდება 3,55-57)“ (II,55; Q 34, 362r).⁴

გ) „ვედრებად უფლისა მიმართ გულისსიტყუათათუს ზუაობისათა, რომელთა დაიყოვნინ რად გონებასა შინა, შთააგდიან იგი რისხვისა და მწუხარებისა და ამპარტავანებისა ვნებათა, სიტყუად იერემია წინადაწარმეტყუელისად: **«განმკურნე მე, უფალო, და განვიკურნო; მაცხოვრე და ვცხონდე, რამეთუ სიქადული ჩემი შენ ხარ»** (იერ. 17,14)“ (VII,25; Q 34, 418r-v).⁵

1 ob.: Frankenberg 1912: 475.

2 ob.: Ibid.

3 ob.: Frankenberg 1912: 481 (I,43).

4 ob.: Frankenberg 1912: 493 (II,54).

5 ob.: Frankenberg 1912: 535 (VII,25).

2. მფარველი ანგელოზის მიმართ სავედრებელი:

ა) „ანგელოზისა მის მიმართ უფლისა, რომელი მადლითა მისითა მოვიდის გონებასა მვედრებელსა უფლისასა ლმობიერად, და განიოტნის მისგან გულისსიტყუანი იგი სიძვისანი და ღელვანი იგი ბოროტთა მათ ბრძოლათანი უჩინო ყვნის, სიტყუად პირველისაგან წიგნისა მეფეთადასა, მადლობად: **«განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიერ და ამაღლდა რქად ჩემი ღმრთისა მიერ ჩემისა; განვრცნა პირი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა და განვიხარო მე მაცხოვარებითა შენითა»** (1 მეფ. 2,1)“ (II,18; Q 34, 357r).¹

ბ) „წმიდათა ანგელოზთა მიმართ ვედრებად, რათა შემწე მეყვნენ და იოტნენ მაჭირვებელნი ჩუენნი ბოროტნი იგი ეშმაკნი, სიტყუად მსაჯულთა წიგნისაგან: **«ერო უფლისაო, დამიმდაბლენ მე უძლიერესნი ჩემსა!»** (მსაჯ. 5,13) **დევენ იგინი და მართლუკუნ აქციენ ჩემგან**“ (IV,26; Q 34, 379v).²

3. საკუთარი სულის გასამხნეველად:

ა) „სულისა მიმართ, რომელი ფრიადისა მწუხარებისაგან ჰგონებნ, ვითარმედ არა ისმენს სულთქუმათა ჩუენთა უფალი, სიტყუად გამოსლვათაგან: **«და სულთ-ითქუმიდეს ძენი ისრაჲლისანი საქმეთა მათგან ფიცხელთა და ღაღადებდეს. და მიიწია ღაღადებად მათი ღმრთისა და შეისმინა ღმერთმან სულთქუმანი იგი მათნი»** (გამ. 2,23-24)“ (IV,5; Q 34, 376v).³

ბ) „სულისა მიმართ, რომელი ადვილად აღიძრვინ რისხვად და ჰგონებნ, თუ სიმართლესა ღმრთისასა ეძიებს, სიტყვსგებად კათოლიკეთაგან იაკობისთა: **«აწ უკუე იყავნ ყოველი კაცი მოსწრაფე სმენად, მძიმე სიტყუად, მძიმე გულისწყრომად, რამეთუ გულისწყრომამან კაცისამან სიმართლქ ღმრთისადა არა ქმნის»** (იაკ. 1,19-20)“ (V,51; Q 34, 396r).⁴

გ) „სულისა მიმართ მოწყინებისაგან დაჯსნილისა და მწუხარებითა აღვსებულისა, სიტყუად მბ ფსალმუნისა: **«რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემადრწუნებ მე? ესევდ ღმერთსა, რამეთუ მე აუვარო მას, მაცხოვარსა პირისა ჩემისასა და ღმერთსა ჩემსა»** (ფს. 41,6)“ (VI,23; Q 34, 404r).⁵

4. მაცდური გულისზრახვის წინააღმდეგ:

ა) „გულისსიტყვსა მის მიმართ, რომელი მაყენებნ ჩუენ პურისაგან ჩუენისა მიცემად გლახაკთა და მეტყვნ, ვითარმედ: იგინი ყოველგნით მოირეწენ, ხოლო შენ ვერ ძალ-გიც

1 იხ.: Frankenberg 1912: 487 (II,14).

2 ეს სიტყვისგება „ანტირეტეიკოსის“ სირიულ თარგმანში არაა, თუმცა მის სომხურ თარგმანში გვხვდება. იხ.: Sarghisean 1907: 264 (IV,23).

3 იხ.: Frankenberg 1912: 503 (IV,1).

4 იხ.: Frankenberg 1912: 521 (V,58).

5 იხ.: Frankenberg 1912: 525 (VI,20).

კართი-კარად თხოვად, სიტყვსებად იგავთაგან: **«რომელი სწალობდეს გლახაკსა, იგიცა გამო-ვე-იზარდოს, რამეთუ თვისსაგან პურისა სცა გლახაკსა»** (იგავ. 22,9)“ (I,26; Q 34, 346r-v).¹

ბ) „სულისა მის მიმართ, რომელი ჰგონებენ, თუ წელიწადსა ერთსა ანუ ორსა განიოტნეს გულისსიტყუანი სიძვისანი, რადთა არღარა ჰბრძოდინ, სიტყვსებად გამოსლვათაგან: **«არა განვასხნე იგინი წელიწადსა ერთსა, რადთა არა ქუეყანად მოწრდეს და განმრავლდეს მჯეცი ქუეყანისაჲ შენ ზედა, მცირედ-მცირედ განვასხნე იგინი შენგან, ვიდრემდე აღორძინდე და დაიმკვდრო ქუეყანად»** (გამ. 23,29-30)“ (II,7; Q 34, 355v).²

გ) „გულისსიტყუსა მის მიმართ, რომელი შეჰრთავნ სათნოებათა თანა ზუაობასა და ესრეთ აღასრულებნ მოქალაქობასა თვისსა, სიტყვსებად [მეორისა შჯულისაგან]: **«არა ჰწნვიდე ჯართა და ვირითა ერთბამად»** (რჯლ. 22,10)“ (VII,11; Q 34, 416r).³

გულისზრახვებთან პაექრობის მნიშვნელობა განხილულია ასკეტურ ლიტერატურაში. ფსევდონილოს სინელის „შეგონებით თავებში“ (Capita Paraenetica: CPG 6583a) გვხვდება მოწოდება უკეთურ გულისზრახვათა მიმართ სიტყვისგებაზე: „ჰბრძოდე ბოროტთა გულისსიტყუათა და იტყოდე მათდა მიმართ რაოდენი შჯულსა შინა თქუმულ არს“ (ჰყონია 1963: 114, N90).⁴ წმ. ნილოსს ევაგრეს მრავალი ნაშრომი მიეწერება, დიდი აღბათობით – აღნიშნული შრომაც.⁵

ამავე გნომურ თხზულებაში ფსევდონილოსი (ევგერე პონტოელი) აღნიშნავს, რომ სულიერი სარგებლის მისაღებად აუცილებელია საღვთო წიგნების კითხვა: „საქმე ყოფად ჰგონე წარკითხვადცა შჯულისად; რამეთუ რაჟამს ენისა თანა გონებასაცა უნდეს მოსთულებად რადმე, გამოიძიებს მას საუნჯესა შინა წერილთასა“ (ჰყონია 1963: 112, N54).⁶

1 ob.: Frankenberg 1912: 479 (I,28).

2 ob.: Frankenberg 1912: 485 (II,3).

3 ob.: Frankenberg 1912: 531 (VII,5).

4 შდრ. «Μάχου τοῖς ποιητοῖς λογισμοῖς, καὶ λέγει πρὸς αὐτοὺς ὅσα τῶ νόμῳ λαλεῖται» (PG 79, col. 1260 B 15 – C 1).

5 Capita Paraenetica (PG 79, col. 1252-1262), წმ. ნილოს სინელის (IV-V სს.) გარდა, წმ. ევსუქი იერუსალიმელის (IV-V სს.) სახელითაც არის ცნობილი, თუმცა ევაგრე პონტოელის შრომა უნდა იყოს (Miltanova 2011: 125-154). ტექსტის საწყისი 24 სენტენცია (CPG 2443; PG 79, col. 1249 C – 1252 B 3) ევაგრეს ავტორობით გამოვლინდა (Elter 1892: LII). წმ. ექვთიმე ათონელის მიერ ნაშრომი გამოკრებით თარგმნილია წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელით (ტყეზუჩავა 2022: 198-219), ხოლო სამი სენტენცია – წმ. პასილი დიდის (ტყეზუჩავა 2022: 197). ზემოთ მოხმობილი სენტენცია ექვთიმესეულ თარგმანებში არ გვხვდება. თხზულება სრულად წმ. ეფრემ მცირის მიერ ითარგმნა ნილოსის ავტორობით – „ღნომნი სწავლითნი სარგებელად სულისა“ (ჰყონია 1963: 103-116).

6 შდრ. «Ἔργον εἶναι τοῦ νόμου τὴν ἀνάγκωσιν νόμιζε, ὅταν μετὰ τῆς γλώττης ὁ νοῦς τρυφήσῃ τι θέλω, ἐν ταῖς βίβλοις ἐργάζεται» (PG 79, col. 1256 B 12-14). წმ. ექვთიმე ათონელის თარგმანი: „საქმედ კეთილად შეგნრაცხნენ საღმრთოთა წიგნთა კითხვა[დ], ოდეს ენასა თანა გონება[დ]ცა შეიკრებდეს წიგნთაგან ყუაველსა სულნელსა და ნაყოფსა სულიერსა“ (ტყეზუჩავა 2022: 212-213).

ვნებიან გულისზრახვებთან შეპაექრების შესახებ მსგავს აზრს გამოთქვამს წმ. ესაია განწმობის (IV-V ს.): „გონებას ბუნებითი მრისხანება აქვს ვნებათა მიმართ“ (მშვენიერებათმოყვარეობა I.ი. 2013: 53). „გვმართებს, რომ ლოცვის ჟამს ღვთისმსახურებითი სიტყვისგებით (ἀντιλογίας) განვდევნოთ გულიდან ფიქრის შემოტევა, რათა არ მოხდეს ისე, რომ ბაგეებით ღმერთს ვეზრახვოდეთ, გულით კი უღირსს განვიზრახვოდეთ, რადგან არ შეიწყნარებს ღმერთი მემყუდროისგან ამღვრეულ და უგულისყურო ლოცვას“ (მშვენიერებათმოყვარეობა I.ი. 2013: 60-61).

ზრახვებთან სიტყვისგება მოღვაწისგან დიდ სიმდაბლეს მოითხოვს, რადგან იგი ერთგვარ საფრთხესაც წარმოადგენს. ამის შესახებ ევაგრე პონტოელი ტრაქტატში „ლოცვის შესახებ“ (De oratione: CPG 2452)¹ საუბრობს. ევაგრე უკეთურ სულთა მზაკვრობას ამხელს და ამბობს:

„ხდება ზოგჯერ, რომ ეშმაკები ჯერ გულისზრახვებს შთაგიგდებენ და შემდეგ შენვე აღგძრავენ იმისთვის, რომ თითქოსდა ილოცო მათ წინააღმდეგ ანდა განსიტყვავდე (ἀντιλέξαι) მათ, თვით კი ნებაყოფლობით უკუიქცვიან, რათა შეცდე და იფიქრო შენი თავის შესახებ, რომ დაწყებული გაქვს გულისზრახვათა ძლევა და ეშმაკთა დაშინება“ (მშვენიერებათმოყვარეობა I.ი. 2013: 26).²

უკეთურ სულთა ერთ-ერთი მიზანი გონების მოტყუებაა. ცდუნება — ესაა დიდი საფრთხე, რომელიც ემუქრება მოღვაწეს. დემონების მზაკვრობა უსამღვროა; შესაძლოა, მათ მოჩვენებითად თავი დამარცხებულადაც კი წარმოაჩინონ, მაგრამ ამით ყველაზე აღმატებული ბოროტების — ამპარტაუნებისაკენ უბიძგებენ ასკეტს.

ამასვე გვასწავლის წმ. ესაია განწმობის. ისიც, ევაგრეს მსგავსად, ეკრძალება ეშმაკთა მაცდუნებელ ხერხებს და მათ კარგად მომზადებულ ლაშქარს ადარებს, რომელიც

1 ნაშრომი მიეწერება წმ. ნილოს სინელს (PG 79, col. 1165-1200), მისი სირიული და არაბული თარგმანები ევაგრეს ავტორობას ადასტურებენ (Quasten 1986: 174). ევაგრეს „ლოცვისათვის“ ძველ ქართულად თარგმნილია სამგზის: ა) წინათონური თარგმანი (გამოკრებილი) — წმ. ნილოს სინელის სახელით (H 622, 57r-61v; უტიე 2003: 198-200); ბ) წმ. ექვთიმე ათონელის თარგმანი (გამოკრებილი) — წმ. ბასილის დიდის სახელით (კოჭლამაზაშვილი 2022: 51-188): 140); წმ. ეფრემ მცირის თარგმანი (სრულად) — წმ. ნილოს სინელის სახელით (A 60, გვ. 270-285; კოჭლამაზაშვილი 2017: 192-230; კოჭლამაზაშვილი 2022: 7-50).

2 შდრ. ა) წინათონური თარგმანი: „ოდეს შთააგდონ შენ შორის ეშმაკთა გულისსიტყუანი, და კუალად გასწრაფებდინ, რადგან ილოცე მათთვის და წინა-აღუდგე მათ, და ნეტოსით თუსით წარვლენ იგინი, რადგან ილოცე მათთვის და ჰგონებდი-მცა გულსა შინა თუსა, ვითარმედ გიწყიეს ძლევადად გულისსიტყუათა და შინებდად ეშმაკთა“ (H 622, 60v).

ბ) წმ. ექვთიმე ათონელის თარგმანი: „ესეცა სიმანქანე აქუს არაწმიდათა ეშმაკთა, რადგან მოგავიწოდონ, რადგან ილოცე მათთვის, და უკუეთუ, ვითარცა ჯერ-არს, წინა-აღუდგე, მერმე ნეტოსით თუსით განგემორნიან, რადგან ილოცე დაიწმუნე თავი შენი, ვითარმედ გიწყიეს ძლევადად და განდევნადად ეშმაკთა“ (A 1101, 92r; კოჭლამაზაშვილი 2022: 136).

გ) წმ. ეფრემ მცირის თარგმანი: „არნ ოდესმე, რომელ ეშმაკთა მოგავიწოდონ გულის-სიტყუანი, და კუალად მათვე აღგძრნიან ლოცვად გულისსიტყუათა მათთვის ანუ სიტყვსგებად მათდა, და ნეტოსით მიგრიდონ, რადგან შეცთუნებულ იქმნე თავისა თუსისათვის, ვითარმედ გიწყიეს ძლევადად გულისსიტყუათა და შეშინებდად ეშმაკთა“ (A 60, გვ. 283; კოჭლამაზაშვილი 2017: 225-226; კოჭლამაზაშვილი 2022: 44).

ჯერ ციხე-სიმაგრედან (ანუ ლოცვიდან) იტყუებს გამარჯვებით გაამაყებულ მებრძოლს, ხოლო შემდეგ ჩასაფრებული ჯარით ალყაში აქცევს და ანადგურებს მას. ესაიას შრომიდან („გონების დაცვის შესახებ“) მოვიხიშობთ აღნიშნულ სწავლებას:

„თუ მტრულ ძალას წინ აღუდგები და ნახავ მას შენგან მოუძღურებულს, რომელიც უკან გარბის, ნუ გაიხარებს შენი გული, რადგან უკეთურ სულთა ბოროტება მათვე უკან იმაღვის, ამზადებენ რა ადრინდელზე უფრო საშინელ ლაშქარს, რასაც ჯერ ქალაქის უკან ტოვებენ და უბრძანებენ, უძრავად იყოს. შემდეგ, როდესაც წინ აღუდგები და შეუტევ მათ, უძღურად გაიქცევიან შენგან, მაგრამ გაამაყდება რა შენი გული მათი განდევნით და დატოვებ რა ქალაქს, მტერთა ნაწილი ზურგიდან ამოიმართება, ნაწილი წინიდან დადგება და შუაში მოაქცევენ უბადრუკ სულს, რომელსაც უკვე არსად ექნება თავშესაფარი. ქალაქი ლოცვაა, წინაღობა — ქრისტესმიერი **სიტყვისგება** (*ἀντιλογία*), შეტევა კი — მრისხანება“ (მშვენიერებათმოყვარეობა I.I. 2013: 53).

ევგერე პონტოელის ასკეტური სწავლების განსაკუთრებულ გავლენას წმ. ევსუქი ხუცესი (IV-V ს.) განიცდის. იმას, რომ ევსუქი ევგერეს შემოქმედებას კარგად იცნობდა, მისი (ევგერეს) ნაშრომიდან ციტატის მოხმობაც ადასტურებს. თეოდულესადმი მიწერილ სიტყვაში — „მღვიძარებისა და სათნოების შესახებ“ — ევსუქის, ავტორის დამოწმების გარეშე, ორგზის მოაქვს ევგერეს ერთი და იგივე გამონათქვამი. კერძოდ, ის წერს: „და კიდევ, საღვთოდ ბრძენთაგანმა სხვამ თქვა: ნაყოფის გამოღების სათავე ყვავილია და საქმითი მოღვაწეობის სათავე — განკრძალულობა“ (მშვენიერებათმოყვარეობა I.I. 2013: 247).¹ იგი ამავე ციტატას მცირე სახეცვლილებით მოგვიანებით კვლავ იმეორებს: „ნაყოფის დასაბამი ყვავილია, გონების დაცვის დასაბამი კი — საჭმელ-სასმლისგან განკრძალულობა“ (მშვენიერებათმოყვარეობა I.I. 2013: 272).² მოხმობილი გამონათქვამი ევსუქის აღებული აქვს ევგერეს შრომიდან „რვა გულისზრახვის შესახებ“ (*De octo spiritibus malitiae*),³ კერძოდ, მისი პირველი თავიდან — „ნაყროვანების შესახებ“ (*De gula*).⁴

1 შლნ. «Καὶ ἕτερος δὲ πάλιν τῶν τὰ θεῖα σοφῶν ἔφη: ἀρχὴ καρποφορίας, ἄνθος· καὶ ἀρχὴ πρακτικῆς, ἐγκράτεια» (Φιλοκαλία (A') 1893: 88, ξζ).

2 შლნ. «Ἀρχὴ μὲν καρποφορίας, ἄνθος· ἀρχὴ δὲ τηρήσεως νοῦ, βρωμάτων ἐγκράτεια καὶ πομάτων» (Φιλοκαλία (A') 1893: 98, ρξε).

3 გერძნულ ხელნაწერთა უმრავლესობა ნაშრომს წმ. ნილოს სინელს მიაწერს, ევგერეს ავტორობა მხოლოდ ორ გერძნულ ნუსხაში (Protaton 26 და Lavra Γ 93) დასტურდება (SC 170: 166-182). ტრატატი ძველ ქართულად თარგმნილია ორგზის: ა) წინაათონური თარგმანი — ევგერე პონტოელის ავტორობით (Sin. 35, 27r-29r; 37r-39r. მახარაშვილი 1984: 22-24, 36-38); ბ) წმ. ექვთიმე ათონელის თარგმანი — წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელით (ტყეზუჩავა 2020: 223-262).

4 შლნ. «Ἀρχὴ καρποφορίας, ἄνθος· καὶ ἀρχὴ πρακτικῆς, ἐγκράτεια» (PG 79, col. 1145 A 3-4).
ა) წინაათონური თარგმანი: „თავი ნაყოფისა გამოღებისად არს ყუავილი და თავი კეთილისა საქმისად არს ღმრთისა მიმართ მარხვად“ (Sin. 35, 27r; მახარაშვილი 1984: 22).
ბ) წმ. ექვთიმე ათონელის თარგმანი: „დასაბამი ნაყოფთად არს ყუავილი და დასაბამი მოლუაწებთად არს მარხვად“ (Q 34, 340v; ტყეზუჩავა 2020: 194).

ევსუქი ხუცესის ნაშრომი — „მღვიძარებისა და სათნოების შესახებ“ — ადასტურებს, რომ ავტორი იცნობს ევაგრეს „ანტირეტეკოსსაც“. მისი თხზულებიდან ჩანს, რომ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ლოცვის დროს „სიტყვისმგებლობას“ (**ἀντίρρησις**). მოვიხილოთ ევსუქის სწავლებას:

„მართებს იმას, ვინც შინაგანად მორკინალობს, ეს ოთხი ჰქონდეს წამსვე: ქვემდაბლობა, უკიდურესი ყურადღება, **სიტყვისმგებლობა (ἀντίρρησις)** და ლოცვა. კერძოდ, **ქვემდაბლობა** — იმით, რომ ამპარტავანი მეტოქეების — დემონების წინააღმდეგ არის მისი ბრძოლა და ქრისტეს შეწევნა უნდა ჰქონდეს მას გულის ხელში, ვინაიდან სხვას უფალს ამპარტავანი; **ყურადღება** — იმით, რომ არ ჰქონდეს მის გულს არანაირი გულისზრახვა, თუნდაც იმგვარი, კარგი რომ ჩანს. **სიტყვისმგებლობა (Ἀντίρρησις)** — იმით, რომ რაწამსაც ზედმიწევნით შეიცნობს იგი მომავლელს, მცისვე რისხვით შეეპასუხოს უკეთურს. და პასუხს გავცემ, — ამბობს, — ჩემს ბოროტად შეურაცხყოფლებს. **«განა ღმერთს არ დაემორჩილება ჩემი სული?»** (ფს. 61.2). **ლოცვა** კი — იმით, რომ **სიტყვისგების (ἀντίρρησις)** შემდეგ მცისვე უსიტყვო ამოკვნესით ღაღადყოს ქრისტეს მიმართ, და სწორედ მაშინ იხილავს იგი, მორკინალი, მტერს დარღვეულს ანდა განდევნილს იესოს თავყანასაცემი სახელის მიერ, როგორც ქარის მიერ მტვერს ანდა კვამლს, მოსპობილს თავისი წარმოსახვითურთ“ (მშვენიერებათმოყვარეობა I.I. 2013: 234).

როგორც ვხედავთ, ევსუქი სულიერი ბრძოლის ველზე უკეთურ გულისზრახვათა მიმართ სიტყვისგებას უმნიშვნელოვანეს საქმედ მიიჩნევს მოღვაწისათვის, სიმდაბლეს, ყურადღებასა და ლოცვასთან ერთად. ოთხივე სათნოებას საკუთარი დანიშნულება აქვს და ერთმანეთს შეეწევიან ბრძოლაში.

ევსუქი კვლავ ამბობს:

„თუკი მდაბალი ცნობიერებით, სიკვდილის ხსოვნით, თვითგაკიცხვით, **სიტყვისმგებლობით (ἀντίρρησις)** და იესო ქრისტეს მოხმობით ყოველქამს დავანებული იქნები შენს გულში და ყოველდღიურად ამ საჭურველთა მიერ მღვიძარებით გაივლი გონების ვიწრო, მაგრამ სიხარულის მომნიჭებელ და საამურ გზას, შეხვალ სიწმინდეთა წმინდა ხილვებში და ღრმა საიდუმლოთაგან გასხივოსნდები ქრისტეს მიერ“ (მშვენიერებათმოყვარეობა I.I. 2013: 236).

ევსუქი ხუცესი სიტყვისგებასთან ერთად იესოს ლოცვის აღმატებულ ღირსებაზე საუბრობს. იგი კვლავ ამბობს:

„ნურასოდეს ნურანაირად ნუ დაგვეშრიტება გულისმიერი ყურადღება, მღვიძარება, **სიტყვისმგებლობა (ἀντίρρησις)** და ლოცვა ჩვენი ღვთის, იესო ქრისტეს მიმართ, რადგან უკეთეს შეწევნას, ვიდრე ეს იესოსგან გვაქვს, მთელ შენს ცხოვრებაში ვერ ჰპოვებ, ვინაიდან მხოლოდ უფალმა იცის თავად, როგორც ღმერთმა, ეშმაკთა ყოვლადმზაკვრობანი, მოხერხებანი და ცბიერებანი“ (მშვენიერებათმოყვარეობა I.I. 2013: 240).

ევსუქის სწავლებით, გულისზრახვების მცისიერი მხილება უმნიშვნელოვანესია სულიერ ღვაწლში, რადგან მცირე დაყოვნებაც კი ვნებებით ავსებს სულს. ამ ბრძოლაში ოთხი მთავარი საქმე ურთიერთშეთანხმებით მოქმედებს. კერძოდ, მღვიძარება, რომელიც უკიდურეს ყურადღებას მოითხოვს, თავმდაბლობას უნდა დაუკავშირდეს; შემდეგ, როდესაც ამგვარი შრომით გონებაში უკეთურება გამოვლინდება, **სიტყვისმგებლობისა** და **ლოცვის** კავშირით ვნებათაგან განწმენდა იწყება:

„უკეთურების მოქმედთა მიმართ მცისვე როდი ვლინდება **მამხილებლობა** (**ἀντίρρησις**) (შდრ. ეკლ. 8,11), რაც, თავის მხრივ, ხდება სწორედ მიზმი იმისა, რომ შთავინთქმებით გულისზრახვებისგან. რაჟამს შევეუდგებით გონებისეული ყურადღების ღვწას, ასეთ დროს თუ, ერთი მხრივ, მღვიძარებასთან ქვემდაბლობას შევანაწევრებთ, **მამხილებლობას** (**ἀντίρρησις**) კი, მეორე მხრივ, ლოცვას შევეუტკობთ, კეთილად ვივლით გონების გზით და იესო ქრისტეს წმინდა და სათაყვანო სახელით, როგორც ჩირადნის შუქით, ჩვენი გულის სახლს უკეთურებისგან გამოვასუფთავებთ...“ (მშვენიერებათმოყვარეობა I.I. 2013: 268–269).

ევსუქი ცოდვის ჩადენის ოთხ ეტაპს აღწერს. იგი განმარტავს, რომ უკეთური გულისზრახვის გამოვლენისთანავე საჭიროა სიტყვისგებითა და იესოს ლოცვით მისი განდევნა, რადგან ბოროტი სული სწორედ წარმოსახვებითა და აზრებით იბრძვის:

„...შეუძლებელია გულში ცოდვის შესვლა, ვიდრე არ დააკავუნებს იგი ჯერ გულის კარზე უკეთური შემოტევის წარმოსახვით. პირველად არის **კვეთება**, შემდეგ კი **თანაშეწყვილება**, როდესაც ჩვენი და უკეთურ ეშმაკთა გულისზრახვები ერთიმეორეს შეეზავებიან; მესამეა **შეთანხმება**, როდესაც ორივე მხარის გულისზრახვები ურთიერთში ბოროტად ბჭობენ, თუ როგორ მოიქცნენ. მეოთხეა გრძნობადი საქმე ანუ **ცოდვა**. ამიტომ, თუ ყურადღებითა და მღვიძარებით იქნება გონება და თუ იგი **სიტყვისგებისა** (**ἀντίρρησις**) და უფალ იესოს მოხმობის გზით გამოვლენისთანავე უკუაქცევს შემოტევას, გულისზრახვათა შემდგომი საქმენი ფუჭი გახდება, რადგან უკეთური, არის რა იგი უსხეულო გონება, სხვაგვარად ვერანაირად ვერ შეძლებს სულთა შეცდენას, თუ არა წარმოსახვათა და გულისზრახვათა მიერ“ (მშვენიერებათმოყვარეობა I.I. 2013: 242).

ევსუქი კვლავაც, სიტყვისგებისა და იესოს ლოცვის შეკავშირებით, ვნებიან ბრახვათა განდევნაზე საუბრობს. იგი ამბობს, რომ მამხილებლობისა და ლოცვის გზით ცოდვის ჩადენის პირველსავე ეტაპზე (**კვეთება**) ხდება მტრის მიერ ნატყორცილი ცეცხლმოღებული ისრების ჩაქრობა, რაც მას საშუალებას აღარ აძლევს მეორე (**თანაშეწყვილება**) და მესამე (**შეთანხმება**) ეტაპამდე მიაღწიოს, რითაც დასაბამშივე აღკვეთს ცოდვის ჩადენის შესაძლებლობას:

„როგორც წესი, **სიტყვისგება** (**Ἀντίρρησις**) ახშობს გულისზრახვებს, იესოს ხმობა კი განდევნის მათ, რადგან როდესაც უკეთური ძალის შემოტევა გრძნობადი ნივთის წარმოსახვის გზით სულში შთაისახება, იქნება ეს სახე იმისა, რაც ჩვენ მწუხარებას

გვეგვრის, ანდა წარმოსახვა რაღაც სიამისა (ვთქვათ ქალისა, ოქროსი ან ვერცხლისა), თუკი ეს ყოველივე სათითაოდ მოექცევა ჩვენს გონებაში, მყისვე გამოაშკარავდებიან ის გულისზრახვები, გულს რომ ავმეხსიერებით, სიძვითა და ვერცხლისმოყვარეობით აოცნებებენ, და თუ ჩვენი გონება გამოცდილია და განსწავლული, ჩვევაში მქონე იმისა, რომ დაიცვას თავისი თავი და ნათლად და გამჭვირვალედ ხედავდეს ხიბლისმიერ წარმოსახვებსა და უკეთურ ძალთა მაცთუნებლობებს, მყისიერი მოგერიების, **სიტყვისგებისა (ἀντίρρησις)** და იესო ქრისტეს ლოცვის მიერ ადვილად აქრობს ეშმაკის ცეცხლმოდებულ ისრებს, არ ანებებს რა ვნებად წარმოსახვას, ლოცვასთან ერთად თანააღიძრას, ანთუ წარმოდგენასთან ერთად ვნებადად თანადაისახონ ჩვენეული გულისზრახვები, ან კიდევ სიყვარულით თანაშეებრახონ მას და მრავალგონებობა თუ დათანხმებულობა გამოავლინონ, რომელთაც გარკვეული აუცილებლობით მოედევნება უკეთური საქმეები, ისევე როგორც დღეებს — ღამეები“ (მშვენიერებათმოყვარეობა I.I. 2013: 265).

ეგსუქი განმარტავს, რომ სიტყვისმგებლობით ვლინდება ვნებიანი წარმოსახვა, რომელიც გონებაში შეღწევას ანუ ცოდვის ჩადენის მეორე ეტაპზე (თანაშეწყვილება) გადასვლას ცდილობს, ხოლო მისი დამარცხება მხოლოდ იესოს ლოცვით აღესრულება, რადგან უფლის გარეშე ჩვენ თავად უძლურნი ვართ ვნებებთან ბრძოლაში:

„მოუკლებელი მღვიძარების საქმე ანუ სულისმიერი სარგებელი და დიდი სიკეთე ესაა მყისიერი განჭვრეტა გონებაში შთაბეჭდვადი გულისზრახვითი წარმოსახვებისა. **მამხილებლობის (ἀντίρρησις)** საქმე გახლავთ გამოაშკარავება და გამოვლენა იმ გულისზრახვისა, რომელიც გრძნობადი რამ საგნის წარმოსახვის გზით ცდილობს შემოღწევას ჩვენი გონების სივრცეში; ხოლო ის, რაც მყისიერად შრეტს და არღვევს მოპირისპირეთა ყოველგვარ ზრახვას, ყოველგვარ სიტყვას, ყოველგვარ წარმოსახვას, ყოველგვარ გამოსახულებას, ყოველგვარ უკეთურ ძეგლს, ესაა მოხმობა უფლისა, რადგან თვით ჩვენც ვხედავთ გონებაში მათ ძლევამოსილ დაძლევას ჩვენი დიდი ღვთის იესოს მიერ და მის შურისგებას ჩვენ გამო, რომლებიც უგვანნი, უბადრუკნი და უსარგებლონი ვართ“ (მშვენიერებათმოყვარეობა I.I. 2013: 269).

კვლავ დავიმოწმებთ ეგსუქის სწავლებას სიტყვისმგებლობის დიდ ღირსებაზე:

„ვინც თვალს არ აცილებს გველის თავს და, იყენებს რა მრისხანე გამონათქვამებს, მხურვალე **მამხილებლობის (ἀντίρρησις)** შედეგად «მუშტით გვემს მის ტანს», ამ გზით განირიდებს ბრძოლას, რადგან შეუმუსრა რა თავი, უკუაქცია მრავალი ბოროტი გულისზრახვა და უბოროტესი საქმეები. აი მაშინ, აუღელვებელი ჰგიეს აზროვნება, იწონებს რა ღმერთი მის მღვიძარებას გულისზრახვათა მიმართ და ანიჭებს რა სანაცვლოდ იმის ცოდნას, თუ როგორ დასძლიოს მოქიშპენი და როგორ განიწმინდოს მცირე-მცირედ თავისი გული იმ გულისზრახვებისგან, შინაგან ადამიანს რომ ბილწავს“ (მშვენიერებათმოყვარეობა I.I. 2013: 276).

ამდენად, მოხმობილი შეგონებებიდან ცხადი ხდება ევსუქი ხუცვის სწავლება. მისი თქმით, სულიერი ბრძოლისას სიტყვისგება აუცილებელია ვნებიანი აზრის გაჩენისთანავე, სანამ ბრახვა გონებაში შეღწევას მოახერხებს, ამისთვის გონების მღვიძარება და უკიდურესი ყურადღება საჭირო, რაც თავმდაბლობით უნდა აღესრულოს. ამ საქმეში განსაკუთრებული ღირსება იქნის ლოცვას ენიჭება, რომელიც, სიტყვისმგებლობასთან შეკავშირებული, დროთა განმავლობაში განწმენდს სულს ვნებებისგან.

გავეცნოთ სხვა წყაროსაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აპოფთეგმათა კრებულში (Aprophthegmata Patrum) გვხვდება ერთი კითხვა-მიგებითი ნაშრომი, სახელწოდებით: „თუ როგორ უნდა იჯდე კელინში და ჭვრეტის შესახებ“ (Περὶ τοῦ πῶς δεῖ καθίσει ἐν τῷ κελίῳ καὶ περὶ θεωρίας) (Wortley 2013: 552-561). ამ კითხვა-მიგებათაგან რამდენიმე გულისბრახვათა მიმართ სიტყვისგებასაც ეხება. თხზულება ძველ ქართულად თარგმნილია ორგზის: წმ. ექვთიმე ათონელისა და თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (ტყეუჩავა 2021: 263-277).¹

ნაშრომში კითხვებს პასუხობს ვინმე თეზაიდელი ბერი. გამოცდილი მოღვაწის თქმით, მონაზონს, ღვთის სსოვნის გარდა, სხვა გულისბრახვა არც უნდა ჰქონდეს. აზრების განდევნაზე კი ამბობს, რომ საკუთარი ძალით ეს შეუძლებელია, არამედ უფალს უნდა ვევედროს და ის დაადნობს მათ როგორც ცვილსო.

თხზულების ექვთიმესეული თარგმანიდან მოვიხმოთ შესაბამის კითხვა-მიგებას:

„კითხვა:“ და რომელი საქმე ანუ წურთა თანა-აც ქონებად სენაკსა შინა, რადა მას შეეყოს? **მიგება:“** ესე არს სრული საქმე მონაზონისა, რადა მარადის ღმერთსა იწუნებდეს დაუცადებელად და სხუად გულისსიტყუად არარად აქუნდეს.

კითხვა:“ ვითარ თანა-აც განძებად გულისსიტყუათა თავისაგან თვისისა? **მიგება:“** ვერ ძალ-უც თავით თვისით განსხმად გულისსიტყუათა, არამედ უწმს, რადა რაჟამს მოუწდეს გულისსიტყუად, მესეულად მიივლტოდის დამბადებელისა მიმართ თვისისა ვედრებით და მან დაადნოს გულისსიტყუად იგი ვითარცა ცვლი, «რამეთუ ღმერთი ჩუენი ცეცხლ შემწეველ არს» (ებრ. 12,29)“ (ტყეუჩავა 2021: 268).²

ამის შემდგომ ახალი კითხვა იბადება: აბა, სკიტელი მამები გულისსიტყუათა

1 იხ.: თეოფილე ხუცესმონაზონი 2014: 686-689.

2 შდრ. «[2] Ἐρ. Ποιαν οὖν ἐργασίαν ὀφείλει ἔχειν ἐν καρδίᾳ; Ἀπ. Αὐτὴ ἐστὶν ἡ τελεία ἐργασία τοῦ μοναχοῦ· τὸ προσέχειν τῷ Θεῷ διὰ παντὸς ἀπερισπάστως. [3] Ἐρ. Πῶς οὖν ὀφείλει ἐκδιώκειν ὁ νοῦς τοὺς λογισμοὺς; Ἀπ. Οὐ δύναται ἄλλως ἀφ' ἑαυτοῦ οὔτε γὰρ ἔχει ἰσχύ, ἀλλ' ἡνίκα λογισμὸς περιπέσῃ τῇ ψυχῇ, φεύγειν ὀφείλει πρὸς τὸν ποιήσαντα αὐτὴν μετὰ δεήσεως κάκεινος αὐτοὺς διαλθεῖ ὡς κηρὸν· ὁ γὰρ Θεὸς ἡμῶν πῦρ καταναλίσκον» (Wortley 2013: 552); „[14] კითხვა: როგორი საქმე უწმს ქონებად სულსა, რადა მისთვის ოდენ მოცალე იყოს? მიგება: ესე არს სრული საქმე მონაზონისა, რადა ხედვიდეს ღმერთსა ყოლადვე და მარადის მიუღრვეველად. [15] კითხვა: ვითარ თანა-აც ოტეზად მწინველევანთა გულისსიტყუათად? მიგება: ვერ ძალ-უც ამას ყოფად ყოლად თავით თვისით. და რამეთუ არცა თუ აქუს ძალი ესევითარი, არამედ ოდეს გულისსიტყუათა შევარდეს სული, უღირს, რადა მესეულად მიივლტოდის ვედრებით დამბადებელისა თვისისა და მან დამდნარყენეს ივინი ვითარცა ცვლი. და «რამეთუ ღმერთი ჩუენი ცეცხლ შემწეველ არს» (ებრ. 12,29)“ (თეოფილე ხუცესმონაზონი 2014: 686).

საწინააღმდეგო ზრახვებით (**ἀντιρρήτικῶ λογισμῶ**) რატომ იბრძოდნენ? რაზეც თეზაიდელი ბერი პასუხობს, რომ ასეთი ღვაწლი აღმატებულია, მაგრამ დიდ შრომას საჭიროებს და ყველასთვის არ არის განკუთვნილი. რადგან ერთი გულისზრახვის განდევნას ახალი ბრძოლა მოსდევს და ამგვარად, მთელი დღე სხვადასხვა ზრახვასთან ბრძოლაში განილევს, ღვთის ჭვრეტისთვის კი დრო აღარ რჩება.

დავიმოწმებთ შესაბამის კითხვა-მიგებას:

„კითხვა: ვითარ უკუე მამათა სკიტისათა მო-რაჲ-უჯდის გულისსიტყუაჲ, იწყიან ბრძოლად და წინააღმდეგობად მისა? **მიგება:** იგიცა საქმე დიდ არს და რჩეულ, არამედ შრომაჲ ფრიადი აქუს და არა ყოველთათუს უცთომელ და კეთილ არს.

კითხვა: ვითარ არა ყოველთათუს უცთომელ არს? **მიგება:** რაჟამს გულისსიტყუაჲ მოუჯდეს სულსა და ფრიად ილუაწოს და შეუძლოს განძებად მისა, მეყსეულად სხუად მოუჯდების და ებრძვის მას, და ესრეთ რაჟამს დღე ყოველ ებრძვინ იგი გულისსიტყუათა, ვერ ოდეს მოიცალის შეყოფად ხედვასა მას ღმრთისასა“ (ტყეშუაშვილი 2021: 268-269).¹

მომდევნო კითხვა-მიგებაში ასკეტი მოძღვარი განმარტავს, რომ გულისზრახვის მოძალეებისას გონება მას მაშინათვე უნდა განაშორო და უფლოს მიმართ აღამაღლო ლოცვით, რადგან ზრახვის გონებაში დაყოვნებას მასთან თანაშეწყვილება მოსდევს. აქ საუბარია ცოდვის ჩადენის პირველ ორ ეტაპზე. პირველი არის კვეთება, როდესაც ვნებიანი აზრი მოდის; ხოლო მეორეა ამ გულისზრახვასთან გონების შეზავება. მეუღაბნოე ბერი ამბობს, რომ მეორე ეტაპამდე არ უნდა მიიყვანო ზრახვა, რასაც სახიფათოდ თვლის. შემდეგ ასკეტი განმარტავს, რომ სიტყვისგება უფრო აძლიერებს ბრძოლას, დემონი კი მერ საწინააღმდეგო ფრამებს პოულობს, რაც სულს არაფერს რგებს, პირიქით, უფრო ამპარტავნებისკენ უბიძგებს მას, როგორც ვნებებთან საკუთარი ძალით წინააღმდეგობის შემძლე. ამიტომ, მოღვაწის თქმით, თუკი გულისზრახვა გონებაში შემოვა, მისი აღიარება სულიერი მოძღვრის წინაშე უნდა მოხდეს, რაც მაშინათვე ათავისუფლებს გონებას და უფლოს წინაშე უდანაშაულოს ხდის. ბოლოს კი თეზაიდელი ბერი ამბობს, რომ განდევნილი (სკიტელი) მოღვაწეები სიწრფელითა და ღვთის შიშით სიტყვისმგებლობდნენ ვნებიან ზრახვებთან, ამიტომ უფალიც შეეწეოდა და ბოლოს მათ შრომას ჭვრეტის მადლით აჯილდოვებდა.

ექვთიმესეული თარგმანიდან მოვიხიშობთ შესაბამის კითხვა-მიგებას:

1 შდრ. «[4] Ἐρ. Πῶς οὖν οἱ πατέρες τῆς Σκήτεις τῶ ἀντιρρήτικῶ λογισμῶ ἐχρῶντο; Ἀπ. Κάκειν ἡ μὲν ἡ ἐργασία μεγάλη καὶ ἐξαιρέτος, κόπον δὲ ἔχουσα καὶ οὐ πᾶσιν ἀσφαλῆς· ἔκστασιν φρενῶν ἔχει. [5] Ἐρ. Πῶς; Ἀπ. Ὅταν λογισμὸς ἐπέλθῃ τῆ ψυχῇ καὶ δυσήθῃ πολλὰ ἀγωνισαμένη ἐκβαλεῖν αὐτόν, ἄλλος ἐπέλθῃ περιλαβῆναι αὐτήν, καὶ οὕτως ἡ ψυχὴ ἀντιλέγουσα τοῖς λογισμοῖς οὐδέποτε σχισάξει τῆ τοῦ Θεοῦ θεωρίᾳ» (Wortley 2013: 554): „[16] **კითხვა:** ვითარ მამანი ჩუენნი სკიტელნი წინააღმდეგობათა გულისსიტყუათა იჭუმედეს? **მიგება:** და იგიცა საქმე დიდ არს და მაღალ, განა შრომაჲ უჯმს ფრიადი და არა ყოველთათუს მისანდომელ არს. [17] **კითხვა:** ვითარ არა ყოველთათუს მისანდომელ არს? **მიგება:** ოდეს გულისსიტყუაჲ მოუჯდეს სულსა და ჰზრძოლოს მას და შეუძლოს განდევნად, მერმე სხუად შემოვალს და მოეხუევის სულსა, და ესრეთ დღე ყოველ რაჲ ჰზრძოდი და ეწყვეზოდი სხუათა და სხუათა გულისსიტყუათა, არღანა ოდეს მოგვევალს ხედვად ღმრთისა“ (თეოფილე ხუცესმონაზონი 2014: 686).

კითხვა: რომლითა უკუე ღონითა მიივლტოდის გონებად ღმრთისა?

მიგება: უკუეთუ მოგივდეს შენ გულისსიტყუად სიძვისად, მეყსეულად მოსწყვდენ მისგან გონებად შენი და აღამაღლე ღმრთისა მიმართ მსწრაფლ და ნუ დაიყოვნებ, რამეთუ დაყოვნებასა აქუს შიში წურთისად.

კითხვა: უკუეთუ ცუდადმზუაობრებისა ვის გულისსიტყუად მოუვდეს, ვითარმედ: აჰა-ესერა, წარგიმართებიან სათნოებანიო, არა უწმსა გონებასა **სიტყვსგებად** მისი?

მიგება: რომელსაცა ჟამსა **სიტყუა-უგო**, იგი უძლიერე იქმნების და უფიცხლესად წინა-ალგიდგების, რამეთუ უმეტეს შენსა ჰპოებს იგი სიტყუათა მოგებად შენდა და არარად იქმნების სარგებელი სულისად, რამეთუ ჰპოებს, ვითარცა ვთქუ, სიტყუათა მრავალთა, და მოგაგონებს, ვითარმედ: აჰა-ესერა, ვეყოფი თავსა ჩემსა ბრძოლად ვნებათა მიმართ. რამეთუ ვითარცა რომელსა ჰყვეს მამად სულიერი, მამასა თვსსა მიუტევებს გულისსიტყუათა თვსთა და იგი უზრუნველ არს ყოველსა ზედა და სასჯელი არა აქუს წინაშე ღმრთისა. ეგრეთვე რომელსა მიეცეს თავი თვისი ღმრთისადა, არა უწმს ყოვლადვე ბრუნვად გულისსიტყუათათს ანუ **სიტყვსგებად** მისი ანუ ყოვლადვე შემოტევებად. უკუეთუ კულა შემოვიდეს, წარიყვანე იგი ზე მამისა მიმართ შენისა და არქუ მას: მე საქმე არად მაქუს, აჰა, მამად ჩემი, მან უწყის. და ვიდრეღა იგი აღიყვანებდე მას, განზოგებასა ოდენ გზისასა დაგიტეოს შენ და ივლტოდის, რამეთუ ვერ ძალ-უც მისა მიმართ შენთა მოსლვად, ვერცა დადგომად ამის საქმისა. არარად არს უბეშთაეს და უზრუნველეს ყოველსავე ეკლესიასა შინა.

კითხვა: ვითარ უკუე სკიტელნი წინააღდგომითა გულისსიტყუათადა სათნო-ეყვნეს ღმერთსა? **მიგება:** რამეთუ იგინი სიწრაფობითა და შიშითა ღმრთისადათა იქმოდეს და ამისთვის ღმერთმან ჴელი-ალუპყრა მათ, და უკუანადსჯენელ საქმე იგი ხედვისა და წურთისად თვთ თავით თვსით მოუწდა მათ ნებითა ღმრთისადათა მრავლისა შრომისა და ღმრთისმოყუარებისა მათისათვს“ (ტყებუჩავა 2021: 269–270).¹

1 მღწ. «[6] Ἐρ.· Ποία οὖν τέχνη ὁ λογισμὸς καταφεύχεται πρὸς τὸν Θεόν; Ἀπ.· Ἐάν σοι λογισμὸς πορνείας προσένηται, εὐθὺς ἀποσπάσας τὸν νοῦν σου ἄνω αὐτὸν ἀνεγκῶν μετὰ σπουδῆς, μὴ χρονίσῃς· τὸ γὰρ χρονίσιαι συγκαταβάσσεως ὄρον ἔχει. [7] Ἐρ.· Ἐάν οὖν κενοδοξίας λογισμὸς ἐπέλθῃ τῇ ψυχῇ ὅτι κατάρθωσας, οὐκ ὀφείλει **ἀντιλέξαι ὁ λογισμὸς**; Ἀπ.· οἰαδῆποτε γὰρ ἄρα **ἀντιλέγει**, ἐκεῖνος ἰσχυρότερος καὶ ῥαγδαῖος γίνεται· πλέον γὰρ σου ἐκεῖνος εὐρίσκη **ἀντιλέγειν καὶ** οὐ τοσοῦτον τὸ Πνεῦμα ἀντιλαμβάνεται· εὐρίσκει γὰρ ὡς λέγων ὅτι ἐμαυτῶ ἐπαρκοῦμαι μαχεσῶσθαι πρὸς τὰ πάθη. Ὡσπερ γὰρ ὁ πατέρα ἔχων πνευματικὸν πᾶσαν τὴν φροντίδα αὐτῶ παραχωρεῖ καὶ ἀμεριμνὸς ἐστί κατὰ πάντα καὶ κρῖμα οὐκέτι ἔχει παρὰ Θεῶ, οὕτως καὶ ὁ Θεῶ ἐαυτὸν ἐκδεδικῶς οὐκ ὀφείλει ὄλως φροντίδα ποιῆσαι λογισμῶν ἢ **ἀντιλέξαι** ἢ ὄλως τόπον ἀφιέναι εἰσελθεῖν. Ἐάν καὶ εἰσέλθῃ, ἄνω πρὸς τὸν πατέρα σου ἄρον αὐτὸν καὶ εἶπον· Ἐγὼ οὐκ ἔχω πρᾶγμα, ἰδοὺ ὁ πατήρ μου, αὐτὸς οἶδε. Καὶ ἔτι σοῦ ἀναφέροντος μέσον τῆς ὁδοῦ καταλείψας σε φεύγει· οὐ γὰρ δυνήσεται μετὰ σοῦ πρὸς ἐκεῖνον ἐλθεῖν. Ταύτης τῆς ἐργασίας οὐκ ἐστί μείζον οὐδὲ ἀμεριμνώτερον ἐν ὄλῃ τῇ ἐκκλησίᾳ. [8] Ἐρ.· Καὶ πῶς οὖν οἱ Σκητιῶται τῶ **ἀντιῤῥητικῶ λογισμῶ** εὐηρέστησαν τῶ Θεῶ; Ἀπ.· Ἐπειδὴ ἐκεῖνοι ἀπλότητι καὶ φόβῳ Θεοῦ ἐποίησαν, διὰ τοῦτο ὁ Θεὸς ἀντελάβετο αὐτῶν, καὶ ὕστερον ἢ αὐτῇ ἐργασία τῆς θεωρίας ἦλθεν εἰς αὐτοὺς, τοῦ Θεοῦ βουληθέντος διὰ τὸν πολὺν κόπον αὐτῶν καὶ φιλοθεῖαν» (Wortley 2013: 554–556): «[18] **კითხვა:** რომლითა უკუე ღონითა მიივლტოდის გულისსიტყუად ღმრთისა? **მიგება:** უკუეთუ მოვიდეს შენდა გულისსიტყუად სიძვისად, მეყსეულად მოსტყუე მისგან გონებად შენი და მალოდ და მოსწრაფებთ აღიყვანე გონებად შენი ზე და ყოვლადვე ნუ დაიყოვნებ მის თანა. და რამეთუ დაყოვნებასა თანამყოლისა ვნებად აქუს. [19] **კითხვა:** უკუეთუ ზუაზობისა

ამდენად, თებაიდელი ბერის პასუხიდან ჩანს, რომ იგი სახიფათოდ თვლის ვნებიან გულისზრახვებთან სიტყვისმგებლობას, მაგრამ აქ გასარკვევია, თუ რა შემთხვევაზე საუბრობს მოღვაწე. გამოცდილ მეუდაბნოე მამათაგან ზოგიერთი გულისზრახვას გონებაში უშვებდა და შემდეგ ებრძოდა მას, რაც მართლაც უდიდეს სულიერ გამოცდილებას მოითხოვს. გონებაში ზრახვის დაყოვნება ცოდვის ჩადენის მეორე ეტაპია, თუმცა ცოდვად ჯერ კიდევ არ ითვლება, სანამ მისი მოქმედება მესამე ეტაპზე ანუ ვნებიან აზრთან შეთანხმების ფაზაში არ გადავა. მართალია, ზოგი ასკეტი ამ აღმატებულ ღვაწლს მიმართავდა, თუმცა იგი მრავალთათვის სახიფათოა, თუკი დიდი სიმდაბლითა და გონიერებით არ აღესრულება, რადგან, როგორც თებაიდელი განმარტავს, ამპარტავნებისაკენ უბიძგებს მოღვაწეს.

აღნიშნული საკითხის უკეთ გასაგებად მამათა აპოფთეგმებიდან (Apophthegmata Patrum) მოვიხმოთ მამა პიმენისა და მამა იოსების პატერიკს:

„ჰკითხა მამამან პიმენ მამასა იოსებს და ჰრქუა: ოდეს მომიჯდეს მე გულისსიტყუად ვნებული, რად უყო მას, წინა-აღუდგე მას პირველვე, ანუ თუ უტეო შემოსლვად? ჰრქუა მას ბერმან: უტევე შემოსლვად და მერმე ჰბრძოლე მისა მიმართ. და ვითარცა უკუ-მოიქცა იგი სკიტედ და დაჯდა სენაკსა შინა თუსსა, მოვიდა ვინმე ბერი თიბელი და ეტყოდა ძმათა, ვითარმედ: ვკითხე მამასა იოსებს და ვარქუე, ვითარმედ: უკუეთუ მომიჯდეს მე გულისსიტყუად რადმე ვნებული, წინა-აღუდგე მას, ანუ უტეო შემოსლვად ჩემ შორის? და მან მრქუა მე: ყოვლადვე ნუ დაიხლებ მას, ნუცა უტევე შემოსლვად შენ შორის რასაცა გუარსა ვნებასა, არამედ მეყსეულად ზელ-ზელ მოჰკუეთე იგი შენგან. ესმა რად ესე მამასა პიმენს, ვითარმედ ესრეთ უთხრა მამამან იოსებ თიბელსა მას, აღდგა მსწრაფლ და მივიდა მამისა იოსებისა პანეფოდ და ჰრქუა მას: მამაო, მე გარწმუნენ შენ გულისსიტყუანი ჩემნი და აჰა-ესერა, სხუებრ არქუ თიბელსა მას. ჰრქუა მას ბერმან: შენ იცი, რამეთუ მიყუარ შენ. და მან თქუა: ჰქ, ეგრეთ არს. და ბერმან ჰრქუა მას: არა შენ მითხარა, თუ ვითარცა თავისათუს

გულისსიტყუად მოვიდეს და იტყოდის, თუ: წარვიმართებოვს სათნოებად, არა ჯერ-არს დაუბნებად გულისსიტყუსა? მიკვება: რასაცა ჟამსა ეშჯოდის ვინ და წინა-განწყევლობის, იგი უძლიერეს და უჭირვარეს იქმნება. რამეთუ უმეტესთა მიზეზთა ჰპოვებს იგი შენსა, წინა თუ აღუდგე მოდი, და კუალად სულიწმიდად არღარა ფრიად შეგწყვიტის შენ, რამეთუ გპოვებს შენ ლაღად და თვთვამყოფელად, მოსაჯულად თავისა და მტერთა მიმართ ბრძოლისა. რამეთუ ვითარცა სახედ ოდეს მამად ვის ესუას სულიერი, ყოველსავე საქმესა თუსსა მამასა მიანდობს და არცა ერთსა რას ზრუნავს თვთ, არცა ღმრთისა კერძსა და არცა თავისასა. ესრეთვე სახედ, რომელმან მისცეს თავი თვისი ღმერთსა, არღარა უღირს ყოვლად ზრუნვისა ყოფად გულისსიტყუათათუს, არცაღა უღირს ყოვლად წინააღდგომად, არცა სარჩელი, არცა შეშუებად თავსა შორის თუსსა. უკუეთუ კულა შემოვიჯდეს, ზე აღიყვანე იგი მამისა შენისა და არქუ მას: მე შენ თანა საქმე არა მიც, აჰა შენდა მამად ჩემი. და მერმეცა აღზიდე მას აღმართ და ვიდრე შუაგზადმდე დაგიტეოს შენ და ივლტოდის შენგან, ამისთუს რამეთუ ვერ ძალ-უც მოსლვად შენ თანა მამისამდე შენისა, ვერცა დადგომად წინაშე პირსა დიდებისა მისისასა. ამის უკუე სათნოებისა არა არს უფროდს და უაღრეს, არცა უზრუნველეს ყოველსა შინა ეკლესიასა. [20] კითხვად: ვითარ უკუე სკიტელი წინააღდგომასა შინა და ცილომასა გულისსიტყუათასა სათნო-ეყვნეს ღმერთსა? მიკვება: ვინაჲთგან ივინი სიწრფელებით და შიშითა ღმრთისაჲთა იქმოდეს ამას, ამისთუს ღმერთი შეეწეოდა მათ და უკუანაღსნელ საქმე ესე ხედვისად მოვიდა მათ თანა ნებითა ღმრთისაჲთა მრავალთათუს შრომათა მათთა და ღმრთისმოყუარებათა“ (თეოფილე ხუცესმონაზონი 2014: 686-687).

შენისა ეგრეთვე მე მითხარ? მიუგო: ეგრეთ არს ჭეშმარიტად. ჰრქუა მას ბერმან: მე უკუე გითხარ შენ, ვითარცა თავისათვის ჩემისა, რამეთუ უკუეთუ უტეო შემოსლვად შენ შორის ვნებათა და ჰბრძო მათ და იბრძოლო მათგან, უმეტეს გამოსჩნდები მძლედ და ძლიერად, რამეთუ ვითარცა ჩემთვის, გარქუ შენცა, თვნიერ ესე სრულთად არს და გამოცდილთად. ხოლო არიან სხუანი, რომელთა არცა თუ უღირს ყოვლად მიახლებად ვნებულსა რას გულისსიტყუასა უძღურებისათვის, არამედ მეცესულად უწყს სივლტოლად და მოკუეთად მათგან“ (თეოფილე ხუცესმონაზონი 2014: 386–387).

როგორც ვხედავთ, მაცდური ზრახვის გონებაში შეშვება და შემდეგ მასთან ბრძოლა მხოლოდ სრულყოფილი მოსაგრეებისათვის არის დაშვებული, მრავალთათვის კი ეს უძღურების გამო აკრძალულია. მამა იოსები მამა პიმენს, როგორც სრულყოფილ მოღვაწეს, ურჩევს, ვნებიანი ზრახვა გონებაში შეუშვას და შემდეგ დაამარცხოს იგი, რადგან ამგვარად იგი უძლიერეს მებრძოლად წარმოჩნდება. სხვა ბერს კი პირიქით, როგორც გამოუცდელს, ზრახვის მყისიერ უკუგდებას ასწავლის. თეზაიდელ ბერთან ზემოგანხილული კითხვა–მიგებაც ამავეს განმარტავს და არასრულყოფილთ სიფრთხილისაკენ მოუწოდებს.

ევსუქი ხუცესის შეგონება აღნიშნულს არ ეწინააღმდეგება, რადგან იგი ზრახვათა მიმართ სიტყვისგებას ცოდვის ჩადენის პირველსავე ეტაპზე, კვეთების ფაზაში, ასწავლის. ამასთან, აუცილებელ საქმედ სიმდაბლით სიფხიზლეს ქადაგებს, რასაც მოსდევს სიტყვისგება და იესოს ლოცვა. თეზაიდელი ბერიც თითქმის იმავეს ამბობს, რომ ვნებიანი გულისზრახვის გამოვლენისთანავე უფლისადმი ლოცვით უნდა მოხდეს მისი განქარვება, თუმცა სიტყვისგებას ამ შემთხვევაში არ ახსენებს.

ამდენად, ევგერე პონტოელის „ანტირეტიკოსი“ გამორჩეულად სასარგებლო სახელმძღვანელოა ასკეტურ გზას შედგომილთათვის. ნაშრომი წმინდა წერილის სიბრძნითაა აღჭურვილი, მისი პრაქტიკული დანიშნულება სულიერი ბრძოლის გონივრულად წარმართვა და დემონური ზრახვების მყისიერი უკუგდებაა, რათა მათი გულში დაყოვნება ცოდვის მიზეზად არ იქცეს.

ფვიქრობთ, წმ. ექვთიმე ათონელის მიერ რედაქტირებული და თარგმნილი ნაშრომი („სიტყვისგებისათვის ვნებათაძსა“) კიდევ უფრო აღმატებული ღირსებისაა, რადგან იგი გამდიდრებულია მრავალი ბიბლიური ციტირებითა თუ სიტყვისგებით.

გაიოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე... 1963: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963.
2. აბულაძე... 1967: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1967.
3. წმ. ბასილი კესარიელი 2015: წმიდა ბასილი კესარიელი, ასკეტიკონი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ქეთევან მამასახლისმა, თბილისი, 2015.
4. თეოფილე სუცესმონაზონი 2014: თეოფილე სუცესმონაზონი, მამათა სწავლანი და თხრობანი, შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, ტომი III, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს მანანა დვალმა და დალი ჩიტუნაშვილმა, თბილისი, 2014.
5. წმ. იოანე ოქროპირი 2014: წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებამ მათეს სახარებისამ, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს: მერაბ ბაბუხაძემ, ლილი ბასილაიამ, ნინო დობორჯგინიძემ, დარეჯან თვალთვაძემ, თინათინ კარსანიძემ, მანანა მაჩხანელმა, ნინო შარაშენიძემ, ნანა შულაძემ, თამარ ცოფურიშვილმა, თინათინ ცქიტიშვილმა, მარინე ოდიკაძემ, წიგნი I, თბილისი, 2014.
6. კოჭლამაზაშვილი 2017: კოჭლამაზაშვილი ე., წმ. ნილოს სინელის სახელით წარწერილი სწავლანი ლოცვისათვის და მისი ძველი ქართული თარგმანი, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, IX (2017), 192-230.
7. კოჭლამაზაშვილი 2019: კოჭლამაზაშვილი ე., ევაგრე პონტოელის Antirrhethikos-ის ძველი ქართული თარგმანი, თბილისი, 2019.
8. კოჭლამაზაშვილი 2022: კოჭლამაზაშვილი ე., ევაგრე პონტოელის De Oratione-ს ძველი ქართული ვერსიები, პატრისტიკული კვლევა საქართველოში, VI, თბილისი, 2022.
9. მახარაშვილი 1984: მახარაშვილი ს., ევაგრე პონტოელის ცხოვრება-მოღვაწეობა და

- მის თხზულებათა ქართული თარგმანი, ძველი ქართული მწერლობის მატრიცა, I, თბილისი, 1984, 3-39.
10. მშენიერებათმთავარება I.I. 2013: წმინდა მღვიძარეთა მშენიერებათმთავარება, I.I, ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2013.
 11. მშენიერებათმთავარება I.II. 2013: წმინდა მღვიძარეთა მშენიერებათმთავარება, I.II, ბერძნულიდან თარგმნა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2013.
 12. ტყეზუჩავა 2019: ტყეზუჩავა ლ., წმინდა მაქსიმე აღმსარებლის სახელით ცნობილი ასკეტური ძეგლი „სიტყვსგებისათჳს ვნებათაჲსა“ და მისი ექვთიმე ათონელისეული თარგმანი, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, 26 (2019), 127-138.
 13. ტყეზუჩავა 2020: ტყეზუჩავა ლ., ევაგრე პონტოელის შრომა „ბოროტების რვა სულის შესახებ“ და მისი წმ. ექვთიმე ათონელისეული თარგმანი, თბილისის სასულიერო აკადემია, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები, X-XI (2020), 183-264.
 14. ტყეზუჩავა 2020ა: ტყეზუჩავა ლ., ევაგრე პონტოელის „ანტირეტიკოსი“ და მისი წმ. ექვთიმე ათონელისეული თარგმანი, გრაგნილი, საეკლესიო-სამეცნიერო კრებული, VII (2020), 165-196.
 15. ტყეზუჩავა 2021: ტყეზუჩავა ლ., ერთი კითხვა-მიგებითი თხზულების ექვთიმე ათონელისეული თარგმანი, ენრიკო გაბიძაშვილი 90, თბილისი, 2021, 305-319.
 16. ტყეზუჩავა 2022: ტყეზუჩავა ლ., წმ. ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი კომპილაციური შრომა „სწავლანი სულიერნი წმიდისა მაქსიმე აღმსარებლისანი“, გრაგნილი, საეკლესიო-სამეცნიერო კრებული, IX (2022), 191-224.
 17. ტყეზუჩავა 2023: ტყეზუჩავა ლ., ევაგრე პონტოელის სწავლათა წმ. ექვთიმე ათონელისეული თარგმანები, სპეკალი, რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი, 17 (2023):
<https://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/17/296>
 18. უტიე 2003: უტიე ბ., ფსევდო-ნილოსის ლოცვისათვის, არაბულიდან ქართულად ძველი ნათარგმნი თავები, კონსტანტინე წერეთელი 80, საიუბილეო კრებული (2003), 198-200.
 19. ქაჯაია 1992: ქაჯაია ნ., ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, თბილისი, 1992.
 20. ჭყონია 1963: ჭყონია თ., ერთი ძეგლი გნომური ლიტერატურისა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V (1963), 103-121.

21. სინთიბიძე 1968: სინთიბიძე ე., ბასილი კაბადოკიელის „სამოღვაწეო წიგნის“ ქართული რედაქციები (ნარკვევი ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობიდან), თბილისი, 1968.
22. CPG: Clavis Patrum Graecorum, vol. II (Ab Athanasio ad Chrysostomum), ed. M. Geerard, Brepols – Turnhout, 1974.
23. Elter 1892: Elter A., Gnomica I, Sexti Pythagorici, Clitarchi, Euagrii Pontici sententiae, Lipsiae, 1892.
24. Frankenberg 1912: Frankenberg W., Euagrius Ponticus, Abhandlungen der königlichen Gesellschaft der Wissenschaften zu Göttingen, Philologisch-historische Klasse, Berlin, 1912.
25. Gennadius von Marseille 1898: Gennadius als Litterarhistoriker, Eine quellenkritische Untersuchung der Schrift des Gennadius von Marseille „De Viris Illustribus“ von Bruno Czapla, Münster, 1898.
26. Guillaumont 1987: Guillaumont C., Fragments grecs inédits d’Evagre le Pontique, in Texte und Textkritik: Eine Aufsatzsammlung, Texte und Untersuchungen zur Geschichte der altchristlichen Literatur 133, ed. Jürgen Dummer, Berlin, 1987, 209-221.
27. Miltenova 2011: Miltenova A., Towards the Slavic Translations of Capita Paraenctica Ascribed to either Nilus of Ankyra or to Hesychius of Jerusalem, ΣΠΑΡΑΓΜΑΤΑ ΒΥΖΑΝΤΙΝΟΣΛΑΒΙΚΗΣ ΚΛΗΡΟΝΟΜΙΑΣ (Χαρτηριος Τόμος στον Καθηγητή Ιωάννη Χρ. Ταρνανίδη), 2011, 125-154.
28. PG: Patrologiae cursus completus, Series Graeca, accurante et recognoscente J.P. Migne, Paris, 1857-1866.
29. PL: Patrologiae cursus completus, Series Latina, accurante et recognoscente J. P. Migne, Paris, 1844-1880.
30. Quasten 1986: Quasten J., Patrology, vol. III, The Golden Age of Greek Patristic Literature, Westminster, 1986.
31. Samir 1992: Samir S. Kh., Évagre le Pontique dans la tradition arabo-copte, in Actes du IVe congrès copte; Louvain-la-Neuve, 5-10 septembre 1988, ed. M. Rassart-Debergh and J. Ries (Louvain-la-Neuve: Institut Orientaliste, 1992), 125–153.
32. Sarghisean 1907: Sarghisean P. B., The Life and Works of the Holy Father Evagrius Ponticus in an Armenian Version of the Fifth Century with Introduction and Notes (in Armenian), Venice, 1907.

33. SC 170: Sources chrétiennes 170, Évagre le Pontique, Traité pratique ou le moine, tome I, Introduction par Antoine Guillaumont et Claire Guillaumont, Paris, 1971.
34. SC 171: Sources chrétiennes 171, Évagre le Pontique, Traité pratique ou le moine. tome II, Édition critique du texte grec, Traduction, Commentaire et tables par Antoine Guillaumont et Claire Guillaumont, Paris, 1971.
35. Sims-Williams 1985: Sims-Williams N., The Christian Sogdian Manuscript C2, Schriften zur Geschichte und Kultur des alten Orients, Berliner Turfaufschichte 12 (Berlin, 1985), 168-182.
36. Wortley 2013: The Anonymous Sayings Of The Desert Fathers, A Select Edition and Complete English Translation, Edited and Translated by John Wortley, Cambridge University Press, 2013.
37. Φιλοκαλία (Α΄) 1893: Φιλοκαλία των Ιερών Νηπτικών, Τόμος Πρώτος (Α΄), Συνεραρισθείσα παρά των Αγίων και Θεοφόρων Πατέρων ημών εν η διά της κατά την πράξιν και θεωρίαν ηθικής φιλοσοφίας ο νους καθαίρεται, φωτίζεται, και τελειούται και εις ην προσετέθησαν τα εκ της εν Βενετία εκδόσεως ελλείποντα κεφάλαια του μακαρίου Πατριάρχου Καλλίστου. Εκδομένη υπό Παναγιώτου Αθ. Τζελάτη, Εκ του Τυπογραφείου Παρασκευά Λεώνη, Εν Αθήναις 1893.

**ევაგრე პონტოელის სწავლება
„გულიწმინდის სიტყვისმცემლობის შესახებ“
და მისი კვალი ასკეტურ ტრადიციებში**

რეზიუმე

წინამდებარე ნარკვევში განხილულია ცნობილი ასკეტის – ევაგრე პონტოელის სწავლება ღმერთის აზრებთან პაექრობის შესახებ. სტატიის პირველ ნაწილში გაანალიზებულია ევაგრეს ნაშრომი Antirrheticus, რომელსაც პველ ქართულ (ექვთიმე ათონელისეულ) თარგმანში „სიტყვსტებისათვის ვნებათაძსა“ ეწოდება. ეს ტრაქტატი წარმოადგენს ასკეტურ სახელმძღვანელოს რვა გულისშრახვის (ვნების) წინააღმდეგ. სტატიის მეორე ნაწილში შესწავლილია გულისსიტყვებთან პაექრობის საკითხი და ასკეტური ტრადიცია. როგორც ირკვევა, ევაგრე პონტოელის Antirrheticus გამორჩეულად სასარგებლო სახელმძღვანელოა ასკეტური მოღვაწეობისთვის. ნაშრომი წმინდა წერილის სიბრძნითაა აღჭურვილი, მისი პრაქტიკული დანიშნულება სულიერი ბრძოლის გონივრულად წარმართვა და ღმერთის აზრების მყისიერი განდევნაა, რათა მათი გულში დაყოვნება ცოდვის მიზეზად არ იქცეს.

Evagrius Ponticus's Teaching "Antirrheticus" and Its Imprint in the Ascetic Tradition

Abstract

The essay presented here discusses the teaching of the well-known ascetic Evagrius Ponticus about contending with demonic thoughts. The first part of the article analyzes Evagrius' work Antirrheticus, which in the old Georgian translation of Euthymius the Athonite is called "Refutation of Passions" („სიტყვსგებნათჳს ვნებათაჲსა“). The treatise represents an ascetic handbook which teaches how to withstand the eight temptations.

The second part of the article suggests a theme of coping with one's temptations and ascetic tradition.

The research done on the topic shows that Evagrius Ponticus' Antirrheticus is a very useful guide to ascetic practice. The book is equipped with the wisdom of the Holy Scriptures. Its practical purpose is to conduct one's spiritual battle wisely and drive out demonic thoughts immediately as they occur so that their persistence in the heart does not become the cause of sin.



ლამა ტყეზურავა

**ფსევდო ნილოს სინელის (ევაგრე პონტოელი)
„სენტენციების“ (Sententiae) კველი ქართული
თარგმანი**

ლაშა ტყეხუჩავა თეოლოგიის მაგისტრი, პატროლოგიის
მიმართულების დოქტორანტი

LASHA TKEBUCHAVA Master of Theology;
a doctoral student of Patrology

ფსევდონილოს სინელის (ევაგრე პონტოელი) „სენტენციების“ (Sententiae) ძველი ქართული თარგმანი

შესავალი

ასკეტური მწერლობა კარგად იცნობს ევაგრე პონტოელის სახელს, თუმცა მას შემდეგ, რაც ორიგენისტული ცდომილების გამო V მსოფლიო საეკლესიო კრებამ (553 წ.) ევაგრე, ორიგენესა და დიდემესთან ერთად, ანათემას გადასცა, მისი შრომების დიდი ნაწილი წმ. ნილოს სინელის (IV-V სს.) სახელით გავრცელდა. ძველ ქართულ მწერლობაში ნილოსის ავტორობით რამდენიმე ნაშრომი ცნობილი, რომელთაგან უმრავლესობა სინამდვილეში ევაგრე მონაზონს ეკუთვნის, ხოლო მთარგმნელი ბერძნულ ხელნაწერულ ტრადიციას მისდევს.

წმ. ნილოსს ეკუთვნის მარტვილოლოგიური ჟანრის ნაშრომი „მოწყუედისათვის წმიდათა მამათა მთისა სინისა და რაითისათა“ (Narrationes: CPG 6044; PG 79, col. 589-694): „შეცთომილ რად ვიყავ მე შემდგომად ზედამოსლვისა ბარბაროზთადას...“ (A 79, XII ს., 61r-94v; ქუთ. 13, XVI ს., 96r-127r) (გაბიძაშვილი 2004: 333, N1043).¹

წმ. ექვთიმე ათონელს ნილოს სინელის ეპისტოლეთაგან გამოკრებილი შეგონებებისგან შეუდგენია „სწავლანი“ (A 1101, XI ს., 202v-209v): „თქუა წმიდამან მამამან ნილო: დადაცათუ არავინ გდევნიდეს მძლავრი წარმართი...“ (კოჭლამაზაშვილი 2021 [2023]: 150-173).² თავად ნილოსის ეპისტოლეთა კრებული (Epistulae: CPG 6043; PG 79, col. 81-582) ქართულად წმ. ეფრემ მცირის მიერაა თარგმნილი, იგი ერთადერთი ნაკლული ხელნაწერით — A 60 (XIII ს.) — არასრულადაა შემორჩენილი (თავართქილაძე — თუმანიშვილი 2017: 38-191).

დასახელებულთა გამოკლებით, ძველ ქართულ მწერლობაში ნილოს სინელის სახელით ცნობილი ტექსტების რეალური ავტორი ევაგრე პონტოელია. „სისტემატური პატერიკის“ (Apothegmata Patrum) ექვთიმესეულ და თეოფილესეულ თარგმანებში ნილოსის სახელით შეტანილი შეგონებები (დვალი 1966: 151; დვალი — ჩიტუნაშვილი 2014: 475, 542), ევაგრეს შრომიდან — „ლოცვის შესახებ“ (De oratione: CPG 2452;

1 მსგავსი სახელწოდების ნაშრომი ამონიოსის მიერაც არის დაწერილი (CPG 6088; ვეველიძე 1918: 28-44; გვარამია 1973). A 79 ხელნაწერში 72v-ზე მოთავსებულია „შეისწავე“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამონიოს მონაზონს სინის ზემო დიდი მონასტრის მამათა მოსრვა აღუწერია, ხოლო ნილოს სინელს — სინის ქვემო მონასტრის („მაყულოვანისად“) (ქსა-A 1973: 267).

2 ამავე „სწავლანის“ მოკლე რედაქციაც არსებობს (S 1595, XI ს., 156r-157r; A 116, XVII ს., 209v-211v; A 57, XVII ს., 221v-223r), რომელიც წმ. ექვთიმე ათონელის მიერ „სწავლანის“ ვრცელ ვერსიამდე ჩანს თარგმნილი (კოჭლამაზაშვილი 2014 [2023]: 628-629, 663, 665-668).

SC 589; PG 79, col. 1165-1200) — არის აღებული.¹ აღნიშნული ნაშრომი ნილოსის ავტორობით ორგანოსა თარგმნილი: (ა) გამოკრებით თარგმნილი (48 შეგონება) წინათონური ვერსია (H 622, X ს., 57r-61v);² (ბ) სრული ტექსტის (153 შეგონება, პროლოგის გარეშე) ეფრემ მცირისეული თარგმანი (კოჭლამაზაშვილი 2017: 192-230; კოჭლამაზაშვილი 2022: 7-50). ეს უკანასკნელი იმ ერთადერთ ხელნაწერში გვხვდება (A 60, 130v-138r), რომელშიც ნილოს სინელის ავთენტური ეპისტოლეები შემორჩა.

ამავე ნუსხაში (A 60) „ლოცვისათვის“ ტრაქტატს მოსდევს ფსევდონილოსისვე შეგონებები (გნომები) ორ ნაწილად. ეს ტექსტებია:

ა) „ღნომნი სწავლითნი სარგებელად სულისა“ (Κεφάλαια ἢ παραίσεις; Capita Paraenetica: CPG 6583a; PG 79, col. 1252 B 4 – 1261 C): **A 60** (XIII ს.), 138r-141r; **A 67** (XVI ს.), 84r-88r; **S 269** (XVII ს.), 111r-118v; **H 1246** (1754 წ.), 153r-159r; **ლიტ. მუშ. 24** (XVIII ს.), 25r-31r (ჯყონია 1963: 103-121).

ბ) „ღნომნი განმაყენებელნი განხრწნადთაგან და შემაერთებელნი უხრწნელთა თანა“ (Γνωμαὶ ἀπάγουςαι τῶν φθαρτῶν καὶ κολλῶσαι τοῖς ἀφθάρτοις τὸν ἄνθρωπον; Sententiae abducentes hominem a corruptibilibus, et incorruptibilibus unientes: CPG 6583b; PG 79, col. 1240 C – 1249 B): **A 60** (XIII ს.), 141r-142v (ბოლონაკლული); **A 67** (XVI ს.), 88r-91r; **S 269** (XVII ს.), 118v-125r; **H 1246** (1754 წ.), 159r-164r; **ლიტ. მუშ. 24** (XVIII ს.), 31v-36v (გაბიძაშვილი 2006: 265, N783).

თხზულების ბერძნული გამოცემები

გნომი მოკლედ გამოთქმულ ბრძნულ შეგონებას ნიშნავს (ჯყონია 1963: 105).³ მსგავსი გამონათქვამებისგან შედგენილი შრომები ცნობილია როგორც საეკლესიო მამათა, ისე ფილოსოფოსთა შემოქმედებაში. ფსევდონილოს სინელის ორნაწილელი გნომური ნაწარმოები 40-ზე მეტი ბერძნული ხელნაწერთაა ცნობილი (Mennes 1971: 278-281). ამ ნუსხათაგან უმრავლესობა ნაშრომს წმ. ნილოს სინელს მიაწერს, ხოლო ზოგიერთი

1 აღნიშნული საკითხის შესახებ გამოკვლევას უახლოეს მომავალში გამოვაქვეყნებთ სტატიაში: „ევაგრე პონტოელის სენტენციები ძველ ქართულ პატერიკულ კრებულებში“.

2 Ivir. georg. 17-ში (XI ს.) დაცულ პატერიკში – „გამოკრებულნი სადადთვე სიტყუანი წმიდათა მამათანი“ – ნილოსის სახელით შეტანილია შვიდი გამონათქვამი „ლოცვის შესახებ“ ტრაქტატის წინათონური თარგმანიდან (იხ.: ჩიტუნაშვილი 2011: 273, 292, 301, 316). ამავე პატერიკში ნილოსის ავტორობით შემორჩენილია ევაგრეს შრომის – „რვა გულისზრახვის შესახებ“ – ფრაგმენტი (იხ.: ჩიტუნაშვილი 2011: 270).

3 შდრ. „შეისწავე, ვითარმედ ღნომი ეწოდების ესევითარსა სიტყუათა, ვითარ-ესე არიან ამის საკითხავისანი მოკლედ და მკუჭთად მეტყუელთა, და ძალი ესე არს ღნომისად. ხოლო შედარებით თარგმნად მისი, რომელსა გერძულად ოცდა ორი ძალი აქუს, უღონო არს, ამისთვის გერძულადვე დაიდვა“ (A 60, 138r).

— წმ. ევსუქი იერუსალიმელს. ტექსტი წმ. ნილოსის სახელით არის ცნობილი სომხურ და სირიულ თარგმანებში (Sargisean 1855: 684-699; Bettiolo 1983: 10-32). სლავურ ტრადიციაში იგი ევსუქისა და ნილოსის ავტორობით გავრცელდა (Сперанский 1904: 415-470; Miltenova 2011: 125-154).

ძირითადად, ცნობილია ტექსტის შეერთებული და გაყოფილი რედაქციები. ეს ვერსიები ერთმანეთისგან შეგონებების რაოდენობითა და თანმიმდევრობით განსხვავდებიან. შეერთებული ვერსიის სახელწოდებაა: „თავები ანუ შეგონებები“ (Κεφάλαια ἢ παραίτησις), მას სტატიაში „კეფალიებს“ ვუწოდებთ, რათა განვასხვავოთ გაყოფილი რედაქციის ტექსტებისგან. გაყოფილი ვერსიის პირველ ნაწილს მოვიხსენიებთ როგორც „შეგონებითი თავები“, ხოლო მეორე ნაწილს — როგორც „სენტენციები“.

სამწუხაროდ, ნაშრომის კრიტიკული გამოცემა დღემდე არ განხორციელებულა, ამიტომ ძნელია თქმა, თუ ტექსტი სრული სახით როგორ გამოიყურებოდა. ნილოსის ავტორობით „კეფალიების“ (შეერთებული ვერსია) რამდენიმე ძველი გამოცემა არსებობს ლათინური თარგმანებითურთ (Grynaeus 1569: 169-182; Neandro 1577; Schoning 1608: 1-234),¹ რომელთაც ემყარება ტექსტის უკანასკნელი გამომცემელი იოანე კონრად ორელი (Orellius 1819: 320-349). აღნიშნული ვერსია, აგრეთვე, ცნობილია ფრონტონ დუ დუცის პუბლიკაციით (Duc 1624: 1168-1178).² აქ აღსანიშნავია, რომ ნაშრომის სახელწოდება დუცის მიერ ოდნავ განსხვავებულად ითარგმნა ლათინურად, როგორც — «Capita Paraenetica» (შეგონებითი თავები), მაშინ, როცა ორელისა და სხვათა პუბლიკაციებში მას «Capita seu praeceptiones sententiosae» (თავები ანუ ბრძნული შეგონებები) ეწოდება.

პატროლოგია გრეკაში (PG) ჟაკ პოლ მინის მიერ თხზულების გაყოფილი რედაქცია წმ. ნილოს სინელის სახელით არის გამოქვეყნებული. პირველი ტექსტი 139 გნომისაგან შედგება (უნდა იყოს 138) (PG 79, col. 1249 C – 1262 C), ხოლო მეორე — 98-ისგან (უნდა იყოს 100) (PG 79, col. 1240 C – 1250 B). PG-ში შეტანილი „შეგონებითი თავები“ (1 ნაწილი) აღებულია ფრონტონ დუ დუცის მიერ გამოცემული შეერთებული რედაქციიდან (Duc 1624: 1168-1174 A)³ და მისეული ლათინური სახელწოდებაც უცვლელადაა გადმოტანილი (Capita Paraenetica). დუცის ლათინურ თარგმანში „კეფალიების“ 39-ე გნომი შეცდომით გაყოფილია ორად (Duc 1624: 1169, N39-40), ასეა PG-ს ტექსტშიც (PG 79, col. 1252 D 2-5), რის შედეგადაც „შეგონებითი თავების“

1 დასახელებულთაგან სტეფანე შონინგის გამოცემა გამოჩნეულია იმით, რომ მასში თითოეული სენტენციის პარალელური წყაროებია მითითებული. მოგვიანებით შონინგის პუბლიკაცია, პარალელური წყაროების გარეშე, ცალკე წიგნადაც გამოიცა (Schoning 1679).

2 როგორც ჩანს, ორელი დუცის პუბლიკაციას არ იცნობდა, ამიტომ თავისი წიგნის წინასიტყვაში მას არ ახსენებს და მხოლოდ შემოდასახელებულ სამ გამოცემას იმოწმებს (Orellius 1819: XVII).

3 ამას მიუთითებს შენიშვნა სათაურის ქვეშ: «Ex Frontonis Ducaei Auctario Bibl. vet. Patr., tom. II, p. 1168» (PG 79, col. 1249-1250).

139 სენტენციის ვიდეო, სინამდვილეში კი არის 138, როგორც ეს ორელის გამოცემაშია.

PG-ში „სენტენციები“ (II ნაწილი) გამოქვეყნებულია ჟოზეფ-მარი სუარესის პუბლიკაციის მიხედვით (Suaresius 1673: 557-564). ამ უკანასკნელს ნილოსის ავტორობით არსებულ შრომათა შორის გამოქვეყნებული აქვს „სენტენციები“ და არა ტექსტის პირველი ნაწილი — „შეგონებითი თავები“. მის (სუარესის) გამოცემაში „სენტენციების“ 98-ე შეგონებას მოსდევს დამატებით ვრცელი თავები (99-135), რომლებსაც გნომური ფორმა არა აქვთ (Suaresius 1673: 564-575), ისინი PG-ში აღარაა გადატანილი, მითითებულია მხოლოდ 99-ის დასაწყისი: « Ἰς γὰρ οἱ ἐλεήμονες, κ. τ. λ.» (PG 79, col. 1248 B 6). აქ აღსანიშნავია სუარესისა და მინის გამოცემების ორი შეცდომა:

(ა) სუარესისა და მინის (PG) გამოცემებში მე-8 შეგონებად შეერთებულია ორი გნომი (Suaresius 1673: 557; PG 79, col. 1241 A 4-7), უნდა ყოფილიყო მე-8 და მე-9 სენტენციები. ორელის ტექსტში ისინი ცალ-ცალკეა (Orellius 1819: 338, N144-145), ისევე როგორც დუცთან (Duc 1624: 1174, N145-146). ამ მხრივ ქართულ (ეფრემისეულ) თარგმანში ტექსტის სისწორე დაცულია.

(ბ) სუარესისა და მინის გამოცემებში (PG) 51-ე შეგონებაც ორი გნომისაგან შედგება (უნდა ყოფილიყო 52-ე და 53-ე),¹ რადგან პირველ მათგანს აკლია დამასრულებელი ფრაზა, ხოლო მეორეს — პირველი ნახევარი. PG-ში აღნიშნული შეგონების სქოლიოში მითითებულია, რომ დუცის გამოცემაში სენტენცია გაყოფილია ორად (Duc 1624: 1176, N187-188).² ასევეა ორელის გამოცემაშიც (Orellius 1819: 344, N187-188). ქართული თარგმანი სწორედ ამ ვერსიას მოსდევს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სენტენციები“ არა 98, არამედ 100 შეგონებისაგან შედგება, ანუ ასეულს წარმოადგენს. საერთო ჯამში ამგვარია ტექსტის გამოცემათა სიჭრელე, რაც აძნელებს მის შესახებ მეცნიერულ მსჯელობას.

1 ობ.: «να'. Μη ἀμέλει τῆς συμπαθείας, τὸ γὰρ ἐξ αὐτῆς ὄργανον, τὸν δι' ἡμᾶς σαρκαθέντα τοῖς ἀνθρώποις παρέστησεν» (Suaresius 1673: 561; PG 79, col. 1245 A 3-5); „ნუ უღებ-ჰყოფ თანალობასა, რამეთუ მის მიერმან ორლანომან წარმოუდგინა კაცთა ჩუენთჳს ჳონცჳსხმული იგი“ (A 60, 142r).

2 ობ.: «Apud ducaem hic numerus duplicem efficit sententiam: 187. Μη ἀμέλει τῆς συμπαθείας: αὐτὴ γὰρ τὸν ἀγατὸν Δεσπότην ἐξ ὄργανον κατήγαγεν. 188. Μη καταφρόνει τῆς ἀγείας: τὸ γὰρ ἐξ αὐτῆς ὄργανον τὸν δι' ἡμᾶς σαρκαθέντα τοῖς ἀνθρώποις παρέστησεν» (PG 79, col. 1245-1246, sq. 1); „(51) ნუ უღებ-ჰყოფ თანალობასა, რამეთუ მან გარდამოიყვანა სახიფრთი იგი ზეცით ქუეყანად. (52) ნუ შეურაცხ-ჰყოფ სიწმიდესა, რამეთუ მის მიერმან ორლანომან წარმოუდგინა კაცთა ჩუენთჳს ჳონცჳსხმული იგი“ (A 60, 142r).

„კეფალიების“ რედაქციათა ურთიერთმიმართება

„კეფალიები“ მთლიანობაში 229 შეგონებისაგან შედგება, მათგან 1-138ა გნომი ტექსტის პირველ ნაწილს მოიცავს, ხოლო 138b-229 – მეორეს, როგორც ამას ნაშრომის გაყოფილი ვერსია გვიჩვენებს. შეერთებული ვერსიის 138-ე შეგონება „შეგონებითი თავების“ ბოლო და „სენტენციების“ პირველი შეგონებების სინთეზია.¹ მოვიხილოთ აღნიშნულ გამონათქვამს:

138. «(a) Αὐτὸς ἀρετῆν ἐν τοῖς ἀγαθοῖς ἔργοις ποιεῖν· (b) Ὁδὸς γὰρ εἰς ἀρετὴν ἢ τὸν βίον φυγὴ ἀγαθῆ τε καὶ σὺντομοῦ» (Orellius 1819: 336): „(ა) მარადის მოსწრაფე იყავ წარმართებად კეთილთა საქმეთა“ (ჭყონია 1963: 116); (ბ) „[რამეთუ]² გზა სათნოებათა მიმართ კეთილ და მოკლე არს — ლტოლვად საწუთოდსა ცხოვრებისაგან“ (A 60, 141r).

PG-ში „შეგონებითი თავების“ უკანასკნელი გნომის მეორე ნახევარი მოკლეა: «Ὁδὸς γὰρ εἰς ἀρετὴν ἢ τὸν βίον φυγὴ» (PG 79, col. 1261 C 11): რადგან გზა სათნოებისაგან — ცხოვრებისგან გაქცევა.³ „სენტენციებში“ იმავე ფრაზას დამატებული აქვს «ἀγαθῆ τε καὶ σὺντομοῦ», რაც ერთიანად ამგვარად იკითხება «Ὁδὸς εἰς ἀρετὴν, ἢ τὸν βίον φυγὴ, ἀγαθῆ τε καὶ σὺντομοῦ» (PG 79, col. 1240 C 1-2): „გზა სათნოებათა მიმართ კეთილ და მოკლე არს — ლტოლვად საწუთოდსა ცხოვრებისაგან“ (A 60, 141r). აქ თვალში საცემია, რომ „სენტენციების“ პირველ შეგონებას **γὰρ** (რადგან) ვაგვიჩვენებს აკლია, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან სხვა სენტენციას აღარ ებმის. თუმცა სავარაუდოა, რომ ეს ორი გნომი ერთ მთლიანობას წარმოადგენდა, ხოლო ტექსტის ორ ნაწილად გაყოფამ მათი განცალკევება გამოიწვია.

„კეფალიები“ (შეერთებული ვერსია) 4 ნეტარებით სრულდება (Orellius 1819: 348), „სენტენციები“ კი — 10-ით.⁴ შეერთებულ რედაქციას „სენტენციებთან“ შედარებით, ბოლო რვა (91-98) ნეტარება აკლია და მხოლოდ სამ მათგანს თანხვდება (226-228 = 88-90), ხოლო „კეფალიების“ უკანასკნელი შეგონება (229-ე) არც „სენტენციებში“ და არც მის ქართულ თარგმანში არ დასტურდება. ეს სენტენციაა:

«(229) Μακάριος ὁ ἀγρυπνῶν ἐν προσευχαῖς καὶ ἀναγνώσει καὶ τῶ ἔργῳ τῶ ἀγαθῷ· φωνισθήσεται γὰρ ὁ τοιοῦτος τὸν μὴ ὑπνοῦν εἰς θάνατον» (Duc 1624: 1178; Orellius 1819: 348): ნეტარია მღვიძარე ლოცვაში, კითხვასა და კეთილ საქმეებში,

1 დუცის გამოცემაში 139-ე სენტენციაა (Duc 1624: 1174).

2 „რამეთუ“, გერძულის შესაბამისად (γὰρ), ჩამატებულია ჩვენ მიერ და ვსვამთ ვაგვებში.

3 თარგმანი ჩვენია.

4 ნეტარებებში, აგრეთვე, გვხვდება ფსევდონილოს სინელის (ევანგელე პონტოელი) ცნობილ ნაშრომში „ლოცვის შესახებ“ (De oratione: CPG 2452). ნაშრომი 153 შეგონებისგან შედგება, მათგან 118-123 სენტენცია 6 ნეტარებას ეთმობა (SC 589: 336-340; PG 79, col. 1193).

რადგან განათლება, რათა არ დაიძინოს სიკვდილში.¹

ამასთან, საინტერესოა, რომ ის რვა ნეტარება, რომლებიც შეერთებულ ვერსიას აკლია, PG-ში „შეგონებითი თავების“ შემდეგ ცალკე დამატებადაც არის გამოქვეყნებული (PG 79, col. 1261 D – 1264 A). ეს ნაწილი აღებულია სუარესის გამოცემიდან (Suaresius 1673: 625)² და „სენტენციების“ 91-98 შეგონებისგან ვარიანტულად განსხვავდება.

გამორჩეულად საინტერესოა „კეფალიების“ 1-24 შეგონება (Orellius 1819: 320-322), რომელსაც „ალფაბეტური სენტენციები“ ეწოდება, რადგან ყოველი მომდევნო გნომის პირველი ასო ბერძნული ანბანის თანმიმდევრობას აგრძელებს ალფადან ომეგამდე. აღნიშნული შეგონებებით იწყება PG-ში გამოქვეყნებული „შეგონებითი თავები“ (PG 79, col. 1249 C – 1252 B 3), რომელიც, როგორც ითქვა, დუცისეული შეერთებული ვერსიიდანაა აღებული. თუმცა მრავალ ბერძნულ ნუსხაში „ალფაბეტური სენტენციები“ ცალკეა გამოყოფილი და „შეგონებითი თავების“ შემადგელობაში არ შედის. ამასთან, ორ ბერძნულ ხელნაწერში – Protaton 26 (Athus 26, X-XI ს., 106v-107r) და Lavra Γ 93 (Athus 333, XI ს., 303r) – 24 „ალფაბეტური სენტენცია“ ევაგრე პონტოელის სახელით გამოვლინდა (Elter 1892: LII; SC 170: 172, 181) და ამჟამად მის ავთენტურ ნაშრომად მიიჩნევა (Capita Paraenetica: CPG 2443). აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით გამოთქმულია აზრი, რომ „შეგონებითი თავებისა“ და „სენტენციების“ რეალური ავტორი ევაგრე მონაზონი უნდა იყოს (Guérard 1981: 352; Miltenova 2011: 129-130).

ამდენად, ძნელია დაზუსტებით თქმა, თუ ორიგინალში „კეფალიები“ როგორი სახით არსებობდა ან რამდენ შეგონებას შეიცავდა, მით უმეტეს მაშინ, როცა მისი კრიტიკული გამოცემა ჯერ არ განხორციელებულა. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ტექსტი ერთ მთლიანობას წარმოადგენდა და მოგვიანებით რამდენიმე ნაწილად დაიყო. ამ ეტაპზე ტექსტის ოთხი განცალკევებული მონაკვეთი ჩანს:

(ა) 24 „ალფაბეტური სენტენცია“ (Capita Paraenetica; Γνῶμαι ἀλφάβητος; CPG 2443; PG 79, col. 1249 C – 1252 B 3).

(ბ) „შეგონებითი თავები“ (Capita Paraenetica; Κεφάλαια ἢ παραίσεις; „ღნომნი სწავლითნი“: CPG 6583a; PG 79, col. 1252 B 4 – 1261 C).

(გ) „სენტენციები“ (Sententiae abducentes; Γνῶμαι ἀπάγουσαι; „ღნომნი განმაყენებელნი“: CPG 6583b; PG 79, col. 1240 C – 1249 B).

(დ) „რვა ნეტარება“ (Octo sententiae: PG 79, col. 1261 D – 1264 A).

1 თარგმანი ჩვენია.

2 იხ. მითითება: «Sequentes octo sententias edidit Suarezius in Dissert. de opp. Nili, p. 625» (PG 79, col. 1261-1262).

„კეფალიების“ ავტორობის საკითხი

ევაგრე პონტოელის შრომათა უმრავლესობა გნომური სტილითაა დაწერილი, რაც ერთგვარი მიბაძვაა მეფე სოლომონის წიგნებისა („იგავნი სოლომონისნი“ და „ეკლესიასტი“). მოკლე თავებისა და შეგონებებისგან შედგება ევაგრეს ისეთი ნაშრომები, როგორებიცაა: „რეფლექსიები“ (Skemmata, Capita cognoscitiva: CPG 2433; Muyl-dermans 1931: 38-44 [374-380]); „მონაზონთა მიმართ“ (Ad monachos: CPG 2435; Gressmann 1913: 152-165);¹ „ქალწულთა მიმართ“ (Ad virginem: CPG 2436; Gressmann 1913: 146-151);² „თავები ლოცვის შესახებ“ (De oratione: CPG 2452); „შეგონება მონაზვნებს“ (Institutio ad monachos: CPG 2454; Suaresius 1673: 553-556; PG 79, col. 1235-1240) და სხვა, თუმცა ზოგიერთ მათგანს უშუალოდ სენტენციები (გნომები) ეწოდება. ასეთებია:

„სულიერი სენტენციები ალფავიტის მიხედვით“ (Spirituales sententiae per alphabeticum dispositae: CPG 2444) – სულ 25 შეგონება (ნილოსის სახელით – Suaresius 1673: 548-551; ევაგრეს ავტორობით – PG 40, col. 1268 C 1 – 1269 B 12).

„სხვა სენტენციები“ (Aliae sententiae: CPG 2445) – სულ 26 შეგონება (ნილოსის სახელით – Suaresius 1673: 552-553; ევაგრეს ავტორობით – PG 40, col. 1269 B 13 – D 11).

ევაგრე პონტოელის ზემოდასახელებული მოკლე გამონათქვამები ანუ გნომები გავრცელებულია როგორც თავად ევაგრეს, აგრეთვე, ნილოს სინელის ავტორობით. მაგ. ათონის წმ. პანტელეიმონის მონასტრის ბერძნული ხელნაწერი Panteleimon 635 (Athous 6142, XVII ს.) ორი ნაწილისაგან შედგება. მის პირველ ნაწილში ევაგრეს შრომები ნილოსის სახელითაა, ხოლო მეორე ნაწილში – თავად ევაგრესი (Lambros 1900: 407). ხელნაწერი იწყება ფსევდონილოსის (ევაგრე პონტოელი) ტრაქტატით „ლოცვის შესახებ“ (De oratione: CPG 2452), რომელსაც მოსდევს ჩვენთვის საინტერესო გნომები ორ ნაწილად („შეგონებითი თავები“ და „სენტენციები“). ძველ ქართულ ხელნაწერშიც – A 60 (XIII ს.) – მსგავსი ვითარებაა, მასში ჯერ ფსევდონილოსის „ლოცვისათვის“ (130v-138r) არის შეტანილი, შემდეგ მისივე – „ღნომნი სწავლითნი“ (138r-141r) და „ღნომნი განმაცენებელნი“ (141r-142v). დასახელებულ ბერძნულ და ქართულ ნუსხებში „შეგონებით თავებს“ აკლია „ალფაბეტური სენტენციები“, თუმცა ბერძნულ ნუსხაში იგი ერთი ნაშრომის (De octo spiritibus malitiae: CPG 2451) შემდეგ დამოუკიდებელ ნაწარმოებად გვხვდება ნილოსისვე ავტორობით (მე-5 ტექსტი), რომელსაც მოსდევს ზემოაღნიშნული გნომური ტექსტები: „სულიერი სენტენციები“ და „სხვა სენტენციები“. აქ

1 ლათინური თარგმანისთვის იხ.: PG 40, col. 1277 C-1282; PL 20, col. 1181-1186.

2 ლათინური თარგმანისთვის იხ.: PG 40, col. 1283-1286 A; PL 20, 1185-1188.

მნიშვნელოვანია, რომ ეს სამი გნომური ნაწარმოები¹ ევაგრეს ავტორობითაა შეტანილი ორ ათონურ ხელნაწერში – Protaton 26 და Lavra Γ 93 (SC 170: 172, 181).

აღნიშნული მაგალითი იმ მეცნიერთა მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს, რომელნიც „კეფალიების“ ავტორად ევაგრე პონტოელს მიიჩნევენ. მართალია, ბერძნულად სრული ტექსტი მხოლოდ ნილოსის სახელითაა ცნობილი, მაგრამ ხელნაწერებში მისი ძირითადი ორი ნაწილი ფსევდონილოსის იმ შრომათა შორის გვხვდება, რომლებიც სინამდვილეში ევაგრეს ეკუთვნის.

ნაშრომის ევაგრესთვის მისაკუთვნილებლად, ექვთიმე ათონელისეული თარგმანების საფუძველზე, დამატებით კიდევ რამდენიმე არგუმენტს მოვიტანთ:

(ა) ექვთიმე მთაწმიდელს „შეგონებითი თავები“ გამოკრებით თარგმნილი აქვს წმ. მაქსიმე აღმსარებლის სახელით, როგორც „სწავლანი სულიერნი“ (ტყეშელაშვილი 2022: 198–219). ექვთიმეს ბერძნული ტექსტი რომ ნილოსის ანდა ევსუქის სახელით ჰქონოდა, მაშინ მისი მაქსიმესთვის მიწერის აუცილებლობა არც იქნებოდა.

(ბ) ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი და შედგენილია ევაგრეს შრომათა კომპენდიუმი, რომელსაც „სწავლანი ლოცვისათვის“ ეწოდება და წმ. ბასილი დიდს მიეწერება. ამ ტექსტის 126 შეგონებიდან 123 ევაგრეს რვა ნაშრომიდან არის გამოკრებილი, რომელთა შორისაცაა „შეგონებითი თავების“ სამი სენტენცია: პირველი [25–ე], მე–2 [26–ე] და მე–7 [31–ე] (ტყეშელაშვილი 2022: 196–198).² აღნიშნული გნომები ფსევდონილოსის „სწავლანის“ 45–ე შეგონებას წარმოადგენს. მათი არსებობა ევაგრეს შრომათა შორის, ვფიქრობთ, „შეგონებითი თავების“ ავტორობის საკითხს ააშკარავებს.

(გ) ევაგრეს შრომათა უძველესი კრებულის შემცველი ბერძნული (ათონური) ხელნაწერები Protaton 26 და Lavra Γ 93 X-XI საუკუნეებით თარიღდება, მათში „კეფალიებიდან“ მხოლოდ „ალფაბეტური სენტენციები“ (24 გნომი) გვხვდება.³ ექვთიმე ათონელისთვის აღნიშნულ ნუსხათა მსგავსი ბერძნული კრებული უნდა ყოფილიყო ცნობილი, რომელშიც ევაგრეს შრომათა შორის „შეგონებითი თავებიც“ იყო შეტანილი, თუმცა ექვთიმემ მისგან გამოკრებილი სენტენციები ავტორიტეტული მოძღვრების სახელით თარგმნა.

აღნიშნულის გარდა, გვინდა შევხებოთ ტექსტის შინაარსობრივ მხარესაც. „შეგონებით თავებში“ გვხვდება სენტენცია დემონური ზრახვების წინააღმდეგ სიტყვისმგებლობის შესახებ: **„ჰბრძოდე ბოროტთა გულისსიტყუათა და იტყოდე მათდა მიმართ რაოდენი შჯულსა შინა თქუმულ არს“** (ჭყონია 1963: 114, N90).⁴ წმინდა წერილზე

1 იგილისხმება: „ალფაბეტური სენტენციები“ (Capita Paraenetica: CPG 2443), „სულიერი სენტენციები“ (Spirituales sententiae: CPG 2444) და „სხვა სენტენციები“ (Aliae sententiae: CPG 2445).

2 დასახელებული სენტენციები ფსევდონილოსის „სწავლანშიც“ არის შეტანილი, თუმცა განსხვავებული თარგმანით (ტყეშელაშვილი 2022: 201–202).

3 „ალფაბეტური სენტენციების“ თარგმანი ძველ ქართულ მწერლობაში არ ჩანს.

4 შლრ. «Μάχου τοῖς πονηροῖς λογισμοῖς, καὶ λέγε πρὸς αὐτοὺς ὅσα τῶ νόμῳ λαλεῖται» (PG 79,

დაყრდნობით უკეთური ამრების წინააღმდეგ შეპაექრების შესახებ სწავლება უშუალოდ ევაგრესგან მომდინარეობს. მან ამისთვის სპეციალური ნაშრომიც კი შექმნა, რომელსაც „ანტირეტეკოსი“ (Antirrheticus: CPG 2434) ანუ „მოპაექრე“ ეწოდება. მის შესახებ გენადი მარსელელი (+ 496) აღნიშნავს: „იგი (ევაგრე) იყო პირველთაგანი, ვინც რვა მთავარ ვნებასთან ბრძოლას უფლის მაგალითის მიბაძვით, წმინდა წერილიდან მოხმობილი დამოწმებებით ასწავლიდა, რომელიც (ქრისტე) საცდურებს ყოველთვის [წმინდა] წერილის ციტატებით ხვდებოდა“ (Gennadius von Marseille 1898: 25).¹ ვფიქრობთ, დამოწმებული სენტენციის დედააზრი ზედმიწევნით თანხვედრა ევაგრე პონტოელის ასკეტურ სწავლებას.

„კეფალიები“ ძველ ქართულ მწერლობაში

წინათონურ პერიოდში „კეფალიების“ ორივე ნაწილი გამოკრებით ჩანს თარგმნილი. თუკი ეფრემ მცირისეულ თარგმანში ნაშრომი ნილოს სინელს მიეკუთვნება, წინათონურ ვერსიაში იგი ნეტარი ევსუქის (იერუსალიმელი ხუცესი) სახელით დასტურდება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბერძნულ და სლავურ ტრადიციაშიც მსგავსი ვითარებაა და დასახელებული ტექსტი ორივე საეკლესიო მწერალს მიეწერება. ამკარაა, რომ წინათონური პერიოდის ანონიმი მთარგმნელი ბერძნულ ხელნაწერულ ტრადიციას მისდევს.

ქართული თარგმანების საფუძველზე შედგენილ აპოფთეგმურ კრებულში „გამოკრებულნი სადაფთვე სიტყუანი წმიდათა მამათანი“, რომელიც ერთადერთი ათონური ხელნაწერით – Ivir. georg. 17 (XI ს., 261r-348v) – არის ცნობილი (ჩიტუნაშვილი 2011: 255-342), ევსუქის სახელით შეტანილი ერთი გამონათქვამი „შეგონებითი თავების“ (Capita Paraenetica) 29-ე [53-ე] შეგონებას წარმოადგენს: „რომელი-იგი სცოდე, სულთქუმით ყოველსა ჟამსა მოივსენე, რაფთა ამისგან იქმნის სულისა დიდი სინანული“ (ჩიტუნაშვილი 2011: 288).²

აღნიშნული პატერიკი, ძირითადად, წინათონური პერიოდის თარგმანების საფუძველზე არის შედგენილი, ნაწილობრივ კი შევსებულია ექვთიმე ათონელისეული თარგმანების ფრაგმენტებით (ჩიტუნაშვილი 2005: 154-160; ჩიტუნაშვილი 2011: 255-

col. 1260 B 15 – C 1).

1 შღრ. «quas aut primus advertit aut inter primos didicit, octo ex Sanctarum tentum Scripturarum testimoniis opposuit libros, ad similitudinem videlicet Domini, qui temptatori suo semper Scripturarum testimoniis obviavit» (PL 58, col. 1066).

2 შღრ. Ὅσα ἐξήμαρτες, πάντα μετὰ στεναγμῶν μέμνησο· γίνεται γὰρ ἐντεῆθεν τῆ ψυχῆ δολιχῆς κατὰσჯς (PG 79, col. 1253 B 6-7). ეფრემისეული თარგმანი: (29) „რაოდენი რაჲ სცოდე, ყოველსავე სულთქუმით ივსენებდ; რამეთუ ამიერ შეექმნების სულსა სამარადისოჲ ღმობიერებაჲ“ (ჯყონია 1963: 110).

264). ამ ორიგინალურ კრებულში „შეგონებითი თავების“ თუნდაც ერთი სენტენციის არსებობა უკვე იმაზე მეტყველებს, რომ წინათონურ პერიოდში დასახელებული შრომა გამოკრებით მაინც უნდა ყოფილიყო თარგმნილი. სამწუხაროდ, ტექსტის ის ვერსია, რომელსაც კრებულის ავტორი იყენებს, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია.

რაც შეეხება „სენტენციებს“, იგი გამოკრებით შეტანილია ანბანურ-ანონიმური პატერიკის წინათონურ თარგმანში, რომელიც, ასევე, ევსუქის მიეწერება (დვალი 1974: 285-286).¹ ნაშრომის 98 გნომიდან ქართულად თარგმნილია 26 სენტენცია:² 49 (50), 58-59 (60-61), 68 (70), 78-83 (80-85), 85-98 (87-100), 28-29 (29-30). როგორც ვხედავთ, ქართულ თარგმანში ბერძნულის 28-ე და 29-ე (29-30) შეგონება ტექსტის ბოლოშია გადატანილი. სენტენციათა თანმიმდევრობა, აგრეთვე, დარღვეულია ტექსტის დასასრულს, სადაც ბერძნულის 94-ე (96) შეგონება 96-ის (98) შემდეგ გვხვდება.

„სენტენციების“ წინათონურ თარგმანში ერთი საინტერესო შემთხვევაა გამოვლინდა. ზემოთ აღვნიშნავდით, რომ „კეფალიების“ შეერთებულ ვერსიას ბოლო რვა ნეტარება აკლდა და რომ ეს შეგონებები დამოუკიდებელი სახითაც არსებობდა (Suaresius 1673: 625; PG 79, col. 1261 D – 1264 A). ეს ნეტარებები „სენტენციების“ იმავე შეგონებებისგან ვარიანტულად განსხვავდება. ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ უკანასკნელი შეგონების ფარგლებში ქართული ტექსტი „რვა ნეტარების“ დამოუკიდებელ რედაქციას უფრო ენათესავება. „სენტენციების“ 98-ე (100) შეგონებაა: «(Λη´) Κεφάλαιον μὲν τοῦ λόγου· ψυχῆ μὴ ἀμέλαι, μέλλεις γὰρ τὸν ζυγὸν μετὰ μικρὸν μετέρχεσθαι τοῦ φοβερῶν κριτηρίου Χριστοῦ τοῦ Θεοῦ ἡμῶν» (PG 79, col. 1249 B 3-5). ნეტარებების მე-8 სენტენცია კი ამგვარად იკითხება: «Κεφάλαιον δὲ ἐπὶ τοῖς εἰρημένοις. ψυχῆ μὴ ἀμέλαι· μέλλεις γὰρ τὸν ζυγὸν μετὰ μικρὸν ὑπέρχεσθαι τοῦ φοβερῶν κριτηρίου Χριστοῦ τοῦ Θεοῦ ἡμῶν· ὡς οὐκ οἶδας γὰρ ὁ θάνατος ἔρχεται» (PG 79, col. 1264 A 5-6).

როგორც ვხედავთ, „რვა ნეტარების“ ბოლო სენტენციას დამატებული აქვს კიდევ ერთი ფრაზა: «ὡς οὐκ οἶδας γὰρ ὁ θάνατος ἔρχεται» (რადგან როდესაც არ ელი, სიკვდილი მოვა). აღნიშნული შეგონების ფარგლებში წინათონური ვერსია შემოკლებულია, თუმცა ბოლო ფრაზით სწორედ მე-8 ნეტარების ვარიანტს მისდევს: „სული ნუმცა უდებ არს, რამეთუ რომელსა ჟამსა არა ჰგონებდეს, სიკვდილი მომავალ არს“ (დვალი 1974: 286,27-28).

ამდენად, ფსევდოევსუქის ქართული ტექსტი თავისუფალ და გამოკრებილ თარგმანს წარმოადგენს. ამასთან, ის ნაშრომის უცნობი ვერსიიდან ჩანს გადმოღებული.

1 ფსევდოევსუქის „სენტენციები“ მხოლოდ ორ ხელნაწერში ფიქსირდება: O/Sin. georg. 35 (907 წ., 312v-313v); O/Sin. georg. 8, (XI ს., 139v-141r). პატერიკის შემცველ კიდევ ერთ ნუსხაში – Ivir. georg. 12 (XI ს.) – იგი არაა შეტანილი.

2 შეგონებათა ნუმერაცია მოგვაქვს PG-ს მიხედვით, ხოლო ფრჩხილებში – მისი გასწორებული ვარიანტი.

წარმოდგენის შესაქმნელად, ქვემოთ „სენტენციების“ წინაათონურ თარგმანს (დვალი 1974: 285–286), ბერძნული ორიგინალისა და ეფრემ მცირის თარგმანთან ერთად, პარალელურ სვეტებად მოვიტანთ:

<p>ნეტარისა ვესუქისი</p> <p>(წინაათონური თარგმანი)</p>	<p>Γνωμαι ἀπάγουσαι...</p> <p>(PG 79, col. 1240 C – 1250 B)</p>	<p>მისივე (ნილოზის)</p> <p>(წმ. ეფრემის თარგმანი)</p>
<p>თქუა ნეტარმან ვესუქი:</p> <p>(50) უკუეთუ სასუმელი წყალი გრილი განამართლებს მოწყალეთა მათ, რავდენ უფროდისა მოსაგებელისა არიან ღირსნი, რომელთა-იგი ყოველი მონაგები განაზნის გლახაკათუის?</p>	<p>μθ'. Εἰ ποτήριον ψυχῶν δικαιοῖ τὸν οἰκτίριον, πόση τις ἀμοιβή τὸν πάντα σκορπίζοντα τοῖς πτωχοῖς διαδέχεται;</p>	<p>49. უკუეთუ სასუმელი გრილისა წყლისაჲ განამართლებს მოწყალესა, რაზამი მისაგებელი მიელის მას, რომელმან ყოველივე განაზნის გლახაკათა ზედა?</p>
<p>მერმე თქუა:</p> <p>(60) საზანელ კეთილ არს სულისა ლოცვასა შინა ცრემლი. არამედ ლოცვისა შემდგომად მოიკსნენ, რომლისა მადლისათუის სცრემლოოდე.</p>	<p>νθ'. Λουτήρ ἀγαθὸς ἢ ψυχῆ τὸ τῆς προσευχῆς δάκρυον, ἀλλὰ μετὰ τῆν προσευχῆν μέμνησθαι τίνος χάρις ἐδάκρυσα.</p>	<p>59. საზანელ კეთილ სულისა არს ცრემლი ლოცვისაჲ, ხოლო შემდგომად ლოცვისა იკსნებდ, თუ რაჲსათვის სცრემლოოდე.</p>
<p>(61) მძლავრთა ცხორებასა ნუ ჰნატრი, რამეთუ ძლიერნი ძლიერად განიკითხნენ, ვინადგა-იგი მსაჯულისა მის სასტიკისა მოიყვანნეს.</p>	<p>νθ'. Τοὺς δυνατοὺς τὸν βίον μὴ μαχάριζε, δυνατοὶ γὰρ δυνατῶς ἐτασθήσονται, ὅθεν αὐτοὶ τὸν κριτῆν αὐστηρότερον ἕξουσιν.</p>	<p>60. ძლიერთა ამის სოფლისათა ნუ ჰნატრი, რამეთუ „ძლიერნი ძლიერად განიკითხნენ“ (სიბრძ. 6.7), ვინადგა მათ უფიციხესი მსაჯული აქუნდეს.</p>
<p>მერმე თქუა:</p> <p>(70) რომელმან არა მოიძულოს შეცოდებაჲ იგი, დაღაცათუ მან არა ცოდოს, არამედ ისაჯოს-ვე.</p>	<p>ξθ'. Ὅς οὐ μισεῖ τὴν ἀμαρτίαν, ἐν ἀμαρτωλοῖς, εἰ καὶ μὴ πράττει τὴν ἀμαρτίαν, κρίνεται.</p>	<p>69. რომელსა არა სმაგდეს ცოდვაჲ, დაღათუ არა იქმოდის ცოდვასა მას, ცოდვილთავე თანა დაისაჯების.</p>
<p>(80) ვაჲ უღმრთოთა, რამეთუ რაჟამს ყოველნი განათლდენ, მაშინ ივინი დაზნელდენ.</p>	<p>οθ'. Οὐαὶ τῷ ἀσεβῆϊ, ὅτι, ὅταν πάντες φωτισθῶνται, τότε ἐκεῖνος σκοτιζέται.</p>	<p>79. ვაჲ უღმრთოსა, რამეთუ რაჟამს ყოველნი განათლდებოდინ, იგი დაზნელდების.</p>

(81) ვად მგმობელთა, რამეთუ შეიკრას ენად მათი და ვერ სიტყუისმიმგებელ იყუნენ მსაჯულისა მის.	οθ'. Οὐαὶ τῷ βλασφῆμῳ, δεσμεῖται γὰρ τὴν γλῶτταν, καὶ πῶς ἀπολογεῖσθαι πρὸς τὸν Κριτὴν οὐ δύναται.	80. ვად მგმობარსა, რამეთუ შეიკრავს ენად და ვერ მალუჯ, თუ ვითარ სიტყუა-უგოს მსაჯულსა.
(82) ვად უსჯულოსა, მსაჯულისა მისგან, სასტიკისა და მართლისა, მი-რაფ-ვი-დოდინ სჯულისმდებელისა მათისა.	π'. Οὐαὶ τῷ ἀνόμῳ, πρὸς Κριτὴν γὰρ ἀσθηρὸν τε καὶ δίκαιον τὸν νομοθέτην ἀπέρχεται.	81. ვად უშჯულოსა, რამეთუ წარვალს მსაჯულისა ფიცხელისა და მართლისა სჯულისმდებელისა.
(83) ვად ანგაჰრთა, რამეთუ სიმდიდრე მათგან ივლტოდის და ცეცხლი მათ მიეგებვოდის.	πα'. Οὐαὶ τῷ πλεονέκτῃ, ὁ πλοῦτος αὐτὸν φεύγει, καὶ τὸ πῦρ ὑποδέχεται.	82. ვად ანგაჰრსა, რამეთუ სიმდიდრე მისი ივლტოდის და ცეცხლმან მიითუალოს იგი.
(84) ვად უდებთა, რამეთუ ეძიებდენ იგინი ჟამსა მას მათსა, რომელი-იგი ზოროტად წარწყმიდეს, და არა პოვონ.	πβ'. Οὐαὶ τῷ ῥαθῦμῳ, ζητήσῃ τὸν καιρὸν, ὃν κακῶς ἔδραπνήσεν.	83. ვად უდებსა, რამეთუ ეძიებდეს ჟამსა, რომელი-იგი მან ზოროტად განლია.
(85) ვად ამპარტავანთა, რაჟამს შევიდენ იგინი საფლავად და არა იყოს მათდა სინანული.	πγ'. Οὐαὶ τῷ ἀλαζόνι, ὅταν εἰσέλθῃ τὸν τάφον, τίς ὑπάρχει δὲ δάσκαται.	84. ვად ამპარტავანსა, რამეთუ შე-რაფ-ვი-დოდეს საფლავად, მამინ ისწავოს, თუ ვინ იყო.
(87) ვად მაგინებელთა და მათ თანა მომთრვალეთა, რამეთუ კაცისმკლველთა თანა შეირაცხნენ და მომრუშეთა თანა ისაჯნენ.	πε'. Οὐαὶ τῷ λοιδορῷ, καὶ σὺν αὐτῷ τῷ μεθύσῳ, ὅτι μετὰ φονευτῶν τάττονται, καὶ μετὰ μοιχῶν κολάζονται.	86. ვად მაგინებელსა და მის თანავე მომთრვალესა, რამეთუ მემრუშეთა თანა დაიწესებთან და კაცის-მკლველთა თანა იტანჯე-ბიან.
(88) ვად, რომელნი იშუებდენ მცირედთა ამთ ჟამთა, რამეთუ ვითარცა ზუარაკნი ჭამებულნი განმზადებულ არიან კლვად.	πζ'. Οὐαὶ τῷ τρυφῶντι χρῶνον ὀλίγον, ὡς μὸς χοῦς εἰς σφαγὴν ἐτοιμασθεὶς, στενύεται.	87. ვად წუთ-ჟამ შუჭ-ბულსა, რამეთუ ვითარცა ზუარაკი დასაკლავად განმზადებული განსუქნების.
(89) ვად ორგულთა, რამეთუ მწყემსმან მან მათმან უვარყუნეს იგინი და მკეცი იგი მოსაჯული მათი გამოუჩნდეს მათ.	πζ'. Οὐαὶ τῷ ὑποκριτῇ, ὁ ποιμὴν αὐτὸν ἀρνεῖται, καὶ λύκον ὁ Κριτὴς ἀποφαίνεται.	88. ვად ორგულსა, რამეთუ მწყემსი მას უარ-ჰყოფს და ვითარცა მგელსა სდევნის სამწყსოთ.
(90) ნეტარ იყუნენ, რომელნი იწროსა მას გზასა მოგზაურ იქმნენ, რამეთუ გულირგუნოსანნი შევიდენ სასუფეველსა ცათასა.	πη'. Μακάριος ὁ στενὴν ὁδὸν ὁδοῦν, στεφανηφομίον γὰρ τὸν οὐρανὸν εἰσέρχεται.	89. ნეტარ არს, რომელი ვიდოდის გზასა იწროსა, რამეთუ გვრგუნემოსილი ზეცას აღვალს.
(91) ნეტარ იყუნენ, რომელთა დათრგუნონ გულისთქუმად, რამეთუ ძრწოდინ მისგან ეშმაკნი.	πθ'. Μακάριος ὁ τὰς ἡδονὰς πατῶν, τρέμουσι γὰρ πρὸς αὐτὸν οἱ δαίμονες.	90. ნეტარ არს დამ-თრგუნველი გულისთქუმ-თა, რამეთუ ძრწოთგანვე ძრწიან მისგან ეშმაკნი.

ფსევდონილოს სინელის ... „სენტენციების“ (Sententiae) ძველი ქაზოული თარგმანი

<p>(92) ნეტარ იყუნენ, რომელნი სათნოებითა იყუნენ წმიდა და სულითა შეუორგულელებლითა, სჯასა მას სოფლისასა იგინი არა ისაჯუნენ.</p>	<p>ζ'. Μακάριος ὁ τὴν ἀρετὴν καθαρὸς καὶ τὴν ψυχὴν ἀνυπόκριτος· κρίνειν γὰρ μέλλει τὸν κόσμον, ἐνχὶ δὲ μετὰ τοῦ κόσμου κρίνεσθαι.</p>	<p>91. ნეტარ არს წმიდად სულითა და შეუორგულელებლითა გულითა, რამეთუ ეგულეების მას განკითხვად სოფლისა და არათუ დაშჯად სოფლისა თანა.</p>
<p>(93) ნეტარ იყუნენ, რომელთა ცხორებდა აქუნდეს მართალი და ზრახვად მდაბალი, რამეთუ იგინი ქრისტესა მიმსგავსებულ იყუნენ და მის თანა დასხდენ.</p>	<p>ζα'. Μακάριος ὁ τὸν βίον ἔχων ὑψηλόν, ταπεινὸν δὲ φρόνημα, Χριστὸν γὰρ μιμεῖται, καὶ αὐτῷ συγκαθέζεται.</p>	<p>92. ნეტარ არს მქონებელი მაღლისა ცხორებისა და მდაბლისა გონებისა, რამეთუ ქრისტესა მიმსგავსების და მის თანა მჯდომარე არს.</p>
<p>(94) ნეტარ იყუნენ, რომელთა სჯულიერებდა ენისა არა განიმორონ, რამეთუ კურთხევისა მათისაგან ღმერთი არა განემოროს.</p>	<p>ζβ'. Μακάριος, οὗ τῆς γλώττης ὁ νόμος οὐκ ἀφίσταται, τοῦτου γὰρ τῆς σκηνῆς ὁ Θεὸς οὐ χωρίζεται.</p>	<p>93. ნეტარ არს, რომლისა ენისაგან არაოდეს განემორა შჯული, რამეთუ ამისისა საყოფელისაგან ღმერთი არაოდეს განემორების.</p>
<p>(95) ნეტარ იყუნენ, რომელნი მრავალთა კეთილისყოფელ იყუნენ, რამეთუ მრავლად პოვონ მონაგები კეთილი.</p>	<p>ζγ'. Μακάριος ὁ πολλοὺς εἰς ποίων, πολλοὺς γὰρ εὐρήσει συνηγόρους κρινόμενος.</p>	<p>94. ნეტარ არს, რომელი მრავალთა კეთილისყოფელი იყოს, რამეთუ მრავალნიცა პოვნეს თანამოსაჯულნი, განიკითხოდის რა.</p>
<p>(97) ნეტარ იყუნენ, რომელთა საქმენი მათნი შეამკვნენ პირველ აგზებამდე ცეცხლისა, რომლითა ყოველი გამოცდად არს.</p>	<p>ζδ'. Μακάριος ὁ τὰς ἑαυτοῦ πράξεις κοσμών, πρὶν ὀφθῆναι τὸ πῦρ, ἢ πάντα δοκιμάζεται.</p>	<p>96. ნეტარ არს, რომელი შეამკობდეს თვსთა საქმეთა პირველ აგზებამდემდე ცეცხლისა, რომელსა შინა ყოველი გამოიცადების.</p>
<p>(98) ნეტარ იყუნენ, რომელნი ისწრაფდენ ცხორებისა მათისათვის მერმისა, რამეთუ აწინდელი ესე დაყროლდების ჳრწნილებითა და სიკუდილი მიიზიდავს მისა მიმართ.</p>	<p>ζε'. Μακάριος ὁ σπένδων πρὸς τὴν ζωὴν τὴν μέλλουσιν, τὰ παρόντα γὰρ ὄζει φθορᾶς, καὶ πρὸς θάνατον ἔλκεται.</p>	<p>97. ნეტარ არს, რომელი ისწრაფდეს ყოვადისა მის ცხორებისა მიმართ, რამეთუ აწინდელი ესე ყარს და ხრწნილებად და სიკუდილიად მიიზიდავს.</p>

<p>(96) ნეტარ იყუნენ, რომელთა არა შეაგინეს სათნოება მათი, რამეთუ დღესა მას სასჯელისასა არა ჰრცხუნოდის.</p>	<p>96. Μακάριος ὁ μὴ νοθεύων τὴν ἀρετὴν, τοῦ Κριτοῦ γὰρ τὸ πτύον οὐκ ἐμπαίζεται.</p>	<p>95. ნეტარ არს, რომელი არა საეჭუძელ ჰყოფდეს სათნოებასა, რამეთუ არა ემღერის ნიჩაბსა მსაჯულისასა.</p>
<p>(99) ნეტარ იყუნენ, რომელთა გააზნინონ ბოროტი, რომელი იგი აქუნდეს, და სიწმიდით წმიდასა მას სამშჯავროსა წარუდგენ თავსა მას სიტყვისასა.</p>	<p>99. Μακάριος ὁ τὰ φαῦλα σκορπίζων, ἃ συνήγαγε, καὶ καθαρὸς τῷ καθαρῷ Κριτῇ παριστάμενος.</p>	<p>98. ნეტარ არს, რომელმან გააზნინა ბოროტი, რომელ შეეკრიბნეს, და განწმედილი წარმოუდგეს წმიდასა მსაჯულსა.</p>
<p>(100) სული ნუმცა უღებ არს,</p>	<p>100. Κεφάλαιον μὲν τοῦ λόγου· ψυχὴ μὴ ἀμέλει, μέλεις γὰρ τὸν ζυγὸν μετὰ μικρὸν μετέρχεσθαι τοῦ φοβεροῦ κριτηρίου Χριστοῦ τοῦ Θεοῦ ἡμῶν.</p>	<p>ხოლო თავ სიტყვსა იტყვს ესე: სულო, ნუ უღებ ხარ, რამეთუ გეგულეზის შემდგომად მცირედისა შესლვად უღელსა სასწორისასა.</p>
<p>რამეთუ რომელსა ჟამსა არა ჰგონებდეს, სიკუდილი მომავალ არს.</p>	<p>[ὧς οὐκ οἶδας γὰρ ὁ θάνατος ἔρχεται].¹</p>	
<p>მერმე თქუა: (29) არცადა ქუეყანისა კეთილთა თუინიერად შრომისა მიემთხუევის, რავდენ უფროსს ზეცისასა მას ჯერ-არს ფრიადი მოღუაწეზად და შრომად და განზრახვად?</p>	<p>29. οὐδέ τὰ τῆς γῆς ἀγαθὰ χάρις κόπων ἀνύεται, ἀθότου τὰ οὐράνια, διὰ τὸν μόχθον, ἐκκλίνομεν;</p>	<p>29. არცადა ქუეყანისა კეთილნი თვნიერ შრომისა აღესრულებიან, უკუეთუ ზეცისათაგან მივდრკეთ შრომისათვს.</p>
<p>(30) რამეთუ შრომად იგი საწყეთრო არს, ხოლო სასყიდელი მისი საუკუნე არს.</p>	<p>30. Βούλει τὴν ἀρετὴν κόπου χάρις ἐργάζεσθαι, λογιζοῦ τὸν κόπον, ὅτι πρὸς καιρὸς, καὶ τὸν μισθὸν ὧς αἰώνιον.</p>	<p>30. გნებავს თუ თვნიერ შრომისა ქმნად სათნოებისად, გულისწმა-ყავ შრომათა წუთ-ჟამობად და მოსაგებელთა საუკუნეობად.</p>

¹ კავებში ჩასმული ფრაზა მოგვაქვს „რვა ნეტარების“ დამოუკიდებელი ვერსიიდან (PG 79, col. 1264 A 5-6).

„კეფალიების“ ეფრემ მცირისეული თარგმანი

„შეგონებითი თავები“ („ღნომნი სწავლითნი“) სულიერი ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო „სენტენციებს“ („ღნომნი განმაცენებელნი“) უფრო კონკრეტული მიზანი აქვს, კერძოდ — იმქვეყნიური ცხოვრების მარადიულობისა და უხარწნელების წარმოჩენა ამქვეყნიური ცხოვრების ამოებასა და განხრწნადობასთან შეპირისპირებით. ფსევდონილოსის გნომები, როგორც ითქვა, ორ ნაწილად ეფრემ მცირის მიერ ითარგმნა. პირველი მათგანი გამოცემულია თ. ჭყონიას მიერ, ხოლო მეორე ნაწილი წინამდებარე პუბლიკაციაში ქვეყნდება.

(ა) „ღნომნი სწავლითნი“ „კეფალიების“ 25-ე შეგონებით იწყება, მას 24 „აღფაბეტური სენტენცია“ აკლია. იგი ყველა ბერძნული გამოცემისგან განსხვავდება იმით, რომ დამატებული აქვს კიდევ ორი შეგონება (ჭყონია 1963: 105-106):

„განცხადებულისა ცხორებისა თანა დაფარულთაცა სათნოებათა მიერ განშუშნდი, რამეთუ სული არცა სათნოებისად, არცა სიბოროტისად დაიმაღვის“ (85).

„ნურარას ჰგონებ უდიდებულეს სიბრძნისმოყუარებისა, რამეთუ არს იგი დედა შჯულისა და თანამოსაყდრე ღმრთისა მეუფებისა“ (94).

თ. ჭყონიას მიერ ტექსტი ოთხი ხელნაწერის მიხედვით 115 შეგონებად არის გამოქვეყნებული. ამ ნუსხებში თითოეული სენტენცია საზედაო ასოთი იწყება. „კეფალიების“ 39-ე გნომი, რომელიც დუცისა და მინის გამოცემებში შეცდომით ორადაა გაყოფილი (39-ე და მე-40), თ. ჭყონიას პუბლიკაციაში სამართლიანად ერთ სენტენციად (მე-15) გვხვდება. ტექსტის გამოცემაში მხოლოდ ერთი შეცდომაა გაპარული, კერძოდ, 111-ე გნომად ორი სენტენციაა შეერთებული (ჭყონია 1963: 116). ისინი ნუსხებში ცალ-ცალკეა, რაზეც თითოეულის დასაწყისის საზედაო ასო მიანიშნებს:

„ებაძვე განკრძალულსა ცხორებასა, რათა კადნიერებად გაქუნდეს მოქცევად მცოდველთა“ (111).

„ნუვის ჰრისხავ ცუდად, რათა არა დაისჯო ვითარცა მაღალცნობად“ (112).

აღნიშნული სენტენციები ცალ-ცალკეა ტექსტის ყველა ბერძნულ გამოცემაში (Duc 1624: 1173, N134-135; Orellius 1819: 336, N133-134). შესაბამისად, „ღნომნი სწავლითნი“ არა 115, არამედ 116 გნომისაგან შედგება.

(ბ) „ღნომნი განმაცენებელნი“, ბერძნული „სენტენციების“ მსგავსად, ასეულს წარმოადგენს, თუმცა სენტენციათა საზედაო ასოთა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 99 შეგონება გამოვა. საქმე ისაა, რომ ქართულში 98-ე სენტენციად გაერთიანებულია ბერძნულის 97-ე (99-ე) და 98-ე (მე-100) გნომები, ბოლოს კი დამატებული აქვს ბერძნულისთვის სრულიად უცნობი შეგონება.

გარდა იმისა, რომ ქართულში შეერთებულია ორი სენტენცია, მას ბერძნულის ბოლო ფრაზაც აკლია: «τὸν φοιτῆρῖν κριτηρίῳ Χριστοῦ τὸν Θεοῦ ἡμῶν» (PG 79, col.

1249 B 5): „ჩვენი ღმერთის, ქრისტეს საშინელ სამსჯავროზე“. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ეფრემისეული თარგმანის დედნის განსხვავებული რედაქციაა, რომელიც ჩვენთვის უცნობია. ზემოთ გამოჩნდა, რომ ამ შეგონების დამასრულებელი ფრაზა „სენტენციების“ წინათონურ თარგმანსაც აკლია.

როგორც უკვე ითქვა, სუარესისა და მინის გამოცემებში (PG) „სენტენციების“ მე-8 და 51-ე შეგონება ორი-ორი გნომისაგან შედგება, მაშინ როდესაც ისინი ცალ-ცალკეა „კეფალიების“ შეერთებულ ვერსიაში. შესაბამისად, აღმოჩნდა, რომ „სენტენციები“ საერთო ჯამში არა 98, არამედ 100 შეგონებას შეიცავს.¹ ქართულ თარგმანში აღნიშნული გნომები სამართლიანად გაყოფილია, თუმცა მასში სენტენციების შეერთება, 98-ე შეგონების გარდა, კიდევ ერთ შემთხვევაში განმეორდა, კერძოდ — ქართულის 34-ე გნომს ბერძნულის ამავე სენტენციის (მინისთან 33-ე) მეორე ნახევარი აკლია, მის ნაცვლად კი პირდაპირ მომდევნო შეგონება მოსდევს:

„(34) უგულებელს-ყვეს სხუანი, რაოდენნი პირუტყულ ჰყოფენ კაცსა,² (35) და მოიგე სათნოებად, რამეთუ ესე [ღმრთა]დ [გამო]აჩინებს ადამს სიბრძნისმოყუარებისა მიერ“ (A 60, 141v-142r).³

ქართული თარგმანის მთავარი განსხვავება ისაა, რომ მას დამატებული აქვს ბოლო შეგონება, რომელიც „სენტენციების“ არცერთ ბერძნულ ვერსიაში არაა. ტექსტის შემცველი უძველესი ნუსხა A 60 ბლონაკულია, ის 71-ე შეგონებაზე წყდება, ამიტომ უცნობია მასში იყო თუ არა აღნიშნული სენტენცია. გვიანდელ ხელნაწერებში კი ის ტექსტისგან ერთგვარად გამოყოფილია,⁴ რაც მის გვიანდლობას გვაფიქრებინებს. ეს შეგონებაა:

„რომელსა გლახაკთადა მიეცნენ საჭმარნი, და რომელმან მიმხუჭტელსა და მტ[ა]-ცებელსა და მაჭირვებელსა თუსსა კაცსა არარად ავნოს შიშისათვის ღმრთისა, არცა სწყეოს, ორნივე ზოგად მიემთხვევენ ზეცისა კეთილთა, რამეთუ უტყუველ არს მეტყუესლი, ვითარმედ: ვითარცა უყოთ, ეგრეთცა გეყოს თქუენ“ (A 67, 91r; S 269, 125r).

აღნიშნული სენტენცია ნაშრომის ქართულ ვერსიაში 99-ეა, თუმცა ჩვენს გამოცემაში მას მე-100 შეგონებად ვუთითებთ, რადგან ბერძნულის მსგავსად, ქართულის 98-ე სენტენცია ორ შეგონებად მოგვაქვს როგორც 98-ე და 99-ე.

რედაქციულად „სენტენციების“ ეფრემისეული თარგმანი „კეფალიების“ შეერთებულ ვერსიისთან უფრო ახლო დგას, ვიდრე სუარესისა და მინის ტექსტთან. აღვნიშნავთ ორიოდე მაგალითს:

1 იხ. ზემოთ: თხზულების მერძნული გამოცემები.

2 აქედან ქართულს აკლია: «ἐργάζου δὲ ταῦτα, ὅσα σε οὐράνιον ἀναδείξει δυνήσονται» (PG 79, col. 1244 B 1-2): „ხოლო ავეთე მხოლოდ ის, რასაც შეუძლია, ზეციერი გავხადოს“.

3 შდნ. «ლვ». Ἀμέλει τῶν ἄλλων ὅσα κτηνώδη κατασκευάζει τῶν ἀνθρώπων· ἐργάζου δὲ ταῦτα ὅσα σε οὐράνιον ἀναδείξει δυνήσονται. ლდ'. Ἐπιμελοῦ τῆς ἀρετῆς, αὐτὴ γὰρ Θεὸν διὰ φιλοσοφίας, τὸν Ἀδὰμ ἀποδείκνυσσ» (PG 79, col. 1244 A 15 – B 4).

4 ამასთან, წითელი მელნითაა აღნიშნული ამ შეგონების საზღვაო ასო.

21-ე სენტენციის «*δέλεάζοντα και σαγηνόντα*» (PG 79, col. 1241 C 7-8) ქართულად თარგმნილია როგორც „**მომნადირებელი**“ (უთარგმნელადაა დატოვებული «*δέλεάζοντα*»), რაც „კეფალიების“ ვარიანტს თანხვედბა: «**საყენონტა**» (Duc 1624: 1175, N157; Orellius 1819: 340, N156).

50-ე სენტენციის «*Πατέρας τῶν ἀρετῶν*» (PG 79, col. 1244 D 14) ქართულად თარგმნილია როგორც „**დედად** სათნობათა“, „კეფალიების“ ვერსიის შესაბამისად – «**Μήτηρ τῶν ἀρετῶν**» (Duc 1624: 1176, N186; Orellius 1819: 344, N186).

რამდენადაც „კეფალიების“ (Capita Paraenetica) კრიტიკული გამოცემა არ არსებობს, შეუძლებელია მისი ეფრემისეული თარგმანის რედაქციის დადგენა. ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ წმ. ეფრემ მცირე გაყოფილ ვერსიას თარგმნის ორ სწავლად, რომელიც არსებული ბერძნული გამოცემებისგან განსხვავდება, ამიტომ განხილული ტექსტი მომავალში დამატებით კვლევას საჭიროებს.

ქვემოთ თვალსაჩინოებისათვის პარალელურ სვეტებად მოვიტანთ „სენტენციების“ (Sententiae) ქართული თარგმანისა და ბერძნული გამოცემების ურთიერთმიმართების ცხრილს თანმხვედრი შეგონებების შესაბამისად:

„ღნომნი განმაყენებელი“ (ეფრემისეული თარგმანი)	Sententiae (Suaresius 1673: 557-564; PG 79, col. 1240-1250)	Capita Paraenetica (Schoning 1608: 145-233; Orellius 1819: 336-349) ¹	Capita Paraenetica (Duc 1624: 1174-1178)
1	1 (1)	138b	139b
2	2 (2)	139	140
3	3 (3)	140a	141a
4	4 (4)	140b	141b
5	5 (5)	141	142
6	6 (6)	142	143
7	7 (7)	143	144
8	8a (8)	144	145
9	8b (9)	145	146
10	9 (10)	146	147
11	10 (11)	147	148
12	11 (12)	148	149
13	12 (13)	149	150
14	13 (14)	150a	151a

¹ ტექსტის ძველ გამოცემებში სენტენციების ნუმერაცია მითითებული არაა (Grynaeus 1569: 176-182; Neandro 1577: 22-33).

15	14 (15)	150b	151b
16	15 (16)	151	152
17	16 (17)	152	153
18	17 (18)	153	154
19	18 (19)	154	155
20	19 (20)	155	156
21	20 (21)	156	157
22	21 (22)	157	158a
23	22 (23)	158	158b
24	23 (24)	159	159
25	24 (25)	160	160
26	25 (26)	161	161
27	26 (27)	162	162
28	27 (28)	163	163
29	28 (29)	164	164
30	29 (30)	165	165
31	30 (31)	166	166
32	31 (32)	167	167
33	32 (33)	168	168
34a	33 (34)	169	169
34b	34 (35)	170	170
35	35 (36)	171	171
36	36 (37)	172	172
37	37 (38)	173	173
38	38 (39)	174	174
39	39 (40)	175	175
40	40 (41)	176	176
41	41 (42)	177	177
42	42 (43)	178	178
43	43 (44)	179	179
44	44 (45)	180	180
45	45 (46)	181	181
46	46 (47)	182	182
47	47 (48)	183	183
48	48 (48)	184	184
49	49 (50)	185	185
50	50 (51)	186	186
51	51a (52)	187	187
52	51b (53)	188	188
53	52 (54)	189	189

ფსევდონიმოს სინელის ... „სენტენციების“ (Sententiae) ძველი ქაზოული თარგმანი

54	53 (55)	190	190
55	54 (56)	191	191
56	55 (57)	192	192
57	56 (58)	193	193
58	57 (59)	194	194
59	58 (60)	195	195
60	59 (61)	196	196
61	60 (62)	197	197
62	61 (63)	198	198
63	62 (64)	199	199
64	63 (65)	200	200
65	64 (66)	201	201
66	65 (67)	202	202
67	66 (68)	203	203
68	67 (69)	204	204
69	68 (70)	205	205
70	69 (71)	205	206
71	70 (72)	207	207
72	71 (73)	208	208
73	72 (74)	209	209
74	73 (75)	210+211	210+211
75	74 (76)	212	212
76	75 (77)	213	213
77	76 (78)	214	214
78	77 (79)	215	215
79	78 (80)	216	216
80	79 (81)	217	217
81	80 (82)	218	218
82	81 (83)	219	219
83	82 (84)	220	220
84	83 (85)	221	221
85	84 (86)	222	222
86	85 (87)	223	223
87	86 (88)	224	224
88	87 (89)	225	225
89	88 (90)	226	226
90	89 (91)	227	227
91	90 (92)	228	228
92	91 (93)		
93	92 (94)		

94	93 (95)		
95	94 (96)		
96	95 (97)		
97	96 (98)		
98a (98)	97 (99)		
98b (99)	98 (100)		
		229	229
99 (100)			

ბეჭდისაღწერა

ტექსტი მომზადებულია ოთხი ხელნაწერის მიხედვით. გამოყენებულ ხელნაწერთა ლიტერებია:

A – A 60, (XIII ს.), 141r-142v (ბოლონაკლული);

B – A 67 (XVI ს.), 88r-91r;

C – S 269 (XVII ს.), 118v-125r;

D – H 1246 (1754 წ.), 159r-164r.

დასახელებულ ხელნაწერებში ორთოგრაფიული ნორმა „უჴ“ ბგერათკომპლექსის ხმარება, რომელსაც ვასწორებთ „უე“-თი. გვიანდელი CD ნუსხები დ-ს მეტობა-ნაკლებობით გამოირჩევა, მსგავს სხვაობებს ტექსტის კრიტიკულ აპარატში არ ავსახავთ.

ტექსტი შედარებულია „სენტენციების“ ბერძნულ გამოცემებთან (აღნიშნულია ვარსკვლავით). იმ შემთხვევაში, როდესაც ქართული ტექსტი განსხვავდება მინისეული ვერსიისგან (PG 79, col. 1240 C – 1249 B), თუმცა ახლოს დგას შეერთებული რედაქციის წაკითხვასთან (Duc 1624: 1174-1178; Orellius 1819: 320-349), სქოლიოში ამ უკანასკნელის ვარიანტსაც ვუთითებთ.

**მისივე, წმიდისა ნილომ¹ ღნომნი²
ბანაყენაბელი ბანსრწაღთაგან და შამაპრთეპელი³
უსრწელთა თანა**

1. გზა⁴ სათნობათა მიმართ კეთილ და მოკლე არს — ლტოლვად საწუთოდას⁵ ცხორებისაგან.
2. უკმს გულისმთქუმელსა უხრწნელთასა არარად შერაცხად⁶ განხრწნადთა⁷ ამათ.
3. უკუეთუ ჭეშმარიტისა ცხორებისა გსურის, მარადის მოელოდე კაცობრივსა სიკუდილსა.
4. მოიძულე [D159v] აქად ესე⁸ ცხორებად, რამეთუ ჰხედავ⁹ ურმისთუალისა მისისა დაუპყრობელად მოქცეობასა.¹⁰
5. ნუ გსურის მოკუდავთა კეთილობისათუს, რომელთა მოგე[C119r]ბად წარწყმედად¹¹ არს და საცმარებად¹² — წარმავალ.
6. ეცინოდე¹³ შუებულთა და გელმოდენ¹⁴ ძვრხილულთა თანა, რამეთუ ესე — სასყიდლის, ხოლო იგი ფილოსოფოსობისა¹⁵ მომატყუებელ არს.
7. მოთმინებასა იღუწიდ, რამეთუ მის მიერ უწყით გამოცდა¹⁶ მოწამეთად, ვინაფთგან ჩუენგანცა¹⁷ იძიების წამებად სუნდისისა¹⁸.
8. ყოვლისა¹⁹ წინა პატივ-სცემდ²⁰ სულსა შენსა და სათნობისა სრბად²¹ უშრომელად აღესრულეების.

1 ნილომნი C
2 წმიდისა ნილომნი ღნომნი] სხუად სწავლად A
3 შამაენთეპელი A
4 გზად B
5 საწუთოდას C
6 შერაცხად BC, შერაცხვა D
7 განხრწნადთად AC
8 ~ ესე აქად BD
9 ხედავ BCD
10 ~ მოქცეობასა დაუპყრობელად BD
11 წარწყმედა A
12 სახმარებად C
13 ეცინოდი BCD
14 გელმოდინ D
15 ფილოსოფოსობის AC
16 გამოცდა BD
17 ჩუენიცა BCD
18 სუნდისისა BCD
19 ყოვლისასა A
20 პატივს-სცემდ B
21 სრბად] სრულეებად BCD; ὁ δὲ πῶς (PG 79, col. 1241 A 5).

9. ყოველივე აქანი — განხრწნად, ხოლო სული უკუდავ არს, ვინადაც შეჰგავს¹ განხრწნადთასა წინა² პატივისცემად უკუდავისად^{3,4*}
10. განემზადე შემაწუხებელთა მიმართ და უმრავლესი შეიძინო.
11. ნუ ეძიებ ღმრთისაგან საწადელთა, არამედ მხოლოდ მარგებელ[BBBv]თა; რამეთუ მათ დაღათუ ითხოვდე, არავე მოგეცნენ; და მოიხუნე თუ, განიხრწნებიანვე.
12. ნუ აბრალებ სიგლახაკესა, რამეთუ მიმოგანუბნეველ შჯულისა⁵ ჰყოფს მოღუაწესა.⁶
13. ნუ იშუებ სიმდიდრითა, რამეთუ ზრუნვანი მისნი მრავალგზის უნებლიეთცა⁷ განაშორებენ კაცსა [C119v] ღმრთისაგან.
14. მოახს აღსა[D160r]სრული, უდები⁸ განემზადებოდენ გუემათა მიმართ.
15. არა შორს არს მკად, ვინადაც განვჰფხურნეთ⁹ ეკალნი სულისა აგარაკისაგან.
16. [A141v] არარად დაეფარვის მსაჯულსა, ვინადაც ცუდად სიტყუად¹⁰ ვისწრაფით მცოდველნი.
17. პირველ კაცთასა შეირცხვნე ანგელოზთაგან, რამეთუ მრავალნი არიან ჩუენ თანა და ყოვლისა ბილწისა¹¹ საქმისაგან განეყენე.
18. ზრუნევი სასწორსა მსაჯულისასა; და ყოველივე განაგდე,¹² რადცა რად¹³ არს შენ თანა¹⁴ საწუთოფსა ბიწთაგანი.¹⁵
19. ზღვევად¹⁶ შეჰრაცხე მოცალებად და განსუენებად, და ისწრაფე ქმნად რასმე, რომლისა მიჰდად გუეგულეების.
20. მარადის იგონებდ საწუთოფსა¹⁷ უმტკიცობასა და ვერამან მისგანმან შეუძლოს განცდად¹⁸ შენი.

1 შეჰგავ BC

2 წინა B

3 უკუდავისა C

4 * სუარესისა და მინის გამოცემებში (PG) ქართული თარგმანის მე-8 და მე-9 გნომები შეერთებულია ერთ შეგონებად (Suaresius 1673: 557; PG 79, col. 1241 A 4-7). დუცის გამოცემაში, ისევე როგორც ონელთან, ისინი ცალ-ცალკეა (Duc 1624: 1174, N145-146; Orellius 1819: 338, N144-145)

5 სჯულისა BCD

6 მოღუაწესა C

7 უნებლიეთცა BCD

8 უდებისა D

9 განვფხურნეთ D

10 სიტყუად] – BCD

11 ბიწისა BCD; αισχρομας (PG 79, col. 1241 B 11).

12 განაგდე] + შენგან BCD

13 რად] – BCD

14 შენ თანა] – BCD

15 ბიწთაგან C

16 ზღუკვად D

17 საწუთოფსა BCD

18 განცდა BD

21. ჰაეროვნებანი ქუეყანისანი და წუთ-ჟამნი¹ ნუ შეგაქცევენ შენ, რამეთუ სამჭედურ არიან თევზებრ მომნადირებელ² სულისა.
22. ილოცევდ არა-შესლვად განსაცდელთა;^{3*} ხოლო შეხვდე⁴ რად,^{5*} არუენე ახოვნებად.
23. ნუ ოდეს უგულებელს-ჰ[C120r]ყოფ ცრემლთა გლახაკისათა, რადთა არა უგულებელს-იქმნენ ცრემლნი ლოცვისა შენისანი.
24. სიბრძნისმოყუარებად არს მონაგებ უპირატეს კაცთათვს, რომელსა მხოლოდ-შობილობით მარტოდ მარტოსა [D160v] თანა ჰნებაავს ყოფად მომგებელსა მისსა თანა.
25. სამოსელ ღმრთისა არს სათნობად, ამას ქსოვდი და იქმნე შემოსელ⁶ არსთა შემოსელისა.
26. რაოდენი⁷ ქუეყანასა ზედა წარიპარვის, მას მუშაკობდ⁸ ცათა შინა, რამეთუ იგი არა შევალს თითთა შინა მპარავთასა.
27. ჯმნად ჯერ-არს შუ[B89r]ებისაგან, რამეთუ მიიზიდავს⁹ საქმედ, მათდა ძალთაგან იქმნებიან სულთქუმანი შემდგომად განფრთხობისა.
28. უმჯობეს არს მოძაგებად ზორცთმოყუარეთა გულისსიტყუათად, რამეთუ ზორცთა¹⁰ განხწნიან და სულთა შეაბილწებენ.
29. არცალა ქუეყანისა კეთილნი თვნიერ შრომისა აღესრულებიან, უკუეთუ^{11*} ზეცისათაგან მივდრკეთ¹² შრომისათვს.
30. ვნებავს თუ¹³ თვნიერ შრომისა ქმნად სათნობისად,¹⁴ გულისწმა-ყავ შრომათა¹⁵ წ[C120v]უთ-ჟამობად და მოსაგებელთა საუკუნეობად.¹⁶

1 წუთ-ჟამისანი BCD; τὰ πρόκαιρα (PG 79, col. 1241 C 6-7).

2 მომნადირებელ] მონადირე A; δελιάζοντα καὶ σαγηνεύοντα (PG 79, col. 1241 C 7-8); σαγηνεύοντα (Duc 1624: 1175, N157; Orellius 1819: 340, N156).

3 * ილოცევდ არა-შესლვად განსაცდელთა] Ἀπέχου τὸς πειρασμοὺς (PG 79, col. 1241 C 10); განეროდე განსაცდელემს.

4 შეხვიდე D

5 * შეხვდე რად] εἶσ (PG 79, col. 1241 C 10); εἰσελθόν (Duc 1624: 1175, N158a; Orellius 1819: 340, N157).

6 შემოსელ] + სულისა C

7 რაოდენნი D

8 მუშაკად ACB; ἐργάζου (PG 79, col. 1241 D 8).

9 მიიზიდვის B

10 ხორცთა C

11 * უკუეთუ] ἀνότου (PG 79, col. 1244 A 1); ἀνό' ὄτου τοῖνον (Duc 1624: 1175, N164; Orellius 1819: 340, N164).

12 მივდრკეთ BC

13 თუ] – BD

14 სათნობათად BCD; τὴν ἀρετὴν (PG 79, col. 1244 A 3).

15 შრომათ A

16 სკნზმ BC, საუკუნობა D

31. რაოდენნი¹ ჯორცთა გემოვნებისა მიმართ განილევინ,² გულისჯმა-ყვედ მათ³ გემოდსა წუთ-ჟამობად და მოსაგებელისა საუკუნეობად.⁴
32. რაოდენთა⁵ ცხორებად ბილწ იყოს,⁶ პირუტყულ⁷ სადმე არს სულიცა და თანა-აც მათ⁸ გლოვად, ვითარცა თავთა თვსთაგან დაჭირვებულთა.
33. ყოველივე განხრწნად⁹ ჰგონე, ხოლო სათნოებად — უხრწნელად.
34. უგულვებელს-ყვედ სხუანი, რაოდენნი¹⁰ პირ[D161r]უტყულ ჰყოფენ კაცსა,^{11*} და მოიგე სათნოებად, [A142r] რამეთუ ესე [დმრთა]დ [გამო]აჩინებს ადამს სიბრძნისმოყუარებისა მიერ.^{12*}
35. იპყრობ თუ მუცელსა, იპყარ ენადცა,¹³ რადთა არა ერთისა მის მონად¹⁴ იყო, ხოლო მეორისაგან უგუნურებით თავისუფალ იყო.
36. შეიყუარე ღმერთი და მის ძლით ნუ გელმის სახლეულთა მიმართ; ნუსადა, მისისავე ჯმისაებრ, უღირს მისსა იპოო, ვითარცა არა გინდეს (შდრ. მთ. 10.37).
37. თავს-იდებდ ჭირთა, რამეთუ მათ შინა არიან გვრგვინი მოღუაწეთანი.
38. [C121r] ნეტარ არს თავსდებად ბოროტისა,¹⁵ ხოლო ქმნად — სამ უბადრუკ, რამეთუ ქრისტეს თანა მკვდრ არს თავსმდებელი, ხოლო მოქმედი — თანამკვდრ¹⁶ ეშმაკისა.¹⁷
39. კეთილ არს პური¹⁸ მარხვისა, ვინადთგან აზნაურ არს ვნებათა საფუერისაგან.¹⁹
40. წმიდა არს ტაბლად ლოცვისა,²⁰ რამეთუ მოიზიდავს ჩუენდა წმიდასა წმიდათასა.
41. ნუ გგონიეს სიმართლე გარეწარ ყოფად სათნოებისათვის, რამეთუ თვნიერ მისსა

- 1 რაოდენნი BCD
- 2 განილევინ C
- 3 მათი C
- 4 საუკუნეობად BC, საუკუნეობა D
- 5 რაოდენთა BCD
- 6 ყოს C
- 7 პირუტყულ C
- 8 მას BCD
- 9 განხრწნად BCD
- 10 რაოდენნი BD

11 * *ἐργάζου δὲ ταῦτα, ὅσα σε οὐράνιον ἀναδείξει δυνήσονται* (PG 79, col. 1244 B 1-2): ხოლო აკეთე მხოლოდ ის, რასაც შეუძლია, გეცხიერი გაგხადოს] om. Iber.

12 * აქ ქართულ თარგმანში გაერთიანებულია ორი გნომი (PG-ში 33-ე და 34-ე). ქართულს მერძნული შეგონების მეორე ნახევარი აკლია, მის ნაცვლად კი მოსდევს მომდევნო გნომი: «ლღ». *Ἐπιμελοῦ τῆς ἀρετῆς, ἀντὶ γὰρ Θεὸν διὰ φιλοσοφίας, τὸν Ἀδὰμ ἀποδείκυσεν* (PG 79, col. 1244 B 3-4).

- 13 ენაცა BD
- 14 მონა BCD
- 15 ბოროტისა BCD
- 16 თანამკვდრ] – C
- 17 ეშმაკისა B
- 18 პურ C
- 19 საფუერისაგან BCD
- 20 ლოცვისა BD

ყოველი საქმე არაწმიდა არს.

42. სთესავ თუ გლ[B89v]ახაკთა ზედა, თავისა თვისისა¹ სთესე, რამეთუ უცხოთად ღუარძლისა² უმწარეს არს.
43. ბრმა არს მოწყალე, უკუეთუ მართალ არა იყოს, რამეთუ მუშაკობს აგარაკსა, რომლისა მომკად ვერ ძალ-უც.
44. მარადის ვიდრემე³ მოელოდე, ხოლო ნუ გეშინინ სიკუდილისაგან, რამეთუ ჭემმარტი⁴ [D161v] ხატ⁵ ფილოსოფოსობისა⁶ არიან ორნივე ესე.
45. აგმნობდ სათნოებასა, არა რადთა⁷ შეაცთუნნე, არამედ რადთა სარგებელ ეყო მხედველთა.
46. უჯმს თქუმა⁸ კეთილთად არამოქმედსა⁹ კეთილთასა, რადთა იწყოს საქმედცა სიტყუათაგან შეკვდიმებულმან.¹⁰
47. [C121v] ზეცისა თუ გსურის, ნუმცა რად არს შენი და ქუეყანისა, რამეთუ ესე არა მიუშუებს მისსა მიმართ აღფრინებად.
48. ნუ გნებაგს განმდიდრებად¹¹ გლახაკთმოყუარებისა ძლით, რამეთუ რომელ-იგი აქუნდენ, მათგან ასწავებს მართალსა ღმერთი ყოფად მოწყალეებისა.
49. უკუეთუ სასუმელი¹² გრილისა წყლისა განამართლებს მოწყალესა, რაბამი მისაგებელი მიელის მას, რომელმან ყოველივე განაბნოს გლახაკთა ზედა?
50. დედა^{13*} სათნოებათა — სიწმიდე და თანაღმობად, ვინადაც არა არს ქრისტეს მკვდარ-ყოფად თვნიერ ამისსა ანუ მისსა.
51. ნუ უდებ-ჰყოფ თანაღმობასა, რამეთუ ამან გარდამოიყვანა სახიერი იგი ზეცით ქუეყანად.
52. ნუ შეურაცხ-ჰყოფ სიწმიდესა, რამეთუ მის მიერმან ორღანომან წარმოუდგინა კაცთა ჩუენთუს ჯორცშესხმული იგი.^{14*}

1 თვისისა BCD

2 ღუარძლისასა A

3 ვიდრე BD

4 ჭემმარტი C

5 ხატ] ნიშ BD, – C; χαρακτήρ (PG 79, col. 1244 C 14).

6 ფილოსობისა BD

7 ~ რადთა არა BCD

8 თქუმა C

9 არამოქმედთაცა BD

10 შეკვდიმებულთა BCD; αἰσχρῶμενος (PG 79, col. 1244 D 4-5); αἰσχρῆσθαι (Duc 1624: 1176, N182; Orellius 1819: 342, N182).

11 განმდიდრებად BCD

12 სასმელი C

13 * დედად] Πατέρα (PG 79, col. 1244 D 14): მამად; Μητήρ (Duc 1624: 1176, N186; Orellius 1819: 344, N186).

14 * სუარესისა და მინის გამოცემებში (PG) ქართულის 51-ე და 52-ე გნომები ერთ შეგონებად არის წარმოდგენილი (Suaresius 1673: 561; PG 79, col. 1245 A 3-5). გერძნულს აკლია 51-ე (52-ე) გნომის მეორე ფრაზა და 52-ს (53-ე) პირველი წინადადება. დუცის გამოცემაში, ისევე როგორც ორელთან, ისინი ცალ-ცალკეა და სრულად (Duc 1624: 1176,

53. ნუ აღვიდგენთ მტერსა,^{1*} რამეთუ მსაჯული მართალი ცათა შინა მოგვციეს.
54. ნუ გნებავს განმდიდრებაჲ, ნუცა შუ[D162r]ებაჲ, ნუცა დიდებულებაჲ, რამეთუ ესენი² სა[C122r]წუთოდას³ ხრწნილება⁴ არიან, ხოლო ჩუენ არ ვართ ვითარცა განხრწნადნი.
55. [A142v] მკუდარსა ზედა ნუ ჰგოდებ, რამეთუ საზოგადო⁵ არს გზა⁶ იგი, და სანატრელ არს,⁷ რომელმან უსწროს.⁸
56. მცოდველსა ჰგოდებდი, ნუ დაგლახაკებულსა, რამეთუ ესე გვრგვინოსან იქმნების, ხოლო იგი დაისაკების.
57. ეცინოდე ურმისთუალსა საწუთოდასა⁹ დაუპყრობელად მგორველ[B90r]ესა,¹⁰ და ეკრძაღე მოხრებლსა მას, რომელსა შინა შთაავდებს იგი მას ზედა მძინარეთა.
58. ეტყოდე ღმერთსა მრავლად და¹¹ კაცთა — მცირედ, ხოლო ესე ორივე წურთითა შჯულისადათა¹² წარიმართოს.¹³
59. საბანელ კეთილ¹⁴ სულისა არს ცრემლი ლოცვისაჲ,¹⁵ ხოლო შემდგომად ლოცვისა¹⁶ ივსენებდ, ¹⁷ თუ რადასათუს სცრემლოოდე.
60. ძლიერთა ამის სოფლისათა ნუ ჰნატრი, რამეთუ „ძლიერნი ძლიერად განიკითხნენ“ (სიბრძ. 6.7), ვინაჲცა მათ უფიცხესი მსაჯული აქუნდეს.¹⁸
61. უჯმს ადამს შრომაჲ, არამედ ჩუენ შრომითა¹⁹ შჯულსა²⁰ შინა მოსაგებელსა შევიძინთ.
62. [C122v] საჭირო არს ევაჲს დაჭირვებაჲ მკვდრთა მისთაჲ, არამედ ჩუენ რაჟამს მადლობით თავს-ვისხნეთ ჭირნი, კურთხევად ჩუენდა შეიცვალების წყევად მისი.

N187-188; Orellius 1819: 344, N187-188). ქართული თარგმანი სწორედ ამ ვერსიას მისდევს.

1 * ნუ აღვიდგენთ მტერსა] Μη εἰπῆς: Τίσομαι τὸν ἐχθρὸν (PG 79, col. 1245 A 6): ნუ იტყვი, შურს ვიძიებ მტერზე.

2 ესე BCD

3 საწუთროდას C

4 ხრწნილებაჲ BC

5 საზოგადოჲ A

6 გზა BD

7 არს] – BD

8 უსწრაოს B

9 საწუთროდასა C

10 მგორველესა B

11 და] – C

12 სჯულისათა BCD

13 წარიმართო A, წარიმართოდ C

14 საბანელ კეთილ] დამბანელ კეთილი C

15 ლოცვისა + შინა D

16 ხოლო შემდგომად ლოცვისა] – BD; ἀλλὰ μετὰ τὴν προσευχὴν (PG 79, col. 1245 B 7).

17 ივსენებოდ B, ივსენებდი D

18 აქუნდეს D

19 შრომათა D

20 შჯულსა] სასჯელსა BCD; τῷ νόμῳ (PG 79, col. 1245 B 13).

63. სანთლად საქმეთა მიმართ სუნდისსა იჭუმევიდი,¹ რამეთუ ესე [D162v] გიჩუენებს შენ, რომელნი რად კეთილად ანუ რომელნი ბოროტად გექმნენ ცხორებასა ამას შინა.
64. თავნი ჩუენნი განვიკითხნეთ და მსაჯული დაგებულ არს ჩუენდა, რამეთუ ვითარცა სახიერსა უხარის ცოდვილისად, ხედვიდეს რად განბნევიდ ტვრთსა.²
65. რადცა რად ბიწი ქმნილ არს ჩუენგან, სინანულითა³ განვიბანოთ, რამეთუ გვჭმს⁴ ხატისა სიწმიდისათვის ღონე-ყოფად.⁵
66. პირველ განშიშულებამდე⁶ განვიკურნეთ, წუთხნი სულისანი, რადთა წამალთა მიერ შევიძინოთ თანაწარსლვად გუემათად.
67. ვითარ-იგი შეკრულთა ძნელ უჩნს⁷ სლვად, ეგრეთვე სრბად სათნოებისად⁸ სიწმიდით ვერ უძლავს [C123r] სოფლითთა საქმეთა თანა⁹ შეთხზულთა.¹⁰
68. უჭმს მოძულებად ცოდვისად,¹¹ რამეთუ ესრეთ დაღათუ ვისმე უბრკუმეს მახეთაგან მისთა, არამედ მყის კუალად ეგოს თავადვე თვსსა.¹²
69. რომელსა არა სძავდეს ცოდვად, დაღათუ არა იქმოდის¹³ ცოდვასა მას,¹⁴ ცოდვილთავე თანა დაისაჯების.
70. სულთ-ითქუენ¹⁵ მოყუასსა შენსა ზედა მცოდველსა, რადთა თავსაცა ზედა თვსსა¹⁶ სულთ-ითქუენ, რამეთუ ყოველნი თანამდებ ვართ ცოდვათა.
71. მოაჩსენე¹⁷ მსაჯული მეგობარსა შენსა შეცთომილსა და შენიცა წყლულებად გან[B90v]იკურნოსვე,¹⁸ რამეთუ საზოგადო არს წამალი თანამზარხველობისად.
72. გეგულებოდის რად თქუემად რადსმე ანუ ქმნად¹⁹ შემდგომად მცი[D163r]რედისა ყოფადისა მისთვის, სიტყუსა მიცემისა ზრუნვად გაქუნდინ და განბრძნდე²⁰ შიშითა

1 სუნდისსა იჭუმევიდი] სუნდისისა ახუმევიდი BCD

2 ტვრთისად C

3 სინანულით BD

4 გვიჭმს D

5 ღონე-ყოფად D

6 განშიშულებამდე BC

7 უჩნს B

8 სათნოებისა + თვნიერ D

9 თანა] – BC

10 შეთხზულთად C; თანა შეთხზულთა] – D; συμπλακέντες (PG 79, col. 1245 C 15).

11 ცოდვისად] სოფლისა BD, სოფლისად C; τὴν ἀμαρτίαν (PG 79, col. 1245 D 2).

12 თვსსა] – BD

13 იქმოდი BD

14 მას] იგი D

15 სულთ-ითქუენ D

16 თვსსა] – BCD

17 მოახსენე C

18 აქედან A-ში ტექსტი წყდება.

19 რადსმე ანუ ქმნად] – C

20 განბრძნდე] განჭრძნდე C, განბრწყინდე D; σωφρονεῖς (PG 79, col. 1248 A 8); σωφρονίσεις (Duc 1624: 1177, N208; Orellius 1819: 346, N208).

განმარტლებული.

73. ცოდვისა სატანჯველსა ეშიშვოდი¹ და სირცხვილისაგან² გვეკდიმებოდენ, რამეთუ ორთავე ამათ ძვრი უბ[C123v]ომო³ არს.
74. ყოფადთა მათ კეთილთა შეუნიერებად და სიმრავლედ და სიდიდედ განუზომელ არს, ხოლო აქანი ესე აჩრდილ არიან და კუამლ და წყლის ბუშუტ⁴.^{5*}
75. ნუ სთესავ ბოროტსა, რამეთუ მკად მოახლებულ არს და ცეცხლი შეიწყნარებს მუშაკსა ეკ[ა]ლთასა.
76. ვარდ საწუთოდას⁶ — ორგულნი, ანგაპარნი⁷ და გემოთმოყუარენი, გარნა მცირედ დაითმინე და იხილო თივად დათრგუნვილად.
77. ყოველი ბოროტი საქმე აღსჭურ[ავ]ს ჩუენ ზედა ეშმაკსა, და აღიჭუროს რად, მძვინვარედ ეჭუშევის აღმჭურველთა მისთა.
78. გნებავს თუ მოუძღვრებად მტერისა, მოიკუეთე შენგან ცოდვად და იგი განშიშულებული ფრთეთაგან, ვითარცა სირი, სამღერელ იქმნეს.
79. ვად უღმრთოსა, რამეთუ რაჟამს ყოველნი განათლდებოდინან, იგი მხოლოდ⁸ დაბნელდების.
80. ვად მგმობარსა, რამეთუ შეიკრვის ენად და ვერ ძალ-უც, თუ ვითარ სიტყუა-უგოს მსაჯულსა.
81. [C124r] ვად უშჯულოსა,⁹ რამეთუ წარვალს მსაჯულისა ფიცხ[ე]ლისა და მართლისა შჯულისმდებელისა.¹⁰
82. [D163v] ვად ანგაპარსა,¹¹ რამეთუ სიმდიდრე მისი ივლტოდის და ცეცხლმან მიითუალო[ს] იგი.
83. ვად უდებსა, რამეთუ ეძიებდეს ჟამსა, რომელი-იგი მან ბორ[ო]ტად განლია.
84. ვად ამპარტევანსა,¹² რამეთუ შე-რად-ვიდეს საფლავად, მაშინ ისწავოს, თუ ვინ იყო.
85. ვად სიძვისმოყუარესა, რამეთუ შეამწიკულებს სასძლოსა სამოსელსა და სირ-ცხვლით განიჯადების¹³ სამეუფოდას ქორწილისაგან.

1 ეშიშვოდი] – C

2 სირცხვილისაგან C, სირცხვილისაგან D

3 ძვრი უბომო] ძვრუზომო B

4 და წყლის ბუშუტ] – D; πομφορύεις (PG 79, col. 1248 A 14).

5 * ეს სენტენცია დუცისა და ორელის გამოცემებში გაყოფილია ორად (Duc 1624: 1177, N210-211; Orellius 1819: 346, N210-211).

6 საწუთოდას BCD

7 ანგაპარნი BCD

8 მხოლოდ] – BD; ἐκείνος (PG 79, col. 1248 B 13); μόνος (Duc 1624: 1178, N216; Orellius 1819: 348, N216).

9 უსჯულოსა BCD

10 სჯულისმდებელისა BCD

11 ანგაპარსა CD

12 ამპარტევანსა C

13 განიჯადების BD

86. ვად მ[ა]გინებელსა და მის თანავე მომთრვალესა,¹ რამეთუ მემრუშეთა თანა დაიწესებთან და კაცისმკლვ[B91r]ელთა² თანა იტანჯებთან.
87. ვად წუთ-ჟამ შუებულსა, რამეთუ ვითარცა ზუარაკი დასაკლავად განმზადებული განსუქების.
88. ვად ორგულსა, რამეთუ მწყემსი მას უარ-ჰყოფს და ვითარცა მგელსა სდევნის სამწყსოდ.
89. ნეტარ არს, რომელი ვიდოდის გზასა იწროსა, რამეთუ გვრც[C124v]უნშემოსილი³ ზეცას აღვალს.
90. ნეტარ არს დამთრგუნველი⁴ გულისთქუმათად, რამეთუ ძუელითგანვე ძრწიან მისგან ეშმაკნი.
91. ნეტარ არს წმიდად სულითა და შეუორგ[ულ]ებ[ლი]თა გულითა, რამეთუ ეგულების მას განკითხვად სოფლისად და არათუ დაშვად⁵ სოფლისა თანა.^{6*}
92. ნეტარ არს მქონებელი მაღლისა ცხორებისად⁷ და მდაბლისა გონებისად,⁸ რამეთუ ქრისტესა მიემგავსების⁹ და მის [D164r] თანა მჯდომარე არს.
93. ნეტარ არს, რომლისა ენისაგან არაოდეს განეშორა შჯული,¹⁰ რამეთუ ამისისა საყოფელისაგან¹¹ ღმერთი არაოდეს განეშორების.
94. ნეტარ არს, რომელი მრავალთა კეთილისმყოფელი იყოს, რამეთუ მრავალნიცა პოვნეს¹² თანამოსაჯულნი, განიკითხოდის¹³ რად.
95. ნეტარ არს, რომელი არა საეჭუელ¹⁴ ჰყოფდეს სათნოებასა, რამეთუ არა ემღერის ნიჩაბსა¹⁵ მსაჯულისასა.
96. ნეტარ არს, რომელი შეამკობდეს თვსთა საქმეთა პირველ აღგზებამდე¹⁶

- 1 მომთვრალესა D
- 2 კაცისმკლელთად C
- 3 გვრგვინშემოსილი D
- 4 დამთრგუნველ B
- 5 დასჯად BC, დასჯა D
- 6 * ნაშრომის შეერთებულ ვერსიაში ამ შეგონების (N228) შემდეგ მხოლოდ ერთი სენტენცია გვხვდება, რომლითაც სრულდება კიდევ ტექსტი. იგი არც „სენტენციებში“ და არც მის ქართულ თარგმანში არ დასტურდება: «Μακάριος ὁ ἀγρυστῶν ἐν προσευχαῖς καὶ ἀναγνώσει καὶ τῷ ἔργῳ τῷ ἀγαθῷ· φανερῆσεται γὰρ ὁ τοιοῦτος τὸν μὴ ὑπνοῦν εἰς θάνατον» (Duc 1624: 1178, N229; Orellius 1819: 348, N229): ნეტარია მღვიძარე ლოცვაში, კითხვასა და კეთილ საქმეებში, რადგან განათლდება, რათა არ დაიძინოს სიკვდილში.

- 7 ცხორებისა BD
- 8 გონებისა BD
- 9 მიემგავსების BC
- 10 სჯული BCD
- 11 საყოფელისაგან C
- 12 პოვნეს D
- 13 განიკითხვიდის C
- 14 საეჭველ D
- 15 ნიჩაბსა] ნიშანსა C, τὸ πῦρον (PG 79, col. 1249 A 9).
- 16 აღგზებამდე CD

ცეცხლისა, რომელსა შინა ყოველი გამოიცადების (შდრ. 1 კორ. 3.11-15).

97. ნეტარ არს, რომელი ისწრაფდეს ყოფადისა მის ცხორებისა მიმართ, რამეთუ აწინდელი ესე ყარს¹ და ხრწნილებად დ[C125r] სიკუდილად მიიზიდავს.

98. ნეტარ არს, რომელმან განაბნივნა ბოროტნი, რომელ შეეკრიბნეს, და განწმედილი წარმოუდგეს წმიდასა მსაჯულსა.

[99.] ხოლო თავ სიტყვსა² იტყვს ესე: სულო, ნუ უდებ ხარ, რამეთუ გეგულები³ შემდგომად⁴ მცირედისა შესლვად უდელსა სასწორისასა.^{5*}

[100.] რომელსა გლახაკთადა მიეცნენ საწმარნი, და რომელმან მიმხუეჭელსა⁶ და მტ[ა]ცებელსა და მაჭირვებელსა თვსსა კაცსა არარად აგნოს შიშისათვის ღმრთისა, არცა სწყეოს,⁷ ორნივე ზოგად მიემთხვენენ⁸ ზეცისა კეთილთა, რამეთუ უტყუველ არს მეტყუელი, ვითარმედ: „ვითარცა უყოთ, ეგრეთცა გეყოს თქუენ⁹“ (შდრ. მთ. 7.12; ლკ. 6.31).^{10*}

Xerspispipient eaquunt id et ut eos sus.

1 ყარს] არს C, მტუქრ არს D; ὄξει φθορᾶς (PG 79, col. 1249 A 13).

2 თავ სიტყვსა] თვს C

3 ეგულები BC

4 შემდგომად] – C

5 * τὸν φοβερὸν κριτοῦ Χριστοῦ τὸν Θεοῦ ἡμῶν (PG 79, col. 1249 B 5): ჩვენი ღმერთის, ქრისტეს საშინელ სამსჯავროზე] om. Iber.

6 მიმხუეჭელსა D

7 სწყეოს C

8 მიემთხვენენ D

9 უტყუველ არს მეტყუელი, ვითარმედ: ვითარცა უყოთ, ეგრეთცა გეყოს თქუენ] ღმერთსა შვენიის ყოველი ღმერთად, პატივი და თაყუანისცემა D

10 * ეს შეგონება ნაშრომის ბერძნულ გამოცემებში არ გვხვდება. იგი A ხელნაწერში, ბოლონაკლულოზის გამო, დაკარგულია, ხოლო B და C ნუსხებში ძირითადი ტექსტისგან ერთგვარად გამოყოფილია და, შესაძლოა, გვიანდელი ჩანამატი იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბიძაშვილი 2004: გაბიძაშვილი ე., ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფია, თბილისი, 2004.
2. გაბიძაშვილი 2006: გაბიძაშვილი ე., ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები, ბიბლიოგრაფია, 2, ასკეტთა და მისტიკა, თბილისი, 2006.
3. გვარამია 1973: ამონიოსის „სინა-რაითის წმინდა მამათა მოსრვის“ არაბულ-ქართული ვერსიები, IX-XI, XIII და XVII სს. ხელნაწერების მიხედვით ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო რ. გვარამიამ, თბილისი, 1973.
4. დვალი 1966: შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, ტ. I, ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელისეული თარგმანი, XI საუკუნის ხელნაწერის მიხედვით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მანანა დვალმა, თბილისი, 1966.
5. დვალი 1974: შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, ტ. II, ანბანურ-ანონიმური პატერიკები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა დვალმა, თბილისი, 1974.
6. დვალი – ჩიტუნაშვილი 2014: თეოფილე ხუცესმონაზონი, მამათა სწავლანი და თხრობანი, შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, ტ. III, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებელი დაურთეს მანანა დვალმა და დალი ჩიტუნაშვილმა, თბილისი, 2014.
7. თავართქილაძე – თუმანიშვილი 2017: თავართქილაძე გ., თუმანიშვილი შ., წმ. ნილოს სინელის ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანი, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, IX (2017), 38-191.
8. კეკელიძე 1918: კეკელიძე კ., ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კიმენი, I, ტფილისი, 1918.
9. კოჭლამაზაშვილი 2017: კოჭლამაზაშვილი ე., წმ. ნილოს სინელის სახელით წარწერილი სწავლანი ლოცვისათვის და მისი ძველი ქართული თარგმანი, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, IX (2017), 192-230.
10. კოჭლამაზაშვილი 2022: კოჭლამაზაშვილი ე., ევაგრე პონტოელის De Oratione-ს ძველი ქართული ვერსიები, პატრისტიკული კვლევა საქართველოში, VI, თბილისი, 2022.

11. კოჭლამაზაშვილი 2014 [2023]: კოჭლამაზაშვილი ე., ეფთვიმე მთაწმიდელის „რჩევით გამოკრებულნი“, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, VII, თბილისი, 2022 [2023], 585-672.
12. კოჭლამაზაშვილი 2021 [2023]: კოჭლამაზაშვილი ე., ნილოს განშორებულის სწავლანი ეფთვიმე მთაწმიდელის ასკეტურ კრებულში (A 1101), ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, XIV, თბილისი, 2021 [2023], 150-173.
13. ტყეშელაშვილი 2022: ტყეშელაშვილი ლ., წმ. ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი კომპილაციური შრომა „სწავლანი სულიერნი წმიდისა მამისი ალმსარებელისანი“, გრაგნილი, საეკლესიო-სამეცნიერო კრებული, IX (2022), 191-224.
14. ქსა-A 1973: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი I, შეადგინეს და დასაბუჯდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, 1973.
15. ჩიტუნაშვილი 2005: ჩიტუნაშვილი დ., Ath.17-ში დაცული პატერიკისათვის, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, XXI (2005), 154-160.
16. ჩიტუნაშვილი 2011: ჩიტუნაშვილი დ., „გამოკრებულნი სადამთვე სიტყუანი წმიდათა მამათანი“, Ath.17-ში დაცული პატერიკი (ტექსტის პუბლიკაცია), ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, IV (2011), 255-342.
17. ჭყონია 1963: ჭყონია თ., ერთი ძველი გნომური ლიტერატურისა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V (1963), 103-121.
18. Bettiolo 1983: Bettiolo P. (ed.), Gli scritti siriaci di Nilo il Solitario, Louvain, 1983.
19. CPG: Clavis Patrum Graecorum, vol. II (Ab Athanasio ad Chrysostomum), III (A Cyrillo Alexandrino ad Iohannem Damascenum), ed. M. Geerard, Brepols – Turnhout, 1974, 1979.
20. Duc 1624: Duc F.D. (ed.), Bibliothecae veterum patrum seu scriptorum seu scriptorum ecclesiasticorum, tomus secundus graecolatinus, Paris, 1624.
21. Elter 1892: Elter A., Gnomica I, Sexti Pythagorici, Clitarchi, Euagrii Pontici sententiae, Lipsiae, 1892.
22. Gennadius von Marseille 1898: Gennadius als Litterarhistoriker, Eine quellenkritische Untersuchung der Schrift des Gennadius von Marseille „De Viris Illustribus“ von Bruno Czapl, Münster, 1898.
23. Gressmann 1913: Gressmann H., Nonnenspiegel und Mönchsspiegel des Euagrios Pontikos, Texte und Untersuchungen zur Geschichte der altchristlichen Literatur, vol. 39.4,

Leipzig, 1913, 143-165.

24. Grynaeus 1569: Grynaeus J. J. (ed), Monumenta S. Patrum Orthodoxographa hoc est Theologiae sacrosanctae ac syncerioris fidei doctores numero circiter 85, Authores partim Graeci partim Latini, Basileae, 1569.
25. Guérard 1981: Guérard M.-G., Nil d'Ancyre, Dictionnaire de spiritualite, Ascetique et Mystique, Doctrine et Histoire, Tome XI, Paris, 1981, 345-356.
26. Lambros 1900: Catalogue of the Greek Manuscripts on Mount Athos, Edited for the Syndics of the University Press by Spyr. P. Lambros, vol. II, Cambridge, 1900.
27. Mennes 1971: Mennes R., Hesychius van Jeruzalem: Inventaris van de Griekse handschriftelijke overlevering met de uitgave en vertaling van het Groot Commentaar op psalm 100 en 102, Dissertation, Gent, 1971.
28. Miltenova 2011: Miltenova A., "Towards the Slavic Translations of Capita Paraenetica Ascribed to either Nilus of Ankyra or to Hesychius of Jerusalem", ΣΠΑΡΑΓΜΑΤΑ ΒΥΖΑΝΤΙΝΟΣΛΑΒΙΚΗΣ ΚΛΗΡΟΝΟΜΙΑΣ (Χαριστήριος Τόμος στον Καθηγητή Ιωάννη Χρ. Ταρνανίδη), 2011, 125-154.
29. Muyldermans 1931: Muyldermans J., Evagriana, Le Muséon, Revue d'Études Orientales 44 (1931), 37-68; 369-383.
30. Neandro 1577: Nili episcopi et martyris capita seu praeceptiones de vita pie, Christiane ac honeste exigenda, graeco-latine, Opus aureum et scholasticum, in quo continentur Pythagorae Carmina aurea, Phocylidis, Theognidis & aliorum poemata, quae sequens pagella enumerabit. a Michaële Neandro Soraviense conversae & expositae, Lipsiae, 1577.
31. Orellius 1819: Orellius J. C. (ed.), Opuscula graecorum veterum sententiosa et moralia, Graece et Latine, Lipsiae, Tomus primus, 1819.
32. PG: Patrologiae cursus completus, Series Graeca, accurante et recognoscente J. P. Migne, Paris, 1857-1866.
33. PL: Patrologiae cursus completus, Series Latina, accurante et recognoscente J. P. Migne, Paris, 1844-1880.
34. Sargisean 1855: Sargisean N. (ed.), Vark' srbots' harants' ew k'aghak'avarut' iwnk' nots' in (Lives of the Holy Fathers and Their Way of Life) vol. 2, Venice, 1855.
35. SC 170: Sources chrétiennes 170, Évagre le Pontique, Traité pratique ou le moine. tome I, Introduction par Antoine Guillaumont et Claire Guillaumont, Paris, 1971.
36. SC 589: Sources Chrétiennes 589, Evagre le Pontique, Chapitres sur la priere. Edition du

texte grec, Introduction, traduction, Notes et Index par Paul Géhin, Paris, 2017.

37. Schoning 1608: Nili Episcopi Admonitiones, In Latinam linguam tractatæ, AC Testimoniis tum Sacris, tum profanis illustratæ, opera et labore Stephani Schoning, Franeker, 1608.
38. Schoning 1679: Nili Episcopi Admonitiones, E Græco Sermone in Latinum tractatæ, A Stephano Schoning, Gorlicii impensis Christophori Schuberti, typis Haered. Chr. Zipperi, 1679.
39. Suaresius 1673: Suaresius J.-M. (ed.), Sancti Patris nostri Nili Abbatis Tractatus seu Opuscula ex codicibus manuscriptis Vaticanis, Cassinensibus, Barberinis et Altaem্পsianis eruta, Rome, 1673.
40. Сперанский 1904: Сперанский, М. Н., Переводные сборники изречений в славянорусской письменности, Исследование и текст, Москва, 1904.

**ფსევდონილოს სინელის (ევაზრა პონტოელი) „სენტენციების“
(Sententiae) ძველი ქართული თარგმანი**

რეზიუმე

წინამდებარე ნარკვევში შესწავლილია ფსევდონილოს სინელის ორნაწილელი ნაშრომის – Capita Paraenetica (Κεφάλαια ἢ παραίνεσις: CPG 6583) – ძველი ქართული თარგმანები. ბერძნულად აღნიშნული ტექსტი შეერთებული და გაყოფილი ვერსიების სახით წმ. ნილოს სინელისა და წმ. ევსუქი იერუსალიმელის ავტორობით არის ცნობილი (კრიტიკული გამოცემა არ არსებობს). ძველი ქართული მთარგმნელობითი პერიოდების პირველ ეტაპზე (წინათონური პერიოდი: V-X სს.) Capita Paraenetica-ს ორივე ნაწილი ევსუქის სახელით ფრაგმენტულად ჩანს თარგმნილი, ხოლო მოგვიანებით მისი სრული ვერსია ეფრემ მცირის (XI ს.) მიერ ნილოსის ავტორობით ითარგმნა.

წინამდებარე კვლევაში გამოარებულია შეხედულება, რომ ნაშრომი სინამდვილეში ორიგენისტ ევაზრე პონტოელს ეკუთვნის, რომელიც ბერძნულ ხელნაწერულ ტრადიციაში ევსუქისა და ნილოსის სახელით გავრცელდა, შესაბამისად, ძველმა ქართულმა თარგმანებმაც აღნიშნული ტრადიციის გავლენა განიცადა. ნარკვევში პირველად ქვეყნდება ტექსტის მეორე ნაწილის – Sententiae (Γνωμαί: 6583b) – ეფრემ მცირისეული თარგმანი, რომელიც შედარებულია არსებულ ბერძნულ ვერსიებთან და მოცემულია სენტენციათა ურთიერთმიმართების ცხრილი ქართულ-ბერძნული ვერსიების ფარგლებში.

Old Georgian Translation of Sententiae by Pseudo Nilos of Sinai (Evagrius Ponticus)

Abstract

This essay examines old Georgian translations of the two-part work *Capita Paraenetica* (Κεφάλαια ἢ παραίνεσις; CPG 6583) by Pseudo-Nilos of Sinai. The mentioned text in Greek, in the form of combined and split versions, is known as the work of Saint Nilus of Sinai and Saint Hesuchius of Jerusalem (its critical edition does not exist). In the first stage of the periods of ancient Georgian translation (the pre-Athonian period: V-X centuries), both parts of *Capita Paraenetica* appear to be translated in fragments under the name of Hesuchius, and later its complete version was translated by Ephrem Metsire (XI century) but it is known as the one under the authorship of Nilus.

This study shares the opinion that the work actually belongs to the Origenist author Evagrius Ponticus, but was spread in the Greek manuscript tradition under the names of Hesuchius and Nilus, therefore, their ancient Georgian translations were also influenced by the tradition mentioned above.

In this essay, the translation of the second part of the text done by Ephrem Mtsire - *Sententiae* – is published for the first time, (Γνωμαί: 6583b). It is compared with the existing Greek versions, and is accompanied with a table of juxtapositions of the *sententiae* in Georgian and Greek versions is given.

გონა ცუხიშვილი

**„მარტყობამ ორგეოტთამ“ ღა სეეკლესიო
ტრალიცია**

გორა ცუხიშვილი

თეოლოგიის მაგისტრი

GOTCHA TSUKHISHVILI

Master of Theology

ხელმძღვანელი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ლელა ხაჩიძე

SUPERVISOR

Doctor of Philological Sciences
Lela Khachidze

შესავალი¹

ორმოცი სებასტიელი მოწამე კარგადაა ცნობილი ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში და, შესაბამისად, ქრისტიანულ ხელოვნებაში. მათი „ცხოვრება“ ადრევე უთარგმნიათ ქართულად. ეს თარგმანები დაცულია რიგ ქართულ ხელნაწერებში, რომელთა უმეტესობა „მრავალთავეს“ წარმოადგენს.

„ორმეოცთა მარტვილობის“ ქართული თარგმანების ტექსტობრივი თავისებურებები და წარმომავლობა შესწავლილია აკად. ილ. აბულაძის მიერ. სამეცნიერო ლიტერატურაში ნაწილობრივია განხილული ამ თხზულების გამომდინარე ძველ ქართულ მწერლობაში.

„ორმეოცთა მარტვილობა“ მრავალმხრივ იმსახურებს ყურადღებას. ნაშრომის მიზანია ამ მნიშვნელოვანი ძეგლის სხვადასხვა კუთხით შესწავლა. ეს გულისხმობს საღვთისმეტყველო კვლევას, თხზულების მიმართების შესწავლას ამავე თემაზე შექმნილ ჰომილეტიკურ ნაწარმოებებთან — წმინდა ბასილი დიდისა და წმინდა გრიგოლ ნოსელის თხზულებებთან. საყურადღებოა მათი სხენების შესწავლა ლიტურგიკული თვალსაზრისითაც. ქართული თარგმანები საშუალებას იძლევა დაზუსტდეს მარტვილთა სახელები და რაოდენობა.

ეს საკითხები, ვფიქრობთ, ყურადღებას იმსახურებს არა მხოლოდ ქართული თარგმანების, არამედ ბერძნული ორიგინალის კვლევისათვისაც.

ძეგლის საგანგებოდ კვლევამ განაპირობა სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე არსებული ზოგიერთი მოსაზრების დაზუსტება.

ნაშრომში საგანგებოდ განვიხილეთ მათ სახელზე საქართველოში არსებული ეკლესია-მონასტრები, რაც, აგრეთვე, მოწმობს მათ ცნობადობას.

¹ გოჩა ცუხიშვილის სამაგისტრო ნაშრომი იბეჭდება შემოკლებული და გადამუშავებული სახით.

თავი I

**პეგლის ვეხველი ხელნაწერებისა და ქართული თარგმანის
წარმოშობის საკითხი**

ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს შორის, რომლებიც XI საუკუნემდეა გადაწერილი, ზოგიერთი რამდენიმე ნუსხით მოიპოვება. ისინი, ჩვეულებრივ, ერთი და იმავე ან განსხვავებული რედაქციისაა. ეს სხვადასხვაობა შეიძლება აიხსნას იმით, რომ ერთი მათგანი მეორის გადაკეთებულ, შეჯერებულ ნიმუშს წარმოადგენს, ანდა იმით, რომ ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლადაა წარმოქმნილი. XI საუკუნემდე გადაწერილ „მრავალთავებში“ დაცული თხზულებები, რომელთა უდიდესი ნაწილი თარგმნილია, უმეტესად ერთი რედაქციისაა, მაგრამ ვხვდებით განსხვავებული რედაქციის მქონე ძეგლებსაც.

ძველ „მრავალთავებში“ დაცული ერთი და იმავე რედაქციის თხზულებანი ერთმანეთს ზედმიწევნით არ ემთხვევა. ეს გარემოება გასაგებიცაა, რადგან ისინი ერთი და იმავე ხანას ან ერთი და იმავე სალიტერატურო წრეს არ ეკუთვნის, რასაც ორთოგრაფია და ლექსიკური სხვაობანიც მოწმობს. ლექსიკური ცვლილებანი ასეთ შემთხვევებში, როგორც ირკვევა, სინონიმებს არ სცილდება, ისევე როგორც ორთოგრაფიული ცვლილებები.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ნუსხები ცალკე რედაქციებს წარმოადგენს. ეს, უმეტესად, დამოუკიდებელი თარგმანებია, შესრულებული ან ერთი და იმავე, ან სხვადასხვა ენიდან. სწორედ ამგვარი ვითარებაა „ორმეოცთა მარტვილობის“ ტექსტის შემთხვევაშიც, რომელსაც ზოგჯერ „სებასტიელთა მარტვილობასაც“ უწოდებენ.¹

„ორმეოცთა მარტვილობის“ ტექსტი დაცულია „პარხლის მრავალთავში“, სანკტ-პეტერბურგის ერთ პალიმფსესტურ „მრავალთავში“, „უდაბნოს მრავალთავსა“ და „მარტვილობათა“ ერთ-ერთ ძველ კრებულში.² ასევე, როგორც აკად. კორნელი კეკელიძე გვამცნობს, ძველი დაცულია ბოდლეს წიგნთსაცავში და, აგრეთვე, ათონის ცნობილ „მრავალთავში“.³

სანკტ-პეტერბურგის პალიმფსესტური ხელნაწერი იქ მიუტანია გიორგი ავალიშვილს იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან. ამ ნუსხის ფრაგმენტი საინტერესო ხელწერითაა შესრულებული.

„სებასტიელთა მარტვილობის“ შემონახული პალიმფსესტური ნაწყვეტის ტექსტი თითქმის არაფრით განსხვავდება „მარტვილობის“ იმ სრული ტექსტიდან, რომელიც შესულია H-1708 ფონდის ხელნაწერში. აღნიშნული ხელნაწერის „აღწერილობაში“ მითითებულია, რომ იგი შეიცავს 77 ფურცელს; მომგებელია იოვანე ინჩუხისძე [XI ს.];

1 აბულაძე 1975: 91.

2 აბულაძე 1975: 92.

3 აბულაძე 1975: 92-93.

ჩამოტანილია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ნიკორწმინდის ეკლესიიდან.¹ ისიც ეტრატბეა დაწერილი, მაგრამ ნუსხურად და XI საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს.

პეტერბურგული ნუსხის ფრაგმენტი მრგვლოვანი ნაწერითაა შესრულებული, რომელსაც, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, IX-X საუკუნეებს განუკუთვნებენ.²

„უდაბნოს მრავალთავი“ არაუგვიანეს X საუკუნისაა (შეიძლება IX საუკუნესაც ეკუთვნოდეს) და, ამდენად, იგი პეტერბურგულ ხელნაწერზე გვიანდელი არ არის. ისიც მრგვლოვანი ხელითაა შესრულებული. ამრიგად, ძეგლის სხეულებული ნუსხები, რომლებსაც ტექსტობრივი მსგავსება ახასიათებთ, IX-XI საუკუნეების ხელნაწერებს წარმოადგენს.

„ორმეოცთა მარტვილობის“ ტექსტი სრული სახით დაუცავს კიდევ ერთ ძველ ხელნაწერს. ეს ხელნაწერია ე. წ. „პარხლის მრავალთავი“ (A-95, 422-432), რომელიც XI საუკუნის დამდეგს განეკუთვნება.

საინტერესოა, თუ რა სახის სხვაობაა ამ ნუსხებს შორის.

შინაარსის თვალსაზრისით, აღნიშნული ნუსხები მიჰყვებიან ერთმანეთს. მცირე რაოდენობით გვხვდება ისეთი წინადადებებიც, რომლებშიც ერთს მეორესთან შედარებით მეტი დანართი მოეპოვება, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი გადამწერის ხელიდან არაა გამოსული, არამედ დამოუკიდებლად უნდა მომდინარეობდეს ისეთი უცხო დედნიდან, რომელიც ახლოს მდგარა მეორის დედანთან და მისგან ოდნავ განსხვავებული სახისა ყოფილა.³

ილია აბულაძის კვლევების შედეგად ირკვევა, რომ „ორმეოცთა მარტვილობის“ ტექსტის ქართული თარგმანი, რომელიც „პარხლური“ რედაქციით არის ჩვენამდე მოღწეული, უდავოდ სომხურიდან მომდინარეობს და გარკვეული ადგილების უფრო ზედმიწევნით, ანუ სიტყვა-სიტყვით თარგმნასაც წარმოადგენს პირველ რედაქციასთან⁴ შედარებით.

ძეგლის მეორე რედაქცია,⁵ რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმე ნუსხით არის წარმოდგენილი ძველ „მრავალთავებში“, დედანთან მიმართებით რაიმე საგანგებო განსხვავებას არ გვიჩვენებს. კვლევის საფუძველზე დგინდება, რომ ისიც სომხური დედნიდან მომდინარეობს, რასაც თვითონ სომხურისა და ქართული წიგნების ტექსტობრივი სიახლოვეც მოწმობს.⁶

„ორმეოცთა მარტვილობის“ ქართული თარგმანის შემცველი ნუსხების უმრავლესობა,

1 აღწერილობა 1950: 137.

2 აბულაძე 1975: 93.

3 აბულაძე 1975: 94.

4 პირველ რედაქციაში ივულისხმება სანკტ-პეტერბურგის პალიმფსესტური ხელნაწერის (№158, 1038 წ.), უდაბნოს მრავალთავისა (A 1109, IX-X სს.) და „ორმეოცთა მარტვილობის“ (H 1708, XI ს.) (პირველი ორისგან განსხვავებით, ეს ტექსტი სრული სახითაა შემონახული) ტექსტები – გ. ც.

5 ივულისხმება პარხლის მრავალთავში (A 95, XI ს.) დაცული ტექსტი – გ. ც.

6 აბულაძე 1975: 94.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარხლურისგან განსხვავდება. ისინი ერთ დამოუკიდებელ რედაქციას ქმნიან და, შესაბამისად, ძეგლის ორი რედაქცია მოგვეპოვება.

ერთი რედაქციის შემცველი ნუსხები, როგორც ვნახეთ, IX–XI საუკუნეების ფარგლებში თავსდება, მეორე კი, რომელიც ერთი ნუსხით არის ჯერჯერობით ცნობილი („პარხლურით“), XI საუკუნეს მიეკუთვნება. ცხადია, პირველი IX საუკუნემდე იქნება ნათარგმნი, ხოლო მეორე — XI საუკუნემდე. მაინც რა დროს არის შესრულებული ან ერთი ან მეორე?

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ორივე რედაქციისთვის წყაროდ სომხური დასტურდება. გაირკვა, რომ მთარგმნელები ერთნაირ რედაქციას იღებენ წყაროდ. მათი დედნები ურთიერთისგან იმით განსხვავდება, რითაც, საზოგადოდ, ერთი და იმავე ტექსტის ცალკეული ნუსხები: მცირეოდენი შესწორებითა და ლექსიკური ცვლილებებით, რომლებიც გადამწერის ხელით სრულდება ხოლმე ჩვეულებრივ. გამოვლინდა ისიც, რომ პარხლურს სომხურობის კვალი უფრო ატყვია, ვიდრე პირველ რედაქციას.¹ სომხურიდან თარგმნა ძველად, IX–XI საუკუნეებამდე (რა პერიოდისაცაა „მარტვილობის“ შემცველი ნუსხები), შესაძლებელი იყო, თუმცა ამ მხრივ უფრო მეტად მთარგმნელობით საქმიანობას VII–VIII საუკუნეებამდე ეწეოდნენ. ამ დროიდან სომხურიდან თარგმნა თანდათანობით შენელდა, რადგან ქართლისა და სომხეთის ეკლესიათა გზების გაყრა ხელს აღარ უწყობდა ლიტერატურულ წრეთა თანამშრომლობას. მართალია, X საუკუნეში ჯერ კიდევ შეინიშნება სომხურიდან თარგმნა ქართულად, მაგრამ უკვე შეზღუდული სახით. ქართული და სომხური ლიტერატურული წრეების აქტიური ურთიერთობის მოშლის გამო ეს ახალი თარგმანები აღარაა ისე გამოკვეთილი და გამართული სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით, როგორც ეს წინარე პერიოდში ხდებოდა.

თუ ამ მხრივ განვიხილავთ „ორმეოცთა მარტვილობის“ ქართულ რედაქციებს, შევნიშნავთ, რომ ისინი თავისი განწყობით, ასევე, ენობრივადაც, იმ ხანის თარგმანებს უნდა წარმოადგენდნენ, როცა ქართულ–სომხური ლიტერატურული წრეების კავშირი ვრცელი და მჭიდრო იყო. ამ თვისებით უფრო მეტად ის რედაქციაა გამორჩეული, რომელიც H-1708 ხელნაწერშია წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, ცხადია, ადრინდელიც სწორედ ეს უნდა იყოს, ხოლო მასთან შედარებით, უფრო გვიანდელი ის რედაქცია ჩანს, რომელიც „პარხლის მრავალთავს“ დაუცავს, რადგან მეორესთან შედარებით მას გარკვეულ ეპიზოდებში დედანთან მიმართებით სიტყვა–სიტყვითი მსგავსება ახასიათებს.

ამრიგად, ცნობილი ქართველოლოგისა და არმენოლოგის — ილ. აბულაძის კვლევების თანახმად:

ქართულად მოიპოვება „მარტვილობის“ ორი რედაქცია;

ორივე რედაქცია წარმოადგენს ძველ თარგმანს, რომლებიც ერთ ხანაში უნდა იყოს

შესრულებული, კერძოდ, V-VIII საუკუნეებში;

ერთი და მეორე სომხურიდანაა ნათარგმნი;

დედნის კვალი და გავლენა უფრო მეტად იმ რედაქციას ეტყობა, რომელიც დაუცავს „პარხლის მრავალთავს“ (A-95). მეორე რედაქციას, რომელიც H-1708 ხელნაწერშია შემონახული, დედნის გავლენის კვალი შედარებით ნაკლებად ამჩნევია, აქედან გამომდინარე, მისი თარგმნაც შეიძლება უსწრებდეს პირველისას.

თავი II

„სებასტიელთა მარტვილობის“ ასახვა კველი ქართული

სასულიერო მწერლობის კვლევაში

„სებასტიელთა მარტვილობის“ გამოძახილი ძველ ქართულ ორიგინალურ მწერლობაში ნაწილობრივ მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, რომ სებასტიელ მარტვილთა შესახებ არსებობს წმინდა ბასილი კესარიელის ჰომილია, რომელიც ხელთ ჰქონია „აბო ტფილელის წამების“ ავტორს — იოანე საბანისძეს.¹

კორნელი კეკელიძის ამრით, იოანე საბანისძეს უსარგებლია წმინდა ბასილი დიდის ნაშრომით და მისგან დასაწყისი სიტყვებიც კი აუღია თავისი თხზულებისათვის:

„ხოლო იგინი მოვიდეს და აღიღეს ქუეყანით პატიოსანი იგი გუამი ქრისტესს მოწამისად მის და შთადვეს იგი გულაგსა მას აღსაკიდებელსა სამოსლით მისითურთ, და სისხლი იგი დათხეული მართლისად მის აღმოთხარეს ქუეყანით და რადთურთით არა დაუტევეს ქუეყანასა და იგიცა შთადვეს ჭურჭერსა შიდა. და დადვეს წმიდად იგი ურემსა ზედა, მსგავსად *მწენთა მათ წმიდათა ორმეოცთა, რამეთუ სადაცა მოჰკუეუთეს თავი წმიდასა მას მოწამესა, კართა ზედა იყო წმიდისა ეკლესიისათა, რომელი სახელად წმიდათა მათ ორმეოცთა დაფუძნებულ იყო, წესვე ეგრე იყო*, რადთა ემსგავსოს იგი ახოვანთა მათ წმიდათა ორმეოცთა“.²

დამოწმებული მონაკვეთი შევუდარეთ როგორც წმინდა ბასილი დიდის ჰომილიას, ისე „სებასტიელთა მარტვილობის“ ტექსტს. შედარებამ გვიჩვენა, რომ იოანე საბანისძე ტექსტს წმინდა ბასილი დიდის ჰომილიით კი არ უნდა იცნობდეს, არამედ „წამების“ წიგნით. ეს ეპიზოდები „მარტვილობაში“ უფრო ცხადად არის ნაჩვენები, ვიდრე ჰომილიაში, სადაც მოკლედ არის მითითებული წამების ამა თუ იმ მომენტზე.

„სებასტიელთა მარტვილობის“ გამოძახილი უფრო ადრეც გაისმის ჩვენს მწერლობაში. „ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში“ ვკითხულობთ: „უფალო ღმერთო,

1 კეკელიძე 1980: 477.

2 ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა 2005: 1090.

ყოვლისამპყრობელო, რომელსა ყოველთა კაცთად გნებავს ცხოვრებად, რომელნი ესვენ სარწმუნოებით სახელსა წმიდასა შენსა, რომელმან ისმინე ლოცვად პირველთა მათ მოწამეთად, რომელნი პირითა მახვლისადათა მოსწყდეს, **რომელნიმე ტბასა შინა ყინელითა**, რომელნიმე ზღუასა შინა შთაყრითა მოსწყდეს, რომელნიმე ცეცხლით და რომელნიმე მკვცთა მიერ შეიჭამნეს სახელისა შენისათვის და მოიღეს შენმიერი იგი აღთქუმული“.¹

„ვესტამი მცხეთელის წამების“ ავტორს, როგორც ეს კორნელი კეკელიძემ შენიშნა, სიტყვებით: **„რომელიმე ტბასა შინა ყინელითა მოსწყდეს“** — ნაგულისხმევი ჰყავს ორმოცი მოწამე,² რომელთა „წამების“ წიგნშიც დაწვრილებით არის საუბარი, როგორც ტბაზე, ისე ყინულზე, რა ვითარებაშიც ისინი ეწამნენ. მართალია, წმინდა ბასილი დიდის ეხება ამ საკვანძო ადგილებს, მაგრამ რატომაა მისი ჰომილია და არა თვით „წამების“ წიგნი ქართველი ჰაგიოგრაფის უშუალო წყარო, არსადაა აღნიშნული კ. კეკელიძის გამოკვლევებში.

ორმოცი მოწამის წმინდა ნაწილები მოხსენიებულია „წმინდა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“: „ვითარცა პირველ ვთქუ, ღმრთივგანბრძნობილმან ამან მამამან გამოიყვანა მარჯუენე იგი განმაცხოველებელი, რომელმან ჩუენ განგუანათონა, და უქმნა გუადრუცი შუენიერი და მუნ შინა შთაუსვენა სხუათა წმიდათა ნაწილთა თანა წმიდისა სტეფანე პირველმოწამისადა, წმიდისა ეგნატი ღმერთშემოსილისადა, წმიდისა იაკობ დაჭრილისადა, წმიდათა კომმან-დამიანეთა არაბიელთადა, **წმიდათა ორმოცთადა**, წმიდისა პანტელეიმონისი და სხუათა მრავალთა წმიდათა ევლოგიები“.³

წმინდა გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფი — გიორგი მცირე გვამცნობს, თუ რა წმინდა ნაწილებს ინახავდა ათონელი მოძღვარი ევლოგიათა სანაწილეში. წმინდა ნაწილი არის წმინდანის უხრწნელი სხეულის მონაკვეთი, რომელსაც ქრისტიანები განსაკუთრებულ პატივს სცემენ და შემწეობას სთხოვენ. ის, როგორც დიდი სიწმინდე, მიღებული იყო პირველქრისტიანთა დროიდან. გამომდინარე იქიდან, რომ წმინდანს არის სულიწმინდის ტაძარი, მსგავსად პავლე მოციქულის სიტყვებისა: „არა უწყითა, რამეთუ გუამი თქუენი ტაძარ თქუენ შორის მყოფისა მაგის სულისა წმიდისა არს“? (1 კორ. 6, 19), მისი წმინდა ნაწილის თაყვანისცემა ხდება როგორც სულიწმინდის მადლით განმსჭვალულისა. წმინდა ნაწილების თაყვანისცემის საფუძველია, აგრეთვე, სასწაულებრივი კურნებანი, რომლებიც მათი საშუალებით აღესრულება. წმინდა ნაწილებით განიკურნება ყველა, ვინც კი მათ რწმენითა და სასოებით შეეხება. ეკლესიის სწავლებით, წმინდა ნაწილებს ისეთივე პატივი უნდა მიეგებოდეს, როგორც ხატებს. ქრისტიანობის პირველსაუკუნეებში ღვთისმსახურება სრულდებოდა წმინდანთა საფლავებზე. უკვე III საუკუნეში, დასავლეთის

1 ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა 2005: 477.
 2 კეკელიძე 1935: 45-46.
 3 ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, III, 2008: 498.

ეკლესიის გავლენით, დამკვიდრდა წესი, რომლის მიხედვითაც წირვა შეიძლება შესრულდეს მხოლოდ წმინდა მოწამეთა ნაწილებზე. კართაგენის V საეკლესიო კრების დადგენილებით, არცერთი ეკლესია არ უნდა ამენდეს მოწამეთა წმინდა ნაწილების გარეშე. ამჟამად, მართლმადიდებლურ ყოველ ტაძარში არის რომელიმე კონკრეტული წმინდანის ნაწილი, რომელიც ჩაკერებულია ოდიკში.¹

წმინდა ორმოცი სებასტიელი მოწამის წმინდა ნაწილები წმინდა გიორგი მთაწმინდელის ლუსკუმაში განთავსებული იყო შემდეგ წმინდანთა გვერდით: 1. წმინდა სტეფანე პირველმოწამე,² 2. წმინდა ეგნატი ანტიოქიელი (ღმერთშემოსილი),³ 3. წმინდა იაკობ დაჭრილი,⁴ 4. წმინდა მკურნალნი კობმა და დამიანე,⁵ 5. წმინდა დიდმოწამე პანტელეიმონი.⁶

1 საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი 2007: 968.

2 წმინდა სტეფანე მოციქული (სამოცდაათთაგანი), პირველმოწამე და მთავარ-დააკონი. წმინდა სტეფანე მოწამეობრივად აღსრულებული პირველი ქრისტიანი იყო, რომელიც იუდეველებმა ღმერთის გმობისა და მოსეს სჯულის დარღვევის ცილისწამებით ეჭვით ჩაქოლეს ქრისტეს შობიდან დაახლოებით 34 წელს. 415 წელს საღვთო ჩვენების შედეგად აღმოყვანებულ იქნა სტეფანე პირველმოწამის უხრწელი ნაწილები, რომლებიც იერუსალიმში, სიონის ტაძარში გადააბრძანეს (წმიდათა ცხოვრებანი, წიგნი II, 2008: 563-564). წმინდა სტეფანე პირველმოწამის შესახებ მოვიხმობთ ამონარიდს წმინდა გრიგოლ ნოსელის ქადაგებიდან: „რამეთუ ვითარცა რაჲ ცეცხლი შეეხის ნიეთსა წმელსა და მომზავებელსა მსწრაფლ აღნთებდა და მეყსეულად სიმაღლედ აღუტევის ალი და უმეტესი გამოაჩინის ძალი ბუნებისა თვისისაჲ, ეგრეთვე სული წმიდაჲ შორის სტეფანესსა დაემკვდრა და განისუენა და ყოვლითურთ შეგზავა სულისა მისისა სიკეთესა და მიერ განვიხნა ბრწყინვალედ შარავანდენი მადლოთანი“ (წმინდა გრიგოლ ნოსელი 2016: 177).

3 I-II საუკუნეების ანტიოქიის ეკლესიის მღვდელმთავარი წმინდა ეგნატი ღმერთშემოსილი. საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, ნეტარი სწორედ ის ყრმა იყო, რომელიც მაცხოვარმა მოწაფეებს შორის დააყენა და თქვა: „უკეთუ არა მოიქცეთ და იქმნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა“ (მათ. 18, 3). მოგვიანებით წმინდა ეგნატი წმინდა იოანე ღვთისმეტყველს დაემოწაფა და, მოციქულთა კრების გადაწყვეტილებით, ანტიოქიის ეპისკოპოსად იქმნა დაღვინებული (წმინდანი ანტიოქიის მეორე მღვდელმთავარი იყო სამოცდაათთაგანი მოციქულის, ევლდის შემდგომ) (წმიდათა ცხოვრებანი, წიგნი II, 2008: 550).

4 წმინდა იაკობ დაჭრილი, იგივე იაკობ სპარსი, რომელიც 421 წელს მოწამეობრივად აღსრულა – მას ნაწილ-ნაწილ ჯერ ხელისა და ფეხის თითები, შემდეგ ხელ-ფეხი და ბოლოს თავი მოჰკვეთეს (იხ. წმიდათა ცხოვრებანი, წიგნი II, 2008: 348).

5 უვერცხლო მოწამენი კობმა და დამიანე ეროვნებით არაბები იყვნენ, რომლებიც მოღვაწეობდნენ III საუკუნის მეორე ნახევარსა და IV საუკუნის დასაწყისში. ისინი სახარებას ქადაგებდნენ და ქრისტეს ძალით სწეულენ კურნავდნენ. გაწეული სამსახურისთვის კი არანარი საზღაურს არ ითხოვდნენ. კილიკიაში წარმართებმა მკურნალნი შეიპყრეს და მმართველ ლისიუსთან მიიყვანეს. უსჯულომ ქრისტიანული სარწმუნოების უარყოფა მოითხოვა მათგან, რაზეც მარტივებმა მტკიცე უარი განაცხადეს. ამისთვის, ლისიუსის ბრძანებით, წმინდანები სასტიკად გვემეს და ზღვაში ჩაყარეს, მაგრამ ანგელოზმა ისინი მორევიდან ზღვის ნაპირზე გამოიყვანა. მაშინ წარმართებმა უფლის რჩეულებს თავები მოჰკვეთეს. წმინდა გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებაში“ ნახსენებ „კობმან-დამიანეთა არაბიელთა“-ში იგულისხმებიან ჩვენ მიერ ხსენებული წმინდანები, რამდენადაც სწორედ ისინი არიან არაბებად დასახლებულნი, განსხვავებით თითქმის იმავე პერიოდსა და იმავე რეგიონში მოღვაწე კობმა და დამიანე ასიელთა (ხსენების დღე პირველი ნოემბერი) და კობმა და დამიანე რომაელთაგან (ხსენების დღე პირველი ივლისი) (იხ. წმიდათა ცხოვრებანი, წიგნი II, 2008: 348-349).

6 წმინდა დიდმოწამე და მკურნალნი პანტელეიმონი, რომელიც ქრისტეს აღმსარებლობისთვის ხეზე დაჰკიდეს, რჯინის სათითებო „ხუეტეს“ და „დაბძარეს“ მისი სხეული,

ასეთ უდიდეს მოღვაწეთა წმინდა ნაწილებთან ერთად ჰქონდა დაუნჯებული წმინდა გიორგი მთაწმინდელს ორმოცი სებასტიელი მოწამის ნაწილებიც, რაც ამოწმებს იმას, თუ როგორი დიდი პატივი მიეგებოდათ მარტვილებს ეკლესიაში.

თავი III

სებასტიელ მოწამეთა სახელები და რაოდენობა ქართულ

თარგმანების მიხედვით

H-1708 ხელნაწერში, რომელიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ჩამოთვლილია სებასტიელ მოწამეთა სახელები. სებასტიელთა წამების ხსენების დღედ განსაზღვრულია 9 მარტი (საეკლესიო სტილით) — „თთუესა მარტსა თ“. აი, კონკრეტულად მოწამეთა სახელები ხსენებული ნუსხის მიხედვით:

„წამებაჲ წმიდათა ორმოცთაჲ, რომელნი იწამნეს სებასტია ქალაქსა, რომელთა სახელები ესე არს:

დომენტიანესი, ვალენტისი, ვესუქისი, ივლიანესი, სმარაგდესი, სისინისი, მელიტონისი, ფილეკტიმონისი, ჰელაკრედესი, კუირიონისი, ალექსანდრედესი, ბებიანედესი, ლისიმაქედესი, კლავდესი, ილისი, დომენტიანედესი, ათანასისი, პრისკქსი, კუირილედესი, ვესტოქისი, ენკედესი, ფლავისი, ქსანთისი, ლეონტისი, სევერიანედესი, აგვიანესი, ეკლიკისი, აენტისი, აკაკისი, ნიკოლაოზისი, იოვანესი, ქოდიონისი, გაესისი, კანდიდესი, საკერდონისი, გორგონისი, თევდოლქსი, თეოფილედესი, მარკიანედესი, ვალერიანედესი“.¹

სებასტიელ მოწამეთა სახელები ჩამოთვლილია A-95 ხელნაწერშიც:

„თთუესა მარტსა :თ.: წამებაჲ წმიდათა ორმოცთაჲ, რომელნი სებასტიას იწამნეს, რომელთაჲ სახელები ესე არს:

დომენტიანოს, ვალის, ენუკოს, ფლავიოს, სისინოს, მელიტოს, ფილოქტისთონ,

ანთებული ლამპრებით დაუდალეს ადულტერულ ტყვიამი გადაადგეს, ყელზე ლოდგამომბული ზღვაში ჩაავდეს, მხეცემს მიუგდეს დასავლეჯად, ურმის თვალზე დააბეს და დიდი სიმალილიდან დააქანეს, რათა ნაკურ-ნაკურ დაჭრილიყო, მაგრამ უფლის გამოცხადებით გამხნევებული მოწამე უფლისავე ძალით სრულიად უვნებელი გამოვიდა სატანჯველებიდან. ნათლობამდე დიდმოწამეს პანტოლონი (გერმ. Παντολέον – „ყოვლითურთ ლომი“) ერქვა, ხოლო მისი მოწამეობრივი აღსასრულისას ზეციურმა ხმამ სასუფევლისკენ მოუწოდა ნეტარს და ამცნო, „ამიერითგან არღარა გეწოდოს შენ სახელი პანტოლონ, არამედ პანტელეიმონ (გერმ. Παντελήμων – „ყოვლადმოწყალე“) იყოს სახელი შენი, რომელ არს: ყოველთა მოწყალეთაჲ, რამეთუ იყავ ყოველთა კაცთა მოწყალე, და შენ იყავ ნავთსაყუდელ მყედრო, რომელნი მოივლტოდინ შენდა, და ჭირვეულთა შემწე და განწირულთა ჴელისამწყრომელ და ბოროტთა სულთა განმდევნელ“. საბოლოოდ, წმინდა პანტელეიმონს თავი მოჰკვეთეს 305 წელს. მისი უხრწნელი ნაწილები მთელს ქრისტიანულ სამყაროშია განაწილებული. პატიოსანი თავი ათონზე, წმინდა პანტელეიმონის სახელობის რუსულ მონასტერში ინახება (წმიდათა ცხოვრებანი, წიგნი I, 2008: 83-86).

¹ აბულაძე 1975: 103.

ერაკლიოს, კვრიონ, ალექსანდროს, ვალერიოს, ევტექოს, ბაბინოს, ლუსიმახოს, კლავდიდოს, ელიას, დომინიოს, ათანასი, პრისკოს, მელიტონ, კვრილოს, ეტექოს, ვალენტიანოს, სამარაგდოს, ლეონტიოს, სევერიანოს, ანგეას, ეგდიკიონ, ავენტიანოს, აკაკიოს, ნიკოლაოს, იოჰანწ, ქუდიონ, გალიოს, კანდიტოს, საკერდონ, გორგიანონ, თეოდოლოს, თეოფილოს, ანგიოს“.¹

წმინდა ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელთა ჩამონათვალს, ასევე, ვხვდებით სადღესასწაულოში:

„გალობასა შინა გალობით შევასხმიდეთ, მორწმუნენო, ვნებათა მოთმინეთა ოთხ-ათეულთა მოწამეთა, და მათდა მიმართ ტკბილითა გალობითა ვღაღადებდეთ, მეტყუელნი: გიხაროდენ, მოღუაწენო ქრისტესნო: ისუქი, მელიტონ, ირაკლი, სამარაგდოს, დომნოს, ევნიკოს, უვალენტიანე, ბაბიანოს, კლავდი და პრისკოს; გიხაროდენ, თეოდულე, ევტექი, იოანე, ქსანთი, ილიანოს, სისინი, კვრიონ, ანგია, აეტი და ფლაბიანე; გიხაროდენ, აკაკი, ევდიკი, ლუსიმაქოს, ალექსანდრე, ელია, ელისე, გორგონ, თეოფილე, დომენტიანე, საღმრთო გაიოს და გორგონ; გიხაროდენ, ევტექი, ათანასი, კვრილე და საკერდონ, ნიკოლაოს და ვალერიანე, ფილეკტემონ, სევერიანე და ქუდიონ, ვითარცა მქონებელთა კადნიერებისათა ქრისტეს მიმართ, ღმრთისა ჩუენისა, მოწამენო ყოვლადპატიოსანნო, მას ღმობიერად ევედრენით ცხორებად სარწმუნოებით აღმასრულებელთა ყოვლადპატიოსნისა წესნებისა თქუენისათა“.²

სახელების ჩამონათვალთა შედარება-გაანალიზების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ, მართალია, სამივე ჩამონათვალში არის რიცხვი ორმოცი, მაგრამ თავად სახელებში მცირე სხვაობები აღინიშნება: A (H-1708) ნუსხაში არის რამდენიმე სახელი (მაგ.: ივლიანე, ქსანთი, მარკიანე), რომლებიც არ იკითხება B (A-95) ნუსხაში და, თავის მხრივ, ამ უკანასკნელშიც გვაქვს სახელი (მაგ.: ვალის), რომელიც არ იკითხება პირველ რედაქციაში. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც განმეორებული სახელები B ნუსხაში, რომლებიც არ იძებნება A-ში, მაგალითად, მელიტოს — მართალია, პირველ რედაქციაში არის სახელი „მელიტონი“, ხოლო B-ში მსგავსი ორი სახელია: „მელიტოს“ და „მელიტონ“; უკანასკნელი, ბუნებრივია, პირდაპირ ეთანადება პირველი რედაქციის სახელს, ხოლო „მელიტოს“-ის მსგავსი მასში არ არის. კიდევ: მეორე რედაქციაში (B ნუსხაში) ორი მსგავსი სახელია — „ანგიას“ და „ანგიოს“, რომელთაგან ერთ-ერთი მიესადაგება პირველი რედაქციის „აგვიად“-ს, ხოლო მეორე სახელს არცერთი არ ეთანადება. კიდევ უფრო განსხვავებული ვითარებაა სადღესასწაულოში მოცემულ მოწამეთა სახელებთან დაკავშირებით, კერძოდ — ორ-ორჯერ მეორდება სახელები „ევტექი“ და „გორგონ“, ამასთან, აქ არის „ელისე“, რომელიც არ შეესაბამება „მარტვილობის“ ტექსტის არცერთ რედაქციას. მათში მოცემულია „ილი“ და „ელიას“, რომელი სახელიც არის

1 აბულაძე 1975: 103.

2 სადღესასწაულოდ. ტ. III, 2013: 7.

სადღესასწაულოს ტექსტში — „ელია“, მაგრამ მას შემდეგ მოჰყვება „ელის“.

თვალსაჩინოებისთვის ცხრილის სახით დავურთავთ სებასტიელი მარტიკლების სახელთა ჩამონათვალს, რათა უკეთ იყოს შესაძლებელი განსხვავებების შემჩნევა.

A რეაქცია	B რეაქცია	სადღესასწაულოს ტექსტი
1. დომინიანი	1. დომინიანოს	1. ისჯი
2. ვაღნა	2. ვაღოს	2. ვაღნა
3. ვაგნა	3. ვაგნოს	3. იტალი
4. ივლიანი	4. ივლიანოს	4. სებასტიანოს
5. სებასტიანი	5. სებასტიანოს	5. დომინოს
6. სინი	6. ვაღნა	6. ვაგნოს
7. ვაღნა	7. დომინიანოს	7. ვაღნა
8. დომინიანი	8. იტალი	8. სებასტიანი
9. ვაგნა	9. სინი	9. კლავდი
10. ივლიანი	10. ვაღნა	10. სინი
11. სებასტიანი	11. დომინიანოს	11. დომინოს
12. სინი	12. ვაგნოს	12. ვაგნა
13. დომინიანი	13. სებასტიანოს	13. ივლიანი
14. კლავდი	14. დომინიანოს	14. სინი
15. ივლიანი	15. ვაღნა	15. დომინოს
16. დომინიანი	16. ვაგნა	16. სინი
17. სებასტიანი	17. დომინიანოს	17. ვაგნოს
18. სინი	18. ვაღნა	18. სებასტიანი
19. ვაგნა	19. დომინიანოს	19. ვაგნა
20. ივლიანი	20. ვაღნა	20. დომინიანი
21. ვაღნა	21. იტალი	21. სებასტიანი
22. დომინიანი	22. ვაგნოს	22. ვაგნა
23. სებასტიანი	23. დომინიანოს	23. დომინიანოს
24. სინი	24. სებასტიანოს	24. სებასტიანი
25. დომინიანი	25. დომინიანოს	25. ვაგნა
26. სებასტიანი	26. სებასტიანოს	26. ვაგნა
27. ვაგნა	27. სებასტიანი	27. დომინიანი
28. სინი	28. ვაღნა	28. დომინიანი
29. ვაგნა	29. დომინიანოს	29. დომინიანი
30. დომინიანი	30. ვაგნოს	30. სინი
31. ივლიანი	31. დომინიანოს	31. დომინიანი
32. დომინიანი	32. ივლიანი	32. ვაგნა
33. სებასტიანი	33. დომინიანი	33. სებასტიანი
34. ვაგნა	34. ვაღნა	34. ვაგნა
35. სებასტიანი	35. სებასტიანი	35. სებასტიანი
36. დომინიანი	36. სებასტიანი	36. დომინიანი
37. დომინიანი	37. დომინიანი	37. ვაგნა
38. დომინიანი	38. დომინიანი	38. დომინიანი
39. ვაგნა	39. დომინიანი	39. სებასტიანი
40. ვაგნა	40. სინი	40. ვაგნა

წმინდა ორმოც სებასტიელ მოწამეს შორის არის ბერძნული, ლათინური, ებრაული და სპარსული წარმომავლობის სახელები. რაც შეეხება მოწამეთა რიცხვს, აღსანიშნავია, რომ **ორმოცი** ძველთაგანვე საკრალურად მიიჩნეოდა:

ნოეს დროს 40 დღე და ღამე შეუჩერებლად წვიმა დედამიწაზე: „და იქმნა წვიმა ქუეყანასა ზედა ორმოც დღე და ორმოც ღამე“ (დაბ. 7, 12).¹

40 წელი ილტვოდნენ იუდეველები აღთქმული მიწისკენ: „ხოლო ძენი ისრაჲლისანი ჭამდეს მანანასა მას ორმოც წელ, ვიდრემდე მოვიდეს ქუეყანად სოფლებისა“ (გამოს. 16, 35).

40 დღე და ღამე დაჰყო მოსემ სინას მთაზე და მიიღო სჯულის სიტყვები: „და იყო მუნ მოსე წინაშე ღმრთისა ორმოც დღე და ორმოც ღამე, პური არა ჭამა და წყალი არა სუა. და აღწერნა ფიცარსა ზედა სიტყუანი ესე სჯულისანი და ათნი სიტყუანი ესე“ (გამოს. 34, 28).

40 დღე და ღამე მიდიოდა ელია წინასწარმეტყველი ქორების მთამდე: „და აღდგა, ჭამა და სუა და წარვიდა ძალითა მის საზრდელისაჲთა ორმოც დღე და ორმოც ღამე ვიდრე მთადმდე ქორებდ“ (III მეფ. 19, 8).

40 დღე და ღამე იმარხულა თვით უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ უდაბნოში: „და იმარხა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე და მერმე შეემშია“ (მათ. 4, 2).²

40 დღის მანძილზე ეცხადებოდა მაცხოვარი მოწაფეებს აღდგომის შემდეგ: „რომელთაცა წარუდგინა თავი თვისი ცხოველი, შემდგომად ვნებისა მისისა მრავლითა ნიშებითა. ორმოცთა დღეთა ეჩუენებოდა მათ და ეტყოდა სასუფეველისათჳს ღმრთისა“ (საქ. მოც. 1, 3).

„საქმე მოციქულთა“–ში წინასწარმეტყველ მოსეს შესახებ ვკითხულობთ: „და განისწავლა მოსე ყოვლითა სიბრძნითა მეგვპეტლთაჲთა და იყო იგი ძლიერ სიტყუთა და საქმითა მისითა, და ვითარცა აღესრულნეს ორმოცნი წელნი ჟამთა მისთანი, მიუჭდა გულსა მისსა მიხედვად ძმათა თვსთა, ძეთა ისრაელისათა“ (საქ. მოც. 7, 22-23).

„საქმე მოციქულთა“–ში რჩეულ ერზე საუბრისას ნათქვამია: „და ზრდიდა მათ უდაბნოსა ზედა ორმოცისა წლისა ჟამთა“ (საქ. მოც. 13, 18).

1 ძველი აღთქმის წიგნებიდან ციტატებს ყველგან ვიმოწმებთ ბიბლიის შემდეგი გამოცემიდან: ბიბლია, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბ., 2015.

2 ახალი აღთქმის წიგნებიდან ციტატებს ყველგან ვიმოწმებთ შემდეგი გამოცემიდან: ძველი ქართული ახალი აღთქმად სქოლიოებით, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ე. ჭელიძემ, თბილისი, 2017.

თავი IV

სებასტიელთა წამების ხანა

ორმოც სებასტიელ მარტვილთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია მათი მოღვაწეობისა და წამების პერიოდის დადგენა. როგორც წესი, ქრისტიანთა დევნის ამგვარი მასშტაბურობა, როდესაც იმპერია და მისი ხელმძღვანელობა წარმართულია და სასტიკად სჯის და აწამებს მორწმუნეებს, ძირითადად, პირველი ოთხი საუკუნის პერიოდშია საძიებელი, თუმცა მის შემდგომაც იყო ინდივიდუალური გამოვლინება. წამების ის ფორმა, რომელიც სებასტიელთა ცხოვრებაში აღწერილი, უფრო მეტად სწორედ დასახელებულ პერიოდს ეთანადება. საინტერესოა, არის თუ არა რაიმე ცნობა ჰაგიოგრაფიულ ძეგლში. „მარტვილობის“ ტექსტში ვკუთხულობთ: „ჟამთა მათ ლუკიანე მეფისათა იყო დევნად დიდი ქრისტიანეთა ზედა. და ყოველნი, რომელნი ცხონდებოდნენ კეთილად მსახურებითა ქრისტეს მიმართ, ხარკსაცა მისცემდეს მსაჯულსა მას აგრიკოლასს, რამეთუ იყო იგი კაცი ბილწ და გარდაგულარძნილ და მოსწრაფე აღსრულებად ნებისა ეშმაკისასა. და ქრისტეანენიცა, რომელნი ერსა მას შინა იყვნეს, აიძულებდეს მათ, რადთამცა უბოროეს“.¹

აქ დასახელებული „ლუკიანე მეფე“ იგივე იმპერატორი ლიკინიუსია, რომელიც კონსტანტინე დიდთან ერთად (რომელიც 313 წლისთვის რომის დასავლეთ იმპერიის ერთპიროვნული მმართველი გახდა), რომის იმპერიის აღმოსავლეთ რეგიონის მთავარი იყო.²

313 წლის თებერვალში ლიკინიუსმა და კონსტანტინემ ქალაქ მედიოლანში (თანამედროვე მილანი) გამოსცეს ედიქტი, რომლითაც ქრისტიანობა სახელმწიფოში დასაშვებ რელიგიად იქნა აღიარებული. ამ დოკუმენტს მილანის „რჯულშემწყნარებლური ედიქტი“ ეწოდება. ეს იყო ნებისმიერი მსურველისათვის ქრისტიანობის მიღების ყოველგვარი დაბრკოლების მოხსნა.³

ამის შემდეგ კონსტანტინემ, როგორც სახელმწიფოს უმაღლესმა ხელისუფალმა, დიდი ყურადღება მიაქცია ქვეყანაში ზნეობის ამაღლების საკითხს. იმპერატორმა აკრძალა დამნაშავეთა ჯვარზე გაკვრით სიკვდილი და სისხლიან სანახაობათა გამართვა, ამასთან, ბრძანა, ქვეყანაში განსაკუთრებულად აღენიშნათ აღდგომის დღესასწაული.⁴

მილანის ედიქტის მიუხედავად, ლიკინიუსს (კონსტანტინე დიდის სიძე [დის ქმარი]), რომელიც მაქსიმიანეს შემდეგ აღმოსავლეთის ერთპიროვნული მმართველი გახდა, სულის სიდრმეში ქრისტიანები სძულდა და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში მათ შევიწროებასა და დევნას ცდილობდა. მან იმ ქრისტიანებისგან, რომლებიც სამეფო კარსა

1 აბულაძე 1975: 103-104.

2 ჰენრიხის სოქომენე, საეკლესიო ისტორია 2017: 24.

3 კოპლატაძე 2019: 210.

4 კოპლატაძე 2019: 212.

და ჯარში მსახურობდნენ, წარმართული ფიცი მოითხოვა, კრებებზე თავშეყრა აუკრძალა ეპისკოპოსებს. სხვადასხვა ცილისმწამებლური მიზეზით ქრისტიანებს ქონებას ართმევდა და ხშირად, სრულიად უდანაშაულოდ, საპყრობილეში სვამდა. მან ეკლესიების დაკეტვისა და დანგრევის, ხოლო ეპისკოპოსების შეპყრობისა და დასჯის ბრძანება გასცა, ისევ დაიწყო ქრისტიანთა დაკითხვები და წამებანი.

ლიკინიუსის მეფობა აღმოსავლეთში არა მარტო ქრისტიანებისთვის, არამედ ყველასთვის მძიმე აღმოჩნდა. მან გადასახადები გაზარდა და, ამასთან, ქონების მითვისების მიზნით უარს არც უდანაშაულო ადამიანების დასჯაზე ამბობდა. ევსევი კესარიელი წერს: „ორად გაყოფილი რომის იმპერია ყველას გაყოფილ დღედ და ღამედ ეჩვენებოდა: აღმოსავლეთის მცხოვრებლები სიბნელემ მოიცვა, ხოლო სახელმწიფოს მეორე ნახევრის მცხოვრებნი ნათელი დღის შუქით იყვნენ მოცულნი“.¹

სწორედ ამ პერიოდში სებასტიაში² ეწამა ორმოცი მხედარი. მოწამებორივად აღესრულა სებასტიის ღრმად მოხუცებული ეპისკოპოსი მედასი, რომელიც თავის დროზე დიოკლეთიანეს დევნას გადაურჩა. კესარიამი ჭაბუკი მეომარი გორდიუსი, რომელმაც არ შეისმინა ახლობლების თხოვნა იმის შესახებ, რომ მოსაჩვენებლად უარეყო ქრისტიანობა, სასტიკი წამების შემდეგ მახვილით იქნა განგმირული. პერაკლიონში ქალაქის მხედართმთავარი — თეოდორე სტრატელატი — ჯვარზე აღესრულა. დევნამ გასაკუთრებით სასტიკი ხასიათი პონტოში მიიღო, სადაც ყველაზე პატივსაცემი ეპისკოპოსები წამების შემდეგ ნაწილ-ნაწილ დაჭრეს და ზღვაში ჩაყარეს. აწამეს ამასიის ეპისკოპოსი ბასილიც.

ორმოცი სებასტიელი მოწამის მარტვილობის ტექსტში ვკითხულობთ:

„იყვნეს ვინმე ერისა მისგანნი გამირეთისა სოფლისანი³ გუნდსა ერთსა შინა, ცხონდებოდეს კეთილადმსახურებით ღმრთისა მიმართ, რიცხვთ ორმეოც, მუნედ მძლწ ლუაწლსა შინა“.⁴

ორმოც სებასტიელთა ვინაობა და მეთაურების მათდამი დამოკიდებულება მოკლედ, მაგრამ საოცარი სიცხადითაა წარმოდგენილი ლიტურგიკულ ტექსტში, კერძოდ — წმინდა გიორგი მთაწმინდელის „დიდ სუნაქსარში“: „თუესა მარტსა თ: წმიდათა ორმეოცთაჲ, რომელნი იწამნეს სევასტიას ლიკინიოზ მეფისა ზე და წინაშე აღრიკოლაოზ მთავრისა.

1 კოპლატაძე 2019: 210-212.

2 სებასტია (Σεβαστια), სადაც ორმოცმა მხედარმა იმარტვილა, რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში, ჩრდილო-აღმოსავლეთ კაპადოკიაში მდებარეობდა. ეს იყო „მცირე არმენია“ და ის დღეისთვის თანამედროვე თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. თვითონ ორმოცი მეომარიც კაპადოკიელი იყო (სპანს. Kapatuka – ლამაზი ცხენების ქვეყანა, ლათ. Cappadocia, გერმ. Καππαδοκία). კაპადოკია აღმოსავლეთ მცირე აზიაში, თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ოლქის სახელწოდებაა. ძველი კაპადოკია ამჟამად განთავსებულია თურქეთის პროვინციების – ნევშეჰირის, კაისერის, ასანიასა და ნიღდეს ტერიტორიებზე. კაპადოკია გამოირჩევა კლდეში ნაკვეთი და მიწისქვეშა ქალაქებით, რომლებიც დაანსდა ძვ. წ. აღ-ით პირველ ათასწლეულში (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი 2007: 449-450).

3 A ნუსხაში წერია: „კაპადოკიაჲსა სოფლისანი“ (აბულაძე 1975: 104).

4 აბულაძე 1975: 104.

ესენი თვითოეულთა ქალაქთაგან და ადგილთა ერთად შეკრებულნი ერთსა გუნდსა შინა მკედრობდეს. ხოლო ქრისტეს აღსარებისათვის შეპყრობილ იქმნეს და წინაშე აღრიკოლაობ და ლუსია მთავართასა წარდგეს, რომელთა ბრძანეს ქვითა ცემაჲ პირსა წმიდათასა“.¹

ყოველივე აქედან ცხადია, რომ „მარტვილობაში“ მოხსენიებული მეფე ლუკიანე არის რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილის მმართველი, ვისი ბრძანებითაც აწამეს ორმოცი სებასტიელი მხედარი, რაც უნდა მომხდარიყო IV საუკუნის პირველ ნახევარში.

თავი V

„სებასტიელთა წაგების“ საღვთისმეტყველო მნიშვნელობა

საზოგადოდ, ძალიან მნიშვნელოვანია „მარტვილობის“ დარგის ძეგლების საღვთისმეტყველო ანალიზი, რამდენადაც მათში აღწერილია ქრისტესთვის წამებულთა ღვაწლი და შეუდრეკელობა. ამ ძეგლებში გადმოცემულია ასკეტურ-ზნეობრივი და, არაიშვიათად, დოგმატური ხასიათის სწავლენაბანი. აქედან გამომდინარე, ჩვენი თემის მთავარი საკითხი სწორედ თხზულების საღვთისმეტყველო ანალიზია.

როგორც უკვე ვახსენეთ, ორმოცი სებასტიელი მხედრის წამება უკავშირდება IV საუკუნის პირველ ნახევარს, როდესაც, მიუხედავად მილანის სჯულშემოქმედებლობითი ედიქტისა, ჯერ კიდევ რთული პერიოდი იყო ქრისტიანებისათვის. ჰაგიოგრაფი გვაუწყებს, რომ კაბადოკიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის მხარეში იყო ორმოცი მამაცი მხედარი, რომლებიც ღვთისმოსაობით გამოირჩეოდნენ. როდესაც ისინი არ დაემორჩილნენ მთავარ აგრიკოლას ბრძანებას, რომლის მიხედვითაც, კერპებისადმი მსხვერპლი უნდა შეეწირა ყველას, შეიპყრეს და ქრისტიანობისგან მათ გადადრეკას შეეცადნენ. ქრისტეს მიერ განმტკიცებულმა მხედრებმა მსაჯულს მიუგეს: *„უკუეთუ მოკუდავისა მაგისტუს მეფისა შევიდით ღუაწლსა და მძლე ვექმნით, ვითარცა-ეგე შენ სწამე, რავდენ არა უფროდს უკუდავისა მისთვის მრავლითა ტანჯვითა ვსძლოთ უკეთურსა მაგას შენსა ბრახვასა“*² რა თქმა უნდა, ამგვარი პასუხის შემდეგ უსჯულო მსაჯული აგრიკოლა არ აპირებდა შეგუებას და მათ უთხრა: *„ორთაგანი ერთი ყავთ: ანუ უზორეთ ღმერთთა და პატევსა და ნიჭსა ღირს იქმნეთ, უკუეთუ არა დაემორჩილნეთ, აღილოს ცხორებაჲ თქუენი ერისა ამისგან. აწ იბრახეთ და გამოირჩიეთ, რომელი უმჯობეს გიჩნდეს“*. წმიდათა მათ პრქუეს: *«ჩუენ შემძლებელსა ღმერთსა, რომელმან იღუაწოს ჩუენთვის,*

1 დიდი სვაქსარი 2017: 184.

2 აბულაძე 1975: 105.

ეპისკოპოსობა». პრეტა მსაჯულმან მან: «ნუ მრავალსა იტყვთ, არამედ ხვალე მოვედით და უბორეთ ღმერთთა». და ბრძანა მიცემად მათი საპყრობილედ. და ვითარცა შევიდეს იგინი საპყრობილესა მას, შეიდრიკვნეს მუჭლნი მათნი, ილოცვიდეს ღმრთისა მიმართ და იტყოდეს: «განმარინენ ჩუენ, უფალო, განსაცდელისაგან და საცდურისა, რომელნი იქმან ურჩულოებასა». და ვითარცა შემწეხრდა, იწყეს გალობად ფსალმუნითა ამით: «რომელი დამკვიდრებულ არს შეწევნითა მალლისადათა საფარველსა ღმრთისასა, გეცას განისუენოს; პრეტას უფალსა: ჯელისამპყრობელი ჩემი ხარი შენ, შესავედრებელი ჩემი, ღმერთი ჩემი და მე ვესავ მას, რამეთუ მან მიჯნა მე საბრჯისა მისგან მონადირეთადასა და სიტყვსა მიერ განსაკროთმელისა»¹.²

საპყრობილემი მუხლმოდრეკილი მოწამეების ლოცვა გვახსენებს მაცხოვრის ვედრებას გეთსიმანიის ბაღში: „და წარვიდა მცირედ და დავარდა პირსა ზედა თვსსა, ილოცვიდა და იტყოდა: „მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმეგდინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ“ (მათ. 26, 39).

მათეს სახარების მიხედვით, მაცხოვარი ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მიმართავს მოციქულებს: „იღვძებდით და ილოცევდით, რადთა არა შეხვდეთ განსაცდელსა; სული გულსმოდგინე არს, ხოლო ჯორცი უძღურ“ (მათ. 26, 41). მარტვილებმა იცოდნენ, რომ მათ ელოდათ უდიდესი განსაცდელი, გამოცდა რწმენისა და, აქედან გამომდინარე, მოციქულთა მსაგავსად, აუცილებელი იყო სიფხიზლე და ლოცვა, რათა ღირსეულად დაეთმინათ მოსალოდნელი განსაცდელი.

მარტვილობის ტექსტიდან დამოწმებულ ადგილას მოწამეთა მიერ წარმოთქმულია 90-ე ფსალმუნის სიტყვები, რომლის განმარტებისას ექვთიმე ზიგაბენი ამბობს: „ვინც დამკვიდრებულია მალლის შეწევნით, ღმერთის საფარველში დაბინავდება — ის, ვინც სარგებლობს სამკვიდრებელით მალლის შეწევნით, ანუ ის, ვინც არ იმყოფება მის გარეთ და მხოლოდ მისით მხნობს, იგი ღვთის საფარველით იქნება დაცული, ანუ თავშეფარებული იქნება ღვთის მფარველობის ქვეშ. ღმერთი კი ითქმის ცისა, როგორც მეუფე, ხოლო თუკი ღმერთია ცისა, ცხადია, მიწისაც და, საერთოდ, ყველაფრისა. ღვთის შეწევნა გულისხმობს საღვთო მცნებების რჯულსაც, რომელიც მისცა ადამიანებს დემონთა წინააღმდეგ შეწევნისთვის. ეტყვის უფალს: შემწე ხარ ჩემი და თავშესაფარი ჩემი — ეტყვის უფალს თამამად: მხოლოდ შენ ხარ ჩემი შემწე და თავშესაფარი. ღმერთი ჩემი და ვიმედოვნებ მას — არამედ სხვების წინაშეც იტყვის: ჩემი ღმერთია იგი და ვიმედოვნებ მას, ანუ სხვებთან აღიარებს, რომ მისი ღმერთია. რადგან იგი მიხსნის მე მონადირის ხაფანგისგან და შემაშფოთებელი სიტყვისგან — ხაფანგები გრძნობადი მტრებისა, ადამიანთა სხეულებზე მონადირეებისა, საფარი და სამალავებია. გონითა (ხაფანგები) კი ისინია, რომლებიც სულელებზე ნადირობენ — ბოროტი რჩევები, გულისთქმები და

1 ფსლ. 90, 1-3.

2 აბულაძე 1975: 105-106.

ვნებებისეული ბოროტგანზრახვები“.¹

მოხმობილი განმარტების საფუძვლად ცხადია, თუ რა სასოება აქვთ მოწამეებს ყოვლადძლიერი ღვთისა და, ამის ფონზე, რა უნუგემო პოზიციაშია ცილისმწამებელი, ბოროტმადიდებელი და დემონის მიმდევარი მთავარი აგრიკოლა, რომელიც ერთ-ერთი წინამძღოლი იყო სებასტიელთა წამებისა.

მორწმუნე პიროვნების სული განწყობილია საბრძოლველად განსაცდელებთან და შეუძლია მათი დამარცხება, მაგრამ ადამიანის ბუნება უძლურია, სიფხიზლისა და ლოცვის შესუსტებისას, შეიძლება, დიდი დაცემა განიცადოს. ყოველივე ამას აცნობიერებენ სებასტიელი მოწამეები და მთელ ღამეს ლოცვა-ფსალმუნებითა და უფლის მიმართ ღიდებით, თაყვანისცემითა და მადლობით ატარებენ. ლოცვისას მათ წინამძღვრობდა კირიონი. შემთხვევითი არაა, რომ ამ სახელის მქონე ადამიანი შუამდგომლობს მეომრებს უზენაესის წინაშე, რადგან ბერძნულად *κῆρυξ* უფალს, მთავარს, ხელმძღვანელს, მცველს ნიშნავს.²

შუალამისას მეომრებს ეცხადება უფალი და შემდეგი სიტყვებით განამტკიცებს: „კეთილ არს, რომელი-ეგე ინებეთ. ხოლო რომელმან დაითმინოს იგი სრულიად, ცხონდეს“^{3,4} უფალი მიმართავს მოწამეებს იმ სიტყვებით, რომელიც თავის დროზე მოციქულებს უთხრა. რა თქმა უნდა, განსაცდელის უდრტვინველად მოთმენა ერთ-ერთი მთავარი სათნოებაა, რადგან ყოველივეს ღმერთი განაგებს და იგი მიაგებს სიკეთეებს კეთილისმოქმედებს. როდესაც ღვთისმოსავი პიროვნება უსჯულოთა აგრესიის ობიექტი ხდება, თუკი სულგრძელი იქნება და მოითმენს, უფალი აუცილებლად დაიფარავს მას, თუმცა ხშირად გარკვეული დროით შეწევნას აყოვნებს ხოლმე, რათა სხვათათვის საცნაური იყოს ქრისტიანთა ღვთისმოსაობა. ბუნებრივია, მომწესრიგებელი, დამცველი, დამავიგრგვინებელი კეთილი შედეგისა უფალია, მაგრამ საჭიროა თავად პიროვნების ძალისხმევაც, რისი შემდეგობითაც უნდა დაიმსახუროს უფლისმიერი შემწეობა. ამასთან დაკავშირებით, წმინდა იოანე ოქროპირი ბრძანებს: „განღებად კართად და შეწყნარებად მათი ზეგარდამოდსა მადლისად იყო, ხოლო არარაფსა უმეტეს თანაწარუვალისა მის საწმრისა ძებნად მათისა მის სიბრძნისად იყო; მიცემად მშუდობისად ზეგარდამოდსა მის მადლისად იყო, ხოლო ძიებად ღირსთად და არა ყოველთა მიმართ შესლვად მათისა მოთმინებისად იყო; ტანჯვად არაშემწყნარებელთა მათთად უფლისა მიერ იყო, ხოლო განურისხველად წარსლვად მათისა მის სიმშუდისაგან აღესრულებოდა; მიცემად სულისა წმიდისად უფლისა მიერ იყო, ხოლო მიმსგავსებად ცხოართა და ტრედთა და ყოვლისავე სიმშუდით თავსდებად მათისა ახოვნებისაგან იქმნებოდა; მოქცევად ერთად მადლისაგან იყო საღმრთოდსა, ხოლო მოთმინებად სრულიადი მათ აჩუენეს. ამისთვისა თქუა უფალმან:

1 ექვთიმე ზიგაზენი 2021: 164-165.
 2 Дворещкий, т. I, 1958: 999.
 3 მათ. 10, 22.
 4 აბულაძე 1975: 106.

«რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს»¹. მართლაც, საეკლესიო მოძღვრების მიხედვით, იმისათვის, რათა პიროვნებამ უფლის შეწევნა დაიმსახუროს, თავად უნდა იღვაწოს ღვთისთვის სათნოდ. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამგვარი ღვაწლი არ არის ადვილი, არამედ მრავალი განსაცდელისა და შეჭირვების გავლა მოუწევს მოღვაწეს, მაგრამ თუკი დაითმენს, საბოლოოდ აუცილებლად გადარჩება და ღვთის შეწევნით გამარჯვებული გახდება. ამის შესახებაც წმინდა იოანე ამბობს: „ამისთვის ვიდრე აღსასრულადმდე ეძიებს მოთმინებასა უფალი. რადგან არავინ თქუას, თუ: ყოველივე უფალმან მიანიჭა, და რად არს მათი მადლი? ამისთვის ეტყვს, ვითარმედ: მრავალნი შემთხუვად არიან თქუენდა შრომანი და განსაცდელნი, და ჯერ-არს თქუენდა ყოვლისავე მოთმინებად. დაღაცათუ ერთისა განსაცდელისაგან გიჭსნე კეთილად, სხუსათვის დამარხულ ხართ. და ვიდრემდის სოფელსა ამას შინა იყვნეთ, ჭირნი და განსაცდელნი არა დაგაკლდენ. ამისთვის გეტყვ: «რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს»“².

როდესაც უფლის საკვირველი ხმა მოისმინეს გარშემომყოფებმა, დიდად შეშინდნენ: „და ყოველთავე ესმა ჳმად ესე და შეეშინა შიშითა დიდითა და უძილ იქმნნეს განთი-აღამდე“³. რა შიშზეა აქ საუბარი? ესაა შიში ღვთის დაკარგვისა, მაგრამ მოწამეთა სიმტკიცე სწორედ აქ ვლინდება — ისინი მზად არიან ყოველგვარი განსაცდელის დათმენისთვის, მათი გონება განწმენდილია და გული სავსეა სიმდაბლით. ასე ეგებებიან ისინი ცისკარს.

როდესაც გათენდა, მსაჯულმა მოაყვანინა მარტვილები და უთხრა: „*«რომელ-ესე მეგულების სიტყუად თქუენდა მიმართ, ნუ ესრჭთ ჳგონებთ, ვითარმედ ლიქნით რადმე არს, არამედ არსვე ვგრჭთ, რამეთუ ყოველნი ერისა კაცნი თვთნებისა ამის მეფისა ქუეშე არიან, არავინ არს თქუენებრ მეცნიერ და არცა თქუენებრ კეთილადმსახურ და არცა საყუარელ, ვითარ-ეგე თქუენ საყუარელ ხართ ერსა შორის. აწ უკუე, ნუ სიყუარულსა მას სიძულვილად გარდააქცევთ, ჳელთა შინა თქუენტა არს, ვითარმცა საყუარელ იყვენით ანუ საძულელ»*“⁴. აქ მსაჯული სიყვარულზე საუბრით ქვეცნობიერად ადასტურებს მეომართა სიმტკიცესა და უშიშობას, რადგან როგორც იოანე მოციქული თავის კათოლიკე ეპისტოლეში გვასწავლის: „შიში არა არს სიყუარულსა თანა, არამედ სრულმან სიყუარულმან გარე განდევნის შიში, რამეთუ შიშსა ტანჯვად აქუს, ხოლო მოშიში იგი არა სრულ არს სიყუარულსა ზედა“ (I იოან. 4, 18). ამასთან დაკავშირებით წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „რომელმან ღმერთი მის შორის შეიწყნაროს ნიჭითა მით სულისა წმიდისადათა ქრისტეს მიერ, ესევითარსა მას არღარა ვისგან ეშინის, რამეთუ მიუღიეს ჳელმწიფებად დათრგუნვად გუელთა და ღრიკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა“⁵.

მუქარით გაუტეხელმა კანდიდემ კანდიერად მიუგო მსაჯულს: „*მსგავსად სახისა მავის*

1 წმინდა იოანე ოქროპირი 2014: 496.

2 წმინდა იოანე ოქროპირი 2014: 496.

3 აბულაძე 1975: 107.

4 აბულაძე 1975: 107.

5 სამოციქულოს განმარტება, ტომი I, 2011: 561.

შენისა დაგედვა სახელი შენი აგრიკოლაე, რამეთუ უდაბნოდ განქცეულ ხარ სიცბილით. მსაჯულმან ჰრქუა: არა გარქუა შენ, ვითარმედ ჴელთა შინა თქვენთა არს, ვითარმცა საყუარელ იყვენით ანუ საძულელ? კანდიდოს თქუა: ჴელთა ჩუენთა თუ შინა არს, ვითარმცა საყუარელ ვიყვენით ანუ საძულელ, შენ გუძულ და ღმერთი ჩუენი გყუარს, ხოლო შენ გაუცხებულ ხარ ღმრთისაგან და მოძულეულ. ნუ ჰგონებ, ვითარმცა სიყუარული რადმე ჰპოე ჩუენგან შენდა მიმართ, არაწმიდაო და თუაღბოროტო, დაფარულო ბნელსა შინა და უდაბნოდ გაქცეულო“.¹

გემოთ მოხმობილი ტექსტის ნაწილში ჩვენს ყურადღებას იქცევს გამოთქმა, რომლითაც კანდიდე ორგზის მიმართავს აგრიკოლას — „უდაბნოდ გაქცეულო“. საგულისხმოა, რომ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება არა მოვლენის გარეგნულ მხარეს, არამედ მის დაფარულ შინაარსს. რას ნიშნავს ამ შემთხვევაში „უდაბნო“? ბიბლიის სიმბოლურ-ალეგორიული განმარტების მიხედვით, უდაბნო ის ადგილია, რომელსაც ჴერ ღვთის მადლი არ განუცდია და ამიტომ იქ ბოროტი სულების სამკვიდრებელია. სწორედ ამაზე მიანიშნებს კანდიდე — აგრიკოლა ამ ეშმაკეული, ღვთის მადლისგან დაცლილი ადგილის ნაწილია. თავისი ქცევით აგრიკოლა „ბნელსა შინა დაფარული და უდაბნოდ გაქცეულია“. ამ სიტყვებით კანდიდე ამხელს აგრიკოლას და იმ „უდაბნოზე“ მიანიშნებს, რომელიც სულიერი თვალის ახელის შემთხვევაში, შეიძლება, მისთვის (აგრიკოლასთვის) მაცხოვრებელი გახდეს, რადგან ქრისტიანული რწმენით, უდაბნოში მოხვედრილთა უმთავრესი საბრუნავი იქიდან თავის დასაღწევი გზის ძიებაა. უდაბნო გამოცდის, სულიერად განწმენდისა და ახლის შობის ადგილიცაა. მოსემ ებრაელი ერი უდაბნოში გაიყვანა, სადაც იშვა ის თაობა, რომელმაც თავისუფლება მოიპოვა. უდაბნოში ორმოცი დღის მარხვის შემდეგ გამოიცადა ეშმაკისგან ქრისტე. ამიტომ უდაბნოში გასვლა დიდი გზის დაწყების მომასწავებელიცაა. ამ გზის ძიება, ფაქტობრივად, საკუთარი სულის ლაბირინთების კვლევაა, რითაც შეიძლება ადამიანმა ღმერთი შეიცნოს, რამდენადაც სულით ემსგავსება მას. სწორედ აქ იკვეთება კანდიდეს პიროვნული სიდიადე — მიუხედავად იმისა, რომ აგრიკოლა კანდიდესა და მისი თანამოძმეებისთვის მძვინვარე მტერია, იგი მაინც იმ დამოკიდებულებით უდგება მტერს, რომ, დაფიქრებისა და თვალის ახელის შემთხვევაში, კერპთთაყვანისმცემელსა და წარმართ აგრიკოლას მიეცეს ჴეშმა-რიტ სარწმუნოებაზე მოქცევის საშუალება. ასე რომ, ღვთიურობას მოკლებული ადგილი ბოროტების ნავთსაყუდელია და ამიტომ, სულიერი გააზრებით, იქ გასვლა ბოროტების მიმართ აქტიურ ბრძოლას მოასწავებს და არა ცხოვრებისაგან განდგომასა და წარწყმედას.

მიუხედავად წმინდა კანდიდეს მოწოდებისა, უსჯულო მსაჯული უფრო განრისხდა: „ვითარცა ესმა ესე მსაჯულსა მას, შეიღულარჴნა, ვითარცა ვეფჴი, და უბრძანა შეკრვად მათი და თრევით მოთრევად საბყრობილედ. ჰრქუა წმიდამან კანდიდონ: «არავინ მოცვა შენ ყოფად, ვითარმცა ესრეთ დაგუსაჯენ ჩუენ». მას ჟამსა შეეშინა მსაჯულსა მას და ბრძანა

ჯსნილად მიყვანებად მათი საპყრობილედ და ამცნო ანგეას, მესაპყრობილეთ-მოძღუარსა, კრძალვით დამარხვად მათი, რამეთუ მოელოდა დუქსსა მას“.¹

როგორც ვხედავთ, აგრიკოლა ემსგავსება გააფთრებულ მხეცს, მძვინვარე ვეფხვს და ბრძანებს მოწამეთა შეკვრას. ვფიქრობთ, ამასთან დაკავშირებით პარალელის გავლება შეგვიძლია წმინდა წერილთან: პეტრე მოციქულის კათოლიკე ეპისტოლეში ვკითხულობთ: „განიფრთხვეთ, მღვდარე იყვენით, რამეთუ წინა-მოსაჯული თქუენი ეშმაკი, ვითარცა ლომი მყვრალი, მიმოვალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა, რომელსა წინა-აღუდექით მტკიცენი სარწმუნოებითა (I პეტრ. 5, 8-9). ამ ადგილის განმარტებისას წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ვინაფთგან ძილი და უდებებად მწყეტ შესაჭმელ ჰყოფენ სულსა, ამისთვის სიფრთხილედ და მღვდარებად გვბრძანებს დაუგებელისა მისთვის და ყოვლად სამარადისოდსა მძვინვარებისა, რომელი აქუს ჩუენთვის საცნაურსა მას ლომსა, მოსურნესა შთანთქმისა ჩუენისასა, რომელი-იგი, ვინაფთგან საღმრთოდ მღვდარეთა და კეთილად მოღუაწეთა ვერ შთანთქამს, ამისთვის მიმოვალს, რაფთა პოვოს ვინმე დამძიმებული ჰრულითა უდებებისაფთა, და ყოს საზრდელ მუცლისა თვისისა, არამედ ვსძლოთ მას, უკუეთუ მტკიცე ვიყვნეთ სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა, და იგი ჰბრძოდეს მას ჩუენ წილ“.²

მსაჯულის მძვინვარების მიუხედავად, კანდიდემ კანდიერად უპასუხა აგრიკოლას, რაზეც ეს უკანასკნელი განრისხდა და ბრძანა ურჩი ჯარისკაცებისთვის ბორკილები დაედოთ და დილეგში ჩაეყარათ. აი კანდიდეს მამხილებელი სიტყვები: „არავინ მოგცა შენ ყოფად, ვითარმცა ესრეთ დაგუსაჯენ ჩუენ“.³ აგრიკოლა შეშინდა, ტყვედქმნილთათვის ბორკილები აახსნევინა და ბრძანა, საიმედოდ დაეცვათ ისინი. სარდალი ვინმე დიდებულის, დუქსის, ჩამოსვლას დაელოდა, რომელსაც მეტი ძალაუფლება ჰქონდა.

ამ ფაქტმა მარტვილები კიდევ უფრო განამხნევა. ტექსტში ვკითხულობთ: „წმიდანი იგი დღე ყოველ და ღამს ისწავებდეს წმიდისა კვირიონისაგან, რამეთუ ეტყოდა მათ ესრეთ, ვითარმედ: განგუაწენსა ჩუენ ღმერთმან მოდგამად მოყუსებისად ამას საწუთროსა ცხობრებასა, ერსა ამას შორის, აწ ნუმცა განვიწვალეებით ურთიერთას, არამედ ვითარცა-იგი ვცხონდებოდეთ ერთბამად, ეგრძეთცა აწ ერთად ვწამოთ, და ვითარცა-ესე აქა რჩეულად გამოვჩნდით წინაშე წარმავალისა ამის მეფისა, ეგრძეთცა ვისწრაფოთ, რაფთა სათნომცა ვეყოფვით დიდსა მეუფესა ღმერთსა“.⁴

ტექსტის ამ მონაკვეთში გადმოცემულია ქრისტიანული სწავლება ღამით ლოცვის განსაკუთრებულობის შესახებ. დავით წინასწარმეტყველის მიხედვით: „შუაღამე აღვდგი აღსაარებად შენდა განკითხვათათვის სიმართლისა შენისათა“ (ფსალ. 118, 62). წმინდა ორმოცი მოწამე, წინასწარმეტყველის მსგავსად, მხოლოდ დღისით კი არა, ღამითაც

1 აბულაძე 1975: 108.

2 სამოციქულოს განმარტება, ტომი I, 2011: 509.

3 აბულაძე 1975: 108.

4 აბულაძე 1975: 109.

გალობით აღიდებს უფალს. თავად ქრისტე იყო ამის საუკეთესო მაგალითი, როდესაც მთელი ღამე მთაზე ლოცვაში გაატარა (იხ. ლუკ. 16, 12). წმინდა იოანე ოქროპირი გვმოდღვრავს: „ღმერთი განსაკუთრებით მოწყალეა ღამის ლოცვებისადმი; მაშინ, როდესაც განსვენების ჟამს ვოდების ჟამად აქცევ, გაიხსენე მეფე, რომელიც ამბობს: «დავბანო მარადღამე ცხედარი ჩემი, ცრემლითა ჩემითა სარეცელი ჩემი დავალტო»“ (ფსალ. 6, 6).¹

მარტვილობის ტექსტის მიხედვით: „და ვითარცა წარვდეს შვდნი ოდენ დღენი, ვიდრე წმიდანი იგი საპყრობილესა შინა იყვნეს, მივიდა დუქსი იგი კესარიადთ და შევიდა სებასტიად, და დაჯდა დალიჭსა მას, და მსაჯულიცა იგი მის თანა დღესა მას მერვესა“.²

ტექსტის ამ მცირე მონაკვეთში დასახელებულია ციფრები — შვიდი და რვა. მნიშვნელოვანია ამ ორი ციფრის ურთიერთმიმართების ქრისტიანული გააზრება: წმინდა იოანე დამასკელის სწავლებით, ციფრი 7 ამქვეყნიურ, წარმავალ დროს ასახავს, ხოლო მე-8 დღე კი საყოველთაო მკვდრეთით აღდგომისა და საშინელი სამსჯავროს შემდგომ პერიოდზე, მარადიულობაზე მიანიშნებს: „უნდა ვიცოდეთ, რომ რიცხვი «შვიდი» აღნიშნავს მთელ აწინდელ დროს, როგორც ამბობს უბრძენესი სოლომონი: «მიეცი ნაწილი შვიდთ და რვათაც» (ეკლ. 11, 2), და ღვთისმესიტყვე დავითიც, ფსალმუნებდა რა იგი «მერვისათვის», მკვდრეთით აღდგომის შემდგომდროინდელ მდგომარეობაზე ფსალმუნებდა“.³ ამგვარადვეა წარმოჩენილი მე-8 დღე წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველისა და წმინდა დიონისე არეოპაგელის სწავლებებშიც. მათი განმარტებით, ციფრი „8“ მარადიულობის სიმბოლოა.⁴ დამოწმებული განმარტებების მიხედვით, შვიდისა და რვის სიმბოლურ-მისტიკური ერთობა მარადიულობასთან ეკლესიის კავშირს გამოხატავს — შვიდი მებრძოლი, ამყვეყნად არსებული ეკლესიის სიმბოლოა, ხოლო რვა — ეკლესიის მარადიულობისკენ მსრბოლობისა. ამგვარად, წუთისოფელსა თუ მარადისობაში ქრისტიანული ცხოვრების საზრისი არის უფლისადმი თაყვანისცემა და მისადმი დაუცხრომელი ლოცვა-ვედრება. წუთისოფელსა და მარადისობას ერთმანეთისგან სიკვდილის კარიბჭე ჰყოფს, რისაც არ ეშინოდა წმინდა ორმოც მოწამეს, რომლებიც მერვე დღეს ახოვნად წარდგნენ ურჯულო მთავრის წინაშე:

„და ბრძანა მოყვანებად წმიდათა მათ. და ვიდრე მოჰყვანდეს, ასწავებდა მათ წმიდა კვირიონ და ეტყოდა: ძმანო, ნუ შეშინდებით, მოიწესენეთ, რამეთუ რაჟამს-იგი ღუაწლსა შინა ვიყვენით, ვხადოდეთ ღმერთსა და შემეწია ჩუენ, მოიწესენეთ, რამეთუ რაჟამს-იგი შეველიენით დიდსა მას ღუაწლსა, და ივლტოდეს ყოველნი მოყუასნი ჩუენნი, და ჩუენ ხოლო ორმეოცნი ესე ვიპოვენით შორის მტერთა მათ და ცრემლით ვხადოდეთ უფალსა, და მოგუცა ჩუენ ძლევად, მათგანნი რომელნიმე მოვსრენით და რომელნიმე ვიოტენით,

1 „ჯვარი ვაზისა“, N 3, 1989: 24-25.

2 აბულაძე 1975: 109.

3 წმინდა იოანე დამასკელი 2000: 457.

4 Настольная книга 1983: 700.

და ჩუენგანი ერთიცა არავინ იწყლა ეგოდენისა მისგან მოუგონებელისა სიმრავლისა. ხოლო აწ სამნი არიან, რომელნი გუბრძვანან ჩუენ: ეშმაკი, დუქსი და მსაჯული, ხოლო ყოველად ერთი და იგიცა უჩინოჲვე. და აწ ერთმან ორმოცთა გუძლოსა? ნუ იყოფინ!¹ მოწამე კირიონი მთავრისა და მსაჯულის წინაშე წარდგომის წინ ცდილობს, განამტკიცოს თავისი თანამოძმეები. იგი შეაგონებს მოწამეებს, რომ მათ, ხილულ მტერთან ერთად, თვით სატანაც უპირისპირდება. ბრძოლა იოლი არ იქნება — ეშმაკი განსაკუთრებით ებრძვის მათ, ვინც ნებისმიერ წამს მზად არის მოწამეობისთვის. რაც უფრო სრულყოფილი ხდება ადამიანი, მით უფრო ძლიერდება დემონური შეტევები. ეკლესიის სწავლების თანახმად, ეშმაკი გამუდმებით ცდილობს ადამიანის მოტყუებას და მისი ჭეშმარიტი, მით უმეტეს, მოწამეობრივი გზიდან აცდენას. ეშმაკს განსაკუთრებით სძაგს ისინი, ვინც სრულყოფილებას აღწევენ სათნოებებით ცხოვრებასა და სიწმინდეში.

გავისენოთ ეშმაკის მიერ უფლის გამოცდა უდაბნოში (მათ. 4, 1-11). იესო უშვებს უდაბნოში მის წაყვანას და ეშმაკთან საბრძოლველად დადგინებას. ამასთან დაკავშირებით წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „და ამისთვის არა დააყენებს ღმერთი ზედამოსლვასა მას ბრძოლათა და განსაცდელთასა: პირველად — რაათა სცნა, ვითარმედ აწ უძლიერეს იქმენ ფრიად, ვიდრე პირველ, ოდეს-იგი არღა მოგელო მადლი ნათლისღებისად; მეორედ — რაათა არა აღსზუავენე მოღებითა დიდებულისა მის ნიჭთაჲსა, არამედ ბრძოლითა მით განსაცდელთაჲთა სიმდაბლესა შინა ეგო; მესამედ — რაათა ბოროტი იგი ეშმაკი, რომელი იჭუეულ არს ჯერეთ ჯმნისა შენისათვის მისგან, გამოცდითა მით ბრძოლათაჲთა გულსავსე იქმნეს, ვითარმედ ჭეშმარიტად სრულიად გიჯმნიეს მისგან, დაგიტევებიეს იგი და ბრძოლად მისა განწყობილ ხარ; მეოთხედ — რაათა გამოჭურვებითა მით განსაცდელთაჲთა იწლო და უმტკიცეს რკინისა გამოსჩნდე და უმკუეთელეს მახვლისა მწყობრსა მას ვნებათასა; მეხუთედ — რაათა გულსავსე იქმნე შენ, ვითარმედ ჭეშმარიტად საუნჯენი დიდნი გერწმუნნეს შენ და პატივი მაღალი მოგეცა. რამეთუ უკუეთუმცა არა ეცნა ეშმაკსა, ვითარმედ დიდად პატივცემულ იქმენ, არამცა მოვიდა ბრძოლად შენდა“.² მართლაც, ეშმაკი ასე არ დაუპირისპირდებოდა მარტვილებს, წარჩინების უმაღლეს საფეხურზე რომ არ ეხილა ისინი.

შემდეგ წმინდა კირიონი ამგვარად ამხნევებს მოწამეებს: „გვედრები, ვხადოთ ღმერთსა, ვითარცა წინა, ეგრეთცა აწ, და რაათა არა შეგუემთხვოს ჩუენ კრულებად დაჭირი და ტანჯვად. არა ყოველსა ჟამსა, რაჟამს მიგუემართა, ნუ აწ ოდენ ვიტყოდით ფსალმუნსა ამას: «ღმერთო, სახელითა შენითა მაცხოვრე მე და ძალითა შენითა მისაჯე მე. ღმერთო, ისმინე ლოცვისა ჩუენისად, ყური მოყავ სიტყუათა პირისა ჩუენისათა».³ და აწცა ამასვე

1 აბულაძე 1975: 110.

2 წმინდა იოანე ოქროპირი 2014: 189-190.

3 ფსლ. 53, 3-4.

ფსალმუნსა ვიტყოდით. და ყოველნი მოკრებულ იყვეს ხილვად წმიდათა მათ¹.¹ დავით წინასწარმეტყველის მსგავსად, მოწამეები ყოველთვის და ამ შემთხვევაშიც მხოლოდ უფალზე და მის ძალაზე ამყარებენ სასოებას: „სახელითა შენითა მაცხოვრე მე და ძალითა შენითა მისაჯე მე“ (ფსლ. 53, 3). განსჯის ძე სამყაროს — ზოგი წარსაწყმედელს, სხვანი კი ხსნას ჰპოვებენ. „შეისმინე ლოცვისა ჩემისა“ — ევედრება ღმერთს დავითი — „რამეთუ უცხონი აღდგეს ჩემ ზედა და ძლიერთა იძიეს სული ჩემი“ (ფსლ. 53, 5), თუმცა დავითისთვის სანუგეშებელი არის ის, რომ ამგვარ მძიმე ბრძოლაში უფალი შეეწევა მას: „აჰა ესერა, ღმერთი მწე ჩემდა არს და უფალი შემწყნარებელ სულისა ჩემისა“ (ფსლ. 53, 6). სწორედ ამგვარი სიმტკიცით არიან განწყობილნი მარტვილნიც:

„და წარდგეს წინაშე დუქისა მის და მსაჯულისა. მიჰხედა მათ დუქსმან მან და ჰრქუა: თქუენ ეგრე გნებავს, რადთამცა გაიძულენ და უფროდსამცა პატივსა ღირს იქმენით. ჰჰ, და ჩუენგან არს, დიდი ნიჭი და პატივი მიიღოთ უფროდს ყოველთასა. ხოლო ამიერითგან ორი ესე წინა-გიც: ანუ უზორეთ ღმერთთა, და ნიჭსა და დიდსა პატივსა ღირს იყვნეთ. უკუეთუ არა დაემორჩილებით, მიგელოს თქუენგან ცხორებად თქუენი ერსა ამას შორის. და აწვე მოვაწინე თქუენ ზედა ტანჯუანი. წმიდამან კანდიკოს ჰრქუა: წინამძღუარო ბნელისაო და ურჩულოებისა მოძღუარო, მოყავ ჯელი ყოფად და იხილო შენ პატიჟი შენი. დაიღრჭინა კბილნი მსაჯულმან მან ზედა მტარვალთა მათ და ჰრქუა: ჰ, ყოვლად უკეთურნო მტარვალნო, ვითარ არა აღრე ჰყოფთ, რასა-ესე ვბრძანებთ? მაშინ აღიღეს ქეები მტარვალთა მათ, რადთამცა დაქოლნეს წმიდანი იგი და ურთიერთას ერთიერთსა სცემდეს.

ხოლო ნეტართა მათ ვითარცა იხილეს, რად იგი იქმნა, განძლიერდეს ფრიად. და დუქსი იგი აღივსო გულისწყრომითა, აღილო ლოდი ერთი, რადთამცა სცა ერთსა წმიდათაგანსა. და დაუტევა იგი პირსა ზედა მის მსაჯულისასა, და მიჰჯადა პირი მისი. წმიდამან კვრიონ თქუა: „მბრძოლნი ჩუენნი, ივინივე მოუძღურდეს და დაეცნეს, ნანდვლვე მახვლი მათი განეწონა გულსა მათსა და მშულდნი მათნი შეიმუსრნეს“.²

წმინდა სებასტიელი მარტვილების ქვებით ჩაქოლვის მცდელობის ეპიზოდს ეხმიანება შემდეგი მონაკვეთი წმინდა გრიგოლ ნოსელის იმავე მოწამეთა „შესხმიდან“: „მტერნი იგი ეტყოდეს, ვითარმედ: «უკუეთუ არა უვარ ჰყოთ ქრისტე, სიკუდილითა დაისაჯნეთ!» ხოლო წმიდანი ეტყოდეს, ვითარმედ: «სიკუდილი შესაძინელ არს ჩუენდა!»³

წმინდა გრიგოლი, ასევე, ამბობს: „მტერნი ექადოდეს და ცეცხლითა ზარ-სცემდეს და მახვლსა და მთხრებლთა და რავოდენიცა არს ტანჯვათა სახელები, ხოლო ახოვანნი იგი ეცინოდეს, და ვითარცა ერთისა პირითა ქრისტესა ღმერთსა აღიარებდეს, და ყოვლადწმიდასა სახელსა მისსა სახელ-სდებდეს და დაუცხრომელად თაყუანის-სცემდეს.

1 აბულაძე 1975: 110.

2 აბულაძე 1975: 111-112.

3 წმინდა გრიგოლ ნოსელი, შესხმა, 2017: 473.

ესე იყო მტერთა მათ წყლულებად; ამით ლახურითა ზედა-დაესხმოდეს მტერსა; ამის ჴმისა მიერ განგუმირეს გული მჭდომისა და დასცეს დაცემითა აღუდგომელითა. ესე არს ქვა იგი, ჴელითა დავითისა ტყორცებული, რომლითა გოლიათი დაემჴუა, რამეთუ სახელი ქრისტჳსი და აღსარება მისი ლოდ მომსვრელ ექმნების მტერთა და წინააღმდეგობთა, საჩინო ჰყოფს მჴედარსა ქრისტჳსსა. ამისთვისცა დაეცა მტერი და წარეკუეთა თავი მისი, ხოლო წმიდანი იგი გვრგვნითა ძლევისადათ გვრგვნოსან იქმნნეს¹.

მოწამეთა შემართება და კადნიერი პასუხები აღაშფოთებს აგრიკოლასა და დუქსს, ისინი იმდენად განრისხდებიან, რომ ყოველგვარი განსჯის გარეშე, მზად არიან „ქვა დაჰკრიბონ“ წმინდა მარტვილებს. ესაა თვითნებობა, რადგან არ ჩანს, რომ ფორმალურად მაინც გამოეტანოს ვინმეს წმინდანთა მიმართ სასიკვდილო განაჩენი, არ ჩანს არანაირი დასტური აღნიშნული ქმედების ნებართვის შესახებ. შესაძლოა, რომ ლიკინიუსი მთავრებს მსგავს შემთხვევებში გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების საშუალებას აძლევდა. აქ, შეიძლება, გავიხსენოთ წმინდა სტეფანე პირველდიაკონის სიტყვა და მისი მოწამეობრივი აღსასრული (საქ. მოც. თავი მე-7). როგორც იუდეველები ვერ იტანენ წმინდა სტეფანესგან მხილებას და „განიხერხებოდეს გულითა მათითა და იღრჭენდეს მის ზედა კბილთა მათთა“ (საქ. მოც. 7, 54), ასევე, დამცირებულად და შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს აგრიკოლა, დუქსი და მათი თანამოაზრეები. ცნობილია, რომ წმინდა სტეფანე პირველმოწამის ჩაქოლვას ესწრებოდა ჭაბუკი სავლე, რომელიც ამ ქმედებას იწონებდა და ქვეცნობიერად მათი თანამონაწილე იყო, მაგრამ შემდგომში სავლე გახდა წარმართთა უდიდესი მოციქული პავლე. ქვებით ჩაქოლვის შემდეგ, სტეფანე პირველმოწამის მოწამეობრივი აღსასრულისგან განსხვავებით, წმინდა ორმოცი მოწამის ჟამი ჯერ არ დამდგარა; ღვთის მადლით, ურჯულთა მხრიდან ნასროლი ქვები მიზანს ვერ აღწევდა, უფრო მეტიც, ერთ-ერთი ნასროლი ქვა აგრიკოლას მოხვდა. საგულისხმოა, ასევე, ის ფაქტი, რომ როგორც წმინდა სტეფანეს, ისე ორმოცი სებასტიელის შემთხვევაშიც მრავალი თვითმხილველი იყო, რომლებიც შეესწრნენ ქვების არიდების სასწაულს:

„მსაჯულმან თქუა: ვფუცავ ღმერთთა ყოველთა, გრძნებით რაჲ-მე ყვეს ესე. დომინოს თქუა: ვფუცავ ღმერთსა, ღმერთმან ჩუენმან ყო ეგე, რამეთუ დაიყო პირი, რომელი იტყვს ღმრთისა ჩუენისათჳს სიცრუევსა, და გინებითა აღივსო. არა გიცნობიესა, ქუესკნელისა მის ბნელსა შინა მყოფო ეშმაკო, უცხო ქმნულო ჭეშმარიტებისაგან და განმყოფელო საცთურისაო, შენ, აგრიკოლაე, თავ ხარ ეშმაკისა, და კუალად დუქსი ეგე, რომელ შენ თანა ზის, და ორნივე თქუენ შემეტყუელნი ეშმაკისანი. აწ თუ არაჲ სირცხვლ გინს პირველისა მისთვის ტანჯვისა, რომელ ჰყავთ ჩუენდა მიმართ, შესძინეთ ყოფად მეორეცა. მტარვალთა მათ ჰრქუეს წმიდათა მათ: განლიგებულნო და ყოვლისა სულგრძელებისა ღმერთთაჲსა მტერნო, ვითარ არაჲ უგეთ? ჰრქუა წმიდამან კანდიტოს: ჩუენ მხოლოჲსა ღმრთისა მიმართ შეწირულ ვართ ჴელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჳსითა, სულითა წმიდითა,

1 წმინდა გრიგოლ ნოსელი, შესხმა, 2017: 473.

აღსრულებად ნეფსითისა ამის სღვისა ჭირსა ამას შინა, რადთა მოვილოთ გვრგვნი იგი დაუჭნობელი და ვსძლოთ თქუენსა მაგას უკეთურებისა ზრახვასა.¹

წმინდა დომნე აგრიკოლასა და დუქს მოიხსენებს, როგორც „ემშაკის შემეტყუელებს“. ილია აბულაძის მიხედვით, „შემეტყუელი“ აღნიშნავს „მსახურს“, „დამხმარეს“,² თუმცა, „შემეტყუელი“, ასევე, „სადარს“, „მიმსგავსებულს“ ნიშნავს.³

უსჯულო მსაჯულთაგან წმინდანების მიმართ ნასროლი ქვების სასწაულებრივად აცდენის ფაქტი მარტვილთა გრძნეულებად შეფასდა. ასეთია ურწმუნოთა მხრიდან სასწაულების შესახებ ხორციელი ზრახვის გამოხატულება. ხორციელი ზრახვა არის აზრთა ისეთი წყობა, როდესაც ადამიანი ღმერთზე და ყოველივე სულიერზე მსჯელობს თავისი დაცემული ბუნების მიხედვით და არა საღვთო წერილის მეშვეობით. კონკრეტულ შემთხვევაში ცხადად გამოაშკარავდა აგრიკოლასა და დუქსის გონების სრული სიბნელე, რადგან იმის მაგივრად, რომ სასწაულის ხილვის შემდეგ ჭეშმარიტება შეეცნოთ, პირიქით, უფრო დაშორდნენ მას და წმინდანთა შესაწევნელად აღსრულებული საკვირველება ცრუ ღმერთებს განუკუთვნეს. მაგრამ წმინდა მარტვილები ვერ დააბრკოლა ადამიანთაგან გამოვლენილმა უგუნურებამ და კიდევ უფრო განსაკუთრებული მონღომებით ღვთისადმი ვედრებას აღავლენდნენ:

„და ვითარცა შევიდეს იგინი საპყრობილესა, იწყო წმიდამან კვრიონ და იტყოდა ფსალმუნსა ამას მოყუსებითურთ: «შენდამი, უფალო, აღვიხილენ თუალნი ჩემნი, რომელი დამკვდრებულ ხარ ცათა შინა. აჰა ესერა, ვითარცა თუალნი მონათანი ჯელთამი უფალოთა მათთაგსა და ვითარცა თუალნი მწველისანი ჯელთა მიმართ დედოფლისა თვისისათა, ეგრეცა თუალნი ჩუენნი შენდამი, ღმერთო ჩუენო, ვიდრემდის შემიწყალნე ჩუენ»,⁴ და ეგრეთ შემდგომითი-შემდგომად ფსალმუნსა ამას იტყოდეს. ხოლო შემდგომად ლოცვისა აღსრულებისა მეექუსესა ჟამსა მის ღამისასა ჯამად იყო მათდა მიმართ, და განეცხადა მწსნელი იგი და პრქუა: რომელსა ვჰრწმენე მე, მო-ღა-თუ-კუდეს, ცხოველვე არს.⁵ განძლიერდით და ნუ გეშინინ ტანჯვათაგან, რამეთუ საწუთრო არიან. დაუთმე მცირედ ჟამ, გულისწამა-ყავთ შჯული და დაითმინეთ ჭირი იგი, რადთა მიილოთ გვრგვნი. განათიეს იგი ღამე მხიარულებით გამოცხადებისათვის ქრისტესისა.⁶

მრავალი დაშინების მიუხედავად, მარტვილები არ ბრკოლდებოდნენ. რაც დრო გადიოდა, კიდევ უფრო ახლოვდებოდა ქრისტესთან შეხვედრის ჟამი, რაც განსაკუთრებულ

1 აბულაძე 1975: 112-113.

2 აბულაძე, ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტარული ლექსიკონი, 2014: 798.

3 სიტყვა „შეტყუება“ ნიშნავს – „შედარებას“, „შეფერებას“ (იხ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973: 489). აქედან გამომდინარე, „ემშაკის შემეტყუელი“ აღნიშნავს „ემშაკს მიმსგავსებულს“, „ემშაკის სადარს“.

4 ფსლ. 122, 1-2.

5 შდრ. იხ. 11, 25.

6 აბულაძე 1975: 113-114.

სიხარულს განაცდევინებდა მათ. მიუხედავად ამისა, წინ საკმაოდ დიდი სატანჯველები ელოდათ, რის გამოც გამხნელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო მათთვის. ამიტომ უფალი კვლავ ეცხადება ღოცვის შემდეგ შუალამისას და შემდეგი სიტყვებით ამხნეებს მათ: „რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-ლა-თუ-კუდეს, ცხოვდესვე“ (ინ. 11, 25). ეს სიტყვები იოანეს სახარებაში გვხვდება იმ ადგილას, როდესაც მაცხოვარი მიდის ბეთანიაში ლაზარე გარდაცვალების გამო. ლაზარეს მკვრელით აღდგინებას წინ უძღვის მართასა და მაცხოვრის საუბარი: „ჰრქუა მას იესუ: აღდგეს ძმად შენი. ჰრქუა მას მართა: უწყი, რამეთუ აღდგეს აღდგომასა მას უკუანადსკნელსა დღესა. ჰრქუა მას იესუ: მე ვარ აღდგომად და ცხოვრებად. რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-ლა-თუ-კუდეს, ცხოვდესვე. და ყოველი, რომელი ცოცხალ არს და რწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე“ (ინ. 11, 23-26).

მარიამისა და მართას მსგავსად უფალი, ასევე, ამხნეებს ორმოც მოწამეს: „მე ვარ აღდგომად და ცხოვრებად“. უფალი მართას მიმართავს: „აღდგეს“; როდესაც მართამ თქვა: „უწყი, რამეთუ აღდგეს აღდგომასა მას უკუანადსკნელსა დღესა“, მაშინ უფალმა უფრო აშკარად აჩვენა თავისი ძალმოსილება და თქვა: „მე ვარ აღდგომად და ცხოვრებად“, რითაც აღნიშნავს, რომ მას არ სჭირდება სხვისი დახმარება, რადგან თავად არის სიცოცხლე. ხოლო თუ მას სხვისი დახმარება დასჭირდებოდა, მაშინ თავად როგორღა იქნებოდა აღდგომა და ცხოვრება? მაგრამ მას ასე ნათლად არ უთქვამს, არამედ მხოლოდ მიანიშნა ამაზე. უფალი კიდევ ეუბნება მართას: „რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-ლა-თუ-კუდეს, ცხოვდესვე“, რითაც მიუთითებს, რომ თავად არის მაღლის მიმნიჭებელი და მისგან უნდა გამოითხოვონ. ამასთან დაკავშირებით წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „არა თქუა, თუ: ვსთხოვო, არამედ: «აღდგესო ძმად შენი». ხოლო მან თქუა რად, თუ: «აღდგეს უკუანადსკნელსა დღესა», მაშინ უმეტესად გამოაცხადა ჴელმწიფება მისი და თქუა: «მე ვარ აღდგომად და ცხოვრებად». უჩუენებს მას, ვითარმედ არა საწმარ არს მისა სხუად შეწევნად, ვინადგან თვთ არს აღდგომად და ცხოვრებად. ამისთვისცა შესძინა, ვითარმედ: «რომელსა ჰრწმენეს ჩემი, მო-ლა-თუ-კუდეს ცხოვდესვე», რადთა უჩუენოს, ვითარმედ იგი არს მომცემელი კეთილთად და მის მიერ ჴერ-არს თხოვად“.¹ უფალი დიდად ანუგეშებს საპყრობილეში მეორედ დაპატიმრებულ ორმოც მოწამეს და, ამასთანავე, უდიდეს სიხარულს ანიჭებს სიტყვებით: „და ყოველი, რომელი ცოცხალ არს და ჰრწმენეს ჩემი, არა მოკუდეს იგი უკუნისამდე“ (ინ. 11, 26). ამით უფალი გვასწავლის აღდგომის საიდუმლოს. შეიძლება ითქვას, რომ ორმოცი სებასტიელი მოწამის მგერა მიმართულია გოლგოთისაკენ, სადაც ისინი მათთვის სიცოცხლის მომნიჭებელსა და სამომავლო დაუსრულებელი ნეტარების მიმცემ ჴვარცმულ ქრისტესთან ერთად ხედავენ აღდგომასაც, როგორც ადამიანური მყოფობის შემნარჩუნებელ ენით გამოუთქმელ სიხარულს.

უფალი მოწამეთა გასამხნეებლად ასე მიმართავს მათ: „დაუთმეთ მცირედ ჟამ,

გულისწმა-ყავთ შჯული და დაითმინეთ ჭირი იგი, რადთა მოილოთ გვრგვნი“.¹ „დათმოზა“ სულხან-საბა ორბელიანთან განმარტებულია, როგორც „მოთმინება“.² ილია აბულაძის მიხედვითაც, „დათმოზა“ ნიშნავს „მოთმენას, ატანას, დაცდას, გაძლებას, დგომას“.³ წმინდა დავით მეფსალმუნე შეგვაგონებს: „რამეთუ უკეთურნი ადრე მოისრნენ, ხოლო რომელთა **დაუთმონ** უფალსა, მათ დაიმკვდრონ ქუეყანაჲ“ (ფსალ. 36, 9). მართლაც, უკეთურნი, რომლებშიც კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დუქსი და აგრიკოლა ვიგულისხმოთ, სწრაფად მოისპობიან და საუკუნო გამოსხნის ღირსებას მოაკლდებიან. არა მხოლოდ ზეციურ სუფევას, არამედ ამქვეყნადვე დააკლდებიან ჭეშმარიტ სიხარულსა და ბედნიერებას, ხოლო ვინც უფალს დაუთმობს, ვინც ღვთის მცნებებს აღასრულებს, საკუთარ ნებაზე მაღლა უფლის ნებას დააყენებს და თავის ნებას ღვთის ნებას დაუმორჩილებს, დაიმკვიდრებს ქვეყანას, მარადიულ სასუფეველს.

მაცხოვრის გამოცხადებითა და გამამახნევებელი სიტყვებით გამტკიცებული მარტვილები დილით კადნიერად წარდგებიან უსჯულო მსაჯულთა წინაშე: „და ვითარცა განთენა, ხვალისაგან ბრძანა მოყვანებაჲ მათი. და წარდგეს წმიდანი იგი წინაშე მძლავრთა მათ და ჰრქუეს: რად გნებავს ყოფად, ყავთ. განეცხადა ეშმაკი და აქუნდა მარჯუნესა ჳელსა მისსა წრმალი და მარცხენესა — ვეშაპი, და მიეყო იგი ყურსა აგრიკოლაჲსსა და ჰრქუა: ჩემი ხარ, კეთილად ჰბრძავ. და უბრძანა მსაჯულმან მან შეკრვად მათი, და დადებად სცა საჯივი ქედთა მათთა და წარყვანებაჲ მათი ტბასა მას, რამეთუ არს სებასტიასა ტბაჲ ერთი, რომელსა დგას წყალი ფრიად“.⁴

დამოწმებული ტექსტის მიხედვით, ეშმაკს, რომელიც აგრიკოლას ეცხადება და ყურში ჩურჩულით მიმართავს, მარჯვენა ხელში ხმალი უკავია, ხოლო მარცხენაში — ვეშაპი. ეშმაკის ასეთი შეიარაღებით გამოჩენა სიმბოლურ-ალეგორიული თვალსაზრისით შეიძლება აიხსნას დემონის მხრიდან წმინდანებისადმი საშინელი ძრწოლით. ეშმაკი ხმლის ხელში ჭერით აგრიკოლას მიანიშნებს ორმოცი წმინდა მოწამის მტკიცე დგომასა და შეუვალობაზე. კონკრეტულ ეპიზოდში ყურადღებას მივაპყრობთ წმინდა გრიგოლ ნოსელის „შესხმის“ ერთ-ერთ მუხლს: „რამეთუ არა მახვილითა აღიჭურნეს ჳელნი, არცა ფარი ჳორციელი აღიღეს, არცა ჩაფხუტითა და ჳაჭვთა რკინისაჲთა და ლახურითა, არამედ ყოვლად საჭურველითა მით ღმრთისაჲთა, რომელსა-იგი განაწესებს ერისთავი იგი ღმრთისა ეკლესიისაჲ პავლე მოციქული ფარსა და ჳაჭუსა და ჩაფხუტსა და მახვლსა სულისასა, და ესრეთ განეწყენეს წყობად წინააღმდგომთა ძალთა“.⁵ მოწამეთა ფიზიკურ შეუიარაღებლობას ეშმაკი ხმლით უპირისპირდება, თუმცა საწინააღმდეგოდ იღებს

1 აბულაძე 1975: 114.

2 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991: 189.

3 აბულაძე, ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტრეზული ლექსიკონი, 2014: 224.

4 აბულაძე: 1975: 114-115.

5 წმინდა გრიგოლ ნოსელი, შესხმა, 2017: 473.

მარტვილთა შეუდრეკელობასა და სიმხნევეს. ამის შესახებ წმინდა გრიგოლ ნოსელი ამბობს: „მტერი იგი წათებითა და პირად-პირადთა ტანჯვათა მოწვევითა ექადოდეს, ხოლო წმიდანი იგი მოთმინებასა წინა-უყოფდეს“.¹ ამ შემთხვევაში მოწამეებს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი სიმართლე იცავთ. წმინდა იოანე ოქროპირის მიხედვით, სიმართლეში, ზოგადად, სათნო ცხოვრება იგულისხმება, რომელსაც ბევრი ამცირებს და შეურაცხყოფს, თუმცა არავის, თვით ეშმაკსაც კი, არ ძალუძს მისი დაძლევა, ვინაიდან სათნო ცხოვრება იმგვარად იცავს ქრისტიანს, რომ ეშმაკის შეტევებისგან იგი არ მარცხდება. სებასტიელთა სიმტკიცე უდიდესი იმედი და უნათლესი მაგალითია თითოეული მორწმუნე ადამიანისათვის, რამდენადაც ესაა ბრძოლა „სისხლთა მიმართ და ჯორცთა“ (ეფეს. 6. 12), ანუ უძლურ ადამიანებთან კი არ უწევს პიროვნებას შებმა, არამედ ძლიერ სატანურ ძალებთან, რომლებიც, თუმცადა ქრისტემ ჯვრით დაამარცხა, მაინც მოქმედებენ სამყაროში მათი საბოლოო, ესქატოლოგიური დამარცხების დღემდე.

ვეშაპის ხელში ჭერა კი, შეიძლება, ეშმაკის მხრიდან მინიშნება იყოს აგრიკოლასთვის, რომ მარტვილები დასაჯოს წყლის მეშვეობით, ყინვით — სტიქიის ისეთი მდგომარეობით, რომელსაც დედამიწის უდიდესი ცხოველიც ვერ უძლებს და განელტვის.

ორმოცი სებასტიელი მოწამისადმი მიძღვნილი განგების ერთ-ერთ მუხლში ვკითხულობთ: „საცინელ იქმნა და მოიშთო ვეშაპი, დაყუდებული წყალთა შინა პირველად ქრისტეს მწედართა მწნეთა ორმოცთაგან და ძალი მისი, ხრწნილებისა მშობელი, განსქდა და განიბასრა ყოვლად ბოროტი“.² ამ შემთხვევაში „ვეშაპში“ უნდა ვიგულისხმოთ, ზოგადად, ურჩხული. 148-ე ფსალმუნში ვკითხულობთ შემდეგ სიტყვებს: „აქებდით უფალსა ქუეყანით **ვეშაპნი** და ყოველნი უფსკრულნი“ (ფსალ. 148, 7), რაც იმას ნიშნავს, რომ დავით წინასწარმეტყველი ღვთის დიდებისაკენ უფსკრულის მკვიდრთაც კი მოუწოდებს.

როგორც ვნახეთ, მსაჯულმა აგრიკოლამ გასცა ბრძანება, დაედოთ ბორკილები მოწამეებისთვის და ისე მიეყვანათ ტბასთან. ეს არაა უბრალო ბორკილები, არამედ „საჯინი“. „პარხლის მრავალთაგან“ დაცულ „მარტვილობის“ ტექსტში წერია — „საბლები ქედთა“. „საჯივი“ სულხან-საბა ორბელიანთან განმარტებულია, როგორც „ქედის ბორკილი“, „რკინა ქედზე(დ) სადები პყრობილთა“.³ ამგვარადვე განმარტავს სიტყვას ილია აბულაძეც: „ქედზე დასაკიდებელი ბორკილი“.⁴ წმინდა წერილში ეს ტერმინი არაერთ ადგილას გვხვდება, მაგალითად: 1. „ესრე მრქუა მე უფალმან: იქმნეს შენდად შესაკრველნი და **საჯინი**, და დაისხნენ ქედსა შენსა“ (იერ. 27, 2); 2. „წარწყმედად ასურასტანელნი იგი ქუეყანით ჩემით და მთათაგან ჩემთა, და იყვნენ დასათრგუნველ, და

1 წმინდა გრიგოლ ნოსელი, შესხმა, 2017: 473.

2 სადღესასწაულო თვენი 2014: 94.

3 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, 1993: 79.

4 აბულაძე, ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტრეზერვუარი ლექსიკონი, 2014: 656.

მოიღოს მათგან უღელი მათი, და **საჯივი** მათი ქედთაგან მათთა მოელოს“ (ეს. 14, 25). „მარტვილობის“ ტექსტის დამოწმებული მონაკვეთიდან ადვილი შესამჩნევია უკეთური მსაჯულის მზაკვრული ჩანაფიქრი მოწამეთა მიმართ, რადგან მათ უბრალო ბორკილებით კი არ აპატიმრებინებს, არამედ რკინის საბლებით, კისერზე დასადები ბორკილებით, რითაც ცდილობს, კიდევ უფრო დაამციროს მარტვილები და სხვათა დასანახად განსაკუთრებული სიმძაფრით დაასჯევინოს ისინი. დასჯის ასეთი სიმკაცრე, სავარაუდოდ, მითითებული უნდა იყოს უშუალოდ იმპერატორ ლიკინიუსისგან, რომელიც პირველ ხანებში მფარველობდა ქრისტიანებს, შემდეგ კი შეიცვალა აზრი და იმ დროს მის ქვეშევრდომ ბევრ მღვდელს სასტიკად მოექცა, ასევე, საერო პირებსაც, განსაკუთრებით, ჯარისკაცებს. იგი ძლიერ მტრობდა ქრისტიანებს იმპერატორ კონსტანტინესთან თავისი უთანხმოების გამო.¹

უსჯულო მსაჯულ აგრიკოლას ბრძანება შესრულებულ იქნა და მოწამენი შიშვლები გაყინულ ტბაში შეიყვანეს, რასთან დაკავშირებითც „მარტვილობის“ ტექსტში ვკითხულობთ: „და მას ჟამსა, რომელსა იწამნეს წმიდანი იგი, იყო ნეფხვად და ყინელი ფრიად. და ვითარცა მიიყვანნეს და შეადგინნეს იგინი შიშუელნი საშუვალ ტბასა მას, რამეთუ იყო ქარი იგი ზამთრისად და აერი მკსინვარჱ. და ვითარცა დამწუხრდებოდა, დაადგინნეს გარემოჲს მათსა მცველნი ერისა კაცნი და მესაპყრობილეთმოძღუარი იგი. და იყვნეს მახლობელად ტბასა მას აბანონიცა, რომელნი განეხურვნეს, რადთა ინებოს თუ ვინმე მათგანმან, შევარდეს აბანოთა მათ“.²

ორმოცი სებასტიელი მოწამისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ საგალობლებში, ასევე, ნათქვამია: „მოითმენდეს ტანჯვასა წორცთასა, იხარებდეს სულითა მწენნი მარტვლნი და ესრეთ იტყოდეს: არა სამოსელთა აღვიძარცუავთ, არამედ ძუელსა მას კაცსა განვაგდებთ ჩუენგან, მ, ქრისტეს მწედარნო, ფიცხელ არს ნეფხუად, არამედ ჰამო არს სასუფეველი; ძნელ არს ყინელი, არამედ ტკბილ არს ფუფუნებად სამოთხისა; მცირედ მოვითმინეთ, რადთა გვრგვინნი დავიდგნეთ, ძმანო, და ნუმცა მოვმედგრებით, რადთა ვსუფევედეთ ანგელოზთა თანა ქრისტეს მიერ უფლისა და მაცხოვრისა ჩუენთადას“.³

განსაკუთრებულია, ზოგადად, მარტვილთა ღვაწლი, რამდენადაც მათ უძძიმესი ტკივილების გადატანა უწევთ, მაგრამ ქრისტეს სახელისათვის ეს განსაცდელეები და ჭირი სიხარულად შეიცვლება, რადგან თავად უფალი შემოსავს მათ დიდების გვირგვინით. სწორედ ამგვარი მძიმე და გაუსაძლისი ტანჯვა დაითმინეს სებასტიელმა მოწამებმა, როდესაც ზამთრის პერიოდში გააშიშვლეს და გაყინულ ტბაში შეუშვეს. წარმოდგენაც კი შემზარავია იმ ფიზიკური ტკივილებისა, რასაც იმ დროს მარტვილები განიცდიდნენ, მაგრამ მოსალოდნელი სიხარული — ქრისტესთვის სიკვდილი — აღემატებოდა ტკივილით გამოწვეულ სიმძიმეებს. სწორედ ამ განცდის შესახებაა ხაზგასმია მათ სიტყვებში: „ძნელ

1 პენზიას სოქომენე, საეკლესიო ისტორია, 2017: 24.
 2 აზულაძე 1975: 115.
 3 საღღესასწაულო, ტ. III, 2013: 5.

არს ცინელი, არამედ ტკბილ არს ფუფუნებად სამოთხისად¹.¹ მართლაც, ძნელია (მძიმეა) მოსათმენად, როდესაც ცინვა მარტვილთა სხეულის შიგნით შეადრწევდა, მაგრამ ტკბილია სამოთხისეული განსვენება, რისკენაც ასე შეუდრეკელად მიილტვის თითოეული ქრისტიანი.

ტექსტში „ცინელის“ პარალელურად არის სიტყვა „ნეფხვა“,² რომელიც, სულხან-საბა ორბელიანისა და ილია აბულაძის განმარტებით, ნიშნავს „ძლიერ ცინვას“, „აუტანელ ცინვას“, „სიცივეს“,³ რაც გულისხმობს განსაკუთრებით ძლიერ, აუტანელ ცინვას.

სიტყვა „ნეფხვა“ ორგზისაა ნახსენები წმინდა გრიგოლ ნოსელის ორმოცი სებასტიელი მოწამისადმი მიძღვნილ „შესხმაში“: 1. „ესევითარი უკუე იყო ჟამი იგი მოღუაწებისა მათისად, და სიმძაფრესა მას ნეფხვისასა მძაფრი იგი მობერვად ჩრდილოდსად უმძვნვარეს ალატყინებდა, და ვინათგან ახოვანთა მათ სახელი ქრისტქსი ღმრთივბრწინვალედ ქადაგეს, და წინაშე ყოვლისა ერისა აღიარეს, და ესევითართა მით აღსარებითა გვრგვნი ძლევისანი შეითხზნეს; მიერთგან ოხჯანსა მას სიკუდილისასა მიჰმართეს, და ესე იქმნა დამბეჭდველ ღუაწლისა მათისა“;⁴ 2. „ამას იტყოდეს და ესევითართა სიტყუათა მიერ განამჰნობდეს ურთიერთას და მისცემდეს ნეფხვასა თავთა თუსთა. და ესრეთ ცინელი იგი და აგებულებად ნივთთად განსასტიკნებოდა, ხოლო ბუნებასა მას წმიდათასა ვერ ერეოდა, ვერცა დაიმონებდა ... ხოლო ახოვანებად მოწამეთად თვთ მასცა ბუნებასა ერეოდა-ვე, რამეთუ ძალი გუამისად მცირედ-მცირედ განილეოდა და დაჭნებოდა და განიხრწნებოდა ცინელითა მით სასტიკითა, ხოლო სიმჰნე სულისად უმეტეს განმტკიცდებოდა“.⁵

ასევე, სიტყვა „ნეფხვა“ ნახსენებია ამავე ორმოცი სებასტიელისადმი მიძღვნილ წმინდა ბასილი დიდის „შესხმაში“: 1. „რამეთუ იხილა ბუნებად იგი ქუეყანისად მის, ვითარ ცივი იყო და ჟამი წელიწადისად, რამეთუ ზამთარი იყო, მოელოდა ღამესა, რაჟამს ნეფხვისა მის სასტიკებად გარდაემატა, რამეთუ ქარი იგი ჩრდილოდსად, რომელსა ეწოდების ბორიად, იგი ქროდა მას ღამესა სასტიკად, მაშინ ბრძანა განშიშვლებად მათი და შეყენებად ცინელსა მას ტბისასა ღამე ყოველ, რადთა ესრეთ მოსწყდენ“. 2. „კეთილ არს მსხუერპლი ესე, რამეთუ საკუერთხი ესე ახალი არს, რომელი არა ცეცხლითა, არამედ ნეფხვითა შეიწუვის“.⁶ ხსენებული სიტყვა, ასევე, მრავალგზისაა ნახსენები ორმოცი სებასტიელი მოწამისადმი მიძღვნილ საგალობლებში.

1 სადღესასწაულოდ, ტ. III, 2013: 5.

2 სიტყვა „ნეფხვა“ რამდენიმეგზის გვხვდება წმინდა წერილში: „და ქარისაგან ძლიერისა მოსცეს ნეფხვად, შეკრიბნეს წყალნი, ვითარცა ჰნეზავენ“ (იოზ. 37, 10); „რამეთუ ვიქმენი, ვითარცა თხიერი ნეფხვასა, ხოლო სიმართლენი შენნი მე ანა დავივიწყენ“ (ფსლ. 118, 81); „და, აჰა-ესენა, იგინი არიან განბნეულ ცხელსა ქუეშე დღისასა და ნეფხვასა ღამისასა, რამეთუ მოისრნეს იგინი სალმობითა, სიყმილითა და მახვლითა ტყუელობითა“ (ზარუქ. 2, 25).

3 იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991: 591; აბულაძე, ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი, 2014: 562.

4 წმინდა გრიგოლ ნოსელი, შესხმა, 2017: 479.

5 წმინდა გრიგოლ ნოსელი, შესხმა, 2017: 480-481.

6 წმინდა ბასილი დიდი, შესხმა, 1983: 174-175.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ორმოცი მარტვილი იტანს არა მცირე, ზედაპირულ ცინვას, არამედ ფრიად მკაცრ, უსასტიკეს, სტიქიურ ცინვას, რისი გაძლებაც ადამიანური თვალსაზრისით წარმოუდგენელია. ცინვას ემატება „ქარი იგი ზამთრისად და აერი მკსინვარჭ“. „მკსინვარე“ ნიშნავს „ფრიად ფიცხელს“, „განრისხებულს“;¹ აქედან გამომდინარე, „მკსინვარე ჰაერში“ იგულისხმება ზამთრის ცივი, უხეში, სასტიკი ჰაერი. ასეთ პირობებში სამოსლის გარეშე ჩაიყვანეს მოწამეები ტბაში; იქვე, ტბასთან ახლოს, ცეცხლი დაანთეს და აბანო მოაწყვეს იმ ჩანაფიქრით, რომ, შესაძლოა, მოწამეებმა ვერ გაუძლონ ცდუნებას და გაექცნენ უკიდურეს ტანჯვას:

„და პირველსა საჯუმილავსა ღამისასა შეიქუნძნეს და დაილუწვოდეს ძუალნი წმიდათანი მათ მყინვარითა, და დარქუმითა მით მყინვარისადათა ჯორცნი მათნი დაიბძარვოდეს“.²

ავტორი ცხადად წარმოგვიდგენს, თუ რაოდენ დიდი და განუზომელი ტკივილების გადატანა უწევდათ მოწამეებს სასტიკი ცინვის გამო, რადგან მათი სხეულის ნაწილები იხეთქებოდა („დაიბძარვოდეს“) და ძვლები ილუწვებოდა და იხრებოდა (დეფორმაციას იღებდა. ძვ. ქართ.: „შეიქუნძნეს“).³

მოწამეთა გაუსაძლის მდგომარეობას ნათლად აღწერს წმინდა ბასილი დიდი „შესხმაში“: „პოვა უკუე ღონე და გულისჯმა–ყავთ, ვითარმედ ბოროტი იყო იგი. რამეთუ იხილა ბუნებად იგი ქუეყნისად მის, ვითარ ცივი იყო და ჟამი წელიწადისად, რამეთუ ზამთარი იყო, მოელოდა ღამესა, რაჟამს ნეფხვისა მის სასტიკებად გარდაემატა, რამეთუ ქარი იგი ჩრდილოდსად, რომელსა ეწოდების ბორიად, იგი ქროდა მას ღამესა სასტიკად, მაშინ ბრძანა განშიშულებად მათი და შეყენებად ყინელსა მას ტბისასა ღამე ყოველ, რადათა ესრეთ მოსწყდენ. ხოლო უწყით სამე, რომელნი–ევე გამოცდილ ხართ სიცივესა, ვითარ მოუთმენელ არს სატანჯველისა ამის სახს. რამეთუ არცათუ შესაძლებელ არს, რადათამცა სხუათა კეთილად გულისჯმა–უყავთ იგი, გარნა რომელთა გამოცდილებისა მიერ იციან საქმისა მის სახს. რამეთუ ჯორცნი, სიცივესა ფიცხელსა შთავრდომილნი, პირველად გარდაიქცინა მწიედ, რაჟამს სისხლი შესქელდებინ ყინელისა მისგან, მერმე შეიწუებინ და შეიმუსრვინ, რამეთუ კბილნი ურთიერთას ეცემოდიდ და ნაწევარნი დაიჯსენებოდიდ და ყოველივე გუამი შეურვებულ არნ. და საღმობად მწარჭ და ტკივილი გამოუთქუმელი არნ, რომელი შეეხებინ ტვნთა და გემოდ იგი სიბოროტისად მწარე არნ. მერმე კიდენი გუამისანი მოჰვარდებოდიდ და ვითარცა ცეცხლისა მიერ შეიწუებოდიდ. რამეთუ სისხლი ივლტინ კიდეთგან გუამისათა და მიივლტინ სიღრმედ გუამისა და სადადთ–იგი განეშორის, მკუდრად

1 აბულაძე, ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი, 2014: 453.

2 აბულაძე 1975: 115.

3 ილია აბულაძის განმარტებით, „შექუნძვა“ (პარხლის მრავალთავში დაცულ რედაქციულ ტექსტში „შექუნძვნისა“ და „დალუწვის“ ნაცვლად წერია: „შეიმჭუალვიდეს“ – იხ. აბულაძე 1975: 115) – „მოლუნვას, მოხზას“ აღნიშნავს, ხოლო „დაბძარვა“ – „ჩამოჰვას, გახეთქვას, დახევას“ (აბულაძე, ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი, 2014: 215, 821).

დაუტევის, ხოლო სადა-იგი მივიდის, სალმოზაი განამრავლის, რაჟამს სიკუდილი მცირე-მცირედ შესქელებითა მით სისხლისადთა მოიწევენ.¹

მსგავსი სიმძიმით არის წამოჩენილი მოწამეთა ტკივილები წმინდა გრიგოლ ნოსელის მიერაც, როდესაც ყურადღებას ამახვილებს ზამთრის სიმკაცრესა და ღამის პერიოდზე: „ყინელი უკუე იყო მას დღესა შინა, და უწყი, რამეთუ არა გეგმაროს უმეტესი რაიმე სწავლად, რომელსა-იგი აწინდელი ესე ყინელი საანჯმნო ჰყოფს. ყინელი უკუე იყო, რომელი-იგი კნინდა და კლდეთაცა განაპებდა, და იცით ესე ყოველთა, და მკვდრთაცა და უცხოთაცა, თუ ვითარ სასტიკ არს ადგილსა ამის ზამთარი, და თუ ვითარ მდინარენიცა, დაუწყუედელად მავალნი, დასცხრებინ, ყინელისა მიერ მიმძლავრებულნი, და ღბილი იგი ბუნებად მათი და ღელვად ქვისა ბუნებად გარდაიქცევის. და მახლობელი ესე ტბად, უდაბნოდ წყურიელად შეცვალებული, ნიშნითაღა რადთმე და სასწაულითა იცნობების, ყინელისა მიერ ჭაბუკთა სამღერელად და ცხენთსარბიელად შეცვალებული, სადა-ესე მრავალგზის წყურილითა შეიწრებულნი, ვითარცა ტყვესა, გინა ვითარცა რვალსა, ესრეთ განადნობენ მყინვარსა ცეცხლისა მიერ, და წყურვილსა თვსსა ნუგეშინის-სცემენ.“²

ამგვარი გაუსაძლისი პირობებით დამძიმებული ერთ-ერთი მეომარი, რომელმაც ვეღარ გაუძლო წამებას, ადგილს მოსწყდა და სირბილით გაიქცა აბანოსაკენ და როდესაც მიუახლოვდა სითბოს, მყისვე დაეცა და სული წარბდა.³ თანამოძმეებს ჩამოცილებული მეომრის ტრაგიკული სიკვდილი გვახსენებს იუდა ისკარიოტელის აღსასრულს, რომელიც აღწერილი აქვს ლუკა მახარებელს „საქმე მოციქულთაში“: „კაცნო ძმანო, ჯერ იყო აღსრულებად წერილი, რომელი-იგი წინაგზარ თქუა სულმან წმიდამან პირითა დავითისითა იუდასთვს, რომელი ექმნა წინამძღუარ შემპყრობელთა მათ იესუსთა, რამეთუ აღრაცხილ იყო ჩუენ შორის, და ხუედრებულ იყო წილი მსახურებისაღ ამის. ამან მოიგო დაბად სასყიდლითა მით სიცრუვისადთა და განსივნა და განსთქდა შორის, და განიზნინეს ყოველნი ნაწლეფნი მისნი (საქ. მოც. 1, 16-18).

ამ მუხლებთან დაკავშირებით წმინდა ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ კომენტარებში ვკითხულობთ: „ვინადგან უძლურნი და დაუმტკიცებელნი სულნი ვერ ეგოდენ ხედვენ საუკუნოსა, რაოდენ საწუთოსა ამას, ამისთვს მერმე იგი დაიდუმა ტანჯვად და აქაცა ამას იტყვს იუდასდა შემთხუეულსა განსივებასა და განხეთქასა“.⁴

დარჩენილი 39 მარტვილი, მოციქულთა მსგავსად, კი არ განიკითხავს შემცოდე თანამოძმეს, არამედ ყურადღებას ამახვილებს სიბრალულსა და სინანულზე და იწყებს გულმხურვალე ლოცვას. სულმოკლე იუდასადმი მოციქულთა დამოკიდებულების შესახებ წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „და სახელსა რად იუდასსა იტყოდის, არა დაჰრთავს გინებასა ანუ წყევასა, ვითარმცა ეთქუა: «ბილწმან» ანუ «უკეთურმან», არამედ ლიტონად

1 წმინდა ბასილი დიდი, შესხმა, 1983: 174.

2 წმინდა გრიგოლ ნოსელი, შესხმა, 2017: 478-479.

3 ამულაძე 1975: 116.

4 სამოციქულოს განმარტება, I, 2000: 32-33.

მოგვთხრობს წესითა თხრობისადათა, რადათა ჩუენცა ესევეითართა მიმართ არა მაგინებელ ვიყვნეთ, რამეთუ კმა იყო მისსა ესე ოდენ, ვითარ ნაწილისაგან მოწაფეთაჲსა განვარდა და წინამძღუარ იქმნა შემპყრობელთა მოძღუარისა მის სახიერისათა“.¹

განსაცდელუების წინაშე მდგარი მარტვილები, რა თქმა უნდა, ღვთის შემწეობის მოიმედენი არიან, ამიტომაც ღვთისადმი ვედრებას ადავლენენ: „ღალად-ყვეს ყოველთა, ვითარცა ერთითა პირითა და თქუეს: «ნუ წყალთა ამათ ზედა განპრისხნები ჩუენთვს, უფალო, გინათუ მდინარეთა ზედა რისხვად შენი საშინელ არს, რამეთუ რომელი-იგი ჩუენგან ივლტოდა, ვითარცა წყალი დაითხია და განიბნინეს ყოველნი ნაწლეენი მისნი»“.² ეს სიტყვები ჰგავს ამბაკუმ წინასწარმეტყველის ლოცვას: „მდინარეთა ზედა ნუ განპრისხნე-ა, უფალო, ანუ გულისწყრომად შენი მდინარეთა ზედა, გინათუ ზღუსა ზედა სლვად შენი?“ (ამბაკუმ. 3, 8).

ეს ის დროა, როცა ღვთის „დამსჯელი მათრახი“ უკვე მიმართული იყო იერუსალიმისკენ, სადაც ისრაელიანთა მამათა ღმერთის სატაძრო მსახურების პარალელურად ხალხში არსებობდა პანთეისტური რელიგიებიც. ჭეშმარიტი ღვთისმოსავნი მცირენილა დარჩნენ. ყოველივე ეს წინასწარმეტყველისათვის მწუხარებისა და გლოვის საბაბი იყო.

მსგავსი მდგომარეობა იყო მარტვილთა პერიოდშიც: დასავლეთ რომის იმპერატორმა კონსტანტინემ შეიმეცნა ქრისტიანული სარწმუნოება. იგი აგებდა ქრისტიანულ ტაძრებს და განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდა მორწმუნეებს. მის პარალელურად აღმოსავლეთ რომის იმპერატორ ლიკინიუსს წარმართული ცრუ ღმერთები სწამდა და სძულდა ქრისტიანები. მართალია, იგი კონსტანტინეს შიშით ქრისტიანების აშკარა და მასშტაბური დევნისაგან თავს იკავებდა, მაგრამ ფარულად მაინც ჩადიოდა მრავალ სისაძაგლეს მორწმუნეთა მისამართით. სწორედ მისი ბრძანების შედეგად შეიპყრეს ორმოცი სებასტიელი მოწამე და გადაწყვიტეს მათი სასტიკად დასჯა.

დაბრკოლებული თანამოძმის საქციელით სულშეღონებული მარტვილები ასე ლოცულობენ უფლის წინაშე: „ხოლო ჩუენ არა განგეშორნეთ შენგან, ვიდრემდე გუაცხოვნე ჩუენ, რომელსა გაქებენ ყოველნი უფსკრულნი, ცეცხლი, სეტყუად, თოვლი, მყინვარი, სული ნიავქარისა“.³ ეს სიტყვები ეთანადება 148-ე ფსალმუნის ტექსტს: „აქებდით უფალსა ქუეყანით ვეშაპნი და ყოველნი უფსკრულნი; ცეცხლი, სეტყუად, თოვლი, მყინვარი, სული გრიგალისაჲ, რომელნი ყოფენ სიტყუსა მისსა“ (ფსლ. 148, 8). ეს არის მოწოდება ყოველი ქმნილებისა, რომ განადიდონ უფალი; ბუნებრივი მოვლენებიც კი — ცეცხლი, სეტყვა, თოვლი, ყინვა, გრიგალი „ჰყოფენ სიტყუსა მისსა“, განადიდებენ უფალს, რომელმაც შექმნა ბუნების კანონები და ემორჩილება ყოველივე“.⁴

მარტვილთა ლოცვის ის ნაწილი, რომლითაც წარმოთქმულია შემდეგი სიტყვები:

1 სამოციქულოს განმარტება, I, 2011: 74.

2 აბულაძე 1975: 116.

3 აბულაძე: 1975: 116.

4 ბიზლია განმარტებებით 2020: 442.

განსაცდელისა და საშიშროების ჟამს სებასტიელი მარტვილები თავიანთ ლოცვაში გულისხმობენ მახარებელთაგან დამოწმებულ ეპიზოდებს, რითაც გამოხატავენ უფლის მიმართ სრულ მინდობასა და მზადყოფნას ტკივილების დასათმენად.

მარტვილთა ლოცვა გრძელდება შემდეგი სიტყვებით: „და აწცა შენ, უფალო, იგივე ხარ, რომელმან ისმინე ვედრებად იგი იაკობისი, ოტებულისად მის თქუმისა მისგან ესავისა, რომელი იოსების თანა განიყიდე და გამოჰზარდე იგი. რომელმან ისმინე მოსწისი და მიეც ჯელთა მისთა ყოფად ნიშნებისა და სასწაულებისა ეგვტქსს, ფარაოს ზედა, და ერსა მისსა, რამეთუ ზღუად განაპო და უძლოდა უდაბნოსა ერსა მას შენსა. რომელმან ისმინე წმიდათა მოციქულთა შენთად, ისმინე ჩუენიცა, უფალო, და ნუ დამფარავნ სიღრმქს უფსკრულთა წყალთად და ნუცა დამთქამნ, რამეთუ დავგლახაკენით ჩუენ ფრიად. შემეწიენ ჩუენ, უფალო, მაცხოვარო ჩუენო, რამეთუ დავდევით სიღრმესა ამას წყლისასა, და დაებნინეს სიტფილესა ფერჯნი ჩუენნი. დააყუდე და დააცხრვე სიძლიერქს ესე და სიმწარქს ქართად, რადთა ცნან ყოველთა, რამეთუ შენდამი ვლადად-ვყავთ და ვცხონდით“.¹

ლოცვის ამ მონაკვეთის დასაწყისში საუბარია „ოტებული“ იაკობის ვედრებაზე. იგულისხმება ბიბლიიდან შემდეგი ეპიზოდი: „და თქუა იაკობ: ღმერთო მამისა ჩემისა აბრაამისო და ღმერთო მამისა ჩემისა ისაკისო, უფალო, რომელმან მარქუ მე: «წარვედ ქუეყანად შენდა საშოდსა და კეთილი გიყო შენ», კმა არს ჩემდა ყოვლისაგან სიმართლისა და ყოვლისაგან ჭეშმარიტებისა, რომელ უყავ მონასა შენსა“ (დაბ. 32, 10-11). ალექსანდრე ლოპუხინის მიერ შედგენილ წიგნში დამოწმებული ადგილის შემდეგ კომენტარს ვეცნობით: „იმის გააზრებით, რომ ადამიანური ძალა და საშუალებანი, როგორც თავდაცვის იარაღი, არაა საკმარისი, იაკობი ვედრებით მიმართავს ღმერთს. ეს პირველი ლოცვა ბიბლიაში (თუ არ ჩავთვლით აბრაამის შუამდგომლობას სოდომელების გადასარჩენად [იხ. დაბ. 18, 23-32]), რომელსაც აქვს ჭეშმარიტი ლოცვის ყველანაირი ნიშანი, გამოირჩევა გულწრფელობით, ბავშვური სიმარტივით, ღმერთისადმი მაღლიერებით, მისდამი მორჩილებითა და იმედით“.²

ასეთივე განწყობაა სებასტიელ მოწამებშიც. ლოცვით განმტკიცებულები განსა-

1 აბულაძე 1975: 116-117.

2 Лопухин 1983: 187.

კუთრებული მომთმენობით იტანენ სატანჯველებს და ამგვარად შელაღადებენ უფალს: „შენდამი ვლაღად-ვყავთ და ვცხონდით“.¹

მათი ამ მომთმენობით ტკბილი განსასვენებლისაკენ მიემართებიან, სადაც მოელით დიდების გვირგვინი და ქრისტესთან ერთად მარადიულ ნეტარებას განიკუთვნიან.

„მარტვილობის“ მიხედვით, ამის შემდეგ *„დაპყრიდეს სამოსელთა მათთა და შევიდოდეს ტბასა ახოვნად მზნენი მარტვილნი და წმობდეს: სამოთხისათვის, რომელ წარვწყმიდეთ, ნუ ვპირიდებთ განხრწნადთა ამათ სამოსელთა და ჯორცთა, ახოვანხო... და მესამესა ოდენ ჟამსა ლამისასა მშჳ მოეფინა მათ ზედა, ბრწყინვალე, ვითარცა დღეთა არისათა, და დადნა მყინვარი იგი და იქმნა წყალი იგი ტფილ“*.²

სიმბოლურ-ალეგორიული გააზრებით, ღვთის მიერ აღსრულებული სასწაული ორგვარად შეიძლება იქნას შემეცნებელი: 1) უფალმა შეიწირა მარტვილთა ლოცვა-ვედრება, ღმერთს სათნო-ყყო მოწამეთა განუზომელი ღვაწლი და მოხდა სასწაული — გათბა ტბა, რაც შვებისმომგვრელი იყო სებასტიელი მოწამეებისთვის და გასაოცარი ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც უშუალოდ შეესწრო ამ ფაქტს; 2) უზარმაზარი ყინულის მასების გაღობა და ცივი ტბის გათბობა, შეიძლება, შევუდართ იმ ადამიანთა მდგომარეობას, ვინც ამ ამბის შემდეგ წარმართობიდან, გულცივობიდან და გონებაგაყინულობიდან ქრისტეს ნათელს ეზიარება, რაც არის განსაკუთრებული სითბო და სიყვარული.

ჩვენ ზემოთ დავიმოწმეთ ეპიზოდი, როდესაც ორმოც მხედართაგან ერთ-ერთი, თავისი სისუსტიდან გამომდინარე, მარტვილთა კრებულს მოაკლდა და საკუთარი თავი ქრისტეს დიდებისაგან განირიდა. აი, ასეა შეფასებული კონკრეტული პიროვნების საქციელი: „უგუნურ არს და ღირს მწარედ გოდებისა ორთავე ცხოვრებათა დაკლებული მეოტი, რამეთუ ცეცხლმან დაჰსნა და წარჰდა რად სული ყოვლად საწყალობელსა, დაუშრეტელსა ცეცხლსა დაშჳად მიეცა“.³

სწორედ ამგვარადვე დაბრკოლებული მხედრის ტრაგიკულ ხვედრზე საუბრობს წმინდა ბასილი დიდი, როდესაც ამბობს: „ხოლო ერთი რიცხვსა მისგან ჭირთა მათ მიმართ მოიწყინა და სულმოკლექმნილი ივლტოდა და გლოვად ურიცხვ დაუტევა წმიდათა მათ... ეჰა საქმე საწყალობელი სახილველად მართალთა: მჳედარი იგი ლტოლვილ, მბრძოლი იგი ტყუექმნილ, ცხოვარი იგი ქრისტესი მჳეცთა მიერ წარტაცებულ და უსაწყალობელესი ესე არს, რამეთუ ზეცისა ცხოვრებასა გამოეჳუა და საწუთროსაცა ვერ მიემთხვა, რამეთუ მი-რაჲ-ეახლა სიტფოსა მას, მეყსეულად ჯორცნი მისნი დაიჰსნნეს და განილინეს და ჯორცთამოყუარე იგი დაეცა ურჩულოქმნილი ამოდ“.⁴

კაბადოკიელი მოძღვარი ღვთისადმი მარტვილთა სავედრებელს ასე გადმოგვცემს: „ორმეოცნი შემოვედით ასპარეზსა ამას და ორმეოცნივემცა გვრგვნოსან ვიქმნებით!

1 აბულაძე 1975: 117.

2 აბულაძე 1975: 118.

3 საღვთისმეტყველო თვენი 2014: 94.

4 წმინდა ბასილი დიდი, შესხმა, 1983: 176-177.

უფალო, ნუმცა დავაკლდებით რიცხუსა ამას ნუცა ერთი, რამეთუ რიცხვ ესე პატიოსან არს, რომელთა შენ პატივ-ეც წმიდათა მათ შენტა მარხვითა ორმოც დღე, რომლითა შჯულისდებად სოფლად შემოწდა მოსქს მიერ; ორმოც დღე მარხვითა ელია გამოირჩია ღმერთი და დიდსა მას ხილვასა შეემთხვნეს იგინი“.¹

წმინდა გრიგოლ ნოსელი მარტვილთა გუნდს მოკლებულ მხედარს „ემმაკისგან წარპარულს“ უწოდებს.²

როდესაც მარტვილთა დიდი სიმტკიცე და შეუდრეკელობა იხილა მტარვალთა ერთ-ერთმა მსახურმა — აგლაიოსმა, გაუთბა ურწმუნოებით გაყინული გული და მოწამეთა დასს შეუერთდა. მოწამეებისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ საგალობელში ხმიანდება: „რაჟამს იხილნა ორმოცნი გვრგვნი, განპკრთა მცველი მარტვლთა და მცის განიშორა ცხოვრებად ესე და ქრისტეს სურვილითა ფრთოვან იქმნა და წმიდათა თანა წმობდა: მამათა ჩუენთა ღმერთო, კურთხეულ ხარ შენ“;³ ასევე: „აბანოსა რად სულთა განმხრწნელსა შთაწდა, მცის მოკუდა განდგომილი, ხოლო ღმრთისმოყუარემან მცველმან მიიტაცა ცხოვრებად და უხრწნელებად და ქრისტეს მარტვლთა თანა წმობდა: ღმერთო ჩუენო, კურთხეულ ხარ“.⁴

სასწაულის ხილვის შედეგად ქრისტეს სარწმუნოებისაკენ მსწრაფველი აგლაიოსის ეპიზოდი აქვს აღწერილი, ასევე, წმინდა გიორგი მთაწმინდელს „დიდ სუნაქსარში“: „ხოლო რომლისადა-იგი დაცვაა წმიდათა ბრძანებულ იყო, ადგილსა მას მეოტისასა თავი თვისი დააწესა და მკუეთრ შორის წმიდათა მათ შევიდა, რამეთუ ნათელი დიდი იხილა სიბნელესა მას ღამისასა წმიდათა ზედა მოფენილი და გვრგვნი კაცად-კაცადისა ზედა გარდამოსრულნი“.⁵

წმინდა ბასილი კესარიელის „შესხმაში“ მოწამებთან ერთად აღრიცხული მცველის შესახებ საგულისხმო ცნობაა: „ხოლო მცველმან ვითარცა იხილა იგი ლტოლვილად და აბანოდ მისრულად, თავი თვისი სულმოკლისა მის ადგილსა დააწესა: და განაგდო სამოსელი თვისი და შერთო თავი თვისი შიშუელთა მათ თანა და მასვე წმასა წმობდა წმიდათა მათ თანა, ვითარმედ: «ქრისტიანე ვარ». და მეყსა შინა შეცვალებითა მით თვისითა მუნ მყოფნი იგი განაკვრენა და რიცხვ იგი აღასრულა და მწუხარებასა მას მათსა, რომელი აქუნდა ლტოლვილისა მისთვის, ნუგეშინის-სცა. მიემსგავსა მბრძოლთა მწედართა განწყობილთა, რომელნი პირველთა მათ ფაროსანთა შორის დაცემულისა მეყსეულად დასსა აღასრულებენ, რადთა არა განიკუეთოს ერთობად მათი ნაკლულევანებითა მით. ეგრეთვე ამან ყო: იხილნა ზეცისა იგი საკვრველებანი, იცნა ჭეშმარიტებად, შეეწყნარა მეუფესა, შეირაცხა მოწამეთა თანა, განაახლა საქმს იგი მოციქულთად; წარვიდა იუდა და

1 წმინდა ბასილი დიდი, შესხმა, 1959: 120.
2 წმინდა გრიგოლ ნოსელი, შესხმა, 2017: 473.
3 სადღესასწაულო თვენი 2014: 96.
4 სადღესასწაულო თვენი 2014: 96.
5 დიდი სუნაქსარი, 2017: 184.

შემოვიდა მატათია;¹ მიმსგავსებულ იქმნა პავლესა, რომელი-იგი გუშინ მდევარი იყო, დღეს ქადაგ იქმნა. ამანცა ზეცით მოიღო წოდება: «არა კაცთაგან, არცა კაცთა მიერ»,² ირწმუნა სახელი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. ნათელ-იღო სახელსა ზედა მისსა არა სხვსა მიერ, არამედ თვისისა სარწმუნოებისაგან, არა წყლითა ოდენ, არამედ თვისითა სისხლითა“.³

ორმოცი სებასტიელის მარტვილობის ისტორიის მიხედვით, გაყინულ ტბაში შესვლამდე მოწამეები განიძარცვავენ სამოსელს და ისე შევლენ, სადაც ერთმანეთს განამტკიცებდნენ. ამასთან დაკავშირებით წმინდა ბასილი დიდი ბრძანებს: „ესრეთ ურთიერთას აწუევდეს და განაძლიერებდეს და იტყოდეს: არაჲ თუ, შ ძმანო, სამოსელსა აღვიძრცვო, არამედ ძუელსა მას კაცსა განვაგდებთ, განხრწნილსა მას გულისთქუმათა მიერ საცთურებისათა. გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ სამოსელსა ამას თანა ცოდვისაგან განვშიშულდებით. შ ჭაბუკნო, სამოსელი ესე, რომელი გუელისა მიერ შევიმოსეთ, ქრისტესთვის აღვიძარცვოთ, ნუ ვპრიდებთ სამოსელთა ამათ განხრწნადთა სამოთხისა მისთვის, რომელი წარწყმდიეთ“.⁴

საინტერესოა, რომ აღსასრულისა და ქრისტესთან შეხვედრის წინ მარტვილებმა განიმოსეს ძველი კაცი, რაც გულისხმობს ცოდვილი მდგომარეობის განგდებას. ამასთან დაკავშირებით პავლე მოციქული ბრძანებს: „განიშორეთ თქუენგან პირველისა მისებრ სღვისა თქუენისა ძუელი იგი კაცი, განხრწნილი გულისთქუმისა მისებრ საცთურისა“ (ეფეს. 4, 22). იგივე მოციქული სხვაგან ამბობს: „ნუ უტყუით ურთიერთას, განიძარცუეთ ძუელი იგი კაცი საქმით მისითურთ და შეიმოსეთ ახალი იგი, განახლებული მეცნიერებად, მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა“ (კოლას. 3, 9-10).

სებასტიელი მარტვილები ამ მხრივაც სამაგალითონი არიან. „ძუელი კაცი“ ემონება ცოდვისა და წარმავლობის ძალებს, ამდენად, ადამიანი, რომელმაც ვერ შეიცნო ქრისტეს მადლი, არის „წორციელი“ ან „მშვნვიერი“ და ჩადის ისეთ საქმეებს, რომლებიც სიკვდილისკენ მიუძღვის. ამის საპირისპიროდ, „ახალი კაცი“ ქრისტეს მიერ ძირეულად შეცვლილი ადამიანია — ის, ვინც ცოდვასა და ხორციელ საქმეებს კი აღარ ემორჩილება, არამედ ღვთის სულს. საკუთარი შესამოსლის განძარცვით „მესაპყრობილეთ-მოძღუარი“ სიმბოლურად გამოხატავს, რომ მან დაუტევა „ძველი იგი კაცი“ და გახდა მოშურნე, მიმბაძველი მისთვის სამაგალითო ადამიანებისა — ქრისტიანებისა. მცველი აგლაიოსი ასე ლოცულობს მოწამეებთან ერთად ტბაში ჩასვლის შემდეგ: „უფალო ღმერთო, მრწამ, რომელთა ამათ ჰრწმენი, ამათ თანა შემრაცხე მე და ღირს მყავ მე ტანჯვათა და დათმენად განსაცდელისა, რადთა მეცა რჩეულ ვიპოვო“.⁵ აგლაიოსმა გააცნობიერა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ქრისტესადმი ერთგულება და სიყვარულია, რომლისთვისაც ითმენს

1 იხ. საქ. მოც. 1, 25-26.
 2 გალ. 1, 1.
 3 წმინდა ბასილი დიდი, შესხმა, 1983: 177.
 4 იქვე: 175.
 5 საღღესასწაულო თვენი 2014: 118-119.

ქრისტიანი ყოველგვარ განსაცდელს. ამ განსაცდელთაგან ხორციელად მოუძღვრებულ სულიერად ძლიერი და განმტკიცებულია (იხ. II კორ. 12, 10).

რა თქმა უნდა, მარტვილთა მიერ გამოვლენილი ეს სიმტკიცე ეშმაკისათვის არ იქნებოდა მოსაწონი, ამიტომ მოისურვა მათი სიკვდილი: „*ეშმაკმან ვითარცა იხილა, რამეთუ იძლია, გამოიხნდა ხატად, ვითარცა კაცი, ჯელნი მოიჭდვნა მუხლთა და იტყოდა წინაშე ყოველთასა: ვად ჩემდა, რამეთუ ვიძლიე წმიდათა ამათ კაცთაგან და ვიქმენ საკიცხველ ყოვლისა, მაქუნდამცა შემწმ შინაგანმეტყუელი, ვინ უწყის, არადმცა ვიძლიე. ხოლო აწცა უქციო გული მთავართად მათ და დაწუნენ ჯორცნი წმიდათანი მათ და შთასთხიენენ წყალსა, და ესე ვყო, რადთა არა იპოოს ნეშტი ძუალთა მათთად*“.¹

დამოწმებული ტექსტის მიხედვით, მართალია, ეშმაკი თითქოს აღიარებს თავის დამარცხებას, მაგრამ ასეთ დროს მისი მიზანი არის სხვა ფორმით ცდუნება ადამიანებისა. ამიტომაც ყოველი ადამიანი უნდა მღვდისარებდეს, რათა როდესაც ეგონება, რომ ყველაფერი კარგად არის, შესაძლოა, სწორედ იმ დროს იძლიოს მაცდურისაგან. ამის შესახებ პეტრე მოციქული თავის ეპისტოლეში ბრძანებს: „*განიფრთხვეთ, მღვდარე იყვენით, რამეთუ წინამოსაჯული თქუენი ეშმაკი, ვითარცა ლომი მყვრალი, მიმოვალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა*“ (I პეტრ. 5, 8). აღნიშნული მუხლის განმარტებისას წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „*ვინაფთგან ძილი და უდებებად მჯეცთ შესაჭმელ ჰყოფენ სულსა, ამისთვის სიფრთხილედ და მღვდარებად გვბრძანებს დაუგებელისა მისთვის და ყოვლად სამარადისოდსა მძვინარებისა, რომელი აქუს ჩუენთვის საცნაურსა მას ლომსა, მოსურნესა შთანთქმისა ჩუენისასა, რომელი-იგი ვინაფთგან საღმრთოდ მღვდარეთა და კეთილად მოლუაწეთა ვერ შთანსთქამს, ამისთვის მიმოვალს, რადთა პოვოს ვინმე დამძიმებული ჰრულითა უდებებისადათა, და ყოს საზრდელ მუცლისა თვისისა, არამედ ვსძლოთ მას, უკუეთუ მტკიცე ვიყვენთ სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა და იგი ჰბრძოდის მას ჩუენ წილ*“.²

როგორც მოწამეთა ისტორიის დამოწმებული ეპიზოდებიდან გაცხადდა, ეშმაკი მოქმედების სხვა ეტაპზე გადადის; მას სურს, რომ შთააგონოს მთავრებს მარტვილთა უფრო სასტიკი დასჯა და სიკვდილი, შემდეგ ცხედართა დაწვა და მდინარეში გადაყრა, რათა მოწამეთა წმინდა ნაწილებს ვერ მიეახლონ მორწმუნეები. ამ მხრივაც ნათელია მსგავსება „*აბო ტფილელის მარტვილობასთან*“. სებასტიელ მოწამებთან მეზობლი ეშმაკის განზრახვა სრულად თანხვედრა იმ ქრისტესმზობლი ადამიანების მოქმედებას, რომლებიც ცდილობდნენ ამირასათვის შთაეგონებინათ აბოს სხეულის დაწვა და შემდეგ დამწვარი ნაწილების მდინარეში გადაყრა. ორმოცი სებასტიელი მოწამისა და წმინდა აბო თბილელის წამების ისტორიაში იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი პარალელი. აღსასრულის შემდეგ წმინდა აბოს სხეული დადეს ურემზე, ისევე როგორც სებასტიელი

1 სადღესასწაულო თვენი 2014: 119.

2 სამოციქულო განმარტება, ტომი I, 2011: 509.

მარტვილების სხეულები. წმინდა აბოს თავი მოჰკვეთეს იმ ტაძრის კართან, რომელიც წმინდა ორმოცი მოწამის სახელზე იყო აგებული. სხვა მნიშვნელოვან პარალელებზე ტექსტის შესაბამის ადგილას კიდევ გვექნება მსჯელობა.

მიუხედავად ეშმაკის ჩანაფიქრისა, რომ მოწამეები სასტიკი სასჯელით დაამინოს, ისინი საკუთარ თავს კიდევ უფრო მეტი სიმტკიცისაკენ აღძრავენ. მარტვილთაგან ერთ-ერთი — წმინდა კანდიდე — ამგვარად ვევედრება ღმერთს: „*ვინ არს ღმერთ დიდ, ვითარ ღმერთი ჩუენი. შენ ხარ ღმერთი, რომელმან ჰყვ საკვრველი მხოლომან, რამეთუ მტერი ესე ჩუენი ჩუენ კერძო ჰყავ, და დაკლებად მეოთხისად მის ათეულისად აღავსე და ეშმაკსა არცხუნე. და იტყოდა ფსალმუნსა ამას: «მაცხოვრე მე, ღმერთო, რამეთუ მოაკლდა წმიდაა»¹“.² მარტვილი მადლობს ღმერთს იმის გამო, რომ მათი ერთ-ერთი მოწინააღმდეგე (იგულისხმება მცველი ავლიაოსი) აღირიცხა მოწამეთა დასში და ასე შეავსო დაკლებული რიცხვი.*

როდესაც უსჯულო ჯალათებმა შეიტყვეს, რომ ერთ-ერთი მათგანი წამებულთა რიცხვს შეუერთდა, განრისხდნენ და სიკვდილის დასაჩქარებლად მათ წვივები დაუღეწეს: „*ვითარცა განთენა, მოვიდეს ურჩულონი იგი მძლავრნი და იხილეს მესაპყრობილეთ-მოძღუარი იგი მათ თანა. ჰკითხვიდეს ერისაგანთა მათ, ვითარმედ რად იხილეს? მიუგეს მათ და პრქუეს: ჩუენ ძილითა დაწმულ ვიყვნეთ, ხოლო იგი ღამს ყოველ მღვიძარს იყო და მეყსეულად განგუაღვძნა ჩუენ ძილისაგან, და ვიხილეთ ნათელი დიდი მათ ზედა. და მან დააბნია სამოსელი თვის და შთავარდა მათ თანა, ღალადებდა და იტოდა, ვითარმედ: მეცა ქრისტიანე ვარ. ხოლო მძლავრნი იგი აღივსნეს გულისწყრომითა და ბრძანეს გამოთრევად მათი კიდესა მის ტბისასა და წათითა დაღეწნეს წვენი მათნი“.³*

ორმოცი სებასტიელის წამების ეპიზოდში აღწერილია ერთ-ერთი ფაქტი, რომელიც, ერთი მხრივ, საკმაოდ ძნელად აღსაქმელია, მეორე მხრივ, უდიდესი სიმტკიცისა და სიმაჰაცის გამოხატულებაა. მეომართაგან უმრწემესის — მელიტონის — დედა საშინელი წამების დროს საკუთარ შვილს ამხნევებდა და მოუწოდებდა, უფლის სახელისთვის დაეთმინა ყოველივე: „*ხოლო დედად ერთისა მათგანისად დგა მათ თანა, რამეთუ იყო ძმ მის უმრწემს მათ ყოველთა, ეშინოდა, ნუუკუე მომედგრდეს შვილი იგი მისი, და შეეკერტნეს და ხედვიდა მას. განუყარნა თითონი მსგავსად ვედრებისა და პრქუა: ტკბილო შვილო ჩემო, წუთ ერთ დაითმინე, რადთა სრულ იბოვო“.⁴*

რა თქმა უნდა, საკმაოდ ძნელია ამგვარი განსაცდელის გაძლება, როდესაც სიკვდილის წინაშე მდგარი ადამიანი გაუსაძლის წამებას ითმენს, მაგრამ გაცილებით ძნელია დედისათვის ამ მდგომარეობაში საკუთარი შვილის ხილვა, მით უმეტეს, როდესაც შვილი ჯერ კიდევ მცირე ასაკისაა. დიახ, დიდია ასეთი ხარისხის განსაცდელი, მაგრამ თუ

1 ფსლ. 11, 2.
2 აბულაძე 1975: 119-120.
3 აბულაძე 1975: 120.
4 აბულაძე 1975: 120-121.

გადაილახება, ასმაგად დიდი იქნება სიმტკიცე და სიმამაცე. კონკრეტულ შემთხვევაში, მართალია, მელიტონის დედას გაუხარდებოდა, რომ თავის შვილთან ერთად დიდი ხნით და ბედნიერად ეცხოვრა, მაგრამ თუკი ამის სანაცვლოდ მისი შვილი ქრისტეს გარეშე დარჩება, ეს მისთვის მიუღებელი იქნება; სწორედ ამიტომ, დედა საკუთარ შვილის შეუდრეკელობისა და სიმამაცისკენ მოუწოდებს და ურჩევს, რომ ახლა წამიერად დაითმინოს ტკივილები, რათა სრულ-იქმნას ქრისტეს მიერ.

მელიტონის დედის მტკიცე საქციელის გამოხატულებაა კონკრეტული ეპიზოდის დამაგვირგვინებელი ნაწილი: „ხოლო ყრმაი იგი მელიტონ, რომელსა თაყუანის-სცემდა დედაი თვისი, სულიერი-და იყო. და უბრძანეს მძლავრთა მათ მოთრევიად ურმებისად, და დასხნეს ჯორცნი იგი წმიდათანი მათ ურემთა მათ ზედა და მიაქუნდეს კიდედ მდინარისა მის. ხოლო ყრმაი იგი მელიტონ დაუტევეს მუნვე ადგილობანს. და დედამან მისმან ვითარცა იხილა, რამეთუ მარტოი დაშთა, განიშორა დედაკაცობისა ძალი და განძლიერდა ძალად მამაკაცისა. და აღილო ძმ იგი თვისი თვით და დაიდვა იგი მწართა თვისთა ზედა და მწუნედ მიაქუნდა კუალსა მათსა. და ვიდრე იგი მიაქუნდა მწართა დედასა თვისსა, აღმოუტევა სული. და სიხარულით წარსწია დედამან თვისმან და დაავდო იგი ურემთა მათ ზედა“.¹

წამებულთა გვამები ურემზე დააწყვეს და დასაწვავად წაასვენეს, ყრმა მელიტონს კი, რომელიც ჯერ კიდევ სუნთქავდა, თავი ანებეს. დედამ ხელში აიყვანა დაჭრილი შვილი და გარდაცვლილ თანამოღვაწეებს მიუწვინა გვერდით. ესაა დედის მხრიდან უდიდესი თავგანწირვა, დედაშვილური უფაქიზესი სიყვარულის გამოვლინება. აქ ვლინდება სრული მინდობა უფლის მიმართ. დედა ამ მოქმედებით, ფაქტობრივად, სამოთხისაკენ მიუძღვის შვილს. საოცარი სიტყვებითაა შემკული ეს ეპიზოდი „ჰიმნოგრაფიაში“: „მოვედით, მარტულთმოყუარენო შეუნიერნო, და კრებული ლუაწლითშემოსილთაი ვიხილოთ, რამეთუ ტბასა მას შინა ყინელითა და ნეფხვითა მზაკუარი ბელიარ ამათ მოაშთვეს სიმწნით. ორმეოცნი იყუნეს რიცხვთ წმიდანი ესე, ერთ სულ და ერთ ზრახვა, განუყოფელ და უშიშ, და ღმრთისმსახურმან დედაკაცმან მწართა თვისთა ზედ აღიკიდა ძმ თვისი და მოჰყვანდა მოწამს და ურემთა შეუდგა და ძლუენი საღმრთოდ ღმრთისა შესწირა, და აწ ქრისტეს მიმართ მეოხ არიან მარადის წსნად სულთა ჩუენთათუს“.² ასევე: „ცხორებისა მის დაუსრულებელისა იქმენ მოგზაურ მალემსრბოლ, ძეო ჩემო, — ეტყოდა ქრისტესმოყუარე იგი დედაი შვილსა თვისსა, — რამეთუ ვერ თავს-ვიდებ, რადთა შემდგომად სხუათასა წარსდგე ღმრთისა“.³

წმინდა ბასილი დიდი მელიტონის მამაც და მტკიცე დედას ამგვარად აფასებს: „ჭეშმარიტად, მოწამისა დედაი იყო იგი, რამეთუ არა გარდამოუტევნა ცრემლნი უძლურებისა სახენი, არცა თქუა სიტყუად რადმე, უჯეროდ და უღირსი მის ჟამისაი, არამედ

1 აბულაძე 1975: 121-122.

2 სადღესასწაულო თვენი 2014: 83.

3 სადღესასწაულო თვენი 2014: 97.

ეტყოდა მას: «წარვედ, მ შვილო, კეთილსა მას გზასა, ცხორებად მიმყვანებელსა, მოჰასაკეთა მათ შენთა თანა, მოყუასთა მათ შენთა თანა. ნუ დააკლდები ბანაკსა მას, არა თავს-ვიდებ, რადთამცა შენ უკუანახსენელ სხუათასა წარმოუდევ მეუფესა ქრისტეს, რამეთუ მე აწ სიკუდილად აღმიჩნდა, რაჟამს გიხილე შენ დაშთომილი. რამეთუ ვხედავ გვრგვნთა, რომელნი მიცემად არიან მათდა, და შეიწუების გული ჩემი, უკუეთუ შენცა არა მიიწიო. არამედ მოვედ, მ ნეტარო, და აღესრულე სხუათა მათ თანა, რადთა ვიქადოდი მე, ვითარმედ მოწამე ახოვანი საშოთ ჩემით გამოვიღე. მცირედლა სულგრძელ იქმენ და გიძლევიეს, მცირედლა სანატრელ ვიყო მე, რამეთუ დედად მოწამისა ესრეთ ახოვნისა მეწოდებოდის. ამისგან ოდენ მეშინის, ნუუკუე დაჰრჩე შენ».¹

წმინდა გრიგოლ ნოსელი ჭეშმარიტ დედად და „შვილთსხმისგან ცხონებულად“ მოიხსენიებს მელიტონის დედას: „ესე რად იხილა დედამან მისმან და ჭეშმარიტად დედამან და მშობელმან მოწამისამან და ძირმან კეთილისა მის ნერგისამან, ნუუკუე ევნო რად-ა დედობრივი, ანუ შეიწუვნესა ნაწლევნი მისნი ამოთა წყალობითა, ანუ თუ სამოსელი დაიპო-ა, ანუ მჭურვალითა და მდუღარითა წიაღითა მოეხვა და განყინულნი იგი ასონი მისნი განუტევნა? — ნუ იყოფნი! — რამეთუ ესევეთარი რადმე თქუმადცა უჯერო არს. და რამეთუ ჭეშმარიტად ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ იქმნების,² და რამეთუ ვითარცა წერილ არს: «ხესა ხენეშსა ნაყოფისა კეთილისა გამოღებად ვერ ჴელ-ეწიფების»^{3,4}

ეშმაკის ძლევიტა და ქრისტესთან შესახვედრად მზადყოფნით გახარებული მარტვილები ფსალმუნის სიტყვებს აღმოიტყვიან: „და წმიდანი იგი დალეწულნი წათითა აღმოუტევებდეს სულსა და იტყოდეს: სული ჩუენი, ვითარცა სირი, განერა მახესა მას მონადირეთასა, ნანდვლვე საფრწჳ შეიმუსრა და ჩუენ განვერენით. შეწევნა არს ჩუენდა სახელითა უფლისადათა, რომელმან ქმნნა ცანი და ქუეყანად.⁵ და ყოველთა ერთბამად თქუეს ამენი და აღმოუტევეს სული“.⁶ როგორც მონადირეთა თავდასხმას გადარჩენილი პატარა ჩიტი, ისე ხარობენ მძვინვარე მტრის — ეშმაკის საცდურისაგან უფლის შეწევნით თავდაღწეული მოწამეები. ფსალმუნის კონკრეტული მუხლების განმარტებისას წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს: „ღვთის საკვირველი საქმეები სწორედ მაშინ განცხადდება ყველაზე მეტად, როდესაც ძლიერები სუსტებისგან იძლევიან“.⁷ ასევე, კონსტანტინოპოლელი მოძღვარი როდესაც განმარტავს პავლე მოციქულისადმი ღმერთის მიერ ნათქვამ სიტყვებს: „კმა არს შენდა მადლი ჩემი, რამეთუ ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების“ (II კორ. 12, 9), ამგვარ რამეს ამბობს: თითქოს ასე მიმართავს ღმერთი პავლეს: „ნუ ეძიებ უჭირველად და წინა-აღუდგომელად წარმართებასაცა ქადაგებისასა,

1 წმინდა მასილი დიდი, შესხმა, 1983: 178.

2 შდრ. მათ. 12, 33.

3 მათ. 7, 18.

4 წმინდა გრიგოლ ნოსელი, შესხმა, 2017: 484.

5 იხ. ფსლ. 123, 7-8.

6 აბულაძე 1975: 120-121.

7 იხ. წმინდა იოანე ოქროპირი 2016: 82-83.

რამეთუ შენ რეცა უძღურებად ჩემდა ვიეთგანმე საგონებელ გიჩნს, რაჟამს იგუემებოდი და იტანჯებოდი ქადაგებისათჳს ჩემისა. ხოლო მე თვთ მას უძღურებასა შენსა შინა ვაჩუენებ უმეტესსა ძალსა ჩემსა, რაჟამს თქუენ, დევნულნი, მდევართა მძლე ექმნეთ, და შეკრულთა შეაძრწუნეთ შემკრველნი“.¹

დამარცხებულმა ეშმაკმა მხოლოდ ისღა მოიფიქრა, რომ, შურისძიების მიზნით, მარტვილთა ძვლებიც კი გაენადგურებინა, თუმცა ვერ წარმოიდგინა, რომ სინამდვილეში ამით კიდევ უფრო მეტ პატივს მიაგებდა. „მარტვილობის“ ტექსტში ვკითხულობთ: „მაშინ ბრახვა-ყვეს ურთიერთას მძლავრთა მათ, უკუეთუ დაუტეოთ ნეშტი ძუალთა მათთაჲ, წარიხუნენ ქრისტეანეთა და აღავსონ სოფელი. მაშინ მოთხარეს და მოწმინდეს, სადაცა იდვა ნეშტი ძუალთა წმიდათაჲ მათ, და დაწუნეს ივინი ცეცხლითა და შთასთხიეს მდინარესა მას, რომელ-იგი მახლობელ იყო მათა, და შეკრბეს ძუალნი იგი წმიდათანი მათ კობდესა ერთსა ქუეშე მის წყლისასა, და არცა ერთი მათგანი წარწყმდა წყალთა მათ შინა“.²

აქ აშკარა პარალელია „აბო ტფილელის წამების“ ეპიზოდთან, როდესაც ქრისტეს უარყოფელი უსჯულო ადამიანები მივიდნენ წმინდა აბოს წამების ადგილას „და აღიღეს ქუეყანით პატიოსანი იგი გუამი ქრისტჳს მოწამისად მის და შთადვეს იგი გუალაგსა მას აღსაკიდებელსა სამოსლით მისითურთ, და სისხლი იგი დათხეული მართლისად მის აღმოთხარეს ქუეყანით და რადთურთით არა დაუტევეს ქუეყანასა“.³ როგორც წმინდა ორმოცი სებასტიელი მოწამის, ასევე, წმინდა აბო თბილელის მარტვილობის შემთხვევაში ურჯულოები სისხლით გაუღენთილ მიწას ასუფთავებენ, რათა ქრისტიანებმა პატივი არ მიაგონ მას, მოწამეთა სხეულებს წვავენ, რათა არ მიეცეთ მორწმუნეებს წმინდა ნაწილებთან მიახლების საშუალება, და ბოლოს ნამწვავებსა და დაუწველად დარჩენილ ძვლის ნაწილებს მდინარეში ყრიან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მტარვალთა ამ საქციელით არა თუ დამცირდნენ მარტვილები, არამედ, პირიქით, უფრო მეტი პატივი მიეგოთ, როდესაც ღმერთმა სასწაული აღასრულა მოწამეთა პატივსაცემად: „ხოლო შემდგომად სამისა დღისა ეჩუენნეს ეპისკოპოსსა მის ქალაქისასა წმიდანი იგი, ვითარმედ არიან ნეშტნი ძუალთა ჩუენთანი მარხულად ადგილსა ერთსა, რომელი მოგვესწაოს. აწ მოვედ ღამე და განმიხუნენ ჩუენ წყლისა ამისგან. და წარიყვანნა ეპისკოპოსმან მან მსახურნი ეკლესიადსანი, კაცნი მოშიშნი ღმრთისანი, და მივიდა, დადგა კიდესა მის მდინარისასა. და აჰა, ბრწყინვიდეს ძუალნი წმიდათანი მათ წყალთა მათ შინა, ვითარცა სანთელნი აღნთებულნი, და თუ მიმო-სადა-დაშთომილ იყო ნეშტი ბრწყინვალეობითა მით ნათლისადათა, გამოჩინებულად ხედვიდეს და ვითარცა შეკრიბნეს ძუალნი წმიდათანი მათ, მიიქცეს ქალაქად დიდითა სიხარულითა“.⁴

დამოწმებული ეპიზოდი, ასევე, წმინდა აბოს წამების დასასრულს ეთანადება: ორივე

1 სამოციქულოს განმარტება, I, 2000: 453.

2 აბულაძე 1975: 122.

3 ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა 2005: 1091.

4 აბულაძე 1975: 122-123.

შემთხვევაში ნეტართა აღსასრულის შემდეგ მათი წმინდა ნაწილები საღვთო ნათლითა და ბრწყინვალეებითა გასხივოსნებული. „წმინდა აბოს მარტვილობის“ მიხედვით, როგორც პირველ ღამეს, ასევე, „კუალად მეორესა ღამესა უმეტესლა წყალთა გამოსცეს განსაკვრვებელი ნათელი; რომელთა-იგი საუცარ ეგონა ქვეყანასა ზედა და ჰაერსა ქუეშე ცეცხლი იგი ზეცისად, უნდა დაფარვად საკვრველებათა მათ, კუალად წყალთა ვერვე დააყენეს და ვერცა დაშრიტეს ფიცხელთა მათ ღელვათა და მფოფინარეთა სიდრმეთა, სადა-იგი შთაყარნეს ღმრთივბატიცემულნი იგი ძუალნი სანატრელისა მის მოწამისანი, ხიდთა მათ ქუეშე, აღმობრწყინდეს ნათელი სუეტისა მსგავსად, ვითარცა ელვანი, რომელი კუალად მყოვარუამ დგეს და განათებელ იყო გარემოს კიდესა მის მდინარისასა კლდქ იგი და კბოდენი და ჯიდნი იგი, ზმთგან ვიდრე ქუემდე, რომელსა ეგრჭთვე ყოველი სიმრავლქ ქალაქისად მის ჰხედვიდა, რაათა ყოველთა ჰრწმენეს, რამეთუ ჭეშმარიტად იესუ ქრისტქს, ძისა ღმრთისა, მარტვრ არს“. ¹

საღვთო ნათლითა და ელვარებითა გაბრწყინებული ორმოცი მოწამის ღვაწლი. როგორც მზის მრავალი სხივი შეიძლება კონცენტრირდეს სარკის ერთ წერტილში და ამ წერტილიდან არეკლილმა ნათელმა გასხივოსნოს მის გარშემო არსებული სივრცე, ასევე, შეიკრიბნენ სებასტიელები ერთად და შემდეგ „ყოვლისა სოფლისა ნათლად“ გაიშალნენ.

სებასტიელები ეწამნენ ერთ ლოკალურ ადგილას, ქვეყნიერების ერთ-ერთ უმცირეს ნაწილში, მაგრამ მათ აღასრულეს ყველასთვის შესამჩნევი ღვაწლი. ეს, შეიძლება, შევადაროთ ქალაქს, მთის მწვერვალზე აღმართულს, ყველასთვის შესამჩნევს, ან სანთელს, სასანთელზე ანთებულს, გარშემომყოფთათვის ნათლის მომფენს: „ვერ ჯელ-ეწიფების ქალაქსა დაფარვად, მთასა ზედა დაშენებულსა“ (მათ. 5, 14). როგორც წარმოუდგენელია მთაზე აშენებული ქალაქის დაფარვა, ასევე, შეუძლებელია მიიჩქმალოს და უცნობი დარჩეს მარტვილთა თავგანწირვა და აღსრულებული ღვაწლი.

საბოლოოდ, ჰავიოგრაფის მიერ ამგვარადაა შეფასებული მარტვილთა ღვაწლი: „და აწ ესენი ესრჭთ აღესრულნეს სიმჯნითა, და ბრწყინვალე არიან ვითარცა ნათელნი სოფლისანი ღმრთისა მიმართ მორწმუნენი, და ქრისტქს მოსავნი იდიდნეს ქრისტეს თანა. და საწსენებელი სხიარულისად დაუტევეს სოფელსა შინა ყოველთა, რომელთა ჰრწამს მამად და ძქ და სული წმიდად, რომლისა შუენის დიდებად აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ“. ²

მართლაც, სებასტიელმა მარტვილებმა უარი თქვეს ამქვეყნიურ კეთილდღეობაზე და საკუთარი თავი ქრისტესთვის გაიდეს და უფლის მიერ დიდების გვირგვინით შეიმკვნენ. ბრწყინვალეა მათი ცხოვრება და უდიდესი მაგალითი სიმამაცისა და სიმტკიცისა.

1 ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა 2005: 1094.

2 აზულაძე 1975: 123-124.

თავი VI

ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის ეკლესია-მონასტრებისა და მათთან დაკავშირებული სხვა სიწმინდეების შესახებ

გამომდინარე იქიდან, რომ ორმოცი სებასტიელი მოწამე ერთიან კათოლიკე ეკლესიაში ყველასთვის ცნობილია, მათ სახელზე აგებული ტაძარი თითქმის ყველგან არსებობს. ჩვენ აქ ჩამოვთვლით რამდენიმე მათგანს და განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ საქართველოში არსებულ ტაძრებზე.

სებასტიელი მარტვილების სახელობისაა ქსეროპოტამის მონასტერი საბერძნეთში, კერძოდ, ათონის წმინდა მთაზე.¹ სავანე XI საუკუნეში საკმაოდ მოძლიერდა. მისი ტერიტორია ივირონისა და წმინდა პავლეს მონასტრებამდე ვრცელდებოდა. ამჟამად მონასტერთან მდებარეობს სიმონაპეტრას, წმინდა გრიგოლისა და წმინდა დიონისეს სავანეები. XIV–XV საუკუნეებში ბიზანტიის იმპერატორებისა და სერბი დიდებულების შეწირულობით სავანეში აიგო წმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, რომელიც 1445 წელს გადაკეთდა საკათედრო ტაძრად. მონასტერში ინახება პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის დიდი ნაწილი; იგი მოთავსებულია ხის ჯვარში, რომელიც, გადმოცემის თანახმად, დედოფალმა პულქერიაშ შესწირა.²

საქართველოში წმინდა ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელზე რამდენიმე ტაძარია აგებული, მათ შორისაა სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქიის, სოფელ ნოქალაქეში მდებარე V–VI საუკუნეების ტაძარი.³

ორმოცი მოწამის სახელობის ტაძარი აშენებული ყოფილა თბილისშიც, როგორც ეს დადასტურებულია წმინდა იოანე საბანისძის „აბო ტფილელის წამებაში“,⁴ კერძოდ, მეტეხის ხიდთან, რომლის სიახლოვესაც 786 წლის 6 იანვარს არაბებმა ქრისტეს აღმსარებლობისათვის თავი მოჰკვეთეს არაბ ჭაბუკს. ამჟამადაც აქ თბილისის წმინდა ორმოცი სებასტიელ მოწამეთა ეკლესია და მონასტერი მდებარეობს, რომლის მშენებლობაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 2002 წელს დაიწყო. 2009 წლის 23 ნოემბერს, წმინდა

1 ქსეროპოტამის სავანე მდებარეობს ათონის ნახევარკუნძულის ცენტრში, თვალწარმტაც ადვილზე, დაფნის ნავსადგურიდან კარივისკენ მიმავალ გზაზე. გადმოცემის თანახმად, მონასტერი დააარსა დედოფალმა პულქერიაშ (სხვა წყაროები მიაჩვენებენ იმპერატორებს – კონსტანტინე VI-სა (912-959 წწ.) და რომანოზ I-ს (914-944 წწ.) (http://karibche.ambebi.ge/eklesia/sitsmindeebi/853-marthmadidebluri-sitsmindeebi.html?fbclid=IwAR01qxJ0VMDPlvq2y-0I7LSYrByWRkUfEIUp_hSX7tQuyCP0KEM4RfGj-No).

2 http://karibche.ambebi.ge/eklesia/sitsmindeebi/853-marthmadidebluri-sitsmindeebi.html?fbclid=IwAR01qxJ0VMDPlvq2y-0I7LSYrByWRkUfEIUp_hSX7tQuyCP0KEM4RfGj-No

3 <https://www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/9659-2014-07-16%2020-02-56.html>

4 ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა 2005: 1091.

გიორგის ხსენების დღეს, პატრიარქმა ილია II-მ ეკლესია მონასტრად აკურთხა.¹

ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის კიდევ ერთი ტაძარი მდებარეობს ქოროლლის ციხის ძირში, სოფ. ღოუბანთან ახლოს (თეთრიწყაროს რაიონი), რომელიც აგებულია XVI საუკუნეში და მოსახლეობისათვის „ორმოცთა ეკლესიის“ სახელითაა ცნობილი.²

2006 წელს ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტის — იობის (აქიაშვილი) ლოცვა-კურთხევით, ძამის ხეობაში დაიწყო ორმოცი სებასტიელი მარტვილის სახელობის ტაძრის მშენებლობა, რომელიც 2007 წლის 25 ნოემბერს იკურთხა. ეკლესია შედის ორხევის მამათა სამონასტრო კომპლექსში.

ჩამოთვლილ ეკლესია-მონასტრებში, სხვა სიწმინდეებთან ერთად, ინახება სებასტიელ მოწამეთა წმინდა ნაწილები.

ჰერმias სოძომენეს „საეკლესიო ისტორიაში“ არის საინტერესო ცნობები ორმოცი მოწამის ნაწილთა აღმოჩენის შესახებ. გადმოცემის მიხედვით, ერთი ქალი, სახელად ევსებია, ინახავდა სებასტიელი მოწამეების წმინდა ნაწილებს, რომლებიც წლების შემდეგ, გარკვეული მიზეზების გამო, დაიკარგა, ხოლო დედოფალ პულქერიას დროს სასწაულებრივად გამოჩნდა.³

სებასტიელ მოწამეთა წმინდა ნაწილებთან დაკავშირებით წმინდა ბასილი დიდი გვამცნობს: „არა ერთსა ადგილსა შეკრებულ არიან, არამედ მიერვე უცხოთა სოფელთა განაფინნეს, მრავალნი თესლნი შეამკვნეს წმიდათა მათ. და საკვრველ ესე არს: არა თუ თითოეულად განუჩუენეს, რომელთა მოჰქონან იგინი, არამედ აღერინეს ურთიერთას და ერთბამად იქცვიან“.⁴

აქვე საინტერესოა სებასტიელ წმინდანთა გამოსახულებები, რომლებიც შემორჩენილია ქართული კედლის მხატვრობაში, მაგალითად, ვარძიის XIII საუკუნის, ნოქალაქევის XVI საუკუნის, ახტალის XIII საუკუნის, წალენჯიხის XIV საუკუნისა და სხვა ფრესკები. რაც შეეხება ხატებს, საქართველოში მხოლოდ ერთი — ზემო სვანეთში დაცული გამოსახულებაა შემორჩენილი. ეს ხატი მსოფლიო ხელოვნების საგანძურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

გამომდინარე იქიდან, რომ სებასტიელი მარტვილების სხვანეთში დაცული ხატი ერთ-ერთი იკონოგრაფიული შედეგურია, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება გამოსახულების მცირე მიმოხილვა. ხსენებული ხატი საგანგებოდ შეისწავლა ხელოვნებათმცოდნე ნანა ბურჭულაძემ, რომელიც მას ასე აღწერს: ხატზე კომპოზიცია ვერტიკალურადაა აგებული. ორმოცი სებასტიელი მარტვილის ფიგურები განაწილებულია ხუთ რიგად, მათ ზემოთ კი,

1 <https://ka.wikipedia.org/wiki/40>

2 საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი 2007: 707.

3 ჰერმias სოძომენე, საეკლესიო ისტორია: 2017: 498-501.

4 წმინდა ბასილი დიდი, შესხმა, 1959: 121-122.

ოქროს ფონზე, მოხანს წითელ მედალიონში ჩაწერილი იესო ქრისტეს ნახევარფიგურა ლაჟვარდისფერი სამოსით. უფალს ორივე ხელი განზე აქვს გაწვდილი კურთხევის ნიშნად, მის ორ მხარეს კი ორ რიგად სიმეტრიულადაა განაწილებული ძვირფასი ქვებით შემკული ოქროს ორმოცი გვირგვინი. ოქრო სიმბოლოა ღვთაებრივი, უქრობი, სამოთხისებრი ნათების, ლურჯი — ზეციური საიდუმლოსი, ხოლო წითელი — ღვთაებრივი ცეცხლის, მსხვერპლშეწირვის, სამეფო დიდებულებისა და მგზნებარე სიყვარულის.¹



1 ბუნჭულაძე 2016: 197.

ყინულოვანი ტბის ტალღები გამოსახულია თბილი ტონალობის მწვანე, თავისუფლად გავლებული ხაზებით. მწვანე განახლების, მარადიული სიცოცხლის ფერია და ტალღები ისე ეფინება ზედ მოწამეთა შიშველ სხეულებს, როგორც სულიწმინდის ძალა და მადლი. ფერთა სიმბოლიკით მხატვარი გვიჩვენებს, რომ მოწამეები ტანჯვის დათმენით მოიპოვებენ უკვდავებას ზეციურ სასუფეველში.

საოცარი ოსტატობითაა გადმოცემული ხატზე მოწამეთა ფიზიკური და სულიერი განცდები, რაც იცვლება იმის მიხედვით, თუ რა მანძილით არიან ისინი იესო ქრისტესგან დაცილებულნი: მათ, ვინც ქვედა რიგებშია, ტკივილის გაძლება უჭირთ; შუამდგომებში თანდათანობით მატულობს სულიერი სიმშვიდე და სიმტკიცე; ხოლო უფლის სიახლოვეს მყოფნი წელში გამართულები არიან და უფალს თითქოს თვალსაც კი უსწორებენ. მოწამეთა განცდების გადმოსაცემად ისინი გამოსახულნი არიან სხვადასხვა მდგომარეობითა და ფორმით: ზოგი ძირსაა დამხობილი, ზოგი ჩამუხლულია, ჩამჯდარი, დახრილი ან გამართული. ნაჩვენებია გულშეღონებული ადამიანებიც, რომელთა მოშვებულ, დამძიმებულ სხეულებს იჭერენ გვერდით მდგომები. ხატზე ვხედავთ ერთმანეთის მანუგეშებელ წყვილებსაც და მათაც, ვისაც უკვე სიმშვიდე დაუფლებია.¹

„ორმოცი სებასტიელი მოწამის“ ხატს პარალელები ეძებნება XI საუკუნის მიწურულისა და XII საუკუნის დასაწყისის ქართული კედლის მხატვრობის ისეთ თვალსაჩინო ძეგლებში, როგორებიცაა ატენის მოხატულობა და გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის დასავლეთ ნარტექსის ფრესკები. მათგან ატენის მხატვრობის ერთი ნაწილი იმდენად ახლოსაა ამ ხატთან, რომ, შესაძლოა, ერთი მხატვრის მიერ იყოს შექმნილი.²

1 ბურჭულაძე 2016: 198.

2 ბურჭულაძე 2016: 198.

გაოცენეაული ლიტერატურა

1. აბულაძე 1975 – ილია აბულაძე, შრომები, I, „მეცნიერება“, თბილისი, 1975.
2. აბულაძე, ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი, 2014 – ილია აბულაძე, ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი, თბილისი, 2014.
3. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, „მეცნიერება“, თბილისი, 1973.
4. არქიმანდრიტი ეფრემ ფილოთეველი, დარიგებანი წმინდა მთიდან, ინგლისურიდან თარგმნა ვაჩე მაკარაძემ, არიზონა, 1999.
5. აღწერილობა 1950 – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი IV, კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ელენე მეტრეველის მიერ, თბილისი, 1950.
6. წმინდა ბასილი დიდი, შესხმა, 1959 – სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1959.
7. წმინდა ბასილი დიდი, შესხმა, 1983 – ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, „მეცნიერება“, თბილისი, 1983.
8. ბიბლია განმარტებებით 2020 – ბიბლია განმარტებებით, ფსალმუნთა განმარტება, პროექტის ავტორი და რედაქტორი თამარ მამაცაშვილი, განმარტების ტექსტზე მუშაობდენ: გიორგი თოდუა, არქიმანდრიტი მაკარი (აბესაძე), „ბალიტრა L“, თბილისი, 2020.
9. ბიბლია, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2015.
10. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, თბილისი, 1989.
11. ბურჭულაძე 2016 – ნანა ბურჭულაძე, ქართული ხატები, თბილისი, 2016.

12. წმინდა გრიგოლ ნოსელი 2016 – ლ. ხაჩიძე, წმინდა გრიგოლ ნოსელის ქადაგება სტეფანე პირველმოწამის შესახებ და მისი სტეფანე სანანოაძისეული თარგმანი, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები, VII, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბილისი, 2016.
13. წმინდა გრიგოლ ნოსელი, შესხმა, 2017 – შესხმაა წმიდათა ორმოცთაა, თქუებული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ ნოსელ მთავარეპისკოპოსისაა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, ტომი IX, თბილისი, 2017.
14. დიდი სჯნაქსარი 2017 – დიდი სჯნაქსარი, გიორგი მთაწმიდელი, ტექსტი გამოსაცემად მოაზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მანანა დოლაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა, თბილისი, 2017.
15. ექვთიმე ზიგაბენი 2021 – ექვთიმე ზიგაბენი, ფსალმუნთა განმარტება, წიგნი II, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვა და სქოლიოები დაურთო გიორგი ჯულაყიძემ, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2021.
16. წმინდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი (წმინდა ეფრემ მცირისა და წმინდა არსენ იყალთოელისა) გამოსაცემად მოამზადეს რ. მიმინოშვილმა და მ. რაფავამ, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო მ. რაფავამ, ძველი ბერძნულიდან თანამედროვე ქართულზე თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ე. ჭელიძემ, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 2000.
17. წმინდა იოანე ოქროპირი 2018 – წმინდა იოანე ოქროპირი, თარგმანებაა იოანეს სახარებისაა, თარგმანი წმინდა ექვთიმე მთაწმიდელისა, ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს ზ. სარჯველაძემ, ლ. ალექსიძემ, ნ. დობორჯგინიძემ, დ. თვალთვალაძემ, მ. მაჩხანელმა, ლ. ნიჭარაძემ, ნ. შულაძემ, თ. ცოფურაშვილმა, „ბეთანია“, თბილისი, 2018.
18. წმ. იოანე ოქროპირი 2014 – წმ. იოანე ოქროპირი, თარგმანებაა მათეს სახარებისაა, თარგმანი წმ. ეფთვიმე მთაწმიდელისა, წიგნი I, ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით მოამზადეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორია „ორიონის“ თანამშრომლებმა: მერაბ ბაბუხაძიამ, ლილი ბასილაძემ, ნინო დობორჯგინიძემ, დარეჯან თვალთვაძემ, თინათინ კასრაძემ, მანანა მაჩხანელმა, ნინო შარასენიძემ, ნანა შულაძემ, თამარ ცოფურაშვილმა, თინათინ ცქიტიშვილმა, მარინე ოდიკაძემ, „ბეთანია“, თბილისი, 2014.
19. წმინდა იოანე ოქროპირი 2016 – წმიდა მღვმდელმთავარი იოანე ოქროპირი, შრომები, ტომი X, ფსალმუნების განმარტება, საუბარი 123-ე ფსალმუნის შესახებ,

თბილისი, 2016.

20. კეკელიძე 1935 – კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაკვ. პირველი, თბილისი, 1935.
21. კეკელიძე 1957 – კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტომი V, თბილისი, 1957.
22. კეკელიძე 1980 – კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტომი I, თბილისი, 1980.
23. კობლატაძე 2019 – გვანცა კობლატაძე, ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, ტომი I, თბილისი, 2019.
24. ჰავლეს ეპისტოლეთა განმარტება 2003 – ჰავლეს ეპისტოლეთა განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებათაგან, თარგმნილი ეფეთიმე მთაწმინდელის მიერ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, თბილისი, 2003.
25. სადღესასწაულო, ტ. III, 2013 – სადღესასწაულო, რომელ არს გამოკრებულნი თუენი, ტომი III, ორთოგრაფიულად გამართა ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, „ალილო“, თბილისი, 2013.
26. სადღესასწაულო თვენი 2014 – სადღესასწაულო თვენი (მარტი), ბოდბის დედათა მონასტრის გამომცემლობა, თბილისი, 2014.
27. სამოციქულოს განმარტება, I, 2011 – სამოციქულოს განმარტება, გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან, თარგმნილი ეფრემ მცირის (კარიჭის ძის) მიერ, ტომი I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვა დაურთო ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა, „ალილო“, თბილისი, 2011.
28. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1976 – საქართველოს ეკლესიის კალენდარი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1975.
29. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2018 – საქართველოს ეკლესიის კალენდარი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2017.
30. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2021 – საქართველოს ეკლესიის კალენდარი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2020.
31. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი 2007 – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენელი: ენრიკო გაბიძაშვილი, მია მამაცაშვილი, ანა ღამბაშიძე, საქართველოს საპატრიარქო, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, თბილისი, 2007.

32. სოკრატე სქოლასტიკოსი, საეკლესიო ისტორია, ძველბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო ჯაშმა, „ახალი ივერონი“, თბილისი, 2012.
33. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, „მერანი“, თბილისი, 1991.
34. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, „მერანი“, თბილისი, 1993.
35. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, III, 2008 – ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ორიგინალური ტექსტები და ახალი ქართული თარგმანები, ტომი III, თბილისი, 2008.
36. ნინო ქაჯაია, ბასილი კესარიელის თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები, „მეცნიერება“, თბილისი, 1992.
37. ძველი ქართული ახალი აღთქმამა სქოლიოებით, ყველა არსებული რედაქცისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ე. ჭელიძემ, თბილისი, 2017.
38. ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა 2005 – ძველი ქართული საეკლესიო ლიტერატურა, I, ძეგლები თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, „ახალი ივერონი“, თბილისი, 2005.
39. ძნელაძე, იზორია, ჩიხლაძე, გოგოლაძე 2014 – თბილისის წმინდა ორმოც სებასტიელ მოწამეთა ეკლესია, მერაბ ძნელაძე, მაია იზორია, ვერა ჩიხლაძე, ანდრო გოგოლაძე, თბილისი, 2014.
40. წმიდათა ცხოვრებანი, წიგნი II, 2008 – წმიდათა ცხოვრებანი, წიგნი II, წიგნი შეადგინეს დეკანოზმა ზაქარია მაჩიტაძემ, მანანა ბუკიამ, მკა ბულიამ, თბილისი, 2008.
41. „ჯვარი ვაზისა“, N 3, თბილისი, 1989.
42. ჰერმიას სოძომენე, საეკლესიო ისტორია 2017 – ჰერმიას სოძომენე, საეკლესიო ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო ჯაშმა, თბილისი, 2017.
43. Дворецкий, т. I, 1958 – Дворецкий И., Древнегреческо-русский словарь, Том I, Москва, 1958.

44. Лопухин 1983 – Толковая Библия или комментарий на все книги св. Писания Ветхого и Нового Завета, т.1, Бытие, издание преемников А. П. Лопухина, С.-Петербург, 1983.
45. Настольная книга 1983 – Настольная книга Священнослужителя, т. 4, Москва, 1983.
46. http://karibche.ambebi.ge/eklesia/sitsmindeebi/853-marthImadidebluri-sitsmindeebi.html?fbclid=IwAR01qxJ0VMDPlvq2y-0l7LSYrByWRkUfEIUp_hSX7tQuyCP0KEM-4RfGj-No
47. <https://1tv.ge/news/atonis-mtaze-ilia-meoris-vizitis-amsakhveli-wignis-prezentacia-gaimarteba/>
48. <https://www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/9659-2014-07-16%2020-02-56.html>
49. Icon.spbda.ru/2018/

„მარტვლოპამ ორმეონთამ“ ღა საეკლესიო ტრადიცია

რეზიუმე

ორმოცი სებასტიელი მოწამისაღმი მიძღვნილი ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული და ჰომილეტიკური თხზულებები ქართულ ენაზე აღრევე უთარგმნათ. „მარტვილობის“ ქართული თარგმანი მოღწეულია ორი რედაქციით.

სსენებულ ძეგლს დიდი გავლენა მოუხდენია ძველ ქართულ ორიგინალურ მწერლობაზე. სებასტიელი მარტვილები და მათთან დაკავშირებული ტაძრები მოხსენიება „წმინდა ეესტათი მცხეთელის მარტვილობაში“, იონე საბანისძის „წმინდა აბო ტვილეელის მარტვილობაში“, გიორგი მცირის „წმინდა გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“. ჰიმნოგრაფიაში დაცულია მათდამი მიძღვნილი საგალობლები.

„ორმეოცთა მარტვილობის“ ჰაგიოგრაფიული ტექსტი შედარებულია წმინდა ბასილი დიდისა და წმინდა გრიგოლ ნოსელის ჰომილეტიკურ თხზულებებთან; განხილული და გამოყოფილია გარკვეული თვალსაზრისით მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები.

ნაშრომის დიდი ნაწილი ეთმობა ჰაგიოგრაფიული ძეგლის საღვთისმეტყველო შინაარსის ანალიზს – მათი წამების ამსახველი ეპიზოდების მნეობრივ-ასკეტური თვალსაზრისით განხილვას.

გაირკვა, რომ ძველი ღროიდანვე სპეციფიკური იყო და არის სებასტიელ მარტვილებთან დაკავშირებული ლიტურგიკული წესიც.

ნაშრომში მიმოხილულია სებასტიელ მარტვილთა სახელზე საქართველოში არსებული ეკლესია-მონასტრები და სენეში დაცული ცნობილი ხატი.

Martyrdom of the Forty and Church Tradition

Abstract

The hagiographic, hymnographic and homiletic writings dedicated to the Forty Sebastian Martyrs were translated into Georgian soon after it had taken place. The Georgian translation of Martyrdom has survived in two editions.

The mentioned monument had a great impact on the old original Georgian literature. The Sebastian Martyrs and the temples dedicated to them are mentioned in the Martyrdom of Saint Eustathius of Mtskheta, the Martyrdom of Abo of Tbilisi by Ioane Sabanisdze, The Life of Saint Giorgi the Athonite by Giorgi Mtsire. Hymns dedicated to them are preserved in Hymnography.

The hagiographic text of the Martyrdom of the Forty is compared with the homiletic writings of Saint Basil the Great and Saint Gregory of Nyssa; similarities and differences from a certain standpoint existing among them are discussed and highlighted.

A large part of the work is devoted to the analysis of the theological content of the hagiographic monument - to the discussion of the episodes depicting their torture from a moral and ascetic point of view.

It has become evident that the liturgical rule related to the Sebastian Martyrs has been specific since ancient times.

This work studies the churches and monasteries dedicated to the Sebastian Martyrs existing in Georgia and their famous icon preserved in Svaneti.



გიორგი ვეტიანი

**შესაქმისა და ვნების მფიქრის დღეთა
ურთიერთმიმართება**

გიორგი მეტრეველი ლიტურგიკის მიმართული დოქტორანტი

GIORGI METREVELI Doctoral student of liturgical

ხელმძღვანელი თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი,
დეკანოზი ბიძინა გუნია

SUPERVISOR Doctor of Theology and Philology
Archpriest Bidzina Gunia

შესაქმისა და გნების შვიდეულის დღეთა ურთიერთმიმართება

საკვლესიო სწავლებით, მაცხოვრის ამქვეყნიური მოღვაწეობის გარკვეული ეპიზოდები ძველი აღთქმის წიგნებში წინასწარ იყო უწყებული. აღდგომის ერთ-ერთ დასდებელში ვკითხულობთ: „უწინარეს მოსლვისა შენისა ქადაგებდეს წინაწარმეტყუელნი შენნი, მაცხოვარ, ჯუარცუმასა, დაფლვასა და აღდგომასა შენსა“.¹ ძე ღმერთის განკაცება, ჯვარცმა და აღდგომა ქრისტეს შობამდე ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ კი — სახესიმბოლოებით განიჭვრიტებოდა. მაცხოვარი ბრძანებს: „**გამოეძიებლით წიგნთა...**, იგინი არიან, რომელნი წამებენ ჩემთს“ (ინ. 5, 39). მაშასადამე, საჭიროა გონიერი თვალი, რათა შევიმეცნოთ საღვთო წერილში თავად ღვთისგან უწყებული მოვლენები წმინდა მამათა სწავლებებისა და ლიტურგიკული საკითხავების შუქზე.

წმინდა მოციქული პავლე ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში ბრძანებს: „რომლისა მიერ გუაქუს ჩუენ გამოწნაჲ სისხლითა მისითა და მოტევებაჲ ცოდვათა ჩუენთაჲ სიმდიდრისაებრ მადლისა მისისა, რომელი-იგი გარდაჰმატა ჩუენდა მომართ ყოვლითა სიბრძნითა და გონიერებითა. **გუაუწყა ჩუენ საიდუმლოდ იგინებისა მისისაჲ სათნოებისაებრ მისისა, რომელი-იგი წინაღვე განაჩინა მას შინა განგებულად აღსავსებისა მის ჟამთაჲსა,** თავყოფად ყოველივე ქრისტეს მიმართ, რაჲ-იგი არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“ (ეფ. 1, 7-10). ამგვარად, მოციქულის სწავლებით, მაცხოვარმა გამოხსნის საიდუმლო წინასწარ თავისივე სურვილით გვაუწყა. ცხადია, „საიდუმლოში“ დაცემული ადამიანის გამოხსნის საღვთო განგებულება იგულისხმება, რომელიც ძე ღვთისამ, როგორც „დიდისა ზრახვისა ანგელოზმა“ (ეს. 9, 6), განსაზღვრულ დროს განკაცებით, ჯვარცმით, ცხოველმყოფელი აღდგომითა და ამაღლებით აღასრულა.

ამასთან დაკავშირებით, ასევე, წმინდა იოანე ოქროპირიც საუბრობს, როდესაც ამბობს: „პირველად უფალმან წარმოიძღუნა მოღუაწებაჲ ვნებითა მით ჳორცთა შინა და **წინაჲსწარ გვჩუენა წიგნთა შინა მამათ-მთავრებითა და წინაწარმეტყუელებითა** და ყოვლითა მით ერთთა აბრამეანითა, რამეთუ შჯულითა და წინაწარმეტყუელებითა აღბეჭდა ყოფად იგი, რაჲთა თქუმული იგი, რაჲჟამს იყოს, მოვიგონოთ სახითა და შევეყენეთ სარწმუნოებასა და გრძიადითა მით მოთხრობითა მახლობელ ვიპოვნეთ სარწმუნოებით მადლსა მას და **ვნებითა მით უფლისაჲთა ვჰსცნობდეთ წერილთა, რომელ წინაწარმეტყუელთა მიერ მოგუეთხრობის, და სახისა ამის ხილვითა მოვიგონებდეთ განმზადებულთა მათ საშუალებათა,** რამეთუ არს ახალ და ძუელ უფლისაჲ იგი ზრახვაჲ, ძუელ — სახისა

მის დაწერიტა და ახალ — მადლისა გამოჩინებიტა“.¹

ამგვარად, ადამიანტა ხსნის საიდუმლოს სიდრმისეული გააზრებისთვის **აუცილებელია ადამსა და იესო ქრისტეს (მეორე ადამს) შორის მისტიკური კავშირის გაცნობიერება**. კვლავ დავიმოწმებტ წმინდა პავლე მოციქულისგან რამდენიმე ეპიზოდს, რომლებიც ხაზს უსვამს ხსენებულ საკიტხს: „რამეთუ კაცისა მიერ იყო სიკუდილი, და კაცისა მიერ — აღდგომად მკუდართად, და ვითარცა-იგი **ადამის გამო ყოველნი მოსწყდებიან**, ეგრეთცა **ქრისტეს მიერ ყოველნი ცხოველ იქმნენ** (1 კორ. 15, 21-22); ასევე: „ეგრეთცა წერილ არს: «იყო პირველი იგი კაცი, ადამ, სამშვნველად ცხოველად, ხოლო **უკუანადსკნელი ადამ — სულად განმაცხოველებელად**“ (1 კორ. 15, 45); „პირველი იგი კაცი — ქუეყანისაგან მიწისად, ხოლო **მეორე იგი კაცი — უფალი ზეციტ**“ (1 კორ. 15, 47). ამრიგად, მაცხოვარმა, როგორც ახალმა ადამმა, ისატნოვა ჩვენი დაცემული ბუნების აღდგინება და კაცტა მოდგმა ცოდვისა და სიკუდილის ტყვეობისაგან გაატავისუფლა. ადამიანტა გამოხსნის საღვტო აღმშენებლობის ჭრილში ადამისა და მაცხოვრის კავშირს უამრავი ჰიმნოგრაფიული საგალობელი ეხმიანება. ერთ-ერთი მატგანი უძველეს იადგარშია დაცული: „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი ტქუენი, რომელი პირველ საუკუნეთა მამისაგან ვიშევე უდედოტ და **აღსასრულსა ჟამტასა ქალწულისაგან თვნიერად მამაკაცისა განვკორციელდი და დავჰჰსენ წყევად პირველისა მამისა ადამისი**, ვითარცა მოწყალე ვარ“.²

გამოხსნის უდიდეს საიდუმლოს სრული სიცხადიტ განგვიმარტავს წმინდა იოანე ოქროპირი თავის სიტყვაში წმინდა პასექის შესახებ (ბერძ. **Κατηχετικὸς εἰς τὸ ἄγιον πᾶσχα**). აღნიშნული ნაშრომი შვიდი ნაწილისგან (სიტყვისგან) შედგება. ჩვენთვის განსაკუტრებიტ საყურადღებოა მეშვიდე, შემაჯამებელი სიტყვა. ღვტისგანბრძობილი მამის სწავლებიტ, „ადამიანური ბუნების ასეთი დაცემის გამო, ღვტის მხოლოდშობილმა ძემ, მამობრივი მზრუნველობიდან გამომდინარე, მსურველმა, აღედგინა ადამიანი და გაეთავისუფლებინა ცოდვის სასჯელისაგან, სატანადო დრო და შესაბამისი მეთოდი შეარჩია — დრო იმისთვის, რატა საჭირო ჟამს მოეხდინა განკურნება, ხოლო გზა ისეთი, რომელიც იქნებოდა განსაწმენდელი და აღმადგინებელი“.³

მაშასადამე, ყოვლადსახიერმა და ყოვლადბრძენმა ღმერთმა წინდაწინ განსაზღვრა შესაბამისი დღე, რომელიც დიდი მღვდელმთავრისევე სიტყვებიტ: „არ მიეკუტვნება ერთ რომელიმე შემტხვევიტ დღეს, არამედ მისი აღნიშვნა ემტხვევა სწორედ იმ დროს,

1 უდაბნოს მწავალტავი 1994: 200.

2 უძველესი იადგარი 1980: 15.

3 Св. Иоанн Златоуст 2002: 962. მღწ. ძვ. ბგწდ.: Τοὔτων δὴ οὐτῶς ἔχόντων καὶ ἀπολλυμένης τῆς φύσεως, βουληθεὶς ὁ μονογενὴς Υἱὸς τοῦ Θεοῦ σὺν πατρικῇ ὄντων ἐπαναγαγεῖν τὸν ἄνθρωπον, καὶ τῆς ἐπιρητημένης θύκης ἐξαρπάζειν αὐτὸν, καιρὸν τῆς βοθηείας καὶ τρόπον ἐπινοεῖ καιρὸν μὲν ἵν εὐ-καίρως ἐπιστῆ πρὸς τὴν ἴασιν τρόπον δὲ, ἵνα κατᾰλληλος αὐτὸς πρὸς τὴν ἐκκαθάρσεως ἀποκατάστασιν γένῃται (PG, 59, 1862: 745).

რომელიც რამდენიმე წინასწარ განსაზღვრულ ვადას აკმაყოფილებს“.¹

წმინდა სახარებიდან ჩვენ არაერთი შემთხვევა ვიცით, როდესაც მაცხოვრისგან მხილებულ და მასზე განრისხებულ იუდეველებს უნდოდათ მისი შეპყრობა, თუმცა ვერავინ ბედავდა, „რამეთუ არღა მოსრულ იყო ჟამი მისი“ (ინ. 8, 20). იგი მასზე მტრულად განწყობილ იუდეველებს არა შიშის გამო ერიდებოდა, არამედ განსაკუთრებულ ჟამს ელოდა. მაშასადამე, ჯერ არ იყო სათანადო დრო დამდგარი მისი ვნებისა და ჯვარცმისათვის. მაცხოვარი „ელოდა“ შესაბამის ჟამს, როცა გამოხსნის საიდუმლოს აღასრულებდა. ზეციერი მამისადმი მის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „მამაო, მოიწია ჟამი ჩემი“ (ინ. 17, 1) — სწორედ ამას გულისხმობდა. ძე ღვთისამ, მამის სათნოვნითა და სულიწმიდის თანამოქმედებით, **ადამიანთა ხსნის საქმე შესაქმის წმინდა ჟამს² დაუკავშირა.**

წმინდა კირილე იერუსალიმელის სწავლებით, „ესევე ჟამი არს სოფლის შესაქმისად, რამეთუ მაშინ თქუა ღმერთმან: «გამოიღენ ქუეყანამან მწუანვილი თივისად თესლად-თესლადისად მის თესლისად» (დაბ. 1, 11), ვითარცა-ესე ხედავ, რამეთუ ყოველი თესლი გამოჯვჯლოვის. და ვითარცა-იგი მაშინ შექმნა ღმერთმან მზს და მთოვარს და დღს განზოგებულად და მიჰმადლა მათ სრბად, ეგრეცა უწინარსს მცირედთა დღეთა ამათ დღს განზოგებისად იყო ჟამი. მაშინ თქუა ღმერთმან: «ვექმნეთ ვაცი ხატად ჩუენდა და მსგავსად» (დაბ. 1, 26) და «ხატებად» იგი მოილო, ხოლო «მსგავსებად» იგი დააბნელა ურჩებითა მით; და **რომელსა-იგი ჟამსა წარწყმიდა, მასვე ჟამსა აღმართება იგი იქმნა** და გამოვარდა სამოთხით; მასვე ჟამსა ჰრწმენა ავაზაკსა, მორჩილ იქმნა და შევიდა სამოთხედ. მაშინ შეიქმნა ცხოვრებად, ოდესცა ყუავილი გამოჩნდა ქუეყანასა ზედა და სხლვად მოიწია“.³

წმინდა მამის განმარტებით, როდესაც ღმერთმა შექმნა მნათობები და მიანიჭა მათ მოქმედების ძალა, მცირე დროის შემდეგ დადგა „ჟამი განზოგებისა“, რაც უეჭველად გაბაფხულის დღელამსწორობას, დღისა და ღამის თანაბარ ხანგრძლივობას უნდა გულისხმობდეს. **სწორედ ამ დროს ქმნის ღმერთი ადამიანს.** ეს დეტალი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აღდგომის დღესასწაულის დადგენისთვის დღელამტოლობის ფაქტორი ერთ-ერთი უმთავრესია. ამგვარად, წმინდა წერილის თანახმად, შემოქმედი ღმერთი შესაქმის გვირგვინს — ადამიანს — მეექვსე დღეს, პარასკევს ქმნის.

საეკლესიო სწავლებით, პირველშობლის, **ადამის ცოდვით დაცემა მისი შექმნის დღეს, პარასკევს, მოხდა,** ამიტომ უფალმა შვიდეულის **ეს დღე** შეარჩია მისი გამოსხნისა და აღდგინებისთვის, თუმცა არა მხოლოდ დღე, არამედ **გარემოებაც**

1 Св. Иоанн Златоуст 2002: 958.

2 „წმინდა ჟამში“ იგულისხმება უნაკლო, შეუბღალავი და უწმინდესი დრო, რომელიც ღმერთმა უპირველესად შექმნა და რომელშიც შეიქმნა მთელი სამყარო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ იგულისხმება სამოთხისეული ჟამი, რომელიც იყო შეურყენელი, რამდენადაც ჯერ ადამიანთა უკეთურების მომსწრე არ ყოფილა, ხოლო ადამიანის დაცემისა და სამოთხიდან გამოდევნის შემდეგ, მასთან ერთად დროც იზღალემა.

3 სინური მრავალთავი 1959: 159.

წინდაწინ განსაზღვრა, რადგან ღმერთს სურდა ადამიანის განახლება შესაქმის წმინდა დროისთვის დაეკავშირებინა. ამისთვის მან ვნების შვიდეული შემდეგი ნიშნით გამოარჩია — შესაქმისას შვიდეულის დასაწყისში იყო დღელამსწორობა, დღელამსწორობის შემდგომ სავსემთვარობა და **მეექვსე დღეს ადამიანის შექმნა**. ასეთივე დროითი ნიშნები გამოიყენა ღმერთმა გამოხსნისათვის — ერთ შვიდეულში თავი მოიყარა დღელამსწორობამ, სავსემთვარობამ და პირველი **ადამიანის შექმნისა და დაცემის დღემ — პარასკევმა**, რომელ დღესაც აღასრულა მაცხოვარმა ჯვარზე ვნება და ადამიანი ცოდვის ტყვეობისაგან გამოიხსნა.

წმინდა იოანე ოქროპირის სწავლებით, „როდესაც ძე ღვთისამ ერთად შემოკრიბა დროის ყველა ნიშანი, მიმდინარე შვიდეული შესაბამისობაში აღმოჩნდა შესაქმის პირველ შვიდეულთან, კერძოდ, ერთმანეთს დაემთხვა დღელამსწორობა, სავსემთვარობა და პარასკევი, რომელ დღესაც უნდა მომხდარიყო მისი ტანჯვა და აღსრულებულიყო განახლება“.¹

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ასევე, უაღრესად საყურადღებო განმარტებას გვთავაზობს ლირსი ეფრემ ასური. მის ერთ-ერთ ჰომილიაში, რომელიც მაცხოვრის ვნების დღეებს უკავშირდება, ვკითხულობთ: „აწ უკვე ისმინეთ ესე, რომელი მომიგო ჩუენ დღემან პარასკევმან, და ეკრძანელით ურჩებასა ღმრთისასა და არა გეყოს ღმრთისაგან, რად-იგი ეყო ადამს — მამასა ჩუენსა, რამეთუ რაჟამს ღმერთსა ურჩ ვექმნეთ, ეშმაკისა დამონებულ ვართ და მის თანავე დავისაჯნეთ. დღესა პარასკევსა მეუფლა ჩუენ ეშმაკი და დღესა პარასკევსა განიბჭო ჩუენ ზედა დაშჯად სიკუდილითა. და დღესა პარასკევსა მივეცენით ჩუენ ჯრწნილებასა და მოგუელო ჩუენ უჯრწნელებად. და დღესა პარასკევსა უბადრუკ ვიქმნენით. დღესა პარასკევსა განვეცდით და განვეშორენით ხისა მისგან ცხორებისა. დღესა პარასკევსა ვიხილეთ გემოდ სიკუდილისად სხამეანი.² დღესა პარასკევსა განძარცულ იქმნა მამად ჩუენი ადამ და გამოჩნდა შიშულად სირცხული მისი. დღესა პარასკევსა მხიარულ იქმნა ეშმაკი და ყოველი გუნდი მისი. და დღესა პარასკევსა ვსუთ სასუმელი სიკუდილისად. დღესა პარასკევსა გუესმა ჩუენ ჯმად იგი, რომელი ითქუა, ვითარმედ: «მიწად ხარ და მიწადცა მიხვდე». დღესა პარასკევსა შეჰმოსა უფალმან ადამს სამოსელი იგი ჯრწნილებისად და განრყუნადი. და დღესა პარასკევსა გამოჯდა მამად ჩუენი ადამ და უცხო იქმნა იგი სამოთხისა მისგან საშუებლისა. დღესა პარასკევსა გუესმა ჯმად, რომელი ითქუა: განმეშორე ადამ ჩემგან, რამეთუ მე განგეშორები შენგან. და დღესა პარასკევსა იპოა მამად ჩუენი ადამ განგდებულ გარემე სამოთხესა მას საშუებელისასა. დღესა პარასკევსა ესმა ადამს ჯმად, რომელი ეტყოდა: ვითარ იყავ ადამ აქამომდე და ვითარ იქმენ აწ ოდენ? ამისთვისცა დღესა პარასკევსა ჯუარს-ეცუა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ჯორცითა, რადთა ყოველი იგი უშუერი შეცვალოს შუენიერებად კაცთმოყუარებითა

1 PG, t. 59, col. 750.

2 „სხამეანი“ ანუ შხამიანი – გ. მ.

თუსითა და სახიერებითა“.¹

წმინდა ირინეოს ლიონელის თქმით, „საკუთარ თავში ამ დღის აღმადგინებელი უფალი ვნებისთვის მოვიდა სწორედ იმ დღეს — შაბათის წინადღეს, რომელიც არის შესაქმის მეექვსე დღე — როდესაც შექმნა ადამიანი, მიანიჭა რა მას საკუთარი ტანჯვით ახალი სიცოცხლე, რაც არის კიდევ სიკვდილისგან განთავისუფლება“.²

კიდევ უფრო ცხადად განმარტავს ხსენებულ საკითხს ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, რომელიც ამბობს: „რადგანაც ადამიანი შეიქმნა მეექვსე დღეს, ხოლო ხიდან აკრძალული საკვები მიიღო მეექვსე ჟამს, ამიტომ უფალი, ადამიანის აღმადგინებელი და მისი დაცემული მდგომარეობის განმკურნებელი, მიემსჭვალა ძელზე მეექვსე დღეს და მეექვსე ჟამს“.³

ამგვარად, ნეტარი მამა არა მხოლოდ ადამის დაცემის დღეს, არამედ კონკრეტულ დროს — მეექვსე ჟამსაც უთითებს. იგივე სწავლება არის გადმოცემული სამარიელის კვირის ჰიმნოგრაფიულ საკითხავშიც, კერძოდ, „უფალო, დაღად-ვყავის“ ერთ-ერთ დასდებულში ვკითხულობთ: „მექვსესა ჟამსა დღისასა წყაროდ ნიშთა და სასწაულთად მოჰხუედ წყაროსა ზედა, რადთა განჰკურნო ცთომად ევა პირველქმნულისად, რამეთუ ევა ჟამსა მას განვიდა სამოთხისაგან და ფუფუნებისა გუელისა ცთუნებითა, და ამასვე ჟამსა შინა მოიწია სამარიტელი ვსებად წყლისა“.⁴

კვლავ მოვიხიბობთ წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებს. კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსის თქმით: „და აი, როდესაც მხოლოდშობილმა ძე ღვთისამ ინება, რომ დაცემული ადამიანისთვის აღდგენა და განახლება მიენიჭებინა და თავისი ვნებით დაებრუნებინა მისთვის პირველი სახე, იხილე, რას მოიმოქმედებს; რადგანაც თავად იყო პირველი ადამიანის შემოქმედი, მიზნად დაისახა, რომ დაცემის შემდეგ ყოფილიყო მსახური ადამიანის მთელი ბუნების აღდგენის საქმეში; კერძოდ — საკუთარი ნებით უქვემდებარებს თავს სატანჯველებს და აღდგომისათვის **ირჩევს იმავე დროს, რომელიც გამოიყენა შექმნისას**, რათა დასასრული ეთანადებოდეს დასაწყისს და შემოქმედის მოქმედებითი გამოვლინება იყოს ერთი და იგივე. ზუსტად ისევე, როგორც პირველი ადამიანის შექმნისას მან გამოიყენა უწმინდესი ჟამი,⁵ რომელიც ცოდვით დაცემის შედეგად შეირყვნა და დროსთან ერთად ადამიანთა მთელი მოდგმაც ცოდვით შეიბღალა, სწორედ **ამიტომ ძე ღვთისამ ადამიანის აღდგინებისათვის გამოარჩია ის პირველი ჟამი, რათა მასთან ერთად ვნებისმიერი განწმენდილობით უკანასკნელი ჟამიც განწმინდოს დასაბამიდან მთელი მისი მდინარების მანძილზე**, რათა ამ ქმედებით

1 სწავლანი 2002: 281-282.

2 Бухеев 2014: 81.

3 Бухеев 2014: 81.

4 ზატიკი 1863: 176.

5 „უწმინდეს ჟამს“ წმ. იოანე ოქროპირი უწოდებს შესაქმის „უნაკლო“ დროს, რამდენადაც ღმერთმა ჯერ დრო შექმნა, რომელიც იყო წმინდა და ყოვლითურთ უნაკლო, და ამ დროში შეიქმნა ყველაფერი, რის შესახებაც ზემოთ მივუთითეთ — გ. მ.

მეისვე განაცხადოს ყოველივე — კაცების აღდგინება, ამასოფლის განწმენდილობა, შექმნილობა და გამართულობა ბუნებისა.¹

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ შესაქმის მეექვსე დღე დაკავშირებულია ვნების შვიდეულის პარასკევთან. მაცხოვარს სურდა, რომ ადამიანის გამოხსნის საღვთო საქმე ზედმიწევნითი სიზუსტით აღესრულებინა. როგორც წმინდა გრიგოლ პალამა აღნიშნავს: „ღმერთს სურდა ეშმაკზე სამართლიანი სახით გაემარჯვა (შესაბამისად, როგორც კაცს), რადგან შემდეგ თავისი აღდგომის ძალითა და სამომავლო მსჯავრით იგი საბოლოოდ შეემუსრა“.² სწორედ ამიტომ იგი **შვიდეულის იმავე დღეს ევნება, რომელ დღესაც ადამი ცოდვით დაეცა** და სოფლად სიკვდილი გაბატონდა. თუმცა მაცხოვარმა გამომხსნელობითი საქმისთვის არა მხოლოდ დღე განსაზღვრა, არამედ დროც ის შეარჩია, რომელიც ადამის ცოდვით დაცემისას იყო სამოთხეში.

დიდ პარასკევთან ერთად ცხოველმყოფელობითი მნიშვნელობისაა **შაბათი** დღეც, როდესაც მაცხოვარმა სრული ერთი დღე დაყო საფლავში. შვიდეულის დღეთა შორის შაბათი მეშვიდეა (თუკი ათვლას კვირიდან, ერთშაბათიდან დაიწიყებთ), ხოლო შესაქმისეული გაგებით იგი, ასევე, არის დღე, როდესაც ღმერთმა თავისი ყველა საქმისგან დაისვენა: „და განასრულა ღმერთმან დღესა მეექვსესა საქმენი მისნი, რომელნი ქმნა, და განისუენა დღესა მეშვიდესა ყოველთაგან საქმეთა მისთა, რომელნი ქმნა“ (დაბ. 2, 2).

ვნების შაბათსა და შესაქმის მეშვიდე დღეს შორის მისტიკურ კავშირზე არაერთი საეკლესიო მოძღვარი საუბრობს, ისევე, როგორც ცხადად წარმოჩენილია ლიტურგიკულ საკითხავებში ამ ორი დღის ურთიერთკავშირი.

მაგალითისთვის დავიმოწმებთ რამდენიმე ჰიმნოგრაფიულ საგალობელს. მათგან ერთ-ერთი არის დიდი შაბათის საცისკრო კანონის ტროპარი, რომლის ავტორია წმინდა მარკოზ მონაზონი: „**დღწ მეშვიდწ განსწმიდე დღეს, ძუელად რომელიცა-იგი კურთხეულ-ჰყავ საქმეთა განსუენებითა**, რამეთუ სცუალებ ყოველთა და განაახლებ მშაბათებელი, მაცხოვარო ჩემო, და აღმგებელი სიტყუად მხოლოდშობილი, მლხინებელი სოფლისა“.³

ამავე შინაარსისაა შემდეგი **ორი დასდებელი**:

„რაა არს ხილუად ესე შესაძრწუნებელი? რაა არს ესე აწინდელი განსუენებად? ქრისტემან, მეუფემან საუკუნეთამან, ჯუარისა მიერ და ვნებისა აღასრულა განგებულება თვისი ღმრთივშუენიერი და აწ **ჰშაბათობს საფლავსა შინა და მოგუანიჭებს ჩუენ ახალსა — სრულსა შაბათობასა**. მისსა მიმართ ჳმა-ვყოთ: აღდეგ, სახიერ, განსაჯე ქუეყანად,

1 Св. Иоанн Златоуст 2002: 963.

2 შდრ. ახ. ზნრძ. Ο Θεός ἠθέλε πρῶτα νά καταβληθῆί ὁ διάβολος μέ τρόπο δίκαιο (δηλαδή ἀπό ἕναν ἄνθρωπο) καί ἴστερα μέ τή δύναμη τῆς Ἀναστάσεως του καί τῆ μέλλουσα κρίση νά συντριβῆί (ΠΑΛΑΜΑ 2017: 115).

3 ტრიოდონი 1901: 570.

რამეთუ შენ ხარ მეუფე საუკუნეთად, და შენ გაქუს დიდი და აურაცხელი წყალობად“.¹

ასევე:

„დღე ყოვლადდიდებულისა კურთხეულისა შაბათისა საიდუმლოდ მოასწავა მოსე და თქუა: და აკურთხა ღმერთმან დღე იგი მეშუდე, რამეთუ ესე იგი არს მიერ კურთხეული შაბათი, და ესე არს დღე იგი განსუენებისად, რომელსა შინა განისუენა ყოველთაგან საქმეთა თვსთა ქრისტემან მეუფემან, მხოლოდშობილმან ძემან ღმრთისამან, რომელთა იწყო აღსრულებად თავისათვს სიკუდილისა და აწ ჯორცითა ჰშაბათობს და პირველსავე დიდებასა თვსსა აღუალს აღდგომითა, რომლითა მოგუანიჭა ჩუენ ცხოვრებად საუკუნოდ, ვითარცა სახიერ არს მხოლო და კაცთმოყუარე და აცხოვნა დაბადებულნი“.²

ამრიგად, ჰიმნოგრაფი სრულიად ნათლად წარმოაჩენს აწ უკვე განწმენდილი მეშვიდე დღისა (დიდი შაბათის) და შესაქმის მეშვიდე დღის საიდუმლო კავშირს.

უადრესად საყურადღებოა, ასევე, დიდი შაბათის სვინაქსარიც, რომელიც ლიტურგიკული მსახურების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მოვიხმობთ ამონარიდს ვრცელი სავითხავიდან, სადაც ხაზგასმულია დიდი შაბათისა და შესაქმის მეშვიდე დღის კავშირზე: „ხოლო ვითარ-იგი ორმოცნი ესე დღენი უფროდს აღმატებულებენ სიწმიდით ყოველთა დღეთა სხუათა მარხვისათა, ეგრეთვე შუდეული ესე წმიდად უფროდს უდიდებულესობს ყოველთა ამათ შუდეულთა და დიდისა ამის შუდეულისავე არს წმიდა ესე და დიდი შაბათი. ხოლო არა თუ ამისთვის ეწოდების ამას დიდი შუდეული, რადთამცა ყოველთა ზედა შუდეულთა უმეტეს იყოს დღითა ანუ ჟამითა, ანუ სხვთა რადთამე საქმითა, არამედ დიდებული უკვე და უადრეს ბუნებისა იქმნა საქმე კეთილი და საკვრველი მაცხოვრისა მიერ ჩუენისა, რომელიცა აღასრულა დღესა ამას შაბათსა უადრესსა ყოველთასა. ხოლო ვითარ-იგი პირველად ყოვლისავე ქმნილებად სოფლისადა შექმნა ღმერთმან და ყოველივე საქმე თვისი სრულ-ყო და აღასრულა, ეგრეთვე შემდგომად მისსა საუფლოდთა ძალითა თვისითა მეექუსესა დღესა შექმნა კაცი და მეშუდესა დღესა განისუენა ყოვლისაგან შრომისა და საქმისა თვისისა, და წმიდა-ყო იგი და შაბათად უწოდა, რომელიცა ითარგმანების დღედ განსუენებისა“.³

ამრიგად, მოხმობილი უწმინდესი საეკლესიო სწავლებანი ცხადად ადასტურებს მისტიურ კავშირს შესაქმის მეშვიდე დღესა და ვნების შაბათს შორის. ამრი სრულიად ნათელია: როგორც პირველ შაბათს ღმერთმა სრულყო შესაქმის შვიდეული და განისუენა ყველა თავისი საქმისგან, ასევე, მან განისუენა და სრული ერთი დღე დაყო საფლავად მას შემდეგ, რაც ადამიანთა გამოხსნის საღვთო საქმე აღასრულა.

ვნების შვიდეულისა და შესაქმის დღეთა საიდუმლო კავშირის შესახებ საუბრისას პარასკევთან და შაბათთან ერთად განუზომლად დიდია თავად კვირა დღის მნიშვნელობაც.

1 ტრიოდონი 1901: 574.

2 ტრიოდონი 1901: 574.

3 ტრიოდონი 1901: 572.

საეკლესიო სწავლებით, კვირა არა მხოლოდ მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღეა, არამედ იგი, ამავე დროს, როგორც **ერთშაბათი, შესაქმის პირველი დღეცაა**; დღე, როდესაც ღმერთმა უხილავი და ხილული სამყაროს შექმნა დაიწყო, რომელსაც წმინდა წერილში ეწოდება „დღე იგი ერთი“ (დაბ. 1, 5). ასევე, მაცხოვარმა ერთშაბათს თავისი მკვდრეთით აღდგომით დასაბამი დაუდო ახალ ცხოვრებას, ახალ სულიერ შესაქმეს. შვიდეულის პირველი დღის პატივის გარდა, კვირას, ანუ საუფლო დღეს, **მერვე დღის მნიშვნელობაც** აქვს, რომელიც სიმბოლურად მაცხოვრის მეორედ დიდებით მოსვლას უკავშირდება.

კვირის (ერთშაბათის), როგორც **წმინდა დღის**, ორი მნიშვნელობის შესახებ არაერთი წმინდა მამა მოწმობს.

წმინდა იუსტინე მარტვილი თავისი აპოლოგიის 67-ე თავში ნათლად განმარტავს, თუ რატომ არის კვირა დღე განსაკუთრებული და ქრისტიანთა მიერ ევექარისტიული მსახურებისთვის შერჩეული. იგი აღნიშნავს: „მზის დღეს ჩვენ ყველანი ვიკრიბებით, რადგან **ეს არის პირველი დღე, როდესაც ღმერთმა, წყვიდადისა და ნივთიერების შემცვალელებმა, შექმნა სამყარო, და იესო ქრისტე, ჩვენი მხსნელი, ამავე დღეს აღდგა მკვდრეთით**“.¹ თავდაპირველად როგორც არმყოფობიდან მყოფობაში შემოიყვანა ღმერთმა ყოველივე და მიანიჭა სიცოცხლე, ასევე, მაცხოვარმა ცოდვით სიკვდილს დამორჩილებულ ადამიანთა მოდგმას თავისი აღდგომით განახლებული სიცოცხლე მიანიჭა.

ამავეს ამბობს წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი თავის 44-ე სიტყვაში: „ვითარცა პირველისა მის დაბადებისა დაწყებად კვრიაკე იქმნა (ვითარცა საცნაურ არს, მას ეწოდა პირველი დღე და მისგან იქმნების შაბათი მეშუდედ, რომელი-იგი არს განსუენებად საქმეთად), ეგრეთვე მეორისა მის დაწყებად კვრიაკითვე იყოს, რომელი-ესე პირველი არს შემდგომთა მისთად და მერვე — უწინარესთა მისთად, მალლისა უმაღლესი და საკვრველისა უსაკვრველესი, რომელი ზეცისა წესად მიმიძღუს“.² ამგვარად, წმინდა მამა სამყაროს პირველ დღედ კვირას ანუ ერთშაბათს მიიჩნევს და მისგან გამომდინარე განაჩინებს შაბათს მეშვიდე, განსვენების დღედ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წმინდა მოსე წინასწარმეტყველმა შესაქმის პირველ დღეს „დღე იგი ერთი“ (დაბ. 1, 5) უწოდა. **სიტყვა „ერთი“ თავის თავში, როგორც პირველ, ისე უკანასკნელ, მერვე დღესაც გულისხმობს.** ამის შესახებ საინტერესო განმარტებას გვათავაზობს წმინდა გრიგოლ პალამა, რომელიც ბრძანებს: „საუფლო დღე (კვირა, ერთშაბათი, ამ შემთხვევაში „დღე იგი ერთი“ — გ. მ) გვევლინება არა მხოლოდ მერვე დღედ, ითვლება რა იგი მერვედ წინამდებარე დღეების გამო, არამედ, ამავე დროს, იგი იმ დღეებთან მიმართებით, რომლებიც მას მოსდევს, არის პირველი; ეს იმიტომ,

1 Бурфеев 2014: 79.

2 Versio iberica, I, 1998: 173.

რომ ამ სახით იგი ერთდროულად იყოს პირველიც და უკანასკნელიც, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ „საუფლოს“. მოსემ ხომ მას უწოდა არა „პირველი“, არამედ „ერთი“, როგორც უმაღლესი თავისი მნიშვნელობით სხვა დღეებთან შედარებით, და გვევლინება მომავალი მარადიულობის დასაწყისად, ერთადერთ და დაუსრულებელ დღედ“.¹

უაღრესად საყურადღებოა აღდგომის დღესასწაულის სვინაქსარი, რომელშიც პა-სექის წმინდა დღის შესახებ საინტერესო განმარტებაა, კერძოდ: „ესე უკუე, დღე არს (კვირა — გ. მ), რომელსა შინა ღმერთმან სოფელი ესე არაარსისაგან არსებად მოიყვანა. ამასვე დღესა ისრაელთა ერნი შორის ზღუასა მას მეწამულსა განიყუანნა და გამოიწსნა ჴელისაგან ფარაოჲსა. კუალად უკუე, ამასვე დღესა შინა გარდამოჴდა ზეცით და დაემკვდრა მუცელსა ქალწულისასა, და აწ ჴოჯოხეთისა მის საუნჯისაგან ყოველნივე კაცთა ბუნებანი გამოიტაცნა და ზეცად აღიყუანნა და პირველსავე მას უხრწნელებისა პატივსა კუალად ღირს-ყვნა“.²

დამოწმებული საკითხავის მიხედვით, აღდგომის დღე, კვირა, არა მხოლოდ შესაქმის პირველ დღეს უკავშირდება, არამედ სხვა მნიშვნელოვან მოვლენასაც განეკუთვნება, მათ შორის, მოსეს მიერ რჩეული ერის სასწაულებრივად გამოყვანას ეგვიპტიდან მეწამული ზღვის გავლით და თავად მაცხოვრის ყოვლადუხრწნელ დამკვიდრებას ღვთისმშობლის წიაღში. ეს ფაქტები კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ადამიანთა გამოსხნის საღვთო საიდუმლო შემთხვევით დროს არ აღსრულებულა და იგი განგებულებითად კონკრეტულ დღეს (კვირას) უნდა მომხდარიყო.

ამდენად, უწმინდესი საეკლესიო წყაროების გაცნობის შემდეგ ნათელია, რომ მაცხოვარმა თავისი ამქვეყნიური ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი დღეები შესაქმის წმინდა შვიდეულს დაუკავშირა. ამ ფაქტს კონკრეტული მიზანდასახულობა ჰქონდა (და აქვს). ისე, როგორც სამყაროს შექმნისას ერთ შვიდეულში თავი მოიყარა დღეღამსწორობამ, სავსე მთვარემ და პარასკევ დღეს ადამიანის დაბადებამ, ამგვარადვე შემოკრიბა უფალმა თავისი ვნების ჟამს ყველა ეს ნიშანი და კაცთა მოდგმას მაცხოვრებელი გამოხსნა უწყალობა, ხოლო აღდგომის დღესასწაულის დასადგენად ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინება გარდაუვალ პირობად დაგვიდო.

1 Буфеев 2014: 80.

2 ზატივი 1863: 483.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და სქოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, თბილისი, 2015.
2. ზატიკი 1863 – ტრიოდინი ზატიკი, სინოდის სტამბა, თბილისი, 1863.
3. სინური მრავალთავი 1959 – სინური მრავალთავი, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, გამოკვლევით და წინასიტყვაობით, თბილისი, 1959.
4. სწავლანი 2002 – წმიდა მამათა სწავლანი (წმ. ბასილი დიდი, წმ. იოვანე ოქროპირი, წმ. ეფრემ ასური და სხვანი) X და XI საუკუნეების ქართულ ხელნაწერთა მიხედვით, მოსკოვის წმიდა გიორგის ქართული ეკლესია, 2002.
5. ტრიოდინი 1901 – ტრიოდინი, რომელ არს სამსაგალობელი, სტამბა ექვთიმე ხელაძისა, თბილისი, 1901.
6. უდაბნოს მრავალთავი 1994 – უდაბნოს მრავალთავი, აკაკი შანიძისა და ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ლ. ბარამიძემ, კ. დანელიამ, რ. ენუქაშვილმა, ი. იმნაიშვილმა, ლ. კიკნაძემ, მ. შანიძემ და ზ. ჭუმბურიძემ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თბილისი, 1994.
7. უძველესი იადგარი 1980 – უძველესი იადგარი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევა და ლ. ხეცსურიანმა, თბილისი, 1980.
8. ΠΑΛΑΜΑ 2017 – Η ΕΝ ΧΡΙΣΤΩ ΖΩΝ ΚΑΤΑ ΤΟΝ ΑΓΙΟ ΓΡΗΓΟΡΙΟ ΤΟΝ ΠΑΛΑΜΑ, Ἐπιμέλεια Ἀρχιμανδρίτης Μεθόδιος Ἀλεξίου Διδάκτωρ Θεολογίας, Θεσσαλονίκη, 2017.
9. PG, 59, 1862 – Patrologiae cursus completus, Series graeca, Volumen 59, ed. Migne J. P., Paris, 1862.
10. Versio iberica, I, 1998 – Sancti Gregorii Nazianzeni Opera, Versio iberica I, Orationes I, XLV, XLIV, XLI, ed. a H. Metreveli et K. Bezarachvili, Ts. Kourtsikidze, N. Melikichvili, Th. Othkhmezouri, M. Raphava, M. Chanidze (Corpus Christianorum, Series Graeca, 36, Corpus Nazianzenum, 5, Turnhout - Leuven) 1998.

11. Буфеев 2014 – ПРАВОСЛАВНОЕ УЧЕНИЕ О СОТВОРЕНИИ И ТЕОРИЯ ЭВОЛЮЦИИ, Протоиерей Константин Буфеев, Москва, 2014.
12. Св. Иоанн Златоуст 2002 – ПОЛНОЕ СОБРАНИЕ ТВОРЕНИЙ СВ. ИОАННА ЗЛАТОУСТА В ДВЕНАДЦАТИ ТОМАХ, Том восьмой, Москва, 2002.

**მესაქმისა და ვნების შვილულის ღღეთა
ურთიერთმიმართება**

რეზიუმე

ძველი აღთქმის წიგნებში შოგფერ პირდაპირ, ხშირად კი სახესიმბოლოების მეშვეობით წინასწარმეტყველოურად არის უწყებელი ძე ღმერთის განკაცება, ჟვარცმა და მკვლრეთით აღღგომა. წინამღებარე სტატიაში განვიხილეთ საეკლესიო სწავლება შესაქმისა და ვნების შვიღეულის ღღეთა ურთიერთმიმართების შესახებ. ჩვენს ხელო არსებულ წყაროებზე დაყრღნობით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შემოეკრიბეთ წმინდა მამათა კომენტარები, საღაც აბსოლუტური სიცხადით ჩანს ის მისტიკური კავშირი, რაც არსებობს შესაქმის ღღეებსა და ვნების შვიღეულს შორის. უწმინღესი საეკლესიო წყაროების გაცნობის შემღეგ ცხადი ხღება, რომ უფაღმა ჩვენმა იესო ქრისტემ თაუისი ამქვეყნიური ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ღღეები – ჟვარზე ვნება, ერთი სრული ღღე საფლაად ყოფნა და მკვლრეთით აღღგომა – შესაქმის წმინდა შვიღეულს დაუკავშირა.

Interrelationship Between the Days of the Creation and the Seven Days of the Passion

Abstract

The Books of the Old Testament, sometimes directly, and often prophetically through images and symbols, reveal to us the Incarnation, Crucifixion and Resurrection of the Son of God. In this article, we discuss the teaching of the Church about the interrelationship between the Days of the Creation and the Seven Days of the Passion. Based on the sources available to us, we have collected commentaries made on this subject by Holy Fathers. In them the mystical connection existing between the Days of the Creation and the Seven Days of the Passion can be seen with absolute clarity. After getting acquainted with the most sacred ecclesiastical sources, it becomes clear to us that our Lord Jesus Christ connected the most important days of His earthly life - Passion on the Cross, one full day in the grave and Resurrection from the Dead - to the Holy Seven Days of the Creation.



მორჩილი იტაკლი გუნიავა

**საქართველოს ეკლესიის საექლესიო საკუთრების
სახელმწიფო რეგისტრაციის სამართლებრივი
ანალიზი**

მორჩილი ირაკლი გუნიავა კანონიკური სამართლის მიმართულების
დოქტორანტი

NOVICE IRAKLI GUNIAVA Master of Theology, a doctoral candidate
enrolled in the program of Canon Law

ხელმძღვანელები თეოლოგიის დოქტორი,
დეკანოზი ალექსი ქუტაშვილი

თეოლოგიის დოქტორი
გიორგი ანდრიაძე

SUPERVISORS

Doctor of Theology,
Archpriest Aleksi Kshutashvili

Doctor of Theology
Giorgi Andriadze

საქართველოს ეკლესიის საეკლესიო საკუთრების სახელმწიფო რეგისტრაციის სამართლებრივი ანალიზი

„მეცთო კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმეზოსა“¹

ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ადრეული პერიოდიდანვე (IV საუკუნიდან) საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო და მისი აქტუალურობა დღემდე ყურადღების ცენტრშია. ამიტომ ისეთი სამართლებრივი საკითხების შესახებ მსჯელობა, რომლებიც ეკლესიასა და სახელმწიფოს ერთმანეთთან აკავშირებს, მუდმივად ინტერესის სფეროს განეკუთვნება.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ, გამოგვეკვლია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი. XX საუკუნის ბოლოდან საქართველოს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება დაიწყო და დღესაც მიმდინარეობს სახელმეკრულებო პრინციპზე დაყრდნობით, რასაც წინ უსწრებდა საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენა, მისი საერთაშორისო აღიარება და, ასევე, 1995 წელს საქართველოს სახელმწიფოს ახალი კონსტიტუციის მიღება, რომლის მე-9 მუხლის მიხედვითაც, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა ემყარება სამ უმნიშვნელოვანეს პრინციპს:

1. ეკლესია დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან;
2. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას;
3. სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის როლს საქართველოს ისტორიაში.²

კონსტიტუციური შეთანხმების გაფორმებამდე 2001 წლის 30 მარტს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივას და მიიღო საქართველოს კონსტიტუციური კანონი, რომლის მიხედვითაც შეივსო სახელმწიფო კონსტიტუციის მე-9 მუხლი და ზემოაღნიშნულ 3 პრინციპს დაემატა ორი:

- ა. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით;
- ბ. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს (კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში).³

1 მარკ. 12, 17.

2 საქართველოს კონსტიტუცია 1995;
www.matsne.gov.ge/document/view/30346?publication=0

3 საქართველოს კონსტიტუციური კანონი 2021;

კონსტიტუციის დღეისათვის მოქმედი რედაქციით, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა განსაზღვრულია კონსტიტუციის მე-8 მუხლით, რომლის თანახმადაც: „რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან ერთად სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში“.¹

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ჯერ კიდევ 1990 წლის 12 აპრილს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „რელიგიის საქმეთა საკითხების შესახებ“, რომლის თანახმადაც: „რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის² და საქართველოს საპატრიარქოს ყველა საკულტო ნაგებობა და მათი უძრავ-მოძრავი ქონება გამოაცხადა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად, ხოლო ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს დაავალა აღნიშნული საკულტო ნაგებობების უსასყიდლოდ გადაცემა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსათვის“.³

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 14 ოქტომბერს გაფორმდა კონსტიტუციური შეთანხმება—კონკორდატი, რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით.⁴ კონსტიტუციურ შეთანხმებაში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებულია ისტორიულად ჩამოყალიბებულ სრულუფლებიან საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო (კანონიკური)

1 საქართველოს კონსტიტუცია 2020;

2 გამოზღინარე იქიდან, რომ თავად კანონში არის მოცემული სიტყვა „ქართული“, ჩვენც უცვლელად დავტოვეთ. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ გამოთქმა: „ქართული მართლმადიდებელი ეკლესია“ ან საზოგადოებაში ასევე გავრცელებული ფორმა „ქართული მართლმადიდებლური ეკლესია“ არამართებულია, რადგან მართლმადიდებელი ეკლესია ვერ იქნება ვერც ქართული, ვერც ბერძნული და ა. შ., არამედ: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია“, „სამგრძნეთის მართლმადიდებელი ეკლესია“ და ა. შ. ეკლესია არის ერთიანი, განუყოფელი, დაურღვეველი, რომელიც არის ერთი თავის – ქრისტეს ერთიანი სხეული (ი. გ.).

3 ხეყურიანი 2013: 10.

4 საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2002;

სამართლის ნორმებით, საქართველოს კონსტიტუციის, კონსტიტუციური შეთანხმებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (კონსტიტუციური შეთანხმების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი). ყოველივე ეს დადასტურებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მოქმედი მართვა-გამგეობის დებულების მიერ, რომლის I თავის მე-5-6 პარაგრაფებშიც ვკითხულობთ:

„§5 საქართველოს ეკლესია თავის მოღვაწეობას ახორციელებს შემდეგ საფუძვლებზე:

1. წმინდა წერილი და საღვთო გადმოცემა;
2. წმინდა მოციქულთა, წმინდა მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა და წმინდა მამათა კანონები და წესდებები;
3. საქართველოს ეკლესიის ადგილობრივ კრებათა დადგენილებანი;
4. საქართველოს ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, საქართველოს კონსტიტუცია და შესაბამისი კანონები.

§6. საქართველოს ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან, დამოუკიდებელია და ახორციელებს მასთან ურთიერთობას საეკლესიო კანონების, სახელმწიფო კონსტიტუციისა და შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე“.¹

დღეს მოქმედი საეკლესიო (კანონიკური) სამართალი, კონსტიტუციური შეთანხმების დანართის — „ტერმინთა განმარტება“ — მე-12 პუნქტის მიხედვით, არის მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის კანონებისა და წესების ერთობლიობა (ეს გულისხმობს მოციქულთა კანონებს, მსოფლიო და ადგილობრივი კრებებისა და წმინდა მამების დადგენილებებს), ხოლო საქართველოს ეკლესიისათვის — ადგილობრივი ეკლესიის კრებების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, საქართველოს ეკლესიის დღეს მოქმედი მართვა-გამგეობის წესდება (დებულება), საქართველოს საეკლესიო კრების, წმინდა სინოდის და კათოლიკოს-პატრიარქის მიერ გამოცემული განჩინებები და სხვა (საეკლესიო) სამართლებრივი აქტები,² რომელთა გათვალისწინებითაც ქონებრივი უფლებების განსახორციელებლად ეკლესია ხელმძღვანელობს სახელმწიფო საკანონმდებლო ნორმებით, ვინაიდან საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-უნარიანობა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად: „იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე,

1 საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება 1995;

www.orthodoxy.ge/samartali/debuleba.htm

2 საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2002;

www.matsne.gov.ge/document/view/41626?publication=0

ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ¹. ასევე, იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათი შექმნის, ორგანიზებისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით“². ამდენად, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც საჯარო იურიდიული პირი, წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა სრულყოფილებიან სუბიექტს.

კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის საფუძველზე — „ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. ეკლესიის საკუთრებაში შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით“³. ასევე: „ეკლესია თავის არასაღვთისმსახურო ქონების ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას ახორციელებს საეკლესიო სამართლებრივი ნორმებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით“⁴. კონსტიტუციური შეთანხმების დანართში მოცემული „ტერმინთა განმარტების“ 26-ე პუნქტის მიხედვით, საღვთისმსახურო ქონებაში იგულისხმება „ტაძრები, მონასტრები, საეკლესიო დანიშნულების ნაგებობანი, წმიდა ნაწილები, წმიდა რელიკვიები, საეკლესიო ნივთები“⁵. შესაბამისად, ყველა სხვა სახის ქონება არის არასაღვთისმსახურო.

ზემოაღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ კონსტიტუციური შეთანხმებით, როგორც მხარემ, იკისრა ვალდებულება, რომ არასაღვთისმსახურო ქონების განკარგვისას იხელმძღვანელოს როგორც საეკლესიო სამართლებრივი ნორმებით, ასევე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და, ამავდროულად, კონსტიტუციური შეთანხმების ზემოაღნიშნული ნორმა არ ანიჭებს უპირატესობას ერთს მეორესთან მიმართებით, არამედ მიიჩნევს მათ თანასწორი სამართლებრივი ძალის მქონე ნორმებად. თუმცა თვითონ კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ზოგიერთი ნორმატიული აქტის მიმართ. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია

- 1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 2022;
<https://www.matsne.gov.ge/document/view/31702?publication=117>
- 2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 2022;
<https://www.matsne.gov.ge/document/view/31702?publication=117>
- 3 საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2002;
www.matsne.gov.ge/document/view/41626?publication=0
- 4 საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2002;
www.matsne.gov.ge/document/view/41626?publication=0
- 5 საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2002;
www.matsne.gov.ge/document/view/41626?publication=0

ნორმატიული აქტების რანგირების და ურთიერთმიმართების საკითხი, კერძოდ, შემდეგ საკანონმდებლო ძეგლში: „საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ“ — I თავის მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში ვკითხულობთ:

3. საქართველოს საკანონმდებლო აქტების, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების მიმართ მოქმედებს შემდეგი იერარქია:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი;
- ბ) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება;
- გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;
- დ) საქართველოს ორგანული კანონი;
- ე) საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

4. საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ — ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში. საქართველოს კონსტიტუციურ შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა ყველა სხვა ნორმატიული აქტის მიმართ.¹

ამდენად, კონსტიტუციური შეთანხმება, როგორც ნორმატიულ-იურიდიული ძალის მქონე აქტი, ერთი მხრივ, არის მაღალი იერარქიული რანგის მქონე ნორმატიული აქტი, რამდენადაც სახელმწიფო სამართლის ნორმატიული აქტების იერარქიაში ის იკავებს მეორე ადგილს კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის შემდეგ, ხოლო მეორე მხრივ, იგი, ასევე, არის როგორც კანონიკური სამართლის ძირითადი ნორმა სახელმწიფოსთან სამართლებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის.

კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის თანახმად — „სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული“.²

ასევე, ძალზედ საინტერესოა სამართლებრივი თვალსაზრისით კონსტიტუციური შეთანხმების მე-8 მუხლი, რომლის თანახმადაც — „სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვაში (მუზეუმებში, საცავებში) არსებულ საეკლესიო საგანძურს (კერძოდ საკუთრებაში არსებული ნაწილის გარდა)“ და „გემოაღნიშნული საეკლესიო

1 საქართველოს ორგანული კანონი 2009;
www.matsne.gov.ge/document/view/90052?publication=34
2 საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2002;
www.matsne.gov.ge/document/view/41626?publication=0

საგანძური, როგორც საერთო-ეროვნული საგანძურის ნაწილი, არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივ მფლობელობაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (წმიდა ნაწილებისა და წმიდა რელიკვიების გარდა).¹

ამავე კონსტიტუციური შეთანხმების დანართში მოცემული „ტერმინთა განმარტების“ 21-22-ე პუნქტებით განმარტებულია, თუ კონკრეტულად რას გულისხმობს „წმინდა ნაწილები“ და „წმინდა რელიკვიები“:

წმინდა ნაწილები — მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილ მოწამეთა და მოღვაწეთა სხეულის ნაწილები.

წმინდა რელიკვია — მაცხოვრის, ღვთისმშობლის და წმინდანთა ცხოვრებასთან დაკავშირებული საგნები და ნივთები.²

ამდენად, წმინდა ნაწილები და წმინდა რელიკვიები წარმოადგენენ მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებას.

სახელმწიფო სამართლის მიხედვით, ეკლესიის ქონებრივი უფლება ჩვეულებრივი იურიდიული პირის უფლებაა, ხოლო კანონიკური სამართლის გათვალისწინებით, საკუთრების უფლების განსაზღვრისას საეკლესიო ქონების მესაკუთრედ მიჩნეულია ღმერთი, კერძოდ — კონსტანტინოპოლის ორგზისი კრების I კანონის თანახმად: „...თუკი კაცი ვინმეს საჩუქრად მისცემს რაიმეს და მისი მფლობელი აღარ შეუძლია იყოს, მით უმეტეს, ვეღარ იქნება იგი იმის მფლობელი, რაც მიართვა და შესწირა ღმერთს“.³ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეკლესიისათვის შეწირული ქონება ღმერთს ეკუთვნის და, ამდენად, მის ყოფილ მესაკუთრეს, როგორც შემწირველს, აღარ აქვს არავითარი კანონიერი უფლება ამ ქონებაზე. მეორე მხრივ, კანონიკურად დადგენილი მღვდელთმთავრისათვის საეკლესიო ქონების განკარგვის უფლება მინიჭებულია მოციქულთა 38-ე კანონის მიხედვით: „ყველა საეკლესიო ნივთზე ეპისკოპოსი უნდა ზრუნავდეს, როგორც ღვთის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი (მოციქულთა კრების 41-ე, IV მსოფლიო საეკლესიო კრების 26-ე, ტრულის კრების 35-ე, VII მსოფლიო საეკლესიო კრების მე-11-12, ანკვირიის ადგილობრივი საეკლესიო კრების მე-15, ლანგრის ადგილობრივი საეკლესიო კრების მე-7-8, ანტიოქიის ადგილობრივი საეკლესიო კრების 24-25-ე, კართაგენის ადგილობრივი საეკლესიო კრების 26-ე და 33-ე, ორგზისი კრების მე-7, თეოფილე ალექსანდრიელის მე-10, კირილე ალექსანდრიელის მე-2 კანონები)“.⁴

მიგვაჩნია, რომ უყურადღებოდ არ უნდა იქნას დატოვებული ეპისკოპოს ნიკოდიმოსის

1 საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2002; www.matsne.gov.ge/document/view/41626?publication=0
 2 საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2002; www.matsne.gov.ge/document/view/41626?publication=0
 3 დიდი სჯულისკანონი 2009: 309.
 4 დიდი სჯულისკანონი 2009: 55.

(მილაშის) განმარტება ამ მუხლთან დაკავშირებით. იგი წერს: „ამ კანონის განწესება პირადად ეპისკოპოსის მიერ საეკლესიო ქონების მართვის შესახებ ძალაში იქამდე იყო, სანამ ეს ქონება არ გაიზარდა, ხოლო როდესაც ეკლესიამ უძრავი ქონების მოპოვება და გარკვეული შემოსავლის მიღება დაიწყო, მაშინ ეპისკოპოსისათვის მთელი ამ ქონების მართვა შეუძლებელი გახდა და, შესაბამისად, ამ მმართველობის წესის შეცვლის მოთხოვნა გაჩნდა (IV მსოფლიო საეკლესიო კრების 26-ე, VII მსოფლიო საეკლესიო კრების მე-11, თეოფილე ალექსანდრიელის მე-10 კანონები)“, რაც ხსენებული უფლების იკონომოსებისათვის გადანაწილებას გულისხმობდა.¹ ასევე, საყურადღებოა ამ საკითხთან დაკავშირებით მოციქულთა კრების მე-40 კანონი: „ცხადი და გასაგები იყოს ეპისკოპოსის საკუთარი ქონება (თუ მას პირადული გააჩნია), და ცხადი და გასაგები — უფლოსა, რათა ეპისკოპოსს სიკვდილის წინ საკუთრების დატოვება შეეძლოს — ვისთვისაც და როგორც უნდა“² (იხ. ასევე: მოციქულთა კრების 38-ე და 41-ე, IV მსოფლიო საეკლესიო კრების 22-ე, ტრულის კრების 35-ე, ანტიოქიის ადგილობრივი საეკლესიო კრების 24-ე, კართაგენის ადგილობრივი საეკლესიო კრების 22-ე, 26-ე და 81-ე კანონები), რომლის თანახმადაც, მოციქულები მკაცრად მიჯნავენ ერთმანეთისაგან, ერთი მხრივ, საეკლესიო ქონებას, როგორც ღმერთის ანუ ეკლესიის საკუთრებას, ხოლო მეორე მხრივ, ვაცთა პირად ქონებას, თუნდაც ეს უკანასკნელი კანონიკურად დადგენილი მღვდელთმთავრისა იყოს. მღვდელთმთავრის მიერ საეკლესიო ქონების მართვის შესახებ უწყებულია ანტიოქიის კრების 24-ე კანონით: „ეკლესიას მართებს გულმოდგინედ, კეთილსინდისიერად და ყოვლისმხილველი და მსაჯული ღვთის შეურყეველი რწმენით საეკლესიო ქონების შენახვა და კეთილად დაცვა. მისი განგება, მოვლა-პატრონობა და გამოყენება შეიძლება იმ ეპისკოპოსის განსჯითა და უფლებით, რომელსაც ჩაბარებული ჰყავს მთელი ერი და იქ შეკრებილი სულელები“.³

საეკლესიო ქონებისა და ფინანსების შესახებ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მოქმედი მართვა-გამგეობის დებულების XII თავში ვკითხულობთ:

„§1. საქართველოს ეკლესია უზრუნველყოფს თავის მატერიალურ მოთხოვნილებებს თვითდაფინანსების საფუძველზე.

§2. მისი ფინანსები იქმნება: მორწმუნეთა ნებაყოფილობითი შემოწირულობით, საეკლესიო წესების აღსრულების შემოწირულობით, საეკლესიო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციითა და სხვა საეკლესიო-სამეურნეო საქმიანობით.

§18. საქართველოს ეკლესიის ეპარქიებს, მონასტრებს, სამრევლოებს, საეკლესიო დაწესებულებებს, სასულიერო სასწავლებლებს, საეკლესიო-სამეურნეო დაწესებულებებს

1 ეპისკოპოსის ნიკოდიმოს მილაში 2007: 83.

2 დიდი სჯულისკანონი 2009: 56.

3 დიდი სჯულისკანონი 2009: 95.

უფლება აქვთ ფლობდნენ უძრავ-მოძრავ ქონებას, მიწის ნაკვეთს, აიღონ არენდით, ააშენონ და შეიძინონ შენობა-ნაგებობები და სხვა. კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით აქვთ უფლება ქადაგებისათვის ისარგებლონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და სხვა.

§19. საეკლესიო ქონების მართვა და განკარგვა ხდება საეკლესიო კანონების, სახელმწიფოში მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების თანახმად.¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნის სამართლებრივ საფუძვლებს, რომელთაგან საინტერესოა ამ კოდექსის 183-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც დადგენილია შემდეგი: „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შექმენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში“.² ამდენად, ეკლესიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება საჭიროებს ამ უკანასკნელის, როგორც მესაკუთრის, საკუთრების უფლების რეგისტრაციას საქართველოს სახელმწიფოს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოში — საჯარო რეესტრში. აქვე საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული კანონით განსაზღვრული მოთხოვნა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის იმ უძრავ ქონებას შეეხება, რომელიც არის საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში. არსებული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, იმ ტერიტორიებზე, სადაც დროებით არ ვრცელდება საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრების უფლების რეგისტრაცია და, შესაბამისად, მესაკუთრის უფლებების განხორციელება დროებით შეჩერებულია, თუმცა, VI მსოფლიო საეკლესიო კრების 38-ე კანონით განსაზღვრულია, რომ „ჩვენი მამების მიერ დადებულ კანონს ჩვენც ვიმარხავთ, რომლის მიხედვითაც: თუ სამეფო ხელისუფლებით განახლდა, ან მომავალში განახლდება ქალაქი, მაშინ სამოქალაქო და საერო წესს, შესაბამისად, საეკლესიო საქმეთა განწესებაც უნდა მიჰყვეს“³ (იხ. ასევე: I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-4, მე-6 და მე-7, II მსოფლიო საეკლესიო კრების მე-3, IV მსოფლიო საეკლესიო კრების მე-17 და 28-ე კანონები).⁴

ეკლესიის ადმინისტრაციულ საზღვრებთან დაკავშირებით საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მოქმედი მართვა-გამგეობის დებულების

1 საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება 1995;

www.orthodoxy.ge/samartali/debuleba.htm

2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1997;

www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=117

3 ანუ ეკლესიის საეპარქიო საზღვრები ქვეყნის პოლიტიკურ საზღვრებს უნდა შეესაბამებოდეს.

4 დიდი სჯულისკანონი, რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, „ნათლისმცემელი“, თბ., 2009, გვ. 252.

VI თავის მე-3 პარაგრაფით განეწესება შემდეგი:

„ეპარქიების საზღვრებს საქართველოს ტერიტორიაზე ადგენს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის გათვალისწინებით. საქართველოს საზღვრებს გარეთ ეპარქიების საზღვრები დგინდება საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით“.¹

ამდენად, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ არსებული ეპარქიების და, შესაბამისად, მათი ქონებრივი უფლებებისა და საკუთრების რეგისტრაციის საკითხების რეგულირება ხდება საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და იმ სახელმწიფოს ადგილობრივი კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში არსებული ქონება. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, იზრუნოს ეკლესიის ქონების დაცვის საკითხზე, რაც განწესებულია საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის არსებული კონსტიტუციური შეთანხმებით, კერძოდ — მე-10 მუხლით: „სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, აწარმოოს მოლაპარაკება შესაბამის სახელმწიფოებთან მათ ტერიტორიაზე არსებული ყველა ქართული მართლმადიდებლური ტაძრის, მონასტრის, მათი ნანგრევების, სხვა საეკლესიო ნაგებობის, აგრეთვე, საეკლესიო ნივთების დაცვის, მოვლა-პატრონობისა და საკუთრების თაობაზე“.² საქართველოს სახელმწიფო აღიჭურვა უფლებამოსილებით და, ამავდროულად, იკისრა ვალდებულება, რომ იზრუნოს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებსა და ქონებრივ უფლებებზე საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მოქმედი მართვა-გამგეობის დებულების XII თავის მე-18 პარაგრაფის მიხედვით, ქონებრივი უფლებებით სრულად არიან აღჭურვილი ეპარქიები, სამრევლოები და მონასტრები; ეს უკანასკნელნი სარგებლობენ, ასევე, იურიდიული პირის უფლებებითაც.³ ხოლო ამავე დებულებით რეგულირდება როგორც მათი ქონებრივი უფლებები, ასევე, განსაზღვრულია ეკლესიის შიდა მოწყობის სრუქტურა და სუბორდინაცია სტრუქტურულ ერთეულთა შორის, რაც განსაზღვრავს კიდევ საეკლესიო ქონების მართვისა და განკარგვის კანონიკურ თავისებურებებს. სამრევლოებთან დაკავშირებით დებულებაში

1 საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება 1995;

www.orthodoxy.ge/samartali/debuleba.htm

2 საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2002

www.matsne.gov.ge/document/view/41626?publication=0

3 საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება 1995;

www.orthodoxy.ge/samartali/debuleba.htm

ვკითხულობთ:

„საქართველოს ეკლესიის ეპარქიები იყოფა ოლქებად, ხოლო ოლქები — სამრევლოებად.

სამრევლო — ეს არის ტაძართან გაერთიანებული მართლმადიდებელ ქრისტიანთა საზოგადოება, რომელიც შედგება სამღვდელთა და საერო პირთაგან. სამრევლო — ეს არის ეპარქიის ნაწილი, რომელიც ეპარქიის მღვდელთმთავრის კანონიკურ მმართველობას ექვემდებარება.

ახალი სამრევლოების დაარსება ან სამრევლოს გაუქმება ხდება ეპარქიის მმართველი მღვდელთმთავრის ლოცვა-კურთხევით.

სამრევლოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ერთი ტაძარი ან სამლოცველო სახლი. სამრევლო ტაძრების, სამლოცველო სახლებისა და საყდრების აშენება, გამშვენება და შეკეთება ხდება ეპარქიის მმართველი მღვდელთმთავრის ნებართვით (X თავი, 1-2-ე, 4-5-ე პარაგრაფები).¹

მონასტრების ქონების შესახებ ნათქვამია:

„მონასტერი არის სავანე, რომელშიც ცხოვრობს და მოღვაწეობს ბერების ან მონაზვნებისაგან შემდგარი კრებული. ამ კრებულებში ბერები ან მონაზვნები გაერთიანებულნი არიან უპოვარების, უქორწინებლობისა და მორჩილების აღთქმით და თავისი ცხოვრება მიძღვნილი აქვთ უბიწოებისა და ლოცვისადმი.

მონასტრების დაარსების ნებართვას იძლევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ან წმინდა სინოდი ეპარქიის მმართველი მღვდელთმთავრის წარდგინებითა და კანონიკური პროცედურის დაცვით.

მონასტრები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით, აქვთ ბეჭედი და ტვიფარი.

მონასტრებს უფლება აქვთ ჰქონდეთ მეტოქიონები, რომელთა დაარსების ნებართვას იძლევა კათოლიკოს-პატრიარქი ან წმინდა სინოდი. მეტოქიონი ეწოდება ტაძარს მისი კუთვნილი შენობა-ნაგებობებით, რაც იმყოფება მონასტრის გამგებლობაში, მაგრამ მდებარეობს მის საზღვრებს გარეთ (შესაძლებელია, სხვა ეპარქიის ტერიტორიაზე). მეტოქიონის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეკლესიის მონასტრებისა და ბერმონაზვნების შესახებ დებულებით, აგრეთვე, იმ მონასტრის ტიპიკონით, რომლის კუთვნილებასაც ეს მეტოქიონი წარმოადგენს. მეტოქიონი შედის იმ მღვდელთმთავრის იურისდიქციაში, რომელი ეპარქიის ტერიტორიაზეც იგი მდებარეობს (XI თავი, 1-2-ე, მე-6 და მე-9 პარაგრაფები).²

1 საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება 1995;

www.orthodoxy.ge/samartali/debuleba.htm

2 საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება 1995;

www.orthodoxy.ge/samartali/debuleba.htm

მონასტრებთან და მათ ქონებრივ უფლებებთან მიმართებით, რა თქმა უნდა, საინტერესოა, ასევე, კანონიკური სამართლის ნორმათა შინაარსი და ამ ნორმების განმარტებები:

ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების 24-ე კანონით განეწესება:

„ეპისკოპოსის ნებით ერთხელ ნაკურთხი მონასტერი სამუდამოდ მონასტრად დარჩეს; მისი კუთვნილი ქონება დაცულ იქნეს და მომავალში არასდროს გადაკეთდეს ერისკაცთა საცხოვრებლად, ხოლო ვინც ამას დაუშვებს, კანონის შესაბამის სასჯელს დაექვემდებაროს“ (შედ. IV მსოფლიო საეკლესიო კრების მე-4; ტრულის კრების 49-ე; VII მსოფლიო საეკლესიო კრების მე-13 და მე-17; ორგზის კრების პირველი; წმ. კირილე ალექსანდრიელის მე-2 კანონები).¹

დამოწმებული კანონის განმარტებისას ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი (მილაში) ამბობს: „სიმკაცრე, რითაც საეკლესიო კანონმდებლობა მონასტრებისა და სამონასტრო ქონების სეკულარიზაციას² კრძალავს, ასახულია როგორც ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების 24-ე კანონში, ასევე, განსაკუთრებით, VII მსოფლიო საეკლესიო კრების მე-13 კანონში. თუმცა XII საუკუნეში, აღმოსავლეთში, ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა შეხედულებაც არსებობდა, კერძოდ: ბალსამონი, როცა ამ სიმკაცრის დამცველთ პასუხობს, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სეკულარიზაცია დასაშვებია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ როგორც ეს კანონი, ასევე, მსგავსი სხვა კანონები უნდა მოვიაზროთ არა აბსოლუტური მნიშვნელობით, თითქოს მონასტრები და სამონასტრო ქონება არავითარი სახით არასდროს და არანაირი სხვა მიზნებისთვის არ უნდა იყოს გამოყენებული, არამედ პირობითი აზრით“.³ შემდეგ აგრძელებს ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი და თავადვე განმარტავს, თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს „სეკულარიზაციის დასაშვებობაში“, კერძოდ — რა თქმა უნდა, დაუშვებელია ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებული ტერიტორიებისა და ქონების ჩამორთმევა და კერძო საკუთრების მიზნით გამოყენება, მაგრამ სამონასტრო ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობებისა და სამონასტრო ქონების გამოყენება იმ საქმიანობისთვის, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს ეკლესიისათვის, მიზანშეწონილად განიხილება. მაგ.: საჭიროების შემთხვევაში, სამონასტრო ტერიტორიებისა და ქონების გამოყენება დასაშვებია სასწავლო-აღმზრდელობითი მიმართულებისთვის, თუმცა, იქვე დაკონკრეტებულია, რომ ეს სრულებითაც არ იგულისხმობს ამ ტერიტორიების, თუნდაც დროებით, საერო საკუთრებაში გადაცემას, არამედ ამგვარი დაწესებულებები ეკლესიის ზედამხედველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო.⁴

1 დიდი სჯულისკანონი 2009: 119.

2 სამონასტრო ქონების სეკულარიზაცია გულისხმობს საეკლესიო (სამონასტრო) ქონების საერო სარგებლობაში გადაცემას.

3 ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი მილაში 2007: 354-355.

4 ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი მილაში 2007: 355.

ამავსაკითხს ეხება VI მსოფლიო საეკლესიო კრების 49-ე კანონი: „განმაახლებელნი უკუე ამისცა სამდდელოდსა კანონისანი განვასაზღვრებთ, რადთა ერთგობის მონასტრად შექმნილნი ეკლესიანი სათნოყოფითა ეპისკოპოსისადათა ეგნენ სამარადისოდ მონასტრად და შეწირულნი მათდა საჯმარნი ემარხვოდედ მონასტერთა, რომელთადა არღარა შესაძლებელ არს შექმნად მერმე საერისკაცოდ საყოფელად, ნუცამცა მიეცემიან იგინი ნუცა ერთისა ვისგან ყოველთაგანისა ერისაგანთა კაცთა. გარნა დაღათუ ვიდრე მოაქამდე ქმნილ არს სადმე ესე, დაუმტკიცებელ ყოფასა ამისსა განვასაზღვრებთ, ხოლო რომელთაცა ამიერთგან იკადრონ ამისი ქმნად, თანამდებ-იყენენ იგინი კანონთამიერისა განპატიუებისა“.¹

განმარტავს რა დამოწმებულ კანონს ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი (მილაში), ამგვარ რამეს ამბობს: ამ კანონიდან ჩანს, რომ IV მსოფლიო საეკლესიო კრების 24-ე კანონის განწესება VIII საუკუნეში არ სრულდებოდა და ამიტომ ტრულის მამებმა საჭიროდ მიიჩნიეს მისი გამეორება“.²

ამ მხრივ საინტერესოა ჩვენი თანამედროვეობის პრეცედენტი სამონასტრო ქონების სეკულარიზაციის მხრივ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2009 წელს ათონის წმინდა მთის ვატოპედის მონასტრის ქონებასთან დაკავშირებით. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მონასტრის წინამძღვარმა და საძმომ წერილით მიმართეს მორწმუნე მრევლს, სადაც შენდობა ითხოვეს და შემდეგი აღნიშნეს:

„უკანასკნელი თვეების მანძილზე უპრეცედენტო აურზაური წარმოიქმნა მონასტრის ქონების გამოყენებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ვისტონიდას ტბის გაცვლისა და იმ ფინანსური შემოსავლების მართვა-მოხმარების გარშემო, რაც გაცვლის შედეგად იქნა მიღებული. ვატოპედის წმინდა სავანის წინამძღვარი და მთელი საძმო გამოვხატავთ ჩვენს ღრმა მწუხარებას და მდაბლად ვითხოვთ შენდობას ქრისტეს სამწყსოსაგან, რადგან უნებლიედ და ჩვენთვის მოულოდნელად მორწმუნეთა დაბრკოლების მიზეზნი გავხდით“.³ წერილს თან ერთვის ვრცელი ნუსხა ფაქტებისა და მტკიცებულებების ზემოაღნიშნულ საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით.

პირის (ფიზიკური თუ იურიდიული) ქონებრივი უფლებების რეგისტრაციისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ მოქმედი კანონმდებლობის რამდენიმე მოთხოვნა. უპირველეს ყოვლისა კი, კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, რომლის მე-2 მუხლში მოცემულია კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

- ა) უძრავი ნივთი — მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობა (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობის

1 დიდი სჯულისკანონი 1975: 390-391.
 2 ეპისკოპოსი ნიკოდიმოს მილაში 2007: 497.
 3 საინფორმაციო ბროშურა ვატოპედის წმინდა სავანის შესახებ 2009; <https://vatopaidi.files.wordpress.com/2009/09/sainformacio-broshura.pdf>

- ერთეული (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) და ხაზობრივი ნაგებობა;
- ბ) მოძრავი ნივთი — ნებისმიერი ნივთი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არ არის უძრავი, გარდა მექანიკური სატრანსპორტო, საფრენი და მცურავი საშუალებებისა;
- გ) სარეგისტრაციო ობიექტი — უძრავი ან მოძრავი ნივთი, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.¹
- ე) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორია — საძოვარი, სათიბი, სახნავი (მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, საბაღე, საბოსტნე) და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი;
- ზ) დაინტერესებული პირი — ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი ან ადმინისტრაციული ორგანო, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს სააგენტოს გადაწყვეტილება ან ქმედება;
- თ) რეგისტრაცია — ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამ კანონით განსაზღვრული უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მითვების, მიწის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის, ტყის ფონდის საზღვრის დადგენისა და მასში ცვლილების..., გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციისა და მისამართების შესახებ მონაცემების, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული საგადასახადო სარეგისტრაციო მონაცემების, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის,

1 არამატერიალური ქონებრივი სიკეთე – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლის თანახმად: „არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეეძლოს მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე“. არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს „უსხეულო ნივთი“ ეწოდება. უსხეულო ნივთები, სხეულგზირვი ნივთების მსგავსად, სამართლებრივ ფასეულობად იქცევა იმის წყალობით, რომ მათ უკან გარკვეული პირის უფლებებია გამოკვეთილი. სხეულგზირვი ნივთის უკან არსებული უფლებები სწორედ რომ ამ ნივთზე არსებული უფლებებია და, ამ აზრით, ფასეულობას წარმოადგენს საგნის თვით სხეული, იგივე ნივთი. სხეულისადაც დგას საკითხი უსხეულო ნივთების ვითარებაში. ამ შემთხვევაში თვით უფლება და მოთხოვნაა ნივთი, ხოლო ის მატერიალიზებული საგანი, რაშიც ისინია გამოხატული, არ წარმოადგენს მათ სხეულს. მიუხედავად ამისა, არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ისევეა შესაძლებელი, როგორც სხეულგზირვი ნივთებისა

(<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12634> 15.06.2023).

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და კომანდითური საზოგადოების პარტნიორთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, ეკონომიკურ საქმიანობათა, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემების შესაბამის რეესტრში აღრიცხვა რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით.

მუხლი 3. მარეგისტრირებელ ორგანოთა სისტემა და უფლებამოსილებანი

1. საჯარო რეესტრის წარმოებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სააგენტო, რომელიც არის კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ამ კანონით განსაზღვრული საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი მარეგისტრირებელი ორგანო.

2. სააგენტოს ფუნქციებია:

ა) რეგისტრაცია;

გ) უფლებდაურეგისტრირებელი უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემთა აღრიცხვა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციით (შემდგომ – ინსტრუქცია) დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად;

მუხლი 5. საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების უტყუარობის პრეზუმფცია

საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემთა მიმართ მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია, ვიდრე ისინი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალადაკარგულად, ბათილად ან არარად არ იქნება ცნობილი.

მუხლი 10. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან ამონაწერი მზადდება უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/ იპოთეკისა და მოვალეთა რეესტრების მონაცემთა ერთიანი ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის უძრავი ნივთის შესახებ ამ რეესტრებში რეგისტრირებულ, ძალაში მყოფ მონაცემებს.¹

აქ წარმოდგენილ მუხლებში ასახულია კანონმდებლობის მოთხოვნები პირის ქონებრივი უფლებების რეგისტრაციისათვის, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნის სამართლებრივ საფუძველს. ხოლო საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტი — ინსტრუქცია საჯარო რეესტრის შესახებ —

1 საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ 2008; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/20560?publication=31>

ინფორმაციას გვაწვდის, თუ რომელი მონაცემების საშუალებით ხდება საჯარო რეესტრში ქონებრივი უფლებების ასახვა:

მუხლი 9. უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემების ამსახველი ინფორმაცია/ დოკუმენტაცია

1. საკადასტრო კოდი არის უძრავი ნივთის უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი, რომელიც ენიჭება უძრავ ნივთს მასზე საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციასთან ერთად. საკადასტრო კოდის ფორმირების წესი განისაზღვრება სააგენტოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
3. საკადასტრო გეგმა და საკადასტრო რუკა გაიცემა საჯარო რეესტრის მონაცემთა ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის მიწის ნაკვეთის და ნაგებობების შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს.
4. მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა არის მიწის ნაკვეთის საკადასტრო და გრაფიკული მონაცემების ამსახველი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის, მისი ფართობის, კონფიგურაციის, დანიშნულების, საკოორდინატო ბადის, მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობებისა (აშენებული, მშენებარე, დანგრეული) და მათი სართულიანობის, ასევე, ამ მიწის ნაკვეთზე იმ უფლებებისა და შეზღუდვების შესახებ, რომელთა საკადასტრო მონაცემებიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.
6. საკადასტრო რუკა არის დოკუმენტი, რომელიც ასახავს კონკრეტული ტერიტორიის საკადასტრო მონაცემებს, ინფორმაციას ამ ტერიტორიაზე უფლებარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების/ნაგებობების, საკადასტრო მონაცემთა ბანკში აღრიცხული უფლება-დაურეგისტრირებელი უძრავი ნივთის, მათი საკოორდინატო ბადისა და საკადასტრო კოდის/საიდენტიფიკაციო ნომრის შესახებ, ასევე, ამ ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთსა და შენობა-ნაგებობებზე იმ უფლებებისა და შეზღუდვების შესახებ, რომელთა საკადასტრო მონაცემებიც რეგისტრირებულია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში.¹

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ქონებრივი უფლებები აღიარებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესია, როგორც საჯარო სამართლის უფლებამოსილი პირი, აღჭურვილია ყველა იმ ქონებრივი უფლებით, რაც განსაზღვრულია საქართველოს სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობით, ხოლო ამ უფლებათა გამოყენებას და რეალიზაციას იგი ახდენს

1 საქართველოს იუსტიციის მინისტრის მრჩანება 2019; <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4764812?publication=0>

როგორც კანონიკური (საეკლესიო) სამართლის ნორმებით, ასევე, საქართველოს სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობით. ხოლო სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 14 ოქტომბერს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმება.

ბაიოყენიანი ლიტერატურა

1. ახალი აღთქმა, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2003.
2. დიდი სჯულისკანონი 2009 — დიდი სჯულისკანონი, რედ. ე. კოჭლამაზაშვილი, „ნათლისმცემელი“, თბილისი, 2009.
3. ეპისკოპოსი ნიკოდიმოს მილაში 2007 — მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები ეპისკოპოს ნიკოდიმოს (მილაში) განმარტებებით, ტომი I, თარგმნა ვლადიმერ ჩხიკვაძემ, „ალილო“, თბილისი, 2007.
4. საინფორმაციო ბროშურა ვატოპედის წმინდა საგანის შესახებ 2009 — საინფორმაციო ბროშურა ვატოპედის წმინდა საგანის შესახებ, ათონის წმინდა მთა, 2009;
<https://vatopaidi.files.wordpress.com/2009/09/sainformacio-broshura.pdf>
5. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 2019 — საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №487, 31.12.2019, საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
<https://www.matsne.gov.ge/document/view/4764812?publication=12> 17.06.2023.
6. საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ 2008 — საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ, 19.12.2008;
www.matsne.gov.ge/ka/document/view/20560?publication=29
7. საქართველოს კონსტიტუცია 1995 — საქართველოს კონსტიტუცია, 24.08.1995-ს რედაქცია;
www.matsne.gov.ge/document/view/30346?publication=0
8. საქართველოს კონსტიტუცია 2020 — საქართველოს კონსტიტუცია, 29.06.2020-ის რედაქცია;
www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
9. საქართველოს კონსტიტუციური კანონი 2001 — საქართველოს კონსტიტუციური კანონი, 30.03.2001, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ;
www.matsne.gov.ge/ka/document/view/15226?publication=0
10. საქართველოს ორგანული კანონი 2009 — საქართველოს ორგანული კანონი ნორმატიული აქტების შესახებ 22.10.2009;
www.matsne.gov.ge/document/view/90052?publication=34

11. საქართველოს პარლამენტის დადგენილება 2002 — საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ, 22.10.2002;
www.matsne.gov.ge/document/view/41626?publication=0
12. საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება 1995 — საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება, მიღებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული ადგილობრივი კრების მიერ 1995 წლის 18-19 სექტემბერს, მცხეთა, სვეტიცხოველი;
www.orthodoxy.ge/samartali/debuleba.htm
13. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 2022 — საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 29.03.2022;
www.matsne.gov.ge/document/view/31702?publication=117
14. ძირითად იურიდიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი
http://oldtbappeal.court.ge/upload/sr_187.pdf 19.05.2023.
15. ხეცურიანი 2013 — ხეცურიანი ჯ., სახელმწიფო და რელიგია, ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები, 2013.

მორჩილი ირაკლი გუნიავა

საქართველოს ეკლესიის სამკლესიო საკუთრების სახელმწიფო რეგისტრაციის სამართლებრივი ანალიზი

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიის საკუთრების სამართლებრივი საკითხები, რომლებიც, კონკრეტულ შემთხვევაში, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განისაზღვრება. ასევე, საუბარია საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული ეპარქიებისა და მათი ქონებრივი უფლებებისა და საკუთრების რეგისტრაციის საკითხებზე, რაც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და იმ სახელმწიფოს ადგილობრივი კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებაში არსებული ქონება.

საქართველოს ავტოკეფალიურ სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულ საფუძვრო სამართლის იურიდიულ პირს, გააჩნია უფლება-უნარიანობა, იგი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა სრულყოფილებიან სუბიექტს და საკუთარ ქონებას განაგებს როგორც კანონიერი სამართლის ნორმების საფუძველზე, ასევე, საქართველოს სახელმწიფოს მოქმედი სამართლის ნორმების შესაბამისად. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის მოქმედებს 2002 წლის 14 ოქტომბერს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმება, ამდენად, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა ემყარება სახელშეკრულებო პრინციპს.

Novice Irakli Guniava

A Juridical Analysis of the State Registration of the Property Which Belongs to the Church of Georgia

Abstract

The present article discusses legal issues of ownership of the Autocephalous Apostolic Orthodox Church of Georgia, which, in a specific case, is determined by the Contract signed between the Church and the state. In addition, it analyzes the issues concerning the dioceses established beyond the borders of Georgia and their property rights and property registration regulated by the norms of international law and the local legislation of the state in whose territory the property owned by the Autocephalous Apostolic Orthodox Church of Georgia is located.

The Autocephalous Apostolic Orthodox Church of Georgia, as a historically established legal entity under public law, has legal capacity for rights. It is a rightful subject of civil legal relations and manages its own property based on the norms of the Canon Law, as well as, in accordance with the norms of the Applicable Law of the State of Georgia.

The Constitutional Contract signed on October 14, 2002 between the State of Georgia and the Autocephalous Apostolic Orthodox Church of Georgia is valid and, therefore, the relationship between the state and the Church is based on the principle of the contract.

ლამა ზაალიშვილი

სამუსიკო ტერმინ „ამაჯის“ შესახებ

ლაშა ზაალიშვილი თეოლოგიისა და სამუსიკო სელოვნების მაგისტრი

LASHA ZAALISHVILI Master of Theology and Musical Arts

ხელმძღვანელი სელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
მაგდა სუხიაშვილი

SUPERVISOR Doctor of Art Studies
Magda Sukhiashvili

კონსულტანტი თეოლოგიისა და ფილოლოგიის დოქტორი
ედიშერ ჭელიძე

CONSULTANT Doctor of Theology and Philology
Edisher Chelidze

სამუსიკო ტერმინ „ავაჯის“ შესახებ

მუსიკალურ-ლიტურგიკული ტერმინი „ავაჯი“ ხშირად გამოიყენება როგორც შუა საუკუნეების, ისე XVIII-XIX საუკუნეების წყაროებში, მათ შორის, ლიტურგიკულ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში. მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მრავალი მოსაზრება ხსენებული ცნება-ტერმინის შინაარსისა და წარმომავლობის შესახებ, თუმცა მასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი შემდგომ კვლევასა და ნათელყოფას საჭიროებს.

როგორც ცნობილია, საუკუნეების განმავლობაში ტერმინმა „ავაჯმა“ შეიცვალა მნიშვნელობა. პირველ ყოვლისა, განვიხილავთ, თუ რა მნიშვნელობით გამოიყენება იგი შუა საუკუნეების საეკლესიო ტექსტებში და როგორია მისი ეტიმოლოგია.

სამუსიკისმცოდნეო ლიტერატურაში ტერმინ „ავაჯის“ წარმომავლობის შესახებ მოსაზრება გამოთქმული აქვს მხოლოდ ვაჟა გვახარიას. მისი ვარაუდით, იგი წარმოშობილია არაბული „მუვჯაბათუნ“-იდან, რაც მოტივს ნიშნავს.¹ ქვემოთ წარმოდგენილმა კვლევამ აჩვენა, რომ ვაჟა გვახარიას ამ მოსაზრებას მყარი საფუძველი არა აქვს.

მზია ანდრონიკაშვილის ნაშრომიდან — *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან* — ვიგებთ, რომ ცნება-ტერმინი **āvāž** („ავაჯ“) საშუალო სპარსული, ფალაური წარმომავლობისაა.² მეცნიერის განმარტებით, ამ სიტყვის თავდაპირველი ფორმა **āvāč** („ავაჩ“) გადავიდა **āvāž**-ში („ავაჯ“) და ამ სახით დამკვიდრდა კლასიკურ ფალაურში. მოგვიანებით იგი შედის ქართულსა და სომხურში: „ავაჯი — **սլաջ** < **āvāž** (< **āvāč**)“.³

აღსანიშნავია, რომ ილია აბულაძის მიერ შედგენილ ძველქართულ-ძველსომხურ ლექსიკონში სიტყვა „ავაჯის“ ძველსომხური შესატყვისია **ხჟანასკ** („**ჟელანაკ**“),⁴ რომლის ქართული თარგმანია „ჯმა, კილო“.⁵

ტერმინი ავაჯი რომ „ჰანგის“, „კილოს“ ცნებას უკავშირდება, ამის შესახებ არაერთ მეცნიერს გამოუთქვამას მოსაზრება.

კორნელი კეკელიძე „ავაჯს“ კილოს ანუ ჰანგის მონაცვლე ტერმინად მიიჩნევს და წერს: „კილოს, ჰანგს ავაჯი ჰქვია... ძლისპირი საგალობელია, რომელსაც გარკვეული ავაჯი აქვს.“⁶

1 გვახარია 1962: 51.

2 ანდრონიკაშვილი 1966: 607.

3 იქვე, გვ. 170.

4 სომხური სიტყვების ქართულ ენაზე თარგმნაში დაგვეხმარა ისტორიკოსი ვიტალი მკრტიჩიანი.

5 აბულაძე 2014: 25.

6 კეკელიძე 1980: 602.

ელენე მეტრეველის მოსაზრებითაც, „ავაჯი“ კილოს შესატყვისი ცნება-ტერმინია: „კილოს ჩვენ ვხმარობთ ძლისპირის მელოდიის მნიშვნელობით, რომელზედაც სრულდება გალობათა და სტიქარონთა ტროპარები ... კილოს მონაცვლე ტერმინი უნდა იყოს ავაჯი“.¹ ელენე მეტრეველის ეს მოსაზრება ემყარება წმ. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის პარაკლიტონის ერთ-ერთ მინაწერს, რომელიც ეკუთვნის გადაშწერს — ათანასე არვანდ-ყოფილს (XI ს.). მინაწერი წინ უძღვის პარაკლიტონის ერთ-ერთ ნაკვეთს — მომიხსენების დასდებლებს: „ნებითა ღმრთისაჲთა მომიჯსენენი რვათა ჳმათანი კვრიაკეთა ორ-ორი წყვილი, ხოლო სხუათა დღეთა თითოდ, ვინაჲთგან კულა რომელთამე თავი ჳმათა დიდრვანნი იყვნეს და რომელთამე წურილნი, ვითარიცა ძლისპირი მოუვიდოდა, გინა უფალო დაღატყავისაჲ, გინა გალობათაჲ, ყოვლაღმინდასა მამასა ჩუენსა გიორგი მთაწმიდელსა მას ზედაცა უთარგმნიან თვთოეულისა ჳმისანი და ძლისპირსა ნუვინ იტყვს, რამეთუ ავაჯისათუს ოდენ ზის თავი, თუ არა სხუაჲ არაჲ აქუს წელი“ — ნათქვამია კოლოფონში.² ათანასე არვანდ-ყოფილის სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ძლისპირთა ინციპიტები ხელნაწერში მხოლოდ „ავაჯის“ ანუ ჳანგის მისათითებლად არის წარმოდგენილი.

ტერმინ „ავაჯს“ ჳანგის აღსანიშნად ხშირად იყენებს წმ. გიორგი მთაწმინდელი. მის მიერ შედგენილი პარაკლიტონის ერთ-ერთ შენიშვნაში საუბარია ბერძნულიდან ახალთარგმნილ ძლისპირებზე, რომელთა ტექსტების „ქართულ ავაჯზე“ გაწყობა („დადება“) იყო შესაძლებელი. „ესე უცხონი ძლისპირნი მე ბერძულად ვიცოდნენ და ეგებოდა მასვე გუარსა ზედა ქართულისაცა ავაჯის დადებაჲ“ — წერს ათონელი მოღვაწე (Ath. 45, 249v). მარხვანის ერთ-ერთ შენიშვნაში წმ. გიორგი მთაწმინდელი ტერმინ „თვითავაჯსაც“ იყენებს. მისი განმარტებით, დიდი პარასკევის „შუალამის დასდებლები“, რომლებიც მას ბერძნულიდან უთარგმნია, „თვთავაჯნი“ ყოფილა. „ბერძულად თვთავაჯნია“ —ო — წერს იგი (A-339, ფ.115).³

ტერმინი „ავაჯი“ დამოწმებულია, ასევე, წმ. ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲ“-ს გიორგი მთაწმინდლისეულ თარგმანშიც. თხზულების მერვე თავში წმ. ბასილი აღწერს ფრინველებს, რომელთა ნაწილიც მგალობელია, და ამბობს: „და რომელნიმე მგალობელ და ავაჯ-მრავალ, და რომელნიმე სრულიად უავაჯო და უგალობელ“⁴ (Καὶ τὰ μὲν ἄδικα καὶ πῶς φωνα· τὰ δὲ ἄμουσα παντελῶς καὶ ἄμωρα⁵). ლექსება „ავაჯ-მრავალ“-ს წმ. გიორგი მთაწმინდელი იყენებს ბერძნული „პოლიფონა“-ს (πῶς φωνα)

1 ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი 1971: 045.

2 ელენე მეტრეველის ცნობით, ტერმინი „თვითავაჯი“ გვხვდება X საუკუნის იადგარეგში (ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი 1971: 045). მას არ მიუთითებია, თუ რომელი ხელნაწერები ჳქონდა მხედველობაში. დღეისათვის „ავაჯის“ შემცველი X საუკუნის ხელნაწერი დადასტურებული არ არის.

3 სუხიაშვილი 2019: 23-24.

4 წმ. ბასილი დიდი 1947: 94.

5 PG 29: 172 C.

შესატყვისად, ხოლო „უავაჯო“-ს — „ამუსა“-ს (ἄμουσα) ექვივალენტად. ბერძნული ტერმინი „პოლიფონოსი“ სიტყვასიტყვით „მრავალხმას“ (πολύς — მრავალი, φωνή — ბგერა, ხმა) აღნიშნავს, თუმცა მის ექვივალენტად „ავაჯ-მრავალის“ გამოყენება სავსებით ბუნებრივია; მაგალითები ფრინველების აღწერისას წმ. ბასილი დიდი ლექსება „პოლიფონოს“-ის გამოყენებით, როგორც ჩანს, ცდილობს გადმოსცეს მათი გალობის ინტონაციური სიმდიდრე და მრავალფეროვნება, ამას კი ზედმიწევნით გამოხატავს წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ შერჩეული ტერმინი „ავაჯ-მრავალი“.

საყურადღებოა, რომ „ექუსთა დღეთად“-ს უძველეს ქართულ თარგმანში, რომელიც უცნობი მთარგმნელის მიერაა შესრულებული (X საუკუნემდე), ბერძნულ ცნება-ტერმინ „პოლიფონას“ (πολύφωνα) ქართული შესატყვისია „მრავალხმა“; ანონიმი მთარგმნელის მიერ ზემოთ დამოწმებული ბერძნული ციტატის თარგმანი ასეთია: „რომელნიმე განმცხრომელ და მრავალხმა; და რომელთამე არა აქუს განცხრომად და არცა სიმღერად“.¹

ტერმინი „ავაჯი“ გვხვდება წმ. გიორგი მთაწმინდელის შემდგომი ეპოქის ტექსტებშიც. სახელდობრ, მას იყენებს ოპიზის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მოღვაწე ათანასე არვანდ-ყოფილი (XI ს.), რომლის შენიშვნის შესახებაც (ხელნაწერიდან A-93) ზემოთ ვისაუბრეთ. საკვლევი ტერმინი დამოწმებულია, ასევე, გელათური ბიბლიის კატენებში; სახელდობრ, წმ. თეოდორიტე კვირელის განმარტებებში, რომლებიც ერთვის წინასწარმეტყველთა — ამოსისა და მიქეას წიგნებს. ისინი წარმოდგენილია შემდეგ ნუსხებში: S 417 (XII ს.), K 3 (ამოსის წიგნის განმარტება) და K 1 (მიქეას წიგნის განმარტება). ორივე განმარტება ერთი მთარგმნელის მიერ ჩანს გადმოღებული და ენობრივი ნორმების მიხედვით დაახლოებით XI-XII საუკუნეებს მიეკუთვნება.²

ამოს წინასწარმეტყველის განმარტების ტექსტში ბერძნული დედნიდან მთარგმნელს სიტყვა ἦχον-ის (ბგერა, ხმოვანება, ხმა³) შესატყვისად გამოყენებული აქვს „ავაჯი“, ხოლო ἄδων-ის (იხ. ἀείδω [ἄδω] — ვმღერი, ვგალობ⁴) შესატყვისად — „მეავაჯე“. მეტი სიცხადისთვის მოვიყვანთ ციტატებს ძველი ქართული და ბერძნული ტექსტებიდან: „განაყენე ჩემგან ავაჯი გალობათა შენთად, და ფსალმუნებად ორღანთთა შენთად არა ვისმინო“⁵ (Μετάσθησον ἀπ’ ἐμοῦ ἦχον ἄδων σου, καὶ ψαλμὸν ὀργάνων σου οὐκ ἀκούσομαι⁶); „ვინად დასცხერ მეავაჯეცა და მუსიკებრთა ორღანთთა მჭუმეველი“⁷

1 აბულაძე 1964: 112.

2 ამოსის წინასწარმეტყველების თარგმანი შემორჩენილია ორი ხელნაწერით, რომლებიც XII (S 417) და XVI (K 3) საუკუნეებისაა, ხოლო მიქეასი კი მხოლოდ XVI (K 1) საუკუნის ნუსხით.

3 Дворецкий, т. I, 1958: 765.

4 Дворецкий, т. I, 1958: 38.

5 ჯუღელი 2008: 425.

6 PG 81: 1692.

7 ჯუღელი 2008: 426.

(Παῦσαι τοῖνυν καὶ ᾄδων καὶ τοῖς μουσικοῖς κεχρημένος ὄργάνοις!).

წინასწარმეტყველ მიქეას განმარტების ტექსტში მთარგმნელს ლექსემა „ავაჯი“ გამოყენებული აქვს ბერძნული **μῆλει**-ს (ჰანგი, მელოდია) ქართულ შესატყვისად, ხოლო „ავაჯიანი“ — **ἐμμελῆ**-ს ექვივალენტად: „და მას დღესა შინა მოღებულ იქმნეს თქვენ ზედა იგავი, და იტყებოთ ტყებად **ავაჯითა** მეტყუელთაებრ...“; ასევე: „ამიერ წინაღწართქუმულნიცა ადვილ-ვინმე-გაიგონნედ, რამეთუ რომელი ზემო «ტყებად სირინონთად» თქუა, მას აქა «ტყებად **ავაჯიანად**» უწოდს; ვიდრეა არს, მუნცა ცხად არს, ვითარმედ «ტყებად სირინონთად» — ავაჯიანი გოდებად² (Ἐν τῇ ἡμέρᾳ ἐκεῖνῃ ληφθήσεται ἐφ’ ὑμᾶς παραβολῆ, καὶ θρηνηθήσεται θρῆνος ἐν **μῆλει** λεγόντων· Ταλαιπωρία ἐταλαιπωρήσαμεν. Ἐντεῦθεν καὶ τὰ πρόσθεν εἰρημένα ῥᾶον ἂν τις νοήσειεν· ὁ γὰρ εἶπεν ἄνω πένθος Σειρήνων, τοῦτο ἐνταῦθα θρῆνον **ἐμμελῆ** καλεῖ. Ὡς εἶναι δῆλον, ὅτι κακεῖ τὸν **ἐμμελῆ** **θρῆνον** πένθος Σειρήνωνη κατὰ τὸν περιφερόμενον ἐκάλεσε μῦθον).³

წმ. გიორგი მთაწმინდელის ეპოქის შემდგომდროინდელ ტექსტებში ტერმინ „ავაჯის“ არც თუ იშვიათი გამოყენება გვაფიქრებინებს, რომ იგი სწორედ ათონელი მოღვაწის მიერაა დამკვიდრებული.

XVIII-XIX საუკუნეებში ტერმინ „ავაჯს“ შეეცვალა მნიშვნელობა. ამამე მიუთითებს არაერთი ლიტერატურული წყარო, ჩვენამდე მოღწეული სანოტო ხელნაწერები და იქ დამოწმებული ტერმინები.

XVIII საუკუნის დიდი ქართველი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: „ავაჯი“ — ჳმა მომალლო, გრძელი (გრძლად).⁴ სულხან-საბას ამ განმარტებაში ერთგვარი ეჭვი შეიტანა ივანე ჯავახიშვილმა, მას ბუნდოვანი უწოდა და აღნიშნა, რომ სულხან-საბას განმარტების სისწორეს თავის ადგილას განიხილავდა, მაგრამ ამ საკითხს შემდგომ აღარ მიბრუნებია.⁵

ტერმინი „ავაჯი“ ხშირად გვხვდება XIX საუკუნის სანოტო ხელნაწერებში. მათზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ტერმინის მნიშვნელობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციაში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია.

აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციაში ტერმინ „ავაჯ“-ის შინაარსის ახსნას შევეცდებით წმ. სტეფანე კარბელაშვილისეულ კრებულებსა და ხელნაწერებზე დაკვირვების მეშვეობით.

წმ. სტეფანე კარბელაშვილის (ბერად აღკვეცამდე — დეკანოზი ვასილი) მიერ განათლების სახალხო კომისრის — დავით კანდელაკისადმი მიწერილ ბარათში

1 PG 81: 1692.
 2 ჯუღელი 2008: 435.
 3 PG 81: 1752.
 4 სულხან-საბა ორბელიანი 1991: 40.
 5 ჯავახიშვილი 1990: 255.

გვითხულობთ: „ქართველთა ერის ეკლესიას, როგორადაც სხვა ქრისტიანებისას, აქვს მთავარი მ ხმა, რომელიც იხმარება კვირიდან კვირამდე. ამის გარდა, მას აქვს მ ხმა «თვითხმოვანი», რომელიც არ წაავსებს მთავარ მ ხმას. აქვს მ ხმა «იამბიკური», მ ხმა — **«ავაჯური»**, მ ხმა — «ანტიფონური», მ ხმა — წირვის გალობა, მ ხმა — საცისკრო ძლისპირები სამ კილო-ჯგუფად ასხმული და მარცვლებზე აშენებული, როგორც სიმღერაშია ეს მოვლენა...“.¹ აქ, საგარაუდოდ, მ ხმა „ავაჯურ“—ში იგულისხმება სხვათაგან განსხვავებული, დამოუკიდებელ მ ხმაზე გაწყობილი საგალობელთა ჯგუფი, რომელსაც საკუთარი კილოები ანუ ჰანგები აქვს. ამაზე მიუთითებს წმ. სტეფანე კარბელაშვილის წერილი, რომლის ადრესატია ზაქარია ფალიაშვილი. გალობის დიდი მოამაგე გულისტკივილს გამოხატავს ქართული გალობის კილოების ფალიაშვილის და სხვათა მიერ გადაკეთების გამო და ამ კონტექსტში ახსენებს „ავაჯის კილოს“: „უნდა მოგახსენოთ, რომ დიდათა ვწუხვარ, რომ განგებ და განზრახ ამახინჯებთ ამ გალობას ქართლ-ვახურს და უარყოფთ იმ კანონს ქართულის გალობისას, რომელიც საუკუნეობით არის შემუშავებული ან დამუშავებული... რას უნდა მივაწეროთ უადგილო ადგილ-ადგილ დასვენება და ხმის ტრიალის მარცვლებიდან მარცვლებზე გადატან-გადმოტანა?... თუ ავაჯით მოჩქარებისათვის ჰნებულობთ, მაშინ გადააკეთეთ იმ ავაჯის კილოზედ, თუკი მოგეძებნებათ საგანძურში, ხოლო თანახმად ქართულისა გალობისა, ამ მთავარ კილოს ნუ სჯიჯნით, ნუ აქუცმაცებთ და ნუ ანადგურებთ“.² ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ წმ. სტეფანე კარბელაშვილი ერთმანეთისაგან მიჯნავს „ავაჯის კილოს“ „მთავარი კილოსგან“.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა შინაარსით იყენებს ტერმინ „ავაჯს“ წმ. სტეფანე კარბელაშვილი, მნიშვნელოვანია განვიხილოთ საკვლევი ტერმინის დადასტურების შემთხვევები მის მიერვე შედგენილ სამგალობლო კრებულებში.

წმ. სტეფანე კარბელაშვილის საცისკრო საგალობელთა კრებულში ყურადღებას იქცევს საგალობლები — „წმიდათა თანა“, „ბესთა მბრძოლისა ჩემისათუს“³ და „ნათელი მხიარული“,⁴ რომლებსაც უძღვის წარწერა „ავაჯით“.

„ავაჯით“ სახელდებულ საგალობლებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მათი მუსიკალური ტექსტის ძირითადი ნაწილი სილაბური წყობისაა, მხოლოდ მუხლების დაბოლოებებია გამღერებული. დავით შულღიაშვილი და თამარ ჩხეიძე „ავაჯიან“ საგალობლებს განმარტავენ როგორც სილაბურს.⁵ ჩვენმა დაკვირვებამ ცხადყო ისიც, რომ სილაბურობასთან ერთად „ავაჯური“ საგალობლებისთვის ნიშანდობლივია, ძირითადად, ბგერების თანაბარი, შედარებით მცირე (უპირატესად მეოთხედი) გრძილობები (თუ არ მივიღებთ მხედველობაში მუხლების დამაბოლოებელ საქცევებსა და

1 კარბელაშვილი დოკუმენტი N 80.

2 კარბელაშვილი დოკუმენტი N362.

3 ქართლ-ვახური გალობა კარბელაშვილი კილოთი 1898: 62, 71.

4 ქართლ-ვახური გალობა კარბელაშვილი კილოთი 1897: 75.

5 შულღიაშვილი, ჩხეიძე 2016 (პაგინაციის გარეშე).

განსხვავებული გრძლიობის ბგერებს, რომლებიც გამონაკლისის სახით გვხვდება¹). ამის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ ფრაგმენტს საგალობლისა — „გესთა მბრძოლისა“ (იხ. სანოტო მაგალითი №1).

მამ. 1

ზე - სთა მბრძო - ლი - სა ჩე - მი - სა - თვის და მო - ლუა - ნი - სა უ - ძლე -

ვე - ლი - სა ვი - თარ - ცა შენ მი - ერ სხნილ - ნი გან - საც - დელ - თა - გან

ე.წ. „ავაჯურ“ საგალობელთა ეს კანონზომიერება კიდევ უფრო ნათლად წარმოჩინდება, თუკი ერთმანეთს შევადარებთ ავაჯით შესასრულებელ და სადა კილოს საგალობლებს. მართალია, სადა საგალობელთა შორის გვხვდება როგორც სილაბური,² ისე ნევმატური³ სტილის ნიმუშები, მაგრამ თანაბარი, მეოთხედი გრძლიობის ბგერები აქ დომინანტს არ წარმოადგენს (შდრ., მაგალითად, ქართლ-ვახური სადა საგალობლის ტიპიური ნიმუში — „მოვედით, თაყუანის-ვსცეთ“⁴ — და „ავაჯით“ შესასრულებელი ზემოხსენებული საგალობლები). სწორედ ამიტომ ავაჯით გალობის ხსენებისას ეპისკოპოსი სტეფანე სიტყვა „მოჩქარებას“ იყენებს. ცხადია, „ავაჯის კილოს“ საგალობლები, რომლებშიც დომინირებს მეოთხედი გრძლიობის ბგერები, უფრო „მოჩქარებული“ და სხარტია. შემთხვევითი არ არის, რომ ვრცელი ტექსტების მქონე საგალობლები (სახელდობრ,

300

1 ვასილ კარგელაშვილის მიერ ნოტირებულ საგალობელთა შორის მოიპოვება ნიმუშები, რომლებსაც არ უძღვის წარწერა „ავაჯით“, თუმცა თავისი მახასიათებლებით საგალობელთა ამ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ. ერთ-ერთი ასეთია წირვის პირველი ანტიფონი — „აკურთხევს სული“ (იხ. ქართული გალობა 2018: 243).

2 სილაბურ-მელოდიური სტილის საგალობლებში, პოეტური ტექსტის თითოეული მარცვალი შეესაბამება საგალობლის ჰანგის ერთ, იშვიათად, ორ, გამონაკლის შემთხვევებში - სამ ბგერას.

3 ნევმატური სტილის საგალობლებში სიტყვიერი ტექსტის თითოეულ მარცვალს ორი ან სამი სხვადასხვა სიმაღლის გადაბმული ბგერა შეესაბამება.

4 ქართული საეკლესიო გალობა 2008: 297.

ღმრთისმშობლისანი, ე. წ. „აწღანი“), რომელთა შესრულება დიდ დროს საჭიროებდა, წმ. სტეფანე კარბელაშვილის გადმოცემით, ავაჯით სრულდებოდა: „მესამე კილოთ იყო მიღებული ავაჯით თქმა, ვინაიდგან გალობის აწდების შესრულება **დიდ დროს ითხოვდა** და საუფლო დღესასწაულებში წესრიგზედ სრულდებოდა ხოლმე გალობით“.¹

წმ. სტეფანე ტერმინ „ავაჯს“ ახსენებს საცისკრო საგალობელთა კრებულის შესავალში. აქ ის მსჯელობს სადიდებლების შესახებ, რომლის ჰანგს სხვადასხვა დღესასწაულზე სხვადასხვა სიტყვიერი ტექსტი მიესადაგება (მარცვლების რამდენადმე განსხვავებული რაოდენობით) და მგალობლისგან დიდ დაკვირვებას მოითხოვს. „ეს არის ამის გასაჭირი, რომ თუ ყურადღებით არ ითქვა, ვერ მოვა და მომეტებული მარცვლები უნდა ავაჯით გაიტანოთ ხოლმე...“ — წერს სტეფანე კარბელაშვილი.² ამდენად, ის მგალობლებს „მომეტებული“ მარცვლების ავაჯით „გატანას“ ურჩევს.

უარესად საყურადღებოა, ასევე, წმ. სტეფანე კარბელაშვილის წერილი მელქისედეკ ნაკაშიძისადმი, რომელშიც დიდი მგალობელი ტერმინ „ავაჯს“ იყენებს ლიტურგიკულ კითხვაზე საუბრისას. ის ნამდვილ საეკლესიო კითხვას³ „ავაჯით“ გალობას ადარებს და აღნიშნავს: „კარგად წაკითხვა სახარებისა კილოზედ, სამოციქულოსი, ჟამნისა, იგივე გალობა ავაჯით არ არის? როგორ ჰფიქრობთ? მე კი დაგიმტკიცებთ, რომ კილოთი კითხვა იგივე გალობა არის, ჯერ კიდევ განუვითარებელ საფეხურზედ.“⁴ ამდენად, წმ. სტეფანეს აზრით, საეკლესიო კითხვა „ავაჯური“ გალობის მსგავსი, მისი ნაკლებად განვითარებული სახეა.

ტერმინი „ავაჯი“ გვხვდება წმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძის) ხელნაწერებშიც, რომლებშიც მას მკაფიოდ, სახელდებითად აქვს ერთმანეთისაგან გამიჯნული სამგალობლო ტერმინები: „წართქმით“, „ავაჯით“, „წართქმა დამუხლებით“, „გამშვენებული“ და „ჭრელი“. ამის ნათელი დადასტურებაა მის მიერ შედგენილი ხელნაწერი კრებული Q 672 (1917 წ.), რომლის სარჩევში და კრებულის შესაბამის გვერდებზე მწუხრის საგალობლის — „ნათელი მხიარული“ —ს — ყველა ზემოჩამოთვლილი ტერმინის შესაბამისი ვარიანტია მოცემული.⁵ ავაჯით შესასრულებელი „ნათელი მხიარული“ —ს ფრაგმენტი წარმოდგენილია ქვემოთ (იხ. სანოტო მაგალითი №2). როგორც მაგალითიდან ჩანს, საგალობლისთვის დამახასიათებელია, ძირითადად, ერთგვაროვანი (მეოთხედი გრძლიობის) ბგერები; ტექსტის ერთ მარცვალს მოუდის ერთი, ორი და, იშვიათად, მეტი ბგერა, რაც ნევმატური წყობისთვისაა დამახასიათებელი.

1 კარბელაშვილი დოკუმენტი № 260.

2 ქართლ-კახური გალობა კარბელაშვილის კილოთი 1898 (შესავალი ნაწილია და პავინაცია არა აქვს).

3 საეკლესიო კითხვა და ლიტურგიკული კითხვა პარალელური ტერმინებია და გულისხმობს მიმლიური საკითხავების (სახარება, სამოციქულო, საწინასწარმეტყველო) კითხვას ეკლესიაში შემუშავებული მუსიკალურ-ინტონაციური ფორმულების გამოყენებით.

4 კარბელაშვილი დოკუმენტი N126.

5 სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა ხმა სამწუხრო საგალობელი, გვ. 192.

მამ. 2



წმ. ექვთიმე კერესელიძის კრებულებში ავაჯით შესასრულებელი საგალობლებიდან საყურადღებოა კიდევ ერთი მაგალითი. ეს არის ხელნაწერ Q 674-ში (1900-1932 წწ.) შესული საგალობელი „უკეთილმსახურესი“.¹ ამავე კრებულის სარჩევში საგალობელს აქვს მითითება „ავაციტ“, რაც, სავარაუდოდ, გადამწერის შეცდომაა და „ავაჯით“ შესრულებაზე უნდა მიუთითებდეს (იხ. ქვემოთ სანოტო მაგალითი №3). მას წინ უძღვის იმავე ჰიმნის სხვა ვარიანტი (წარწერით: „წართქმით“). ამ ჯგუფის სხვა საგალობლების მსგავსად, „უკეთილმსახურესსაც“ ახასიათებს ერთგვაროვანი, ძირითადად, მეოთხედი გრძლიობის ბგერები, ტექსტის ერთ მარცვალზე ერთი, ორი, იშვიათად, მეტი ბგერის განაწილება. ამ და სხვა მაგალითებზე დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დასავლურ ქართულ სამგალობლო ტრადიციაში „ავაჯით“ შესასრულებელი საგალობლებისთვის დამახასიათებელია სილაბური და ნეგმატური წყობა. აღსანიშნავია ისიც, რომ, კარბელაშვილისეული „ავაჯური“ საგალობლების მსგავსად, აქაც ჰიმნის შემადგენელი მუხლების ბოლო საქცევები უფრო გამღერებულია.

მამ. 3



1 ქართული ვალობა, სამი წინვის წესი, გვ. 180-183.



ამრიგად, შუა საუკუნეებისა და XIX–XX საუკუნეების მიჯნის ხელნაწერებში დამოწმებული ტერმინ „ავაჯის“ კვლევამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნებამდე:

- ტერმინი „ავაჯი“ სპარსული (ფალაური) წარმომავლობისაა;
- იგი დამკვიდრებული უნდა იყოს წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ;
- აღმოსავლურ ქართულ ტრადიციაში, სახელდობრ, კარბელაშვილთა კილოს საგალობლებში, ე. წ. „ავაჯური“ საგალობლების ძირითადი მუსიკალური ტექსტი

სილაბური წყობისაა; დასავლური სამგალობლო ტრადიციის იმავე კილოს ჰიმნებში დასტურდება როგორც სილაბური, ისე ნევემატური წყობა (თითო მარცვლის ერთ, ორ ან, იშვიათად, მეტ ბგერაზე გამღერებით).

- „ავაჯით“ შესასრულებელი საგალობლებისთვის დამახასიათებელია, ძირითადად, თანაბარი გრძლიობის ბგერების (უპირატესად მეოთხედების) გამოყენება.

- „ავაჯის“ კილოს მიმართავდნენ ვრცელი სიტყვიერი ტექსტის მქონე საგალობლებში (როგორებიცაა, მაგალითად, წირვის ანტიფონები, ე. წ. „აწდანი“), რომლებიც სხარტად და „მოჩქარებით“ (წმ. სტეფანე კარბელაშვილის დეფინიცია) სრულდებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე 2014 — ილია აბულაძე, ძველქართული-ძველსომხური დოკუმენტირებული ლექსიკონი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2014.
2. აბულაძე 1964 — უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულეებისათჳს“, X-XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, „მეცნიერება“, თბილისი, 1964.
3. ანდრონიკაშვილი 1966 — მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1966.
4. გვახარია 1962 — ვაჟა გვახარია, ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება, „ხელოვნება“, თბილისი, 1962.
5. კარბელაშვილი, დოკუმენტი N 80 — ვასილი კარბელაშვილი, მოხსენება განათლების სახალხო კომისიის დავით კანდელაკის სახელზე, საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივი, ვ. კარბელაშვილის პირადი ფონდი, დოკუმენტი N 80.
6. კარბელაშვილი, დოკუმენტი N 362 — ვასილი კარბელაშვილი ბ. ზაქარია ფალიაშვილს, საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივი, ვ. კარბელაშვილის პირადი ფონდი, დოკუმენტი N 362.
7. კარბელაშვილი, დოკუმენტი N 260 — ვასილი კარბელაშვილი, მოგონებები, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ვასილ კარბელაშვილის პირადი არქივი, დოკუმენტი № 260.
8. კარბელაშვილი, დოკუმენტი N 126 — ვასილი კარბელაშვილი, საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივი, ვ. კარბელაშვილის პირადი ფონდი, დოკუმენტი N 126.
9. კეკელიძე 1980 — კორნელი კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, „მეცნიერება“, თბილისი, 1980.
10. სულხან-საბა ორბელიანი 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტომი I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, „მერანი“, თბილისი, 1991.
11. სუსიაშვილი 2019 — მაგდა სუსიაშვილი, ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია (ლექციები), თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისი, 2019.
12. ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“ 1897 — ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“, მწუხრი, ნოტებზე გადაღებული მღვდელ ვასილ კარბელაშვილის მიერ, პირველი ნაწილი, სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ტფილისი,

1897.

13. ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“ 1898 — ქართლ-კახური გალობა „კარბელაანთ კილოთი“, ცისკარი, ნოტებზე გადაღებული მღვდელ ვასილ კარბელაშვილის მიერ, მეორე ნაწილი, სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ტფილისი, 1898.
14. ქართული გალობა 2018 — ქართული გალობა, ანთოლოგია, ტ. II, იოანე ოქროპირის ლიტურგიის საგალობლები (I ნაწილი), შემდგენელი და მუსიკალური რედაქტორი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი, თბილისი, 2018.
15. ქართული საეკლესიო გალობა 2008 — ქართული საეკლესიო გალობა, აღმოსავლეთის სკოლა (ქართლ-კახური კილო), ტ. III, მწუხრი-ცისკარი-წირვა, გადმოცემული ძმები კარბელაშვილებისა და ანდრია ბენაშვილის მიერ, შემდგენელ-რედაქტორი: მალხაზ ერქვანიძე, საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრი, თბილისი, 2008.
16. შულღიაშვილი-ჩხეიძე 2016 — დ. შულღიაშვილი, თ. ჩხეიძე, სამგალობლო ტერმინთა ლექსიკონი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, თბილისი, 2016.
17. ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი 1971 — ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X-XI სს. ხელნაწერების მიხედვით გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ელენე მეტრეველმა, „მეცნიერება“, თბილისი, 1971.
18. ჯავახიშვილი 1990 — ივანე ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, „ხელოვნება“, თბილისი, 1990.
19. ჯუღელი 2008 — ვიქტორია ჯუღელი, ნეტარი თეოდორიტე კვირელი, ცხოვრება, მოქალაქეობა, მრწამსი, თხზულებანი, ტ. I, „ლოგოსი“, თბილისი, 2008.
20. წმ. ბასილი დიდი 1947 — ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გიორგი მთაწმიდლის თარგმანი, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბილისი, 1947.
21. სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა ხმა სამწუხრო საგალობელნი — სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა ხმა სამწუხრო საგალობელნი, ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი Q 672 (დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Q ფონდში).
22. ქართული გალობა, სამი წირვის წესი — ქართული გალობა, სამი წირვის წესი, ლიტურგია მღვდელთ-მთავართათვის და მღვდელთათვის, მთელი წლიური საწირვო საგალობლები, პარტიტურა, წიგნი პირველი Q 674 (დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Q ფონდში).
23. PG 81 — Patrologiae cursus completus, series Graeca, accurante et recognoscente J.P. Migne, Paris, 1864.
24. PG 29 — Patrologiae cursus completus, series Graeca, accurante et recognoscente J.P. Migne, Paris, 1857.
25. Дворецкий, т. I, 1958 — Дворецкий И., Древнегреческо-русский словарь, Том I, Москва, 1958.

სამუსიკო ტერმინ „აპაჩის“ შესახებ

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში განხილულია სამუსიკო-ლიტურგიკული ტერმინი „აუაფი“. სსენებელი ტერმინი ხშირად გამოიყენება როგორც შუა საუკუნეების, ისე XVIII-XIX საუკუნეების წყაროებში, მათ შორის, ლიტურგიკულ-ჰიმნო-გრაფიულ კრებულებში. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ „აუაფი“ არა არაბული წარმომავლობის, როგორც მიიჩნეოდა, არამედ სპარსული (ფა-ლაური) ტერმინია, რომელიც, სავარაუდოდ, წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერაა დამკვიდრებული.

შუა საუკუნეებში „აუაფი“ ჰანგის, კილოს, მელოდიის მნიშვნელობით გამოიყენებოდა, ხოლო XVIII-XIX საუკუნეებში შეეცვალა მნიშვნელობა. აღმოსავლურ ქართულ სამგლობლო ტრადიციაში, სახელობრ, კარბე-ლაშვილთა კილოს საგლობლებში, ე. წ. „აუაფური“ საგლობლების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს სილაბურ ნიმუშებს, ხოლო დასავლურში მონაცვლეობს სილაბური და ნევემატური წყობის სამუსიკო ტექსტი. მათთვის ნიშანდობლივია თანაბარი გრძლიობის ბგერების (უპირატესად მეოთხედების) გამოყენება.

„აუაფის“ კილოს მიმართავენ ვრცელი სიტყვიერი ტექსტის მქონე საგლობლების შესასრულებლად (როგორებიცაა, მაგალითად, წირვის ანტიფონები, ე. წ. „აწლანი“), რომლებიც სხარტად და „მოჩქარებით“ (წმ. სტეფანე კარბელაშვილის დეფინიცია) სრულდებოდა.

როგორც ირკვევა, სადღესასწაულო ღვთისმსახურებისას ვრცელი სიტყვიერი ტექსტების მქონე გარკვეულ საგლობლებს აუაფით იმისთვის გალობდნენ, რათა მათი შესრულება არ გაუიანურებულიყო.

About the Musical Term “Avaji”

Abstract

This article discusses the musical-liturgical term “Avaji”. The mentioned term is often used in the sources of the Middle Ages as well as in those of the 18th-19th centuries, including liturgical-hymnographic collections. The result of the research has confirmed that the word “Avaji” is not of Arab origin as it had been believed to be, but is a Persian (Pahlavi) term, which was probably established by Saint Giorgi the Athoonite.

In the Middle Ages, “Avaji” was used in the meaning of sound, scale, melody, but in the 18th-19th centuries its meaning was changed. In the Eastern Georgian tradition of hymnal, namely, in the hymns of the Karbelashvili’s scale, the major part of the so called “Avaji” hymns represents syllabic examples, while in the Western tradition, syllabic and neumatic musical texts alternate. These are characterized by the use of sounds of equal length (mostly the fourth).

The tone of Avaji was used to perform hymns with an extensive verbal text (such as, for example, liturgical antiphons, the so-called “Atsdani”), which were performed quickly and “swiftly” (the definition applied by Saint Stepane Karbelashvili).

Thus, it becomes apparent, that certain hymns with extensive verbal texts were sung in avaji in order not to prolong their performance.

თბილისის სასულიერო აკადემიისა და
სემინარიის გამომცემლობა
2024

კომპიუტერული უზრუნველყოფა და ტექნიკური რედაქტორი
შორენა ფარქოსაძე

სტატიებში გამოყენებული ფოტოები აღებულია საიტიდან
Pravoslavie.ru

რედაქციის მისამართი:
თბილისი, სიონის ქ. N 13/40

E-mail: academ.gamomcemloba@gmail.com

Address of editorial Board:
13/40, SIONI STR. TBILISI.

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“
თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. N84

E-mail: info@meridiani777gmail.com